ᲙᲘᲠᲑᲘᲡᲘ
КИРБИСИ
CIRBISI

NOSCE TE IPSUM
ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ
ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2005 Წ.

მთავარი რედაქტორი **ᲒᲣᲚᲐᲓᲘ ᲤᲔᲢᲔᲚᲐᲕᲐ**

ფინანსური უზრუნველყოფა **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲘᲣᲨᲕᲔᲚᲘᲐ**

ნომრის საკონსულტაციო
საბჭო:

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲑᲡᲐᲜᲐᲫᲔ, ᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲣᲗᲮᲣᲖᲘ, ᲜᲘᲙᲐ ᲒᲘᲚᲐᲣᲠᲘ, ᲖᲐᲖᲐ ᲒᲝᲠᲝᲖᲘᲐ, ᲚᲐᲓᲝ ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲗᲝᲓᲣᲐ, ᲕᲐᲟᲐ ᲗᲝᲠᲓᲘᲐ, ᲖᲐᲣᲠ ᲙᲕᲘᲙᲕᲘᲜᲘᲐ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲚᲝᲛᲕᲐᲘᲐ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲝᲠᲗᲘᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲔᲑᲝᲜᲘᲐ, ᲔᲓᲕᲐᲠᲓ ᲡᲣᲠᲛᲐᲜᲘᲫᲔ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛᲐᲜ ᲢᲘᲙᲐᲫᲔ, ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲕᲐ, ᲯᲔᲛᲐᲚ ᲧᲣᲠᲧᲣᲛᲘᲐ, ᲚᲐᲓᲝ ᲭᲘᲑᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲣᲚᲘᲙᲝ ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐ

კომერციული დირექტორი **ᲜᲐᲜᲐ ᲮᲣᲤᲔᲜᲘᲐ**
დიზაინი **ᲙᲝᲙᲐ ᲤᲔᲢᲔᲚᲐᲕᲐ**
გამომცემელი **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲯᲕᲐᲜᲘ**
კორექტორი **ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲨᲣᲛᲘᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
ფოტოსერვისი **ᲑᲐᲓᲠᲘ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ**
წიგნის შემკონავი **ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲗᲝᲛᲐᲫᲔ**

XXI საუკუნის საქართველოს უმთავრესი ამოცანა:

კოლექტიური პასუხისმგებლობა ერთობლივ მოშავალზე!

საზაფხულო წარმოდგენა:

ეროვნული ენერგია

გონიერება გადაარჩენს კაცობრიობას

ნომრის გამოცემას უზრუნველყოფენ:

ვახტანგ მიუველია

და „ინდივიდუალური მეწარმე გულადი ფეტელავა — ჟურნალი ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა“; რეგისტრაციის №04/1-203, 21.12.01; თბილისი, კოსტავას ქ. №14. მობ.: 893313933.

ყოველად ბრძენი სრულქმნილია და ხატი ცისქვეშეთის. იგი არ კმარობს მხოლოდ თავის მხილველობას: ამიტომ ნათობს კაცთა შორის. მხოლოდ თავის თავს არ მიიჩნევს საამართლიანად: ამიტომაც ფლობს ჭეშმარიტებას. არ დიდკაცობს: ამიტომ ადიდებენ. განდიდებას არ მიელტვის: ამიტომ მოძღვრობს კაცთა შორის. არ მძლავრობს და უძლეველია ცისქვეშეთში. ვინც ფიქრობს ყოველივე ვუწყით: არა უწყის რა. ვინც დიდებას მიელტვის: ვერ ეღირსება დიდებას. ვინც განდიდებას მიელტვის: ვერ გაწინამძღვრდება. ყველა სიმდიდრით ავსილა: მე ერთი ვფლობ სიცარიელეს. ყველა საითკენმე მიიჩქარის: მე ერთი ვგავარ ყოვლის უარყოფელს. ყველა ბრწყინავს და გამოჩინებულია: მე ერთი ვარ ტანი სულელისა... მე ზღვას ვგავარ: უწიალოს და ჩაყამებულს. მე ვსრბი სოფლიურ სივრცეში: უსასთუმლო და უნავსაყუდლო. ყველა თავის სარგებელს ეძიებს: მე ერთი ვგავარ ბრიყვსა და უგვანს.

ლაო ძი,
„დაო დე ძინი“

თანამოსაგრენი:

„ენგურჰესი“
"ТРИ ТУЗА"
„თბილავიამუენი“
"GEORGIA & GEORGIA"
ეროვნული თანხმობის კავშირი
საერდიცინო რადიოლოგიის საეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

საქართველოს გზა თავისუფლებისაკენ

საშობლო ხევსურისა

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, სად მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, —ჩემი საშობლო ის არი.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს საშობლოს სხვა ქვეყნის საშოთხეზედა!..

მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,
ორბი როშ ბუდობს, ჩანჩქერით გადმოჰქუხს ბროლი წყლიანი,
ჯიხვი და არჩვი შეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს საშობლოს სხვა ქვეყნის საშოთხეზედა!..

ბარად როშ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იხარის,
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქიკენ იხარის,
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლე იმწარის!.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს საშობლოს სხვა ქვეყნის საშოთხეზედა!..



მარად როშ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტახტია, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არა ვინდობთ ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს საშობლოს სხვა ქვეყნის საშოთხეზედა!..

საშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მარჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი საშობლოც ერთია ქვეყანაზედა...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა
არ გავცვლი მე ჩემს საშობლოს სხვა ქვეყნის საშოთხეზედა!..

რაფიელ ერისთავი

ფოტო: **იური შაქარიშვილისა**

შინაარსი

ჟურნალ „კირბისის“ პრეზენტაცია
005
ოტია იოსელიანი.
მეწინავე (ნოველა)
007
ლაშა გვასალია.
ცის ნატეხები (ნოველა)
034
იაკობ მესხია.
რეცენზია გური ოტობაიას
ბელეტრისტულ მატიანეზე „სუფევა“
051
მარტოსული ხეობის მახვში
052
საქართველო გმირი კოლექტივი
ღვთაება გრანტის შვილები
093
ქართული ენერგეტიკის დედაბოძი
096
SOS: ვარდების რევოლუცია რომ არა, ენგურჰესი მზად იყო...
კატასტროფისათვის
100
ზავი „ენგურჰესის“ ძალისხმევით
102
ნაჟირუა ჯიმალეფი — ტყუპისცალი ძმები
109
ვარდების რევოლუცია სულზე მოუსწრებს
„ენგურჰესს“
110
სამზადისი სიმპოზიუმისათვის: „ჰომო გეორგიკუსი და პროექტი „გვიმარა“
122
სინდისის პატიმარი, აწ ბერთაკლდის საძმოს გან განდგომილი
124
სრულიად გონსასეირო არასენსაციურად
125
მითაჟამი
136
საშოთხე
140
ცოლკინი
143
გალაქტიკური ცივილიზაციის უდიდესი ბეჭედი (გ. დვორინი, თარგმნა ნუნუ ბუგაევამ)
145
ელიტარული ჯგუფები (ა. ეფიმოვი)
153
ოქროს სარწმუნისი
163
ქართული ცის ნოსტალგია
165
პროექტი „გვიმარა“
171
ფოტოხელოვან ბადრი ვადაჭკორიას პორტრეტი კალმის ერთი მოსმით.
ბადრი ვადაჭკორიას ფოტორეპორტაჟები: პრეზიდენტ ბუშის ვიზიტი საქართველოში;
ჯვარცმული კუნძულზე მსოფლიო თავისუფლებისათვის მებრძოლი,
უკანასკნელი მოჰიკანი ქართველი პოკრო გახარია;
ხობი — ხალხური სიმღერების საერთაშორისო ფესტივალის მაბინძელი
181
ლირიკული ინტერმეცო:
„მკლავჭიდი“ — სიტყვის როია (თენგიზ თომაძე)
188
სალომე რიგვავას ტანოტატანო
190
რეკლამა:
სათამაშო კლუბები „სამი ტუზი“
194
ანონსი
204



ჟურნალ „კირბისის“ პრეზენტაცია. 2005 წლის 26 მარტი. ჟურნალიტთა სახლი.

პრეზენტაციის შეჯამება:

„ჟურნალ „კირბისი“ — ფანჯარა XXI საუკუნეში“.

ჟურნალ „კირბისის“ მორალი:

„მთავარია სახელმწიფოებრივი აზროვნება!“

ჩვენი უფროსი თაობის უნიჭიერესი მწერლის, ბატონ ოტია იოსელიანის, საოცრება ნოველა უნდა შევთავაზოთ მკითხველს — მართალი სიტყვისა და ყადრის შემოქმედის საარაკო სულიერი გამონათება.

„ცინცხალი ნოველების“ კრებული მისით გვირგვინდება. საკმაოდ მოცულობითია თითქოს ამ ჟანრის ნაწარმოებისათვის, მაგრამ აღნაგობას დავეძებთ თხუთმეტწლიანი ტრაგედიით გათანგულები? „მეწინავე“ დაურქმევია მისთვის, ბატონ ოტიას, იგივე მესვეური, წინამძღოლი, და თანადროული შინაარსით გასაოცრად დაურახტავს ჩვენი სინამდვილე. ამაზე შთამბეჭდავად ვერავინ დააგუმბათებდა საქართველოს სულიერ წიოკობას. ბერმუხა გენია, თვითონაა მეომარიცა და გუთნისდედაც. სვანურ ქუდს ჩამოიფხატავს პიტალო სახეზე, აპლაკუნებს ყალიონს და შუაგული იმერეთიდან მოუძღვის ჭეშმარიტი აზრის რემას საშვილთაშვილო მუხტ-ენერგიის მსწრაფველობით.

საქვეყნოდ აღიარებულ ნოველებს მხარდამხარ მიჰყვება „მეწინავე“, უფრო ზუსტად — მოთხრობებს — იგივე „მოხუცსა და ზღვას“, „დათვს“, „მარგალიტს“ და კიდევ — ათეულობით კონგენიალურობას მსოფლიო აზროვნების ოკეანეში.

ოტია იოსელიანი



მეწინავე

„ვალს კლდესა ზედა ქაფარსა და
მაღალსა, რომელსა ზედა ვერარაი
ცხოველი შემძლებელ არს განსვლად“

ვახუშტი

თავი პირველი

1

უბედურება!

დღესაც ჩაუცდა ფეხი მოწინავეს იქ, სადაც არ უნდა ჩასცდენოდა.

ეს, ამ ბოლო დროს, არაერთხელ მოხდა...

რეხოს ჯოგი ისეთ გაუვალში გაუყვანია, ფეხის დასადგმელი რომ არსად იყო, ჩლიქის წაკარებაც ჭირდა და კლდეს რქისკიდებით გამოხყოლიან. თავზე ისეთ პირმორღვეულ ნაპრალებს გადავლებია, რომელსაც გადახტომა კი არა, გადაფრენა დაერქმევა.

ყველას შეიძლება გაუჭირდეს, წაიბორძიკოს... ჯიხვს თუ არ უჭირს, რა ჯიხვია. ფეხი ჩაუცდეს კი არა, ჩლიქიც წაიტეხოს, რქაც და ხრამში ჩავარდეს, მაგრამ მეწინავეს ეს არც იქ უნდა დაემართოს, სადაც გაულწეველია და არ ეძრახის... თუმცა, გაულწეველსა და გადაულახავს წინამძღოლმა ჯოგი არ უნდა მიაყენოს...

ისეთ ადგილებშიც კი, სადაც არასოდეს გაუვლია, ალღოთი უნდა მიხვდეს, გუმანით იაზროს, ტანმა უგრძნოს, კლდის იქით რა ციცაბოა, რა ხიფათია ჩასაფრებული; მთის იქით რა ხევია, მთამ უნდა უთხრას, მწვერვალში გაიხედოს და დაინახოს, წინ რა უფსკრულია და სამწყსო იმ ბილიკზე არ დააყენოს, უკან მობრუნება მოუხდეს. ჯოგი უკეთეს საძოვარს ეძებს, გავლილ, გადაძოვილ კლდეღრეში დაგემშევა და მშიერი–ერთგულიც გაგიორგულდება...

რეხო დამეხილივით დგას, უნაცოხრო, თვალგაშტერებული!

რაც დღეს მოხდა, უკვე მეტისმეტი იყო. ადრე, ასეთ გადასახტომზე, გამოსაქანებლად უკანაც არ დაიწევდა, ისე გადაევლებოდა... გადაევლებოდა და ფეხს რომ დაასობდა, არ მოინაცვლებდა, არ შეტოკდებოდა...

იგი, ამ კუნაპეტში, კლდოვანი ბორცვის ძირას გამორღვეულ შეღრმავება-ქვაბულში უნდა იწვეს,

მოფარებულში, რაკი მაღლიდან გადმოვარდნილი ქარშვავი აქ მობრუნებას ასწრებს, მაგრამ გადმოხურული ლანქერს არიდებს, თავსხმა-თქეშს აცილებს.

ასე უძრავად დგომა ზეზეურად გაxყინავს, დააზრობს...

... დღეს ერთხელ კიდევ ჩაუცდა ფეხი იქ, სადაც არ უნდა ჩასცდენოდა.

ჯოგი ქვევით xყავს, სრულ და ღრმა მღვიმეში დაბინავებული. შესასვლელთან, ქვა-ყორეზე ასხლეტილი ბორიო შიგ ვერ აღწევს.

ჯოგი ივანებს, წევს, ნაცოხრობს, სძინავს და ფშვინავს, თუ იცის, მეიწნავე არ ისვენებს, მეწინავე ფხიზლობს, ფეხზე დგას.

მეწინავე...

წინამძღოლიც იმ ჯიშისა და ჯილაგისაა, რაც ჯოგი; იმ ხორცის, ძვლისა და სისხლის, ისე უჭირს და ულხინს, ისე წუხს და უხარია, ისე ითოშება და უხმება კუჭი. მაგრამ მეწინავემ ჭირთათმენა უნდა იცოდეს, თავი უნდა დაივიწყოს. დაივიწყოს ბოღმა, ვარამი, სიცივე, შიმშილი, წყურვილი... თქვენ წარმოიდგინეთ – სიხარულიც... რაკი, ამოდენა სამწყსოში, თუ რომელიმე ბედნიერია, ბედნიერება თავისია – საკუთარი. მაგრამ თუ სტკივა, იგი მეწინავესაც უნდა სტკიოდეს.

მეწინავე ყველას მსგავსი უნდა იყოს, მაგრამ ყველას მსგავსი მეწინავე ვერ იქნები. ამიტომ რეხოს არ უნდა ჩასცდენოდა ფეხი იქ, სადაც შეიძლება ყველას ჩასცდენოდა, რაც სხვისთვის ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, სავაგლახო კი არა, იქნებ, არც საჩოთირო.

მეწინავის სისუსტე – ჯოგის სიძაბუნეა, მეწინავის წაფორხილება – ჯოგის მარცხია, მეწინავის ფეხის ჩაცდენა – ჯოგის გადაჩეხვაა.

ჯიხვის საბედისწერო შეცდომა და უფსკრულში გადავარდნა ჯიხვის სიკვდილია, მეწინავის დაღუპვა – სამწყსოს განწირვაა. ჯოგი ზამთარს უმეწინავოდ ძნელად გააღწევს, როცა მყვირალობა ჩავლილია, როცა მწვერვალები რქების ჯახანს აღარ ისმენს, როცა დაცხრება დაუნდობელი ბრძოლა პირველობისათვის და როცა შუნები მუცლად იღებენ ნაყოფს მოდგმის გასაძლიერებლად; მეორე მყვირალობამდე უბრძოლველად ჯოგის მეწინავეობა ბევრი მოინდომებს. ბევრი მოწინავის ყოლას უყოლობა სჯობს, ბევრ პატრონს – უპატრონობა.

მეწინავე მყვირალობის ვნებამ და ჟინმა უნდა შვას. ჯიშის ერთგულებისათვის ძმათა შეუპოვარმა ჭიდილმა, პირველობისათვის თავგანწირვამ, ნდობისათვის არდანდობამ და გატანისათვის გაუტანლობამ.

მდედრის საალერსოდ მომხმობი კიკინი და დასანერბად აწრიალებული საშო ერთნაირად უთრთოლებს სისხლს ყველა ხარჯიხვს, მაგრამ ყველას არც მუხლს ერჩის, არც რქის მოქნევა ძალუძს და არც უფსკრულზე ფრენა. დანებებული მდედრის ნერბვას ყველა ინდომებს, მაგრამ სამემკვიდრეო, გამძლე, ამტანი ჯიშის ჩასახვის უფლება უკეთესის უკეთესმა უნდა მოიპოვოს.

მოწინავეობა არც იმის ხვედრია, ვისაც ღონე მოსდევს და რქის ტრიალი ეხერხება, ან ვისაც შუნების ლოკვა და ალერსი მოსდგამს.

მეწინავედ დაბადებული ჯიხვი სხვა ფერისაა, თუმცა, ერთი შეხედვით, გარეგნულად იქნება არც გამოირჩეოდეს; სხვა ზნისაა, სხვა თვალი და ყური აქვს. იმასაც უცქერის, რასაც სხვა და, იმასაც – რასაც სხვა ვერ ხედავს და ისმენს.

სამეწინავე, მუხლმაგარმა და რქაალესილმა ჯიხვმა ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს, რა უფსკრულს გადაახტეს და იქითა სალ კლდეს როგორ შერჩეს. მაგრამ ეს არაფერია, თუ ისიც არ იცის, მისი ჯოგის ყველა წევრი გადაევლება და იქითა პიტალოზე ყველა ფეხს მოიკიდებს?

მეწინავე ვერც დიდი ღონით გახდები, ვერც რკინის მუხლით და ვერც რვალის რქით. სამეწინავე ხარს ერთი და ორი ბრძოლა არ უშველის, ყველა მისი მეტოქეა, ყველა მისი მოქიშპე. ბევრს სამეწინავე ხართან წაგებული ჭიდილი ურჩევნია მუხლსუსტ და რქაგაბზარულ ჯიხვთან მოგუბელ შეტაკებას. სამეწინავე ხარი მაინც ერთია და მოცილე, ფურების ნდომის ჟინით სულაწრიალებული მამრი მრავალი.

ამდენად, არც მუხლია მოუღლელი, არც რქა – გაუბზარავი და აღარც ღონე – დაულეველი. ამიტომ, არც წარამარა კინკლავი ვარგა და არც ყველას გამოწვევაა მისაღები. მაგრამ, როცა ბრძოლა გარდაუვალია, კარგად უნდა იცოდეს, მოცილეს მძიმე რქები როდის და როგორ დაჰკრას, რომ მარტო ჯახანის ხმა კი არ გამოსცეს, მოწინააღმდეგე ჩააჩოქოს, დაარეტიანოს, დააფრთხოს, რომ ეს დარტყმა მეორე გამოქანებისას კარგად ახსოვდეს. ჭიდილის დროს თავის დაზოგვა – მტრის დაზოგვაა.

ბრძოლას ერთი და ორი დარტყმით ვერ მოიგებ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დარტყმებით უნდა დაამარცხო. ამიტომ, ზედმიწევნით უნდა იცოდე, რამდენი მტერი გყავს, რა ღონის, ჭკუის, ნების პატრონი და არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ შენს ძალისხმევასაც საზღვარი გააჩნია.

იოლად მოსაგებ შეტაკებას უნდა ერიდეო. ყველა ჯიხვი, თავის გუნებაში, მეწინავეა და არ კითხულობს – მართლა წინამძღოლად დაიბადა თუ არა. იკითხოს თუ უნდა და უთხრან: ამისთვის არ გაჩენილხარ, შენი მოწოდება არაა და ჯოგს კოჭლივით კუდში სდიე, გადაძოვილი მდელო კორტნე, მჟავე წყლით რომ ყველა დარწყულდება, წყაროს აალიანცებენ, აამღვრევენ და კურკლითა და შარდით წაბილწავენ, მერე სვი; ან, მეწინავე უკანალმოშვერილ შუნებს რომ ახტება, ნერბავს და გათანგულ ფურს პირიდან ვნების ლორწკი როგორ გადმოდის, შორიდან უცქირე; ან ნამძუნავებ, მოჯირგალებულ კლდის მდელოზე ვნება შუნის ლეზვითა და შარდით დაიცხრეო... ეს რომ გაგიგონოს და დაიჯეროს, რას მისცემს?.. იმის ნიჭსა და უნარსაც წაარ-

თმევს, რაც გააჩნია და იმსთვისაც უუნაროსა და უნიათოს გახდის, რისი მაქნისიცაა.

2

რეხომ გათოშილი მუხლები ძლივს ჩახარა. თავი ფერდზე დაიდო და მძიმე, ორ მსხვილნაკადიანი შადრევანივით გაშლილი რქები ზურგზე დაიწყო.

ახლა ღამეა და იცის, ვერავინ დაინახავს, თორემ ამის ნება ქანცგაწყვეტილსაც არა აქვს. ასე, შუნივით წოლა, ყელის მოდრეკა-მოღერება და ზურგზე რქების დავანება არაა მეწინავე ხარჯიხვის ღირსება.

მეწინავე მუხლჩაუხრელი უნდა იდგეს, ქარშიშხათს შუბლმიშვერილი და რქებშემართული. მან დაუღლელობისა და ამტანობის ნიჭი უნდა ზარდოს – იქნებ ის, რაც ბუნებით თითო-ოროლა სხვასაც გააჩნია, მაგრამ იმ სხვამ ვერ შეძლო სისხლსა და ხორცში ჩაბუდებული ენერგიის გამოხმობა. როცა დაიღალა, დაისვენა, როცა მოშივდა საძოვარს მიაშურა, როცა შესცივდა, ქვაბი ეძია, როცა მოწყურდა – წყარო.

მოწინავემ უნდა შესძლოს ის, რაც ყველას არ ხელეწიფების–ყოველდღე გამოძალოს თავს ის სამეწინავო ძალა და უნარი, რაც აბრძოლებდა და ამარჯვებინებდა, რასაც სხვებს დაღლა, თვლემა და ძილი ართმევს, მუხლს უსუსტებს და რქაში ბზარს უჩენს. თავის თავშივე იყო ის, რამაც მეწინავედ აქცია და თავის თავშივეა საძებარი, რაც მეწინავედ ამყოფებს.

სხეული მძორია და, ამდენად, მყრალი და ვერაგი. მძორი ხრწნადია, ლპობადი და სითბოსა და ფუფუნებას ესწრაფვის. სულია, რომ მას სიცოცხლისუნარიანს ხდის, აიძულებს ლეშად არ იქცეს. სულს სისხლით შეაქვს სხეულში ცხოველმყოფელობა და და თუ სისხლი იღვრება, ან ძარღვებში იყინება, სული უძლურია და ლეშს ეყრება. სხეული უსისხლოდ ისაა, რაც მძორი სულის გაყრიდან გახრწნამდე.

მეწინავეს სამეწინავე სული უნდა ედგას.

3

რეხომ ზურგიდან თავი აიღო და ქარბუქიან ღამეს დააყურა. იქნებ ზურგზე თავდადებულსაც ის ესმოდა, რასაც ახლა მოისმენს, მაგრამ თავაუღებელს ცალი ყურით ესმოდა. თითქოს არაფერი სხვაობაა. ამ ქარის ვაება და ხოშკაკის შიშინი ცალითაც რა მოსასმენია, ორივეთი რა იყოს და იქნებ სულაც უმისობა სჯობდეს. ეს ძვალ-რბილში გამჭოლი სისინი და წივილ-ხუილი ერთიორად გამცივნებს და გაძაგძაგებს. მაგრამ მაინც ორივე ყურით უნდა მოისმინო და სხეულიდან გამოჯეგო ის ჯანი და სითბო, რაც გაგაძლებინებს, აუტანელს აგატანინებს.

4

რაც რეხომ ამ მიუვალში ჯოგი გადმოიყვანა, აქ არც მგლის შიში აქვთ, არც დათვისა და აღარც მონადირის. აქ სიმშვიდეა, მტაცებელს ჯიხვზე ხელი არ მიუწვდება, მაგრამ ამ მიუწვდომელში უმსხვერპლოდ თვით ჯიხვსაც არ შეუძლია ამოსვლა. არც ერთი მეწინავე ამ გზას არ დაადგება. იცის, უფათერაკოდ ვერ ამოვა, მაგრამ უკან, საჯიხვეებში ხიფათითაც ვერ ჩააღწევს.

აქ, ზამთარში კი არა, ზაფხულშიც სიავეს ფეხი არ დაუდგამს. და მეწინავესაც უშიშრად შეუძლია, მით უმეტეს ღამით, ჩათვლიმოს, ქარიშხლის კვნესა-გოდებას მოუყრუოს, უფრო ღრმა და კარგად მოფარებული თავშესაფარი მოძებნოს, ან, თუნდაც იქვე, ჯოგში ჯიხვების გვერდით, მღვიმის სიღრმეში მოირთხას ფეხი, ჩაწვეს, ჩათბუნდეს, ჩაიძინოს, დაივანოს...

ჩათბუნდეს და დაიძინოს?!

დაივანოს?!

არა, ეს არ უქნია რეხოს. არ უქნია, რაც იცის დაღუპავს ჯერ მწყემსს და მერე მთელს სამწყსოს.

დაცხრეს, დაივანოს და განცხრომას მიეცეს კი არა, დარწმუნებული რომაა, საფრთხე არსაიდან ემუქრება, ცალი ყურით მოსმენასა და მთვლემარე თვალით დარაჯობასაც არ უნდა მიეჩვიოს. მეტი რომ არაფერი, ფერდზე დადებულ თავქვეშ ყური თბება და თბილი ყურით გაგონილი სხვაა და ქარყინვით გათოშილი, გახეშეშებული ყურით – სულ სხვა. თბილი ყური ისმენს, მაგრამ გათოშილი – ისმენს და გრძნობს. გრძნობს და ისმენს, ირგვლივ რა შიშხათი მძვინვარებს. ორმაგად ეყურება და ოთხჯერ უკეთესად იცის, რა ხდება, რას რა მოჰყვება: ქარბუქის ამნაირ ყეფას რა ავ-კარგი მოაქვს, ჯიხვებს როგორი ღამის თევა მოუწევთ და ამისთანა ღამის შემდეგ როგორი დილა გაუთენდებათ.

ცალი ყურით მოსმენამ და ყურზე ძილმა მიჩვევა იცის. უსაფრთხოების ჟამს დაჩლუნგებული სმენა და თვლემით დაბეცებული თვალები საფრთხის დროს ყოველი მხრიდან დაძრულ სიავეს ერთად ვერ გაიგონებს და ერთბაშად ვერ დაინახავს. არადა, შენს თავს ვინ დაეძებს, თუ მთელი სამწყსოს ყოფნა-არყოფნა ბეწვზე ჰკიდია. ასეთ დროს შეიძლება ყოვლის წამლეკავ ზვავს გადურჩე, მეწყერს, ქვათაცვენას და იმ ორომტრიალში ნაპრალის სიჩუმე ვერ გაიგონო, ვერ იაზრო და ერთ ნახტომად რომ ღირდა, ისეთმა უფსკრულმა ჩაგყლაპოს.

წივილ-კივილს, ყინულებისა და ლოდთა მსხვრევას ყრუც მოისმენს და ბეციც დაინახავს, მაგრამ ფათერაკი ჩუმია და უხილველი, ვინემ ხმაურიანი და თვალში საცემი. იმის მოსმენაა ძნელი, რაც სუნთბვაშეკრული, უჩამიჩუმოდ გეპარება და იმის დანახვა, – რაც დღისით-მზისითაც არა ჩანს.

თოფი რომ გავარდება უტყვი და უყურთასმენო მთებიც აქუხდებიან და აზავთდებიან, ისინიც ხედავენ და ესმით, რომ უბედურება დატრიალდა, მაგრამ რაღა დროს, გარდა ოხვრისა და მწუხარებისა ვეღარას შველიან.

5

რეხომ ერთი წათვლემა ძლივს მოასწრო, რომ მუცელქვეშ მოქცეულმა, დაწახნაგებულმა ქვამ ნეკნი ატკინა და ზეზე წამოაგდო. მართლა და მართლა, მეწინავეც ჯიხვია და მუხლში რომ წყალი არ ჩაუდგეს, ხომ უნდა ჩახაროს. თვალისჩინი რომ არ გაუწყალდეს – უნდა მოხუჭოს, სიმყუდროვე ეძიოს, რომ ტანის სითბოს მსუსხავი ქარაშოტი ყოველთვის არ აცლიდეს.

დაწილისას ქვა რომ მუცელქვეშ მოჰყვა, უგრძნობელი ხომ არ იყო, მაშინვე არ სცოდნოდა. არ იყო სხვა ადგილი? ორი ფეხის ნაბიჯი ადგილი არ გამოიძებნა? ან, რაც უნდა ციოდეს და ქვას ქვაზე აყინავდეს, მუჭის ტოლა ნატეხი ფეხით ვერ გამოაგდოს და დასაწოლი ადგილი ვერ უნდა გაიწმინდოს? მაგრამ დაწვა და ის მუჭის ტოლა დაწახნაგებული ქვა, უბრალოდ, მუცელქვეშ კი არ მოიქცია, ზედ ნეკნით დააწვა – დაღლილ-დაქანცულს რომ წოლა არ გატკბობოდა და განცხრომის მოტრფიალე სხეულს თავი არ წაერთმია, არ წაეღო, არ დაებანგა.

დაწახნაგებულ ქვაზე დაწვა – სხეულს სატკივარი მიუჩინა.

შენი სისუსტის ცოდნა და მასთან შეურიგებელი ბრძოლაა გამარჯვება. საკუთარ თავზე გამარჯვება თუ შეგიძლია, ვერანაირი მტერი დაგამარცხებს.

ალბათ, კარგა ხანს სძინებია – ნეკნი ისე სტკიოდა, თითქოს კლდის ქიმზე ჩამოეკრას. მაშინვე ფეხზე დადგა, მაგრამ საფარის თავზე, კლდოვან ბორცვზე ვერ აირბინა და ქარშვავში იქ უძრავად დადგომა ვერ ხქნა. საშიშროება არავითარი არსებობდა, არავითარი საფრთხე და უჭირო საჭიროდ არ გაიხადა...

ესეც დღევანდელი ფეხის დაცდენასავით ხომ არ იყოს?..

რაო, დრო თავისას შვრება, თუ?.. ჯიხვების გამოცდილ მეწინავეს თავდაჯერებამ სიფხიზლე მოუდუნა? ათას ხიფათში გამოტარებული მისი ჯოგი იმდენად ხომ არ ენდობა, რომ რეხოს აჩლუნგებს და აბერებს?

ეს სიყვარული სიძულვილი ხომ არაა? ან, ერთგულება–ღალატი? ან, განუსჯელი ნდობა–დამღუპველი?

ვაითუ!

ვაითუ გადარჩენა სულაც არაა, ქვესკნელი გაითხარო, ჩაძვრე შიგ და თავზე მიწა წაიყარო. ან ამ თვალშეუდგამ, უკაცრიელ მწვერვალებში მიუვალი, საიმედო ადგილი იცოდე, ჯიხვსაც რომ ფეხი არ დაუდგამს. როგორღაც შეძლო იქ შენი ჯლგის ასხმა და დარწმუნდე, შენსა და შენს სამწყსოზე ხელი აღარც ნადირს მიუწვდებათ და არც მონადირეს. შენი რქების ზევით მხოლოდ მოწყალე ღმერთია და ამას მერე დაწვე ყურზე და დაიძინო, დაივანო, დატკბე უზრუნველობით და უშფოთველობით...

არც არავისი ეშინია, არც არავის აშინებს. აღარც თავდასაცავად იღერებს რქებს და არც თავდასასხმელად ილესავს. საჭმელ-სასმელი აქ თავსაყარად შუა ზაფხულშიც არაა, მაგრამ შეგიძლია დღედაღამ უშიშრად მხოლოდ სტომაქზე იფიქრო, იზრუნო და როცა მეტი სადარდებელი არაფერი გაქვს, იმდენს რავა ვერ იზამ, როგორმე კუჭის ამოყორვა შესძლო.

ეს დიდი სიბრძნით დაემართა რეხოს, თუ სიბრძნემ სწორედ მაშინ უღალატა, როცა სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც მის წინაპრებს უცხოვრიათ და უსწავლიათ, იქაურობა მიატოვა, ამ ზეცას ხანჯლებივით გაყრილ მწვერვალებში გადმოიხვეწა, მართლაც რომ მიუვალ ციხესიმაგრეში ჩაიკეტა და დრო-ჟამს უდარდელად ცოხნის...

6

... და დღეს ფეხი ჩაუცდა იქ, სადაც მეწინავე ჯიხვს კი არა, გამოცდელ ფოთრს არ უნდა დამართოდა.

იქნებ... იქნებ დღედაღამ მტრიანი უნდა იყო, რომ თვალი გიჭრიდეს და ყურმახვილი იყო?

იქნებ... დღედაღამ ზეზეურად უნდა იდგე, რომ მუხლი გერჩოდეს და ფეხი ჩასაცდენშიც არ ჩაგიცდეს?

აქ ცაში აფრენილი მონადირეც ვერაფერს დაგაკლებს, რაკი იცის, ამოსასვლელი არსაიდანაა და არც – დასაფრენი ადგილი. შენი ხორცი ხორცად არ ერგება, ტყავი – ტყავად და რქა – საყანწედ. აქ მასაც ციდან შეუძლია გიყუროს და თვალი ახაროს, როგორც შენ შენს ნებაზე და შენი ხელშეუხებლობით სტკბები.

მაგრამ გულის გახარებაა და ტკბობაა ის, რაც ხორცს ალაღებს და, არამარტო ხორცს, სულსაც ეამება?..

როდისაა, რომ ის, რაც სხეულს უხარია, სულსაც ახალისებს?

აი, წეღან, ქვის ნატეხმა ატკინა ძვალი და ხორცი, წამოაგდო და ახლაც ფეხზე დგას. ქარ-ბორიო უტრიალებს, ცხვირ-პირში აყრის ხორშაკს და ნამძინარევს აძაგძაგებს.

წეღან სულმა ჩათვლიმა, მაგრამ ნატკენმა ძვალმა და ხორცმა გამოაღვიძა, რასაც, საერთოდ, სული აკეთებს. სული აფხიზლებს მოდუნებულ, განცხრომის მოსურნე სხეულს, მაგრამ მოხდა პირიქით... რაკი მათ შორის თანხმობა, თანალმობა არ იყო, რაკი ერთს სტკივა, წუხს და მოსვენებას უკარგავს მეორეს...

და ისე რომ მოხდეს, ერთმანეთს დაუზავდნენ და დაუთანხმიერდნენ, ის დაწახნაგებული, მუშტის სისხო ქვა გამოაგდონ და, კიდევ უარესი, ქვეშ თივა და ბეწვი დაიგონ, ხომ დაღუპავს მოწინავეს და ამდენად – მთელს ჯოგს!

თუ, რაც ხორცს უხარია, სულსაც ის სწადია, მაშინ ვისაა, რომ სჭირს იარა და ვისაა, რომ სისხლი სდის?

ყოფა წუთისოფელი ხომ ჯახირია, ტანჯვა, წრიალი და ბრძოლა არსებობისათვის.

7

რეხოს მოწყურდა, ერთხანს პირი დააღო და ცას შეუშვირა. ენაზე დაყრილ, ქარისაგან დასორსორებულ, ხორშაკად ქცეულ ფიფქებს გადნობა აცალა და გადაყლაპვა მოუნდომა, მაგრამ ხორხამდე არ ჩაჰყვა. ცხვირწინ დაშვავებული თოვლი პირით მოფოთნა და კარგა ხანს დააყოვნა, სანამ წყლად იქცეოდა. მერე ყელი კი გაისველა, მაგრამ გაისველა და მეტი არაფერი, არც რაიმეს გემო, არც სუნი – უნაირი, უგემური, უმაწაკო. წყურვილს კი არ გიკლავს, წყურვილი არ გკლავს.

აქაური უმწიფარი, უყუათო, უმაწიერო ჯერ ბალახი რაა და მერე თივა რა უნდა იყოს. მშიერი არ გეთქმის, საჭმელს საძღომისად იშოვი, მაგრამ ბალახიც თოვლის წყალივითაა. აქაური მზეც რომ ცივია, გემო რამ უნდა მისცეს.

შურთხებიც, ქვევით თუ არაფერმა დააფრთხო, აქაურობას არ ეტანებიან. თითქოს აქ ჯიხვის კურკლი ჯიხვისა არ იყოს. თუ იმიტომ, რომ აქ ისინი საჭირონი არ არიან.

შურთხი მარადმტრიანი ჯიხვის განუყრელი თანამგზავრია – ჯიხვს რაზეც სმენა, ყნოსვა და თვალი მიუწვდება, არაფერი გამოეპარება, მაგრამ აგერ, ცხვირწინ რომ მთაა, მთას იქით ისევ მთა, მთა და მწვერვალი, თვალსაწიერი დახშულია და შემოზღუდული. ქარი ხევებში რომელიღაც ერთი მხრიდა უბერავს და საიდანაც მოქრის, იქიდან თუ მოიტანს მტრის სიმყრალეს. დანარჩენი შიშველ კლდეებზე სანიშნედ გაბორძიკებული ჯიხვისთვის უხილავია და ფრთხილზე ფრთხილი მოსისხლე საიდან გეპარება, არაფერი უწყი.

თვით ფრინველთა ზვიადი მეფეც კი ყოველთვის ცის კაბადონზე როდი ჰკრავს ირაოს. ზოგჯერ აქვე, ჯანღში აღმართული მწვერვალიდან უეცრად გადმოეშვება. გადმოეშვება და მისი ძლიერი ფრთის ერთი წაკვრაც კმარა, სიპ კლდეზე ისედაც მუხლაკანკალებული, ახალბედა ფოთრი უფსკრულში რომ გადაჩეხოს. ხევებში მგელი დაძრწის, დათვი დაძუნძულებს თუ სხვა მავნე და მაღვალაკი, შურთხია მათი მხილველი, გადაუფრენ-გადმოუფრენს უფსკრულებს, მთის იქით მთას, ფეხდაუკარებელ მწვერვალებს და რაც ჯიხვის სიცოცხლეს ემუქრება თუ არ ემუქრება, მაგრამ მოძრაობს და ჯოგისაკენ მიიწევს, ზარის რეკვას ასტეხს. ჯოგი შურთხის ხმაზე გაირინდება და მეწინავეს შეაჩერდება. მეწინავემ კი უნდა იცოდეს, რა ზარს ჩამოჰკრეს და ხსნა საითაა, რაკი სამწყსო მის ერთ დასტვენაზე თავქუდმოგლეჯილი იქით გაეშურება, საითაც უწინამძღვრებს.

ჯოგის ამ საიმედო სამალავში თითქოს შურთხიც აღარაა საჭირო. იმდენად დაშორდნენ ოდითგანვე ნაცნობ საჯიხვეებს, აქაური მათი საბინადრო ისეთი თვალშეუდგამი, შვეული ტანის კედლებითაა გარემოცული და ამ თვალჩაუღწეველი ხევების თავზე ცაში გაყრილი ქიმებით შემოღობილი, მხოლოდ არწივს თუ შეუძლია თავდასხმა. თავდასხმას შესძლებს, მაგრამ ქიმებს შიგნით ისეთი ღრმა ნაპრალები და ორწოხები არაა, სადაც მსხვერპლის გადაგდება და გადაჩეხვა შესძლოს. სხვა მხრივ არწივი უსუსურ ფოთრსაც კი ერთბაშად ვერ აიტაცებს და არც ვინმე დაანებებს.

ჰოდა, აქ შურთხიც ძვირი სტუმარია. ეს უსაშველო სიმაღლე მისთვის უჩვეულოა და იქ დარჩა, სადაც უმისობა არ შეიძლება? თუ შურთხიც, ბოლოს და ბოლოს, რაკი გაუსაძლის თეთრ მწვერვალებში ბინადრობს, ამიტომ მთლად უანგაროდ?.. რომ ზაფხულში ჯიხვებმა ბალახი უდარდელად სძოვონ და ფრინველებმა მათთვის თივა იმარაგონ? როგორც სხვა ფრთოსნებისათვის, შურთხისთვისაც თივა, რაც ბუდედ არ სჭირდება, უსარგებლოა, მაგრამ ჯიხვის სტომაქის შემდეგ – საზრდო და, როგორც ყველა სულიერი, შურთხიც თავისთვის ზრუნავს–კვებავს ჯიხვს და იკვებება. იცავს მტრისაგან მარჩენალს...

მაგრამ იგი ზარს არ დარეკავს და ჯიხვს არ გააფრთხილებს, თავს უშველეო, თუ საფრთხე არ ემუქრება. ტყუილუბრალოდ განგაშს არ ატეხავს...

აქ, შურთხმა იცის, იგი არავის სჭირდება, თუ მისი აქაური სარჩო უგემური და უმაწიეროა, ხამუშ-ხამუშ, თითო-ოროლა თუ გამოჩნდება და მალე ისე გადაიხვეწება, ერთხელაც არ დაუსტვენს, აქაურობას ერთხელაც არ ააფორიაქებს და ააწრიალებს. ეშინია, ყელი არ დაუჟანგდეს, ხმა არ ჩაუხავდეს.

8

რეხომ ფეხზე ჩათვლიმა, მაგრამ ქარ-შიშხათი ბალანს უშლიდა, ბურჯნიდა, სიცივე ძვლებამდე ატანდა და ძილს არ ანებებდა.

ისევ ჩაწვა. დილამდე კიდევ კაი ძალი დრო იყო და სანამ ვერავინ ხედავდა, ვითომ ფერდში იმ მუშტის სისხო ქვის ამოდებაც არ ინდომა. ფეხზე გარინდებული დგომა ხვალ დილიდან საღამომდე მეყოფაო...

დილით კიდევ ჰო, მაგრამ ღამით, ამ ბოლო დროს იღლება, უჭირს. წოლა უჯობს, მაგრამ თუ მაინც დგას, თვალი ელულება, ყვინთავს.

ბერდება რეხო და ახლა უსაფრთხო და უდავიდარაბო ცხოვრება ურჩევნია, მაგრამ მაშინაც ასე ბრძენი ხომ არ იყო, რომ მიატოვა წინაპართა ხიფათიანი საჯიხვეები, ჭრელი ყვავილებით მოჩითული ქარაფები, ჩუხჩუხა მჟავე წყაროები, ყოველი დარწყულება სისხლის ფასად რომ ჯდებოდა, მაგრამ ძვალს გიმაგრებდა, მუხლი გერჩოდა და თვალი გიჭრიდა. შურთხები რომ თავს დაგტრიალებდნენ, თუ გაგულადდებოდი და ქვევით და ქვევით ჩაინაცვლებდი, სადაც მსუყე, გემრიელი ბალახის გარდა, ნეკერიც გელოდა, იქ ფრინველების ისეთ სტვენას მოისმენდი, მართლაც ერთ სიცოცხლედ ღირდა. იქ მზეც დედის უბესავით თბილი იყო, მოალერსე და

მთვარე იქაც ცივი, მაგრამ სხივები ყინულის თეთრი ეკლებივით არ გჩხვლეტდნენ...

არა, რეხომ ეს მაშინაც იცოდა, რომ შეულეველს უნდა შელეოდა, მაგრამ რაც დრო წახდა, მგელს ბარსა და მთაში რომ გაუჭირდა და მწვერვალებში ამოინაცვლა, თოფი რომ დაგრძელდა, ტყვია გახშირდა და არწივის გარდა მონადირემაც ფრენა დაიწყო, ამან დააყენა მეწინავე შავი დღისთვის შეგულებულ, ჯიხვისთვისაც ფეხდაუდგმელ, ცაში გარჩენილ მწვერვალებში მიმავალ გრძელ გზას.

ბრძენის ჭკუა სხვისთვისაა შვება, თორემ თავისთვის მძიმე ტვირთია. სიბრძნე კარგი წინამძღვრის ჯოგს უხაროდეს, თორემ მეწინავეს საგებად არ გამოადგება და სახურავად.

რაც მეტი იცი, იმდენად მეტის ცოდნა გმართებს. ჯოგი ათასი ხიფათიდან და დაღეპვისაგან ათასჯერ რომ იხსნა და ათასმეერთეჯერ უფსკრულში გადაჩეხო, შენც ის შეჩვენება გელის, ვინც გამეწინავებისთანავე სამწყსო დააქცია.

დღეს ფეხი ჩაუცდა რეხოს, სადაც არ უნდა ჩასცდენოდა და ეს ხომ არ ნაშნავს, რომ საფრთხე საფრთხეა, მაგრამ უსაფრთხოებაც საფრთხეა?

9

რეხო აქ, მომავალი მყვირალობის დროსაც, მეწინავედ დარჩება. ჯოგში, ჯერჯერობით, ისეთი ვინმე არ ეგულება, მომავალი ვნებათა ღელვისას ატეხილ შეხლა-შემოხლა-ჭიდილში წინამძღოლობა წაართვას. მეტი რომ არაფერი, მათ წლევანდელი მისი მძიმე რქების დარტყმა ემახსოვრებათ და სანახევროდ ბრძოლას ეს წააგებინებთ. რაღა თქმა უნდა, ძალა თუ აკლდება, თორემ, არ ემატება, მაგრამ რქები ეზრდება. ჯიხვი რამდენი წლისაცაა, რქებზე რგოლებად აწერია. რქები ეზრდება არამარტო სიგრძეში – სიმსხოშიც. რაც მუხლს აკლდება, რქებს ემატება. ერთი და ორი გამოქანება და დაჯახება კიდევ ბარე ორი წელიწადი არ გაუჭირდება, მაგრამ ბრძოლა კარგმა და მძიმე იარაღმა უნდა მოიგოს.

ჯიხვებმა უსამართლო, მუხანათური ორთაბრძოლა არ იციან, მაგრამ რქას რქაზე არ ატოლებენ. იარაღის უპირატესობა მათ ჭიდილში უსამართლო, არავაჟკაცურ ბრძოლად არ მიიჩნევა. ეს მონადირემ დაკარგა სინდისი, აგრძელებს და აგრძელებს თოფს და ტყვიას ტყვიაზე ცრის, თორემ ჯიხვი გაჩენის დღიდან რა იარაღითაც იბრძოდა, დღესაც იმის ამარაა.

მგელი ხომ მგელი იყო, მაგრამ კაცი რომ გამგელდა, დათვი რომ გაწუწკდა, გამუხანათდა და მონადირემ რკინის ფრთები გამოისხა, ჯოგს იქ აღარ გაეძლებოდა, სადაც გაჩენის დღიდან ბინადრობდა. ამან იყო, რომ რეხო ამ სიშორეზე, გაუსაძლისში გადმოხვეწა. აქ მარილიანი, მჟავე წყაროები კი არა, მტკნარი, თოვლის ნადნობი ნაკადულები ზაფხულშიაც კი ჭირს. აქ მუდამ ძლიერი, ყველაფრის წამლეკი ქარი მძვინვარებს. თოვლს დღეს რომ დაყრის, ხვალ აქედან ქვევით, ხევებსა და უფსკრულებში გადახვეტავს.

ასეთ სიმაღლეზე ნეკერი კი არა, ზაფხულში, უსახური ბალახი რომ იზრდება, ისიც ცრიატი, ფერნაკლული და უდღეურია. მწარე სარეველასაც კი მწარე არ ეთქმის. დამწიფებას და დაგენძებას კი არა, გახმობას ვერ ასწრებს, ისე მქრალ მწვანეს თოშავს, აყრის ხორშაკს, ათოვს, აბუქავს და ზეზეურად, ნედლად ჰყინავს. ჩქარობს. ისედაც უყუათო, გახმობამ ისე არ გამოაშროს და გამოაყრუოს, ჭამდე – ძღებოდე და გშიოდეს. შეყვითლებულ-შემჭკნარს თოვლქვეშ ინახავს და მერე ზამთრის მძვინვარე ქარიშხალი ხან აქ ააგლეჯს თეთრ საფარს, ხან იქ და ჯიხვისთვის ხან აქ გაშლის უგემურ, უწამაკო სუფრას და ხან იქ.

აქ ღვიის, შოთხვის, არყისა და ვერხვის ბუჩქნარი, ან ბრიალა ნოხად გაფენილი ყვავილები ისე სანატრელია, რეხო თოვლს რომ წადებს, მაშინ თუ იზმანებს, პირსავსედ რომ ბდღვნის და ანკარა, ჩუხჩუხა, შუშხუნა მჟავე წყალს აყოლებს. ამ ბოლო დროს ამიტომაც უყვარს თვალის წადება და ახლაც ამიტომ იყო, ფერდში ქვა არ დაიტანა...

აქაური ბალახი დამადლებულივით მწკლარტეა, ურგები, თორემ შიმშილით არ გშია. აქაური წყალი თოვლი და ყინვაა – მტკნარი, უგემური. წყურვილი არ შეგაწუხებს, მაგრამ ვერც დარწყულდები. იქაური მარილიანი წყაროები სულ სხვაა: სვამ, სვამ, სვამ და ვერაფრით ძღები. კუნთში ძალას გმატებს და რქაში სიმტკიცეს. უმისობაა, ალბათ, ფეხს იქ რომ ჩაგიცდენს, სადაც ჯანდაგ ჯიხვსაც არ ჩასცდენია. სამაგიეროდ, აქ მტერი არა გყავს, რაკი არც ნადირმა და მონადირემ იცის შენი არსებობა.

ეს არაა ის, სადაც შობილხარ და გაზრდილხარ, მაგრამ არის ის, სადაც ჯიხვს ბალნის ღერსაც ვერავინ გააგდებინებს.

10

აგერ, უკვე, ამოდენა ღამემ ჩაიარა, გადაშუაღამევდა და ისევ და ისევ ბაიბური არაა. მართალია, მეწინავეს რული არ უნდა წაეკაროს და ყურები გათოშილი და დაცქვეტილი უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუ მთელი ღამე ქარიშხლის წივილ-კივილის მეტი არაფერი ესმის და სახიფათოს ვერაფერს ხედავს?..

თუ ჯოგსაც სძინავს და არავინაა, რომ მის სიფხიზლეს ხედავდეს? თუ მომხვდური არ ჩანს, შემართული ხმალი უქმად სანამდე უნდა ეჭიროს. მახვილი ქნევაში ილესება, თორემ შიშველი უფრო იოლად იჟანგება, ვინემ ქარქაშში ჩაგებული.

რეხო შებრუნდა, გვერდი იცვალა და ისევ იმ მუჭის სისხო დაწახნაგებულ ქვას დააწვა, რომ თვლემა ძილად არ ექცეს და ძილი – განცხრომად. თავისას არ იშლის, რაკი იცის, მეწინავე მეწინავეა – ასი თვალი და ასი ყური უნდა იქონიოს. თორემ ამ საიმედო ციხე სიმაგრეში შეიძლება შეცამებიდან დილამდე გულარხეინად იყო და არც დილით, ქარისაგან გადახვეტილ მინდორზე ძოვისას გემუქრება

სიავე. თოვლით დარწყულება ყველგან შეგიძლია, საფრთხიდან რომ არ გამოხვიდე, პირის გასასველებლად ფანტელებს ბორიო იქაც შემოგიყრის, სადაც წევხარ.

აქ ამოღწევა თქვი შენ და მერე, ზამთარ-ზაფხულ, თოვლსა და ყინვაში გაძლება, თორემ, ამოდენა უკაცრიელი ოღრო-ჩოღრო სივრცეები შენია და დილიდან საღამომდე მუცლის ამოვსების გარდა საზრუნავი არაფერია.

აქაურობის ხიზანს, მაინცდამაინც, აღარც ჭკუა სჭირდება და აღარც შორსმჭვრეტელობა. უშიშრად, უდარდელად შეუძლია, თუ მუხლის გასამართავად და კუჭის ამოსავსებად არა, დაწვეს და, მუცელქვეშ ქვა კი არა, ბუმბული დაიგოს.

მაგრამ...

მეწინავეს ფეხი დაუცდა იქ, სადაც არ უნდა დასცდენოდა და, ჩაიმუხლა.

რა იყო იქ ფეხის დასაცდენი და ჩასაჩოქებელი! მართალია, ეს ჯოგში არავის გა**ხ**კვირვებია და საუგოდაცარავის დაუპეტელებია, მაგრამ წინამძღოლმა ხომ იცის, რა ქვესკნელზე გადახტომისას დაემართა და რა ნაპრალებსაც გადაევლო, რომ შეიძლებოდა წონასწორობა დაეკარგა და ჩაეჩოქა.

ჩაჩოქებული მეწინავე?!

და ეს რომ მოხდა, ხომ ბევრმა დაინახა!..

დაინახა და არავის გაჰკვირვებია, არავის ჩაუგდია რამედ...

ეს კიდევ უარესის უარესი არაა?

11

რეხოს გონება ენისლება და ფიქრი უწყდება. საფიქრალი კი დიდია, იმდენად დიდი, რომ თუ ფიქრიდან ფიქრში არ ჩაჰყევი, სიღრმეში ვერ ჩაიხედავ. რამდენჯერაც გაგიწყდება და ფიქრის ჯურღმულებს ვერ ჩასდევ, იმდენს მაღლა ამოგაგდებს, ამოგატივტივებს, იმდენს ქაფად და ნაფოტად გაქცევს, ამოგაზერელებს. აზრს უნდა გაეკიდო, უნდა ჩაუღრმავდე, ჩაიყურყუმელაო, რომ საწუხარს როგორმე ძირი გამოუჩნდეს, თვალნათლივ დასანახავი გახდეს.

ხანჯლებივით აღმართულ ქიმებში ქარი ზლუქუნით გადმოსკდა, ბორცვის ლოდებზე და მთვლემარე რეხოს რბექზე აკივლდა:

– ჯოგი იღუპება!.. ჯოგი!..

– რაო? ჯოგი იღუპებაო?!. – რეხომ თვალები გადმოქაჩა.

– ჯოგი, ჯოგი, ჯოგი... ჯიხვის ჯოგი...

– ვინ თქვა ეს!.. – მეწინავემ ყურები წინ წა**ხ**ყარა, დაწკურა.

– ჯიხვი... ჯიხვის ჯიში და ჯილაგი!.

– ვისია ეს ხმა?!.ვინაა ასეთი უღმერთო!..

– ჯოგი... ჯიხვი... ჯიში... ჯილაგი!.. ჯოგი... ჯიხვი... ჯიში... ჯილაგი!..

საიდანაა ეს ძახილი, გარედან თუ შიგნიდან?

რეხო ფეხზე დგას.

ქარ-ბორიომ მოიტანა თუ, მწვერვალებმა, მთებმა, ხევებმა, უფსკრულებმა და ნაპრალებმა ამოიკვნესეს? იქნებ მეწინავის საფარში კლდოვანი შრეებიდან გამოჟონა? მართლა რაიმემ, ან ვინმემ ამობოღმა, თუ ბრძენი რეხოს გულსა და ტვინშია ჩაბუდებული და ისაა, ქარიშხლის კივილად და კვნესაგოდებად რომ ესმის...

– როგორ?.. საიდან?.. რანაირად?!.

ჯოგი გადარჩა, იხსნა რეხომ, იხსნა მტრებისაგან, ხოცვა-ჟლეტისაგან, განადგურებისაგან, თუ?.. პირიქით?..

– პირიქით!. პირიქით!

დაღუპა?!

– დაღუპაა... დაღუპაა... დაღუპაა!..

დაღუპა, როცა რახანია მის სამწყსოს ჯიხვის ყური არ და**ხ**კლებია?..

რეხო ერთბაშად, ტყვიანაკრავივით შეაგდო კბოდე-ბორცვის თავზე ამ მოულოდნელმა, უსამართლო, უსულგულო, უგანაჩენო ბოდვამ. საფარი მთლად მიატოვა და შუბლი მწვერვალებიდან მოშუილე ქარტეხილს მიუშვირა, დაუდგა, მიუღერა.

დაგრაგნილ, დატალღულ, დაშაშრულ რქებში ცივიხორშაკიანი, შლეგი ქარი აშიშინდა, ასაყვედურდა: იღუპებაო!.. იღუპებაო, თუ დაიღუპაო! გადაგვარდა და გადაშენდაო... თუ, რაღაც უსაშველო... უსახსნელო... უარესის უარესი...

უსაშველო?!.

რა შეიძლება უარესი და რა სიავე სჭირს ჯოგს ისეთი, როცა არ აკლდება, მრავლდება, ძღება და მაინც იღუპება? მაინც გადაშენდა და განადგურდა?!

რეხომ შუბლი მოხლილ და რქებში ასივლებულ ქარშვავის თითქოს მოგერიებაც კი სცადა, თავი სხარტად გაიქნია, რქები მოუღერა.

12

რა ღუპავდა ჯოგს?

ამ, ქვის გამპობ. თოვლსა და ყინვაში რაკი ისეთ ღრმა და დათბუნებულ მღვიმეში დააბინავა, სადაც წუნწუხისა და ნაკელის ყროლი იმიტომ გხუთავს, ქვაბულში, გარეთ როცა ქარიშხალი მძვინვარებს, ნიავიც ვერ აღწევს?.. ამაზე ღრმა და სრული თავშესაფარი ამ მწვერვალებში არცაა... რეხომ, ამ სითეთრის საბრძანებელში, თვალსაწიერი რაა, სად ქვა და ლოდი აგდია, იცის. მღვიმეში და ეხი კი არა, ყოველი ხვრელი და ნაბზარი დათვლილი აქვს და როცა საძოვრიდან საძოვარზე ჯოგი გადა**ხ**ყავს, უკან რომ არ დააბრუნოს და არ დაღალოს, იქვე აქვს შეგულებული ასეთივე საიმედო ღამის სათევი.

ამ მღვიმეში, რომელიც რეხომ თავის სამწყსოს ბინად მიუჩინა, მწვერვალების ყოვლისამტანი და გამძლე ჯიხვი კი არა, შინაური თხა და ცხვარი ისე გამოიზამთრებს, როგორც ფარეხში.

მეწინავემ ისიც იცის, როდის და რა სიძლიერის ქარი საიდან შემო**ხ**კრავს. თოვლი სად გადააცლის ქვეშ მოქცეულ ბალახს, რომ ჯოგი იმდროს იქ ჰ ყავდეს და ჯიხვებს ჩლიქებით არ დასჭირდეთ გაყი-

ნული საფარის ჩიჩქნა, ზოგჯერ სისხლის ფასად რომ უჯდებათ. მარილიანი წყაროები შორს, საჯიხვეების ხევხუვებშია, ბებრებს თუ კიდევ ახსოვთ და იმ წყლით დარწყულების ჟინი მოუვლით, თორემ, აქ დაბადებულთ და გაზრდილებს ხომ არ უნახავთ და აქაური უფერული და უსუნო ყვავილები ყვავილები ჰგონიათ, აქაური ბალახი და თოვლის ნაჟური – ქვეყნის უკეთესი. სამაგიეროდ, ყოველი ბღუჯა ბალახისა და ყლუპი წყალისთვის შიში არ არკანკალებთ და ყოველი მხრიდან ტყვიას, მგლის კბილებს, ან არწივის კლანჭებს არ ელოდებიან.

ქვეყანა!..

ქვეყანა იქაა, სადაც გაგეძლება და სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებული სიკვდილი არ გემუქრება.

მართალია, ყუათიანი ბალახი და მარილიანი წყალი სანახევროდ მშიერსაც სხვა ძალასა და ღონეს გიჩენს, მაგრამ ტყვიასთან, მგელთან, დათვთან და არწივთან მაინც უძლური ხარ. ჯიხვის მტერი ყოველნაირად ჯიხვზე ძლიერია და მათი ბრძოლა – უთანასწორო. მარჯვე ჯიხვს კლდეებში, შეიძლება, მგელი და დათვი ვერ დაეწიოს, მაგრამ ქიმზე შემდგარ ფოთრს კი არა, შუნსაც შეიძლება გაუჭირდეს ფრინველთა მეფის მოგერიება. შორიდან ნასროლი ტყვიის ცეცხლისაგან ხომ ვერაფერი გიხსნის.

13

რეხომ ჯოგი საჯიხვეებიდან ისეთ ადგილებში გადმოხიზნა, ნადირ-ფრინველ-მონადირე პირში ჩალაგამოვლებული დატოვა და ამით დაღუპა და დააქცია სამწყსო? მაძღარი, ბუნაგში მძინარე უმტრო ჯოგი იღუპება და მიუსაფარ, მშიერ, უძილო, სისხლისმსმელებით გარშემორტყმულ ჯიხვებს უწერიათ გადარჩენა?

მდევარს რომც გაუსხლტე, ერთს, მეორეს და მესამეს გაექცე, იმისთანა უფსკრულს უნდა გადაევლო, ათიდან ერთი მაინც განწირულია და ისეთ ქვესკნელში ჩაიჩეხება, სადაც თვით ნადირი და მონადირე ვერ დაწვდება, შენს მოძმეს ორბები და ყორნები თუ დაძიძგნიან... ყოველი ასეთი გადარჩენა მსხვერპლს მოითხოვს და ესაა ხსნა და არსებობა?!

„ესაა... ესააა, ესაააა!“ – ზუზუნებს რქებში ქარშიშხათი.

რაფერ, რანაირად! დღედაღამე მტერი არ გასვენებს, გხოცავს, გჟლეტს და ესაა შველა, თავის დახსნა?

– ესაა, ესაააა, ესა

ლის გაგონებაზეც საჯიხვეებში ვინ ვის ასწრებდა, განმკითხავი არავინ იყო.

ჯოგი წელისწყვეტით, ძლივს აიყოლია და წინ გაიჭრა. საძოვარს ისე გასცდა, პირი დაუკარებია კი არა, ძირს არ დაუხედავს. მაღლა, ქიმებისაკენ გაუტია.

პირველსავე შემაღლებაზე შეხტომა და იქიდან ფეხათრეული, გაფანტული ჯოგის მოხმობა სცადა. დიდი სიფრთხილე დასჭირდა. თავი ძლივს შეიმაგრა, უკან არ ჩამოვარდნილიყო. გაოგნებული სამწყსო თვალს არ აშორებდა – ასე დილაუთენია ძილი რომ დაუფრთხეს და საძოვარზე კი არა, სადღაც გათოშილ შიშველ კლდეებში ეძახდნენ.

ჯოგი რეხოს თვალდახუჭული ენდობა და უფსკრულშიც ჩაჰყვება, რაკი იცის, მის ხელში საფრთხე არ მოელის. ამდილანდელი მეწინავე თავის თავს აღარ ჰგავს, ან ის მოქნილობა და შემართება სადღაა, რომელიც თითო-ოროლა ბებერ თანამოძმეს თუ ახსოვს.

ჯოგი დაიზაფრა. ჯერ კარგად გათენებულიც არ იყო, ჯიხვებს ხეირიანად მუხლიც არ გაუმართავთ და პირბასრ ქიმებისაკენ რბოლა რას მოასწავებდა? მით უმეტეს, სიავის ნატამალი არსაიდან ჩანდა, არც არაფერი ისმოდა.

რეხომ ისევ შემაშფოთებლად დაუსტვინა. შემაღლებაზე, სადაც ძლივს იდგა, შეტრიალდა და იქიდან მეზობელ, ასხლეტილ ლოდზე გადახტომა დააპირა. როგორმე სიმაღლიდან სიმაღლეს უნდა გადავლებოდა, რომ ქვევით არ ჩასულიყო და იქიდან არ აჰყოლოდა. ასხლეტილი ლოდი ისე შორს არ იყო, ასეთი სიმაღლიდან ორწოხებში ჩამხტარს არაფერი დაუშავდებოდა, მაგრამ მეთაურის მომცდარი ნახტომი ასე გაოგნებული ჯოგის თვალში საქმეს წაახდენდა.

მეწინავე თავისი ჩლიქებით იცნობს სამწყსოს და იცის, სადაც თვითონ ვერ გავა, ჯოგი იქით პირს არ იზამს. იმდენზე უნდა გადამხტარიყო, წინა ფეხები კლდის შვერილს იქით დაეკრა და თუ უკანა მაინც დაუცდებოდა, თავს როგორმე შეიკავებდა.

ასეთ უმნიშვნელო ნახტომზე, რეხო, ადრე არასოდეს დაფიქრებულა, ამას თავისთავად, ალღოთი აკეთებდა. ახლა შეჩერდა, კარგად მოსაზრება და მოზომვა დასჭირდა.

გადახტა, დადგა და უკან არა, მაგრამ ბეწვზე გადარჩა, რომ წინ კისრით არ გადაეშვა. ზედმეტი ძალისხმევით ბარკალზე, სახსართან ძარღვი გაუწყდა თუ გაენასკვა და მწარედ ინანა, ასეთი აჩქარებული და თავაწყვეტილი ჯლიგინი რომ წამოიწყო.

ტკივილმა როცა გაუარა, ჯოგს მოხედა, ქვევით გაოცებულნი რომ იდგნენ და ვერაფერი გაეგოთ. საით გამორბოდა მეწინავე, რა უნდოდა, ამ კლდიდან კლდეზე რომ ევლებოდა, ვინ მოსდევდა...

დაფიქრება და ძალის მოსინჯვა დასჭირდა, ახალი ნახტომისათვის რამდენ ხანში გამოდგებოდა. უნდა შეესვენა, შეშინებული კუნთის ცახცახი რომ დაეცხრო.

2

რეხო წინ მიბრუნდა. აქეთ ფრიალო იყო, იქით – მოჟანგისფრო სალი კლდე. ორივე იმაზე მაღალი, სადაც იდგა. ადგილიდან რომელიმეზე შეფრენა ახლა აღარ შეეძლო, მაგრამ უახლოესს მაინც, ცოტა მოშორებული, მოჟანგისფრო სჯობდა. შუბლზე ერთი ისეთი ნაბზარი ჰქონდა, მარჯვე ნახტომით შეუჩერებლად შეიძლებოდა ზედ ჩლიქის ჩამოკვრა, ისევ ახტომა და წვერში მოვლება.

ჯოგში, ვისაც გამოცდილება არ ჰქონდა, უფრო ახლო, ფრიალოზე გასვლას მოინდომებდა, იგი ისეთი სიპი იყო, თუ მართლა ფრთიანი გაქროლება არა, რომლითაც თავზე დააფრინდებოდა, თორემ კედელზე ფეხს ერთიც ვერ წაჰკიდებდა. არც იქიდან ჩავარდნა იყო მარჯვე ჯიხვისთვის საზიანო, მაგრამ ცოტა დუნესა და დონდლოს შეიძლება გვერდები დაებეგვა.

გადახტა და, მართლაც რომ ზუსტად იანგარიშა, თორემ ნაბზარზე ჩლიქის ჩამოცდენა და გვერდულად გადმოვარდნა ელოდა.

სადაც ახლა, მოჟანგისფრო კლდეზე დადგა, აქ სამი- ოთხი ჯიხვიც დაეტეოდა, მაგრამ ისე მოხდა, როგორც ელოდა. ყველა ახალგაზრდა და გამოუცდელმა მეორე, უფრო ახლო ფრიალო ამჯობინა. იქიდან, ერთი რქებგაშლილი ჯეელის მეტი, ორწოხებში ჩაცვივდა და ბარე ორი სიმწრითაც აპეტელდა.

რეხოს ერთი ბებერი და ერთიც მოწიფული – ქედა ჯიხვი ამოჰყვა. ქედა აქ დაბადებული და გაზრდილი იყო, მაგრამ მღვიმედან ერთ დაძახებაზეც მეწინავის კვალზე მავალი.

სამივენი აქეთ და ერთიც იქვე, ფრიალოზე იდგნენ და ელოდნენ, კიდევ რა გზას დაადგებოდა მეწინავე, რისი მაქნისი, რისი შემძლებელი იყო.

წინ დასახტომი ახლა დაბალი ტინი იყო, მაგრამ იმდენად შორს, აქედან გადაშვებული რომც მიწვდენოდა, ზედ ვერაფრით დამაგრდებოდა. იმის იქით – ისევ მაღალი, რუხჟანგა, ოდნავ უნაგირა პიტალო.

მეწინავე თუ ქვევით ჩაირბენდა, უნაგირისათვის უნდა მოევლო და გვერდიდან აჰყოლოდა, ჩასვლა არ უნდოდა, არ უნდოდა, უკან მოდევნებულ ჯიხვებს თვალთაგან დაჰკარგოდა და რუხჟანგაზე როგორ და რანაირად ავიდოდა, არ ეყურებინათ, ან ის იოლი გზა დაენახათ.

კარგა ხნის დაყოვნების შემდეგ კვლავ გამჭოლად დაუსტვინა და ადგილიდან მოწყდა, როცა მათთან კიდევ ერთმა, რქაჭრელმა ხარმა ამოაღწია.

თავგანწირულად გადახტა, მოდაბლო ტინის მახვილ წვერს მხოლოდ ჩლიქები წაჰკრა და ოდნავ უნაგირას წინა ფეხებით მისწვდა, ვერაფრით დამაგრდებოდა, აქედან გადევნებულ გაქანებას რომ ზედ არ შეესროლა. დადგა, მაგრამ იმ კუნთის გარდა, წინა ცალი მუხლის ცახცახიც იგრძნო და არ მოტრიალებულა, თავიც გვიან მოაბრუნა. წეღან მის გვერდით მდგომმა ბებერმა დაბლა ჩასვლა ამ-

ჯობინა და იქიდან უნაგირას გვერდიდან ამოჰყვა, ჭკვიანად მოიქცა. იგი რეხოზეც უფროსი იყო და არ გაეწბილებოდა.

ქედამ ბებრის კვალზე წასვლა ითაკილა და ისიც ტინზე ფეხის დაკვრით წამოვიდა. აქეთ, უნაგირსაც შემოასკდა, მაგრამ ის ძალა ვერ გამოიყოლა, მაღლა რომ შემოეგდო. უკან გადავარდებოდა, რომ არ ემარჯვა, ჰაერში შეტრიალდა და ქვევით მოხდენილად დახტა. მაშინვე გვერდიდან ამოირბინა და უნაგირაზე მეწინავეს მხარში ამოუდგა.

რწაჭრელი აწრიალდა, არც ქვევით ჩასვლა ინდომა და ვერც გადმოხტომა გაბედა... ამასობაში ზურგს უკან პირქუშა მუქრუხი ჯიხვი ამოხტა, არ დაელოდა რქაჭრელის ყოყმანს. იშვირა ფეხი და გადმოეშვა. ტინზეც კარგად გადმოევლო, მაგრამ უნაგირას თავზე ვერ მოექცა. რეხოს გულადობისათვის მაინც მოეწონა. ორი-სამი ნახტომის შემდეგ, ასეთი ჯომარდი და გაბედული მიზანს მიაღწევდა.

ბევრი, კლდეების ძირებში ჩაცვენილი, კიკინებდა და ზოგიც ლოდებსა და ორწოხებზე მოხტუნავდა, მაგრამ თხემებზე გადმომსვლელი, იმჯერად, მეტი აღარ ჩანდა.

რეხოს ორი მაღალი ქიმი კიდევ უნდა გადაევლო, რომ საზღვართან მიეღწია, რომლის იქით ღრმა, თვალჩაუწვდენელი შვეული კედელი ჩანდა და იმოდენა ხევი, აქედან მეორე მხარეზე თვალს ვერ გააწვდენდი. ეს იყო ის ცაში ატყორცნილი „სიმაგრის“ ზღუდე, რომელიც ასე საიმედოდ იცავდა მტრისაგან მის სამწყსოს.

იქამდე უნდა მისულიყო და იქიდან კარგად დაეზვერა ის შორეული გზა-სავალი, საიდანაც ჯოგმა, ერთ დროს, დიდი ტანჯვისა და სისხლის ფასად აქ ამოაღწია. ამოაღწია და შეუვალი თავშესაფარი – ბინა დაიდო.

რეხოს ერთმა ნახტომმა კიდევ გაუმართლა, ბოლოს მაინც დაუცდა ფეხი, მაგრამ იქ დაუცდა, სადაც შეიძლებოდა დასცდენოდა და წინა ფეხის ჩლიქიც წაიტეხა. წაიტეხა, ასე, ერთი მესამედი და უცებ, ერთბაშად დაღალა. სისხლი მალე შეჩერდა და არც იმდენად მტკივნეული იყო, რამდენადაც ერთი მეორეს მიემატა და უკან დაბრუნებას გვიანობამდე დასჭირდა.

იმ ღამით დაღლილ-დაბეგვილ-დაშავებული ჯოგის მღვიმეში შეშვებაც არ უნდოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მეტისმეტიც იქნებოდა და თან იმდენი საფიქრალი ჰქონდა, აღარ დაეძია, ვინ სად გაათევდა ღამეს.

3

დილამდე დიდი დრო იყო, მაგრამ თვალის წადება მაინც ვერ შესძლო.

რეხო, როცა მეწინავე გახდა, მაშინ საწინააღმდეგო ღონე შესწევდა და არა – ჭკუა. იცოდა, ჯოგისთვის უნდა ეპატრონა, შიმშილით არ დახოცოდა, მონადირეს არ მოეკლა, მგლისა და დათვის არჩივი არ გამხდარიყო, არწივს ქარაფიდან უფსკრულში არ გადაეჩეხა...

იცოდა ის, რაც ყველა ჯიხვს მოეკითხებოდა და მის ადგილზე ყველა ეცდებოდა, რისი შემძლებელიც იყო, სამწყსოზე ეზრუნა.

ღრნე კი... ბევრს იმის მოხერხება და ძალა არ მოსდევდა, ჯოგი აეყარა, გაუვალი ცხრა მთა და მწვერვალი გადმოევლო, ეპოვა ჯიხვისთვისაც ფეხდაუდგმული თავშესაფარი და შეეხიზნა. არხეინად ესვათ, ეჭამათ, დაესვენათ, დაევანათ, ეკუნტრუშათ და არ სცოდნოდათ, მტერი რაა და მოყვარე. ფრჩხილი არავის წამოსტკინოდა, გამრავლებულიყვნენ და მართალია, რბილი, მაგრამ მაინც ქონი დასდებოდათ...

... და არ სცოდნოდათ, რომ ჯიხვის ჯიში მონადირის თოფის დაგრძელებასთან და ტყვიის გახშირებასთან ერთად უნდა გამამაცებულიყო, გადაუხტომელზე გადამხტარიყო, ფეხდაუდგმელზე ასულიყო, გაუღწეველში გაეღწია და თავი დაეცვა.

თავი დაეცვა და გადაერჩინა იქვე, საჯიხვეებში. იქვე უნდა ეზრუნა ჯოგზე იმნაირად, რომ მგლის მუხანათობისა და დათვის გამამაძაღლობისათვის მამაცობით და მოხერხებით ეჯობნა, ფოთრი უყურადღებოდ არ მიეტოვებინა, რომ უფსკრულის პირას არწივს არ მოეხელთებინა და არ გადაეგდო. მარილიან წყარომდე გზა ისე დაესწავლა, დღისით თუ არა, ჯოგი ბნელ ღამეში დაერწყულებინა. სამწყსო ბალახსა და ნეკერს დიდხანს არ შერჩენოდა, რომ ამასობაში მტერს დაწევა არ შეძლებოდა. სჯობდა სანახევროდ ეშიმშილათ, მაგრამ იქ ეცხოვრათ, სადაც გაჩენის დღიდან ბინადრობდნენ.

მტერი თუ შეიცვალა, სხვა გზა არაა, შენც უნდა შეიცვალო. მომხვდური ყოველთვის იმის ცდაშია, გაჯობოს და ზოგმა ჩიჩიად, ზოგმა მწვადად, ზოგმა ტყავი ტყავად და რქა ყანწად გინდომოს. მაგრამ შენ, ეს რომ იცოდე, პირი დააღო და მეტი არაფერი, ჯერ ენას გამოგაცლიან და მერე ყელს ისე გამოგღადრავენ, დაპეტელებაც ვერ მოასწრო.

ან ამიტომ რომ დაჰკრა ფეხი და შენი ადგილსამყოფელიდან გადაიხვეწო, სად მიდიხარ, ვისთან მიდიხარ და უმტროდ და უმოყვროდ ვის უცხოვრია, შენ რომ სასწაული მოახდინო?..

მტერი ისევეა მოყვარე, როგორც მტერი. სიკვდილის შიში ყველა სულიერის თანდაყოლილი თვისებაა. საერთოდ, რომ არ იცის შიში რაა, სიკვდილის იმასაც ეშინია. მშიშარა, მხდალი და ლაჩარი დამარცხებულია, დამარცხებული – დაღუპული. უშიშარი და ჩაუქიც ყოველთვის ვერ იმარჯვებს, მაგრამ იმარჯვებს. ჯაბანი – ვერასოდეს. თუ ხსნისა და გადარჩენის შანსია, იგი გამბედაობასა და სიმამაცეშია, შიში თანდაყოლილია. სიკვდილის მგელსაც ეშინია, დათვსაც და არწივსაც. გულოვნობასა და შეუდრეკელობას სწავლა უნდა ისე, რომ კი არ გაგიჟდე და სიკვდილის შიში დაკარგო, არამედ შიში გქონდეს და არ გეშინოდეს, არ დაგიმონოს, ებრძოდე და იმარჯვებდე.

სიკვდილის შიშზე გამარჯვებას კი მტრის მეტი ვერავინ გასწავლის.

დედ-მამა, და-ძმა, და მოკეთე სულ იმას გიჩიჩინებს: თავს გაუფრთხილდი, არ დამღუპო, თავი არ დაიღუპოო! „არ დამღუპოო“ – მე არ დამღუპოო, რაკი უყვარხარ და უშენობას ვერ გაუძლებს, ვერ გადაიტანს. შენც შენს თავზე რომ არ იფიქრო და არ ინაღვლო, დედაზე ხომ უნდა იზრუნო, მამას ხომ უნდა გაუგონო, მოყვასი ხომ უნდა გიყვარდეს და, ამდენად, თავს შუშასავით უნდა გაუფრთხილდე. მგელსა და დათვს შეება კი არა, ბუნაგში ღრმად და თბილად უნდა მოეწყო, არ გაცივდე, არაფერი სნება შეგეყაროს და ამდენად, ახლობელი და მოკეთე არ გაამწარო... თავს უფუფუნო, უფრთხოდე ყველაფერს, რაც სიცოცხლეს ემუქრება. კაი სვა, კაი ჭამო, გასუქდე და დაძაბუნდე, დადედლდე. გამთხლევდე და ყველაფერი იკადრო, ოღონდ მძორს, შენიანების და შენდა სასიხარულოდ, არაფერი მოსწიო.

ასე „გადაირჩინა“ თავი ცხვარმა და თხამ, ერთ დროს ალბათ, ჯიხვმა და არჩვმა. ახლა მას მტერი პატრონად ჰყავს და ერთი მტერი იცავს მგლისაგან – მეორე მტრისაგან. ერთი იცავს და დარაჯობს, რომ მხოლოდ მან ჭამოს და მეორეს არ დაანებოს, თითქოს თხისთვის სულერთი არ იყოს.

მტერს არ უნდა დაუზავდე, არ უნდა დაუმეგობრდე, ხელში არ უნდა ჩაუვარდე. მტერს უნდა მტრობდე და მაშინაა ის შენი ღირსებისა და ვაჟკაცობის წარმომჩენი.

მტერი, რაღა თქმა უნდა, დაუნდობელია, არ ეზოგები. შენს სიცოცხლეზე იზრუნებს კი არა, ათასნაირ ხერხსა და ხრიკს ხმარობს, რომ მოგისწრაფოს, მოგსპობს, გაგაცამტვეროს და ეს რომ იცი, გულზე ხელებს ხომ არ დაიკრეფ. იმაგრებს კუნთს და რკინის მუხლს გაბამს. ილესავს კბილებს და გალესვინებს რქას. ახტება ხრამს, რომ დაგეწიოს და ევლება უფსკრულს უვნებელი. მოგელავს მთაზე, უნდა მოგიხელთოს და კენწეროში ევლები მწვერვალს – პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებ.

ჯიხვი, გგონია, ბარში ვერ ივლიდა და ტყეში შიმშილით მოკვდებოდა? სითბოში ვერ გაძლებდა, ან დაზვინულ თივას ვერ მოინელებდა? მაგრამ რად გინდა, უქარიშხლოდ, უყინვა-თოვლოდ და უმტროდ, ჯიხვი აღარ იქნებოდა და...

სადაც ღმერთმა გაგაჩინა და სამკვიდრო გიბოძა, იქ უნდა იცხოვრო და იარსებო. დრომ თუ მოიტანა, ბრძოლის ხერხები უნდა მოასხვაფრო, თორემ ადგილი რომ შეიცვალო და სადღაც, უკაცრიელში გადაიხვეწო. ან ვინმეს, შენზე უფრო ძლიერს, კარზე მიადგე და შეეხიზნო, ე, მაშინ დაღუპავ თავს, ჯიშსა და მოდგმას. შენ შენი ადგილი გაქვს მიჩენილი და თავის გატანა იქ უნდა შეძლო, თორემ უკაცრიელი უნდა იყოს უკაცრიელი, რომ იქ არსებობა არ შეიძლება. ან, ძლიერი იმიტომაა ძლიერი, მან თავისი ჯიშისთვის იღვაწა და შექმნა, კი არ გადახვეწილა, შენსავით რომ ვინმეს შეხიზვნოდა, ხიზანის ხიზნობას აპირებდი?

შენი წინაპარი რომ ათ ნაბიჯზე ხტებოდა, იმიტომ, რომ მის მტერი ცხრა ნაბიჯს იქით უფსკრულში ვარდებოდა. ახლა თუ ისიც ათზე ხტება და გეწევა, თერთმეტს უნდა გადაევლო და გადარჩები, თორემ სადღაც, შორეთში რომ გადაიკარგო და ათის მაგიერ ცხრაზე გადახტომა გაგიჭირდეს, უკანუკან მიგყავს ჯოგისა და ჯიშის საქმე.

რეხოს, იმ ღამით, ფერდიდან დაწახნაგებული ქვა არ გამოუღია. რამდენი წათვლიმა, იმდენჯერ ნეკნი კანაღამ გადმოუდო და იმდენჯერ აფიქრა და ათავცემა. წატეხილი ჩლიქიც იმდენად სტკიოდა, სატკივარი სატკივარს ემატებოდა და თავსატეხი – თავსატეხს.

გამთენიისას ერთი წაძინება მდინარესაც წაეძინებაო, რომ იტყვიან, გუშინდელ დაქანცულსა და ღამენატეხს წათვლიმა, ესიზმრა: აი... ის.., სათესლე ჯირკვლების მაგიერ, შუნივით, რძით გატიკნილი ცური ეკიდა და ფოთრები კი არ სწოვდნენ, ძუძუებზე მგლის შავ-შავი ლეკვები ეკიდნენ, თვითონ კი თხასავით კიკინებდა და რაკი ლეკვებს თითო გოჯი სასიყვარულო რქებიც ჰქონდათ, მზრუნველად ლოკავდა. ლეკვები კი ყმუოდნენ და რქებიან შუბლს ჯიქანში სცემდნენ – მეტ რძეს ითხოვდნენ. ლეკვებს წითელი ხახა ჰქონდათ, თუ ძუძუდან სისხლს სწოვდნენ, რეხო შიშმა შეზარა, შეახტუნა და გაეღვიძა.

4

გათენებისთვის აღარ დაუცდია. აღმოსავლეთით, რიბირაბოში, კლდის ქიმები რომ შავად გამოისახა, გამოქვაბულთან გაჩნდა.

ახლა, მგონი, გუშინდელ, მხოლოდ საღამოხანს ნაბალახებ, ნახევრად მშიერ ჯოგს ხეირიანად არც კი ეძინა. ერთი დასტვენისთანავე გამოსასვლელს მოაწყდნენ – მეწინავე იქნება დილიდანვე საძოვარზე დაგვიძღვესო.

მზემ მწვერვალებს ქვევიდან ამოანათა და აღმა ასხლეტილმა სხივებმა ოქროს მტვრის კორიანტელი გარინდულ თეთრ ღრუბლებს შეაფრქვია.

ქვევით ისევ ბნელოდა. რეხომ ისევ ისე გადაუარა საძოვარს, თავი არ დაუხრია და უფრო შორს, გუშინდელზე მომაღლო კლდეს მიაშურა. ახლოს ის ბებერი, რქაჭრელი, ქედა რქებგაშლილი და მუქრუხი პირქუშა მოსდევდნენ, და ერთიც... რეხოს გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგავდა, ახლაღა მიემატათ, მაგრამ მთლად ახლოს მოსვლა ვერ გაბედა, იმდენად ახალგაზრდა იყო, ჯერჯერობით რქები გვერდების საფხანად თუ გამოადგებოდა. ჯოგის ბოლოში გუშინდელი აკოჭლებულები მოპეტელობდნენ.

რეხოს გუშინ პირი არაფრისთვის დაუკარებია და დღეს, ფერდებჩაცვენილი, უფრო ტანმჩატედ იყო, მაგრამ დილიდანვე დაღლილი და კუნთებმტკივანი. იმ ცალი წამტვრეული ჩლიქის გამო კოჭლობით არ კოჭლობდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ისე აწუხებდა, ფიქრს აწყვეტინებდა. გადახტომისას სიმძიმე მაინც სხვა ფეხზე უნდა გადაეტანა.

ტკივილის ატანასაც გადაჩვეულა...

ტკივილის ატანა მაშინ შეგიძლია, როცა სულ

გტკითა. ათასში ერთხელ ფრჩხილიც რომ წამოგტ-კივდეს, ისიც შეგაწუხებს. ტკივილს ხვედრივით უნ-და შეურიგდე და შეძლო, უბედურებად არ გექცეს.

დიდი ხნის ამბავია, ჯოგი რომ აქეთ მოჰყავდა, მაშინდელი, ათასი კლდე-ღრეს გარდა, ჟანგისფერი, თეთრი და რუხი მწვერვალებიც უნდა გადმოელახა. იქიდან ერთადერთ, გაუვალ ქვესკნელის გადმოსახ-ტომზე ჯოგი გადმოესხა და ამ მიუვალ სიმაგრემდე ამოეღწია. ამ ზამთარ-ზაფხულ ქათქათა მწვერვა-ლებში რუხს რა უნდა, მაგრამ იგი იმდენად ციცა-ბოა, თოვლსაც არ იკარებს. მისი კედლის ღრმუ-ლებში და ეხებში სვავები და ორბები თუ ბინადრო-ბენ, თორემ ზედ სულიერი არ ჭაჭანებს.

ჯერ იმ რუხ მწვერვალზე გადმოსვლა იკითხე და მერე იმ ქვესკნელის თავზე გადმოფრენა. რაღა თქმა უნდა, პირველად უფსკრულს რეხო გადმოევ-ლო და აქეთა ციცაბოზე რომ შერჩა და იქიდან ქარაფზე გააღწია, ბევრს გაბედულება შემატა. თავ-განწირვის ფასად ზედიზედ გადმოჰყვნენ, მაგრამ ერთი კოჭლი, ხნიერი ჯიხვი რომ ჩაიჩეხა, დანარჩე-ნები დაფრთხნენ. რეხომ ქარაფიდან დაუსტვინა და შეაგულიანა, მაგრამ მერე ახალგაზრდა, კოჭნაღრ-ძობიც რომ მოწყდა კედელს სვავების გულგასახა-რად, ორი ჯიხვის დაღუპვამ ჯოგს პირი აბრუნები-ნა. აღარც დასტვენამ უშველა და აღარც – კლდე-ზე ფეხის ბაკუნმა. მეწინავე იძულებული გახდა, უკან გამხტარიყო და დასაბრუნებელი ბილიკი რქით გადაეღობა.

რეხო თუ ჯოგს მსხვერპლის ფასად გადმოსხამ-და, უკან დაბრუნებას არ აპირებდა, რაკი იცოდა, ეს შეუძლებელი იყო.

იქიდან გამომსვლელს სიპ კლდეზე ზევიდან გა-მოქანება და გადმოსახტომად ფეხის დაკვრა შეგეძ-ლო, მერე თუ აქეთ მოწვდებოდი, თავის შესამაგრე-ბელი თითქოს იყო და იქიდან ქარაფზე გახვიდოდი, მაგრამ აქედან იქით, სიპზე ფეხის მოსაკიდებელი – სულ არაფერი. თუ მაინც აქედან რომელიმე დაწვ-დებოდა და გადაღმა კლდეს მიახტებოდა, სანამ ქვესკნელში გაქანდებოდა, მაღლა შემართვა უნდა მოესწრო, ატოტებოდა და იქნებ ერთ, არცთუ ისე ღრმა ნაბზარს რქით მიწვდენოდა, რქა ნაბზარისთ-ვის რომ დაეცილებინა. კედელი შვეული კი არა, პირაქედ გადმოზნექილი იყო და რაღა შეაკავებდა. ამას მის მაშინდელ ჯოგშიც კი ვერავინ გაბედავდა.

ამიტომაც იყო აქაურობა მიუვალი ციხე სიმაგ-რე, რაკი რუხი მწვერვალიდან ეს ერთადერთი გად-მოსასვლელი გააჩნდა და თუ ვინმე როგორმე გად-მოაღწევდა, საიდანაც მოვიდა, უნდა დაევიწყნა და აქაურობის სამარადისო ხიზანი გამხდარიყო.

რეხომ მაშინ სასწაული მოახდინა. უკან გადახ-ტა, ასე რომ არ ექნა, მისი სამწყსო იმ ხუთიოდე ჯიხვის ამარა დარჩებოდა, რაც იმ ორი დაღუპულის გარდა გადმოჰყვა.

მიასკდა რა იქითა რუხი მწვერვალის კედელს, უკუბიძგებამდე მოასწრო აღმართვა, ქვესკნელის თავ-ზე ჰაერში შეტრიალება და რქა ნაბზარს უწვდინა, გამოსდო. მერე, რქით დაკიდებული, გაქანდა და შვერილზე შეხტა, საიდანაც კლდეზე აკრულ ბი-ლიკს ისე უნდა გაჰყოლოდა, ფერდზე ბალანი გაც-ლოდა და გააღწევდა, საიდანაც დამფრთხალი ჯიხ-ვები მოშტერებოდნენ. მაშინ რომ იმაზე ეფიქრა, რა ელოდა, ამას ვერაფრით შესძლებდა. მაგრამ ამის დრო არ იყო, დამფრთხალი, განწირული, უმეწინაო და ურჩეულებო ჯოგი უკან ბრუნდებოდა. რეხო გადავიდა, მაგრამ გასაქცევი გზა არ ჩაუკეტავს. ჯოგი ერთბაშად მობრუნდა, ძალა მოიცა და უფსკ-რულზე გადასვლა დაიწყო. ჯაბანი და მუხლსუსტი მერეც დაიღუპა, მაგრამ დასაღუპავი დაიღუპა, გა-დასარჩენი გადარჩა...

აი, მაშინ იყო, ყველაზე ბოლოს, ისევ გადმოშვე-ბისას, მაღალი ნახტომი გააკეთა, უფსკრულზე ულა-მაზესი რკალი მოხაზა, რომ ყველას დაენახა, მათი მეწინავის ოსტატობა და ყოვლისშემძლეობა. მაგ-რამ სადაც პირველად დახტა, იმ ადგილს ოდნავ დაცილდა და ნაბზარში ცალი ფეხის ორივე ჩლიქი ჩაეჭედა და ისე ჩაეჭედა, ორივე წატყდა. სისხლი ფქრივლით წამოვიდა და როგორი ტკივილი უნდა ჰ ქონოდაI მაგრამ ზედაც არ დაიხედაI არაფრად ჩა-აგდო და არც ვინმეს შეუტყვია. შენს ტკივილს შენ თუ მოერევი, სხვა როგორ გაიგებს, მას მერეც რამდენი იარა. აქაც რომ ამოაღწია, სანამ წაეზრ-დებოდა, ხომ აწუხებდა, მაგრამ ახლა აღარც კი აგონდება; ეტყობა, მაშინ საკუთარი სატკივარი სატ-კივრად არ მიაჩნდა.

წუხილს სიამოვნებად ვერ აქცევ, მაგრამ არც ტანჯვად უნდა აქციო.

5

ჯოგში, ორიოდე ბებერი ჯიხვის გარდა, არავინ იცის, რომ კლდეზე, სადაც ჩლიქის მოსადებიც არა-ფერია, ან ისე შვეულია, ტანიპთ ზედ მიკრულიც უფსქრულში ვარდები, რქა უნდა მოიშველიო. რქით უნდა მისწვდე რაიმე ქიმს, შვერილს, ან ნაბზარს და დამაგრდე. აქ ჯერ ეს არავის დასჭირვებია და რაც არ დაგჭირვებია და არ გინახავს, რატომ და როგორ უნდა გესწავლა. აქედან ვინც რუხ მწვერვა-ლამდე ჩააღწეს, რქით მოუკიდებლად გარეშე უფს-კრულს ვერ გადალახავს და რუხი მწვერვალის კალთებიდან თეთრ მწვერვალზეც ვერ გადავა. თუ ნაპრალში ჩაშვების საიდუმლო არ ეცოდინება. ნაპ-რალი მუხანათია, ყოველთვის პირღია არაა, რომ ფეხი არ ჩაგიცდეს. ასს რომ ასცდეს, ასმეერთე ჩაყლაპავს, თუ ჯიხვი შიგ ლოდივით გადავარდა, თუ არ იმარჯვა და კედლებს გარდი-გარდმო არ მიახტ-მოახტა, რათა ვარდნა შეანელოს და ფსკერ-ზე არ ჩაილეწოს.

რეხო იმ გადმოზნექილ კლდეს მიადგა, სადაც, მახლობელი ქიმიდან გადაშვებული, მის კედელს რომ მიახტები, თუ სხარტად თავს ზემოთა შვე-რილს არ შეწვდი და რქით არ დაეკიდე, აუცილებ-ლად ჩავარდები, მაგრამ აქ უფსკრული არაა და რომ ვერ იმარჯვო, ისე ღრმა არ არის, ჯიხვი

დამარცხდეს. მთლად უნდილები თუ რაიმეს იტკენენ, ან თავი დაეცემიან და რქას გაიბზარავენ, არ უნდა შეიბრალო. ჯიხვი, საიდანაც უნდა მოწყდეს, თუ ფეხებზე არ დახტა, რქის კი არაა, კისრის მოტეხის ღირსია...

6

წუხელ არ უთოავია, მაგრამ ეს ქიმები თოვლს ზამთარშიც არ იდებს, ქარი აცლის. ზაფხული კარზეა მომდგარი, მზე მძლავრობს და კლდეების სახმრეთ ფერდებზე ყინვა-თოშს ალხობს.

გუშინდელი შემშრალი, ჟანგისფერი კედლები სავალად არც ისე სახიფათოა. თუმცა, ჯიხვმა თუ ჩლიქის მოსაკედებლი იშოვა, თუნდაც ყინულისა, უნდა გაიაროს. მაგრამ ნაბზარში რომ ფეხი მოიკიდოს, ან რქით დაეკიდოს, თოვლით ამოვსებული და ჩაყინული არ უნდა იყოს.

7

ჯოგი სულგანაბული დგას და მეწინავეს ელოდება. რეხოც დგას და იცდის.

ეს გუშინ იყო, ჯოგის დაღუპვის შიშით დაზაფრული კლდეებს ეცა და ქიმიდან ქიმზე თითქმის შეუსვენებლივ იხტუნა, მალეც დაიღალა და ჩლიქიც დაიზიანა. მეტი წინდახედულობა და სიდინჯე მართებდა. ჭკვიანისათვის გუშინდელი დღევანდელის მასწავლებელია. სულელი თავი ფეხებს ატანს ძალას და ავიწყდება, უფეხებოდ თავი იგივე ქვის ნატეხია, რომელიც თავისთვის ხევში ჩაგორებას თუ შეძლებს.

ჯიხვი ცალ-ცალკე სხვადასხვაა, ერთად შეყრილი – სულ სხვა.

ჯოგი უნდა ალოდინო, აწრიალო, აფიქრო, რომ საქმისკენ თვითონ გაიწიოს, და ის მოანდომებინო, რის გაკეთებასაც აპირებ, ისე უნდა მოაჩვენო, თითქოს შენ ასრულებ მათ სურვილს და არა ის, რომ შენს ნებაზე დაატარებ. ბრბო, თავისი სიმრავლის გამო, პატივმოყვარეა და ჭეშმარიტებასაც არ დაგიჯერებს შენი სიმცირის წყალობით. იქნებ ცალ-ცალკე ყველას ეკითხებოდნენ ჭკუას, მაგრამ რაც ბევრია, იმდენად ჭკუა ჭკუას აბათილებს, ვინემ ერთმანეთს ემატება. შენი დაჟინებითა და თვითნებობით რომ ერთი ჯიხვი უფსკრულში ჩავარდეს, არავინ გაპატიებს. ბრბომ ასი იმდენი ფეხითაც რომ გათელოს, უკან არ მოუხედავს.

გუშინ ისეთი ჩასავარდნი არსად იყო, კოჭლობის მეტი ვინმეს რაიმე დაშავებოდა. დღეს საქმე უფრო რთულადაა, აქ, უმრავლესობამ, რქისკიდებით კლდეებზე გასვლა კი არა, ციცაბოზე გარბენაც არ იცის. ამიტომაც სჭირდება მეწინავეს, სამწყსო ამ გადმოზნექილ კედელს გააყოლოს და ვინც ვერ შეძლებს, ჩავარდნითაც ისე ჩავარდეს, არ დამარცხდეს, თუმცა არც უსისხლოდ გადარჩეს. და ეს ჯოგმა თვითონ უნდა ინდომოს, თვითონ დაადგეს ამ გზას და მეწინავეს თავისი ნება უკარნახოს. ვინ, ვის ნებას მორჩილებს და ვისაა აყოლილი, ამას, სანამ არ გათითოვდებიან, ვერავინ მიხვდება. ბოლოს კი, დამარტოხელებული, ამ შეურაცხმყოფელ მიხვედრას სხვას გადააბრალებს: – ჩემს გარდა იქ ათასი იყოო და, არ გაამხელს.

მზე რომ ამოჩახჩახდა და ჟანგისფერ კლდეებში წუხანდელ ჭირხლს ოქროსფერი შეაფრქვია, ჯოგი აწრიალდა: ან საძოვარზე გაგვიძღვეს, ან, სადაც ეპირება, ბარემ გვიწინამძღვროსო!

რეხომ ფეხი მანამ არ მოიცვალა, სანამ კლდეებს თრთვილი არ შეადნა, ცრემლად არ დადინდა და შემშრალს თავისი ჟანგისფერი არ დაუბრუნდა. უკვე მოთმინებადაკარგული ჯოგიც წინ დაიძრებოდა, რომ მეწინავე ქარაფს არ აჰყოლოდა და ცალი წატეხილი ჩლიქის არიდებით მაღლა-მაღლა არ წასულიყო.

თითქმის ნახევარზე მეტი ერთად აედევნა და ერთმანეთს ხელი იმდენად შეუშალეს, წვეროზე რეხოსთან ათიდან ერთმაც ვერ ააღწია.

მეწინავემ სული მოითქვა, დადგა და გაირინდა.

ჯოგმა დაინახა, ყველა იმის შემძლებელი არ იყო, რისიც მოწადინე, მაგრამ ვინც უკან დაბრუნდა, ან ჩაცურდა, ბედი ხელახლა უნდა ეცადა.

ყველა გრძნობდა, გუშინ და დღეს რაღაც უჩვეულო ხდებოდა. ეს დილაუთენია, უჭმელ-უსმელების კლდიდან-კლდეზე, ქიმიდან ქიმზე ხტომა და ლოდებზე ხეთქება მეწინავეს გასართობად არ მოუგონია. იმასაც ხვდებოდნენ, ეს ერთეულებისა და რჩეულთათვის არ იყო მოგონილი. კოჭლი რომ კოჭლია, იმასაც ხელი უნდა გამოეღო და დღეს არა – ხვალ ის გაკეთებინა, რასაც, ჯერჯერობით, თითოოროლა თუ ახერხებდა და უშეცდომოდ და უხიფათოდ – ვერც ისინი.

განსაცდებმა ძლიერი და უძლური არ იცის. თუ უფსკრულზე გადასახტომი ათი ნაბიჯია, ის მუხლმაგარისათვისაც ათი ნაბიჯია და კოჭლისა და ხეიბრისთვისაც. ასეთია ბუნების ულმობელი კანონი.

იმ დღეს დიდი ჯაფა დაადგათ. დიდი დავიდარაბა გადაიტანეს და ვინც რქისკიდების საიდუმლოს ვერ ეზიარა, ქვევით ჩაცვივდა და იმდენად ჩაიმზღვლა, ბევრს სისხლიც კი გადინდა ქვისა და ყინვის წახნაგებზე, მაგრამ რამდენიმემ მაინც შესძლო გადმობრეცილ კლდეზე გასვლა.

რეხოს იმედი მიეცა, თუ ოდესმე მშობლიურ საჯიხვეებისკენ პირს იზამდა და უკან როგორმე გააღწევდა, მარტო არ გააღწევდა. მანამდე კი ბევრი ამისთანა დღის გათენება და დაღამება დასჭირდებოდათ და ნაგვემ-ნაბეგვებს – ბარე ორი ღამის თეთრად გათენება.

8

კიდევ ერთი საიდუმლო უნდა იცოდნენ ჯიხვებმა...

ნაპრალი, ან კლდეებს შორს დარჩენილი, პირმოღებული უფსკრული, ყველაფერს ნთქავს, რასაც შიგ ფეხი ჩაუცდება და ისე ყლაპავს, მის ბნელ სტომაქში მშიერი სვავებიც ვერ ჩაიხედავენ.

ერთადერთი ჯიხვია, ამ მოუპირავს რომ არ ნებ-

დება. არადა ნაპრალი თუ ქვესკნელის ხახა, ზამთარ-ზაფხულ ჩაყინულია, შიგ ისე გაქანდება, კლანჭს ვერსად მოდებ.

ჯიხვი სასწაულს ახდენს! ამ მხრიდან გადავარდნილი იქითა კედელს აწყდება, რომ იქ რაიმე საყრდენს იშოვის, მაგრამ იქიდან აქეთ ახტება – არც ამ კედელზეა ჩლიქის მოსადები, მაგრამ ისევ იქითა მხარეს ასკდება, რომ ვარდნა შეაფერხოს, შეანელოს და ქვევით ისე არ ჩავარედს, ძვლებად ჩაიმზღვლეს...

ასიდან გადარჩენის ასივე საიდუმლო უნდა იცოდე, დამღუპველი ერთის, არმცოდნეც იგივეა, რაც ყოვლად უვიცი.

უნდა გამოიძებნოს ერთმანეთთან ნაპრალის კედლებივით ახლოს მდგომი კლდეები და ისეთი სიმაღლისა, ზევიდან ჩამოვარდნილი, ამ მიხტომ-მოხტომის არმცოდნე ჯიხვი დაშავდეს, მაგრამ სასიკვდილოდ არა, გადარჩეს და დაინახოს, თუ კარგად არ გაიწვრთნება და არ იმარჯვებს, ნაპრალში ჩაჩეხვისას რა ელოდება.

9

მთელი ზაფხული იწვა რეხო დაწახნაგებულ, მუჭის ტოლა ქვაზე, ფერდებიდან რომ ნეკნებს აცლიდა და ღამეებს თვალღია ათევდა, რომ მეორე დღეს სცოდნოდა, რა ეკეთებინა, რაც ჯოგს მცონარობას, დილიდან საღამომდე ძოვასა და თბილ ბუნაგში წოლას გადააჩვევდა.

ჯიხვებს ღია ცის ქვეშ, თოშსა და ქარ-შიშხათში ღამის თევა ყველაფერზე მეტად გაუჭირდათ. გაუჭირდათ იმდენად, რამდენადაც, მართალია, შარდითა და ნაკელით მყრალი, მაგრამ, თბილი ბუნაგი იქვე ეგულებოდათ, დაღლილებს სიცივისაგან ძილი რომ გაუტყდათ, გვიან, ნაშუაღამევს თითო-ოროლა ფეხაკრეფით მაინც შეიპარა და მეწინავემ, სანამ მღვიმის წინ ქვაყორეზე მთელი ღამე მუხლჩაუხრელად არ დადგა, მანამდე ვერაფერი გააწყო.

სითბოს ნებიერი იოლად ცივდება: ახველებს, აცხიკვებს და სიცხეს აძლევს. ჭამა მიჩვეული ფაშფაშა კუჭი ცოტას აღარ ჯერდება. მოტეხილი, ნაღრძობი და ნაბეგვი ჯიხვსაც სტკივა და გულსაკლავად აპეტელებს, მაგრამ მეწინავე, როცა მის სმენას, ხევში რა გაფაჩუნებს და ცაზე რა გადაიფრენს, ის არ ეპარება, ასეთ დროს ყრუ უნდა იყოს, ბრმა, გულის მაგიერ ქვა ედოს და ცრემლი კი არა, სისხლიც თოვლის ნაჟურად მიაჩნდეს.

მეწინავე ის უნდა იყოს, რაც ყველა და ამავე დროს არამც და არამც ის, რაც ყველაა.

მძიმეა, უსაშველოდ მძიმეა მეფის გვირგვინი, ბრიყვს ოქროთი და ბრილიანტით მომჭვილი რომ ეჩვენება.

თავი მესამე

1

ზაფხულის ბოლოს ჯოგი აიყარა და საჯიხვეებისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

გზა...

სადაა გზა და კვალი, ხიდი და ბილიკი, სადაა გასასვლელი და გადასასვლელი... წინ – გადასახტომ-გადასაშვები, სადაც ესეც არა, გადასავლებ-გადასაფრენი.

რეხოს და იმ ორიოდე ბებერ ჯიხვს, რომლებიც თავდაპირველად აქ ამოვიდნენ, რა დაავიწყებთ, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯი სიკვდილთან ჭიდილი იყო.

2

ყველა სულიერი სიკვდილის შვილია, მაგრამ ბედნიერება ისაა, რომ არ იცი, სად გელოდება და როდის მოგწვდება. ამისთანა გზაზე კი ხედავ, აგერ, ამ ქიმზე ზის, ან ნაპრალშია გარულსული, მთელი ძალისხმევით რომ ახტები, იმ კლდეზე გელოდება, სადაც ზევიდან გადმოშვებული უნდა დაენარცხო. ყველა ხევი, ნაპრალი და უფსკრული ჯოჯოხეთის ღია კარია. მიდიხარ და ზეციდან ორბების, სვავებისა და ყორნების ყაშყაში მოგაცილებს, რაკი მსუნაგი მტაცებლის უტყუარი ალღო წინდაწინ უხვ სუფრას ჰპირდება...

დაბრუნება კი არა, უკან დახევა, დაყოვნებაც დაღუპვაა, ან გადაგვარება, თითქოს ორივე სულერთია, მაგრამ გადაგვარებას – სხვად ქცევას, მაინც დაღუპვა-განადგურება სჯობს.

ან ის უნდა იყო, როცა ხარ, ან არ უნდა იყო.

თუ ჩაუქი გალაჩრდება, ბოლოს და ბოლოს, ისიც მოკვდება, მაგრამ უკვე ლაჩარი მოკვდება და არაო მამაცი. გულადი მაშინ მოკვდა, როცა გამფრთხალდა და ბარემ მაშინ დაგვემარხა და დაგვეტირებინა, მერე რომ ძაბუნს უცრემლოდ ვასამარებთ. გმირი დავკარგეთ, რომ გადაგვარებულს ერთხანს ებოგინა, ამ ჯოგიდან, ყველა რომ ერთნაირად ძოვდა, ერთნაირად ლოკავდა თოვლის ნაჟურს და ერნაირად ეინათ აძინძიხიბულ, მყრალ, მაგრამ თბილ ქვაბულში, ერთმანეთს ჭამის მადითა და სიმსუქნით თუ სჯობნაინ, თორემ არავინ უწყის, ვინ ფეხმალი კისკასია და ვინ საპყარი, ვინ ცქაფია, გულდიდი და ვინ ლაყე და გულღრძო, ვინ მედგარი და ვინ ჯაბანი...

ჯოგიდან ნახევარი კი არა, ათიდან ერთი არ გიჯობს ამ მწვერვალების დამლაშქრავი? ამ ხევების თავზე გადამფრენი და მტრისათვის მიუწვდომელი, მგლის, დათვისა და არწივის საშური მცირედითაც კმაყოფილი? შიმშილით მძღომელი და წყურვილით წყურვილის დამრწყულებელი? და სადაც დაუღამდება, იქ გამთენებელი?..

რეხომ ამაზე ფიქრით იმდენი დღე დააღამა და იმდენი ღამე თეთრად გაათენა, კარგა ხანია იცის, რა დაუკარგა ჯოგს და შეუძლებელის შეძლება

მოინდომა – დაუბრუნოს შვილი საჯიხვეებს, ჯიხვს – ჯიხვობა. დაუბრუნოს, სანამ ჯიშში მთლად არ დაკარგულა და არ მომსპარა ჭირთა თმენის და გასაჭირ-გაუსაძლისში გამძლეობის ნიჭი. სანამ ჯიშის ამტანობა-ძლევას სძინავს და არ მომკვდარა, თვლემს, მცონარობს და არ აღმოფხვრილა.

ჯოგს გამოფხიზლება და თვალის გახელა სჭირდება. რა თქმა უნდა, ისე მხნე და მამაცი, ჯერჯერობით, ვერ გაიღვიძებს, როგორმაც დაიძინა, მაგრამ დიდხანს არ უნდა აზმოროს და თვალები არ იფშვნიტოს, უმალ უნდა გამოერკვეს, რომ ძღომა, მყრალ ბუნაგში გდება, – თვითკმაყოფილება და თავქეიფა, უნაირო ღნაშვა ხასიათად არ ექცეს, სანამ შეუპოვრობისა და საბრძოლო შემართების წარსული ისევ ახსოვს და მისტირის; სანამ დღევანდელი საჩოთირო ყოფა თვითონაც ეზიზღება, მაგრამ რაკი პირუთვნელობა დაკარგა, პატივმოყვარეობის გამო არ ძრახავს და ვერ ელევა, მანამდე, სანამ იმ ყროლ წუნწუხში გდებას და სავსე სტომაქით ყოფნას ყოფად, ცხოვრებად ჩააგდებს და სიზმრებში გადახდილ ბრძოლებსა და გამარჯვებებს სინამდვილედ მიიჩნევს.

სული თუ მძორაც იქცა, მძორისაგან მწვადის მეტი არაფრეი გამოვა. ცხვრისაგან, ვერავითარი შორსმჭვრეტელი ბრძენი მეწინავე ჯიხვს ვერ შექმნის, მაგრამ ჯიხვის თხად ქცევა იოლია – საკმარისია ფარეხსა და წველას შეაჩვიო, რომ ჯოგი არვედ იქცეს.

3

რეხოს, ჯერჯერობით, არ ზმანებია, ვინმე რომ წველიდა, მაგრამ სათესლე ტიკის მაგიერ რომ ცური ეკიდა და მგლის შავ-შავი ლეკვები წოვდნენ, ამას ხომ სიკვდილის მერეც ვერ დაივიწყებს. მას აქეთია მუხლჩაუხრელად დგას და ძილს სათოფედ არ იკარებს. დილიდან საღამომდე კლდეებზე ხტომამ, უმადობამ და უძილობამ დაასუსტა, სიპეები ჩაუცვივდა, ნეკნები დასათვლელი გაუხდა.

მეტის გაძლება აღარ შეიძლებოდა, აქაურობა ზეზეურად ჩამოახმობდა, გამოფიტავდა და რისი შემძლებელიც იყო, იმის უნარსაც დაკარგავდა.

როცა გადაწყვიტა, რომ ხვალ დილით აქაურობას უკანმოუხედავად გაცლოდა, დამშვიდებული დაწვა.

მაშინვე ძილმა მიიტაცა და ესიზმრა ის ხავსით დატალული კლდე, ერთგან ჟანგისფერი მარილი რომ ცრემლივით ჟონავს. ის კლდე ამ უზარმაზარ, უთვალავ მწვერვალში ერთადერთია, მარტოდმარტო, განუმეორებელი, შეუდარებელი... იმ კლდის ძირში, სულ ერთი ციცქნა, ჯილესავით ხვრელში, დედა შუნი რომ ტანს ძლივს იფარავდა, დაიბადა რეხო ნაშუაღამევს, ცისიერი რომ ძლივს, ძლივს ილანდებოდა და გამთენიამდე კინაღამ სული ამოხდა, სანამ დარანში მზემ მწვერვალებზე გადმოდგომისთანავე არ შემოიხედა. ბედნიერება იყო, რომ ფოთრის ქვეყნად მოვლინებას ამინდი დაესწრო და გაზაფხულის მზე, თბილის საშოდან გათოშილ ქვებსა და ღორღში ნასხლეტ, აკანკალებულ ფოთრს დედასავით მოეთბო.

არ იქნა და იმ დატალულმა კლდემ, იმ პირველხილულმა მზემ და დედა შუნის დამყვავებელმა მოხმობა-პეტელმა ბოლოღამინდელ ღრუბლიან და ქარაშოტიან ბნელში დილამდე წათვლემა არ აცალა და სიცივის მაგიერ სიცხემ გამოაფხიზლა.

აქ სიცხე შუადღითაც არავის ახსოვს. ეს ავადმყოფობაა თუ იმ დატალული კლდის მონატრების თაკარა, თუ იმ მზის ცეცხლი, და ბადებისთანავე რომ ბარჩხალა სხივებით მიეალერსა, ვაითუ გუშინ, გუშინწინ და იმის წინ კლდიდან კლდეზე, ქიმებზე, ხრამებსა და ნაპრალებზე ხტომის, რქით კიდებისას ჩამოცურება-ჩამოვარდნის, ჩლიქის წატეხვის, მუხლების დაბეგვისა და გვერდების დაბეჟილობის ბრალია?

დილამდე მღვიძარესაც ოფლი ასხამდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა და წყურვილს თოვლის ნაჟურიც ვერ უკლავდა. ის დატალული კლდის ძირი უნდოდა საწოლად, იქაური წყალი სამწყურვალოდ, იქაური ბალახი – წამლად და იქაური ყვავილები – თვალგასახარად.

ახალშობილს რომ დედამ თვალები ამოულოკა და პირველად გაახილა, გამთენიისას კლდის ძირში ოქროსფერი პატარა ოთხფურცლიანი ყვავილი დაინახა და მზის ამოსვლამდე იმან გააძლებინა. მერე, როცა მნათობი ამობრწყინდა, ისიც ვეება ყვავილ ეგონა. მზეს, რა თქმა უნდა, თვალი ვერ გაუსწორა და იგუმანა: სანამ ჩვილი ვარ, ამ პატარას უნდა დავჯერდე. დიდ ყვავილს, როცა გავიზრდები, ალბათ, მერე უნდა ვუცქიროო.

... და დილაუთენია, ხავისთ დატალული კლდის ძირში ანთებული პაწაწინა მზე და ის ჟანგისფერი ტინის ცრემლი ისე მოუნდა, აღარაფერი დაეძია, თავიც გასწირა, ჯოგიც და დედაბუდიანად აიყარნენ.

იცოდა, ეს სიცხე იმ დიდი და პატარა მზის მონატრება იყო, იმ ჯილესა და მარილიანი ცრემლის ისეთი წადილი, მანამ აქ იქნებოდა, ვერ დაიოკებდა, არ დაუცხრებოდა, არ გამოუნელდებოდა.

4

მიუძღვება რეხო, მიდის ჯოგი და ბრუნდება მშობლიურ საჯიხვეებში. უბრუნდება სიზმრადქცეულ ანკარა ჩანჩქერებს, ჩუხჩუხა მჟვავე წყაროებს, აყვავებულ მდელოებსა და ხევებს, სადაც წინაპრების ძვლები და რქები, მაგარი ძვლები ხყრია. უბრუნდებიან მოძმე ჯიხვებს, რომლებიც ასე მომრავლებული არ იქნებიან, მაგრამ მყვირალობისას სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლას გაუმართავენ და აქაურ დუნე თანამემამულეებს მსუქან შუნებს წაართმევენ, რომ ჯიში უკეთესის უკეთესმა გააგრძელოს. ვინც იმ გაწუწკებულ, გამაძაღლებულ მგლებშიც შესძლო არსებობა, სადაც დათვი, არწივი, ძერა და ორბი თავს ესხმოდა, მაგრამ გაუძლო; სადაც კბილებამდე

შეიარაღებული, მომრავლებული მონადირეები ბილიკებზე უსაფრდებოდნენ, ტყვიას მთიდან მთაზე უწვდენდნენ და თავი მაინც გადაირჩინეს.

რეხოს გზაზე დადგომამ თითქოს უშეღავათა, მაგრამ ხიფათი გარხეული ბაწარივით დაკიდებულ ბილიკზე დაშვებისთანავე აედევნათ და ერთმა შარშანდელმა ფოთრ-ჯიხვმა, პრიველსავე ციცაბოზე შეტყუპებული წინა ფეხებით ჩამოცურებას გადმოხტობა ამჯობინა. ქვევით თავი ვეღარ შეიკავა, მარცხენა რქის ძირი ლოდის შევრილს ჩამოჰკრა და შუბლი წითლად შეიღება. ეს იქნებ, სხვა დროს არაფერი, მაგრამ რქისკიდებით გასასვლელებში კოჭლი სჯობია, რაკი ცალრქანაღალატევის შეძლება განახევრებულია და ამ ჯოჯოხეთის გზაზე დამდგარს ჩვეული ძალის გაორმაგებაც რომ ვერ უშველის, ღონეგანახევრებული რამ გადაარჩინოს.

ეს ასეც მოხდა. ეტყობა, იმ საბედისწერო დარტყამამ თავბრუც დაახვია და იმჯერად, თითქოს, მალე გაუარა, მაგრამ დროდადრო, ალბათ, ისევ მოუვლიდა და როცა მყინვარის ენაზე გავიდნენ, რასაც ზაფხული ღრმა ნაპრალებს უჩენს, მაგრამ მისი გადნობა არავის ახსოვს, ცალრქანაღალატევს ფეხი პირველსავე ნაპრალში ჩაუცდა და ჩაიჩეხა. თითქოს ასეთ დროს კოჭლი და მუხლსუსტი უნდა დაღუპულიყო, მაგრამ ჯიხვები სხვაგვარად ცხოვრობენ და სხვანაირად იხოცებიან.

განწირულმა დაპეტელებაც ვერ მოასწრო. რეხო ნაპრალის თავზე მისეულმა თანამოძმეების ბღავილმა მოახედა. უკან მიბრუნება არ ღირდა. ჩალეწილს ვერაფერს უშველიდა და ცოცხლებს ცრემლი გულს აუჩვილებდა.

თვალცრემლანი, ატირებული ჯოგი ნაპრალებისა და უფსკრულების თავზე გზას ვერ გაიკვლევს.

ჯოგი გულდაკოდილი და აღრენილი გამოჰყვა, რომ მოძმე ასე უჭირისუფლოდ მიუტოვეს.

თითქოს ყველამ იცის, ნამდვილი გული გარედან არ ჩანს, მაგრამ საუბედუროდ, ყველას მაინც ხელისგულზე დადებული გული ურჩევნია.

5

ჯოგს თავში ლოდისცემა აღარ უშველიდა. საჭირო იყო მოძმის დაღუპვას სხვები გადაერჩინა, მაგრამ საშიშროება ერთგვარი როდია, ერთმა შემთხვევამ ჭკუა გასწავლოს და მეორედ არ დაგემართოს. ეს შეიძლება მსგავსი ფათერაკისთვის გამოგადეს, ციცაბოზე გადახტომა ასე ხელაღებით მეორედ ვერავინ გაბედოს, მაგრამ მწვერვალებში იმდენნაირი განსაცდელია, რამდენიც ქვა და ლოდი, რამდენიც გადასახტომი, ნაპრალი, უფსკრული და ქვესკნელი.

სითამამე და წინდაუხედაობა დამღუპველია, მაგრამ შიში და ყოველ ნაბიჯზე უსაფრთხო ფეხის დასადგმელის ძებნაც შეუძლებელი. ასე, იქნებ, ცხრა ნაბიჯით როგორმე წაიწიო, მაგრამ მეათეს ვეღარ გადაადგამ. ყოველწამს თუ ელდა შეგიკრავს ფეხებს, მაინც უფსკრულში გადაგაგდებს.

რეხოს იმ ჯიხვის დაღუპვის შემდეგ ხელახლა დასცხა, ვითომ, რამდენი ქვევით დაიწია, მეშეღავათაო, რომ ეგონა, ეს სისუსტეა, რომლის გაუმჟღავნებლობა შესძელი, მაგრამ განუცდელობა – ვერა.

მეწინავე შეჩერდა.

ფოთრ-ჯიხვი რომ არ დაღუპულიყო, ამ ვიწრო ხევზე გადასვლა არ უნდა გასჭირვებოდათ. მთელი ძალისმიერი გრძელი ნახტომი არ იყო საჭირო, მაგრამ – წინდახედული, გამოზომილი, რაკი სწორედ გადახტომამ და კლდეს შეხლამ გაუბზარა განწირულს რქა და თავბრუსხვევა დამართა... ისეთი ადგილი უნდა შეერჩიათ, გადაღმა თავით შესახეთქებელი არაფერი ყოფილიყო.

რეხომ თვალის ერთი მოვლებით შეამჩნია, მაღლა უნდა აჰყოლოდა. მაღლა აყოლა უკან დაბრუნებას ნიშნავს. სიმწრით გამოვლილი გზა ხელახლა გასავლელად და დროის დასაკარგავად დასანანია, მაგრამ მადლობა ღმერთს, დიდი მანძილის გავლა არ დასჭირვებიათ. იქ ხევი, თითქოს, განიერიც კი იყო, მაგრამ სამაგიეროდ გადაღმა მხარე ოდნავ დაბალი ჰქონდა და ზედ გადამვლებს წინ არაფერი ეღობებოდა, რომ ზედ მინარცხებოდა.

იქვე მდგომ ბებერ ხარს დაუსტვინა, წინ წასულიყო. ბებერს მუხლი ძველებურად აღარ ერჩოდა, მაგრამ გამოცდილება და საჯიხვეების მონატრება სხვებზე მეტი ჰქონდა. ადგილიდან აიწია, გადაეშვა და გაღმა იმდენზე მისწვდა, ყურის სიფართე რომ **დახ**კლებოდა, ჩაიჩეხებოდა. ოდნავ უკან დახევა და რამდენიმე ნაბიჯზე გამოქანება აჯობებდა. ბებერი ან შეცდა, ან ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად იანგარიშა.

რქაჭრელი გამოქანდა და იოლად გადაევლო. მეორე ბებერმა უფრო შორიდან გამოქანება ამჯობინა და დახტომისას ხიფათი ერთი ნაბიჯით უკან მოიტოვა. ქედამ აქეთაც დააკლო ერთი ნაბიჯი და იქითაც გადააცილა. რეხოს მისი საქციელი არ მოეწონა: ზედმეტი ენერგია არ უნდა დახარჯო, უნდა გამოიზოგო, მომჭირნედ ხარჯო, უზომოდ მფლანგველი სხვაზე აღრე რჩება ხელცარიელი.

6

მზე საშუადღეოზე იყო და ჯოგს მუცელში არაფერი ედო, გარდა იმ თითო-ოროლა სულმოკლისა, გზაში რომ, თუ სადმე რაიმეს მოახელთებდნენ, წაისვამ-წაიჭამდნენ. ისინი ყველაზე აღრე დაიღალნენ და გაუჭირდათ. წინა კივრაში ქიმებზე ხტომისას აკოჭლებულ ფერდნისლას ვითომ ამ დილით რომ აღარაფერი აწუხებდა, ბოლოს და ბოლოს, სატკივარმა გაუხსენაბ და ჯოგს სამ ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით აედევნა.

რეხომ ერთხანს მაინც ატარა სამწყსო, მაგრამ მწვერვალის კედელ-კედელ, განივად, ციცაბო დაღმართისა და აღმართის გადალახვა რომ არ დასჭირვებოდათ. ქარაფის ბოლოში შეჩერდა, სადაც ჯიხვის წვივის სისხო თოვლის ნაჟურის ღელე მოწანწკარებდა.

იმ დღეს უკვე დაღლილ და დადარდიანებულ ჯოგს სული უნდა მოებრუნებინა და ღამეც იქ გაეთია.

წყლის გარდა, ახლომახლო, იმდენი ბალახიც იყო, ამბოხებული სტომაქი დაეცხროთ.

იმ ღამეს ისე აღარ ჰყინავდა, როგორც ზევით, მათ მიტოვებულ სახიზნარში. მეორე დილით, უთენია, ფრიალო აღმართს უნდა შედგომოდნენ. დიდხანს უნდა ევლოთ აღმა-დაღმა და მწვერვალისათვის შემოევლოთ, რაკი ფრიაოლს იქით მწვერვალს ისეთი შვეული კლდეები საზღვრავდა, აქედან ორბი და ძერა თუ ჩაფრინდებოდა.

მტაცებელი ფრინველები, რეხოს ჯოგს, რაც ამ მიუვალში გადმოიხვეწნენ და ვეღარაფერი საკბილო იშოვეს, იმ დროიდან ჩამოშორდნენ. გუშინ რაკი ქვევით-ქვევით წამოვიდნენ და დღესაც გზა წინ გააგრძელეს, ამ ლეშის მოყვარულებმა სისხლის სუნი დაღვრამდე იკრეს და ცაზე ჯერ იარაო შეჰკრეს, მერე დაბლა-დაბლა აედევნენ და კედლებზე სახიფათოდ გაბაწრულებს ქიმებში მოთმინებით დაუდარაჯნენ.

ალბათ, საცაა არწივიც გამოჩნდებოდა და მეწინავეს ჯოგი ან ისეთ ბილიკზე უნდა გაეყვანა, სადაც ფრინველთა მეფეს ფოთრ-ჯიხვებზე თავდასხმა და ხევხუვებში გადაგდება არ შეეძლო, ან თუ სხვა გზა არ იქნებოდა, ასეთი საბედისწერო ადგილის თავზე თვითონ შემდგარიყო და ქვევით ჯოგი გაეტარებინა.

სანამ არწივს დაინახავდა, რეხოს მახვილ სმენას მისი ყაშყაში მოესმა. მას, მიუხედავად მისი ულმობლობისა, არწივი უყვარად. ხიბლავდა მისი ძლიერი ფრთებით ატეხილი შუილი და უძალისხმევო ძლიერება. მეფის გამოჩენისას შევარდნები თუ გაიქროლებდნენ ცაზე, თორემ, თით არწივზე მძიმე ორბებიც კი ქიმებიდან ქვევით, კლდის ეხებში ჩაინაცვლებდნენ, ძერები და ქორები აფრენასაც ვერ ბედავდნენ, ყვავ-ყორნები ხომ იმ არემარეზე ვერ გაიჭაჭანებდნენ.

არწივი მათ ვერც ხედავს და არც ერჩის, მაგრამ ისინი ხედავენ, მისი ლიერების წინაშე ითრგუნებიან და გაუდევნელად იდევნებიან.

ესაა, ალბათ, რეხოს რომ მოსწონს. ძლიერებას ძალის გამოვლინება არ უნდა დასჭირდეს, იგი იმდენად თვალში საცემი უნდა იყოს, თვალდახუჭულმაც დაინახოს, როგორც მშვენიერებას არ უნდა ძახილი: მიცქირეთ, რა მომხიბვლელი ვარო! – პირიქით, თავსაც რომ აბეზრებდე, თვალს მაინც ვერ უნდა სწყვეტდე.

დატალული კლდის ძირში ამოსული ყვავილივით უნდა იყოს, პატარა მზესავით, თვალს რომ ვერ აშორებ, არ ჩანს და ხედავ: აგერ, რეხო დაბადების დღიდან უცქერის და სიბერეში ფეხშედგმულს სიზმრიდანაც უნათებს, სიცივეში იმ სიშორიდანაც ათბობს.

არწივი ჯიხვის რქასავით აწვდილ მახვილი ქიმის წვერზე დაეშვა. თითქოს ქვევითაც არ იხედება, მაგრამ ყველაფერს ხედავს. არ იმალება და არ გეპარება. იცი, აგერაა და, თუ ჭკუა გავქს, თავს გაუფრთხილდი. თუ არ იცი, ფეხს სად ადგამ და წინ არ იხეედბი, არაფერი გიხსნის. ასეთი უთაური დღეს არა– ხვალ ორბის, ან მგლის არჩივი გახდები და ბარემ მეფეს ერგო, ვინემ შავმა, მყრალი ლეშისჭამია ყორნებმა გძიძგნონ.

რეხომ დიდი ხნის წინათ ამოიარა ეს გზა, მაგრამ ყოველი კლდე და ქიმი, ქვა და ღორღი ახსენებს იმას, სად რა ხიფათი ჰყავდა ჩასაფრებული და რა დაჰკარგა. ამ არწივის მამა იყო, ალბათ, იმ მოწითალო, ღია ბილიკზე რომ ჯიხვები გამწკრივდნენ და რეხო შემზარავმა ყაშყაშის ხმამ დაზაფრა. უკან მობრუნება დააპირა, მაგარმ ერთხანს ფეხი ვერ წადგა, რაღაცნაირად დატყვევა, მალე კი ყველაფერი გვიან იყო. ზევიდან გადმოსროლილი ლოდივით დაეშვა მტაცებელი. მისი შუბივით წაწვდილი თავი ნატყორცნივით სწორხაზოვნად უახლოვდებოდა სამსხვერპლოს. სრბოლისაგან ატეხილი ქარი ჰკიოდა. სანამ დაეცემოდა, ფრთები ას-ასი ხანჯალივით გაშალა, ნახევრად გადაიხარა, ცალი მხარი ჰაერსა და ჯიხვს ერთდროულად დაჰკრა, გამეტებული, ერთი დაკვრით, ქვევით გაისროლა და მაღლა ავარდა. დაბლა არც დაუხედავს იმის ზედმიწევნით მცოდნეს, როგორ დაჰკნა, სად გაგზავნა და ცხელი სადილი სად ელოდა.

მეწინავე იმ თავღია, მოწითალო კლდის ბილიკზე დადგა და თვითონაც კარგად მცოდნემ, მოძალადე სამიზნედ რომელს ამოიღებდა, ყოველ სამსხვერპლოდ განწირულს ბილიკის თავიდან ბოოლმდე გაჰყვა, სათითაოდ გადაიყვანა თავისი მაღლა შემართული მძიმე რქების ჩრდილქეშ არწივის ულუფად თვალდადგმული.

7

რაც ჯოგმა მზიანი კალთებისკენ გადმოინაცვლა, თითქოს ბალახი ყუათიანი და ყვავილი სურნელოვანი გახდა. წინ დიდი სიფრთხილით მიიწევდნენ, მაგრამ რაკი დიდ დროს არ კარგავდნენ, ხეირიანად დანაყრებისა და დარწყულების დრო აღარ რჩებოდა თან მტაცებელ ფრინველთა თავზე წრიალი ჯოგს მადას უკარგავდა. მათი თავდასხმებისა და ვერაგობის არმცოდნე ჯიხვებს თვალი სულ მაღლა ეჭირათ, ყოველი მათი გადაფრენა და ყიპყიპი თავდასხმა ეგონათ. ამასობაში ჭრელი, უმშვენიერესი შურთხებიც გამოჩნდნენ, მათმა განგაშმა და ზარის რეკვამ ხომ ყველაფერი არია, ერთიანად ააფორიაქა.

დამფრთხალი ჯოგი ვერც რეხოსა და ორიოდე ბებერი ხარის სიმშვიდემ დააშოშმინა. ვერ დაიჯერეს, რომ ისინი არც ერთი საშიში არაა, გარდა არწივისა და ისიც მაშინ, როცა რომელიმე უგუნური ფოთრი ისეთ შვერილზე შეხტება და შეჩერდება, საიდანაც მისი გადაგდება შეიძლება. არადა, ეს შფოთი და შიშია ის, რაც მომხდურებს უნდათ, რომ ცას მიშტერებული და წინდაუხედავი შეიძლება აქ ყოველ ნაბიჯზე გადაიჩეხოს და მტრის გული გაა-

ხაროს. შურთხიც ზარს იმიტომ რეკავს, რომ ჯიხვებმა ცას კი არ უყურონ, წინ დაიხედონ, ყოველი ნაბიჯი კარგად მოზომონ და როცა ამის საშუალება ეძლევათ, თავაუღებლად ძოვონ და დარწყულდნენ, არ დაიმშენ, მუხლში ძალა არ გამოელიოთ და თვალში – სინათლე. ჯიხვმა თუ მუცელში არაფერი ჩაიდო, შურთხი რითი იკვებოს. თავდამსხმელს კი ის უდარაჯებს, რომ ჯოგმა თავისი საქმე მუყაითად აკეთოს.

მტაცებელი ფრინველების მოძალებამ და შურთხების გნიასმა მაინც შეიწირა ერთი ოტროველა, ახალგაზრდაც რომ აღარ ერქმოდა. არწივის მსხვეპლი მაინც გამხდარიყო. ორბის დაბალზე, თითქოს თავზე დაცემის რომ ჰგავდა, ისეთმა გადაფრენამ დააფრთხო. ვითომ მარდად გაცლა ინდომა, აიწია დ აუკან გადახტა, მაგრამ ერთ საშიშროებას რომ გაეცალა, ეგონა, ის ვეღარ ივარაუდა, სად უნდა დამხტრიყო და ისე, რომ არაფერს წამოსდებია, ხევში გაქანდა. მტაცებლები ყივილით დაედევნენ და ზეცა, ერთხანს, აწიოკებული შურთხების ამარად დარჩა.

ამან ჯოგში უმრავლესობა ისე დააშინა, უმეწინაოდ რა ექნათ, თორემ, მათ საიმედო თავშესაფარში დაბრუნება და ისევ ხიზნობა ერჩიათ. ამ უბედურებას თუ საჯიხვეებში კიდევ მგელი და დათვი დაემატებოდა, თან ჯიხვების მძვინვარე მტერი– მონადირეც ტყვიის ცეცხლში გახვევდათ, წინ ნაბიჯის წადგმა აღარ ღირდა. იქ, ალბათ, ყველა ამოწყვებოდა და რომელი ჯიშის გადარჩენაზე შეიძლებოდა ფიქრი და რისთვის იღვწოდა მეწინავე? ან ის ორიოდე ბებერი, ერთ დასტვენაზე რომ უფსკრულის თავზე გადადიოდა? ან ის რქაჭრელი, ქედა, რქებგაშლილი, პირქუშა, მეწინავის ალი-კვალი და კიდევ ორი-სამი გამოუცდელი ახალგაზრდა რომ აიყოლიეს და იქ დაბრუნება უნდათ, რაც წინაპრებმა დაუტოვეს და მათ თვალით არ უნახავთ.

დაიბნა ჯოგი, გაორჭოფდა, სასო წაერთვა.

თითქოს ისიც იციან, რომ მტრების შიშით რეხო ჯოგს უკან აღარ დააბრუნებს ჯიხვის ჯიშის დასაღუპავად. თუ განწირულნი არიან, ხელის გაუნძრევლად ეყარონ და აღსასრულს ელოდონ? არ სჯობია კლდესთან, უფსკრულთან, არწივთან, მგელთან და მონადირესთან ჭიდილში ამოწყდნენ? მებრძოლი, გამარჯვების მცდელი დაიღუპოს, ვინემ გამოქვაბულში შემვრალი ლაჩარი თავისსავე ნეხვსა და წუნწუხში ამოიხრჩოს!

არწივთან, მგელთან და მონადირესთან მოქიშპის დაღუპვა, შიშველი რქების ამარა ჯიხვების დაამრცხება წაგებულ ბრძოლად არც მიიჩნევა. თეთრი მთები და მარად ყინულოვანი უფსკრულები მათ ძვლების მაინც შეინახავენ და შთამომავლობას გადასცემენ, რომ აქ ოდესღაც ბინადრობდნენ ცატეხია მწვერვალების მშვენება არსებანი, რომლის მსგავსი ქვეყნიერებაზე არ იყო. მართალია, უთანასწორო ბრძოლაში განადგურდა, მაგრამ არ დამარცხებულა. ამდენნაირ მუხანათ მტერს შიშველი რქებით ვერ გაუმკლავდა, მაგრამ გამოქვაბულში, ხვრელსა და სოროში არ შემძვრალა, მეწველ თხად და საკრეჭ ცხვრად არ ქცეულა. სანამდე იყო, ჯიხვი იყო, თავისუფალი, მწვერვალების მშვენება და როცა არ იქნება, მის ნამოსახლარს მაინც საჯიხვეები ერქმევა. საყვავყორნეს, სატურიას და სამგლეთს ვერავინ დაუძახებს.

იყო და არ არის, მაგრამ სანამ იყო – იყო, და არა ის, რომ იყო და არა იყო რა.

თუ ჯიხვის სამყოფელს სამგლეთი, ან სადათვეთი ჰქვია, ჯიხვი იქ იღარღილებს თუ ერთ დღეს გაწყდება, სულერთია, მისი სახელი მის ქვეყაანს მაინც არ ჰქვია. რასაც შენი არ ჰქვია, შენს იქ ყოფნას არყოფნა სჯობია. თუ გვარ-სახელი გაქვს, სხვისი გვარითა და სახელით რატომ უნდა გიხმონ. ვის რა ჰქვია, იმას ეძახიან, თავისია, პატრონია და სახელდებით იცნობენ. შენ თუ სხვა ხარ, სხვას რატომ გეძახიან? შენ თუ იყავი, შენი გერქმეოდა და თუ ხარ, გვარ-სახელი რა უყავი!

ჯიხვს საჯიხვეებში უნდა გეცხოვრა და სატურია, სამგლეთი ან დათვეთი არ დაერქმეოდა.

ჯიხვებს საჯიხვეებს იქით არ ეცხოვრებათ! რაკი ამ მწვერვალების მშვენებას ციცაბო კლდეების ქიმებზე დაეძებს მოყვრისა თუ მტრის თვალი და სადმე, გამოქვაბულში, ხვრელში, სოროში ან გადასაკარგავში ვერავინ იპოვის და დაინახავს.

ჯიხვები თუ საჯიხვეებში არ იქნებიან, მაშინ დედამიწაზე აღარ იქნებიან!

თავი მეოთხე

1

ჯოგი იმ ქვესკნელის პირას იდგა, საიდანაც, ერთ დროს, ახალგაზრდა მეწინავემ და მისმა სამწყსომ, არცთუ უდანაკარგოდ, მაგრამ გადმობარგება შესლო. მაშინ უკან დაბრუნებაზე არავინ დაფიქრებულა, რაკი მტრებით გარემოცულ საჯიხვეებში ბინადრობას აღარ აპირებდნენ. როგორმე გადმოსვლა მოეხერხებინათ და გადასვლა არავის ადარდებოდა.

სანამ შეხვიდოდე, გადმოსვლაზე უნდა იფიქრო.

მტერი მტერია, მაგრამ ამიტომ სულელი კი არაა, პირიქით, მონადირე მოსანადირებელზე მოხერხებული, ჭკვიანი უნდა იყოს, თორემ პირში ჩალაგამოვლებული დარჩება. დამპყრობელი თუ დასაპყრობელზე ძლიერი, მუხანათი და ვერაგი არაა, ვერავის დაიმონებს. ასე რომ, თუ ვინმე არ რაიმე აქეთ სამტროდ გადმოსვლას ინდომებდა, უკან დაბრუნებაზეც იფიქრებდა და იმაზეც – ხელცარიელი არ დაბრუნებულიყო. ამ უფსკრულში რომ ჩაიხედავდა, უმალ მიხვდებოდა, გადმოღმა უფრო მეტს დატოვებდა, ვინმემ გადაღმა გადაიტანდა.

ახლა, ფოთრი რომ ფოთრია, ისიც ხედავდა, სანამ ეს ქვესკნელი ჯიხვებით არ ამოივსებოდა, აქედან არავის გაუშვებდა. გამხტომს, იქნებ დიდი ძალისხმევით, შეიძლებოდა იქითა კლდისთვის ფეხი

მიეწვდინა, მაგრამ იქ იმისთანა ტინს უნდა შეხეთქებოდა, სადაც ვითომ ჩლიქის მოსადებია, მაგრამ ზედ ვერ შეჩერდები. გვერდით გადმოზნექილ პიტალოს თავზე ჩანს ვიწრო ნაბზარი და გაღმა გაღწეულმა რომ წამით დააყოვნოს, მაშინვე არ შეიმართოს, ნაბზარს რქით არ მიწვდეს და თან ისე შეუცდომლად, რომ უეჭველად გამოსდოს, თორემ ჯოჯოხეთი ჩანთქავს. რომელი სვებედნირიც ნაბზარზე დაეკიდება, ტანი ისე უნდა გაიქნიოს და გაისროლოს, სამი ჯიხვის სიგრძის იქითა შვერილს მიწვდეს და ზედ შერჩეს. სამშვიდობოს გასული მაინც არ ეთქმის. იქიდან, კლდეს აკრულმა, ბეწვის ბილიკზე ისე უნდა გაიაროს, ფერდები ჩაცვენილი ხქონდეს და ნეკნებზე ბალანი უნდა გადაეყვლიფოს, რომ ტანმა აქეთ არ გადმოძალოს და უფსკრულში არ გადაეშვას.

მეწინავე იმ ვიწრო ნაკვალევის ბოლოში დადგა, საიდანაც ჯოგი ამ ქვესკნელის პირას ჩამოვიდა. აქ ამდენი ჯიხვის არც დასანაყრებელი იყო, არც დასარწყულებული, მაგრამ თუ მთლიანად დაღუპვას და განადგურებას არ აპირებდნენ, სმა-ჭამა არც უნდა გახსენებოდათ.

რეხომ ჩამოსასვლელი გადაკეტა. ის ძალისძალა აღარ შესწევდა, წინ გაჭრილიყო, გადაულახავი გადაელახა, გულადები წაექეზებინა და გაეყოლებინა. იმათთვის, რომელიც შიმშილით სიკვდილს არჩევდა და უფსკრულზე გადამვლები კი არ იყო, უკან გადმოსულიყო, აეძულებინა, გადაერეკა და გაღმა გასვლა ისევ შესძლებოდა.

2

მეწინავე ჩამოსასვლელის თავზე შეუვალად გაირინდა. ყველას უნდა სცოდნოდა, ერთადერთი გზა წინ იდო, ამაო იყო სხვა მხარეზე თვალის გაპარება. გაღმა, მხოლოდ გადაღმა უნდა ეცქირათ.

გადასვლა ორი სიკვდილიდან უკეთესის ამორჩევას უდრიდა. გამოღმა გარდაუვალი აღსასრული თუ აფიქრებინებდათ, საეგებიო სასწაულის მოიმედე გზას დადგომოდნენ.

აქეთ არაფერი გიხსნის, იქით – სასწაული.

ასეთ დროს ჯიხვები მეწინავეს ვერ აუმხედრდებიან და თავს ვერც გაქცევით უშველიან. შიშს დიდი თვალები აქვს და მხდალმა იცის, არსად გასარომი არაა, დაზაფრულს ფეხები შეკრული აქვს. მამაცმა– მხდალი არ გარბის, მე სად წავიდეო. ავყია დამუნებულია: რომ ავყვირდე, ვაითუ პირველს მაიძულონ გადახტომა და მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო. თუ ხმა ვერ ამოიღე, შენისთანებთან, უმრავლესობაც რომ იყოს, პირს ვერ შეკრავ და მაღლიდან გადმომდგარ მეწინავეს ვერ გადმოაგდებ. ისეთ ადგილასაა, ერთად ორი ჯიხვიც ვერ მიუახლოვდება და სათითაოდ, ვისაც გული ერჩოდა, რეხო მყვირალობისას ნაბრძოლია. შეტაკება თანასწორ პირობებში არ წაუგია და ახლა, ვინმე მასზე ორჯერ ძლიერიც რომ იყოს, შეუძელბელია ქვევიდან მისწვდეს და მისი მორებადქცეული რქების დარტყმას გაუძლოს.

ჯოგში ბევრი თითქოს გუამნით ამინც გრძნობს, რომ რაღაც შეულეველს, დაკარგულ საუნჯეს უბრუნდება, მაგრამ ვერ გაუგიათ, რაა მზისქვეშეთში, რაც იცი, სიცოცხლის ფასად ჯდება და მაინც იქით ეშურები?..

ამქვეყნად ყველაფერი ცოცხალს უნდა და თუ აღარ იქენი, რა შეიძლება იყოს ისეთი, რაც ცოცხალსა და მკვდარს ერთნაირად სჭირდება?.. ყველამ იცის, რაა დღეს მისთვის აუცილებელი, იქნებ ისიც– რაც ხვალ დაზეგ. უფრო ჭკვიანებმა – რაც ერთი წლის შემდეგ და კიდევ უფრო წინდახედულებმა – რაც სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ სიკვდილის მერე არავის არაფერი სჭირდება. და რაა ისეთი, როცა ამ უუფსკრულის ძირში ლოდებზე ძვლები ცალკე გასცვივა, რქები – ცალკე, ხოლო ხორცი სისხლად ჩაიქცევა, ამის მერე რა რჩება? ამ დაღუპვამ რა უნდა გადაარჩინოს ისეთი, რაც სიცოცხლეზე ძვირად ეღირება?

3

ჯოგი ბრუნავს, დაბღვერილი და რექბმოზიდული კუშტი ჯიხვები მორევივით ირევიან. საკმარია ვინმემ რაიმე წამოიბღავლოს და ის კი არ გაიგონ, რისთვის, რატომ, ან რა ბოღმამ აიტანა, მაშინვე ამ ხმის გამღებს ეძგერონ, რომ არავის საბედისწეროდ არ წაცდეს და არ წამოაპეტელოს: – წინ დავიძრეთო, უფსკრულზე გადავიდეთო!

ახალშობილმა ფოთრმაც კი იცის, დედამისიც რომ გადახტეს, თუ თვითონ ძალა არ შესწევს, სადაც ვერ გააღწევს, არ გაჰყვეს, ამას სწავლა არ უნდა, მათი მოდგმა საამისოდ დაკვალიანებული იბადება. ასე რომ არ იყოს, სანამ დაჭკვიანდება და დაბრძენდება, ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულ აღსასრულს ვერ გადაურჩება.

ყოველი სულიერის ჩასახვასთან ერთად ჩნდება სიკვდილი და ზოგს დედის მუცელშივე აშთობს. ქვეყნად მოვლინებულს ხომ ფეხდაფეხ დაჰყვება, სად წამოეწევა და უყელებს, არავინ იცის, მაგრამ ჯიხვივით ერთგულად მაინც არაფერს დარაჯობს – კოჭებში დასდევს და ერთი წაფორხილება კმარა, რომ სული ამოხადოს. ჯიხვმა რომ იცოცხლოს, სიკვდილთან ბრძოლისათვის მზად უნდა დაიბადოს.

ფოთრს დანაბადი ლოპრი და ლორწო შემშრალი არა აქვს, რომ ფეხზე დგას, ნახტომს აკეთებს და გარბის, რომ ხიფათისაგან ჯერდაუნახავი თავი იხსნას. არ იცის, ვინაა – ბუნების მშვენიერი, ზვიადი შვილი, თუ გონჯი, ჯოჯო და სახიჩარი... არ იცის, არ იცნობს და, ოტებული, უცნობ თავს იცავს.

და ახლა, როცა დაბრძენდა, თანდაყოლილ თავდაცვის ნიჭს ამდენი ცოდნა და გამოცდილება დაეამტა, ასი ათას მტერსა და ფათერაკს გადაურჩა, ადგეს და მიადგეს ჯოჯოხეთს, რომელსაც, წინდაწინ იცის, ვერ გადაევლება? იქითა ნაპირს რომც მისწვდეს, ფრიალოზე დასადგომი არსადაა, არც იქვე რქით მისაწვდომი. კედელს მიხეთქუბელმა, აქე-

დან გაყოლილი სწრაფვა სანამ უკუბიძგად ქცეულა, მანამ უნდა მოასწროს აღმართვა და გადმოზნექილ სიპზე, ერთადერთ ვიწრო ნაბზარში რქით ჩამოკიდება. ცალი რქით უნდა დამაგრდეს და უკუბიძგი, რომელიც ქვესკნელში აგდეს, კი არ უნდა გააბათილოს, როგორმე გვრედზე მიაქციოს, შვერილისკენ გაქანდეს და ზედ შეისროლოს. ასე რომ არა, სამი ჯიხვის სიგრძეზე ვერ მისწვდება. თუ აქედან გადაყოლილმა სწრაფვამ თავიდანვე ვერ უშველა, მეორედ უფრო ნაკლებზე გაქანდება, იმ შვერილს ვეღარ მიაღწევს და ჯობია, რქა ნაბზარიდან არ ამოიღოს, თორემ ჩავარდება. არ ჩავარდება და, დაკიდებულიც სანამდე გასძლებს, თან სხვებსაც გზას დაუკეტავს.

ჯოგმა ხევის პირზე ჩაიჩოქა. შიმშილს, წყურვილსა და დაღლილობაზე მეტად, მუხლი უიმედობამ მოჰკვეთა და სასო წარუხოცა.

4

მეწინავე იმ ღამით ჩამკეტი ბილიკიდან არ ჩამოსულა და არც მუხლი ჩაუხრია. ახლა ჯოგში მისი სისუსტისა და დაძაბუნების მოსურნე ბევრი იყო, რომ როგორმე უკან დასაბრუნებელი გზა გახსნოდათ და ხვალინდელ, ან ზეგინდელ გარდაუვალ უბედურებას გადარჩენოდნენ.

არწვი გაფრინდა, თორემ ორბები, ძერები და სვავები ახლომახლო ქიმებზე ჩამოლაგდნენ და ყვავყორნები მათ ახოლს ვერა, მაგრამ ხეობებში ჩხავილით დაფარფატებდნენ მსუქანი ლეშის მოლოდინით სულწასულები.

ერთი-ორჯერ ფეხზე წათვლიმა რეხომ და ორივეჯერ დატალული კლდის ძირში, ხაბოს წინ ოთხფურცლიანი მზისფერი, პაწაწინა ყვავილი ისიზმრა. ორივეჯერ ჯიხვის ბეწვის ტოლა სხივები უბრწყინავდა და თვალს კი არ სჭირიდა. სიზმარში კლდეც თითქოს ლორთქო, მოლურჯო– მწვანე იყო. ხავსით კი არა, ზურმუხტის ბუმბულით შემოსილი და მუქ წითლად დატალული. მაგრამ მეწამულ, დალეკერტებული სისხლის ფერს ხავსიც აღარ ეთქმოდა და კლდესაც იმ ჟანგისფერზე დასდებოდა, სადაც სინოტივე მარილიანი ოფლივით ჟონავდა, დაისისფერ ათინათს გამოსცემდა, თუმცა მზე არსად ჩანდა. ბოლოს ლოდი სულ ორი ფერისა იყო– სილურჯედაკრულ მწვანე და მეწამული. ყვავილიც სულ კი აღარ ასხივებდა, დროდადრო ათინათად გაიელვებდა...

რისი შიშიც ჰქონდა, ფურივით რძით სავსე ცური არ გამიჩნდესო, ერთხელაც აღარ ზმანებია. მაინც გაღვიძებისთანავე რქის წვერით ლაჯები მოიქექა. გამხნევდა – ყველაფერი თავის ადგილზე ჰ ქონდა. უკანა ფეხებზე ჩაიყუნტა, ძილგამფრთხალს უნდოდა, სხვა ათას საჭირბოროტოზე ეფიქრა. ეშინოდა, ამ დაუოკებელ სწრაფვას იმაზე მეტად არ აეჩქარებინა, ვინემ იჩქარა და თავზე იმაზე დიდი უბედურება არ დაეტეხა, ვინემ ელოდა.

5

დილა ნისლით გაყურსული გათენდა: მღვრიე წყალივით თვალგაუღწეველი, მეორე ჯიხვის ვერდამნახავი, იმდენად ნოტიო-სველი, წყურვილს უწყლოდ რომ დაარწყულებს. ნამის თქორი ქვებსა და ლოდებს ცივი ოფლივით მოწვეთავდა და მოწურწკულებდა.

მშიერ-მწყურვალ ჯიხვებს შეეძლოთ ჟანტით გაჯერებული ჯანღი ფილტვებით ესვათ, სისხლით ძარღვებში წაეღოთ და წყურვილი დაეოკებინათ.

ქვაყრილებში ამომძვრალი ბალახი, ჭამაზე სულწასულებს, წუხელსავე ისე გადაეკორტნათ, ამ დილით ცვარის დასადებიც აღარაფერი იყო.

რეხოს იმათთვის არ ეცალა და არ დაუნახავს, მაგრამ ამ საბედისწერო გადასასვლელზე გამოჩნდება – უფსკრულში უწინ ისინი ჩაცვივდებიან; არა იმიტომ, რომ იმდენი იშოვნეს, სტომაქი ამოივსეს და დამძმდნენ, იმ განსაცდელის მცოდნეს, რაც დღეს-ხვალ აქ ელოდა, ჭამის მადა არ უნდა შერჩენოდა. ამისთანა უდარდელმა და კუჭის მონამ აქედანაც რომ გააღწიოს, ჯიშს მაინც გადააგვარებს.

დარდი საქმეს არ შველისო, ამბობენ უდარდელნი. სანამდე ვართ, დრო ვატაროთო, თავში ხელის ცემა და ქოჩრის გლეჯა რას მოგვცემს, რას გვისაშველებსო. თავში ხელის ცემამ, თუ ის თავია, უნდა ატკინოს, აფიქროს, ააზრებინოს, ჭკუა გადაუბრუნოს და სახსნელი აპოვნინოს. ამისთვისაა ჭმუნვა და ვარამი, ურვა და კაეშანი. ჭკუა დარდია და ჭკვიანი დარდიანი.

დარდია, რომ რეხოს ღამეებს უძილოდ ათენებინებს და ფიქრმა ჰქნა ის, რომ ორიოდე უხიფათო ფეხის ჩაცდენამ დაღუპვის კარზე მისული თავქეიფა, მაძღარი და ბედით კმაყოფილი ჯოგი დაანახვა.

უდარდელი იმას ხედავს, რასაც თვალით უცქერის. თვალით ის ჩანდა, რომ ჯიხვები ცოტა დაქეციანდნენ, თორემ მსუქნად გამოიყურებიან. ამ დღეებში თითო-ოროლა თუ აკოჭლდა, თორემ ფეხუცაც კი არ ერიათ, რქაც მთელი ჰქონდათ, მაგრამ სულით გაძვალტყავებულნი და ოთხივე ფეხის კუნთზე ქონდადებულნი, ფიქრსა და დარდში გამოჩდნენ. დარდმა და ფიქრმა მორეკა ჯოგი თავის წინამძღოლიანად ამ უფსკრულამდე და თუ აქედან გაღწევა ვინმეს უწერაი, ისევ დარდიანსა და ფიქრიანს.

ვისაც ჯავრი და შეჭირვება შეულია, იცის, აქ დარჩენა დაღუპვაა და იმას უკან დასაბრუნებელი გზის ჩამკეტი არ სჭირდება. ჯიშის გადარჩენისათვის იმ უფსკრულში გადაჩეხვა უფროა გადარჩენა, ვინემ აძინძიხებულ ქვაბში თბილად წოლა და უნაღვლო დღეების ცოხნა. თუ ხორცმა სულზე გაიმარჯვა, დაჩაგრა და დააბეჩავა, დიდი ძალისხმევითაც თავს ვეღარ დაიხსნის. სულია ცოტათიც კმაყოფილი და მოყვასზე ზრუნვით მდიდარი. უსულო ხორცს მგლის მადა აქვს და სვავის უძღებობა.

ჯიხვს სულია, საჯიხვეებში რომ იხმობს, თორემ ხორცი სადაც დარწყულდება, დანაყრდება და ვნე-

ბებს დაიცხრობს, მისი სამშობლოც იქაა. ვინც თეთრ მწვერვალზე, დატალული ლოდის ძირში დაიბადა და იქვე, ციცქნა ხაბოს პირას თავისი ოთხფურცლიანი, ახალშობილის ჩლიქის ტოლა ყვავილი დახვდა, დედის თვალებივით რომ უღიმოდა და მზესთან ერთად დედასავით ათბობდა, იგი სხვაგან ვერ დაბერდება. იმ კლდეს მონატრებული, ცრემლივით რომ მოწვეთავდა მარილიანი ნაჟური და მუხლმაგარ ფოთრს ზრდიდა, ყოველი ქვის ძირში ღამეს არხეინად ვერ გაათევს და ყველა დილა ნათელი არ იქნება. ვინც ქვაბულის მყრალ, მაგრამ თბილ სიბნელეში იშვა, მზე და ყვავილი კი არა, დედაც არ დაუნახავს და ძუძუ ვისაც უნდა ეწოვებინა, მშობელი ეგონებოდა, იმისთვის სულ ერთია, სად დაუღამდება და სად გაუთენდება. მის სიზმრებში დახუთული მღვიმის ნათელის უხილავი კედლები ზურმუხტის ქათიბით ვერასოდეს შეიმოსება და მისი ხელახლა ხილვის წადილი სისხლისფერ ათინათად არ იელვარებს. ისე, როგორც მისი ყვავილი მზის სხივებს ვერ მოისხამს.

6

რეხოს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. თავს ძლივს იკავებდა, ჯოგს გადავლებოდა, უფსკრულის პირიდან შეუჩერებლად აეზიდა მძიმე სხეული მის, საჯიხვეებისაკენ ოტებულ სულს, რკინის მუხლი მოება, ფრთები შეესხა და მარტო ძალისა და ღონისაგან კი არა, სიძაბუნისა და ხნიერებისაგანც ძლევა გამოეხმო. აქედან ფიცხელი ნახტომით იქითა ფრიალობაზე მინარცხებისას ტინში ჩლიქებით ღრმული გაეჩინა, იქიდან გვრედზე და მაღლა ამხტარიყო, გადმოზნექილი კლდის თავზე ნაბზარს რქით იოლად მიწვდომოდა, მერე ტანი წინ გაეტყორცნა და შვერილზე შემგარიყო, სიპ კლდეს მიტმასნილ ბილიკზე ისე გაერბინა, არ ჩაესუნთქა, გასავალს გაეღწია.

სული კბილით ეჭირა, ისე უნდოდა მიეტოვებინა აქაურობაც და აქ დარჩენის მდომლებიც. იქით გადასვლის მოსურნეებსაც კი თვითონ ეზრუნათ თავს თავზე და რეხო საჯიხვეების გზას გაკიდებოდა. წინ კიდევ ათასი ფათერაკით სავსე ბილიკებზე ერბინა, ეხტუნა, ეფრინა... გზადაგზა ჩასაფრებულ მტაცებელ ნადირებს გასხლტომოდა, მონადირის ტყვია აეცილებინა და ჩაეღწია იმ თავის დატალულ კლდესთან, მოლოდინის ჭირთათმენისაგან სისხლი რომ ჟონავდა და ის პატარა, ჩვეულებრივი ყვავილი სხივებად აქცია.

მისულიყო და ჩუხხჩუხა, მჟავე, მარილიანი, რკინის მუხლისა და რვალის რქის მომბმელი, დედის თვალების ფერი წაყროს წყალი ესვა, ზურმუხტის ბალახი და ხავისი ეძოვა. იმ ეხში შეწოლილიყო, სადაც დაიბადა, ღამე გაეთია და დილით, თუ გინდა, ტყვია გამოვარდნილიყო, ზუსტად, მიზანს აუცდენლად და სულიც დაელია...

უბედურ, ყოველღამ ნატვრით გაწამებულ სიზმრებში ბოგინს, უკვე სიცოცხლის ფასად ახდენილი ერთი დღის ბედნიერება ერჩია. აქაურ წელიწადს იქაური ერთი დღე უობდა, მაგრამ ვინც მოძმისათვის არ იღვწის და უსულოს სულს არ ჩახბერავს – სულისაგან იძარცვება. ვისაც ცოდვის შენდობა არ ძალუძს – შეწყნარებას ნუ ელის. ვინც მოძმის თანამდგომი არაა და განსაცდელში მიატოვებს – წინსავალ გზაზე ეკალსა და ჭირს თესავს. ვინც ბრმას გზას არ უნათებს – თავის სხივოსან ყვავილს ვერ იხილავს.

რეხომ დააყენა ჯეელობისას ეს ჯოგი ამ გზაზე, მაშინვედელი ჭკუით, განადაგურებისაგან რომ ეხსნა და ახლაც მანვე უნდა დააბრუნოს – გადაშენებისაგან რომ გადაარჩინოს. თუ ჯოგი თავგანწირვის მშვენიერებას ვერ ეზიარება, გამოდის – მეწინავისაგან ვერ ისწავლა. თუ ჯოგმა სამშობლოსაჯიხვეების სიყვარული არ იცის – უგუნური მეწინავე ჰყოლია. თუ დედა შვილს თავის ენაზე არ გაზრდის, ერთმანეთს რომ ვერ გაუგონ, ცოდვა ვის ეკითხება. თუ ჯოგი მხდალია და ფეხმრუდი, გულადი და ჩაუქი ვის უნდა აღეზარდა. თუ სახელოვან სიკვდილს ნაძრახი სიცოცხლე ურჩევნია, ვის უნდა შთაეგონებინა – ნაძრახ სიცოცხლეს რომ სახელოვანი სიკვდილი სჯობია!

7

ნისლი გათხელდა, მაგარმ ხეირიანად ისევ არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. იქნებ, ერთხანს მაინც ასე სჯობია, იმის თვალნათლივ ცქერას, რაუ იუმედო, ამაზრზენია, იქნებ ნისლი და ბნელი ჰფარავდეს, გერჩიოს?..

ჯოგი უნდა დამშეულიყო, წყურვილით გახელებულიყო და გადასვლა მერე დაეწყოთ. რომლებსაც საჯიხვეების ნდომა არ ჰკლავდათ, ბალახისა და წყლის უქონლობას უნდა გადავრია, მაგრამ უჭმელობით არ უნდა დაუძლურებულიყო და უსმელობით არ უნდა დაძაბუნებულიყო. ჯიხვს ის თონთხლო ქონი აქ უნდა დაეყარა, რაც გადახტომას დროს დაამძიმებდა და არც გაღმა დასჭირდებოდა. აქ ედან სისხლი, ძვალი და კუნთი უნდა გასულიყო საჯირითოდ და საბრძოლოდ, რქა – ხმალად და ფარად; აუცილებელი, რაც სულს ჭურჭლად სჭირდებოდა და არა ხორცს ფუფუნებად.

ნისლი გვიან გაიფანტა, მზემ, თითქოს დაგვიანებას სწუხდაო, ერთბაშად დააცხუნა. ნოტიო, ნაწვიმარივით ჩამოტირებული კედლები მალე გამოაშრო. მოთბო ქარიც ასისინდა, ლეშით დანაყრების მოიმედე მტაცებელთა ყაშყაში და ყიპყიპი გამჭოლ ჟრჟოლასავით მოიტანა.

ამდენ ხანს ნისლის საფარით დაიმედებული შურთხები მზეს მოჰყვნენ, ჯოგს ქიმებში ჩაბუდებული თავდამსხმელების სიფხიზლე ამცნეს. მტერიც აქვე იყო და მოყვარეც. დაღუპვაც აქვე იყო – ერთ ნაბიჯზე, და გადარჩენაც...

8

ის დღე ისე დაღამდა, რეხოს ცისთვის მზერა არ მოუცილებია, მზეს თვალს უშტერებდა, თითქოს სხეულში ახედებდა. უნდოდა სულში ბნელი კუთხე-კუნჭული არ დარჩენოდა, რომ ნათლით არ გამოებერტყა. სულს, გრძნობასა და გონებას ისევე უნდა გამზეურება, გაქარვა და ბერტყვა, როგორც ბუმბულს, რომ არ მოითელოს, არ დანესტიანედს და დაობდეს.

ქვევით არ დაუხედავს, რომ ჯიხვებისთვის თვალი არ გაესწორებინა. სჯობდა, მწყემსსაც და სამწყსოსაც მნათობისთვის ეცქირათ, რომ ერთნაირ მშვენიერებასა და ზრახვას სწეოდნენ. კაბადონზე მქროლავ არწივისთვის ეყურებინათ, გუშინწინდელ თავღია მეწამულ ბილიკზე ფოთრების მოხელთების იმედი რომ გადაუწყდა და ნადავლს სხვაგან დაუწყო ძებნა; თვალი შევარდნებისათვის ედევნებინათ, თავიანთი სისწრაფით თავდაჯერებულები რომ სივრცეს აღმადაღმა ისე სერავენ, თვით მბრძანებელსაც არ ეპუებიან.

ქვეყანა დიდია. ისიცაა, რისგანაც სიმამაცეს ისაწვლი და ისიც, რაც მუცელღმერთად გაქცევს. ისიცაა, რაც სიყვარულით აგანთებს, აგამაღლებს და ისიც, რაც სისხლს გაგიწყალებს და ლეშად გაქცევს.

წყურვილი უფრო დაუზოგველია, ვინემ შიმშილი და ღამით რომ გაწვიმდა, ჯოგს შეეძლო ცას მიშვერილი ღია პირით ენა გაესველებინა, შიმშილი წყურვილს დასწეოდა.

9

დღემ და ღამემ, დარმა და ავდარმა, სიზმარმა და ცხდამა, შიმშილმა და წყურვილმა თავისი ჰქნა და მესამე დილით, მზის ამაღლებას ჯოგიც აჰყვა. უფსკრულს, შიგ გადასაშვები, მღვრიე მორევივით მიაწყდა. ჭარმაგმა, მოწიფულმა და ახალგაზრდამ, მედგარმა, გულადმა, ცქაფმა, ლოხმა და ლაყემ, ბრძენმა და შეურაცხადმა, ყველამ იწამა, ჯოგს, ვინც განწირული იყო უნდა ემსხვერპლა და ვინც გადასარჩენი– თავისთვის ეშველა.

ვინ იყო ახლა ის, ვინც პირველი ადგებოდა და ქვესკნელს გადაევლებოდა? ფრიალოზე უსაფეხუროდ დამაგრდებოდა, გადმოზნექილ კლდეზე რქით დაეკიდებოდა, ტანს გაიქნევდა, შერილზე შეხტებოდა და იქიდან ბეწვის ბილიკზე გააღწევდა? ყველაფერი იყო დამოკიდებული იმ პირველზე და ღმერთს ნუ ექნა, რომ გადაჩეხილიყო. პირველი... როგორმე პირველი უნდა გასულიყო და მერე, თუ გინდა, ერთის მაგიერ ორი დაღუპულიყო, მაინც გაღწევის იმედი რჩებოდა.

ბებერი, რქებდაჟანგული ხარჯიხვი ადგა, რეხოს ქვევით რომ იწვა და ჯოგის აშლას არ აჰყოლია. მეწინავეს აჰხედა. მერე გაჩახჩაეხბულ ზეცას უცქირა. მანამ უცქირა, სანამ ყველა არ მიიჩერა.. ბოლოს ისევ ახედა მეწინავეს, ერთბაშად დაღუნა თავი, შეტრიალდა და უფსკრულისაკენ გზა გაიკვლია, ჯიხვებს შორის, სადაც ვერ გაეტია, მკერდით გაარღვია და გადასახტომთან ისე დადგა, ქვევით არ ჩაუხედავს. იცოდა, იქ საიმედოს ვერაფერს დაინახავდა. ბნელს არ უნდა უცქირო, თუ ნათელის ხილვა გინდა.

ბებერი ისედაც არ იყო ხორცსავსე და ამ დღეებში ფერდები სულ ჩაცვენოდა. ეს უკეთესი, მაგრამ მუხლები რომ უთრთოდა, საიმედო არ იყო. ეტყობა, ეს თვითონაც იცოდა და ისიც, ამაზე მეტად ვერ დაიოკებდა. თავდაჯერებულმა იმით, რომ ფიქრითა და ტანჯვით გასავლელი თავგანწირვის გზა უკვე გავლილი ჰქონია, უკან დაიხია. როგორც კი ნაბიჯი უკან გადმოდგა, ჯიხვები მაშინვე ერთმანეთს მიაწყდნენ და გამოსაქცევი გაუთავისუფლეს.

თავდადებულის ულამაზესი, ათიოდ ნაბიჯი გაირბინა. ალბათ, არც გაჩენის დღიდან სიბერემდე უვლია, ამ ერთ მოკლე გარბენად რომ არ ღირდა და რაც თვითონ გადამხტარა და სხვისი მარდი ნახტომი უნახავს, ყველა ერთ მშვენიერებად აქცია. სიბერეცა და წლების სიმრავლეც კი მხრებიდან ერთბაშად ჩამოიბერტყა, უფსკრულამდე მუხლი ისე გაიმაგრა, ტანი კი არ აისროლა, შეტყორცნა და გაფრენილს, ქეციანი ბალანიც კი მზეზ გასაოცრად გაუბრწყინდა.

წინა ფეხებით იქითა კედელს ახალგაზრდული სიმარდით მიასკდა და უკუბიძგების გადმოსროლასაც დაასწრო, ფრიალოს ოდნავ შევაკებიდან, სადაც არავითარი შეყოვნება მოხერხდებოდა, მაღლა აიწია და ტანის სხარტად აზიდვაც შესძლო. ჰაერში აჭრილმა ძველი, მძიმე, დაჟანგული რქის წვერი გადმოზნექილი კლდის ნაბზარსაც უწვდინა, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდით შესძლო. ზურგზე გადაწყობილი ვეება რქები რომ მაღლა აეშვირა, თავის დახრა იმდენზე დასჭირდა, იმას ვეღარ ხედავდა, რაზეც უნდა გამოედო. მაინც წაჰკიდა, თუმცა ისე ღრმად ვერ ჩაუყარა, ტანის გაქნევის დროს მაშინვე არ წაძრობოდა და სამსი ჯიხვის სიგრძეზე გამხტარიყო. ერთი წამით ადრე ჩამოუცდა და შვერილამდე, რომელზეც უნდა შემდგარიყო, ერთი ნაბიჯიღა დააკლდა.

თითქოს მწვერვალებში ფრთებშესხმულმა ნავარდით გაიქროლა და, კი არ ჩავარდა, ქვესკნელშიც ჩასაფრენად ჩაეშვა.

რეხოც, თურმე, ისე დაბერებულა, ასეთი წარმტაცი არაფერი უხილავს! არ დაწყდებოდა გული, თუ ჯიხვებს მისი დაღუპვაც ასე აღაფრთოვანებდა.

ჯოგს ჯერ სუნთქვა შეეკრა, მერე ერთხმად და ისეთნაირად ამოიგმინა, ქიმებზე დაბუდრებული მტაცებლების ყრანტალმა კლდეები დაზაფრა. აიშალნენ და უფსკრულის ფსკერზე დანარცხებული მშვენიერი სიკვდილის ექო ზეცაში აიტაცეას, ირაო შეჰკრეს.

ქვეყანა ჭრელია. ბევრს მზეს მთვარე ურჩევნია – ღამე მინათებსო, დღე უმზეოდაც ნათელი ჰგონია და არ იცის, მთვარეც რომ მზითაა მთვარე. ერთნი, რაშიც მშვენიერებას სჭვრეტენ და აღტაცებისაგან

ხელი ცას უწვდებათ, მეორეთათვის შიშის ზარის დაცემი და დამთრგუნველია.

მშვენიერება იმდენნაირია, რამდენნაირი დამნახავიცა ჰყავს.

ბებერი ხარჯიხვის დაღუპვამ ყველა ერთად კი ამოაოხრა, მაორამ – ცოტას აღფრთოვანებით და ბევრს – სასოწარკვეთით, მტაცებლებისათის კი – სადღესასწაულოდ.

ბებერი ხარჯიხვი იმდენნაირად დაიღუპა, რამდენნაირი ქვეყანაცაა,ა მგარამ იმ ცოტამაც, რომლებმაც ისე დაინახეს, როგორც ეკადრებოდა, მაინც მაშინ ისწავლეს რას ნიშნავს, როცა იღუპები და არ კვდები, როცა კვდები და ცოცხლობ, როცა აღარა ხარ, საიქიოს მიდიხარ და საააქოს რჩები. როცა იყავი, არავინ იცოდა და როცა არა ხარ, ყველას მახლობელი ხდები.

ჯოგს უნდა ეამაყა, რომ იმ ბებერი, რქებდაჟანგულ-დაკორძებული ჯიხვის ჯიშისა და ჯილაგისა იყო.

ბებერი თუ უფსკრულებს, ნაპრალებსა და ციცაბოებს არ გაეკარებოდა, მუყაითად, სძოვდა. შეღამებიდან დილით კარგად მოთბობამდე გამოქვაბულიდან ცხვირს არ გამოჰყოფდა და თუ რაიმე სახადი არ იმსხვერპლებდა, კიდევ შეეძლო ერთი... დიდ-დიდი ორი წელი ეჯახირა და ერთ ღამეს სული ისე გაეცხო, არავის გაეგო. მერე, გამოქვაბულში, მასავით სითბოს მოყვარულთა გვერდით გახრწნილიყო და ისედაც შარდითა და ნეხვით მყრალი მღვიმე გაუსაძლისი გაეხადა...

ეს ათიოდე ნაბიჯის გავლა, ნახტომი და სიკვდილი კი იქცა იმ სიციოცხლის გაგრძელებად კი არა (იმ ძველს ეს ახალი ვერ გადაებმებოდა)... ისეთ ახლა სიცოცხლედ, ვინც მისი ფასი არ იცოდა, იმისთვისაც დაუვიწყარ საფიქრალ-სამბობად და შთამომავლობის გადასაცემ განძად...

ისე, როგორც ყველა არ ცოცხლობს, – ყველა არ კვდება.

ბებერი ჯიხვი სიკვდილმა გააცნო ჯოგს იმად, რაც ყოფილა და როცა მათ სამუდამოდ დაშორდა, ყველას დაუახლოვდა. ახლა გაახსენდათ, რომ ის ჭამაზე აზიზი იყო, განმარატოებით იცოდა ბალახის უმადო წიწკნა, მღვიმის კართან წვებოდა, რაკი შიგ სიმღრალეს ვერ იტანდა და ღამღამობით ხვნეშოდა, არაფერზე უჭირვეულია და არავისთვის ურქენია.; არ უყვარდათ, რაკი არავის ლოკავდა და არ პეტელებდა. ყრუც კი ეგონათ, ბევრჯერ გააგონებს კიდეც და რაკი ყური არ შეიბერტყა, დაიჯერეს და დაივიწყეს. მისი სახლიც კი აღარავის ახსოვდა. თითქოს მეწინავის ახლომახლო ტრიალებდა, მხარში ედგა და მაინც შეუმჩნეველი რჩებოდა.

ახლა, ამ ლამაზმა სიკვდილმა, ყველაფერი თავდაყირა დააყენა, და თურმე, ასე ისინი იქცევიან, ვინც სიცოცხლე არა, მაგრამ სიკვიდილი იციან. სიკვდილის ცოდნა ძნელზე ძნელია, რაც არასოდეს გიქნია, არავითარი გამოცდილება რომ გაგაჩნია, ის უნდა ჩაიდინო. თანაც, ერთხელ და უშეცდომოდ, რაკი მეორედ ვეღარ შესძლებ გამოცდილების გამოყენებას და შეცდომის გამოსწორებას.

ახლა, უეცრად, ყველას ერთბაშად გაახსენდა, რომ ამ ქეციან, ყრუალა ბებერს, ერთ დროს, სანამ საჯიხვეებს მიატოვებედნენ, ჯიღო ერქვა.

აღმოჩნდა, რომ მათ გერდით, მთელი გრძელი სიცოცხლის მანძილზე, ყოფილა ჩაუქი, ნამდვილი საჯიშე დაჩ ასეთნაირი სიკვდილისშენდობა მხოლოდ დიდი კაცის ხვედრიაო. შანსი არა, აწი უკვე მიხრწნილობით სადმე კლდის ძირში მიძინებული არ გაიღვიძებდა და ყვავ-ყორნებს ისე დაუტოვებდნენ, არავინ დაიტირებდა. სიცოხლეში რომ არავის ახსოვდა და მისთვის ჭკუას არავინ ჰკარგავდა, როცა აღარ იქნებოდა, თავში ხელს ვინ წაიშენდა და ზარს ვინ ეტყოდა.

ხშირად, ძალიან ხშირად, სიცოცხლის ფასი რომ არ ვიცით, სიკვდილი გვაგებინებს. სიკვდილი ასეთების წასვლას ისეთ მსხვილ ძახილის ნიშნას უსვამს, რომ მთელი მათი სიცოცხლის ყოველი ნაბიჯი აყვირდება. ყველაფერს ფასი დაედება, თითქოს ოქრო ბნებიდან მზეზე გამოგეტანოს.

მგარამ...

მაგრამ მზეზეც რომაა შავი ლაქები!

ჯიღოს სიკვდილმა ჯოგი დააფრთხო და მხდალიცა და გულადიც ერთნაირად დააშინა. ჯაბანი იმით, რომ აქ ცოცხალი თავით ვერავინ გადავა და აქედან ფეხის მოცვლა სააქაოდან წასვლასაც ნიშნავს. სხვანი, თუ გადარჩენას როგორმე მაინც დაიჯერებდნენ, ვითომ გულიც და მუხლიც ერჩოდათ, მაგრამ ყველა ხომ ვერ გააღწევდა და თუ დღისით, მზისით არ დაინახავდნენ თავიანთ დიდებას, ბებერი ხარჯიხვივით ქვესკნელიდან ხილვას ვერ შესძლებდნენ.

მამაცები და შეუპოვრები კიდევ უფრო დაიბნენ და დარეტიანდნენ. არა იმიტომ – ჩავიჩეხებით, არაფერი გვიხსნისო, დაღუპვა ისე არ აშინებდათ, როგორც უსახელო, ულამაზო სიკვდილი. გულადი იმიტომაცაა გულადი, სიკვდილს წარამარა არ უფრთხის, მაგრამ არც ის ეგონოს ვინმეს, სიცოცხლე ჩალის ფასად უღირდეს. იცის, ერთხელ დაკარგავს და ამ დაკარგვით ყველაფერი უნდა დაიბრუნოს. სიცოცხლე მისთვის ვერცხლის განძია, რომელსაც უშურველად შეელევა, თუ ოქროდ აქცევს. ასე, ნაგავზე გადასაყრელად კი არ უნდა, ყოველნაირ ცოცხის მოსმას გააყოლოს.

ჯიღო რომ მოწიფული ყოფილიყო, ან ჭარმაგი მაინც, ან იმ ფეხბედნიერი ნახტომისას რაიმე შეშლოდა, ისეთი შეცდომა დაეშვა, რომელიც მის თავგანწირვას დაჩრდილავდა და სხვას, ისეთივე თავდადებულს რაღაცით ეჯიბნა, ის რაც იყო, იმად დარჩებოდა როგორც პირველი და ერთს მეორე მიემატებოდა. მაგრამ გადმოზნექილ კლდესთან რომ თავი დახარა, რაც დამღუპველი გამოდგა, იმიტომ ჰ ქნა – დახვეული რქის წვერი მაღლა აეწვდინა და რასაც მოსდო, უხილავად, გუმანით შესძლო, უფრო ახალგაზრდას რქა მოკლე აქვს და ქედის დადრეკა იმდენად არ დასჭირდება, ნაბზარზე დაკიდებისას კარგად არ დაინახოს, რას და როგორ უნდა გამოს-

დოს. და მაინც თუ დააცილა, უფსკრულში უსახელოდ წავა.

გარდა იმისა, რომ ჯიღო პირველი დაიღუპა (პირველს ბევრი შეცდომა ეპატიება), ყველაფერი ისე ღირსეულად გააკეთა, მეორეს, მეორე ხომ ისედაც მეორეა და, არაფერი დაუტოვა, რომ უკეთესად დაღუპულიყო.

მეწინავე ხედავდა, ახლა გამქცევი არავინ იყო. ასთმა სიკვდილმა მხალსაც კი გული ჩაუდგა, მგარამ ისა აშკარად ჩანდა, არც ისეთი ვინმე დატოვა, ჯიღოს დასაკუთრებულ ქვესკნელზე გადახტომა გაებედა. თურმე, მთელი გრძელი ცხოვრების გზა ამისთის გამოულია და ახლა ამ სიჩაუქეს აღარავის ანებებდა.

უმშვენიერეს, უკვდავ დაღუპვას უკვე შეუცვლელი პატრონი ჰყავდა.

მაგრამ აქ რჩებოდა მეორე... ჯერ ხელუხლებელი... გადარჩენა!

ცოცხლად გადასვლის დიდება.

რაკი ჯიღომ დაადასტურა, რომ საღსალამათი გაღწევა არ შეიძლება, სიკვდილით უნდა გახვიდე და გადაარჩინო ჯიში, რაკი ჯოგში თუ მისნაირებია, გადაშენება არ უწერია. ამის შემდეგ ხსნა სიცოცხლეში თუ იყო საძებარი.

სიცოცხლე კარგი სიკვდილის ფასი არასოდეს არ ღირს, მაგრამ ამ უფსკრულზე გადამსვლელს ჯიღომ ეს გაუკეთა.

ახლა, რაც არასოდეს ხდება, სიცოცხლეს ედებოდა სიკვდილის ტოლი ფასი.

რეხომ მზეს ერთხანს პირდაპირ უყურა და როცა თვალები დახუჭა, სიბნელეში ყვითელი რგოლების ათინათები არიალდა მისი მშობლიური დატალული კლდის ძირში გასხივოსნებული ყვავილის მსგავსი.

ბევრი ფიქრი კი, მაგრამ გადაწყვეტიელბის მერე ჭოჭმანი, ადგილზე ტკეპნა და გულისამაყუჩებელი პეტელი ბებერმა ხარჯიხვმა თავისი დიდებული ნახტომის წინ აკრძალა. მოიფიქრე... წინდაწინ გაითვალე, ნუ იჩქარებ, იანგარიშე... თუ წინ ბუნდოვანი გზა მაინც გესახება, ყველა რომ ადგება და აწრიალდება, მაშინაც შენთვის იყავი, ზომე, წონე და როცა ყველაფერი მისნლობით გამორწყე და თვალნათლივ ხედავ, ერთადერთი გასავლელის მეტი აღარაა და გადაწყვიტე?.. ადექი, წადი და შეასრულე!

რეხოსაც ნაპოვნი აქვს ის ერთადერთი გზა. ამ ჯოჯოხეთზე უნდა გადავიდეს და რაც ჯიღომ ჯოგს სიკვდილით ასწავლა, რეხომ სიცოცხლით უნდა დაუმკვიდროს.

ჯოგის ხსნის საქმე სანახევროდ გაკეთებულია – უნდა იარსებობს, მაგრამ თუ მეორე ნახევარიც არ გაკეთდა, ყველაფერი ლეგენდად დარჩება, ზღაპრად და ამას სხვა ჯიშები და ჯოგები უამობენ ქვეყნიერებას, მაგრამ თვითონ ამ ლეგენდის შემქმნელთა ჯილაგი აღარ იქნება.

შენი შესაძლებლობა მაშინაა ანგარიშგასაწევი, როცა შენს საქმეს ახელკეთილებ. როცა ჯოგისა და ჯიშის ხსნა გეკისრება, იქ ჯოგის და ჯიშის ნება, სული უნდა გადმოსახლდეს შენში და იმ განუსაზღვრელი ენერგიით იმოქმედო.

მეწინავე უფსკრულის პირას დადგა.

უკან რამდენზედაც უნდა დახეულიყო, ეს ჯიღომ დაითვალა, ახლა მხოლოდ განმეორება სჭირდებოდა. გადახტომაც ზედმიწევნით ისეთივე იყო საჭირო, ფრიალოზე მიხლა და იქიდან ასხლეტვაც ისეთივე... რეხოს ისდა რჩებოდა, ნაბზარში რქის წვერი უფრო ღრმად ჩაყარა, რომ ტანის გაქანებისას იმ ერთი საბედისწერო ნაბიჯით მეტზე გადამხტარიყო... ბოლოს, სამი დღის ნაშიმშილები და ნამწყურვალები, იმ კლდეზე აკრულ ვიწრო ბილიკს თუ აეტმასნებოდა, ნეკნებზე ტყავს გაიძრობდა და ისე გაივლიდა – გااააღწევდა.

უეჭველად უნდა გაეღწია, რაკი ახლა, ჯიღოს ჯიშის მხსნელი დაღუპვა მის მერე მართლა დაღუპვა იქნებოდა, ყველაფრის ერთად დაღუპვა.

13

გაღმა გაწეულს, რომ ჯოგის ისეთივე გმინვა მოესმა, რაც ჯიღოს მოწყვეტისას, სიმწრისაგან წყალგადავლებულივით დასველდა, მაგრამ ძარღვებში დაუტევარმა სისხლმა ოფლივით რომ ტყავიდან ვერ გამოჟონა, ცხვირიდან წასკდა. უკვე ჯიშიანი, ძალუმი, მბორგავი სისხლი ჩუხჩუხებდა, დუღდა, ძარღვებში არ ეტია და იღვრებოდა, სადაცაა, იქ დაიღვრება.

ზედიზედ გადმოჰყვნენ გულადი ქედა და ცქაფი რქაჭრელი.

ორივეს სასწაულბრივ გადმოაღწია. რქაჭრელს ფრიალოზე მიხეთქებისას ჩლიქი წაეტეხა და სისხლი სდიოდა. ქედა მუხლებითაც მიხლოდა და ორივე წვივი წითლად ეღებებოდა. რას იზამ, თუ უსისხლოდ და უმსხვერპლოდ ხსნა არაა.

14

ქვესკნელს გადაღმა დარჩენილებში სხვა ქარმა დაჰქროლა, შავი ღრუბელი გადარეკა და იმედის ნათელი მუხლსუსტებსაც და მშიშრებსაც კი გაუჩინა. აწრიალდა რწმენაჩასახული ჯოგი, სადინარგაჩენილი მორევივით მოასკდა უფსკრულს.

ის ორნი, თუ გადარჩენას ირწმუნებდნენ, მუხლიც ერჩოდათ და გულიც, მაშინვე გადმოსახტომთან დადგნენ. ორივემ მოინდომა ერთმანეთისთვის დაესწრო და გვერდზე არც ერთი გადგა, რქებიც კი მოიშველიეს. ჯერ, რომელიც მაღლა იდგა, დაახევინა მეორეს და ადგილი გაითავისუფლა, მაგრამ სანამ გამოსაქცევად უკან იხევდა, მეორე შეხტა წეღანდელ მის ნადგომზე და გზა გადაუღობა, ისევ დაჰკრეს ერთმანეთს და ამ ჭიდილში ქვევით ჩამოინაცვლეს... იშვირა, ამასობაში, ფეხი სხვადასხვაფერის თვალება ცქაფმა და გადმოფრინდა.

ორივემ პირი დააღო და მიაჩერდა, როგორ გადაევლო უფსკრულს, მიენარცხა ფრიალოს, აწვდა და მოასწრო ნაბზარში რქის გამოდება. დაკიდებულმა კი სხარტად გაიქნია ტანი და შვერილისა-

კენ გადახტა, მაგრამ იმაზე ძლიერად, რაც საჭირო იყო და უკვე შვერილზე ვეღარ შეჩერდებოდა, რათა კედელზე აკრულ ბილიკს ფრთხილად გაჰყოლოდა, შვერილზე გადავლებულმა აღარ დააყოვნა და მაშინვე გაენთო, რომ როგორმე გაერბინა და სამშვიდობოს გაესწრო. წონასწორობას როგორღა დაიცვა და რომ შეშინებოდა, შეფერხდებოდა, უფსკრულისკენ გადახრილი იმ სიჩქარეს დაჰკარგავდა, რითაც ბოლომდე უნდა მიეღწია.

ფიქრის დრო სადღა იყო. მეწინავე ამოსახტომთან გაჩნდა და თავი გადაიწვდინა, რომ განწირულმაც რქა რქაში გამოდო. კინაღამ რეხოც თან გაიყოლა, მაგრამ ცქაფმა როგორღაც წინა ცალი ფეხი კლდეს ჩამოხკრა, ოდნავ აიმჩატა და ორივე გადარჩა.

იმ ორიდან, ერთმანეთს რომ ეცილებოდნენ, რომელმაც პირველობა დაიჩემა, ჯიღოს დაკანონებულ უკან დახევას დააკლო, მოქიშპემ გზა ისევ არ გადამიღობოსო, გამოქანდა და გადმოხტა, მაგრამ რაც იქ დააკლო, გამოღმა დააკლდა, პიტალოს ერთი ნაბიჯით ქვევით მიაწყდა. ვითომ, მაღლა შეხტომა მაინც შეძლო, მაგრამ რქის ნაბზარში გამოსადებს რაღას უწვდენდა და, რაღა თქმა უნდა, ბნელეთში ჩაინთქა.

ისევ იბღავლა ჯოგმა, ისევ აუკანკალდათ მუხლები და აუცახცახდათ კუნთები. ახლა გადმოხტომა ერთხანს ისე ვაღარავის შეელო, გარდა იმ მეორე, მოცილე ჯიხვისა, ღირსებაშელახულს განწირული იმ გულზე არ დანანებია. უკან, ვითომ, მოზომილად დაიხია და გამოქანდა, მაგრამ ბრაზმა და ბოღმამ ნაპირიდან ბურთივით ისროლა და მეორე მხარეზე პიტალოს ავად მიახეთქა. მუხლები დაუსკდა, თუმცა არად ჩაუგდია. გადარჩენაზე მეტად, ახლა, თავისი უკეთესობის ჟინს აყოლილმა, რქით დაკიდებაც შეძლო, იქიდანაც გაქანება და გადახტომაც, მაგრამ ამას ის ცქაფ, სხვადასხვაფერ თვალზე მეტი მოუვიდა და შესადგომ შვერილს სულ გადაევლო, კლდეს აკრულ ბილიკსაც ასცდა, თუმცა ცალ ფეხი კი წაჰკრა და უფსკრულში გულაღმა ამოტრიალებული ჩაშვავდა;

ქიშპი და მტრობა ასეთ გაუვალსა და გაუღწეველში კი არა, მუხლამდე აბიბინებულ საძოვარში მშიერს დაგტოვებს და თხისთვისაც იოლად გასახტომ ხრამში გადაგჩეხავს.

თითქოს მათი შუღლი და გაუტანლობა დაკარგულებზე გლოვას გიმსუბუქებს, რაკი ზოგი რამ შეიძლება მათაც დააბრალო, მარგამ დამნაშავე ვინც უნდა ყოფილიყო, კიდევ ორი ჯიხვი ჩაბარდა ქვესკნელს.

ვინც გადახტა, გაღმა ნახევარმა ვერ გააღწია. ვინ იქნებოდა კიდევ, გაებედა და სიკვდილისთვის თვალებში ჩაეხედა. წინ ფეხის წამდგმელი აღარავინ იყო. ხსნა ისევ აღარ ჩანდა, თორემ ბევრ ფიქრსა და თავის მტვრევას შეიძლება ზოგიერთი მაინც იმ დასკვნამდე მიეყვანა, რომ ხვალ გვიან იქნებოდა. შიმშილი და წყურვილი დააუძლურებდა და გადმოზწნექილი კლდის თავზე ნაბზარს ვერ შეწვდებოდა, ან ქიმზე შემხტომი გადააცილებდა კი არა, იმდენს დააკლებდა, რაც საბედისწერო გამოდგებოდა.

უკვე ფიქრიც არავის შეეძლო. ჯოგმა უფსკრულისაგაგან პირი იბრუნა და ზეზეურად გაშეშდა, ქვად იქცა.

16

მეწინავე გადაღმა ნესტოებდაბერილი იდგა, ვითომ შედედებული სისხლი ცხვირიდან ისევ წასკდა, ფეხებქვეშ კლდე წითელ ზოლად ჩაღება.

ქვევიდან ბნელი უფსკრული ლოდებზე დაფლეთილი ჯიხვების უკანასკნელ გმინვას თუ ამოისროდა და მერე გაფატნული რქა და ძვალი დამსხვრეული ზარივით პიტალოებზე გაიჟღრიალებდა, თორემ ისევ ახალი მსხვერპლის, მოლოდინში ამაზრზენად დუმდა.

არადა, ხვალ გვიან იქნებოდა, ხვალამდე დღევანდელი გზნება და ჯიშში გაღვიძებული ხსნის თაავგანწირვა დაცხრებოდა და „თავს ზევით ძალა არაა“-ს შიშნეული უიმედობა გაიმარჯვებდა „ან სიკვდილი, ან გამარჯვების“ ყოვლისშემძლე შემართებაზე.

თუ ჯილაგში ხსნის იმედი ცოცხლობდა და გადასაშენებლად არ იყო განწირული, ახლავე უნდა გამოჩენილიყო გადაღმა დარჩენილ უმრავლესობაში კიდევ ერთი ჯიხვი მაინც, იმ პირველი, სახელდაკარგული ბებერი ჯიხვივით რომ ადგებოდა, გადმოეშვებოდა, ქეცს ახტომისას გაიცლიდა. მზეზე გაბრწყინდებოდა და სახელს ხელახლა დაირქმევდა. მაგრამ ჯიშის ხსნის ძალით და ნებით, როგორმე სიკვდილისაგან სასიცოცხლო ძალის გამოხმობით, სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვით, როგორმე... როგორმე... როგორმე, სამშვიდობოს გასვლაგაღწევით.

ღონიერმა ქარმა დაუბერა და უფსკრულის თავზე ოხშივარივით დაგუბებული მგუდავი ქუფრი წაიღო, ყელში რომ უჭერდათ და ისედაც დასახეთქად დატენილ ძარღვებს ყოველი ჩასუნთქვისას ლეკერტი სისხლის მხუთავი სუნით ტენიდა.

დაღუპულიან-გადარჩენილიანად სამშვიდობოს ცოტა, უმნიშვნელო ნაწილი გავიდა. ჯიხვების უმრავლესობა უკან დარჩა და თუ მათ შორის ერთი მაინც არ ერია, რომელიც შეიძლებდა ამ ჯოჯოხეთის გადმოსალხვას, ჯოგი მაინც განწირული იყო, თუნდაც მეწინავეს შეძლებოდა უკან გაბრუნება და იქიდან ძალით გადმორეკვა.

გამოდიოდა, რომ დარჩენილებს არ ჰყავდათ სამეწინაო ჯიხვი, რომლის გარეშე, სულერთია, არაფერი იხსნით. და ესეც რომ არა, არ ერიათ თავზე ხელაღებული უშიშარი, რომელიც ჯოგს მწყემსად, განსჯის უუნარობით და წინდაუხედაობით, არ გამოადგება, მაგრამ გულადობის მაგალითს მისცემს და ბევრ მერყევს მიიმხრობს. ასეთები, ზოგჯერ, იმ ასჯერ გამზომელსა და ერთხელ გამჭრელზე უფრო სხარტად აკეთებენ ხელის ერთი დაკვრით.

და თუ ღმერთს ჯოგი მოძულებული არა ჰყავს და სამომავლო მეწამული სისხლითა აქვს ძარღვები დასკდომამდე დაბერილი, მან თავისი მხსნელი და გადამრჩენი არა მარტო უნდა ჩასახოს და შვას, თვით შობილსა და გაზრდილს უნდა შთაბეროს ახალი, სადღეისო, გადამრჩენი, გამძლე სული; თვით მშიშარას და ლაჩარს უნდა უკარნახოს თავისი ძალა და ნება, რომ გულადად მოაქციოს, მამაცად გარდაქმნას გამოუვალ, გამანადგურებელ ბედისწერისაგან თავდასახსნელად.

ცხოვრების გრძელ გზა-სავალს საწუთრო თავზე იმდენ მოულოდნელობას და მუხანათობას დაამსხვრევს, ბრძენთა ბრძენიც რომ ვერ ივარაუდებს და ყოველთვის, ყოველი ახალი ფათერაკისათვის ვერ მოემზადები. უბედურება უამრავია და ყველანაირს ჯიშსა და სისხლში ვერ დაწინდავ, რომ მემკვიდრე საყველაისოდ შვა და აღზარდო. თუ ჯილაგი გამძლეა და თავის გამტან-გადამრჩენი, განწირვის და იავარყოფისას უნდა შეეძლოს თავის თავში აღმოაჩინოს და შვას... არა აწი ჩასასახსა და საშობში, არამედ უკვე შობილსა, და იქნებ, ბებერშიც – ახალგაზრდა. ახალი, ამ განადგურებისაგან მხსნელი პირმშო.

ამას ჰგავდა იმ პირველი, მთელი ცხოვრება შეუმჩნევლად ჩავლილი ჯიღოს არსებობა. დასჭირდა ჯოგს, პარტახდებოდა ჯიში და უკვე დიდი ხნის წინ გაჩენილი და იქნებ არც იმად შობილი, რაც ახლა მის გადარჩენას სჭირდებოდა, მაგრამ უკვე ბებერი, ხელახლა ჩასახა, ხელახლა შვა და ხელახლა, თვალსა და ხელს შუა, გარდაქმნა, დაბადა იმად, რაც მხსნელად დასჭირდა.

ეს გადამრჩენი ჯილაგის ნებაა.

ეს გაუწირველი ჯიშის ნიჭია და თუ ისევ და ისევ ჯოგი სასიცოცხლოა, ისევ უნდა აიყვანოს იქვე მორიალე დამფრთხალ-დაბეჩავებულებისაგან... სულ ერთია, ხელს რომელს დაადებს, ისევ ხნიერი იქნება თუ ახალგაზრდა, გამოუცდელი, კოჭლი თუ ბრუციანი და ახლავე, სახელდახელოდ, ხელახლა ჩასახოს, შვას, გაზარდოს, გაწვრთნას, ჩაუდგას კლდის გული, რკინის მუხლი და ამ უფსკრულზე გადმოტყორცნოს... თუ სხვანაირად არ შეიძლება, ფრთებიც შეაბას და გადმოაფრინოს... მერე რა, რომ ჯიხვს ფრთა არასოდეს ჰქონია...

17

მეწინავე ყველასაგან მოელოდა, მაგრამ თუ ის მოვარდისფრონჩლიქებიანი, ნაპატიები ჯიხვი წამოდგებოდა და ჯოგის მხსნელად თავს ხელახლა იშობდა, როცა თვისტომში არც გამძლეობით გამოირჩეოდა და არც ნახტომით, ამას ვერაფრით წარმოიდგენდა. კუნთზე ქონდადებული ვითომ არ ეთქმოდა, მაგრამ უმადობას არასოდეს უჩიოდა და ამ ბოლო დღეების შიმშილი და წყურვილი ისე ვერ დაამჭლეევებდა, ამ ჯიშის მხსნელ ნახტომისათვის ზედმეტ სიმძიმეს ხელი არ შეეშალა.

ჯილაგის გამძლეობის სამემკვიდრეო, უკვდავი ფესვი ხის ფესვებივით უხილავია და რაც ხილულია, იმის სიცოცხლისუნარიანობით უნდა შეფასდეს.

მოდიოდა ეს, მოვარდისფერო ჩლიქებზე შეწკიპული, შეხნიერებული ჯიხვი ზურგზე გადაწყობილი დაგრეხილი რქებით, რომელშიც გადახრილი მზე ალაგ-ალაგ გამჭვირვალე, ბნდუ მოოქროვილ რგოლებს აჩენდა.

საქმე ამ თავგანწირვამაც გააკეთა, გადმოსახტომამდე ოთხმა ჯიხვმა მოაცილა. მათ შორის ორმა ახალგაზრდამ, შარშანდელმა, ჯოგში ჯერ კიდევ ფოთრი რომ ეგონათ.

ჯილაგი არჩევანში შეცდა თუ მასში გამძლეობის ძალა დაილია, უფსკრულს რომ გადაევლო, ვარდისფერჩლიქიანი გაღმა პიტალოს მუხლებითაც მიასკდა და ძვალში შეფარული მოდუნების გაფხიზლება ვერ მოასწრო თუ რა ღვთის წყრომა იყო, სახსარი დაემსხვრა. ახტომა მაინც შესძლო, რქით დაკიდებაც, მაგრამ ტყავზე შერჩენილი მოტეხილი ფეხი ჰაერში აუკონწიალდა. თუმცა ჯიშის ხმევით დამუხტულმა მაინც წინ გადახტომა მოინდომა. ცალი ფეხით, ისიც დაზიანებული და გასისხლიამნებულით, შვერილამდე რომც მიეღწია, თავს როგორ დაიჭერდა და დადგებოდა, როცა პიტალოზე ორივემ ვერ გაუძლო და დაემსხვრა.

გარჩა კლდეზე რქით დაკიდებული, რომლისთვის არც წინ სავალი იყო, არც უკან დასაბრუნებელი და აღარც – უფსკრული.

ეს იყო სამშვიდობოს გასულთა, უფსკრულზე გადამსვლელთა, დაღუპულთა დასაღუპავთა ერთნაირად განწირვა.

გზა აღარც წინ იყო, აღარც უკან. არც ბნელეთში ჩავარდნის შესაძლებლობა.

აქამდე ვინც გადარჩებოდა – გადარჩებოდა, თუ არადა, დაიღუპებოდა. ეს დაღუპვა ჯოგს რასაც უკარგავდა, იმაზე მეტს უბრუნებდა. დაღუპულთა ძალა და ენერგია ჯიშში გადადიოდა – ჯილაგს მუხლსუსტთა და მფრთხალთაგან წმენდდა, რომ საჯიხვეებში დაბრუნებულს, სადაც მტერი გაუმრავლდებოდა, არსებობა შესძლებოდა. ახლა ხსნის ყველანაირი გზა მოისპო. რქაზე დაკიდებული ჯიხვი იმ ბეზვის ხიდს კეტავდა, რომელიც ნახევარს მაინც უნდა გადაელახა.

ამ თავზარდამცემმა ამბავმა ყველა ისევ გააქვავა, ისევ წაართვა სასო და დააჩლუნგა.

18

მეწინავეს აღარაფერი მოუსაზრებია, არც რაიმე მოჩვენებია, არც იდუმალი ხმა მოსმია, არც არავის ნებას აუტაცია. მომართულივით გაქანდა, შევარდა იმ კლდის თავზე, რის ქვევითაც, ნაბზარზე, რქით ჯიხვი ეკიდა. ზევიდან ჩამოეშვა, განწირულს ზედ რქებზე დაეცა. ასეთ დაცემას, რა თქმა უნდა, ისედაც ცალი რქა რაღას დაიჭერდა, გადატყდა და სანამ მოვარდისფრონჩლიქიანი უფსკრულში წავიდა, მოასწრო, უკანა ფეხები კლდეს ძალუმად ხკრა და ისევ გაღმა გახტა, საიდანაც, ღმერთმა იცის, რა ილაჯიმსწყვეტით და სასწაულით გადმოაღწია.

გადასვლა და, საგანგაშო, გამჭოლი სტვენით ჯოგს ბოლოში მოექცა, დაურბინა და რომელსაც მისწვდა, რქები კეტებივით დაუშინა, ცხვირიდან წადენილი სისხლით დათხვარა. სტვენა ხავილად ექცა, ხავილი – ბღავილად, მყვირალობად...

ხანძრით დაზაფრული ცხოველები რომ კლდეებიდან ხტებიან და არ დაგიდევენ რა მოელით, ოღონდ ცეცხლს გადაურჩნენ, ასე ერთმანეთს მიყოლებით, ზედიზედ იწყეს ჯიხვება უფსკრულის თავზე ფრენა. აღარავინ იცოდა, ვინ გააღწია და ვინ ჩაიჩეხა.

გაღმა, უკვე სისხლიანი პიტალო როგორც კი ცარიელდებოდა, იქიდან ამხტარი რქით ნაბზარს მისწვდა თუ ჯოჯოხეთს ჩაბარდა, სულ ერთია, აქედან მომდევნო მაშინვე უკან იხევდა და გარბოდა გადასაშვებად. ხაერში რკალს ხაზავდა და უფსკრული დანთქავდა თუ სამშვიდობოს ეღირსებოდა, ამის გაგების და გარჩევის დრო არ იყო.

რეხოც ამ გარდაუვალობის, ამ ყოფნა-არყოფნის ამდღვლეულ, ალუფხულ თავში ავარდნილ სისხლის ამბოხს მიჰყავდა, გაშმაგებული შუბლში ქვებივით სცემდა და სხვასთან ერთად კეტებივით წინ ერეკებოდა. ახლა ფიქრი უბედურება იყო, აზრი – უაზრობა, წინდახედულება – უბედურება. უკან არავინ არ უნდა დარჩენილიყო: ბებერი, ახალგაზრდა, უსუსური, უძლური, სუსტი, რქაგაბზარული, ფეხმრუდი, კოჭდაბალი, გულღრძო, გულალალი... არავინ... არავინ...

რა ძალამ, ნებამ და ენერგიამ ჯოგი გადადენა და უსუსური და ძალგულოვანი ერთი ნაპირიდან მეორესაკენ გასტყორცნა, როცა იქაურობა დაცარიელდა, რეხოსაც იმან დაახევინა და არ იკითხა, შესწევდა კი უკვე ძალადაშრეტილს, სისხლდაცლილს ისევ შეუძლებელი შეეძლო? ისევ სასწაული ჩაედინა?

გამოაქცია და გაღმა, გასისხლიანებულ პიტალოს მიანარცხა, ნახტომი მაინც იმდენად ფიცხი და თავგანწირული გამოდგა და სწრაფვა იმდენად დაუოკებელი, ფრიალოს შეჯახებისას წინა ორივე ჩლიქი დაიმტვრია. რომელიც, იქნებ, თავისი ჯიშის სისუსტეც იყო. სამშვიდობომდე ჩლიქები სულაც რომ არ გაჰყოლოდა, შეჩერება ხომ აღარ შეეძლო, მაგრამ ეტყობა, ძალა ენერგიის ზომიერად ხარჯვაა და არა ერთბაშად, ერთ გაქანებაში გაფლანგვა, ისევ და ისევ ამოდენაზე გადასროლილი ცხრა ფუთი სხეული ვეღარც მუხლებმა შეიკავეს და პიტალოს ცხვირი და შუბლიც დაჰკრა. დარეტიანდა, თვალებში ყვავილის ფერი რგოლები არიალდა. დანახვა აღარაფრის შეეძლო, რქის ძირებიდან რომ სისხლი წამოვიდა, არც–იმის. აწი, რასაც გააკეთებდა. ამას არც ცქერა უნდოდა, არც მოსმენა და არც მოფიქრება. თავისთავად გააკეთებდა, გააკეთებდა ის, რამაც მხდალი, მშიშარა, მჭლე, მსუქანი, სუსტი, ძლიერი, გულადი და ჩაუქი ერთნაირად გადმორეკა და მან იცოდა, ვისთვის ბინა სად მიეჩინა. ვინც ისევ საჭირო იყო, სატანჯველად დაეტოვებინა და ვინც თავისი საქმე შეასრულა, ქვესკნელში დასავანებლად გაესტუმრებინა. თვალი არც გაუხელია, მაგრამ რეტდასხმულ თავში მაინც მეხივით დაჰკრა, რომ ნაბზას დააცილა, ვერ დაეკიდა და ქვევით წასულმა რქის წვერით კლდე ჩახაზა. წონა ერთბაშად დაჰკარგა, ამჩატდა, შურთხის ჭრელი ბუმბულივით გახდა. დაბლა დაშვება ფრთების შესხმას ჰგავდა, თითქოს ქვევით კი არა, მაღლა მიდიოდა. თვალებში დატრიალებული ყვითელი რგოლები გავარდისფერდნენ და იმ ოთხფურცლა ყვავილებად იქცნენ. ეს მსუბუქი, საამო ფრენა, მწვერვალებში ასე მძიმედ სატარებელ სხეულს რომ გაჰყარა, ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ აქაურ უფსკრულის სიპ, დაწახნაგებულ ქვებზე კი არ დაანარცხა. იმ მწვანე და წითელი ქათიბით დატალულ ლოდზე დააფრინა, ასე რომ ეწადა და ძვალ-რბილიან-ჩლიქიან-რქებიანად იმ პატარა ხაბო-ეხში ჩაცვივდა, რაშიც დაიბადა...

რაღა თქმა უნდა. ის პატარა გასხივოსნებული ოთხფურცლა ყვავილიც იქვე იყო.

ლაშა გვასალია

ლაშა გვასალიას ახალი სახეა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. გამოაქვეყნა ნოველების მომცრო კრებული და უმალ მიიქცია წიგნიერი სალხის ყურადღება.

წინდებული ნაწარმოები მწერლის მდიდარი საარქივო მასალიდანაა, რომელიც არავის დაფოვებს გულგრილს და რამდენადმე ასინთეზებს ტრადიციულ-ავანგარდისტულ პროზას.

„ცნობიერების ნაკადის“ მეთოდს ათეთია-ქარის სთრთხილით მიმართავს ჩვენი სტუმარი ბელეტრისტი – მამაპაპურ გამოცდილებას თაქიზად უსამებს მოდერნისტულს.

ლაშა გვასალია სერიოზულ სიურპიზს გვიმზადებს ასლო მომავალში რომან „გუბაზ-მეთეის“ სათაურით.

ვუსურვოთ წინსვლა და წარმატება ახალგაზრდა კაცს სელოვნების ნარ-ეკლიან, მაგრამ ნეტარების მწვერვალებით გადაქარავნებულ გზაზე.

ცის ნატეხები

– როგორ სიტყვის ამარა დავრჩით? – მიმართა მეგობარ მწერალს ელდარმა და ერთხელაც წაიკითხა ლექსი დამშეულ ბედურებზე, რომლებიც ზამთრის სუსხისაგან თავგაბეზრებულნი აქეთ-იქით დაფარფატებენ საკენკის ძებნაში ფრთებდაბძიმებულნი და მშიერ-მწყურვალნი, თუ რაიმე იწყალობეს, ხომ კარგი, არადა, შეიყუჟებიან სადმე და ჟღურტულით ებრძვიან გულისწამღებ შიმშილს.

ლექსის დასასრულს იმაზეც იყო საუბარი, თუ როგორ უგებენ კაკანათს საწყალ ბედურებს, როგორ შეიტყუებენ უჭმელობით მისავათებულებს ხაფანგში და რანაირად დაურეგვავენ ცრემლისხელა გულებს ვეება რაგვის დაგადუგით.

– ჩვენც ჩიტებივით ვართ, ჩემო გოდე, დავფრინავთ, დავჟღურტულებთ, ვიღაცეები ან შურდულით ჩამოგვაგდებენ, ან კიდევ კაკანათში შეტყუებით მოგვიღებენ ბოლოს, როცა იქნება და მორჩება ჩვენი ფრთამალობაც, – უთხრა ელდარმა მეგობარს.

– ჰო, ან თოფს გვესვრიან და ეგრე მოგვაშთობენ, ხომ?

– თოფის სროლად და ტყვია-წამლის დახარჯვად არ ვღირვართ, ძმაო, შურდული, კაკანათი და მახეც სრულიად საკმარისია ჩვენთვის. ჩვენ ხომ ბედურები ვართ, ბ ე დ უ რ ე ბ ი!..

– არ შევყოფ ძმაო, ხაფანგში თავს და რა ჯანდაბას მიზამენ?

– შენ არ შეყოფ, მაგრამ შიმშილი შეგაყოფინებს ჩემო გოდე, შ ი მ შ ი ლ ი.

– კი გვშია, მაგრამ არ ვმსუნაგობთ, მგონია და შემდეგშიც არ მოვტყუვდებით. მაძღარი როდის ვყოფილვართ, თუმცა სული არ გაგვიყიდია.

– ეჰ, ჩემო გოდე, შენი და ჩემი შიმშილი კი არა, ღმერთმა ნუ დაგვანახოს და, შვილი ჩამქრალ-ჩაყვითლებული თვალმზერით რომ გეტყვის, მშია, მამიკო, სად წაუხვალ იმ შემოხედვის საცოდაობას და მისუსტებულ „მშიას“?!

– სხვა რაღაც უნდა გააკეთო კაცმა, ნამცეცობა კი არ უნდა იკადრო.

– მაძღარის პრინციპით ამბობ, გოდე, ძმაო, დამშეული რომ გისმენდეს ახლა, თუ განათლებული და გონებადაუნჯებული პიროვნებაა, გაეცინება, პატარა კაცად მოეჩვენები და უჩუმრად გაგეცლება. ხოლო თავუჭკუო, აგიხირდება და შეგაგინებს. მშიერი კაცის შეგინებაზე საცოდაობა და საწუხილოც არაფერია, რომ იცოდე. ერთი კიდევ, მაძღარ მღვდელს დიაკვანიც მაძღარი ეგონაო, იმისთანა არ უნდა მოგივიდეს.

– ის ვერ გავიგე, რატომ უნდა მოუსმინოს მაძღარ კაცს მშიერმა?! იქნება, იმ მაძღარმა ურჩიოს, ასწავლოს, თუ როგორ იშოვა სასტომაქო?!

– მშიერს ის დანაყრებული, მაძღარი კაცი გასცემს პასუხს. ასე ყოფილა ათადან და ბაბადან, ასეა ახლაც და ასე იქნება მომავალშიც. ამიტომაა ვერ გასწორდა ქვეყანაში ზეითქვეითობა და მეტნაკლებობა.

– გასწორებული სამყარო მკვდარია. კიდევ ამ აქეთიქეთობას და ზეითქვეითობას უჭირავს ეგ გამოფიტული თვალსაწიერი.

– რავი, აბა, შეიძლება მასეა, მაგრამ ერთი შემთხვევა მახსენდება, გოდე, ძმაო. გურგენა ხო იცი?

– აბა, გურგენა?

– ლექსების მწერალი გურგენა, კაცო!

– ჰო, ჰო, ვიცი. მერე?

– მე და ეგ გურგენა ლაზიშვილმა დაგვპატიჟა, სახლში წაგვიყვანა და ეგეთი სუფრა გაგვიშალა, რო იტყვიან, ჩიტის რძე კი არა ფარშავანგის მაწონიც არ აკლდა. მოხარშულ-შემწვარი დედლები, მწვადები, სუ თოთო-თოთო ხაჭაპურები, კაი ღვინო, ალალი მასპინძელი და მეტი რა უნდა ქეიფს? განწყობილება, მე შენ გეტყვი, სანატრელი გვექნებოდა. ჰოდა, თავს გვევლება მთელი ჯალაბობა, ცოლ-შვილი ციბრუტივით ტრიალებს და მეფურ პატივში ვყავართ. ბევრი რო არ შეგაწუხო, სუფრა რო დამთავრდა, ამ ჩვენმა გურგენამ ცელოფნის პარკი სთხოვა მასპინძელს. მოუტანეს და რაც კი მაგიდაზე ხელუხლებელი დაგვრჩა: მწვადები, ხაჭაპურები, ქათმის ხორცი და რა ვიცი კიდევ რა, ყველაფერი იმ პარკში მოაქუჩა. თავიდან დაბნეული ვუყურებდი, ვერ მივხვდი, რას ფორთხიალობდა. ბოლოს გამოვცოცხლდი და გაოგნებულმა ვკითხე:

რასაა რომ შვრები-მეთქი?

რასა და შვილებს უნდა წავუღოო, რაღაც ჩვეულებრივი, მშვიდი ხმით მითხრა.

გავგიჟდი, გადავირიე, არ ვიტყვი ახლა, რაც დავმართე იმ გურგენას. მასპინძელი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ჩაგვიდგა შუაში, მაგრამ არ გავჩერდი, სანამ ყველაფერი უკან არ დავაბრუნებინე. არ მეგონა, თუ არ მოვკლავდი, იმისთანა სირცხვილი არასოდეს მიჭამია, ასეთ სიტუაციაში არასოდეს ჩავვარდნილვარ.

ამას მოვკლავ ცემით-მეთქი, გადავწყვიტე. რომ გაგვაცილა მასპინძელმა და გვარიანად გამოვცილდით იმის სახლს, მივუბრუნდი ჩემს უკან მომავალს და დავუყვირე:

ეს რა მიყავი, შე ოჯახქორო, თავი რატომ მომჭერი იმ პატიოსან ხალხში-მეთქი?! და გავიწიე დასარტყმელად.

დაიცა, მათქმევინე ორი სიტყვაო.

ვათქმევინე და თუ იცი, რა მითხრა?

იმ ხორცებს რომ ვყლაპავდი, იმ ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს რო ვსანსლავდი, ცეცხლი მეკიდებოდა ამ დასაწვავ ხახაშიო? თან ტიროდა, კაცო, ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, სამი დღეა ჩემს შვილებს, რიგიან საჭმელს ვინ იტყვის, პური არ უჭამიათ და ცარიელა მჭადზე არიანო. ის რა იყო, აი, ნახე, ჯიბეები სულ მალულად აღებული ხაჭაპურებითა და ხორცის ნაჭრებით მაქვს გამოტენილიო და პიჯაკის ჯიბიდან დაიწყო სანოვაგის ამოლაგება.

გავშრი, გავიყინე, მუხლები მომეკვეთა.

ნუ, ნუ, იღებ, წაიღე. გეთქვა და რაღაცას მოვიფიქრებდით, უკეთესად გამოგვივიდოდა-მეთქი.

წავიდა, მერე მომიბრუნდა და მომაძახა, შენ რომ არ გაგიჟებულიყავი, ეგენი ყველაფერს გამიგებდნენ, შვილებს უფრო გავახარებდი, მეც კმაყოფილი და ბედნიერი ვიქნებოდიო.

რაც ჭაღარა მირევია, სულ მაშინდელია. მის დღემში არ დამავიწყდება იმ საც-

ოდავი გურგენას ცრემლში დალტობილი თვალები და სლუკუნით, გულამომჯდარი ტირილით ნაგულსიტყვები.

– ეჰ, საწყალი გურგენა! – ამოიოხრა გოდემ.

ამ საუბარში რუსთაველის პროსპექტი ისე გაიარეს მეგობრებმა, რომ არც გაუგიათ. ნელი, არხეინი ნაბიჯებით მიუყვებოდნენ გამზირს.

ელდარი, საშუალოზე ოდნავ მაღალი, განუყრელი ზოლებიანი კეპითა და თუთუნისფერი პალტოთი, სიგარეტჩაუქრობლად, ღრმად ჩამჯდარი თვალებით, გზას კი არა, უფრო სივრცეს გაჰყურებდა და გამობურცულ ტუჩებზე ნერვიულად ათამაშებდა სიგარეტის ფილტრს. თან გულში ამბობდა: რა იქნებოდა ეს ქვეყანა სამოთხეს ცოტათი მაინც მგვანებოდაო.

გოდე, გოლიათი, ძვალმსხვილი, ნაქსოვი ქუდით შუბლდაფარული მოაბიჯებდა. მოხრილ ბეჭებს კუზივით უჩენდა დერმატინის გაცრეცილი ქურთუკი. თაფლისფერი დიდრონი თვალები მუდამ ნაღვლიანი და მიმქრალი ჰქონდა. სიარულიც განსაკუთრებული იცოდა, მუხლს ქვემოთ ფეხებს მიბმულივით ისროდა. მისი საფიქრალი ერთი იყო: ნეტავ, ისეთი რამ დამაწერინა, გალაკტიონთან მისულს რამდენადმე მეამაყებოდესო.

ორივეს ძალიან შიოდა, დილიდან ლუკმა არ ჩაედოთ პირში, შუადღე კი უკვე დიდი ხნის გადასული იყო.

– რუსთაველიც ჩავთავეთ, სად წავიდეთ, გოდე, ეგრე ხომ არ დავრჩებით უარაფროები?

– ჩემთან წავიდეთ. ცოლ-შვილი სოფელში მყავს გაგზავნილი. კონდოლელ ჩარუხას ერთი ბოთლი არაყი გამოვართვათ, ცოტა ყველი, კომბოსტოს კაი წნილი, ცოტა „სალაც“ მაქვს, პურისთვის ხურდა მეყოფა, ერთი კოლოფი „ასტრაც“ მეგულება, ჰოდა, მეტი რა გვინდა ჩვენ? დავსხდეთ, ვიქეიფოთ, ვილექსპროზაოთ და ეს ერთი დღეც გავუგზავნოთ მიქელ-გაბრიელს. რას იტყვი, მოვიდა?

– არა, დაიცა, ეგ ძალიან კარგი, მაგრამ იცი რა? დაუზოგავი, მოქნეული და დაგულებული ქეიფი მომენატრა, გოდე, ღვინოსა და კაი პურ-მარილზე.

– ეგა, ოცნებაა, ძმაო. ჩამო ციდან, ჩამო ცოტა ხანს და...

– რათა, ძმაო, ჩვენი ბედ-იღბლისა და ამ უქონელი ცხოვრების დედა ვატირე, თორე ეგეთი რამეები სანატრელი უნდა გვქონდეს ჩვენა?!

– ეჰ, რო ვნატრობთ, ესე იგი, გვინახავს და გვენატრება. აი, საერთოდ რო არაფერი დაულანდავს, ეგეთები რამდენია?!

– მაშა, კაცო, მაშა!

გამომცემლობას გასცდნენ. ვერისკენ გადაუხვიეს. გოდეს მოაგონდა, რომ ერთ ყლურტუნა ლექსების მწერალს, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა, კარგი ღვინო ჰქონდა, საჭმელ-სანოვაგეც მუდამ რიგიანად მოეძებნებოდა, ცოლი კარგ თანამდებობაზე მუშაობდა და არხეინად გრძნობდა თავს. მათთან წასვლა შესთავაზა ელდარს. დაითანხმა, აუყვნენ გზას იმ ყლურტუნა ლექსების მწერლის სახლისკენ. გოდემ მეგობარი გააფრთხილა: ერთს გეტყვი მხოლოდ, არ დაიწყო შენებური კლაოზნიკობა. რა გენეღვლება, იმისაგან რაც არის იმაზე უკეთესი მწერალი აწი მაინც არ დადგება. მოვეფეროთ, ვაქოთ, ვადიდოთ და ჩვენზე უსაყვარლესი ახლობლები არ ეყოლება დუნიაზე. მარტო დღეს კი არა, სულ ჩვენს პატივისცემასა და ყურადღებაში დაბერდება. ის ღვინოც ჩვენი დასალევი იქნება და იმისი ფაშფაშა ცოლის მოტანილი ნაირ-ნაირებიც ჩვენი შესაჭმელი.

– ვერა, ძმაო, მე იმის სისულელეებს ვერაფრისდიდებით შევაქებ.

– კი, მაგრამ, პატივს რო გვცემს, კაცო, და დაიხარჯება, რო დავხუჭოთ თვალები, რა მოხდება ნეტავი?

– მომწყდი-მეთქი, თავი დამანებე, ასეთი აღარც ღვინო მინდა და აღარც სამოთხე...

– მოჩემარი კაცი რომ არ იყო ახლა შენ, შევუშვათ ერთ ყურში და გამოვუშვათ მეორიდან..."ასეთმა უღმერთო მოდგმამ რამდენი ბაჯაღლო ადამიანი გააფუჭა, ნამდვილ გზას ააცდინა არაფრისმქნელი კალმის მონად აქცია. ეგენი ერთობიან ბატონო და ჩემთვის კიდევ პოეზია ღმერთია!"

– კი, ძამია, მარა რო შევუშვებ ერთ ყურში, ის სისულელეები სანამ მეორე ყურამდე მივიდოდეს, ტვინში გაივლის, ტვინი კი ისე მაქვს მოწყობილი, იზამს მაინც თავისას, არ მომასვენებს და გაჭმევ სირცხვილს.

– კაი, ბატონო, ვიყოთ, აბა, აქ და ვლოკოთ ოცნება. აგერ, თოვაც დაიწყო, აცივდა, ამ ჩემს ცხრაჯერ გარემონტებულ ფეხსაცმლებში გამეყინა ფეხები. დავსხდებოდით თბილად.

– არ გვინდა, გოდე, დაიცა, რაღაცას მოვიფიქრებთ.

– სიგარეტიც დაგვიმთავრდა. აცივდა, მართლა ნამეტნავად.

– ხურდა მაქვს აგერ, და ვიყიდოთ.

– შეინახე ეგ გროშები, დაგვჭირდება. "ცხოვრებამ სიკვდილს თუ არ მიგაჩვია, გაგიჭირდება კაცს გადასულტბა იმ ბოლომდე ვერ შემეცნებულ სასულეთში". – გაურბინეს გულში ოდესღაც მამის ნათქვამმა სიტყვებმა.

– რა ახლა მოუნდა წვიმა და ჭყაპი მაინცდამაინც, ამ ჩვენი ცოდვით დაბნელებულს.

– ჩამოვსხდეთ, აგერ, მოვიაზროთ რამე.

– თოვლიანია და სველი, გავიყინებით ამ ბეტონზე. წამო იქით, გადახურულში ხის საჯდომებია.

– ე, ბიჭო, ბიოგრაფიას კი არ გაწერინებ, მუხლი მოვიკეცოთ, ჩავიცუცქოთ, ცოტა შევისვენოთ, დამჯდარი კაცის მოფიქრებული და გამოგონებულია ყველა სიკეთე და საბედნიერო.

– რა ჯანდაბად უნდოდა ახლა ეს თოვლ-ჭყაპი, რა დროს ეგაა? – შეუტია ბუნებას გოდემ.

– რა გიკვირს, ოჯახდალოცვილო, ზამთარია, სანამ გინდა გალიგვინებულ ზეცას უყურო, მოთოვოს და მოყინოს კიდეც უნდა. "ისე არაფერი უხდება ზამთარს, როგორც თოვლი და სიცივე..."

– რატო არა, ბატონო, ქე გაცვია კაი ბათინკები. ჩემსას, აგერ, წყალს ვინ იტყვის, ჰაერიც კი შეენაკადება.

– ეს ბათინკები ხუთი წლითაა ჩემზე უფროსი, შეგშურდეს ეგეც. ოცჯერაა ძირმონაცვალი ჩვენს მთავრობასავით.

– რაც გინდა ის თქვი, თბილია და ახალივითაა მაინც, – არ მოეშვა ელდარს გოდე.

– ა, ბიჭო, წაიღე, გჩუქნი...

– ვაი ჩვენს თავს, არ გვაქვს საქმე და არ ვიცით დროს რა ვუყოთ! "მგონი დრო უფლის სუნთქვით იზომება. ისუნთქე დიდებულო, ისუნთქე! დე, შენმა ფილტვებმა გაგვინათელოს მარადისით ცხოვრება ჩვენი!"

დუმილმა და მოცდამ უფრო მეტად გაუფუჭა განწყობილება ორივეს. ქუჩაში მზერადამწუხრებული მოქალაქეები მიდი-მოდიოდნენ. მომღიმარსახიანი ადამიანის ხილვა სანატრელი გამხდარიყო.

– ის თუ იცი გოდე, რატომაა უწიადისეულო, არაფრისმქონე იაპონია ყოველმხრივ მდიდარი, განვითარებული და რატომ ვართ ჩვენ, ბუნებრივად ყოველმხრივ შემკული, ღვთივკურთხეული ქვეყნის პატრონები, ასე ღარიბები და სხვათა ხელების შემყურენი?

– რატომ?

– იმიტომ, ჩემო ძმაო, რომ მათ არაფერი გააჩნიათ, მაგრამ ტვინი აქვთ, თავი. ჩვენ კიდევ ყველაფერი მოგვცა ღმერთმა თავ-ტვინის გარდა. "უი, ღმერთთან რა მინდა, შემიწყალე, უფალო, შენ ყველაფერი მოიღე ჩვენთვის. ჩვენვე დავკარგეთ თავიც და გონიც."

– ე, ბიჭო, წავიდეთ ჩემთან, გავიყინე...

– გოდე, ჯიმა ხო იცი, ჩვენი ჯიმა?

– მერე?

– წუხელ ვაგზალზე შემხვდა. ხვალ დილით ჩემი ძმა ჩამოდის სოფლიდან, რაღაცეებს ჩამოიტანს, გამოგვიარე და შევუბეროთო.

– ჩამოვიდა მერე იმისი ძმა?

– ჩამოვიდოდა, აბა, სად წავიდოდა!

– სად იყავი, ბიჭო, მერე ამდენ ხანს? – გაიხარა გოდემ და სახეგაბადრულმა წაიმღერა: „დედა, რა გამახარე, ბიჭო, რა გამახარე, ოჰოჰოია, მრავალ ჟამი-ჟამიერ!“

– მოვუსვათ, აბა.

– მეტროთი წავიდეთ, ფულიც მოგვეზოგება....

– იქ რამენაირად მივიდეთ და მერე ჯიმა გვიპატრონებს.

ადრე თითქოს წუხილი ალაპარაკებდათო, მეტროსთან ისე მივიდნენ, კრინტი არ

დაუძრავთ. ძმაკაცები იმაზე ფიქრობდნენ–სწრაფად გაელიათ მანძილი და მალე სტუმრებოდნენ დღევანდელი დღის გადამრჩენ ჯიმას.

– გოდე, მომე ხურდა! –შეჩერდა მეტროს წინ მდგარ ბრმა მათხოვართან ელდარი.

თითქოს არ იცოდა, რად უნდოდა ფული, ისე ჰკითხა ელდარს გოდემ:

– რად გინდა?

– მომე-მეთქი!

– მარტო ორი ჟეტონის საყიდელი გვაქვს და მერე რა ვქნათ?

– გეყურება?! – გაუმკაცრდა ხმა ელდარს.

– ა, ბატონო! – ჩაუყარა ხელში უკანასკნელი ხურდა მეგობარს.

– აგერ, ძიაკაცო, ახლა მეტი არ გვაქვს და გვაპატიე! – უთხრა ელდარმა და თუნუქის ყუთში ჩაუჩხრიალა ლითონის ფული.

– რითი წავიდეთ ახლა?

– მეტროთი! – არ მოუხედავს გოდესთვის, ისე თქვა ელდარმა და პოლიციელისკენ გასწია ჯიქურ.

ცოტა ხანი ელაპარაკა ფორმიანს ელდარი და წითურმა, სახენაყვავილარმა წესრიგის დამცველმა გვერდითი გასასვლელიდან გაატარა უფულო დოსტები.

გარეთ თოვლ-ჭყაპი ჭყლარტუნობდა; ზამთრის მოკლე დღე ფეხაკრეფით მიუყვებოდა ჩასავალს. მეტროს ამოსასვლელთან მზერისდამღლელად ირეოდა ხალხი.

– შეხე, გოდე, ადამიანები ჭიანჭველებივით არ არიან?

– ვერ გავიგე, რა თქვი?

– რადა, ჭიანჭველები რომ გამოიკრიფებიან დილით თავიანთი ბუდეებიდან, დაიტვირთებიან და საღამოს წელჩაზნექილები ბრუნდებიან სახლებში, ხო გვანან ამაში ადამიანები-მეთქი? ადამიანებიც ხომ ასე დატვირთულ-დაღლილები უბრუნდებიან თავიანთ სახლ-ბუდეებს, დილით ისევ გამოვლენ, საღამოს ისევ შევლენ სახლებში და არიან ჭიანჭველებივით გაწამაწიაში.

– სხვები შეიძლება მართლა ეგრე იყვნენ, მაგრამ ჩვენ? ჩვენ რომ ცარიელები შევდივართ უმეტესად ჩვენ-ჩვენ სახლებში?!

– ჩვენ, ძმაო, ცას რაც აქვს, კი ვსწყვეტთ, კი ვართმევთ, კი მიგვაქვს სახლში და, რაც ცას არა გააჩნია, იმას საიდან მოვიტანთ ღვთის მოიმედენი. "თუმც იმედ-ძალა ხომ შეგვაქვს სახლში ბაწარაღებით?!"

– ეჰ, ჩემო ელდარ, ნამდვილი ბავშვი ხარ, მეოცნებე ბავშვი. ვინაა ახლა მაგას რო უყურებს?

– მომავალი უყურებს, გოდე ძმაო, მომავალი. ჩვენი მოწეული მოსავალი თუ მართლა ციდანაა მოწყვეტილი, მაშინ მარადიულია და ვერანაირი ზიზილ-პიპილები შეედრება და გადასწონის იმას.

– ეეჰ...

– რა ეეჰ?! იქით გადავიდეთ, იმ სახლების უკანაა, მაღაზიის წინ.

– ვიცი, ორჯერ ვარ ნამყოფი.

– როდის, კაცო? უჩემოდ?

– ხომ იცი, ჯიმას ამბავი, ერთი ლუკმაც რომ ჰქონდეს, ჭიქა ღვინო ბოცაში ულივლივებდეს. მარტო რას შეაჭამ და დაალევინებ?!

– ვიცი სიკეთით ნაშენი გული აქვს.

– ისევ იმ საუბარს გავაგრძელებ და, რა იქნება, სული რომ იყოს მარტო საპატრონო და ხორცს ამდენი მიდი-მოდი, ჩააცვი-აჭამე არ სჭირდებოდეს?!

– ჩვენ სულის საპარტრონოდ ვართ გაჩენილები.

– ხორცის გასახარად არ მივდივართ განა ჯიმასთან?!

– კი, მივდივართ, ჩემო კარგო, მაგრამ ეგეც იმიტომაა აუცილებლად საჭირო, რომ სულის ტარება შეძლო. ღმერთმა ცის ნატეხი, ჩვენ-ჩვენ წილად. ჩაგვაბარა ადამიანებს საზიდად და სამწყემსად, ყველა ადამიანს თითო ცის ნატეხი უციალებს სასულეთში. შენ ეგ პატარა საქმე ხომ არ გგონია? ცა უფლის სულთქმაა, სამშვინელი მისი და ამიტომაცაა ასეთი კრიალა და მიუწვდომელი. ყველაფერს შეიძლება შეწვდეს ადამიანი, მაგრამ ცას ვერ შეეხება, უფლის სამყოფელო რომაა, იმიტომ. მიუწვდომელია ისიც ღმერთივით. ხედავ და ვერ ამჩნევ, მისდევ და გაგირბის. ეგრეა, ძმაო, და გაფრთხილება უნდა სულს, ნამეტანი გაფრთხილება.

– კარგად კი საუბრობ, მაგრამ...

– რა მაგრამ?.. თუ ეს არა გწამს, არა გჯერა, მაშინ შენ შემოქმედი არა ყოფილხარ და შენი ხელოვნება ცისიერი კი არა, მიწის მტვერში მოფორთხიალე რაღაც ცოფია მხოლოდ. მიწისაგან ქმნილი, მიწადვე იქცევა უცილოდ.

მივიდნენ ჯიმას ბინაში დოსტები. სადარბაზოსთან დაიფერთხეს, გაიწმინდეს თოვლ-ტალახიანი ფეხები. გარეუბნის ამ მიყუჟულ სახლში ჰქონდა ბინა ნაქირავები კოლხ შემოქმედს. ერთოთახიანში ცხოვრობდა, მაგრამ მისი მეგობრებისთვის ეს დადიას სასახლე იყო, და კიდევ, როგორც შემთვრალ-შებუჟბუჟებულები იტყოდნენ ხოლმე, „ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივითა“...

– ბევრი. ვიფრთხილე, მაგრამ მაინც შემივიდა ფეხსაცმლებში წყალი, –შესჩივლა მეგობარს გოდემ.

– არა უშავს, გაიშრობ, არაყი ექნება ჯიმას, ცეცხლჯაჭვა, ჩაურტყამ და მორჩები.

დააკაკუნეს კარებზე. ოთახიდან ჯიმას ხმა გაისმა:

„ვინც არ უნდა იყო მანდ,
სტუმარი თუ მაშვრალი,
ღარიბი თუ მდიდარი,
სიხარულით გიღებ კარს,
შენი ბედი დამებედოს!..“

– ელდარი ვარ, ბიჭო, ბროლია არ გეგონო და ცოცხი არ მესროლო!

ოთახში სიცილ-ხარხარით შემონათელდა.

უცნობი, ბეჭებგანიერი, მკვირცხლი, თაფლისთვალება ახალგაზრდა შეეგება სტუმრებს.

– ჩემი შუათანა ძმაა, – გააცნო მეგობრებს ლოგინიდან თავაწეულმა ჯიმამ.

– ელდარი, ძმაო!

– სასიამოვნოა. თენგო, ჩემო ბატონო! – ჩამოართვეს ხელები ერთურთს.

ახლა გოდე გამოეცნაურა ყმაწვილს.

– მობრძანდით. დაბრძანდით, ბატონებო, – მიმართა მოსულთ თენგომ და ფაციფუცით დაიწყო დასაჯდომი ადგილების მოძიება. ჯიმას სულ სამი სკამი ჰქონდა. ერთზე ტანსაცმლები იყო გადაკიდებული, მეორეზე წიგნები ელაგა და თავთან ედგა მწოლიარე ჯიმას. მესამე კი სამზარეულოში გაეტანათ. თვალის დახამხამებაში თენგომ ის ორი სკამი გაათავისუფლა, სტუმრები დასხა, მესამე თავისთვის შემოიტანა.

– რა მოგივიდა, ჯიმა, რაა, რომ წევხარ, ან ეგ ლამპა რასაა ყვანთალებს, ქვის ხანაა?– ჰკითხა მეგობარს ელდარმა.

– უშუქობა რას გიკვირს, შე კაცო, ორ დღეს გვაქვს, ორს – არა. მე კი გავცივდი მგონია, სიცხე მომცა, ძვლებში მტეხს. ეს მინდოდა ახლა?! – მიუგო მეგობრებს ჯიმამ, ძმას მეორე ლოგინიდან კიდევ ერთი ბალიში მოატანინა, მიეზურგა და საგრძნობლად წამოიწია.

– თქვენ აგაშენათ ღმერთმა ჩემი გახარებისათვის. დილიდან რაც თენგო ჩამოვიდა, სულ იქაურ ამბებს ვეკითხები. უზომოდ მომნატრებია ჩემი ოდაბადე, ჩემი ცამდე მართალი სოფელი, ოხვამე და თითოეული სამოხიოელი. თენგო რომ ვნახე, უფრო მომაწვა კაეშანი. ერთი მხცოვანი მეზობელი მყავდა , ბაგი ფორია, მეჯოგე იყო საწყალი. ენგურისპირა საბალახოებში აძოვებდა და აყენებდა საქონელს. ბევრჯერ ვსტუმრებივარ, მუდამ გულითადი მასპინძლობით დამხვედრია. თუმცა ეს ჩვენებურისგან რა გასაკვირია. ისე, საოცარი კაცი იყო ბაგი ფორია, სიბრძნითა და უსაზღვრო ჭკუა-გონებით დაჯილდოებული. ცისა და მიწის განსხვავებისა და მსგავსების ფილოსოფია იმნაირად ჰქონდა აღქმულ-გაგებული, გაგაოგნებდა კაცს. სიტყვა-გაგებითი საუბარი იცოდა, ბრძენკაცთ რომ შეჰფერით, ისეთი; აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, იმ ძაღლიშვილებმა უზომოდ სცემეს და ყველაფერი წაართვეს, ჯოგი წაასხეს. საწყალი ბაგი ძლივს გადაურჩა სიკვდილს. შვილებმა გამოარიდეს იქაურობას, ზუგდიდში წამოიყვანეს, ამდენი ხანი აქ იყო, ახლახან გამოპარულა იქიდან და ენგურისპირას, თავის ფარეხთან მკვდარი უპოვიათ. ვერ დავიტირე, და უზომოდ მწყდება გული. მაპატიეთ, ბიჭებო, მოგაწყინეთ თავი. თენგო, რა ვქნათ ახლა ჩვენ?

– არაფერია საჭირო, ჯიმა, გინახულეთ და წავალთ მალე, – უხერხულობას შემოუარა ელდარმა.

– კაი ახლა, ელდარ, ჩემი ძმა ხარ შენ, მარა ჩემს სანახავად არ ამოხვიდოდი აქ ამ ძვალტეხია ამინდში; თანაც რა იცოდი, სიცხე თუ მქონდა, – ჩაიხითხითა ჯიმამ.

– რატო, ძმაო, მონატრება არ არსებობს თუ რაშია საქმე? ამოიღე ხმა, გოდე, – გადაულაპარაკა დიმილძლეულ მეგობარს ელდარმა და დახმარება სთხოვა. გოდემ დუმილი განაგრძო.

– ერთი პრობლემა გვაქვს, ძმებო, თანაც რთული პრობლემა მეტად. თენგო, – მიმართა ძმას ჯიმამ, – აჩვენე ჩვენი სიმდიდრე და რაც გვჭირს, ისიც აუხსენი.

თენგო სამზარეულოსკენ გაუძღვა ბიჭებს. შებოლილი ყველი, შაშხი, კუპატები, ფქვილი და ღერღილი, ტყემლისა და პომიდვრის საწებელა, სამლიტრიანი ქილით არაყი, ოცლიტრიანი ბოცით ღვინო და კიდევ რაღაც-რაღაცები მადის აღმძვრელად იმზირებოდნენ მაგიდიდან.

– ჰაუ, მთელი სოფელი ჩამოგიტანიათ, ძმაო! – ნერწყვმორევით წამოიძახა ელდარმა.

– კი არის რაღაცები, მარა ვერ ვამზადებთ, – მიუგო თენგომ.

– რატო, კაცო. რა უნდა ამის გამზადებას, აგერ ვართ ჩვენ და მივყვეთ საქმეს,– ჩააკვირდა გოდე თვალებში თენგოს.

– დენი აქ არ არის და გაზი ხომ წლებია საერთოდ მიკნავლდა, ერთი კეწეწი შეშაც არსად მოგვეპოვება და რით უნდა გავამზადოთ? – თქვა დამწუხრებულმა თენგომ.

– შეშის ღუმელი კი უდგას და მოვიძიოთ რამე, შეშა ოქრო ხომ არაა, ოჯახდალოცვილებო, გათხრა სჭირდებოდეს, – აქეთ-იქით მიმოიხედა ელდარმა, დასაწვავად ვარგისსა და გასამეტებელ საგანს დაუწყო ძებნა, მაგრამ სამზარეულოში განჯინის, მაგიდისა და ჟანგმოკიდებული ღუმელის გარდა არაფერი იდგა.

– იქით იქნება რამე, – თქვა ელდარმა და გავიდა ჯიმასთან ოთახში. – შეშის მოძებნას რა უნდა, გავალ გარეთ და ვიპოვი რაცხას.

– ჯოჯოხეთური ამინდია გარეთ, რომც არ იყოს თოვლი და ყინვა, მაინც ვერაფერს მოჩხრეკ, ამ უბანში ყველა შეშის ფეჩზე იჭინთება და ლუპით რო ეძებო, კბილის მოსაჩიჩქნს ვერსად წააწყდები. – წყალი გადაასხა ელდარის იმედს ჯიმამ.

– რა ვქნათ, აბა? – მოთმინება დაჰკარგვოდა გოდეს და თვალწინ ედგა ყავისფერმოკიდებული შაშხი, შებოლოლი ყველი, მაჯისსიმსხო კუპატები და ცუცხუნა აფხაზური ადესა.

– რო არ ვიცით რა ვქნათ და რო არაა საშველი, მიტოა ასე დავყვანტალებთ უსმელ-უჭმელად...

– შეშა არ იშოვება, კაცო?

– როგორ არ იშოვება, მაგრამ სიცხე მომცა, ვერ წავედი საყიდლად, თანაც, გრაფიკით დენი არ უნდა გამოერთოთ დღეს, მაინც გამორთეს და დავრჩით ასე.

– ძველი ფეხსაცმელები არ გაქვს? – ჰკითხა გოდემ ჯიმას და გამოსავლის პოვნით გახარებულმა განაგრძო: – კაი ცეცხლი იცის ფეხსაცმელმა, ბენზინივით ეკიდება ოხერს.

– ამდენი ძველი ფეხსაცმელი სად მაქვს, გოდე, ძმაო, ან სად გაგონილა ფეხსაცმლის ცეცხლით რო ხარშავდნენ ღომსა და შაშხს?!

– რო გვიჭირს, იმიტომ ვიძახი... ჩაპლინი ჩვენზე ნაკლებია? სკამი დავწვათ და მერე ვიყიდოთ! –წამოიძახა ელდარმა და სკამი ძალუმად ააჭრაჭუნა. – მორყეულია ზომაზე მეტად, გამოსაცვლელი ყოფილა მაინც.

– რასაა რომ იძახი, ელდარ, სამი სკამი მაქვს სულ, თანაც ოჯახის პატრონისაა და ვერ ვიზამ მაგას.

– მაგიდა არ გაქვს ძველი, ან კარი, ან ფანჯარა ზედმეტი, გაუქმებული რამერუმეები, ან ჯანდაბა და დოზანა? – არ მოეშვა ელდარი ჯიმას.

– ორი მაგიდა მაქვს მარტო, ერთი იქ, სამზარეულოში ხომ ნახეთ, ეს მეორე – საწერიცაა, სტუმრის მისაღებ-მისასხდომი და თან აღარც ერთია ჩემი და აღარც – მეორე.

– ჯოჯოხეთის განათებას არაფერი უნდოდა ერთი ღერი ასანთის გარდაო, როა ნათქვამი, იმისთანა არა გვჭირს, კაცო? – ამოიხვნეშა გოდემ.

– არა, ბატონებო, ამ ღვინოსა და ამ საჭმელებს ასე ვერ დავტოვებთ, – ნერწყვმორევით თქვა ელდარმა და სიგარეტი ნერვიულად მოქაჩა.

დუმილმა გააყუჩა ყველა და ყველაფერი.

– დღევანდელ ლიტერატურულ გაზეთში წაიკითხე, ჯიმა ძმაო, ალექსანდრეს წერილი პოეზიაზე? – სხვა თემაზე გადასვლით სიჩუმე დაარღვია გოდემ.

– არა, არ წამიკითხავს. რაო, რას წერს ჩვენი საშა?

– რავი, ბოლომდე ვერ გაიგებს კაცი. პოეზიის რაობის გარკვევას ცდილობს და აბსურდის აბლაბუდაში იხლართება. შენც ხომ წაიკითხე, ელდარ?

ელდარი დუმდა, თვალწინ ოცლიტრიანი ღვინო, სამლიტრიანი არაყი, შაშხი, ყველი და ქეიფი ედგა. სხვა რამეზე არც სურდა საუბარი და სიმართლე რომ ითქვას, არც შეეძლო, ამიტომაც დუმილს მიეკედლა.

– პოეზიაზე მსჯელობა სათუთი საქმეა, – მიმართა გოდეს ჯიმამ, – პოეზია რაც არის, იციან მხოლოდ შემოქმედებითა და სულიერებით უფალთან ახლოს მყოფმა ადამიანებმა. ჭეშმარიტი პოეზია ცეცხლის, მიწის, წყლისა და ჰაერის საიდუმლოებათა ნაერთია და ხელოვანს თუ ამ ოთხიდან ერთის გენია აკლია, ვერაა სრულყოფილი. პოეტში უფლის წარმოსახვითი და აღქმითი უსაზღვროებაა კოდირებული და მისთვის სამყაროისეული ზებუნებრივი თვისებები არც გასაკვირია და აღარც ძნელად შესაცნობი. ამიტომაცაა პოეზიის ნიმუშებში ციური სუნთქვა, მიწიერი სინატიფე, წყლის სიანკარე და უკიდეგანო ჰაეროვნება.

ჯიმა წამიერად გამოეთიშა სამყაროს, ჩვეოდა ხშირად ასეთი გადართვები – ამ ყოფიდან ფიქრისა და ოცნების ყოფაში. წამიერი განმარტოება წუთიერად იქცა, წუთი წუთს მიემატა და მის თვალწინ ალიცლიცდა ბაიებით ჩაყვითლებული ველი, რომელიც სიცოცხლით, სილურჯით და ცხრატყავას ციაგით ექიშპებოდა ოხვამეკარის საფლავებით ჩამყუდროებულ ალაგს. დღევანდელ დღესავით ახსოვდა ჯიმას, ბებიამ რომ წაიყვანა ოხვამეში ბაიობას. სალოცავის გადასახვევს რომ მიუახლოვდნენ, ბებიამ ფეხზე გაიხადა, დაიჩოქა, ერთი, თავისი ხელით ჩამოქნილი თაფლის სანთელი იქვე აანთო, მანამდე ილოცა, იბუტბუტა, სანამ ის კელაპტარი ბოლომდე არ ჩაიცრემლა. მერე ჯიმას ხელი ჩაავლო, მიიხუტა და რაღაც ლექსივით უთხრა თუ შეულოცა, ვერ გაერკვია ყმაწვილი. გული ამოვარდნას ჰქონდა მოხუცს, ხელები გაჰყინვოდა, ცახცახი მორეოდა და მიწისფერ დადებული სახით ზეცას აჰყურებდა. მაშინღა დაინახა პირველად ჯიმამ ციდან ჩამოფარფატებული ანგელოზები. ახლა რომ იგონებდა, ერთს ნინოწმინდის ნათელი სახე ჰქონდა, მეორეს – თამარის, მესამეს მისი გარდაცვლილი დის – მთვარისასი, მეოთხე კი ვერავის მიამსგავსა, ფითრივით პირსახეზე ღვთიური ღიმი დასთამაშებდა ზღვისფერ სამოსში გახვეულს. ზღვაზე გაწოლილ დილასავით ნათელიანობდა. ჩააკვირდა ჯიმას თვალებში და სიყვარული ჩაუსახლა. მაშინ საიდან ეცოდინებოდა ყმაწვილს, სიყვარული რა იყო, წლები რომ გაუძალიანდნენ, დარწმუნდა, რომ ის თეთრფრთება ანგელოზი უზომოდ უყვარდა, მთელი ცხოვრება მისი ალიკვალის ძებნაში, ცა-ზღვისფერი თვალების ხატვასა

და მასზე სიმღერების თხზვაში გალია. ეს ანგელოზი კი მუზა აღმოჩნდა, მისი სულის მეპატრონე და გულის მფლობელი მუზაქალი, რომელიც ჩეგვალაზე ცხოვრობდა. ჯიმამ ყმაწვილბიჭობისას თავის სოფელში მაფშალია დაიჭირა, მგალობელი ფრინველი გულში ჩაიკრა და ასე არბენინა ბექობზე, იმ ქალამზისას, მუზაქალს შესწირა ის იადონი. რომ ბრუნდებოდა, ბულბული ადამიანის ენაზე ალაპარაკდა და სთხოვა, აქ არ დამტოვო, ღმერთების კარზე გალობა ძნელია, თანაც შემომელევა ჰანგი და ერთფეროვნებას არ მაპატიებენო. ჯიმამ სიტყვა მისცა მაშინ იმ მგალობელს, – შენ ოღონდ დარჩი და ახალ-ახალი საგალობლებით მე მოგამარაგებო. ჰოდა, მას მერე კალამი არ გაუგდია ხელიდან, წერს იმ საოცარი ალაგისათვის საკადრის რამერუმეებს და არის ასეთ გაწამაწიაში.

ცალკე ის ჩიტი არ ასვენებს: – აბა, ახალი, ისევ ახალი...

ცალკე იმ მუზა ანგელოზების ფერხატება დაჰხატვია გულ-გონზე და მღერის და მღერის, ქარგავს და ქარგავს...

რამდენჯერ უთქვამს, – კმარა, კმარა ახლებურად დავიწყებ ცხოვრებას, ხვალიდან სხვა საქმეს მოვკიდებ ხელს, სხვებივით ვიარხეინებო, მაგრამ ვერა, ვინ გაქცევია ბედისწერას, ეს რომ გაექცეს...

იმ ბაიასფერი ოხვამეკარის დახატვა კი ჯერჯერობით ვერა და ვერ მოახერხა ჯიმამ, არადა, როგორ უნდოდა სხვისთვისაც დაენახვებინა განცდილი სილამაზე, სხვაც დამტკბარიყო იმ სამზეოს ლაციცით, ციდან ჩამოღვრილი ფერებით რომ ხასხასებდნენ უკვდავებისფრად.

– ჯიმა, ვისია ეს წიგნები? – წამოიძახა ელდარმა და უადგილობის გამო იატაკზე დახვავებულ წიგნებს მიუახლოვდა.

– ვერ გავიგე, რას ჰქვია ვისია? – გაოცებით იკითხა ჯიმამ.

– ჰო, ვისია ეს წიგნები?

– ჩემია, ვისი უნდა იყოს. რატომ მეკითხები? – ავის მოლოდინი აებურძგლა სიცხიან ტან-სხეულში ჯიმას.

– როგორ, ეს ლენინის და ენგელსის ტომებიც შენია?

– არა, განცალკევებით რომ აწყვია, ოჯახის პატრონისაა. რატომ მეკითხები? – გაფითრებულ ლოყაზე ძარღვი აუთამაშდა ჯიმას.

– არა, არაფერი, მერე გეტყვი. თენგო, გოდე, თქვენ ღერღილი გარეცხეთ, სხვა დანარჩენიც გაამზადეთ ღუმელზე შესადგმელად, ცეცხლს კი მე მივხედავ.

– რაო, რით დაანთებ ცეცხლს? – თითქმის ერთხმად წამოიძახეს ჯიმამ და გოდემ. თენგომ გაოცებით შეხედა ელდარს და ოთახი კიდევ ერთხელ დაათვალიერა დაკვირვებულის მზერით, რამე ხომ არაა ისეთი, წაკიდება შეიძლებოდესო, მაგრამ რომ ვერაფერი ნახა სამი სკამის, ორი მაგიდის, ტანსაცმლის კარადისა და წიგნების მეტი, გამომცდელად ჩააკვირდა ელდარს, რომლის გაბრწყინებული თვალების ელვარებამ გააკვირვა და დააბნია კიდეც.

ელდარმა ისევ გაუმეორა ბიჭებს:

– წადით ახლა, გაამზადეთ საცეცხლედ ყველაფერი და დანარჩენი ჩემზე იყოსო.

– საიდან უნდა მოიტანო ამაღამ შეშა, ელდარ. კი ავდგები მე ლოგინიდან, ჯანდაბას ჩემი თავი, მაგრამ სად ვიშოვი ახლა შეშას?!

– ხო გთხოვეთ თქვენ, წადით და გაამზადეთ ყველაფერი –მეთქი?

– კი, ბატონო, მაგრამ...

– მიდით თქვენ, ცეცხლის დარდი ნუ გექმებათ, აგერ, ვარ მე! ჯიმა, ძმაო, უვარგისი წიგნების სახლში დადება-შენახვა ხოა ვარგისი წიგნების შეურაცხყოფა?

– უსარგებლო წიგნი არა რსებობს, ელდარ, იცი ეს შენ, ან რა შუაშია ეს?!

– რა, ჩემო ბატონო, და „ვეფხისტყაოსნისა“ და ბიბლიის გვერდით რა ესაქმება წითური ურჩხულების წიგნებს. როგორ შეიძლება ლენინის ტომები ეწყოს ქართველი მართლმადიდებელი, ეროვნულსულოვანი მწერლის ოთახში? გამეცი პასუხი!

– ჯერ ერთი, არაა ეს წიგნები ჩემი, მეორეც, ლენინის მმართველობის პერიოდი მისივე წიგნებით უნდა გაიცნო.

– ვის რა ჯანდაბად უნდა ის პერიოდი?

– ვისაც სჭირდება იმას. იყო საბჭოთა კავშირი და ხომ ვერ იტყვი, არ იყოო, თანაც

ხომ უნდა იცოდე, როგორი იდეოლოგიით შეიქმნა ამხელა იმპერია. ამას გარდა, სხვა რამ აუცილებელი და საინტერესოც მოიპოვება იმ წიგნებში და, როგორც გითხარი, უსარგებლო და გამოუსადეგარი წიგნი არ არსებობს. მაინც ვერ გამიგია, რატომ მეკითხები ამას?

– რატო და დავწვათ უნდა ეს ტომები.

– რასაა რო იძახი, ელდარ! – ისეთი ხმით წამოიძახა ჯიმამ, რომ სამზარეულოდან დაფეთებულნი გამოვარდნენ თენგო და გოდე.

– რა გაყვირებს, ვიცოდე ნეტავ? ახლა, ან შენს „ხაზეინს," ან შენ ეს უაზრო და არაფრისმთქმელი ტომები რომ არ გეწყოთ აქ, დააიქცევა ქვეყანა ვითომ? ან თქვენ დაგაკლდებათ ამით რამე? მართალმა კაცმა ცხრა აპრილის შემდგომ, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტრაგედიების მერმე, როგორ შეიძლება იქონიოს ეს სატანური წიგნები და მისი დაწვა დაეანანოს. თანაც ისეთი საშური საქმის გულისთვის, რომელსაც ქართული ტრადიციული ქეიფი და სუფრა ჰქვია! – ეს ისე სხაპასხუპით ჩამოარაკრაკა ელდარმა, რომ სანამ საუბარი არ დაასრულა, ვერავინ ჩაერია. მერე კი ჯიმამ შეუტია ისევ.

– რასაა რო ბოდიალობ პოეტი კაცი, წიგნების დაწვა არ გამიგია მე და თანაც ღუმელის გასახურებლად, რა მოგივიდა შენ, თუ ღმერთი გწამს?

გოდე და თენგო გაოგნებულები უსმენდნენ მოდავეებს.

– ამიხსენი, ძმაო, ამ წითელი სატანისტის წიგნები გირჩევნია თუ ის, რომ მივდგებით ახლა ჩვენ, უსაყვარლესი ძმები, გავამზადებთ საჭმელს, სასმელს, დავსხდებით, ცოცხლებსაც და მიცვალებულებსაც თავ-თავიანთ წილს მივაგებთ. ადგილის დედას ვადღეგრძელებთ, საყვარელ ადამიანებს მოვეფერებით, დავლოცავთ. ვინ იცის, ჩვენი მიცვალებულების სულები როგორი წყურვილით ელოდებიან ჩვენგან შესანდობარს. შენი რომანის სათაურისა არ იყოს, ჩვენ ხომ „სიცოცხლემისჯილი" მარადიული პატიმრები ვართ ამ უსულგულო წუთისოფლისა? შენ გინდა, რომ ეს ყველაფერი უღმერთო და უხსენებელი ბელადის გამო ჩაშალო?!

– რასაა იძახი, ელდარ, ხომ არ გადაირიე?!

– ჯიმა, ძამა, მართალს ამბობს ელდარი, შენს ძმობას ვფიცავარ, არაა ლენინი იმის ღირსი, რომ მაგის ნაბოდვარები აქ ელაგოს და ჩვენ შიმშილით ვიხოცებოდეთ, – ამოუდგა ელდარს გოდე.

– ბოდიშს კი გიხდი, ძმაო, მარა მართალს იძახის ეს ღვთისნიერი ხალხი და ბრალია არ დაეთანხმო, – თენგოც გადაუდგა ჯიმას.

– გაგიუდით ყველა, თუ რაშია საქმე?! სად გაგონილა წიგნი დაწვას კაცმა და იმის ცეცხლით ღომი მოხარშოს.

– ჯიმა, ძამია, ამაში მაინც გამოვიყენოთ ის სულწამხდარი ბელადი. სიფილისს კი არა, ქართველს უნდა მოეკლა მაგი, იმისთანა უღმერთობები ჩაიდინა ჩვენთან. მაგან დამიხვრიტა ბაბუა და მისი ძმა, მაგან დაატრიალა სისხლის კალო საქართველოში, **„თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი..."** ვინ დაადუმა სიონი და ხალხი, ვინ ჩაცხრილა ჩვენი იუნკერები, ვინ, ვინ და ვინ ჩაიდინა ენით აღუწერელი საშინელებები, თუ არა ლენინმა?! მოგვეცი საშუალება ამდენი ხნის მერე მაინც ვიძიო შური სატანაზე! – მთელი სერიოზულობით ჩამოასხაპასხუპა ელდარმა.

– მე თქვენ გამაგიჟებთ, შენს სახლში იძიე შური, ძმაო! – არ ცხრებოდა ჯიმა.

– ჩემს სახლში რა უნდა ლენინს! მე თავს უფლებას ვაძლევ, ჩვენი გმირულად დაღუპული წინაპრების სახელით გავანადგურო ლენინი! – მეტად ხმამაღლა გამოუვიდა ელდარს ნათქვამი, მივარდა ლენინის მუქ-ყავისფერ ყდაში ჩასმულ წიგნს, გადაფხრიწა, ღუმელის კარი გააღო, შიგ შეუძახა და წაუკიდა, ერთ ტომს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე... გაოგნებული ჯიმა თითქოს დამუნჯდა და მხედველობაც წაერთვაო, ერთ წერტილს შეჰყურებდა ჭერში და ხმას არ იღებდა. თენგო და გოდე გახარებულები და იმედიანები ასრულებდნენ მეცეცხლურის დავალებას, რომელმაც თავისი პირობა შეასრულა და ჯერი ახლა ამათზე იყო. მათაც არ დააგვიანეს და, რომ იტყვიან, თავალის დახამხამებაში გაამზადეს ყველაფერი. ელდარი გულმოდგინედ, ფურცელ-ფურცელ გლეჯდა „ლენინს" და აგუზგუზებდა ღუმელს. ცოტა ხანში ულიანოვის ტომები ისე გამოილია, შაშხი და კუპატი კი შეაფუცხუნა, მაგრამ ღომი ჯერ შუა ძილში ბურტყუნებდა.

ჯიმამ მოიხედა ლენინის ნაწერებით აბრიალებული ღუმელისკენ. უცებ ღუმელის

კარის საქარე ჭრილიდან გამოძვრა ცეცხლისთვალება ალი, მიმოიხედა, მზერა მოავლო ოთახს და კედელზე ჩამოკიდებულ ჯვარზე ჩამოსკუპდა.

– გაქრი, გაქრიო, – დაყვირება უნდოდა ჯიმას, მაგრამ პირი დაეჭედა, ენა სასაზე მიეწება, კრინტი გაუქვავდა. იმ ალმა ერთი წრე ისევ დაარტყა ოთახს, წიგნებში შეძვრა, გამოძვრა, ელდარს შემოეგარსა. ვერაფერი გაიგო ელდარმა, ვერც თენგომ და გოდემ იგუმანეს მეგობრის მხარზე მისი თამაშ-რიალი. უნდოდა დაეყვირა ჯიმას, მაგრამ ამაოდ. ის ალი ახლა მასპინძელს დაახტა და ყელში წაუჭირა, აახროტინა. ხელები გაქვავებული ჰქონდა, ფეხებიც გაშეშებული. უნდოდა ეყვირა:

– მიშველეთ, დამეხმარეთო, მაგრამ სადაა ენა, სადაა ძალა, სადაა უნარი?! იხრჩობა კაცი, უჭერს ალი ცხელ მარწუხა ბრჭყალებს, სისინებს, პურტყუნებს, ჩხავის, კნავის, ღნავის და რომ უნდა მოაშთოს ჯიმა, ამ დროს კედელზე ჯვარცმის გვერდით დაკიდებული ჯეგე მისარონის ხატიდან თეთრმა გიორგიმ გადმოყო სხივნათელი შუბი და აძგერა ალს. დაიგრიხა ეშმაკცეცხლა, დაიბღავლა შემზარავად, გადმოასისინა გველპირიდან ენა და ახლა ქრისტეს უმთავრეს რაინდს ებრდღვნა, ხატზე წმინდანის ფერხთით გართხმულ გველეშაპს ჩაუსახლდა და შემზარავი ხახიდან ცეცხლი გადმოაფრქვია. ის თეთრი გიორგი დავით აღმაშენებლად იქცა, აძგერა დიდმა მეფემ შუბ-მახვილი გველეშაპს, მერმე ხმლითაც მისწვდა, აკუწა, ამოვარდა ხახიდან ის ალეშმაკი და ახლა ჯვარცმას ეცა. ასეთი გატანჯული ქრისტე ჯვარცმის ყმაწვილკაცობის დროინდელ წარმოსახვაშიც არ ენახა ჯიმას, ლურსმნებით ჯვარ-ძელზე გაკრულ მაცხოვარს სახეზე ეფეთქა ალი, უცებ ნათელი ამომზიანდა უფლის თვალებიდან, წრე შემოარტყა ბელზებელს, რომელიც თანდათან შევიწროვდა და მოშთობა დაუწყო ეშმაკეულს. თითქოს ძალა მიეცაო, ერთი დაიღნავლა მაცილმა, გამოვარდა ნათლის წრიდან და ეხეთქა ფანჯარას, ღუდღუდა წითელი ფერი დაჰკარგვოდა, მაგრამ ანათებდა მაინც, ხან აქეთ მიასკდა, ხან – იქით, მერე, ეტყობა, გასასვლელი იპოვა და გაშპა...

ახლადა აეხსნა ბორკილი ჯიმას, „ოხო“, დაიძახა და გულიდან მძიმე ლოდიც გადაუგორდა.

გოდე გალაკტიონის „მარმარილოს“ კითხულობდა: „...და შიშში გრძნობდე, რომ ახლოა ბედნიერება...“

– მარქსიზმიც ისეთივე სატანური იყო, როგორიც ლენინიზმი, – დაიწყო ელდარმა, – მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიურმა წნეხმა მთელი საუკუნით შეაჩერა საბჭოეთის ხაფანგქვეშ მოყოლილი ხალხების განვითარება და წინსვლა. მარქსიც ისეთივე სასტიკი ჯალათი და მტერია კეთილობრიობის, როგორიც ლენინი!

– ძირს მარქსი! – შეეშველა მაეგობარს გოდე და ახლა მან პირველმა გადაფხრიწა „მარქსი“.

ჯიმასთვის დანა რომ დაერტყათ, წვეთი სისხლი არ წამოუვიდოდა. მის გულში ცეცხლი და გენია ტრიალებდა. სიზმარში ეგონა თავი და ვერ დაეჯერებინა, რომ მის თვალწინ წიგნს წვავდნენ, თანაც ვინ? რისთვის და რატომ? მისთვის წიგნი ყველაფერი იყო. მან წიგნსა და წიგნიერებას მიუძღვნა მთელი ცხოვრება. მისთვის არსებობდნენ კარგი და ცუდი წიგნები. "დასაწვავი წიგნი, არ დაწერილა. რადგან შეიქმნა, უნდა წაიკითხონ, უნდა განსაჯონ", – ასეთნაირად საზრიანობდა, მაგრამ რა? მის სახლში წიგნის ჭიაკოკონაზე იხარშებოდა ღომი და ცუცხუნებოდა კუპატი.

– ჯიმა, – გამოაფხიზლა მასპინძელი ელდარის ხმამ, – ილია რომ ხედავდეს ჩვენს საქციელს, ხომ მოიწონებდა?

ცოტაოდენი დუმილისა და ფიქრის შემდეგ ასეთი რამ უთხრა მეგობარს ჯიმამ:

– ძმაო ელდარ, SCV 1 – ასეთი ნომრიანი ავტომანქანით დადის თურმე რომის პაპი. ეს ასოები შემდეგნაირად იშიფრება თურმე: Statt della Citta Vatitano (ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანი), მაგრამ ბევრი იტალიელი მას ასე შიფრავს: Se Cristo Vadesse („ქრისტეს რომ ენახა!“). ჰოდა, ჯიმაგე, რა ვიცი, რა...

– განა მარტო მარქსი და ყბადაღებული ბელადები, ბევრი ჩვენი დროის ე.წ. მწერალთა და მეცნიერ-ფილოსოფოსთა წიგნებიცაა გამოსახშირი. ყანას თუ უნდა გამარგვლა, ჩვენს საწიგნეთს რატომ არა ნეტავი? – განაგრძო ელდარმა ისევ, – ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ დევს, აგერ, ამაზე მეტი სისულელე და არაფრობა თუ შექმნილა ოდესმე?

– ჰა, „პრობლემი მირა ი სოციალიზმა“, – მიაწოდა გოდემ ელდარს ქართველი ფილოსოფოსის „ნამოღვაწარი“ ჟურნალის ნომრები და დააყოლა: – ამისი რედაქტორი სამშობლოზე წინ აზრობრივ ჭეშმარიტებას აყენებდა, თითქოსდა სამშობლოზე დიდი ჭეშმარიტება ზოგადად აღქმული ჭეშმარიტება ყოფილიყოს. დასაწვავია ესეც და, საერთოდ, იცოდეს ყველამ, რომ არავის შერჩება ღალატი, ორპირობა, ორგულობა და უსამართლოდ დაღვრილი სისხლი.

– დედა, დედა შეხედე, თუ ღმერთი გწამს! – აიღო წითელ ყდაში ჩასმული „ქართველი პოეტები ლენინს“. – შენ კი ამბობ, რომ გამოუყენებელი წიგნი არ არსებობსო. აბა, ეს რაში უნდა გამოიყენოს კაცმა?!

– ჩემო ელდარ, კარგი არ არსებობს ცუდის გარეშე. როდესაც მზეზე, საერთოდ, მის ბრწყინვალებაზე ვფიქრობთ და ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს მთვარე, რომელმაც მისი სიკაშკაშე და ნათება დაგვანახა. რომ არა ბნელი, რომ არა თუნდაც წყვდიადი, როგორც შევიგრძნობდით, როგორც დავინახავდით ნათელს მისას?! უარყოფითი მუხტი განიზიდავს დადებითს, ურთიერთ საწინააღმდეგონი წარმოაჩენენ ერთურთს. სიმაღლე წარმოაჩენს სიმდაბლეს და – პირუკუ. მთავარია ერთის დანახვა შეძლო და მეორე თავად გამოჩნდება, უპრობლემოდ აგესვეტება. ასევეა ადამიანებშიც, ჩემო ძმაო, შენმა სიმდაბლემ შენი სიმაღლე წარმოაჩინოს უნდა.

– ვერ გავიგე, ჯიმა, მთვარესა და მზეს ადარებ ამ იდიოტობა-კრეტინიზმს?!

– ეჰ, ჩემო ელდარ, მგონია ვერ გამიგე შენ! ერთს გეტყვი მხოლოდ, აკუტაგავასი არ იყოს „ყველას თავისი სიმართლე აქვს“...

– კი გავიგე, ძმაო, მაგრამ არაა ფილოსოფიური ჩაღრმავება ყოველთვის საჭირო. ხშირად გულტივტივა გადაწყვეტილებები უფრო ბევრის მთქმელია, ვიდრე სიბრძნე-დალექილი აზრსაგონისი.

– ეჰ, მგონი... – სიტყვის გაგრძელებას გაჩუმება არჩია ჯიმამ.

– „ქართველლი პოეტები ლენინს“!.. ხო უნდა დახიო ახლა ეგ წიგნი?! ლენინზე საყვარელი და სახოტბო არავინ ჰყოლოდეთ, – ღიმილით უთხრა ჯიმას ელდარმა.

მასპინძელმა თითქოს ძლივს ამოიდგა ენაო, ჩურჩულით თქვა:

– გულს ნუ მიხეთქავთ. მაგ საჭმლის მომზადებას ჩემი ნახევარი ბიბლიოთეკა მოუნდება. მღუპავთ?!

– გახიკინებული და გაძვალტყავებული ლენინის ბრალია ყოველივე, ან მეტი რა გინდა მოსთხოვო ორმოცდაათკილოიან კაცს. აგერ, ჩაკურატებული ედუარდ შევარდნაძე და მისი „არჩევანი“, არ მითხა ახლა, ეს წიგნი დასაწვავი არააო?! რაიმე ცუდი და უხსენებელი თუ გვჭირს, სულ ამ უღმერთომ და უყველაფრომ დაგვმართა: კანონიერი პრეზიდენტი, ღმერთივით კაცი მოგვიკლა, დამოუკიდებელი საქართველო დაამხო, აფხაზეთი და სამაჩამლო გაასხვისა, გაძარცვა და გაანადგურა, გააცვედანა და გაამათხოვრა უმრავლესი ქართველობა და უმეტესი საქართველო. ქართველს ქართველი გადაჰკიდა და ოჯახს – ოჯახი. მოდი და დაინდე ასეთი კაცი! არა, ძმაო, ეგ წიგნი უნდა დაიწვას! – გამოუტანა განაჩენი „ჩემს არჩევანს“ ელდარმა და აღსასრულებლად გოდეს გადასცა. ამ უკანასკნელმა სიამოვნებით მოაგლიჯა წიგნს ყდა, სადაც ავად ჩაფიქრებული საქართველოს უბოროტესი მტრის პორტრეტი დაებეჭდათ, და ცეცხლს შეუკეთა, თან ღიმილით მიაყოლა:

– მისმა „არჩევანმა“ არ მიგვიყვანა წიგნების დაწვამდე?!

„ვეფხისტყაოსანი“ აიღო ელდარმა და სახე წმინდანივით გაუნათდა, მტვერი მოწმინდაო თითქოს, ხელი რამდენჯერმე გადაუსვ-გადმოუსვა, მკერდზე მიიკრა და ჩურჩულით თქვა: „ჰე, ღმერთო, ერთო, შეეწიე ერს ჩვენსას და მოეცი „ვეფხვის ტყაოსნის“ ძალი, ამ ქართული ბიბლიის ბოლომდე შეცნობის და დაფასების შნო. ამ წიგნშია ჩაბუდებული ბიბლიური სიყვარული, მეგობრობა, სიკეთე, უშურველობა და ყოველივე ის, რამაც შეიძლება ჩვეულებრივი მოკვდავი ზეციურობას აზიაროს.

„ვეფხისტყაოსანი" წიგნების თავზე შემოდო. – „ქართული ბიბლია“... ო, ბორხესი, – განაგრძო წიგნების თვალიერება ელდარმა, – დიდებულია, ამ ბოლო პერიოდში, ისე ახლოს არაფერი მოსულა ჩემს სულთან, როგორც ეს ბრწყინვალე შემოქმედი. – თქვა და გადასდო გვერდზე. შემდეგ თხელყდიანი წიდნი აიღო და ხმამაღლა წაიკითხა:

„ერნესტ ჰემინგუეი. „მოხუცი და ზღვა“. უკვდავი ნაწარმოებია, ხომ მეთანხმები, ჯიმა, ? – სცადა გოროზი მასპინძლის საუბარში ჩაბმა.

– მართალი ხარ, ეგრე უბრალოდ და საოცრად მთხრობელი ნაკლებად დაბადებულა. „მშვიდობით იარაღოც“ დიდებულია და სხვა ქმნილებებიც. როგორ უბრალოდ ჰყვება, მდინარესავით მოედინება. მოხუცი მეთევზისა არ იყოს, ჩვენც ეგრე დავდევთ ჩვენს ბედისმიერ ნადავლს, შეიძლება დავიჭიროთ, სულის ნავზე დავიბათ, მაგრამ ცხოვრებამ ისე გაგვითელოს და გაგვინადგუროს, რომ გამოუდეგარი ჩონჩხიღა შეგვარჩინოს მხოლოდ. ეჰ, ძმებო, რამდენჯერ მიფიქრია, იქნებ ეგ ჩვენი შემოქმედებაც ჩონჩხია იმისა, რასაც ცხოვრება ჩვენთვის იმეტებს?!

– მიფიქრია ამაზეც, ბევრი მიფიქრია და მჯერა, რომ... – დადუმდა ელდარი, არ დაასრულა სათქმელი.

– რა გჯერა, ელდარ? – ჩაეძია ჯიმა.

– არცრა, ძვირფასო, რაიმესი რომ მჯეროდეს ცისა და სიკვდილის გარდა, ჩემზე ბედნიერი კაცი მეორე არ იქნებოდა ქვეყანაზე. ცას მე ვერ შევწვდი, სიკვდილი დამრჩა, ერთი და ვნახოთ...

– ჯვარი გწერია, რასაა რომ იძახი, რა დროს ეგეთებზე ფიქრია, შე კაცო!

– რეზო ინანიშვილი, „რეზო პაპას“ „ბარისკენ მიფრინავს ჯაფარა“, – აიღო ხელში ელდარმა და დაბალი ხმით განაგრძო: – ჰყოლია ვინმეს ასეთი მწერალი, ძმებო? არა, რა საოცრება იყო მაინც ეგ ღმერთის ნება, ეგა. გახსოვს, კაცო, როგორი ბალღივით გული ჰქონდა, როგორი მზე-ცა-დაბუდებული თვალები, როგორი გასპეტაკებული ღიმილი იცოდა? ამ თახსირი დროების დედა კი ვატირე, თორე ასე უჩუმრად შეიძლებოდა ღვთისნიერის წასვლა და დასაფლავება?!

– მართალი ხარ, ელდარ, – ჩაერთო ჯიმა ისევ, – იშვიათია ეგეთი სულდიდი შემოქმედი. გახსოვს, „გლეხი ვარ, გლეხიო!“, რომ იტყოდა ხოლმე. მიწასთან ესე ახლოს მყოფი მეორე მწერალი არ მეგულება. თან, განა მარტო მიწასთან? ყველაფერთან, რასაც ადამიანური და უფლისეული ჰქვია, უსაზღვროდ ახლოს იყო სამზეოსთან. „ლამაზი ცრემლი“ რომ წავიკითხე, დედას გეფიცები, ვიტირე, ცხარე ცრემლით ვიტირე და როგორ მინდოდა ის ბალღი, პაპის დანაბარების შესასრულებლად რომ მივიდა, მე ვყოფილიყავ. რომელს და რამდენს ჩამოთვლი, კაცო. მე მგონი, მისი ხელით თვით ცაბაოთი წერდა ამ საღვთო ქმნილებებს.

ახლა კონსტანრინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ ოთხივე ტომი ერთად დაითრია. ელდარმა „დიდოსტატის მარჯვენასაც“ მოჰკრა თვალი (ჯიმას დიდოსტატი კონსტანტინეს ქმნილებები განეცალკევებინა), აიღო ისიც. – ეს რომ არ გვყოლოდა ქართველებს, გალაკტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი, ტატო, გურამიშვილი და კიდევ რამდენიმე კალამსაღვთო შემოქმედი, ჩვენი მწერლობა – ჩვენი პროზა და პოეზია იარსებებდა კი?! იარე უხორცომ და უძვალტყავომ. კონსტანტინე მეფეა, ბატონებო, ქართული ბელეტრისტიკის მეუფე!

– ასეა, ჩემო ელდარ, მაგრამ ვასილ ბარნოვი, ლეო ქიაჩელი, ლევან გოთუა, "ცისფერ-ყანწელები" და ლადო ასათიანი რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენი მწერლობა რა იქნებოდა? – კვლავ დაეკითხა მეგობარს ჯიმა. – ტერენტი! „ნეტავ ზღვის ძახილზე გრიგალს გავეტაცე, ღმერთო, გამაღვიძე მე სხვა პლანეტაზე...“ ტერენტი ამ პლანეტაზე შემთხვევით მოხვედრილი გენიაა. მისი ნათქვამისა არ იყოს: მასში ანგელოზი უფრო ჭარბობს და ამიტომაც ვერ შეეგუა ყიამეთ სამიწიეროს.

– აი, აკუტაგავა რიუნოსკე, ნამდვილი ტალანტი. სულ ოცდათხუთმეტი წელი იცხოვრა და უდიდესი მემკვიდრეობა დატოვა. საერთოდ, იაპონელი მწერლების უმეტესობა გენიოსია, – დაასკვნა ელდარმა და საუბარში ჩართვის იმედით ჯიმას გადახედა, მაგრამ მას გოდემ დაასწრო:

– ოცდათხუთმეტი წელი პროზაიკოსისათვის სარბიელის საწყისია მხოლოდ და ამ ასაკში ამდენს რომ მოასწრებს კაცი, გენიოსია ნამდვილად.

– მართალი ხარ, გოდე, – ჩაერთო საუბარში ჯიმა, – აკუტაგავამ სიცოცხლე ოცდათხუთმეტი წლისამ თვითმკვლელობით დაასრულა. დეპრესიის შეტევისას ვერონალის სასიკვდილო დოზა მიიღო. ისე, უფალმა უწყის, რატომ გაიმეტა თავი ამ უნიჭიერესმა კაცმა. ელდარ, ერთი საოცარი ნოველა აქვს აკუტაგავას, თუ გახსოვს, „უსიერ ტყეში“.

– კი, როგორ არა!

– ჰოდა, საოცრება ის არის, რომ ტყუპისცალივით ჰგავს ჩვენს "მუხრანულს". იშვიათი მსგავსებაა, ნამდვილმწერლური გენია უსაზღვრო და უსივრცო. **„ქალი წავიდა სხვისასა...“** ერთნაირი სიცხადეა ორივეგან.

– საკაცობრიოა ეგ ტკივილიანი სიმართლე და მიტომ.

– საკაცობრიო ხომ, თუმცა ვიცით კი, რაა საკაცობრიო ტკივილი საერთოდ?!

– „ჩვენ ვიცით ის, რომ არაფერი არ ვიცით“, – დაესესხა დიდ ფილოსოფოსს ელდარი.

– ნეტა მართლა ვიცოდეთ ეგ და ჩვენზე განათლებული და ძლიერი მეორე არ იქნება ამ დუნიაზე.

– ჩქარა ცეცხლი, მოძებნე რაიმე! – დაიძახა ღუმელის ღია კარებიდან გამოვარდნილი კვამლისაგან თვალებაცრემლებულმა გოდემ. ღომი აჩუჩუნდა. თენგო იქვე იდგა, ურევდა ღომს და თან მთელი გულისყური მოსაუბრეებისაკენ მიეპყრო.

– ახლავე, ახლავე, ჩემო გოდე, ა, ლექსიპარია კაცის წიგნი, მიდი, შეუძახე ცეცხლში.

– დაიცა, ელდარ, ღმერთი თუ გწამს, პოეზიას მაინც არ ახლო ხელი.

– აბა ზვიად გამსახურდიამ ცილი დასწამა ამ როხროხას, პლაგიატი ხარო?!

– ვიცი ეგ ყველაფერი, მაგრამ ნეტარხსენებულს ის კი არ დაუბარებია, დაწვით, გაანადგურეთ მისი წიგნებიო!

– არ დაუბარებია, თუმცა ხალხმა ხომ გამოუტანა განაჩენი, ხომ ააგუზგუზა კოცონზე მისი ნახელავი?!

– დამიჯერე, გოდე, ხალხი კია ბრძენი, მაგრამ ერთიანად აზვირთებულ ემოციაზე საშიში და უმართავი არაფერია. ვიღაცას ხომ შეიძლება ამ პოეტის თუნდაც ერთი ლექსი მოსწონდეს და უყვარდეს, ჰოდა, თუნდაც იმ ერთმა კაცმა რა დააშავა, შეურაცხყოფას რომ აყენებ და ეუბნები, არ ვარგა შენი ამორჩეული პოეტი, დაბალი გემოვნების ყოფილხარ, ფუი, შენაო!

– ვინ ამბობს მაგას, რიგით მკითხველთან რა მესაქმება?!

– ეგრეა ძმაო, ამიტომაცაა წიგნის დაწვა და განადგურება არასწორი საქციელი. თვით ავტორსაც არა აქვს ამის უფლება. როცა წიგნი დაიბეჭდება, ხალხის საკუთრებაა უკვე. ვცეთ უნდა პატივი მკითხველს, თორემ უმკითხველოდ „ვეფხის ტყაოსანიც“ არარაობა იქნებოდა და თვით ბიბლია-სახარებაც.

– ჩქარა ცეცხლი! – უფრო ხმამაღლა წამოიძახა კვამლისგან თვალებამომწვარმა გოდემ.

– ა, ბიჭო, გორკის „დედა“, არ მითხრა, გორკიც არაა დაწვის ღირსიო?

– გორკი შეიძლება დაწვას კაცმა, მაგრამ ამ წიგნს „დედა“ ჰქვია, „დედის“ ცეცხლში შეკეთება ღვთისმშობლის შეგინებაა, სხვა თუ არაფერი!

– გამაგიჟებს ეს კაცი, ღმერთმანი, ურწმუნო და უღმერთო გორკის ნაბოდვარი რომ დაწვა, ღვთისმშობელს რა დაუშავდება, ნეტავი?!

– ეწყინება, ჩემო გოდე, და თან როგორ, დედის ძაგებაზე სააუგო საქმე არაფერია ქვეყანაზე. რაც დედასთანაა დაკავშირებული, ყველაფერი სათუთია და საფრთხილო!

– კარგი, ბატონო არ დავწვათ ეგ „დედა“, აგერ, „რა მოხდა აბაშაში“ მაინც გავიმეტოთ, – ვის რა ჯანდაბად უნდა ეგ „წითელი გალობანი“?!

ჯიმა დაიღალა თუ დავამ დაკარგა აზრი, გაჩუმდა. დუმილი თანხნობად მიიღეს და აბრიალდა ისევ ცეცხლი.

– ელდარ ძმაო, განა ყველა ის დიდი მწერალი თუ პოეტი, რომლებსაც ჩვენ ვაქიაქებთ, არ აშავებდნენ და არ ჰქონდათ ცხოვრებისეული მიქარვები?!

– შეიძლება რაღაც-რაღაცებს ლაფსუსობდნენ, მაგრამ, ამათთან შედარებით, – ხელი ღუმელისკენ გაიშვირა, – ანგელოზები იყვნენ და არიან კიდეც!

– რატომ, ბატონო, ვიქტორ ჰიუგო დიდია თუ არა?

– მაგას რაღა თქმა უნდა!

– ჰოდა, ვიქტორ ჰიუგო, ღარიბ-ღატაკთა, უქონელთა და ცხოვრებისაგან ნათრევთა ქომაგი ნაწერებში, იმდენად წუწურაქი ყოფილა ცხოვრებაში, რომ მოწყალება არასოდეს გაუღია. მათხოვრები ეჯავრებოდა, მუჯლუგუნებითა და უშვერი სიტყვებით უსწორდებოდა. საინტერესოა ერთი რამ: ხარჯების დავთარში რუბრიკით „ქველმოქმედება“ შეტანილი ჰქონდა ის თანხები, რომელსაც იგი დროდადრო შეცდენილ მოახლეებს უხდიდა.

– ამით ის გინდა თქვა, რომ დასაწვავია ჰიუგოო?

– არა, ელდარ, მე, საერთოდ, წინააღმდეგი ვარ წიგნების დაწვის, მით უფრო ჰიუგოსი. მინუსი თითქმის ყველა შემოქმედს ჰქონდა და აქვს, მაგრამ ჩვენ მსაჯულად, თანაც ასეთი ფორმით, ვინ დაგვაყენა?!

– ვინ და ღმერთმა! რაცა ღმერთსა არ უნდოდესო, ბატონო, არა საქმე არ იქნებისო!

– შენს გემოზე რომ იქნევ მაგ ფრაზას, ეგეც მკრეხელობაა, ღვთის მოშველიება ასეთ საქმეში გამართლებულია?!

– კი, ბატონო, დიდება, უფალს, მართალი ხარ ამაში, მაგრამ ამ ჩვენს ყლარტაყლურტა კალამჩხაპნიებს ჰიუგოს რომ ადარებ, გრცხვენოდეს!

– ვერ გამიგე, ელდარ, კი არ ვადარებ, კაცო, ან რა უფლება მაქვს, მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი კრიტერიუმით, თქვენ რომ იძახით აქ, ბევრი დიდებული მწერლის დაწუნება შეიძლება. ბომარშე ხომ იყო დიდებული პოეტი, ფრანგულ პოეზიაში და, საერთოდ, ხომ დატოვა თავისი წარუშლელი კვალი ჩვენთვის, ყველასთვის? მაგრამ ეს ოტროველა დილით ჟანდარმერიაში ხალხს აბეზღებდა, საღამოს კი ღვთაებრივ ლექსებს წერდა. დილით სხვა კაცი იყო, საღამოს კი სრულებით სხვა. თუნდაც დიდი გოეთე გავიხსენოთ, ის ვაიმარში სასახლის მინისტრი გახლდათ და ერთხელაც მოუწია გასამართლება გაუთხოვარი ქალისა, რომელსაც ბრალად ედებოდა თავისი ჩვილის მკვლელობა. გოეთემ იმ ხელით, რომლითაც უკვდავ „ფაუსტში“ მარგარიტას მონანიება დაგვიხატა და ამავ დროს – სულდიდად მიტევების განუმეორებელი სცენა, ხელმოწერილი იქნა სასიკვდილო განაჩენი. რა ვქნათ?!

– არაფერიც! იმდენად უმნიშვნელოა ეს საქციელი, რომ მათ ბრწყინვლე შემოქმედებას წერტილისოდენა ჩრდილსაც ვერ მიაყენებს და, სიმართლე გითხრა, არც კი გამეგონა ეგ ლაფსუსები, შენ ხარ ასეთი ასოკირკიტა, თორემ...

– როგორც ვხედავ, შენთან არაფერი გავა და რა ვქნა? **"მიდი, მიჰყევი ცოდვისქმნას ხელი, განიკითხე და განიკითხები შენც."**

– არხეინად იყავი, ჯიმა, ძმაო, მართალ და ღვთისნიერ კაცს არასდროს შევეხები მე და უღვთო და მატყუარა-ბოროტი კაცის არც ნაწერი მინდა და აღარც მაგათ გამო განკითხვის ჟამის მეშინია.

თენგო გრძნობდა ძმის უხასიათობას, ავადმყოფობას ამისთანა ამბავიც დაემატა, სახეზე ფერიც არ ედო მაინცდამაინც სახარბიელო, მეგრული „ნანა“ წამოიწყო ამიტომ, ყასიდად ძმისკენ საერთოდ არ გაუხედავს, თითქოს მასზე საერთოდ არ ფიქრობდა, არადა, იცოდა, რომ ამ სიმღერის დროს ჯიმას, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, გული ყელში გაეჩხირებოდა ცრემლის გორგალთან ერთად და დედისგან გაწყრომილი ბავშვივით თვალებზე ცრელის ღარები დასდინდებოდა.

ახლაც იგივე განმეორდა, ჯერ ტან-სხეულზე ბუსუსები დაეყარა, გული აუფანცქალდა, მერე ის „რაღაც“ ცრემლსისხლიანად სასუნთქს ამოჰყვა და ყელში გაეჩხირა, ბრონქები გაჭიხნა და რომ არ წაემღერა, დაიხრჩობოდა, ან გული გაუსკდებოდა... „ჰოი, ნანა, დიდა ვოი ნანა, დიდა ვოი ნანაიაა...“ გამოცოცხლდნენ კედლები, ჯიმას ელდარი და გოდეც აჰყვნენ და წიგნების დაწვით დატრიალებული ცოდვა-წუხილი საღვთო სიმღერით განდევნეს ოთახიდან.

– ე, ბიჭო, მიშველეთ, ჩაგვიქრა ცეცხლი! – წამოიძახა ღუმელში გახირულმა გოდემ.

– არიქა, ვუშველოთ! – ახლა თენგო ახტა და მივარდა ლოგინთან, ჯორკოზე ახორხილ წიგნებს. – აი, დაუფიქრებლად დასაწვავი წიგნები, – თქვა სიხარულით ერთიანად მიაჩეჩა „მეცეცხლეთ უხუცესს“.

– სდექ, არავითარ შემთხვევაში, მაგენის დაწვა არ იქნება! – დაიყვირა ელდარმა.

– წამით გაირინდა ყველა. ელდარისგან ამ ავტორების დაცვას არავინ ელოდა.

– ეს რა თქვი, ელდარ, ამ ტვინწყალწყალებს როგორ იცავ? – ყველას მაგივრად გაიოცა გოდემ.

– არავითარ შემთხვევაში, მომეცით, აგერ, ამათი დაწვა არ შეიძლება! – კატეგორიულობა დაეტყო პოეტს...

– ხომ არ გაგიჟდი შენ! – აბობოქრდა ისევ გოდე, სხვებიც გაოგნებულები შესცქეროდნენ ელდარს.

– „ერბოკვერცხს წვავს და ღიღინებს, მე კი ჯერაც ვწევარ და საკუთარ ასოს ვეთმაშები...“ ასეთ პოეტებსა და „...დე, პირში აიღებ?“ აი, ამნაირ პროზაიკოსებს იცავ?!

მაგათი ცეცხლი რად გვინდა?! მაგ სიბინძურით გამზადებული საჭნელი ყელში გამეჩხირება! არა, ბატონო, მაგათი არც ცეცხლი მინდა და აღარც მუგუზალი. ამათ ნაკუწ-ნაკუწ დავხევ და გადავყრი.

ამოისუნთქა ყველამ.

– „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, არა დაღვრილის, დასაღვრელის,

ალბათ, მაცნეა...“ – წაიკითხა ხმამაღლა ელდარმა, დახურა წიგნი, მაღლა დააპირა შემოდება, ამ დროს დაუძახა ჯიმამ: არ დადო, მომე აქ ერთ წუთსო..

– არაა შეტანილი ამ გამოცემაში ის ლექსი, ყველას რომ გვატკინა გული, – მიუგო ელდარმა მეგობარს.

– რომელი ლექსი?

– „მარტივი გლეხიო“, „მიჯღარკ-მოჯღარკესო“ რომ წერს მეგრელებზე.

– მაგაზე უარესი დაახეთქა 1975 წელს, – სურათს დაადო თითი ჯიმამ: – მიყვარდა უსაზღვროდ. სანამ ამას წავიკითხავდი, ვიცავდი, შეეშალა, ეშმაკმა აცდუნა და ვაპატიოთ-მეთქი, ვეუბნებოდი ყველას, თუმცა ბოლოს ეს საზიზღრობაც რომ ვიხილე, გავფითრდი ბრაზისგან: სძულებია ამ კაცს სამეგრელო თხემით ტერფამდე.

– რომელ ლექსზეა საუბარი?! – გაიკვირვა ელდარმა.

– არაფერი მესმის! – მხრები აიჩეჩა გოდემ.

– შენ ხომ იცი, თენგო? – მიმართა ძმას ჯიმამ.

– ცოტნე დადიანს ღალატი რომ დასწამა?!

– ეს როგორ?! – აღმოხდათ გოდეს და ელდარს.

ერთხანს ფურცლა წიგნი ჯიმამ, მონახა ის ლექსი და ეგრევე გაშლილად მიაწოდა თენგოს, – წაიკითხე!

ხმის თრთოლვით დაიწყო თენომ:

ცოტნე – გამყიდველს

– ხომ არ წამოხვალ შენ ჩვენთან ომში? –
იქ, ჩვენს ტაბლასთან, ანაზდად გკითხეს,
ფუჰ! აგვერიე კამბეჩი ლომში
და... ჩვენს საძმოში ჩაგრიცხეთ იმ დღეს.

კაცად გცანით და გაგნათლეთ ტომში,
გატეხე პური, ასწიე ჭიქაც,
მართალი იყო ერთი სპა ორში.
შენ – კუდს იქნევდი აქაც და იქაც.

სველი გაქვს ლანჩა სიგლახის ტბორში, –
აწ შენი გზები სხაგვარად მიდის:
იუდას ვერცხლი მოგართვეს ხონჩით,
შუა ჩაგვიდის მდინარე – მოვრჩით,
ჩახერგილა ბურჯები ხიდის!

– მაჩვენე, თუ ძმა ხარ, როდისაა დაწერილი? – აენთო ელდარი.

– 1975-ში, – მიუგო თენგომ.

ერთად ჩაიკითხეს ელდარმა და გოდემ ლექსი. „ეს როგორ, კაცო?!“, „ღმერთო, ამას რას მომასწარიო“, ოხრავდნენ და გაშეშებულნი დაჰყურებდნენ დაკეცილ წიგნს.

– ამაზე მეტი არ ვისაუბროთ, – ითხოვა ჯიმამ, – ჩვენი ტკივილი და სირცხვილია ეგ, ცოტნე დადიანი ქართველი წმინდანია და მის ავ-კარგზე სრულიად საქართველო გასცემს პასუხს.

– ჩაქრა ცეცხლი, მომეცით რამე! – წამოიძახა თვალებამოკვამლებულმა გოდემ

– ა, ამ კაცს ოცამდე ლექსი აქვს ფასეული, სანამ ამათ ამოვარჩევდე, „პლეხანოვი" იკმარე, – დაუწყო ამორჩევა შევარდნაძის მეხოტბე შემოქმედის ნაღვაწს ელდარმა, მაგრამ, ამოხევა არ გაბედო, ბოლო ეგზემპლარიაო, იმგვარად დასჭექა ჯიმამ, გაოცებისგან მხრები ჩამოყარა.

– ღომს ჩავზილავ უკვე, ხორცსაც სულ ცოტა აკლია, – დააიმედა თენგომ სტუმრები.

– საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას და საკანონმდებლო აქტებს მაინც რა ჯანდაბად ზვინავდი, ჯიმა?

– აქ დამხვდა, ბიჭო, აქ!

კიდევ რამდენიმე წიგნი შეეწირა საჭმლის გამზადებას. ჯიმას თითქმის ყველა წიგნი ენანებოდა დასაწვავად, ელდარი კი თავისას არ იშლიდა. ამდენ წვალებასა და დავაში როგორღაც გაამზადეს სადილ-ვახშამი, გააწყვეს სუფრა, მიუსხდნენ მაგიდას. თამადად თენგო დანიშნა მასპინძელმა და ქეიფსაც შეუდგნენ.

– ელდარ ძმაო, შეშა რომ გვქონოდა ან სხვა რამ საშუალება გამონახულიყო, გაიმეტებდი ამ წიგნებს? – ჰკითხა მეგობარს ჯიმამ.

– ეს წიგნები აქამდეც რომ იყო დასაწვავ-გასანადგურებელი, წყალი არ გაუვა, მაგრამ დღევანდელმა გამოუვალმა მდგომარეობამ მათი ბედი ერთიორად დააჩქარა.

– სიმართლე გითხრა, ვერ მომინელებია ეს!

– რატო, ჯიმა, რატო, არ შეიძლება „ვეფხისტყაოსანიც“ წიგნი იყოს და ამათაც წიგნები ერქვას!

– ეჰ, მგელია კაცი!

– დაიცათ რა! – აღიმაღლა ხმა თამადამ. – დავივიწყოთ ახლა ეგ ყველაფერი რადგან სამშობლოს სადღეგრძელო დავლიეთ. ახლა მწერლების სადღეგრძელო ვინებოთ. ცეცხლისათვის გაუმეტებელ მწერლებსა და მათ ქმნილებებს გაუმარჯოს, ნიჭს და ნიჭიერად შექმნის ნაწარმოებს გაუმარჯოს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ამის შეფასება-შეგნების უნარი გააჩნია.

– ის დასაწვავად გამეტებულებიც დავლოცოთ ბარემ. ეგენი რომ არა, ამნაირ მეფურ სუფრას რაფერ მივუსხდებოდით? – ჩაიხითხითა ელდარმა, თამადას ნათქვამს უსიტყვოდ შეუერთდა და დაგემოვნებით გამოსცალა ჭიქა.

– ისე, საოცარია, ეგ უწმაწურსიტყვიანები ამისთვისაც რომ არ გამოგვადგნენ?!

– მოკვდომიათ მომგონი!

დილა წამოადგათ თავზე მოქეიფეებს, თენგომ „ჩელა“ წამოიწყო, მერე „მრავალ-ჟამიერი“ დასცხეს, შეხმატკბილდნენ. ნათელი თანდათან გაძალიანდა...

ახორხილ წიგნებზე „ვეფხისტყაოსანი“ იდო, როგორც სიმაღლის და მარადიულობის ნიმუში!.. ჯიმა კი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

– მგელია კაცი! Homo homini lupus est! „შეხედე ამ გოდენიას და ელდარას, საკუთარ ცოდვილობებს თვალი დაუხუჭეს, სხვები კი გეჰენიაში მიაბრძანეს უსულგულოდ. წარდვნის დროს აქ მოტოვებულის ნატამალი დარჩება ვითომ?! ჰომეროსი გადარჩება მხოლოდ, კიდევ – დანტე, გოეთე და სერვანტესი. მე უფრო სასტიკა მსაჯული გამოვდივარ. რადაცნაირი შანსი კიდევ არსებობს. ბეკეტის გმირებივით მიწაზე ფორთხავენ ესენი. გოდოობას მაინც ვერავინ დაიჩემებს. ერთი პოცოა, მეორე – ვლადიმირი და მესამე – ესტრაგონი. ლაკის საბელი მე შემაბეს თავიანთი ჭკუით. **რაც მეტ ხალხს ვიცნობ, მით ბედნიერი ვარ. ყველაზე უბადრუკი არსებისგანაც კი რაღაცას სწავლობ, მდიდრდები, საკუთარ კეთილდღეობასაც უფრო მეტად აფასებ.** აი, რანაირად მჭევრმეტყველებს ჩვენი პოცო. რამდენი ცდომილებაა ამათ მეტყველებაში, არადა, თქმულა, სიტყვა იყო ღმერთი იგიო. **ადამიანის ცრემლები – მუდმივი სიდიდეა. საკმარისია, სადმე ერთი ატირდეს და სხვაგან მეორე დაჩუმდება... ენიჭება არსებობა პირადად ღმერთს... ვივივითარცა თეთრწვერასი გარე დროსა სრბოლისა...** ენას უკიდებს ლაკი და მაინც ხუთგზის ციცერონია ამათთან შედარებით. **თავმინებებული ცდების მიხედვით მთასა და ბარში ზღვებისა და ტბების სანაპიროებზე და დამდნარი ალი ცეცხლისა ჰაერი ერთია და მიწა ესე იგი ჰაერი მიწა ოდეს დაისადგურებს სუსხი გამთოში ყინული ნეფხვა და უკუნი ჰაერი მიწა და ლოდთა გოდება და მოთქმა ამქვეყნიური ტეხვრა და ყინული უზომო გადაიქცევა გადაიქცევა ვაგლახ ერა მათი გადადგება თავისი მეშვიდე ასწლეულის დასაწყისში მიწა ატმოსფერო ზღვა მიწა ლოდთა გოდება და უფსკრო სიღრმეებში ყოველის მომცველი სიცივე დაისადგურებს ზღვაზე ხმელეთზე ხმელეთზე ეთერში...** წაადგა ჯოისის მდივნობა სამუელს. ჭიაკოკონა ჭადრაკის სასახლესთან. აი, წიგნების დაკოცონება მაშინ უწევს ზეცას. ამღამინდელი მინაბაძია მხოლოდ. მოაქვთ და ისვრიან დაგემოვნებით, სქელყდიანებს. ტკრაციალებენ მომწვანო იისფერი კვამლის გრაგნილებით სუპერები და ბუნვილინები. წებოს კოშმარული სუნი ხრჩოლავს. არული კუდიანებსა. უხსენებლები გაიკრიფება ლურჯი მონასტრის შემოგარენიდან შვიდი კილომეტრის რადიუსით. ქარი ფურცლავს ალმოდებულ გვერდებს. ინაცრება, ირუჯება ქართული სულის მატიანენი... **აქ, ამ ადგილზე, ამ წუთს, კაცობრიობა ჩვენ ვართ, სულ ერთია, მოგწონს თუ არა, უნდა ვისარგებლოთ, სანამ გვიან არ არის და ერთხელ მაინც ღირსეული წარმომადგენლები ვიყოთ იმ ფლიდი და უკეთური მოდგმისა, რომელსაც უკულმართმა ბედისწერამ მიგვაკუთვნა.“** მგელია კაცი-მეთქი.

– კაი რა, გვაგემრიელე, – ეტყოდა რომელიმე.

– მგელია კაცი!.. – დასჩემდა თავისას ჯიმა.

გარეთ თოვლ-ჭყაპი ჭყლარტუნობდა და მონაცისფროდ ექსოვებოდა მთვარით მიბნედილ პლანეტას.

29 იანვარი,
2005 წელი,
თბილისი

ჯყონდიდი

I

ათასობით ხასიათს გაუვლია ჩემს ხელში, და მაინც ერთი — ბოგიშბოგი გირინი —უნიკალურია. (ამ საუნჯეს „სიცოცხლემისჯილების“ მესამე წიგნისთვის საგულდაგულოდ ვინახავ). „ვარდების რევოლუციის“ დღეებში წინდებული „სუფევა“- მატიანედან მომცრო თავს დამიბეჭდავენ ფაზისელები ალმანახ „ორნატში“ — „მარტოსული ხეობის მახვშს“. ეს ნარკვევი მესხიების ზეზეური დაკვარცხლბეკებაა. უბატონო გვარად გამოვაცხადებ მათ სანიმუშო კრებითობას. ამას წინათ ბაზრობაზე ჩვენი ბოგიშბოგი შემომეჩეხება და ვუსახსოვრებ კიდეც დასახელებულ ჟურნალს. ყველა უბედურებაც აქედან დატრიალდება. დაატარებს თურმე ხსენებულ პუბლიკაციას ხალხში:

— ხედავთ, როგორ მოგჭრათ თავი თქვენმა მოწონებულმა მწერალმაო, — დაიღრიჯება, წასაკითხადაც არავის უთმობს, ამოჩიჩქნილ ფრაზებს აზუზუნებს შოლტივით და მთათხავს თავისი გირინული ჭკუით ორღობე-ქუჩა.

გაუგია ჩემი გასაჭირი ერთ ღვთისნიერ კაცს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, აწ საქართველოს კონტროლის პალატის უფროსის პირველ მოადგილეს, ბატონ **იაკობ მესხიას,** და ამისთანა თანადროულ სიტყვას შემომაშველებს ოტობაიელების წინაშე მოუდენელი ოფლის მოსაწმენდად:

რეცენზია **გური ოტობაიას** ბელეტრისტულ მატიანეზე **„სუფევა“**

გულადი ფეტელავას, იგივე გური ოტობაიას შემოქმედებას, სამი ათეული წელიწადია ინტერესით მიადევნებს თვალ-ყურს წიგნიერი ქართველი. ბევრს ახსოვს მისი რომანი-ტრიადა „სიცოცხლემისჯილები“. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს მწერალი პუბლიცისტიკაში. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია მონუმენტური თხზულება „სუფევა“, რომელშიც ნაჩვენებია მრავალსაუკუნოვანი ქართული ცივილი ზაციის უმთავრესი ეტაპები. ამ ბელეტრისტულ მატიანეში ასახვა ჰპოვა საქართველოში ბოლო დროს მომდინარე პროცესებმაც, ეროვნული სელისუფლების ტრიუმფალურმა, უსისხლო გამარჯვებამ... აფხაზეთ-სამაჩაბლოს ტრაგედიებმა... ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, მეცნიერისთვის და გნებავთ — ადამიანისათვის, განსაკუთრებულად სულისშემძვრელი იყო ერთი პუბლიკაცია — ალმანახ „ორნატში“ გამოქვეყნებული „მარტოსული ხეობის მახვში“. იგი წლების წინათ ფრაგმენტულად ქვეყნებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, მაგრამ სრულად ამ ჟურნალში ვიხილე.

მწერალს დიდი ძალისხმევა ჩაუდვია ნარკვევში, რათა ამაღლებულად დაეხატა უბატონო გვარის ტიპიური სურათი. ამ ნარკვევის გმირები, დიახაც, მესხიები გახლავან, რომელთაც სოფელ მუსხიდან ჩამოსული ძმები დაუდებენ სათავეს, სამეგრელოს მიწა-წყალზე, ლევან დადიანის მთავრობის დროს. მესხიებმა უბატონო გვარის სიგელი თამარ მეფის ეპოქაში შეიძინეს თურმე, რადგანაც მათი წარმომადგენელი სხვა თერთმეტ ჭირისუფალთან ერთად საიდუმლო ადგილას დაკრძალავს საქართველოს სწორუპოვარ მეფეს და ინფორმაციამ რომ არ გაჟონოს, ნებაყოფლობით დახოცავენ ერთურთს. მართლაც და წარუშლელია მწერლის დამოკიდებულება მესხიების გვარის ხალხისადმი, რომელთაც ბატონი არასდროს ჰყოლიათ, ზოგს თითი მოღუნვია ყამთა ტრიალში კუკუიასავით, ზოგიც ჭაკი ცხენის მდევნელია სიყმაწვილის წლებში, მაგრამ, როგორც წესი, ყველას ნათელი გონება და სპეტაკი სული დაანათლა უფალთუფალმა. დიახ, ბატონი არასდროს ჰყოლიათ მესხიებს, არც გააფხაზებულან მრავალი ბედოვლათივით, დღემდე კეთილსინდისიერად ეწევიან ცხოვრების ძძიმე ჭაპანს და სამაგალითონი არიან წუთისოფლის ნებისმიერ კუნჭულში, ნებისმიერ ალაგას...

წარუშლელია ტარიელ გოლუას ბროტოტიპის — ლევან მესხიას სახე — მათი შთამომავალი მესხიები საირმის ერთ მიყრუებულ ხეობაში; საქვეყნოდ აღიარებული ნეიროქირურგი ნაბო მესხია; საქართველოს ისტორიის ქურუმი, „ძლევაი საკვირველის“ ავტორი, აკადემიკოსი შოთა მესხია თუ სხვანი და სხვანი. ბატონმა გური ოტობაიამ, ფასდაუდებელი შრომა გასწია ქართული გვარის ტიპიური წარმომადგენლების ჩვენებაში უბატონო მესხიების წარმოჩენის გზაზე. მან ამ ნაწარმოებში რეალური ოსტატურად შეაზავა გამონაგონთან და მთელს ქვეყანას დაანახა თუ როგორ უნდა მჭიდროვდებოდეს საქართველო ძირძველი გვარების გარშემო, რათა შეინარჩუნოს ინდივიდუალური სახე, განვითარდეს, გადარჩეს...

ჩვენ, მესხიებს, (და არა მხოლოდ მესხიებს), მოწიწების, თაყვანისცემის მეტი არაფერი დაგვრჩენია ამ ტიტანური ენერგიის შემოქმედის წინაშე, რომელიც ახალ სახეებს და წარუშლელ განცდებს გვპირდება კვლავაც ბელეტრისტული მატიანეს დასკვნით ნაწილში და თამამად შეიძლია განვაცხადო, რომ ამიერიდან გვარი მესხია ყველგან გაიგივდება საშობლოს რიგით ჯარისკაცთან; ჰერსო- ნაკოთან, როგორც დიდი ილიას დაუვიწყარი ლელთ ღუნიაა; ვისთვისაც უმთავრესი ფასეულობა საქართველოა, საკუთარი მეობა თავისად რომ ეყუდნება.

იაკობ მესხია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა ადოქტორი,
პროფესორი, საქართველოს კონტროლის
პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
07. 12. 2004 წ.

მარტოსული ხეოგბის მახვში

თუთაშხა

ტყუილად არ უთქვამთ ძველებს, რკინა მაშინ იჭედება, როცა ცხელიაო. აჰა, შვიდი თვე მიწურულა მას აქეთ, რაც განუმეორებელ ადამიანებს გამოვცნაურებივარ ასკაგუბურას ხეობაში; იმდენად მომნუსხავ-შთამბეჭდავთ, რომ სათქმელს ვერსაიდან მივდგომივარ. ძალასაც ვერ ვატან კალამს, არც აჩქარება ივარგებს-მეთქი, ვფიქრობ ნიადაგ, ჯერ დაწდევდეს განცდილი და მერმე უფრო ბუნებრივად გადმოიღვრება ქაღალდზე-მეთქი, მაგრამ როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, რანან ერთხელ მომიცდება ხელი, მიჭყვება და მიედევნება დღეები დღეებს და რომ არა ღვთის განგება, ვინ იცის, იქნებ საერთოდ დალექილიყო ჩემს წიაღში, როგორც აუთვისებელი მასალა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი, ბატონი არმაზ სანებლიძე შემაგულიანებს:

იქნებ საახალწლო ჩანახატი მოგვიტანო თქვენებურზე, რომელიც იმედიანი თვალებით უმზერს, ჯერჯერობით, სავალალოდ, საკმარისზე მეტად შემღვრეულ ჩვენს საწუთროსო და ცნობიერების შრეებში მყისვე ამოტივტივდება ობუჯელი მეურნე კაცის, ქიაჩის მონასტრის ყმის, ვალიკო მესხიას დაგლერტებული სახე.

კოლხისათვის ჩვეული აღნაგობისაა — ნაფოტივით თხელი, ძვალკანა, ძარღვიანი. ისე აიაღმართებს ასკაგუბურას ფერდობებს, თითქოს ტრიალ მინდორს მიუყვებოდეს ღიღინ-ღიღინით.

ჰო, მართლაც, მინდორმა გამახსენა, წითელმა მინდორმა, უკეთ, ნათელში მყოფი მეგობარი მწერლის, გოდერძი ჭეიშვილის, ამავე სათაურის თხზულებამ, მთელი ცხოვრება წითელი მინდვრის სანახავად რომ ემზადება მოთხრობის პერსონაჟი, იხილავს და იმედგაცრუებული ხელს ჩაიქნევს ფანტაზიორი ხალხის ფეხისხმას აყოლილი. არადა, ცნობილი ჭეშმარიტებაა: საზოგადოება უმიზეზოდ, უსაფუძვლოდ, შეუფერებლად არაფრისდიდებით მონათლავს ამა თუ იმ ადგილს, მოვლენას.

რას ვიფიქრებ ათწლეულების შემდეგ, დიახაც რომ წითელი მინდვრის სივრცე-არეალში მოვექცევი: ფრთიანი სიტყვის, თამამი წარმოსახვისა და ძირმწარე რეალობის მორევში მოჯაფარე ჩემებურების გარემოცვაში. არ მინდა სიტყვა გამექცეს, ვინაიდან შეპირებული უვერტიურა დაწნეხილი სტილით მთხოვს სათქმელის გადმოცემას, თანაც მიზანსწრაფულობაც მოსანიშნია ოთხივ კუთხით: მე ხომ განუმეორებელ ადამიანებზე გპირდებით საკმაოდ ვრცელი სინამდვილის გადმოცემას?!

ახლა კი, როცა ნახირი შეფენილია ლებორიტის უხვბალახიან კალთებს, როდესაც საკონდახოს მთის მწვერვალზე ბარჩხალა მზე გადმომდგარა და ასკაგუბურელი მესხიების ძელურის ალიბეჭეს კვამლს დასავლეთისაკენ მიაბოწოწებს თავგამოდებული ნიავი, სახელდახელო ტაბლას ოთხნი მივსხდომივართ საფუტკრეთში: თავად უბატონო მასპინძელი, ლეო ქიაჩელის, რეჟისორი ძმები შენგელაიების თუ პოეტ ვახტანგ ხარჩილავას ობუჯის მკვიდრი, მწყემსი და მიწისმუშა ვალიკო მესხია; ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მოამბეს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ჩინებული მელექსე ბადრი ცირამუა, ჩვენი მეგზური, პოლიციის გოლიათი სერჟანტი (დათვები და ფირალები რომ დაგვიფრინოს), რომან კახიძე და — თქვენი მონა-მორჩილი.

ვსხდევართ ფიჭვის გადახერხილ მორებზე, ამ სეზონზეც რომ გასწევენ თავის დანიშნულებას, მერმე დააპობენ და შეუკეთებენ აგუგუნებულ ბუხარს.

სუფრაზე გამოტანილია ჯერაც კვამლგაუკარებელი სარანჯი — ფიჭა და სანთლის დაჯაჭვული არაყი სირჩებით.

სამი წლის ღვინოს მოგვიანებით შემოდგამს სახლიკაცი სუფრაზე, როცა „შედარებით სერიოზული სადილი გახაზირდება“. ახლა პრელუდიაა, მოთელვა, სიტყვის ყადრის მკლავჭიდი.

დაბლა აკოკრილი სიმინდებია, ლამის ჰექტარნახევარზე, მთიანი გარემოსათვის სადაგი, ბარისაზე ტანმორჩილი, მაგრამ ტაროებით დაკაპანებული.

ფერდობებს შუა რამდენიმე ასეული ნაბდისგაშლა ზოლით მიუყვება იგი აღმოსავლეთისაკენ, რომელიც აყაროს ყელივით ვიწროვდება ნელინელ. სილურჯე კი ატყვევებს და აშთობს ყოველივეს, სულისშემგუბველად, თვალისმომჭრელი შეფერილობის ოკეანედ. ყოველწლიურად ორ ტონამდე მოსავალს იმკიან თურმე მესხიები ზურმუხტი სავანედან.

ყურთასმენაში ფუტკრების გაბმული ზუზუნია და ორერგასეული სკა მომცრო ქალაქივით ჩამწკრივებულა მზით გაჯერებულ, ტერასებადქცეულ მთის ფერდობზე.

აყვავებული აკაციების სიმრავლეა.

სიმწვანეში აქა-იქ გახირულა ფითრისგან თუ ლაფნიჭამიასგან ზეზეურად ჩამომხმარი ნაძვები, ცაცხვები, — საშიში სენი შეპარვია მამულის საშვილიშვილო ტყეებს, მაგრამ ეს საკითხი უფრო განმტოებითია, მომავლის სასაუბრო თემაა, რომლისთვისაც და კიდევ მსგავსი მრავლისთვის, მოვიცლით რამდენადმე ქვევით და ქვევით.

ახლა კი, ამ ამობრდღვიალებული მანათობლის ფონზე, სამშობლოს სატკივარს ვეხმიანებით საფუტკრეთის მინიატურული ქალაქით გარშემოტყმულნი და გასაკვირი არაფერია, რომ სტუმრები ხმაგაკმენდილნი ვსხდევართ ენაწყლიანი მასპინძლის წინაშე, ვინაიდან თითოეულისთვის არსებითი ვალიკო მესხიას სულის აბაბანებაა, მისი გულის მჭეხარების ექო ამ უკაცრიელი ხეობიდან, სულ მალე თოვლის ქარავნებით რომ ამოიქოლება მთელი ექვსი თვით და

რადგანაც „ორშაბათი“ შეგვირქმევია ჩვენი მოფრთხილებული სჯა-ბაასის მონაკვეთისთვის, ისევ ვალიკო მესხიას მონოლოგს დავსჯერდეთ გულის საბოლოო ამობერტყვამდე, ჩვენეული ძუნწი ჩარევებით აფერადებულს:

— უბატონო გლეხები ვართ ჩვენ, მესხიები, — ახალგაზრდული ხმით გვიმხელს მარტოსული ხეობის მახვში, — ამას წინათ ობუჯში დოკუმენტურ ფილმს იღებდა თურმე ჩვენს საგვარეულოზე, დისშვილად საკადრისი, კინორეჟისორი კარლო ღლონტი. შემატყობინეს და ვეახლე ჯიშ-ჯილაგს. სამი ხარი ჩამოვკიდეთ, ერთ-ერთი ჩემი ჯოგიდან იყო, რქანაყარი. ყბის ორი მოქნევა ხორცი ძლივს გვერგო თითოეულს. გაიხარა სულმა და გულმა. რა სჯობია, როცა სისხლხორცი ერთად შეიყრება, ერთი ცისქვეშ შემჭიდროვდება, ერთ კოცონთან, ერთი ფუძის, ერთი დედაბოძის გარშემო, პატივს მიაგებ წინაპრების ხსოვნას, მოკეთეს გაახარებ და მტერს ჯავრით გაუხეთქავ გულს?! ქიაჩის ყმები ვართ ჩვენ, მესხიები. დაილოცოს მისი სახელი, დიდია უფლის განგება! ჰოდა, იმას ვამბობდი, ქართველებს გადაშენება არ გვიწერია, თითოეული ჩვენ-ჩვენი გვარეების გარშემო თუ დავირაზმებით!

— ეგ, როგორ? — სული წასძლევს ბადრი ცირამუას.

— როგორ და ჩვეულებრივ, აქამდე რანაირადაც მოვღწეულვართ, ისე. ახლო წარსულში მკერდში მჯიღის ცემით დავაფრიალებდით ლოზუნგებს:

მოვსპოთ სხვობა ქალაქსა და სოფელს შორისო და ტაშსაც ვუკრავდით ცბიერი მტრის მიერ ყველას თვალწინ გამოტანილ ერის სასიკვდილო განაჩენს. ახლაც მოიწევენ ჩვენსკენ, რათა აღგვხოცონ მიწის პირისაგან, მაგრამ ვერ ეღირსებიან ქართველის გადაშენებას. ბიჭებო, ჰა, როგორ დაიმღერეს მთიანეთში? „ვინა თქვა თუშთა დალევა, ნაპირმოტეხვა — ცისასაო“?! როგორც ცას ვერაფერს ჩამოაშტვრევ, ქართველობასაც ნატამალს დააკლებს ვინმე, ოღონდ საკუთარი გვარის გარშემო დავჯარდეთ ერთიანად და ... შეიძლება გაგეცინოთ ჩემი ახირებულობის გამო, მაგრამ მოდი, ჯერ ჩვენ-ჩვენი გვარები ვადღეგრძელოთ და მერე განვაგრძობ, ჰო, ენგრე!

შეგსვამთ. მივაყოლებთ ლუკმას. კვლავ აილესება სასაუბროდ ვალიკო მესხია:

— გვარს ებრძვის ქალაქი, ჩვენი გარეშე და შინაური მტერი. საშობლოს გადაგვარება და გადაჯიშება, სწორედ რომ ამ შეგნების დამსხვრევიდან მოდის, თორემ რა წააქცევს ქვეყანას, რომელიც ურთიერთმიყოლის ნიჭზეა აგებული. არაფერში გვარგია ჩვენ გადამთიელის მიბაძვა. ღურუშ წამალ ოლაფარეს ელაჩანდ, ვოუჩქუდეს ვარავა: უკვდა- ვების წამალი ლაფაროსთან, ყურისძირას ხარობდა, არ იცოდნენ თორემ, — მოუთარგმნის რომან კახიძეს, — რატომ უნდა დავიბნელოთ გონება სხვისი მიმბაძველობით, როცა ერგას საუკუნოვანი და შეიძლება მეტიც, გმირული ისტორია გვიმაგრებს ზურგს?! აგერ, ქვასანაყი, ბარს ამოჰყვა ტერასების გაშენებისას. შენედეთ, როგორი გამოჩორკნილია?! ვინ იცის, რამდენი ჟამთატრიალი გამოუვლია ... ან წისქვილის ეს დოლაბი, ლაყუტია შვილიშვილმა რომ დამიმტვრია ფერდობზე დაგორებისას; ან კიდევ უსსოვრობისდროინდელი ჭურები, მძლავრ ფესვებს რომ მოუგნია და დაულეწია დროთა ვითარებაში, მაგრამ ერთი ხომ მაინც გადარჩენილა, ერთი ხომ მაინც არის ჯერაც ცოცხალი, ღვინის ასაბორგებლად ვარგისი?! ჰოდა, ესენი არაფერს შემოუნახავს გვაროვნული პრინციპით ცხოვრების მეტს. გვაროვნული კულტის აღდგენა და დაწინაურება უმთავრეს ქვითკირად მესახება ჩვენი ქვეყნისათვის. რამდენი გვარი იქნება დღევანდელ საქართველოში? — მოგვაჩერდება სახეზე სათითაოდ.

— დიდი დიდი ორიათასი, — უპასუხებს ბადრი ცირამუა.

— შეიძლება მეტიც, — ჩავერთვები საუბარში მეც.

— ამისი გაგება არ გაგიჭირდებათ თქვენი ხელობის ხალხს. თავად რამდენი გყავთ გვარში თითოეულს?

— ოთხას ოცდათხუთმეტი სული, — არ ვაყოვნებ პასუხს.

— ხუთას ცამეტი, — იტყვის ბადრი ცირამუა.

— ჩვენ ქვიშასავით ვართ, ალბათ, ხუთი ათასამდე, — თავმომწონეობს რომან კახიძე.

— კარგად გქონიათ საქმე, — ჩაღიმილებს გულთმისანი მასპინძელი, — ჩვენ, მესხიები, სიმრავლის მხრივ საქართველოში ბერაძეებს, მაისურაძეებს თუ თუნდაც კახიძეებს მაინცდამაინც ვერ დავეტოლებით, მაგრამ სამაგიეროდ ერთი დიდოჯახი გაგვაჩნია. სუფთა სისხლის ქართველები ვართ, არც გააფხაზებულა ვინმე და აღარც — გაგურულგაიმერლებულა. ნუ მიწყენთ კეთილ ხუმრობას. გვარის სიწმინდე მისი წინამძღოლის უნარიანობაზე ჰ კიდია და არა — ძირძველობაზე, როგორც ამას უსაფუძვლოდ მიუთითებენ ზოგჯერ.

გვარის ჩამოყალიბებას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვსო, გამიგონია, სამასი-ოთხასი წელიწადი, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ღონიერ გვარს შემუშავებული აქვს აღორძინების თავისებური გზა, ხერხი, საშუალება: ურთიერთხელგამართვაა ეს თუ უვარგისის მოკვეთა, უკუგდება.

გვარი შიგნიდანვე იწმინდება ბიწიერისგან, როგორც წიდისგან რკინა ცეცხლში გამოწრთობისას და პირმართალი ეგებება სახელმწიფო საქმეებს. თქვენთან თუ არიან მესხიები? — ჯაჯის ტბის მიმართულებით იყურება. მილიციის ოფიცერი კახიძე საპაგონე ვარსკვლავს შესცინებს ბრდღვიალა ცაზე. ბადრი ცირამუა თავს გადააქნევს უარყოფის ნიშნად. ისევ მე შევრჩები ხელში.

— ენურისპირა ოტობაიაში სახლობენ. ახმახი

ვალოდიას შველივით დინარა თანაკლასელი იყო ჩემი. მისი უფროსი ძმა ტოტოშა მგონი ბუმკოშბი ნატშია დაფუძნებული. თითებმოღუნული კუკუია არაკუნებს ქარვის კრიალოსანს. ყომარბაზმა ბინდომ ჭაკი ცხენების დევნა მოიშალა. მოძმის ხელით გაწირული დეიდაშვილი ბესიკი მივაბარეთ მანცხვარკარის მიწას. ოქროს ხელებიანი ნაპო არის უმუშევრად, სადღაც რკინიგზის სადგურის სიახლოვეს, ზუგდიდშივე. გენრი ლექსების წერაში მეპაექრება. დაახლოებით ისეთი პროპორციაა, როგორც ღლაკსა და ჭიჭიყინას შორის. ვერაფრით მოუნელებია პირველ რომანში საცივი რომ დავუწუნე მესხიებს.

— ეგ, რანაირად? — ჩააფრინდება ფრაზას მარტოს- ული ხეობის მეუფე.

— წყვეტერია გამოსდით საცივი-მეთქი და გადავყვე ლამის ამ სიტყვას. გადა იყო კიდევ ჩვენთან, შეუდარე- ბელი. ღვინოს ვედროთი სვამდა, თუმცა ახლა ჭიქაც ყოფნის.

— შვილს რომ თავი ახადა საკუთარი ხელით? ეგეც თქვენებურია?

— დიახ, ოტობაიელია ნაპო მესხიაც. უბედურ ნუკრიას თვითონ გაუკეთა ოპერაცია და თითქმის ნახევარი სიცოცხლე აჩუქა. ჩინებულ ლექსებს წერდა ის უიღბლო. სატელევიზიო გადაცემა მივუძღვენი ერთხელ მის შემოქმედებას. ნაპო ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსია, ვინც წარბშეუხრელად ჩაფრინდა მოსკოვიდან სოხუმში და ადამიანურად დაელაპარაკა აფხაზებს. ოტობაიამდე ჩაიყვანეს მანქანით. სამ კილომეტრში ცხოვრობს ჩვენგან, სოფლის ცენტრამდე. იცნობ?

— მაგას ვინ არ იცნობს, ბაბაგე! წლების წინათ მიმიგზავნია ცოლოურები სოხუმში. ობუჯში ვნახე ბოლოს შარშანწინ. მთავრობის კაცი გახდა, მაგრამ ამპარტავანობამ ვერ ავჯობა. როკივით მიუდგომელია და ამავდროულად წკნელივით დამყოლიც.

— ზუგდიდელი არსენა პრეზიდენტ გამსახურდიას ახლდა ბოლო სამ თვეს.

— ვანოს შთამომავალია?

— თავურის დიდოსტატ ვანოს ათი შვილიდან ბაჯას და პაწუს ვიცნობ, კიდევ — ჯუმილას და ნინულას. ოქრომჭედელი არსენა ხომ მთლად უბატონო მესხიების განსახიერებაა. ბაყბაყდევი ნაცარქექიად მოგეჩვენებოდა მასთან შედარებით. ადგილიდან ვერ დაძრავდი. მოხდა ეროვნული ტრაგედია და სამ კვირაში შეიფერთხა კაცი. ჩამოდნა, ორმოცი კილო დაიკლო. მერე პრეზიდენტის თანხლების დღეებში ხომ მთლად ტყავი და ძვალი დარჩა. მიწერია ამეებზე მეორე რომანში.

— ძალიანაც კარგი, მაგრამ საცივის ამბავი მომხვდა გულზე. ალბათ, სუპში აგერია ან ხარჩოში. მესხიების ქალებს საკამპანიო საცივისა და კუჭმაჭის შესაკმაზად თვენახევრით ადრე იბევებდნენ ხოლმე, მაგრამ ვფიქრობ, შენისთანა სიტყვაფხიანს არც მაგის გამორანდვა გაუჭირდება, — მსუბუქ ხელკავს გამომსდებს. ისედაც ჩამორჩენილ თანამგზავრებს მიივიწყებს, — სხვას გეკითხები ახლა: რომელი უფრო იოლი მოსავლელია, მუშტივით შეკრული ორიათასი დიდოჯახი თუ უკულმართად დაგრეხილი ხუთი მილიონი ადამიანი? ეს ხომ იგივეა, რაც ამ ფერდობებს შეფენილ ფუტკრებს სათითაოდ დაუწყო კუდში დევნა გულისნადების გასამჟღავნებლად?! ამისთანა საქმისგან გამოვა რამე? არაფერი ჭირიმე! მაგრამ როდესაც ის ფუტკრები თავთავიანთ სკებს მოაშურებენ, მაშინ ადვილია თითოეულის ოჯახის მიხედვით ყოველი სატკივრისა და ჭირ-ვარამის მკურნალობა. ამიტომაც მიმაჩნია, ყველამ უნდა ვიზრუნოთ საკუთარი ძირების, ფესვების სიახლოვეს შესამჭიდროვებლად.

გვარის გარშემო დარაზმულ ქართველებს ვერაფერი წააქცევს. იქ დუდკოჩიმ გონივრულად განსაზღვრავს მემრე რომელი ქალიშვილია გასამზითვი, რომელი ყმაწვილისთვისაა სწავლა-განათლების ფული გადასახდელი, ვის სახურავს აკლია კრამიტი და ვის ულუფას — სანელებელი.

მოკლედ, ამდაგვარი გზით მოარულებს, დარწმუნებული ვარ, უცხოეთი ვერც გულგრილობა-გულცი- ვობით მოგვერევა და ვეღარც — მაქინაცია-ხრიკებით, ქვასავით მაგრები დავუხვდებით სეტყვის შემოტევას. ესეც რომ არა, ჩვენი საშობლო გვაროვნულ პრინციპზე რომ იყოს აგებული, მაშინ ერთმანეთში გავარკვევდით ურთიერთობებს აფხაზი და მეგრელი შინიები, ხუბუები, სხვანი, რომლებიც გუშინწინ თუ გუშინ ღვიძლი ძმები ვიყავით ... მაგრამ სწორედ გვაროვნული ურთიერთობის მოშლის გამოა დღეს მოსისხლე მტრებად ვქცეულვართ.

— გვაროვნული ურთიერთობა კაცობრიობის განვლილი ეტაპია, — მოვიშველიებ თეორიულ საფუძვლებს მორგანიდან თუ ენგელსიდან, — გვარის შემჭიდროვება ეკონომიკური აუცილებლობითაა განპირობებული, მაგრამ ფულის გამოჩენა დავიწყებას გააყოლებს პირადი ინტერესებით შეკავშირებულ ერთიანობას, — გამოვაცლი საძირკველს ვალიკო მესხიას მეცადინეობას ჩვენი სახელმწიფოებრივი მოწყობის გზაზე, — ისტორიის ბორბლის მობრუნება ამაო ცდაა, ასეთია მსოფლიო გამოცდილება.

— ეგ ყველაფერი საპნის ბუშტია, — მოშაპყრობს გამჭოლ მზერას, — რატომ უნდა წავიდეს ადამიანი მაინცდამაინც უარესობისაკენ? ნუთუ ოდესმე მაინც არ გამოიღვიძებს მის სულში საუკუნო განადგურების შიში? მაშ, ღვთის ხატად შექმნილს რისთვის ვუწოდებთ? დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან გამოერკვევა იგი საღათას ძილიდან, რომელსაც პირობითად უმეცრება შევარქვათ. როგორ შეიძლება ჯანსაღი გამოცდილების უგულებელყოფა?! წარსულში დაღვინებულია უფრო სანდო, თუ სიბნელეში ხელის ცეცებით მობოდიალე? ჰოდა, იმას ვამბობ, საქართველოში ყველაზე ძრავალრიცხოვანი თუ როსტოკაკა გვარების: ბერაძეა ეს,

მაისურაძე, მესხია, ფეტელავა თუ ცირამუა, ჰო, კახიძესთან ერთად, მათი კურთხევისა იყოს! თითოეულ მსხვილ თუ წვრილ გვარს ჰყავს თავისი ყოჩი, ავ-კარგის გამრჩევი, ჭკუის მოსაკითხი და ამისთანა საკრებულოსგან გაძღოლილი საქართველოა უფრო საიმედო, თუ მოსყიდვებითა და ანგარებით შეკოწიწებული პარლამენტი?! მაგალითისათვის, ჩვენს გვარს თავის დროზე დიდი შოთა მესხია მესვეურობდა, მაღალ-მაღალი და ფიცარივით თხელი შოთა მესხია, მაგრამ რადგანაც იგი აწ ნათელშია, ახალი წინამძღოლის გამოძებნაც არ გაგვიჭირდება, ვთქვათ და, სიტყვისათვის, თუნდაც ვერცხლისწყალივით დაუდგრომელი და თვინიერიც ამავდროულად, იაშა მესხია, იაკობი ჩვენი.

— ჩვენს ჯიშ-ჯილაგს გაუმარჯოს, გვარის გარშემო დარაზმულს! — ამგვარად ვაფორმებთ სამეული მასპინძლის მიერ მერამდენედ თავსმოხვეულ დებულებას. ვფიქრობთ, აწი მაინც შეეშვება აკვიატებულ თემას, მაგრამ გაგონილა?

— გვარი ფარია ჭირიმე, ჩვენი ადათ-ჩვეულების შემნახავი ბურჯი, გალავანი, ხოლო სახელი ერთკაცისაა, მარტოკაცის, მრავალი ნიშან-თვისების, ვითარების შედეგი. მაინც საბოლოო ჯამში ისიც ქვეყნის სამსახურშია, როგორც ამოღებული მახვილი და როცა საიმედოდაა მომარჯვებული ორივე ძალა, იქ წაფორხილება გამოვა?! სახელიანი კაცი იოლად გაიტანს თავს დუნიაზე, რადგანაც ამოშიშვლებული ორლესულივითაა და ადვილია მისთვის გზის გაკაფვა, მაგრამ ყველა ხომ ვერ იქნება ალექსანდრე მაკედონელი თუ იოსებ ჟორდანია?! სახელიანი კაცი ფხიანია და მოხერხებული, მის წინაშე ფარ-ხმალს ყრის ნებისმიერი ზღუდე, მაგრამ ყველა ვერ იქნება ორნანადი არაყივით, დარანა! ზოგი ჟვენდერიაც გამოერევა გვარში, შედარებით მოჩლუნგებული, მოუხეშავი, რახივით მოშვებული, უიღბლო სულაც. რა, გავწიროთ სიკვდილისთვის, დავიწყებისთვის?! არ მითხრათ, ახლა უცებ ბროფკავშირი მიხედავს ან სხვა ვინმე უცხოელი, ფულიანი ბიძაო! ტყუილია ეგ. ის შენი ჯიბესქელი გადამთიელი პაპაჩემის ხნოვანების ქვეყნის მკვიდრია და ჯერ კიდევ მაჭარი ადათ-წესით ყოყლოჩინობს, რომელი ადათ-წესიც, ვინ იცის, როგორ დაღვინდება ხვალ-ზეგ. შეიძლება ძელგი ღვინოს მაგივრად სულაც უუმური ხასიათის გამოდგეს, უჯიშო ჯორივით რომ იკბინება აღმართში. ვისაც საშობლოს შეგრძნება არ გააჩნია, ადვილად წყვეტს სხვის პრობლემებს, ურწმუნო თომასავით თითებით იქექება ქრისტეს ნაიარევ ფერდში!

ვალიკო მესხია საფუტკრეთისკენ იმზირება, ბილიკის ძირას მოწანწკარე წყაროსკენ, საიდანაც წელიწადნახევრის წინათ გარდაცვლილი მეორე ვაჟიშვილის პირშო მოზიზინებს. მისი შემხედვარე ბერიკაცი თავს წარამარა აქნევს. მიაჩნია: დედამ მოადუნა, ზედმეტი ლოლიავით გააზარმაცა, არ უშვებს ბაბუასკენ ხშირ-ხშირად, არიქა, საქმიანობით წელში არ გაწყვიტოსო. ფული რომ შემოაკლდებათ, მხოლოდ მაშინ მოაკითხავენ მოხუცებს. ქალაქმა გადაავჯიშა, იქაური უნიათო ყოფის ნირმა, გაუცხოებამ, გვაროვნულ ცხოვრების წესისგან განდგომამ.

— შემდგომ? შემდგომ რანაირად წარმოგესახება ჩვენი სახელმწიფოს მოწყობა? დავუშვათ, დავირაზმეთ ჩვენ-ჩვენი გვარების გარშემო, მერე? — ჩავერთვები საუბარში.

— რა მერე?! ნუთუ ვერ ვთქვი მისახვედრებლად? მომდევნო რგოლი სოფელია, ბაბაგე, გური, გვარებისგან ზგუმონჯილი— ჩაგრაგნილი— სოფელი, ხოლო მესამე — თავად კუთხე: ქართლი — კახეთი — იმერეთი — გურია — სამეგრელო — რაჭა — ლეჩხუმი — სვანეთი — აფხაზეთი — აჭარა — მესხეთი. განა სხვანაირადაა სხეულში? ადამიანის თითოეულ ორგანოს დასრულებული, შეკრული სახე აქვს თითქოს და მაინც მთლიანობაში— განუყოფელი, პიროვნების ქედუხრელ სიარულს ემსახურება მიწყივ.

ე, ბიჭო, გამოადგი ფეხი, ქვა არ დაგეჯახოს! გათბა წყაროს წყალი მაგ დოქში! ოფლი არ მოიდინო რამეფრად, წელკავი არ აიკიდო უცებ და არ დამღუპო!

ეხ, ჩემო ძვირფასო, მკითხველო, დროებით აქ მოგვიწევს დამშვიდობება ჩვენს მართლაც განუმეორებელ მასპინძელთან, რომლის თაობაზე კვირეული შეხვედრების შემწეობით მთელი წიგნი დაიწერება, მაგრამ რადგანაც თხზულების ხასიათი გარკვეულია: კალენდარული სტილით ვაპირებ გამოცნაურებას ვალიკო მესხიასთან, ალბათ, მიმიხვდებით, რომ შემდგომ და შემდგომ მოსათხრობი უამრავი თემა განზე მოგვიტოვებია: გერმანელი ტყვეების სასაფლაოა ეს საირმეს შემოსასვლელთან; ექვსი შვილით დამსაჩუქრებელი თანამეცხადრე ქეთი ნერგაძე, ღამ-ღამობით გზაში შემობნელებულს ხეზე რომ სძინავს ნადირისგან თავდასაცავად; თუ კოსტაია თორთლაძე, რომელიც გამომჯავრებელი უნდილაძეების ქალებს დაგრილებით დაექადნება ბერბიჭას კვალობაზე და ისინიც ფერებ-ფერებით მიიტყუებენ ერთხელ „გულღიად“ მირთმეულ სუფრაზე, შემოეხვევიან, ღვინოს მიაძალებენ და სუფრის შუაგულში რომ მოხალვათდებიან ვითომ სოფლის აშიკს შეპირებული თამასუქების გასანაღდებლად, შეფუცხუნდება ჩვენი კოსტაია, წამოკრეფს მოდუნებულ ტან-ფეხს, მაგრამ ვინ არის ცოცხალი თავით გამშვები, დიდი ლაფშასი რომ აბია იმის უხილველად? გაწამაწიაში შემოე- ფხრიწება კოსტაია თორთლაძეს სამოსელი, ფთილა-ფთილა, ჰერანგისა და მისი ძმობილის ხათირბაშობით, ჰოდა, ასე დედიშობილას, უმაქნისი ვაყა-სათხრეს ამარას მოუწევს ახალშეფოთლილი ვენახებით წამელაკუდება.

ალბათ, იმასაც მიგვიხვდებოდით, რომ ჩვენი ბელეტრისტული ბაასის პერსონაჟი, ობუჯელი მწყემსი ვალიკო მესხია, განუმეორებელ წალენჯი-

ხაში კი არ იმყოფება, ზრდილობითა და თავაზიანობით განთქმულ მხარეში, არამედ— რაჭა-იმერეთის სადავო ტერიტორიის ბინადარია, უძირო ჯაჯის ტბის შესაკუთრე, წაბლა წყლის მეუფე, ასკაგუბურას ბატონ-პატრონი, შქაგორას, კვარკვალიას, დიდღელესა და უნაგირა მთის გამგებელი, საირმის დამსვენებლის დამპურებული სიმინდის ფქვილით, სულუგუნის რძიანი ყველით, ოქროსფრად წამობლანტებული თაფლითა და საქონლის ხორცით, მაგრამ ყველაფერზე — მოგვიანებით და რიგისობის მიხედვით თანაც.

თახაშხა

სისხამზე თუ მიდაისებისას, საირმეს ხეობაში ხანჯლით გასაჭრელი ნისლი ჩამოწვება ხოლმე. გუშინდელი აფერდობებისგან ტანში მამტვრევს, დაჭიმული კუნთები მტეხს, მაგრამ თანამეცხედრე ნანა ხუფენეს წინაშე თავს ვიყოჩაღებ, ფეხდაფეხ მივსდევ მთაში სიარულის ადათ-წესის კვალობაზე.

საცალფეხო ბილიკს ელსადენის ნეკისსისხო შავი კაბელი მიუყვება, ყოველ მეტრნახევარში ღონიერ მავთულზე საიზოლაციო ლენტით დამაგრებული დიდთოვლობისგან დასაცავად. შუქი, ელექტრონი, ასკაგუბურელების სიამაყეა, მათი მიყრუებული ცხოვრების გამამზიანებელი და ხალისის შემომტანი, ამიტომაც არაფერია გასაკვირი, თუ დღეში სამგზის — საუზმე-სადილ-ვახშმისას, როგორც წესი, ალალმართლად ილოცებოდნენ ზესტაფონის მილიციის უფროსი, ობჩელი როლანდ კობახიძე და საყოფაცხოვრებოს მესვეური მელიტონ ჭურაძე.

— გაიხარა მამამისის სახელმა და გვარმა, — ორჯერ ახსენებს გუშინ ვალიკო მესხია, ელექტრონის პრობლემებზე ჩვეული, გამოწვლილვითი საუბრის შემდეგ. ორჯერ დალოცავს ორ პიროვნებას, ოღონდ მრავლობითში კი არა, როგორც ამას შანიძისეული გრამატიკის კანონები მოითხოვს, მხოლობითში, შერწყმულად, გამთლიანებულად. ახლა ორი ინდივიდისგან ნაბოძები, ის სიკეთე, ერთ მთელშია თავმოყრილი: „გაიხაროს მამამისის სახელმა“, იტყვის ვალიკო მესხია და აქ უცილობლად როლანდ კობახიძისა და მელიტონ ჭურაძის მამები უნდა იგულისხმო, განსხვავებული გვარჯილაგისანი, გამორჩეული წარმომავლობისანი, მაგრამ ერთი კაცურკაცობის მადლით შემკობილნი.

ავმოსაგონარიც უამრავი აქვთ ასკაგუბურელებს.

მოხუცი ცოლ-ქმარი მარტოობისას სიტყვაძუნწები არიან. ხმის ამოუღებლად დაკუსკუსებენ ფერდობ და ფერდობ. უკიდურეს შემთხვევაში გამოეხმაურებიან ერთურთს, სხვამხრივ, თვალსაწიერზე, ხელის გაწვდენაზეა თითოეული და სიტყვების კორიანტელს რაღა ფასი აქვს?

სტუმრიანობის ჟამს თავს ვერ იოკებენ ადამიანებს მონატრებულნი, ეგ არის და ეგ. შენ იტყვი და ახლა ვინმესი ეხათრებათ თუ ერიდებათ იოტისოდენად?! ერთხელ ცეცხლსასროლი იარაღი წაართვეს თურმე, ცალლულიანი თოფი — „ცენტრელკა“, მაგრამ მესხიებს ბერდანკები და შაშხანები საიმედოდ გადაუნახავთ დათვების, თუ ავყია მომხდურის დასაფინთიხებლად.

ქეთი ნერგაძე არაფრით ჩამოუვარდება ჩუბინობაში „თავის ყაზაყს“, ზოგჯერ — პირიქით, მეტი უღლის გამწვევია კაფანდრა და ძვალკანა, რომელმაც ექვსი შვილი გამოზარდა წვალებით — „კიბირშა გენძგილაფირო“.

ნურაფერს გაიოცებთ, ამ რაჭა-იმერეთის საზიარო ტერიტორიაზე, მეგრულ ფრაზებს თუ მოკრათ ყური ქეთი ნერგაძის პირიდან. სიყვარულმა საზღვარი არ იცის თურმე და ისწავლა კიდეც საქმრისიანოს ობუჯში, წალენჯიხაში, ჩაღწევამდე სამი მაზლის გამომზრდელმა დედაკაცმა.

აშარი ქალის სახელით მოიხსენიებენ საირმელები. ვიცით ამის თაობაზე ჯერ კიდევ გუშინდლიდან, და როდესაც მოხერხებულ დროს შევურჩევთ მეტსახელის გასაშიფრად, სკამის საზურგეს მიაწვება ქეთი ნერგაძე, კოპლებიან ლეჩაქს მოიხალვათებს, მჭიდროდ წაიკრავს შუბლზე, ღიმილს კი არა და არ იცილებს ბაგეთაგან.

— არ მიწყენს თოლი, — ასე მიმართავს ქმარს ქეთი ნერგაძე, — და უფრო ცეცხლიანი გამოვდექი, ალქერქუ თქვენებურად. იყვნენ აქ კორესპონდენტები, თვალის და კუჭის მოსატყუებლად რომ მიმოიხედავდნენ გარშემო. ხო, რას ეძახდნენ აქაურობას? ე... ეზოტიკას, და როცა დაიმწყურვალებდნენ სულსა და გულს, წავიდოდნენ ათასი შეპირებით:

გაგწერთ წიგნებში, გაზეთებში, ფოტოებს გამოვიგ- ზავნითო, მაგრამ მტერია მათი მოიმედე. დაზუთხუ- ლივით მახსოვს ჩემი ანიანგიანი და საუბარიც ამისთვის მემჩატება. არა, მთლად უმიზეზოდ როდი მეძახიან მხეცს, ნადირს, ტყიურს. აბა, ასეთ უკაცრიელში გამოყრუებულს შეიძლება სხვა სახელი დაერქვას?

რაიკომის პირველი და მეორე მდივანი სასიკვდილოდ რომ მივასილაქე, კუდიანიც მაშინ მიწოდეს.

სტალინი პატივს გვცემდა. რას ვაშავებდით? აქ გავზარდე, ამ ტყე-ღრეში, ექვსი შვილი. ანგელოზი ქმარი შემახვედრა განგებამ ... ოქროსთმიანი, თაფლისფერი თვალების, ალვასავით ტანწვრილი, ბალნიანი და ძარღვიანი.

სხვა რა უნდა მდომოდა შავტუხა იმერელ ქალს? დაეწაფე სიცოცხლეს უკვდავების წყარისავით და ილხინე სულო, მაგრამ ბედნიერებას ვინ დაგაცლის, განსაკუთრებით შენიანმა თვალში თუ ამოგიღო?! აკი, დაიჩივლა ხემ: ნაჯახი რას დამაკლებდა, შიგ ჩემიანი რომ არ იყოს ტარად გაჩრილიო.

ბიბლიოთეკის გამგე ვიყავი ბაღდათში, მოგვიანებით — აქ, საირმეში. გერმანელი ტყვეების გამო-

სარჩლების გამო ამითვალწუნეს. ეგ ყველაფერი — საბაბი, ცხადია, მთავარი ჩემი თოლი გახლდათ, ჩემი ვალიკო მესხია, მისი წარმომავლობა, მისი კოლხობა, მეგრელობა მარტივად. ბერია ახალი განადგურებული იყო და ალბათ, ყველაფერი გასაგებია: თითქოს თავზე გადაგვდიოდა რძე და თაფლი, ბობოლები ვიყავით, წურბელები, ხალხის მტრები. ჩვენი ბრალია, შრომას რომ დოვლათი მოსდევს?! ან დამნაშავე ვიყავით განა ყველა სტუმარი ჩვენს შემოგარენს რომ აწყდებოდა? ყველა ცნობილი ადამიანი ჩვენს ჭერს რომ ეტრფოდა? უფროსებს, თანამდებობის პირებს, ეხალისებოდათ აქეთკენ გამოსეირნება, საპატივცემლო ხალხის წინაშე თავისმოწონება ჩვენი ხელით შექმნილი სოცრეებით. ჰოდა, გასკდნენ ზოგ-ზოგები ბოღმით, შურით. ქვეყნის მოღალატეებს გვეძახდნენ, დეზერტირებს, საწუთროს დამაქცევრებს.

ავასახლოთ და გავყაროთ აქედანო, არც მალავდნენ გულისწყრომას პირისპირ საუბარსა თუ ზურგს უკან.

ვალიკო მესხია თავს აკანტურებს. თვალები ღიმილით ეწკურება: როდინდელ ამბავს ხყვება „სიბრძნის კბილივით ტკბილი მეუღლე“.

სისხლისფერი იზაბელა ძრომდეა დაყვანილი ოთხლიტრიან, ყელაწვართულ ბოთლში. ქალებიც შემოგვშველებიან სააქისოდ, თორემ უარესად წაგვივიდოდა საქმე საირმის წყლით გაჭყეპილებს. „საირმესთან“ ღვინო ფინთია თურმე. ქარვასავით კამკამაც რომ იყოს, ეგრეკვე უანგავს, აშავებს.

დააკვირდით მესამე წყაროსთან მდინარეში ჩასასვლელ ხვრეტილს და უზარმაზარ დანალექს — ბაკანს რომ შენიშნავთ, ყველაფერს ირწმუნებთ. აი, არაყთან კი მოგეცა ლხენა, დიდებულია. როგორ იტყვის თავად ვალიკო მესხია?! „არაყთან საირმე? ყეუხ“!

— მილიციის უფროსმა, გვარს არ ვიტყვი, — აგრძელებს ოჯახის დიასახლისი ქეთი ნერგაძე. თვალს თვალში მისწორებს საუბრისთვის მეტი ბუნებრიობის შესაქმნელად, — ამოყორდა, ამოყიამყრალდა:

აიყარენით, გადაშენდით აქედან, ყელამდე ავივსე თქვენზე საჩივრებითო. დროზე თუ არ გადაიხვეწებით, თავად რაიკომის მდივანი მოვა და ერთიანად მიგაბრძანებთ სადაც ჯერ არსო.

დავტოვე ქმარ-შვილი ერთი დღით. საავადმყოფოდან ახალი გამოსული ვარ. ბრმა ნაწლავმა შემომიტია. ექიმი მთვრალი შემხვდა — ვანიჩქა ხარაბაძე და საკალანდო ღორივით გამფატრა, მაგრამ რა მომრეოდა ჯოჯოხეთის მაშხალას, მგელზე ამხედრებულს და ცოცხით მფრინავს ღამღამობით? მე ხომ ნესი მისდღეში არ გამიკეთებია. თოვლში ფეხშიშველა მივლია და ჯაჯის უძირო ტბაზე ზამთარში მიბანავია შვილებთან ერთად. არც ულამაზო მეთქმოდა, კოჭებამდე მცემდა ხშირი, ნახშირივით ნაწნავები, მაგრამ ეგ იქით იყოს და მივადექი რაიკომის მდივნის კაბინეტს. მდივან-მემანქანე წინ შეღობება:

ხვალ ბიუროა და მოხსენებაზე მუშაობსო.

მართლაც ტყიურივით ხომ არ შევეჭრებოდი უმიზეზოდ რაიონის თავკაცს?! მოვბრუნდი შინ, სალამოსპირზე, საყიდლებით ხელდამშვენებული. მიკვირს ბავშვები ბილიკზე რომ არ მეგებებიან. ყველას თავ-პირი ჩამოსტირის თოლისთან ერთად.

რა ხდება, რაშია საქმე-მეთქი, ძლივს ვითქვამ სულს. არავინ მეხმიანება. ის კი არა, უმცროსები ზმუკუნებენ კიდეც. გავიხედავ და რას ვამჩნევ, ჩვენი სანაქებო ტალავერი გაკაფული არ არის?! მიწაზე ყრია მაჯისსისხო ვაზები, შაბიამნით საგულდაგულოდ შეწამლული, მოსხეპილია ხეები ... თითქოს აღა მახმად ხანს გადაუვლია სამოსახლოშიო. თვალთ მიბნელდება, მაგრამ ამაღამ რანაირად მოვიხელთებ რაიკომის მდივანს და მის ამფსონებს?!

ოჯახში ტრიალი ნელ-ნელა დამაწყნარებს. შვილების ალერსი გულს მომილბობს რამდენადმე. გადავიფიქრებ იარაღით მიხდომას ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ბარე ერთი-ორის საიქიოს გასტუმრებას. დილაბნელზე ჩავირბენ დაბლათში, მოგვიანებით მივადგები რაიკომის შენობას. ჩაკუპატებული მდივან-მემანქანე კვლავ გადამიდგება წინ.

ბიუროა, ანგარიშს აბარებენ ცეკას ინსტრუქტორსო, დაზუთხულივით მომაყრის სხაპასხუპით.

მეტი რა შენდომება უსამართლობით გაწამებულს?!

შევიჭრები და შევიჭრები.

მდივანი კუთხეში კრუსუნებს წელში ოთხად მოკაკვული.

გავუპირდაპირებ რაიკომის პირველ მდივანს. ვერავინ შეღობება წინ. გახეკებულა დიდ-პატარა, უფროს-უმცროსობა.

მივიწევი და მივიწევი რაიკომის მდივნის ღაბაბისკენ, ჩესუნჩის ქათქათა კიტელისკენ. სამელნე თვალში კარგად ამომიღია. ორბუდიანია, სარქველი ზედ გადამხობია ორივე ღრმულს, მარმარილოსია, ფითქინა.

სკამის საზურგეს აწყდება რაიკომის მდივანი. მარტო რომ იყოს, ჩემი გმირობების ხუთი თითივით მცოდნე, მოცოცხავდა კუდამოძუებული, მაგრამ ცეკას წარმომადგენლის წინაშე გაქცევა, გნებავთ, უკანდახევა, რავარი საქმეა და ვამჩნევ, ვამჩნევ, როგორ უფართოვდება თვალები, რაჟამს მარმარილოს ზორბა სამელნეს დავწვდები, ისე მოვიქცევ ხელში, თითქოს ხელყუმბარა მომეპარჯვებინოს. ვხედავ გაფიქვინებული სახისკენ რანაირად მიიწევს ორივე ხელის კოტიტა, გაქონილი თითები და მეც არც ვაცივებ და არც ვაცხელებ, ეგრეკვე პერანგზე მივასხამ პირთამდე სავსეს ხოლო უკვე გამოცარიელებულს, ნიკიტას გაფაშფაშებულ სურათს მივადღლეზ. ასე გასახტებულს დავტოვებ თითოეულს,

მაგრამ შურისძიების იშტას არც მერე მოიშლიან.

რაიონის თავკაცები ბულდოზერს მომაყენებენ ჭიშკართან ორ დღეში და მაშინ რომ დავტენი საიმედოდ გადანახულ ბერდენკებს და შაშხანებს, სულ ავანაპერწკლებ იმ მუხლუხებს ტრაქტორისტის თუ მომყოლების ტალახში ამოსალუფხად.

გადაიკარგებიან და გადაიკარგებიან.

მალე ნიკიტასაც წყალს შეუყენებენ და მოვისვენებთ ჩვენც სტალინის, გერმანელი ტყვეების ქომაგობის თუ ბერიას გვარ-ტომობის გამო.

ხელმარჯვნივ წისქვილია.

ვეება ლოდებზე მოკამკამებს ჯერხანობით ჩვენთვის უსახელო მდინარე, სინამდვილეში კი თეთრად, „ჩედ“ წოდებული.

ბონდი ორძელისგანაა, შუაში საყრდენი ბიჯებით. დავითვლი ზედ დაჭედებულ ნახევარმეტრიან ლატანებს და 33 შემრჩება ხელთ.

ყოველი ჩასაქცევი საიმედოდაა გამაგრებული. მუხის ძელია ხეებს შორის გადებული და ქვაღორღით ამოვსებული. აკაციის სარებიც უხვადაა მოშველიებული.

ბილიკზე დავარდნილ ქვას კი არა, უბრალო კენჭსაც ვერ იხილავ. ყოველ დილა-საღამო ჩაივლ-ჩამოივლის აქ ქეთი ნერგაძე და ფეხისწასაკრავს როგორ დატოვებს გზაზე?!

ეს კვირაძალი ჩვენი პატივისცემით არ ჩამოვაგდება მესხიების მოუსვენარი დიასახლისი საირმეში. დამსვენებლებს მოენატრებათ რძიანი სულუგუნი, თაფლი, ხილი და ბოსტნეული. ადგილობრივი წესრიგის დამცველები ახლაც წაკბილავენ აქა-იქ ნერგაძეების ასულს, მაგრამ ძაღლების ღავღავის გამო გაჩერებულა ოდესმე ქარავანი უდაბნოეთისა?!

შუადღეა.

მე და ჩემი მასპინძელი საფუტკრეში ვტრიალებთ. ღალიანობის პირველი პერიოდი დამთავრებულია ბარში. აქ კი, ამ მიკროკლიმატის ასკაგუბურაში, ახლაც ყვავილობს აკაცია, ცაცხვი და წაბლი. შქერია ყოველ ნაბიჯზე, რომლის თაფლი მწარე და მათრობელაა. მის გემოს იწვნევენ ერთხელ მომხდური ბერძნები, როცა დათვრებიან და გახდებიან კიდეც კოლხების ხანჯლების წერა.

ფლორა საირმისა თუ წალენჯიხისა კოლხურია, ტყუპისცალივით გვანან ერთმანეთს. ყოველ ნაბიჯზეა ჯუჯა გვიმარა, გვიმრა, ჩემი გოლიათი სამშობლოს სინონიმი საერთოდ, ვეება-უშველებელი ოდესღაც, ოდესღაც მასავით გადაჯიშებულ-გადაშენებული და გაგვიმრუჭებული, აწ ცელითაც რომ ითიბება. აქაურები ჩადუნასაც ეძახიან ამ მცენარეს. ჩადუნელების გვარით ხომ გადაჭედილია მთელი ზეკარს აქეთა ხეობა?!

ვირისტერფას, მრავალძარღვას სიაურაცხლეა.

რძიანათა ტევრებია, ღვედკეცები გადახლართვია წაყირავებულ თუ ინიციალებით აჭრელებულ ბუმბერაზ ხეებს.

მოსულან დამსვენებლები ორმოციან, ორმოცდაათიან, სამოციან, სამოცდაათიან, ოთხმოციან წლებში და თავიანთი გვარ-სახელებით წაუბილწავთ მათი ქათქათა ტან-სხეულები. შემდგომ დაჯირჯვებული გარსი მოუკიდებია ხეს, შეუწოვია ის მთავრული ასოები, ნაჯახით თუ დანა-წალდუნათი ამოჩიჩქნილი, წაუშლია უმეტესი, განსაკუთრებით საუკუნის შუალახნისა, და ერგასი წლის შემდეგ, სავარაუდებელია, რომ მათი ნასახიც გაქრეს საერთოდ უსიერი ტყის ავანსცენიდან... ბუნება შეუვალი კანონით მოიცილებს თავიდან დამამცირებელ სვირინგებს, იარლიყებს ...

ამეებზე მეფიქრება მეფუტკრის პირბადეთი აღკაზმულს. ვალიკო მესხია კი სახეშიშველია. ხელს გადიბანს ოდენ საფუტკრეების შემოვლის წინ. ახალ ხალათს ჩაიცვამს:

— ფუტკარს იშვიათი ყნოსვა აქვს, რისი მეშვეობითაც, ისინი რამდენიმე კილომეტრის რადიუსით ეძებენ საკვებსო, — მიმხელს.

ფუტკრის ცხოვრებაზე უამრავი წიგნი წამიკითხავს. სატელევიზიო გადაცემაც მომიმზადებია ოთხმოციან წლებში. ბევრი მსმენია იშვიათი მეფუტკრეებისგან: კოჩია ქარდავასაგან, ლადმერ კვარაცხელიასგან, მაგრამ ვალიკო მესხია შეუდარებელია. ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტას ფუტკრის ცხოვრებით, სკის კანონზომიერებით ლამობს. მანახებს ექვსკუთხოვან ფიჭას:

— ერთადერთი გეომეტრიული სხეულია, რომლისგან წვეთი არ იღვრება ჩასხმის შემდეგო.

მიდი და ნუ ერწმუნები.

გუშინდელი საუბრებიდან ორი პასუხგაუცემელი ფრაზა მიღიტინებს სულში: რა კავშირშია მესხიების ოჯახი გერმანელ ტყვეებთან და კიდევ — რანაირად უპასუხა ვალიკომ აფხაზეთში გადასახლებულ მეზობლებს, რომელთაგან ხუთწლიანი კონფლიქტის მანძილზე უკან ერთიც არ მობრუნებულა, ფაქტობრივად ჩვენს მტრებად დარჩენილან და ვინ იცის, იქნებ ჩვენი სისხლიც კი დაღვარეს ნიღაბაფარებულებმა თუ სახეგამოჩენილებმა?!

მივუყვებით მწკრივებს. სამხრობამდე შორხანია. გაზეთებიც ბლომად ამომიტანია თავის შესაქცევად. მივსხდებით მოგვიანებით ჩრდილქვეშ და წავიმუსაიფებთ, სანამ მზე გადაინრებოდეს, სანამ სანატორიუმში ცოლის დისშვილისა და ცირამუების ოჯახის იმედით დატოვებული შვილები გაგვახსენდებოდეს.

— მართლაც ყოჩაღი ქალი გყოლია, — ვუქებ მეუღლეს ვალიკოს მესხიას.

— ჰო, ყველაფერი გამართლებაზეა. ოჯახის გულისთვის დედალ ავაზასავითაა მომართული ნიადაგ. საერთოდ, ცნობილია, მამალი ნადირი, პირიქით, ვნებს თავის პატარებს: ხვადი ლომი, ნიანგი, სხვანი, საკუთარ შვილებს ერჩიან, ჭამენ ძუთა განკ-

სხვავებით. გამონაკლისი დედაღორია, მართლაც ღორი!

— მაინც რა უნდოდათ? ექვსი ძმიდან ორი სამამულო ომში მოხალისედ წასულა. უამრავი ბიძაშვილ-მამიდაშვილი დაგიკარგავს იქ უგზოუკვლოდ თუ გმირულად. ასაკით ოცდასამის ყოფილხარ ომის დაწყებისას.

— მართალს ბრძანებ, ოცდასამის, და კიდევ სამი შვილის მამა. აქაური კომისარი მეგობრობდა ჩემთან. „ბრონი“ მომცა, იგივე ჯავშანი, დაბას რომ ვამარაგებდი პროდუქტებით. მოკლედ, გამიღიმა ბედმა და გადავრჩი ტყვეობას თუ სიკვდილს, მაგრამ გაწვევის ბარათი რომც მიმეღო, მე ომში წამსვლელი მაინც არ ვიყავი.

კომუნისტურად როდი აღვზრდილვარ. არც ოქტომბრელი ვყოფილვარ და აღარც — პიონერი. წითელი გალსტუკი მისდღეში არ მიფრიალებია. არც კომკავშირულად ვიბაგუნებდი მკერდში მუშტს და კომუნისტებსაც იძულებით ვქომაგობდი, ვინაიდან მათ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული ჩემი არსებობა. აკი, გეხსომებათ, როგორ გამიჩანაგეს ჩინებული ტალავერი და როგორ მომიჭრეს მსხმოიარე ხეები ორმოცდაათიან წლებში. ამას ბუნების შვილი იზამდა?! არა! ადამიანები მაშინ იღუპებიან, როცა რაიმე ნიშნით დაიწყებენ გამორჩევას, გამოკერძეგებას, ქრისტიანია ეს, მუსულმანი, კომუნისტი თუ კაპიტალისტი; როცა პიროვნებას მომეტებით დაუწყებ პატივისცემას, ან სიძულვილს, უმთავრესი დანიშნულება — ადამიანურობის გამო თაყვანისცემა — თითებს შორის გაგისხლტება და იქ მორჩენილია ოცნება საუკუნო განსასვენებელზე.

ახალი წელი ჭირივით მეჯავრება საერთოდ. ჩამოიგლიან ტყის მცველები, იგივე ეგერები, მოჭრიან აწვართულ ნაძვებს, საარაკოდ გაქუჩუჩებულებს. ყმაწვილკაცობა არ დასცალდება, გირჩას ვერ მოისხამს ზოგიერთი ისე, ძირში, ძირში მოსხეპენ და ერთკვირიანი სიამოვნებისთვის ჩააბრძანებენ ქალაქს. ამისთანა ადამიანებს გვერდების იფნის წკნელით აჭრელება არ უნდა აკმარო. ცემა, გაჯორვა არაფრის მაქნისია, უნდა მიაჩეჩო ხელში ბარი, აჩიჩქნინო მიწა და ერთი მოჭრილი ნაძვის სანაცვლოდ ათასი უნდა დაარგვევინო! სხვანაირი დასჯა მე არ მესმის.

კაცის მკვლელს ყულფში რომ გააყოფინო თავი, ადვილია, ყველასათვის ხელმისაწვდომი. ამბობენ ამერიკაში ელექტრონის სკამზე აჯენენ დამნაშავეს და საფრანგეთში — გილიოტინათი წააცლიან თავსო, მაგრამ ჩვენ რომ სიკვდილით დასჯა გავაუქმეთ?! ვფიქრობ, უფრო დიდი სიკეთის განხორციელება შეუძლებელიცაა, თუმცა ეს არ ნიშნავს კაცისმკვლელს არ ხქონდეს კანონის შიში თუ უზენაესის ორანი.

— ორანი შიშზე მეტია, — ჩაგვერთვები მე.

— დიახაც. შიში მარტივია, ორანი კი რაღაც აღუწერელი რიდია, აი, სიტყვა „ვაშინერსს“ რომ ახლავს. რა ხქვია მაგას ქალაქურად?

— არ ეგების, არ სახსენებელ არს, კიდევ გააჩნია შესატყვისი პოლინეზიურად: ტაბუ, ტაბუ აქვს დადებულიო.

— მიეთ-მოეთებისა აღარაფერი ვიცი. დიახაც, იმ ორანით, ვაშინერსის მაგვარი რომ არის, ათასძაფეულით უნდა იყოს შებოჭილი ავისმზრახველის, ავისმოქმედის სარბიელი. ვთქვათ და მოკლა ვიღაცამ შურით, სიხარბით მოყვასი თვისი, სიტყვისთვის, კაენმა — აბელი. არ მოაკვდინა ამის გამო მამაღმერთმა ეს უკანასკნელი. დაესაჯა — ჩვეულებრივი მოკვდავის საქმეს ჩაიდენდა — შურისძიებლობას, რიგითებისგან არაფრით განსხვავებულს. ის კი ღმერთი იყო და სიცოცხლე მიუსაჯა, მოსპო მორალურად და არა — ფიზიკურად, როცა მის ჯიშ-ჯილაგს დამნაშავის დამდა მიაკერა საშვილიშვილოდ.

— მაგრამ ჰიტლერისთვის რომ დაგვეცლია, მთელს კაცობრიობას ამოჟუჟავდა და ვიდრე ღმერთი მოსთხოვდა პასუხს, ყურმოჭრილ მონებად გადაგვაქცევდა ოსვენციმებსა თუ ბუხენვალდებს გადარჩენილ ზოგ ერს ქართველებიანად.

— ეტყობა ვეღარ გამოვთქვი გასაგები ენით. მე როდი ვამბობ, როცა ვინმე მოსაკლავად დანას გიღერებს, არიქა, ყელი მიუშვირე-მეთქი. მკვლელის, არაკაცის ზნეობრივ დასჯაზე მოგახსენებდი. ფუტკრის სკა არ ცნობს მუქთახორას. ისიც არაკაცია ოჯახის თვალთახედვით. როგორც გარედან შემოღწეულ ჭიანჭველას, ბზიკს თუ თაგვს, სასიკვდილოდ გასწირავენ მხართეძოზე უსაქმურად მოკოტრიალე თვისტომსაც. ფუტკრისთვის ორნაირია მტერი: მომხდური, წალეკვას რომ გიპირებს და შინაური, საძირკველს რომ გითხრის. ფუტკარი ამ შემთხვევაში მოწოდების დონეზეა ყოველთვის.

— მთავარი საკითხი მაინც განზე გვრჩება, — ღიმილით შემოვაბრუნებ ბანზე აგდებულ სიტყვას.

— მაინც რომელი? — ჩაეკითხება გულუბრყვილოდ.

— აი, გერმანელი ტყვეები, რომელთა ქომაგობის გამო თურმე ლამის აგყარეს ასკაგუბურადან.

— პირის გარმონის ოსტატები იყვნენ ეგენი, იშვიათი მშენებლები, საარაკო ხელოსნები. უკრავდნენ ყოველგვარ ამინდში, სამხიარულოსაც, სევდიანსაც. ჩვენთან ომის მიწურულიდან დაიწყო გზის მშენებლობა. მანამდე ცხენის სავალი, დამტვრეული ბილიკი მოიკლაკნებოდა აქეთკენ... ლაღუმებით აფეთქებდნენ კლდეებს. არავინ იცავდა შრომის უსაფრთხოებას. ტყვე-ივანთა სიცოცხლე ხომ ყინულზე ეწერა გერმანიაშიც და არც აქაურნი დაგიდევდნენ რამედ რომელიმე ტყვე-ფრიცის გაღმა მარილზე წასვლას. წესსაც არ აუგებდნენ, ისე მიაბარებდნენ საირმეს ძმათა სასაფლაოს. ბაღდათის რაიონის გამგებლის, დალოცვილიშვილი გურამ გეძაწის უშუალო თაოსნობით აღადგინეს შემდგომ ის საფლავები, სულ სამოცდათ-

ხუთმეტი ჯვარია წამომართული იქ, მაგრამ რატომ ორჯერ და სამჯერ მეტი არ ჩაქვესკნელებულა უსამართლო წუთისოფლის თვალწინ?! მითხრა ერთხელ ქეთამ:

მათი ცოდვით ვიწვებიო. რაიმე წიგნი მქონდეს გერმანულ ენაზე, გავრისკავდი, ორ კილოგრამ თაფლს ვუფუქაშებდი ზედამხედველს და ვუსახსოვრებდით.

მერედა, ვინ გიშლის-მეთქი. აბა, გაიხსენე, რას ეუბნება აღაზას ალხასტაიძე ქმარი, როცა ქისტებისთვის ურჯულო ზვიადაურს ცხარე ცრემლით დაიტირებს-მეთქი. წადი რაიონში, იქაც თუ ვერაფერი იპოვო, დედაქალაქისკენ გასწიე, ოჯახის საჭიროებისთვისაც წამოიძღოლიებ რამეს. აბა, შენს ბიძასავით, ფულს „ფეჩის ტრუბაში“ ხომ არ დავაობებთ-მეთქი.

— რომელ ფულზეა საუბარი?! — შეკვაწყვეტინებ წამით.

— ოოო, ეგ განუმეორებელი გახლდათ, ალისტორე ნერგაძე. მაგისთანა ღვინოს ვერავინ აყენებდა დუნიაზე. უცოლობაში, უშვილობაში ამოხდა სული. ღუმელს არ ანთებდა, შუშას არ აჭაჭანებდა ოჯახში. ზამთრობით მის ფიცრულში ინდაურის უკანალის ფერი ედო ყველაფერს სიცივისაგან. ტყე თავზე ეყუდა და მაინც სიცივისგან ძვრებოდა სული. ხელები კანამხალის მწნილისგან ამოღებულს უგავდა დღემოსწრება. ცეცხლს იმიტომ არ ანთებდა, რომ თურმე „ტრუბაში“ ფულს ტენიდა, ერთი პირთამდე გაეკსო, მეორე — სანახევროდ. აბა, როგორ?! დაანთებდა ცეცხლს და ხომ სახალხოდ გამოჩნდებოდა მისი დოვლათი, კვამლი ამოანჩრჩობდა ბედდამწვარს. ასეთი გახლდათ ალისტორე ნერგაძე, ჩემი „კნეინას“ გარებიძაშვილი და ვუხსენე კიდეც საჭიროების შემთხვევაში. დედაკაცმაც ყურად იღო ჩემი დარიგება, ქალ-ვაჟი აიდევნა; ფეხსაცმლის ზომების აღებას, სჯობია, ადგილზე მოვარგებთ.

ორი დღე-ღამე გადაიკარგნენ, თბილისელ მეხსიებს ესტუმრნენ, დიდ შოთას. უშოვიათ წიგნები, ღმერთმა უწყის, რომელი და რანაირი. დატვირთულები ჩამომივიდნენ: ბავშვები — ახალთახალი ფეხსაცმლების ჭრაჭაჭრუჭით, ცოლი— აკადემიკოსი ბიძაშვილის „ძლევაი საკვირველით“ და გერმანული ზიმზიმა წიგნებით. დავიღუპე კაცი. მიაქვთ თაფლი ჯარისკაცებს, გადასცემს ცოლი რომელიღაცას საგანგებოდ შენახულ წიგნს. გაჩხრეკვისას ჩამოართმევენ კოლონიაში. კვლავ ამოქმედდება თაფლი, კვლავ ახალ წიგნს უფუქაშებს რომელიმეს ჩემი ქეთი. ტრიალდება ისევ ძველი სურათი. ბოლოს მიადგნენ სამკითხველოს კარებს „კაგებედან“. გამოიკვლიეს ჩვენი ავანჩავანი. შუა იმერეთში, საკავშირო მნიშვნელობის კურორტში გამოიჭირეს ცოლ-ქმარი: ქალი გერმანელ ტყვეებს ამარაგებს მშობლიური ლიტერატურით; კაცი— დეზერტირია და რომ არა სულცხონებული, რაიკომის მდივანი პეტრე ნანიტაშვილი, ციმბირი ზურგს უკან დაგვრჩებოდა.

შეუდარებელი კაცი იყო მართლაც პეტრე, შრომის ფასი იცოდა, მოლხენაც. ბუნება უყვარდა სიგიჟემდე, საათობით შეეძლო ეცქირა გადამტვრეული წიფელისთვის თუ ძირგამოთხრილი კოპიტისთვის. ეგ რომ ყოფილიყო ახლა, ამერიკული სენი, არ ვიცი, რა ჯანდაბას ეძახიან, ჩვენებურად კი ფითრია, როდი მოინელებდა, როდი ამოგვიცოხნიდა ტყეებს.

ობუჯიდან შემთხვევით არ ავყრილვართ. შვიდიოდე წლის ვიყავი, საირმეში რომ გადმოვბარგდით. მიყოლებით გაჩენილი ძმები შაშხანის ტყვიებივით ვეტოლებოდით ერთმანეთს, აქ დაგვფუძნეთ. გამოქცევის საბაბი კი, დიახაც, გვქონდა, ლევან მესხიას ჯიშ-ჯილაგს. ნასწავლი კაცი გახლდათ, კომერსანტი. მარსელიდან ჩამოიტანა კრამიტის საბეჭდი. ხასხასა, წითელ კრამიტს ვაცხობდით მესხიები. კომუნისტები გადაეკიდნენ, კულაკი, ხალხის მტერი უწოდეს. დიდხანს იმალებოდა, ოცდათხუთ- მეტი თუ ორმოცი წელიწადი, საკუთარ ოჯახში გათხრილ გვირაბში. შვიდიოდე წლის წინათ გარდა- იცვალა, ქედუხრელი, როგორც ნამდვილი მესხია. არც ჩვენ დაგვაყენეს კარგი დღე, როგორც საზოგადოების ბაცილის პირდაპირ შთამომავლებს, ჰოდა, ავიკარით გუდა-ნაბადი. ამისთანა ბიოგრაფიის კაცს „კაგებეს“ ჩხირკედელაობა მენდომებოდა სწორედ, მაგრამ პეტრე ნანიტაშვილი გადაგვეფარა, ვერაფერი დაგვაკლეს.

ნამუსიანი ღვინო უყვარდა ცხონებულს. ალისტორე ნერგაძე სიძეს მეძახდა და ღვინოც საცურაოდ მქონდა. ფუტკარივით ეხვეოდა მუშტარი. ამფსონებიც უამრავი აკითხავდა, კახეთიდან, ქართლიდან, რაჭიდან. სულ მასთან მიხქონდათ ურმებით უმწიკვლო „ხვანჭკარა“ და „წარაფი“. ყოველ ნაბიჯზე ჭური ემარხა. საწნახელები დეკებივით მხართეძოზე წამოწოლილიყვნენ მის ეზოში. ორშიმოები, აბზინდა, ბლის ტყავი, ერთხელ რომ ძვრება წელიწადში; ხერკეები, ტუტლები შეგრუულად, ნაირნაირი სასმისები, ფიალები და ჭინჭილები, სახელგანთქმულ მუზეუმს ამსგავსებდა იქაურობას და მეც საპატიო სიძის კვალობაზე, ალისტორე ნერგაძისგან არაფერი მაკლდა.

ფულსაც შესაფერისს ვუტოვებდი, რომელსაც უბედურიშვილი ეგრეკვე „ფეჩის ტრუბისკენ“ მიაქანებდა თურმე. როცა უთვისტომოდ გადაშენდა, კი დავმარხეთ საკადრისად, ღვინო აკლდა თუ ჭურჭელი, მხოლოდ მოგვიანებით, სტალინის ფულს ყავლი რომ გაუვიდა და ნიკიტას მოციცქნული შემოეტია, შემთხვევით ალისტორეს „ფეჩის ტრუბას“ წამოავლო ხელი რომელიღაცა მეზობელმა: ვინ იცის, იქნებ მოვარგო ჩემს ღუმელსოო, მიუსადაგა ამანაც და ოთახში კვამლის ბული რომ დატრიალ-

და, მაშინ გაირკვა ყოველივე. შეუჩჩხუნეს ჯოხით და არ გადმოცვივდა არშინიანი თუმნიანები? ეჰ, ალისტორე, ალისტორე!

— აფხაზეთში რატომ არ გადახვედით? განა აფხაზეთი უფრო ახლოს არ იყო წალენჯიხასთან, ობუჯთან, ვიდრე — საირმე, თქვენი ასკაგუბურა? — შეგუცვლი საუბარს მიმართულებას მერამდენედ, — აკი, თავადაც განაცხადეთ, უამრავი მოკეთე გვყავს იქო. განა მათ სიახლოვეს ცხოვრება არ სჯობდა უკაცრიელ ალაგას ყოფნას, სადაც ნახევარ წელიწადს ადამიანი არ ჭაჭანებს, გამოსასაუბრებლად ძე ხორციელი გენატრება?

— მე ვინ მკითხა? უფროსი ძმები გამოეშურნენ აქეთ. თურმე ნახირი უძოვებიათ ძიკი კვარაცხელიას და ბაგრატ ფიფიას მხარდამხარ. საძოვრების ქირას იხდიდნენ მამასახლისთან, ან სოფლის ყოჩს ბეგარას უტოვებდნენ ნამატიდან. ეს იყო და ეს.

აფხაზეთში არ არის საირმესნაირი საძოვრები. აქ ზამთარი განსაკუთრებით თბილია, თუმცა ბლომადაც ჩამოთოვს ხოლმე. ზაფხულობით მსუყე ბალახი იცის საირმეს შემოგარენში. მერე და გაციმბირებით დაშინებულ კაცს გაემტყუნება საითკენ გარბის?! ოღონდ სამშვიდობოს დაიგულვოს თავი და რას დაეძებს აფხაზეთში მოხვდება, რაჭასა თუ იმერეთში? მოგვიანებით აფხაზეთშიც გადავსულვარ მე, მშობლიურ ობუჯშიც გამიტარებია რამდენიმე წელიწადი, მაგრამ ასკაგუბურას არაფერი შეედრება ... მართლაც ნამდვილი საძოთხეა.

— გააფხაზებულ მეგრელებთან თუ გისაუბრია საქართველოს ჭირ-ვარამზე?! საინტერესოა რას ფიქრობდნენ, მაშინ, მშვიდობიანობის დროს და რას აკეთებენ ახლა მოსისხლეობის პირობებში? — მაინც ჩემსკენ შემოვაბრუნებ სათქმელის ღარს.

— ბაბაგე, გური, დიდი პოლიტიკისა შეიძლება ნაკლებად გამეგება. მე ტყის კაცი ვარ, ბუნების შვილი; ბუნებაა ჩემი მასწავლებელი და მისით ვხსნი ხოლმე საზოგადოებრივ მოვლენებს. ასე რომ, ჩემი დასკვნები აქა-იქ შეიძლება კოჭლობდეს კიდეც ... მაგრამ ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, სამაგიეროდ გამძლეა, გამოსადეგარი, როგორც ბავშვობაში მსმენია — საწმოხუნო.

საუკუნეების მანძილზე რუსეთის იმპერიამ იმდენი იღონა, იმდენი ეცადა, რომ არც მოგვკლა და ზეზეურადაც ჩამოგვახმო, ჩამოგვაბეხრეკა. დედის მუცლიდან გამოყოლილი ჩვენი ფულისმოყვარეობა ხელზე დაიხვია და გაგვაყიდინა, დაგვაკარგვინა ერთმანეთი. გაგვაყიდინა შვილს — მამა, ქმარს — ცოლი, სოფელს — კუთხე, მხარეს — ქვეყანა. საკუთარი ყოლი არავის ზარავს თურმე და ვართ მძორში, ლეშში ცხვირჩარგულები, ჩვენივე გვამით გაბრუებულნი, თორემ ვინ, რომელი შეძლებდა ღვთისმშობლის წილხვდომილ საქართველოში განუკითხავ პარპაშს?

დავით აღმაშენებელი ვიდრე დიდგორზე მთელს მუსულმანეთს წამოაჩოქებდა და ძლევამოსილი აღუდგენდა საშობლოს შელახულ ღირსებას, ჯერ შინაურ პარაზიტებს მოუგრიხა კისრები, როგორც ამას მუშა ფუტკრები შვრებიან ხოლმე — ბაღვაშებს, ჯაყელებს, რატებს და ერისთავებს, ურჩებს და საერთო ინტერესებიდან განზე გადგომილებს, ღიაშე შურ მეულუდესუნ, ან თავი წააცალა სათითაოდ, ან გააძევა საშობლოდან. წამოამუხლა მუსულმანეთი დიდი დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალმა და ეგრეგე მათ სამლოცველოებს დაუწყო ხაფანგი, მეჩეთებს და სინაგოგებს. რატომაც არა, იმ სულკურთხეულს ჭყონდიდელი ჰყავდა მასწავლებლად! დღეს კი როგორია ვითარება?! ყაყანებენ ჩვენს გარშემო რუსეთის მიერ ჩამოთესლილი გუგულები, უნდად გამოჩეკილები ჩვენს მიწა-წყალზე, და მიყოლებით გვართმევენ ზაქათალას, ბიჭვინთას, აფხაზეთს, სამაჩაბლოს, მესხეთს თუ საორბელიანოს.

მეკითხები, გააფხაზებული მეგრელები თუ გინახავს და საქართველოს ჭირ-ვარამზე თუ გისაუბრია მათთანო. რამდენიც გნებავს. საერთოდ ეროვნებანაცვალ კაცზე საშიში არაფერია დუნიაზე.

— ასეთებს მანქურთს ეძახის ჩინებული ყირგიზი მწერალი ჩინგიზ აითმათოვი. ახალდაკლული აქლემის ტყავს შემოაკერებდა თურმე ჟუან-ჟუანის ხალხი — ჩინელები — გადაპარსულ თავზე ტყვეებს და მზეზე დააგდებდნენ. გამომშრალი ტყავი არ უშვებდა ნემსებივით ამოშვერილ თმას, უკან შედიოდა თმის ძირებში და აუტანელი ტკივილით გათანგულებს წარსული სავსებით ავიწყდებოდათ. ერთ-ერთი ასეთი მანქურთი მშვილდ-ისრით განგმირავს, თავად ამ გონებაწართმეული ვაჟიშვილის ვაება-გოდებით მაძებარ საკუთარ დედას.

— კარგი მაგალითი შემომაშველე. ჟუან-ჟუანებია, ბრძანე?! დიახაც, რუსი ჟუან-ჟუანების წყალობაა ყოველივე. სამშობლოდავიწყებულად გადაქცეს მათ ჩემი უამრავი ნათესავ-მოკეთე, მაგრამ, აი, უბატონო გვარის ხალხს, ამაყებს, თავაწეულებს, ჯიშიანებს და ქედუხრელებს — მესხიებს, ვერაფერი მოგვიხერხეს. ჯერ ქვეშქვეშურად წაიტყუეს ჩვენი მოკეთენი სამეგრელოდან, ეკონომიკურად ხელფეხშეკრულებს სამურზაყანოს ნოყიერი მიწები მიართვეს. მერე — ჯარში არ წავიყვანთ თქვენს ვაჟებს, ოღონდ პასპორტში აფხაზად ჩაეწერეთო, წაეი- ქედნეს. რა მნიშვნელობა აქვს ქართველს და აფხაზს, ორივე ერთ ქვეყანაში, ერთ სამშობლოში არ ვიმყოფებითო, აცდუნეს, დიახაც აცდუნეს და გუშინწინ, გუშინ მეგრული წარმოშობის ქართველებს დედით, მამით, პაპით, პაპისპაპით, ჩამათით და ჯამადით, საქართველოს გულისკენ სადინარი შეუცვალეს, სხვა წისქვილის ღარში მიუშვეს მათი უნარი და ენერგია. ოთხმოციან წლებში მოვხვედრილვარ მათთან, ჩხორთოლში, აგუბედიაში, კვიტოულში, სხვაგანაც.

რა სხვაობაა ჩვენს შორის, განა ერთნი არ ვარ-

თო, ირწმუნებოდნენ, მაგრამ შეიცვალა ვითარება და აღმოჩნდა რომ ყოფილა თურმე სხვაობა. ჩემთვის არ უკითხავთ ომის დაწყება და ამ მიყრუებული ასკაგუბურადან ხელს ვერ დავადებ უშუალო დამნაშავეებს, მაგრამ რადგანაც სისხლისღვრა აგორდა, ახლა შევხედოთ ზოგიერთი გააფხაზებული მეგრელი რა დღეში ჩავარდნილა? აქედან: აფხაზები ხართო და გაღლიტეს კუდის რიკამდე. იქიდან: ხედავთ, ვერ გიშველათ თქვენმა მეგრულმა ენამ, თქვენმა წარმოშობამ, ერთადერთი ჭირისუფალი ჩვენღა დაგრჩენივართ, გამოიჩინეთ თავი, თორემ მიგაყენებთ კედელთანო ... და იარაღი შემოატრიალებინეს საკუთარი და-ძმების წინააღმდეგ. რა ქნან ახლა გააფხაზებულმა მეგრელებმა? რაც შეიძლება მეტი სისასტიკით გაუსწორდნენ საკუთარ ნათესავებს, რათა შთამომავლობას სრულფასოვანი აფხაზის ღირსება-წოდება მიანიჭონ. ამიტომაც მძვინვარებენ ისინი გაცილებით მეტს, ვინემ თვით მუსულმანური წარმოშობის აფხაზები.

ამასთან ერთად, ჩემთვის სრულიად გაუგებარია სომხები რომ იცავენ ქართულ მიწა-წყალს საქართველოში.

ეს ტომი თავის დროზე მათი ეკლესიის ხელშეწყობით დაფუძნდა იქ გუგულის კვერცხებივით გამოიჩეკნენ და ხომ ხედავთ, დღეს საქართველოს ძირძველ მიწაზე აფხაზების ინტერესების დამცველებად გვევლინებიან. სონ ჩიქახე, სო მიშახე.8 სინამდვილეში თავიანთთვის წალდავდნენ და წალდავენ. ამიტომაც გვრჩება ორი გზა, ბაბაგე, გური!

პირველი და მთავარი, კაცთმოყვარე, ღვთიური: კვლავაც გონზე მოსასვლელად მოვუხმოთ ჩვენს ჯიშ-ჯილაგს. რა თქვი, მანქურთეობივით გადაგვარებულებს, ხალხური სიბრძნის წაძღოლიებით დავეულაპარაკოთ ერთხელაც და, თუ ამანაც არ გაჭრა, მოღერებულ დანებს ნამდვილად ვერ მივუშვერთ ყელს საზვარაკო ხბოსავით. მაგრამ უკიდურესობის ჟამს უფალთუფალი მახვილისკენაც მოგვიწოდებს ხოლმე: შეუსმენართ გვარიც უნდა წაართვა საბოლოო ჯამში და სიცოცხლეც, თუმცა ბაბაგე, გური, ვიდრე ამისთანა საქმეს თავს მოაბამდე, საჭიროა ჯერ შენი ცხოვრების წესი გადაასხვაფერო, ჯერ შენი არსებობის კანონები შეცვალო ვითარებისდა შესაფერისად და მერე აღმართული ნებისმიერი ზღუდე სასაციოლოდ მოგეჩვენება უძლეველი იარაღის მფლობელს.

შეხედე, — სკიდან ქარვისფერ, ალაგ-ალაგ რუხზოლიან ფიჭას იღებს ვალიკო მესხია და მზის შუქზე მანახებს, თითქოს მანათობლის სხივი და აღნაგობა აკლდეს ბუნების უიშვიათეს ჯილდოს, — როგორ არის გადაბეჭდილი?! ასწლეულები გაირბენს და მის მთლიანობას ვერაფერი დაარღვევს შინაურ-გარეული მტრის მეტი. დაახლოებით ასეთია ჩემი სიტყვაც.

ჯუმაშა

მსოფლიოს ცნობიერება მერვე საოცრებაზე შემთხვევით არ შეჩერებულა, ვერ გარისკა მეცხრეც დაესახელებინა, რადგანაც ეს უკვე დიდი ხნით ადრე მოეაზრებინა ცაბაოთს, როცა საკუთარ სავანედ მიჩნეული ადგილ-მამული მის დღეგრძელებას შეყოლილ, უმიწაწყლოდ დარჩენილ მოქეიფე ქართველებს უშურველად მიუბოძა, თქმულების თანახმად. ჰოდა, ამ მეცხრე საოცრებად გაუბზარველ საქართველოს თუ ვივარაუდებთ, მაშინ მის ზემწვერვალად, ზეკარად და ზეცად დიახაც, საირმე წამოყელყელავდება მარადწარუშელი შესასვლელითა და იგავმიუწვდომელი ადგილ-მდება- რეობით.

ათწლეულებით ანგრევდნენ ამ პიტალო და ჯავრით გაყვიფინებულ კლდეებს გერმანელი ტყვეები, რომელთაც მალულად მშობლიური წიგნებით ამარაგებდა ქეთი ნერგაძე. ახლა გორიზად აღმართულან ის ფლატეები მგზავრების თვალთა მიმტაცებლად, აქა-იქ ფოთლოვანი თუ წიწვოვანი ტყეებით შემოსილი და ოდეს ქანდაკებასავით გამოკვეთილ მოქანავე კლდეს — ოკვანეშს, იგივე სარწეველას, აკვანს ვალიკო მესხიას სიტყვებით, გაუთანასწორდები, სუნთქვა შეგეკვრება, ერთი სიცოცხლე უეჭველად იქ შეგემატება, გოჯით მაინც აიწევი სიმაღლეში, მისხალით მაინც გაგიფართოვდება ძარღვები პირველყოფილი მშვენიერებით აჯანყებული სისხლის სათარეშოდ.

ქვასანაყის წარმოდგენა ვის არ ძალუძს. ჰოდა, ნიგვზის ცხიმისგან გასლიპინებული ფილთაქვა წარმოიდგინე, მასშტაბებში ათეულ ათასჯერ გაზრდილი — წვერზე შეყენებული კვერცხი და ზედ ქვაბუნა ქუდივით ფუძით გადმომხობილი ქვიჯა.

თვალშისაცემია ღარი, შემაერთებელი ზოლი. მიწისძვრებს მრავლად უგრუხუნიათ აქაურობაში; პოსეიდონის სიტიქიას უთვალავჯერ უცვლია იერსახე ბუნებისათვის, მაგრამ ქვაქანციასთვის, ქვაოკვანეშისთვის ვერაფერი დაუკლია ძილისმომგვრელ ნანავს და მთლიანობაში მათ ზემორე მოხასხასე ფიჭვის შრიალი მარადიული ყოფიერების უკვდამყოფელ პოსტამენტად წარმოგესახება. მერმე — ჟანგარო, მიმინოსფერი ყღალი, ორმხრივი პიტალოების გალავანი წაბლარისწყლის გარდიგარდმო ჩინურ კედლებად, დასტურ, სიცოცხლის დაუოკებელი ჟინით აგანთებს, ორივე ფეხი თუნდაც სამარეში გედგას.აქ ისტორიის მეხსიერება მწირია. აბორიგენი მოსახლეობა საუკუნეს ძლივს მოითვლის. ამიტომაც ტოპონიმები: მამანეთი, წაბოცეთი, ტეხსვანია, ლამაზმთა, მოღობლა ... ახალქართული ელფერისაა, თორემ ვინ იცის, რა დიდებით მოსილი ჟამ-წარსული ამზიანებდა ყოვლიარს?!

საირმე ზეგნელი ილარიონ გორგოძისა და სამეგრელოდან, ვალიკო მესხიასავით მოხეტებული მწყემსის, გუჯუ გაბედავას აღმოჩენილ-მონათლუ-

ლადაა მიჩნეული. კურორტი ზღვის დონიდან ცხრა-ასთხუთმეტი მეტრის სიმაღლეზე ამოტყორცნილა, უკეთ ფიალასავით ჩამწყვდეულა გოლიათი მთების ალყაში და როცა ქვეყნიერება გრიგალებისგან წიოკობს დედაქალაქსა თუ სხვაგან, ხუთივე კონტინენტზე, საირმეში მოფიფქულ წიწვებს წამწამიც არ შეუტოკდება. აქ საუკუნის მიღმა ბელგიელები ხე-ტყეს ამზადებდნენ თურმე. აცურებდნენ შერჩევით მოჭრილ წითელ ხეებს და ისე ამუშავებდნენ, ნაფოტსაც არ ხკარგავდნენ. მოგვიანებით თავად ნაკაშიძეს შეუსყიდია სახერხი ქარხანა ელექტროსადგურითურთ, მაგრამ მალე მოჯირითდება რკინის წითელი დროება და დავიწყებას მიეცემა აბანოზის, დიდგვაროვნების თუ ბელგიური ფირმის სახსენებელი.

დროის მსახვრალი ხელისგან იავარქმნილია ფერსათის დედათა მონასტერი, მითიური კოლხეთის მაჯისცემა, რომელიც ძალუმად ფეთქავს მიწის წიაღიდან აქა-იქ მწირად ამოშუქებული სამუზეუმო ექსპონატების სახით. დავიწყებას მისცემია, აგრეთვე, კურორტ საირმეზე გამავალი ორმოცკილომეტრიანი ტურისტული მარშრუტი — ვარძია-საირმე-ბაღდათი-ქუთაისი-ქობულეთი. ასოთხმოცი კილომეტრის ფეხით გავლისას ტკბებოდნენ ტურისტები ულამაზესი ბუნების სიკისკასით, მაგრამ აწ ესეც ჰერსეფონეს კუთვნილებაა, ლეთას — უხსოვრობის მდინარის წყალნასვამი.

გზისპკვლევ ბროშურებზე დაყრდნობით საირმეს მუავე წყლები აუმჯობესებენ თირკმლის ჰარციალურ ფუნქციებს. აწესრიგებენ შარდოვანის და დარღვეული ცილოვანი ცვლის მაჩვენებელებს. წმენდენ სისხლს მავნე მარილებისაგან. უებარია ქრონიკული ქოლიცისტიტების საპკურნალოდ. აწესრიგებენ დარღვეულ ნახშირწყლოვან და ცხიმოვან ცვლას. დროულად გამოყოფენ ორგანიზმიდან შლაკებს, აუმჯობესებენ ღვიძლის ფუნქციურ მდგომარეობას. არეგულირებენ იმუნოლოგიურ რეაქციებს. რაც შეეხება აკადემიკოს ჰავლოვის სკოლის დასკვნებს, საირმეს მინერალური წყლები რეფლექსურად და ჰუმორალურად აღძრავენ კუჭის სეკრეციულ მოქმედებას, თირკმელების დიურეზაციას და ასე შემდეგ ... საპკურნალო თვისებებით მან უკვე დიდი ხანია ჩამოიტოვა ერთადერთი კონკურენტი მსოფლიოში ნარზანი და დღეს საირმის წყალი უმეტოქო უკვდავებაა, რომ არა ჩვენი აღიარებული დოყლაპაობა.

საირმე ამჟამად სამი ძიძის ხელშია, სამი მეპატრონე ებღაუჭება კრილოვის ივავ-არაკის კვალობაზე: საკუთრივ „საირმელები“ გედის მსგავსად კურორტის ცისკენ ატყორცნას ცდი- ლობენ; „ცეკავშირელები“ ქარიყლაპიას დარად— წინწაწევას წაბლარიწყლის მოჩქაფუნე ტალღებით; და სახელმწიფო კონცერნი — უკუთრევას კიბორჩხალის ბუნებით;

რაც შეეხება საკურორტო ზონის უშუალო ხელმძღვანელ და მზრუნველ დირექციას, ბოლო ოთხი წელიწადია გალოკილი თითივითაა, ვინაიდან „საქკურორტში“ საგზურების საფასურად შესული თანხებიდან (სხვათა შორის საკმაოდ სოლიდურიდან), საირმემდე მხოლოდ მხეფები აღწევს. კურორტი, რომელიც ადმინისტრაციის შესაშური ძალისხმევით გადარჩენია ძარცვას, ნგრევას და გაპარტახებას, ამჯერად გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს უმაღლესი ეშელონებიდან, შესაძლოა, თვით ქვეყნის პრეზიდენტისგანაც კი. ამთავითვე აუცილებელია საკურორტო ზონა გამოეყოს ბაღდათისა და ვანის რაიონების ტყის მასივებს და გადაეცეს ბაღდათის რაიონს, თორემ თუ გაგვახსენდება ბაღდათ-ვანის საზიარო, მესხიების ასკაგუბურას ხეობა, დილით ერთის საკუთრებაა და საღამოთი — მეორისა?!

მოკლედ, ხუმრობისთვის მოვიცლით ოდესმე, ახლა კი უმჯობესია უშუალოდ კურორტის დირექტორს, ბატონ გიორგი ჩხეიძეს დავუგდოთ ყური:

— მართალია, რამდენიმე წლის წინათ, თანამეამულეთა საძმო სასაფლაოს მონახულებისას, აქაური ბუნების მშვენიერებით მოხიბლულმა, გერმანიის ელჩმა საქართველოში, ნორბერტ ბაასმა განაცხადა:

ამისთანა მიწა-წყალზე განსვენება სიცოცხლის ერთგვარი გაგრძელების ტოლფასიაო, ჩვენ საირმეს მიმზიდველობით გულდამშვიდების, არხეინად ყოფნის უფლება ნამდვილად არა გვაქვს. თავის დროზე დაშვებულია დიდი შეცდომა, როცა მინერალური წყლების ფორმირების ზონაში დავიწყეთ საყოფაცხოვრებო ობიექტების გაშენება მდინარე წაბლარი წყლის ორივე ნაპირზე. ამას აწი არაფერი ეშველება.

— რატომ? — ჩავერევი საუბარში.

— ყველაფერი ჩვენი უხეირობიდან მოდის, — დააწყობს საქაღალდეზე ხელებს გიორგი ჩხეიძე, — თავის შეწუხება გვეზარება. მაინცდამაინც წყაროს თვალთან უნდა მივუსკუპდეთ მინერალურ წყალს. მდინარის დაბინძურებაც, ბუნებრივია, იწვევს საპკურნალო წყაროების დაბინძურებასაც.

დღეგანდელი მდგომარეობა ასეთია: სარემონტოა წყალსადენის სათავე ნაგებობა, კომუნიკაციები, მინერალური წყაროს „ბივატები“, ელექტროშეურნეობა. 30 წელიწადია აქაურობა კაპიტალურად არ შეკეთებულა, ამაზე გაჩუმება არ შეიძლება, არც იმის თაობაზე — გზები რომ არ გაგვაჩნია. ჩვენს სასტუმროს ორ ვარსკვლავსაც ვერ მიაკუთვნებ. ამისთანა ჰარტახში, ცხადია, უცხოელი არ გაგიჩერდება. წყაროები დაძებნილია, მაგრამ ბიუროკრატიულ ზღუდეებს არაფერი შველის. 1982 წელს გაკეთებულია საპროექტო დოკუმენტაცია მამანეთში, სადაც რადიოსიგნალიც შემოდის, ტელეხედვაც, სულ რაღაც ორი კილომეტრითაა მოშორებული მინერალურ წყაროებს, აღიარებულია თითქმის ყველა სპეციალისტის მიერ, მაგრამ მშენებლობა მაინც ჩაფლავდა. ორიათასი მეტრი გვებევრა გასავლელად. ესეც ჩვენი უნიათობის ცოცხალი მაგალითი.

— ებრაელები გაჭირვებაში ჩავარდნილი ქართველის გონებას შენატრიან. თქვენი მდგომარეობის კვალობაზე, ალბათ, გამოსავალი მოძებნილი გექნებათ უკვე — ვეტყვი ღიმილით.

— მერე და ვინ არის გამგონე? მუნიციპალურმა სამსახურმა პროგრამის შესაბამისად უნდა განახორციელოს ინვესტიციების მოზიდვა. თუკი იგი ამას ვერ მოახერხებს, მაშინ თვითონ კურორტი უნდა გახდეს მუნიციპალური სამსახური. უკეთ უნდა მოვიფიქროთ მისი მართვის სისტემა, თორემ კურორტის ფუნქციონირება საფრთხის წინაშე დგას.

დამტკიცებულია, რომ კურორტის ტერიტორიაზე არსებობს მინერალური წყლების რეზერვები, რაც უფლებას გვანიჭებს განვაცხადოთ: საირმეს მომავალი ნამდვილად აქვს.

კურორტის გამგებლობა, უკეთ, მფლობელობა, საქართველოსავით დაქუცმაცებულია. ჩვენ, წესით, ერთ კაცდღეში ერთი დოლარის შესატყვისი ლარი უნდა გადაგვიხადოს „საქკურორტმა“, რაც შეესაბამება წყლის საფასურს, საკურორტო მომსახურებისა და კურორტის კეთილდღეობისათვის გასაწევ ხარჯებს, მაგრამ შარშანწინ 3500 დოლარი დაგვაკლეს, შარშან — ორჯერ მეტი და წლეულს ღმერთმა უწყის, რა ბედი გველის.

კურორტს სულ 25 კაცი ემსახურება. ხუთი ადმინისტრაციულ საქმიანობითაა დაკავებული, დანარჩენი — ტერიტორიის მოვლით, წყაროების დასუფთავებით. მათი შრომის ანაზღაურება 30 ლარია თვეში. მუშაობა სეზონურია, სამთვიანი და როგორია სათქმელად, ამ ხელფასსაც რომ ვერ ვუნაზღაურებთ ხშირად ოჯახიდან მომწყდარ ადამიანებს?

— დანარჩენი ცხრა თვე? — დავინტერესდები.

— დაკეტილია, — სხარტად მომიგებს გიორგი ჩხეიძე, — გზა რომ შეინარჩუნო, ტექნიკაა საჭირო. საირმეში ზამთარი თბილია, გეოგრაფიული მდებარეობით აქაურობა გუდაურის ტიპისაა და მნიშვნელობითაც არანაკლები, მაგრამ ვინაა განმკითხავი?! ცხრა თვით დაკეტილი შენობა ნესტიანდება, ობდება, ლპება კარ-ფანჯრები, იატაკი, ცვივა ბათქაში, რკინას ჟანგი ჭამს. კურორტმა მთელი წელი რომ იფუნქციონიროს, საჭიროა ავტონომიური ქვაბები, ელექტროგამათბობლები. დარწმუნებული ვარ, საირმეს ადრე თუ გვიან შორს გაუვარდება სახელი, ღირსეული მეპატრონეც გამოუჩნდება და მაშინ ზამთრობითაც ანმაურდება წაბლარიწყლის ხეობა, ახლა კი უმთავრესია ადმინისტრაციის მიერ შენარჩუნებული კურორტის ფიზიკური გადარჩენა და კიდევ— გადაუდებელი ღონისძიება: საჭიროა საკურორტო ზონა გამოეყოს ბაღდათისა და ვანის რაიონების ტყის მასივებს და გადაეცეს ბაღდათის რაიონს.

აი, როგორია თურმე ბაღდათ-ვანის რაიონებს ხურჯინივით გადაკიდებული საირმეს ვითარება.

„საირმელებთან“ საგზური 180 ლარამდე ფასობს ერთ კაცზე ათი დღით, „ცეკავშირელებთან“ კი — 150 ლარამდე.

კვება სამჯერადია ორივეგან, სამედიცინო მომსახურება და აბანო — ფასიანი.

ჩვენი გამოჩენის მომდევნო დღეს სასადილოში დანომრილ მაგიდებზე სუფრები აქათქათდება. შეიცვლება მოპარვის შიშით გაუჩინარებული დანა-ჩანგალიც.

ჩაის უშველებელი თუჯის საერთო ჩაიდნიდან ასხამენ, ზიარი ჭურჭლის პრინციპის კვალობაზე დაყენებულს.

კერძები ძირითადად სადესერტო ხასიათისაა. შენ ხომ მინერალური წყლების მოქმედების შესაფერისად იკვებები?! ამიტომაც მენიუში ხანდახან გაიელვებს ხილი და ვაშლისნათალმოყვანტალე კომპოტი.

ჩვენი დასვენების დეკადაში საირმეს იმერეთის მხარის გუბერნატორის ოჯახი ჩამოვანდება.

ღაბუა შაშიაშვილ უმცროსს კუდში დასდევენ თავ- მომწონე დები, რწმენებულისიანები, ათასი მოთნე მომკითხავი. ისინი, ბუნებრივია, დასანაყრებლად სასადილოში რას ჩამობრძანდებიან, ზემოთ მიართმევენ ლანგრებით პეწენიკას და სასურველს, მესხიების სულუგუნეულს თუ სხვას, მაგრამ მთავარი და არსებითი ამ ვითარებისა ის გახლავთ, რომ კურორტის პერსონალს უკმეხობას ვერ შეატყობ.

თვალშისაცემია იმერული თავაზიანობა, ზრდილობა. არც ჯიბეზე მოგჩერებიან წარამარა. მათთვის სალიფტე ადგილი ოთახებადაა გადაკეთებული და გასამრჯელოს დეფიციტს თავად ინაზღაურებენ უსაგზურო დამსვენებლებით.

საირმის ბაზარი ვირთხის კუდისხელაა, ოთხი დახლის კვარტეტი.

კურორტის შესასვლელთან შლაგბაუმია აღმართული მსუბუქი მანქანების შესაყოვნებლად, მაგრამ ჭრელჯოხიანებს ორლარიანს თუ მიაშავებ, უმტკივნეულოდ გაგატარებენ სასურველი კორპუსისკენ.

ბაზარზე კი ცეცხლი უკიდია პროდუქტს.

აქეთკენ ქეთი ნერგაძეს არავინ გააჭაჭანებს. იგი წაბლარიწყლის მარცხენა სანაპიროს „ცეკავშირის“ სიახლოვეს განთავსებული შემინული ჯიხურების განუყრელი სტუმარია.

მისი აშარობა, ავქალობა, დავრწმუნდი, განსაკუთრებით ქორვაჭრებისგან მოდის:

— ბაზარს გვიფუჭებსო,— მიაწყევლიან ქვიშით გასახეხი დედაკაცები. გაასაჩუქრებს ნაჯაფარ სულუგუნს, თაფლს, შაშხს თუ ჩირ-ჩამიჩს და მათ არაფრისდიდებით მიჰყიდის ქეთი ნერგაძე.

მესხიების რძემოწკურწკურე სულუგუნი ოთხი ლარი ღირს და ქორვაჭრებისა, გამოხდილი, უცხიმო — ექვსი. მათი ბაჯაღლო თაფლი, რეზინივით რომ იწელება, ხუჭუჭდება და მზის სხივებს აისხლეტს, ხუთი ლარი ფასობს, ქორ-ვაჭრებისა, ფქვილით და შაქრის სიროფით წარყვნილი — შვიდი და, გასაგებია, რისთვის იგესლებიან დახლის წურბელანი მფარველი მუნდირიანების თამადობით.

ზედ საფეხურებიან ბილიკზე შევეჩეხებით ერთმანეთს. ისეთ ხურჯინს მოაცუხცუხებს, მოდღლეზილ მამაკაცს გაუჭირდება თრევა.

— ჩვენსკენ ხომ არ მოდიოდით? — მეტყვის მორიდებით.

— კი, თქვენსკენ, — მივუგებ დაყოვნებით და ხელს შევაშველებ ხურჯინის ჩამოსართმევად.

— მომიკვდეს თავი! ვალიკო სანადიროდ წაჰყვა თბილისელ სტუმარს. ყოველ წელიწადს გვაკითხავს ხოლმე, მწყრობრის სეზონში. საღამომდე არ იქნებიან.

— არა უშავს, ხვალაც ამ თვისაა, — დავამშვიდებ სახეშეჭმუხნილს და ხურჯინის ზიდვაში ჩავეზიარები, — საირმის ქარხნისკენ გავიღლი, წითელ მინდორსაც მოვინახულებ, გადამჭამეს ბავშვებმა თავი: წაგვიყვანეთ, წაგვიყვანეთოო.

— ადრე გაზაფხულზე ჯობია ასვლა, როცა იქაურობა ყაყაჩოებითაა გადაბიბინებული.

— აჰ, ამისთვის ეძახიან წითელს?

— არა, ეგ ყოველთვის წითელია, ოღონდ გააჩნია როდის ააკითხავ, დღის რომელ მონაკვეთში.

— ალბათ, შეღამებით სჯობია, დაისისას.

— მგონი, თოლიამ უკეთ იცის. ამაში თაფლი და ყველია, ბავშვებს მიუტანე.

— როგორ გეკადრებათ, — უკუვდგები ყინჩად, — ბავშვებს ყველაფერი აქვთ.

ქეთი ნერგაძეს ხელში გაშეშებია ჰოლიეთილეენის გაძეძგილი პარკი.

— ნუ გამაწბილებ, თოლი გამიწყრება.

— მაშინ თქვენთან ვერ მოვსულვარ და ეგ არის, დასაჩუქრებისთვის როდი გაკითხავთ.

— ბეჩა, პირველად ვნახე კაცი ძღვენს უარობდეს. რაც ფუთა და შეხვეული გაგვიტანებია სტუმრისთვის მესხიებს, ათ ვაგონს დატვირთავდა, მაგრამ არავის შეუცხადებია ამის გამო. გამომართვი, გამომართვი.

— ერთი ხომ უნდა იყოს განსხვავებული ამ ათასიდან, — ჩემსას ვადგეავარ მეც,— ფოტოებს და საკუთარ რომანს აუცილებლად გამოგიგზავნით. საშარშრუტო ტაქსის მძღოლს გამოვატან.

— ამ ჯიხურში დატოვოს.

— სულ ხუთიოდე დღე დაგვრჩა და იმიტომაც გაწუხებთ ხშირ-ხშირად. ვალიკო კარგი მთხრობელია, მაგრამ — ჩქარად მოსაუბრე, ჩაწერას ვერ ვასწრებ. შინ მობრუნებული ამაოდ ვცდილობ მისი იშვიათი ნალაპარაკევის ზედმიწევნით აღდგენას. ჩემებურად— მოგეცა ლხენა, სწრაფად გავარიწკინებდი, მაგრამ თხრობის ბუნებრივობას ვერ შევრყვნი. მეხსიერებას ნამდვილად არ ვუჩივი, ზოგჯერ ისეთი რამე მაგონდება, სასაცილოდაც არ ეყოფა ადამიანს, მაგრამ უცნაურობა დამჩემდა ვალიკოსთან: ისე ჩამითრევს, ისე გამაბრუებს მასლაათით, კალმისტრისკენ ხელი მომიცდება, ვინიშნავ უბის წიგნაკში ცალკეულ ფრაზებს, სიტყვებს, სახელებს, იმ იმედით, რომ შინმიბრუნებული უეჭველად შევავსებ, აღვადგენ-მეთქი, თუმცა გაგონილა?! წყალივით გამსხლტომია თითებს შორის. შესაძლოა ოდესმე ამოტივტივდეს კიდეც მეხსიერების უკიდეგანო ოკეანიდან, მაგრამ ამწუთას დავმუნჯებულვარ ქაღალდის წინაშე და ბავშვების ჟრიამულს ტყუილუბრალოდ ვუცაცხანებ, ტყუილუბრალოდ ვაბრალებ პატარებს ხელის შეშლას.

აი, მაგალითად, ვერაფრით ამომიკითხავს, ვის ქალებს დაექადნა კოსტაია თორთლაძე. სიტყვაში სამი ასო ამომიცვნია მხოლოდ, უ, ნ და ძ, დანარჩენი ისეა ერთმანეთს გადაბმული, თავს და ბოლოს ვერ უპოვი.

— უნდილაძეები, უნდილაძეების ქალებს დაექადნა დაგრილებით კოსტაია თორთლაძე. უკაცრავად პასუხია და, ისეთი ლაფშა მაბიაო, იმ ოხერმა, სათითაოდ დაგაფეხმძიმებთო. უშვილობას მართლაც უჩიოდა ზოგი მათგანი, მაგრამ საჯაროდ, შუდამ წვერგაბურძგნილი და ჩამოჩანჩურებული, ნივრის სუნით აყროლებული ბერბიჭა კოსტაია თორთლაძისგან დაორსულებას რომელი ისურვებდა, სულაც მამაკაცს დანატრებული ყოფილიყო წლობით? ჰოდა, მოილაპარაკეს გულში ჯავრჩადებულმა უნდილაძის ქალებმა:

რადაც უნდა დაგვიჯდეს, მაგ მაჯლაჯუნას თავზე ლაფი დავასხათო.

დაკლეს დედლები. გაახაზირეს კოსტაია თორთლაძის საყვარელი შქმერული. ნივრის გალები ჩამოკონწიალებულია აივანზე ბერბიჭას მისატყუებლად.

მოტანილია ჩაფებით ნამუსიანი ღვინო ალისტორე ნერგაძისგან.

გამოცხობილია მაჯაზედასახვევი სოიაგარეული მჭადი. დასერილია მარილიანი ჭყინტი ყველი.

დასთუხულია ბარაქიან ბუხარში ცეცხლი. ზედ ტაბლაა მიდგმული მადისაღძვრელი კერძებით სავსე.

აჰა, მოსახვევიდან წამოჩლახუნებულა კოსტაია თორთლაძე. როგორ იქნება ამ ნაშუადღევს ჭიქა წყალი არ მოიგუნებოს ენამყრალმა ბერბიჭამ? დედაკაცები სიმრავლეს ნიღბავენ სანთიობოში. მარტოკა მასპინძელი დიასახლისი იცოცხება უხვრდილიანი თელის ძირას.

მაინძელოო, ხის ჭიშკართან მომდგარა კოსტაია თორთლაძე. საიდან ეხსომება ალისტორე ნერგაძის ღვინით ჭკუაწაშლილმა ბედოვლათმა, როგორ გაუნაყოფიერა მუცლები ჰაეროვანი ლაფშათი უნდილაძეების ბერწ დედაკაცებს?!

მაინძელოო, ხმას უწევს მასპინძლის მოსაბრუნებლად კოსტაია თორთლაძე. ჭიქა წყალს ვეღირსებით ამ ოჯახშიო, იქექავს იღლიას.

მობრძანდით თქვენი ჭირიმე, დაითაფლება დედაკაცი, წყალი რა თქვენი საკადრისია, ალისტორეს ღვინო მაქვს, დოქში, ჩაცივებული, ოღონდ ჩოგანს თუ გამომითლი. ამბობენ, შენისთანა ხელი არავის აქვსო.

ეგ მართალია, ამაყად გაიშლება მხრებში კოსტაია თორთლაძე, ოღონდ წალდუნა თუ გაქვთ

კარგად ალესილი და კიდევ — კოპიტის ნაჭერით, ცქმუტავს.

ყველაფერი გასაზირებულია კოსტაიას ჭირიმე, სადილიც გამზადებული მქონდა საბედოდ, ოდაში ამობრძანდი, ამასობაში ჩემებიც მოგისწრებენ ვენახიდანო, თაფლავს.

პირზე ნერწყვმომდგარი კოსტაია თორთლაძე ფეხდაფეხ მიჰყვება ოდისკენ დედაკაცს.

ხელგადაბანილი ზღაპრულ სუფრასთან მოკალათდება.

პირველი სადღეგრძელოთი ოჯახს დალოცავს.

არ იცის რომელი ლუკმიდან დაიწყოს. დიასახლისი პირისპირ მისკუპებია.

დღეს ალობაა. კაცები რაიონში გატეულან. აყვანილი ბავშვები სკოლაში ურიამულობენ.

მთელი სამოსახლო საქალეთის გამგებლობაშია. ილუკმება კოსტაია თორთლაძე და თავს წარამარა წევს თითო-თითოდ შემოლაგებული უნდილაძის ქალების გამოჩენაზე.

მოუჩოჩდებიან და მოუჩოჩდებიან.

შემოეხვევიან და შემოეხვევიან.

მესამე ჭიქას მეხუთე მოსდევს, მეხუთეს — მეშვიდე და კოსტაია თორთლაძე უკვე მამალი ინდაურივით იფხორება.

მერამდენედ ახსენა სიტყვა „ლაფშა“, ჯერჯერობით ცხენის მნიშვნელობით და არა IMIIS გაგებით, — ქეთი ნერგაძე ტუჩებზე ხელმიდებული იცინის, — აქეზებენ დედაკაცები სმასა და მხიარულებაში „განუმეორებელი შესაძლებლობის“ გამო.

გამოსათლელი ჩოგანის სახსენებელი გადავიწყებიათ. ფხუკუნებენ, ქირქილებენ უნდილაძეების ქალები. ერთმანეთს ზურგში უბაგუნებენ მუშტებს. თავადაც წრუპავენ ღაწვების თონესავით გამთარანებელ ღვინოს.

ახლა უკვე მოიშალა მორიდების ზღუდე. მოხალვათდებიან ხშირ-ხშირად კოსტია თორთლაძის საზიანოდ. ზოგი მკერდს მოიშილიფებს, ზოგი— სხვა რამესაც და ბერბიჭას ჯორკოს, მიუხედავად გვარიანი შეზარხოშებისა, ჭრიჭინები შეუჩნდება; გადაუდებელ საქმეს ახსენებს დროდადრო, მაგრამ ვინ არის ყურისმგდებელი?!

მართალია, ნამდვილი ლაფშა გაბიაო, რომ ამბობენ უზნეო დედაკაცები? წამოიწყებს ყველაზე თამამი ყაჩაღანა.

კოსტაია თორთლაძეს ელდა ეცემა. ყელში ლუკმაგაჩხერილი წამოიწევს ჯორკოდან, მაგრამ ოციოდე მარჯვენა დააწვება მხრებზე და სკამს მიალურსმავენ.

ხომ ხედავ, როგორ ვიტანჯებით უშვილობით, აკი, დაგვექადნე ერთხელ, ჩემი ლაფშათი დაგაფეხმძიმებთ ყველასო?! ამაზე უკეთეს დროს ნახავ? ნაშვილები ბავშვები სკოლაში არიან, ქმრები ბაღდათში გამგზავრებულან. გეყოფა, ახლა თავის კატუნი! სხვებთან კვერცხს დებ და ჩვენთან კაკანებო, შეუტევენ.

კოსტაია თორთლაძეს სიფითრე გადაურბენს. შუბლი სიმწრის ოფლით დაცვარვია. ლამის ცახცახმა აიტანოს, მაგრამ უნდილაძის ქალების ხელებს წინ არაფერი უდგას, მათ სითამამეს ვერაფერი აოკებს. შეუცურდებიან ბანჯგვლიან მკერდზე, იღლიაში, ხელნელა აძრობენ გახუნებულ პერანგს, უხალვათებენ ორ-სამ ადგილას დაკერებულ შარვალს. ლამის იბღავლოს კოსტაია თორთლაძემ, ლამის გადააყრუოს იქაურობა, მაგრამ უჩვეულო ვითარებაში ჩავარდნილს ხმა არ ემორჩილება.

ხითხითებს, იძგვლიმება, ფეხებს აღვანკალებს რომე- ლიღაცა ოხერის შელიტინებით. მიუსავათებია უნდილაძეთა ქალების შეთანხმებული მოძრაობას, ჰ ოდა, ბევრი, რომ არ გავაგრძელოთ, როცა გაღეღუნებული ბუხრის წინ სრულიად დედიშობილა აისვეტება, აქამდე დასაქმებულ ხელებს გაცისკროვნებული თვალებით პირზე იტაცებენ ცნობისწადილა დედაკაცები.

თავად ჩოგანის გამოსათლელად შემოტყუებული კოსტაია თორთლაძე კი ტიტლიკანა, ტანისთვის შესაშური ჯაგარით შემოსილი გარბის გაფოთლილი ვენახებისკენ, რათა აძაგძაგებულ სხეულზე რამენაირად მოირგოს ნაწყალობევი ჯვალოები.

ინოცება სიცილისგან აივნის მოაჯირზე გადმოფენილი უნდილაძეთა სადიაცო.

სად ხარ კოსტაია თორთლაძე, წაიღე შენი ტურტლიანი ნიფხავი. ლაფშა არ გაგიცივდეს, რა გვეშველება მერე შენი დაგრილების მოიმედეებსო, იჭაჭებიან და ვენახებში მაჩვივით გატრუნული აღკაზმული კოსტაია თორთლაძე ფართხაფურთხით გადაივლის სერ-სერ. ჩაჭრის ორღობეს, აკაციის სარებით ჩაწიკწიკებულ ღობეებს, კვლავ მოუახლოვდება იშვიათი სადილით გამასპინძლებულ ოჯახს და ახლა გულმოცემული რიხიანად შესძახებს შორიდან:

უნდილაძის ქალებო, ხომ დაგაფეხმძიმეთ ამ ლაფშით ყველაო, იკრიჭება ყველის ვაჭარივით. მაპატიე უწმაწური საუბრისთვის, შენ განმაწყვე უწინარესად, გამომართვი კაცო, — მიწვდის ბოლიეთილენის გაძეძგილ პარკს, — ბავშვებს მიუტანე, გაეხარდებათ! — მე კი თავდაღმართში დავშვებულვარ უკვე ქორ-ვაჭრების ცეცხლწაკიდებული ბაზრისკენ, გერმანელი ტყვეების სასაფლაოსკენ, საირმეს ქარხნისკენ, შინაგანი ხაფხაფით, ქეთი ნერგაძის უშუალო და განუმეორებელი საუბრით მოჯადოებული, ისე რომ, კვლავაც წვდება ყურთასმენას სიბოხეგარეული მისი ტემბრი:

— წაგეღო, კაცო, ბავშვებს გაეხარდებოდათ, სახლში არ მიმიშვებს თოლი!

ცაშხა

ვარკეთილური წკვარამი ღამეების შემდეგ ნამდვილ ორკვირიან საამოთხეში ვხვდები. სადღეღამისო შუქი მხოლოდ ნახევარი საათით წყდება საამრობის მერმე.

კვება იდეალურია თორიას კასრის კვალობაზე, ოღონდ გაფიცხინებული ღორის ქონიანი ტყავი იგვიანებს მხოლოდ. ნისლი ფეხაკრეფით, მებურიშვილისებურად თუ ვიტყვით, კატის თათებით მოიპარება ტყეთა იღლიებიდან, მეფისწყაროს უმწიკვლო სულიდან; ზედმიწევნით აღადგენს აწ ჩაშამბულ-ჩანახშირებული ნამოსახლარების აბსტრაქტულ კონტურებს; ჯანღ-ბურუსით იყურსება მსხალნარი, შქაგორა, უნაგირა მთა, ნაკოდვარი, ორმოცდაათიოდე ჰექტარი ვაკე-საირმე, ქვისჯვარი თუ ენგურსგაღმელი ჩემი ოტობაია. მაჭიკნასვამი ბუერები დედდება, თათარასავით ქვანთალეებს ხელისგაწვდენაზე, ლამის საფეხურები გამოვკვეთო, მის სხეულზე მარტოსული ასკაგუბურას ხეობის მახვშისკენ თუ მშობლიური დედულეთისკენ წასასულსწრაფებლად.

იქ განუკითხაობაა, იქ ბოროტების ცელი ტრიალებს ისკარიოტელის ხარხარში;

იქ კოტე ანჩაბაძის ბიჭს, ოთარს და ბაკვა სახეიშვილს სიმინდის გამორიდებისას ხოცავენ მეოცე საუკუნის მიწურულის ინკვიზიტორები;

იქ ვალიკო მესხიასავით ასაკმოყრილ დურუ ტაბაღუას საკუთარ აივანზე დახვრეტენ თუთუნის კვამლში გახვეულს და აბრიალებულ საშზადში მოისვრიან შემდგომად — საშხილ მასალას არ უტოვებენ გენოციდის შესაკოწიწებლად ჩასაფრებულ მსოფლიოს.

შენისლულია ჩემი საშობლოს გული, გონება და სული.

ახლა დავარსკვლავებული ლელვები ცერზე დგანან საკუთარ ეზო-კარში ბურუს-ბურუს შემოპარული მოსახლეობის მოლოდინში.

ჯანღებს მოისხამენ ოტობაიელნი მხრებზე ნაბდებად და ასე, მალვით გადმოაქვთ ენგურსგამოღმა შემწიფებული თხილი თუ რამ სარჩო-საბადებელი.

საირმის მშვენება ადმინისტრატორთან, ლალი ახობაძესთან, ნოჩო, ავქსენტი და ჯაკოს ნაშიერ ფაცურიებს ვხვდები, თანასკოლელი ელვირას მშობლებს.

გავაცნობ ოტებულ ოტობაიელებს სანისლეთის დედოფალს და მყისვე თითის წვერებზე დგება სანატორიუმის პერსონალი სრულიად.

ისინი ზუგდიდ-ქალაქში მკვიდრობენ რა ხანია, მაგრამ ენგურსგაღმელ მამულებს დღემდე მხრუნველობით დაფოფინებენ თავზე. წკირიშ წუმობადებულქ წკირს ოკო წიმოღურასია, ოტობაიელებზეა ზედგამოჭრილი ირიდი სართანიას ოდინდელი სხარტულა.

— შენს სიტყვებში შეეჭვება ღმერთმა მაშოროს, წამითაც არ გამივლია გუნებაში, — ბუერასავით მომეძალება ვალიკო მესხიას გუშინწინდელი ნასაუბრები, — მაგრამ ამისთანა რამე გაგონილა? ერთი ხელით საომრად ეპოტინებოდე მახვილს და მეორეთი გეფანდურებოდეს? კიდეგ კარგი, ტექნიკური მიზეზების გამო, აქ მაინც არ ზიმზიმებს თქვენი ყბადაღებული ტელევიზია. ვეღარაფრით გამიგია, ამდენი მაინც რა გვეზეიმება?! თითქოს დიდგორიდან მოგვიხაროდეს, სინამდვილეში კი სამარცხვინო ბაზალეთი მოგვყმუის ზურგს უკან.

მთლად ვაებასა და გლოვაში დავიფლათ-მეთქი, როდი მითქვამს, მაგრამ ესოდენი შოუ-კონცერტები, ლატარიები და დიპლიპიტო სამარცხვინოდ დამარცხებულებს კი არა, დალხენილ ხალხს მოყირჭდებოდა. ჭიანჭველა მაშინ იღუპება, როცა ფრთა გამოუვა, — იტყვის მხცოვანი ყრუდ.

— ირიდი სართანიასგან მსმენია ეგრე.

— იცნობდი? — მომაჩერდება თვალებში.

— ოთხმოციან წლებში მთელი წელიწადი ვიცხოვრე ზღვისპირა ჭურიაში. იქ დავძმობილდით.

— ეგ შეუდარებელი იყო. არეულობის დროს მოუკლავთ ბანდიტებს.

— მოგვიანებით შევიტყვე და ვწუხვარ, რომ აქამდე ვერ ავაკითხე საფლავზე. თქვენ? თქვენ საიდან?

— ორმოცი-ოცდაათი წლის წინათ ლებოროტზე აძოვებდა ნახირს. ვიცით მწყემსებმა ერთმანეთის ავანჩავანი. მენცარკოჩი გახლდათ, მესიაკონი, ნამდვილი გულთმისანი. ბევრი მისწავლია მისგან. არაფრით ჩამოუვარდებოდა ლევან მესხიას. მილაპარაკია ამის თაობაზე, კრამიტის ქარხნის მეპატრონე ჯვარზე რომ აცვეს ბოლშევიკებმა. ლეო ქიაჩელს არაფერი წაუმატებია ტარიელ გოლუასათვის, გვარ-სახელი შეუცვალა ლევან მესხიას, ეგ იყო და ეგ. გითხრა უბატონო აზატებს რატომ გვეძახიან?

— ბრძანეთ.

— უბატონო ერთი იყო მთელს სამეგრელოში — დადიანი, თუმცა იმასაც ხონთქარის ორანი ადგა თავზე და ხარკით — ფულით თუ ქალ-ვაჟებით გადიოდა იოლას. აი, მესხიები კი ნამდვილი თავისუფალი ხალხი გახდა დიდი გვარამის წყალობით. სამცხე-ჯავახეთიდან დედაწულიანად აყრილი ძმები ლევან დადიანის სასახლესთან მოლალეს თურმე კარისკაცებმა ბეგარის გადაუხდელობის გამო. ეთქვათ უცხოკუთხელებს:

არ იცის თქვენმა მთავარმა ვინცა ვართ, თორემ ამდენს არ გაიბრიქებოდით, უდიერი საქციელისთვის კიდეც დაგაპანღურებდნენთ.

არ დაუჯერეს. გაიდევნეს წინ ჯიკავ-ჯიკავით.

ლევან დადიანი იშვიათ გუნებაზეა. შერვაშიძეების ასული ბერძნული წესის ყაიდაზე ცხვირმოჭრილი მოუგზავნია სიმაერ მურზაყანისთვის.

შუადღეა.

თავის ახალგაზრდა ბიცოლას ეთამაშება სასიყვარულო სიტყვებით. ცოლწართმეული ბიძა კარგა ხანია ხობის მონასტერში აღკვეცილა ბერად. ორნი უსხედან სუფრას. შეექცევიან წითელ ღვინოს. სიახლოვეს მონადირე ძაღლებით ჩამოსული გურიელის ხალხია. თავის წონა ოქროდ აფასებენ თითოეულს, მაგრამ სადა აქვს დადიანს ძაღლებში გადასაყრელი ფული და მერამდენედ თითით უხმობს მეძაღლეთა ფარეშ ძაღვას. ეს უკანასკნელი

წელში მოღუნული მიაუხლოვდება ბატონს, ენითუთქმელი მორჩილებით შესცინინებს თვალებში.

მოიწიეთ, ანიშნებს კვლავ ლევან დადიანი მეძაღლეს და როდესაც ხელისგაწვდენაზე მიუჩოჩდება ნებიერ მთავარს, გორიზი ხელისუფალი ბიცოლას წინაშე თავის მოსაწონებლად გაძვალულ ხარის ბეჭს უთავაზებს ყბაში სიტყვებით:

როგორ შემომკადრეს მწევარში ოქროო!

ოქრო ყმების გასაგონად თქვეს დადია ბატენი, თორემ სხვა რამეზეც ყბულს არიანო, მეძაღლემ.

სხვას რას ინებებენ სანაცვლოსო, უბღვერს დადიანი შინაყმას.

ხეჩუებმა და ირუნტიებმა აიშვეს ცოტათი. კიდევ მესხეთიდანაა სამი მეჯოგე ძმა, სოფელ მუსხიდან, საკმაოდ ჯანიანები, გაიცვლებიან ერთი — ერთზეო, ექვეშქვეშება ფარეში მთავარს, ბაზრის ბეგარა ჯიუტად იუარეს. არ იცის დადიას ბრწყინვალებამ, რა ხალხს უბედავთ ბეგარის გადახდევინებას, თორემ სულ ბანღურ-ბანღურით გაგყრიდათ აქედანო.

ახლავე აქ მომგვარე სამივეო, მბრძანებლობს დადია და საწადელსაც მეისვე აღუსრულებენ.

ყირმიზია სამივე ძმა, ჩამოსხმული, ოქროსფერი, ხვეული თმითა და მხედრული აღნაგობით.

ვინ ხართ თქვენ, გადამთიელნო, ჩემს ბეგარას თავს რომ არიდებთ უკმეხადო? გამართული ქართულით ელაპარაკება მეჯოგეებს ლევან დადიანი.

ბეგარას გამოქცეული ხალხი, თქვენი ჭირიმეო, უპასუხებს უფროსი ძმა გვარამი.

მერედა, რომელი კუთხის, სადაურიო? ჩაეძიება კვლავ ბატონი.

მესხეთიდან ვართ ჩვენ, მესხები, სოფელ მუსხიდან, დიდო თავადო, უბატონო გლეხნი თამარ მეფიდან მოყოლებული და ამჟამად ჯაყელის მიერ უკიდურესობამდე შევიწროვებულნიო, იმან.

კი, მაგრამ რა დამსახურების გამო გამხდარხართ უბატონოები, თანაც თამარ მეფისგანო, ცნობისმოყვარეობით ეკითხება მეჯოგეს დადია.

ძუძუმტეობის გამო, თქვენი ჭირიმე, და კიდევ იმისთვის — თითოეული კუთხიდან შეკრებილ, საუკეთესოთა ამალაში ჩემი ჯიშ-ჯილაგის რჩეული მოყმეც ერია, თქვენს ჩაუქ წინაპართან ერთად, რომლებმაც სიმღერ-სიმღერით ააცილეს მაღალ სვანეთამდე საქართველოს მეფე-დედოფლის წმინდა ნეშტი, დაკრძალეს იქ საიმედო ადგილას, ჩამოეშვნენ ძირს, მოილხინეს მამაპაპურად და ბოლოს, ვაჟკაცურად განიგმირეს თავი სათითაოდ, რათა საიდუმლო სამუდამოდ დაფარულიყოო, მესხმა.

ვინ დააკავა მესხიებიო, წარბებს შეყრის ლევან დადიანი.

ჩემმა ბიჭებმაო, მხრებში ძვრება მეძაღლე ძაღვა.

შენ ხეჩუებს და ირუნტიებს მიხედე! თქვენ კი, ამიერიდან მესხიებო, იშრომეთ, იდღეგრძელეთ, გამრავლდით! ვერავინ შეახებს ხელს თქვენს საქონელს, თქვენს დოვლათს, თქვენს ნაამაგარსო, მოსჭრის და ვართ მას აქეთ კიდეც უბატონონი, ბაბაგე, გური.

— კარგი თქმულებაა, ნებისმიერი გვარი ინატრებდა, მაგრამ რა ვქნათ ჩვენ, ფრთაგამოსული ჭიანჭველების ქვეშევრდომებმა?! ერთ დროს მუხლმაგარი, დოვლათიანი ქვეყანა მათხოვრად ქცეულა უნიათო მესვეურების ხელში. არავინ იხდის ბეგარას, თქვენი გვარისა არ იყოს და სამშობლო დაღუპვის კარამდე მისულა.

— ერთი თბილისელი ყმაწვილკაცი შემომივლის ხოლმე ზაფხულობით სანადირო. დაიწყო მწყრის სეზონი და სადაც არის გამოჩნდება ყურპანტყურა სეტერებით. დიდ თანამდებობაზეა კონტროლის პალატაში. „ფაბრიჩნი“ გილზებს მომაყრის ხოლმე. ძველი არ გამიხარჯავს, მაგრამ მაინც ვართმევ.

მისგან ვიცი, გადასახადის გადამალვა ქართული სენიაო. დამიწყო საუბარი პროცენტებზე. მაშინ გავაჩუმე.

გლეხურად ამიხსენი-მეთქი.

საკონდახოსკენ მივემართებით გვერდიგვერდ. სეტერები ფეხებში გვებლანდებიან. მე შინდის კომბალი გამიდგია მხრებზე. სტუმარი კბილებამდეა აღჭურვილი: სამასრე, პატრონტაში გარდიგარდმო გადაუგდია, გუშინდელმა ბანდიტებმა რომ იცოდნენ, იმგვარად.

აი, ხომ გყავს შენ ნახირიო, მეტყვის. მაგალითისთვის, ასი სული ძროხა.

მაგდენს მთელს საირმეში ვერ შეკრებ-მეთქი.

სიტყვისთვის მოგახსენებო, იმან, ჰოდა, აი, ამ ას სულს ასი ხბო რომ შეეძატება, მოვა სახელმწიფო და ნამატიდან ოცს წაიყვანს ბეგარის სახითო.

რა ამბავია-მეთქი. მონგოლები ყოველი ასი ნამატიდან ათს ართმევდნენ დაპყრობილებს და ნუთუ ჩვენი მშობლიური მთავრობა ორჯერ უფრო გვყვლეფს-მეთქი.

ჯერ სად ხარო, იმან. ამას უნდა დაეძატოს საშემოსავ- ლოსთვის თუ საგზაოსთვის საჭირო ორორი ხბო და კიდევ სხვა საჭიროებისთვის — ამდენივე. სულ ოცდათხი ასიდანო.

ბარემ ადექით და მთელი ჯოგი წაიყვანეთ-მეთქი.

საქმეც ეგ არისო, იმან. ამიტომაც მეჯოგეა თუ მელუდე, იძულებულია მოგება გადამალოს, ასის მაგივრად ათი აჩვენოს. ცხადია, ათიდან ბეგარა ორამდე შემცირდება და კიდევ ძიმატებული ერთი, ჰა და ჰა, სულ — სამი. იეშმაკა გლეხმა. მთავრობა ყელში რომ წვდა ჯიბეების ამოსაბერტყად, წაიცუღლუტა და ასი ხბოდან ოთხმოცდაჩვიდმეტი შეინარჩუნა ამგვარი მოხერხებულობის წყალობითო.

კაციც ეგ ყოფილა და ქუდიც მაგას ხურებია, მაგრამ ასეთი მატრაბაზობით ქვეყანა შორს ვერ წავა-მეთქი. მელუდე არ ვიცი როგორ ახერხებს თავისი ნაწარმის მიჩქმალვას, მაგრამ მე უჩინმაჩინის ქუდები რანაირად შეეუკერო ჩემს ძროხებს-მეთქი. თავზე რომც მოვარგო, რქებს რაღა ჭირი

მოვუსერხო, ხომ გამოარღვევენ იმ ქსოვილს — ისევ სინდისიერი დამოკიდებულება სჯობია, ალბათ, ორივეს მხრივ-მეთქი.

ლევან მესხიასგან მსმენია: ჯარისკაცს გენერლის შესაძლებლობაზე მეტი არ უნდა მოსთხოვოთ, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ქათმის შესაძლებლობა კვერცხია და ნაზუქებისთვის არ უნდა აკაკანოს სახელმწიფომ-მეთქი. ხომ იცი როგორი კვერცხისმდებელია შენი დედალი და ძევალასაც თუ გამოაცლი საბუდარიდან, მიგიტოვებს საშუალამდ კვერცხისდებას, სატყარო ქეთარდუ. გადაიკარგება შინიდან და ტურა-მელიას წერად იქცევა-მეთქი.

ეჰ, ვალიკო ბიძია, მარტო ამით რომ ამოიუწრეობდეს ჩვენი უბედურების ასავალ-დასავალი, კიდევ გვეშველებოდა, მაგრამ უფრო რთულად არის საქმეო, იმან.

თქვი, კიდევ რა ჯანდაბა გვჭირს-მეთქი.

რა და საზღვარზე რომ გადმოგვაქვს ბური და ნავთობი, ბაჟს ვინ შეკადრებს ღლავებს, ლიფსიტებს კი გაწურავენ გვარიანად, მაგრამ ლიფსიტების გამონაჟური რას გაწვდება სახელმწიფო მოთხოვნილებასო.

ბაბაგე, თოფი თქვენს ხელშია, კანონი, ძალა, მიდით და მოუჭირეთ მოსართავები იმ ურას! აბა, ცხენის გახედნვა უმათრახოდ სად გაგონილა-მეთქი.

ეჰ, ბედნიერი ხარო, მხარზე გადამხვია მარჯვენა. ჩემი ნება იყოს, აქ დავსახლდებოდი სადმე, ლებოროტის სამხრეთით თუ ჯაჯის ტბის პირას სულაცო.

წითელ მინდორზე ჯობია-მეთქი. ყიფიანი იყო კაიკაცი, ვანის რაიკომის მდივანი, მაგრამ ეგნატე ნანიტაშვილი — უკეთესი-მეთქი.

მომიყოლია, ტალავერი როგორ გაგვიჩეხეს მის მერე არაკაცებმა და ჩემმა ქეთიმ ბერდენკათი რანაირად დაიფრინა სათითაოდ. ძირში მოსხეპილი ვენახები კარგად გამოგლოვილი არა მაქვს და ასეთ დროს, ჩემი კუთხის კაცი, მეტყევე გრიშა ბაძაღუა ყელში არ გამომისვამს დანას?

ისეთი რაღა ფარსაგი დაგმართათ, იმან.

მიგდე ყური და თავად განსაჯე-მეთქი. ამოიტანა ცხენებით ფერფლისფერი ნაძვები, — წისქვილის იქითაა, როცა ჩაგაცილებ დაგათვალიერებინებ ჩვენს სამოსახლოს, — მომიტრიალდება მე.

შემძულდა საკუთარი ხელით აგურ-აგურ აშენებული ქვიტკირის სახლი-მეთქი. ლაპის ძალად დამარგვევინა ეზოში.

დეკორატიულია, ძვირფასმერქნიანი, კიდობანი უკეთებია თურმე მისგან მოსესხო, ამისი ჩიჩინით.

კიდობანი ნოესი გამიგონია-მეთქი.

ეგ წარღვნისგან გადასარჩენი იყოო, ურთხელის წითელი ფიცრებისგან შეკრული, ტაქსუს ბაკაკატასგან ლათინურადოო, ახლაც მიგუგუნებს ყურებში.

ბიჭო, სხვა იყო, კიდევ — ჰო, მაგრამ ჩემებური ხარ, ხომ იცი როგორი ჯაფა-ცხვაბარითაა მოპოვებული მიწის ყოველი გოჯი?! ნამდვილი ნაძვი არ იყოს, თორემ საბოსტნე მიწას ხელიდან გამომაცლის-მეთქი.

იცინის და იცინის.

დეკორატიულია, ძვირფასმერქნიანიო. მაგას ნაჯახს ვერავინ დააკარებს. მოისვენებ, ერთის მოჭრაზე ხუთი წელი ცხეკაო.

აგაშენა ღმერთმა-მეთქი.

გადახასხასებულია ეზო. ვუბერტყავ თოვლს ზამთრის პირზე. ცივ ნიავს არ ვაკარებ. გავა მარტი, აპრილი. სამაისოდ ფიჭვის მძაფრი სურნელით აავსებენ შემოგარენს ჩემი დეკორატიული მცენარეები. სააგვისტოდ ჩაგრავნილი ღობეები ეფარებიან თვალებს და მომავალი აღდგომისთვის შუადღის მზეს უწვდენენ კენწეროს. ფუი თაშ გაქარიშ მამალას ბაყბაყდევებად ქცეული ქონდრისკაცი ნაძვები თვალსა და ხელს შუა შემიყლაპავენ საბოსტნე და საყანე ალაგს. ამიტომაც მომიძულებია იქაურობა-მეთქი. გიგანტი ნაძვებით იძიეს თურმე ჩემზე შური: აიბარგება, გადაშენდება აქედანოო, მაგრამ ვერ მიართვეს-მეთქი.

ასკაგუბურასკენ ჩამოვიჩოჩე. გავკაფე გასაკაფი, ტერასებად ვაქციე ფერდობი. გამხმარს რომ შეკატყობ უსიერს, ახალს შევუნაცვლებ მის დამპალ ნაფესვარს. წინაპრის ძვლებზე უკეთესად აღმოცენდება ნორჩი. ეს იგივეა, როგორც შემოდგომის წიწილებს კვერცხის გულით გამოკვებავს ხოლმე ფხიანი დიასახლისი-მეთქი.

რამხელაზე გამექცა საუბარი?!

ადამიანი და სახელმწიფო ურთიერთგაგების გარეშე ვერიარსებენ, ერთი ალთას თუ არის და მეორე — ბალთას, მომავალიც იქ დაიშრიტება, იქ დაივსება-მეთქი.

რაზეა ლაპარაკი ძია, ვალიკოო, იმან. ინვესტიციები, იგივე სესხი ტყუპ-ტყუპად ჩამოაქვთო, ორ იმილიარდ ნახევარი დოლარია უკვე ჩვენი შთამომავლობის კისერზეო. დასახლებულან საშვილიშვილოდ ქვეყნის ასაღორძინებლად გამიზნული თანხებით და საჭიროების შემთხვევაში უმნიშვნელო სახელმწიფო გადასახადსაც არიდებენ თავსაო.

მე ისევ გავუმეორე: ბაბაგე, თოფი, კანონი, სამართალი თქვენს ხელშია და იმოქმედეთ-მეთქი. თუკი ხალხის საკეთილდღეოდ ჩამოტანილი თანხებით საკუთარი ბედნიერება უჭედიათ, გამოაჭენეთ გაზეთებში, ტელევიზორში. საზღვარგარეთის სესხი იმან იხადოს, ვისაც შეუტკბია! ხალხი, შთამომავლობა აქ რა შუაშია-მეთქი.

გაეცინა კვლავ და გამოეკიდა სიმინდებისკენ გავარდნილ სეტერს.

— მე არ ვიცი მწყერზე მონადირე დედაქალაქელი რისი მაქნისია, — ვისარგებლებ მისი წუთიერი შეყოვნებით, — მაგრამ როგორც შემოქმედს, როგორც პატრიოტს, თავისუფალ მოქალაქეს ბოლოს და ბოლოს, თქვენი გვარისა არ იყოს, ერთი-

ანად მაძწარებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი საგანგაშო მდგომარეობა. ეს მიბიძგებს, ვალიკო, ბატონო, გასულ პერიოდს კვლავაც ჩავუღრმავდე მეტის გულდინჯობით, უკეთ, გავერკვეთ ორიენტირში, ადგილ-მდებარეობაში, სად ვართ, სად ვიმყოფებით და განაპირება სად ელის ჩვენს ოჩხომელს.

გაშლილ ზღვაში რომ ვტივტივებთ, ამას შეუიარაღებელი თვალითაც ვამჩნევთ ყველა. თანაც ჩვენი ხომალდი სულაც არ არის სიმბოლური, იგავური უფრო გასაგები ენით. დიახაც, ცხადში გავტივტივებულვართ პელაგონში. გემბანზე გვარიანი შტორმია — ღელვა და ახლა თითოეული, ხუთი მილიონი მგზავრი ჩვენიანად, იმის ცდაში უნდა ვიყოთ ნიადაგ, საერთო ძალისხმევით თავი როგორმე დავაღწიოთ უძირო მორევის ტრიალს, ფსკერზე დანთქმით რომ გვემუქრება დღითი დღე. მე წამალს ვეძებ ამ უსაშველო სენის მოსარჩენს. ამიტომაც არ მეთმობით განყენებული საუბრებისთვის, თანაც ძველებისგან გვსმენია: ღურუშ წამალ ოლაფარეს ელაჩანდ, ვოუჩქუედეს ვარავაო.

— უკურნებელი ავადმყოფობა არ არსებობს, ბაბაგე, გური, მაგრამ მთავარია ჯერ თვითონ ავადმყოფობის ხასიათი გავარკვიოთ, რათა წამალიც შესაბამისად მივუსადაგოთ.

— შეგეცდები გასაგებად ჩამოვაყალიბო. ხუთმილიონიანი საქართველოს სადღეისო ბიუჯეტი მილიარდ რადაცაა, დაახლოებით რვაასიოდე ლარი თითოეულ მოქალაქეზე წელიწადში და ისიც — დეფიციტური, როგორც პარლამენტიდან იტყვიან ხოლმე. უფრო მარტივად კი ჩვენს ქამარმოჭერილ სიმაძღრეს ორასი მილიონი, ანუ ლამის მეოთხედი აკლია სულის გაჭირვებით შესანახად. ასეთია სადღეისო ვითარება.

ათიოდე წლის წინათ, საბჭოთა სივრცეში, ჩვენი ადამიანი სიცოცხლისათვის მინიმალური მოთხოვნებით მაინც იყო უზრუნველყოფილი: ჯანმრთელობის დაცვის, სწავლის უფლებით. მას, ცხადია, ხელფეხი შებოჭილი ჰქონდა ხელოვნური ეკონომიკური ხუნდებით, ვინაიდან აღარ შეეძლო დამოუკიდებლად გამოეშვა მანქანა, ტრაქტორი, თვითმფრინავი; ის ათასი ძაფით იყო გადაბმული რუსეთს, მაგრამ აი, ჩვენი გაბუქებული დამოუკიდებლობის შემდეგ თითქოს ფართო ასპარეზი შეგვექმნა წინსვლა-აღმშენებლობისთვის, თუმცა ნურას უკაცრავად, მომხმარებლის, დოყლაპიას, ჯამიტლეკიას მდგომარეობა ზურგიდან ვერაფრით გადაგვიბერტყავს.

მობრძანდებიან ჩვენსკენ ჰუმანიტარული ორგანიზაციები სხვადასხვა სიხშირისა და ხარისხმასშტაბის პროგრამით, მოაბიჯებენ კეთილისმყოფელის იერით და გაოცებულნი ასავსავებენ ხელებს ჩვენი მელუდეების, მეჯოგეების თუ მესიმინდეთა როყეო განცხადებებზე, რომ ამ უკანასკნელთ სამამულო წარმოების აღორძინება წარმოუსახავთ უმთავრეს სარბიელად.

ისინი კი დაუღალავად გვაწვდიან ჭარბ პროდუქციას: სიგარეტებს, სპირტიან სასმელებს, შოკოლადებს, ჭინჭებს, როცა ჯერ პურის და ამოლეესილი ლობიოს საჭიროებაა.

თქვენ ფითრმოძალებულ ნაძვებზე სწუხხართ ვალიკო, ბატონო, დროზე ამოძირკვავთ მათ უსიერში, სანაცვლოდ ახალს დარგავთ იქ თანაკუთხელი გრიშა ბაძაღუას ნაბოძები ურთხელის ჯიშისას, ამ დროს პრივილეგირებული ფირმები და ორგანიზაციები, იცით, რას შვრებიან? ლამის მუქთად მიაქანებენ ჩვენს ხე-ტყეს საქართველოდან.

ტყე შეუნახე შვილებსაო, გვიკიჟინებს ვაჟა, ჩვენ კი, ძირფესვიანად ვძირკვავთ საუკუნოვან უღრანებს. პარლამენტმა ერთხანს ხე-ტყის ექსპორტი შეაჩერა და კეთილისმყოფელი ბიძები თუ ბიცოლები მაშინვე აგვიყაყანდნენ: სისულელეებს თავი დაანებეთ, ხე-ტყის მოწოდებას თუ შეგვიწყვეტთ, ჩვენგან ფინანსურ, ივივე ფულად დახმარებას არ ელირსებითო და გუშინ ლარით კილოგრამ ყველს რომ იყიდდი, დღეს ათიც არ კმარა მის შესაძენად.

— მდაა, — გააბამს ვალიკო მესხია.

— „ქოხებს“ ყიდულობენ შვეიცარიასა და იტალიაში. ფული უცხოეთის ბანკებში შეაქვთ ათეულათასობით, ვინაიდან იციან, იქ მეანაბრეთა უფლებები ხელშეუხებელია. ნივრის ქერქს სამშობლოში ტოვებენ, ბარაქიან სასუსნავს მომავლისთვის უცხოეთში გადაინახავენ. ამისთანა დავრდომილი ქვეყნის მოსარჩენ წამალზე გეკითხებით, ვალიკო, ბატონო, იქნებ არის საშველი?!

— ჰმ! — გაიცინებს ირონიულად და აზუზუნებული სკისკენ გაიშვერს მარჯვენას, — ბიჯსაც არ ვიზამ პასუხისთვის. აგერაა ყველაფერი ხელისგულზე. ფუტკარი, რომელიც რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ეძებს თაფლს, სხვის სკაში ნექტარს არაფრისდიდებით შეიტანს, ან ვინ შეუშვებს იქ, გადაუმსხვრევენ ფრთებს და კინწისკვრით ისვრიან კარში. ეგეც რომ არა, რომც დამკვიდრდეს სხვა ოჯახში, ძველი არ მიიღებს უკან. ჩვენ რომ განყენებულ საუბარს მოვეშვებოდეთ, დავაკონკრეტებდეთ თითოეული შეძლებული კაცის, ბიზმესმენსაც რომ ეძახიან, უფლება-მოვალეობებს სახელმწიფოს წინაშე, ვფიქრობ საქმე ერთიათად წაიწევდა წინ.

ქონებიერ ადამიანს რა სჯობია, სულიერი აღმაფრენაც თუ ახასიათებს. სახელმწიფო შესაძლოა მდიდარზე მდიდარი გყავდეს, ოქროს მუთაქაზე ძინავდეს, მაგრამ ხალხს მაინც სიღატაკეში ძვრებოდეს სული. ასევე შეიძლება ქვეყნის სიმდიდრე რამდენიმე ადამიანის ხელში იყოს მოქცეული, მოსახლეობა კი სიდუხჭირეში ეწეოდეს ჭაპანს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებლობა მეტია ცხოვრების საერთო დონის ასამაღლებლად, ვინაიდან კერძო ადამიანზე ზეგავლენა გაცილებით იოლია, ვინემ მთელს სახელმწიფოზე. ათი-თხუთმეტი მილიარდერი მამულიშვილი რომ ჰყავდეს საქართ-

ველოს, ჩვენს ქვეყანას თავის ჩაღუნვა არასდროს მოუწევდა. ჩვენ ახლა იმ გზას ვადგავართ, რაც ებრაელებმა ასწლეულების წინათ გაიარეს და სომხებმა — საუკუნეზე მეტია, ჰოდა, გვჯეროდეს, ქართველები ფულის შოვნაშიც არავის ჩამორჩებიან. ხოლო როდესაც შესაძლებლობა ერთიათასად გაუსწრებს აუცილებელ მოთხოვნებს, ხელგამართვაც წამოვა, მაგრამ ეს ნამყენია, საძირე კი თავად საქართველოს ადრინდელ სახელშია მოცემული, გეორგიაში.

— არ მითხრათ, ახლა მიწათმოქმედებით და კურორტებით შეგვიძლია თავის რჩენაო.

— აზრი არ შემაცვლევინოთ თქვენზე. თორმეტი მილიონი ვიყავით თამარის დროს და საკუთარი გვყოფნიდა ყველაფერი: ბურიც, ღვინოც, ხორციც, თაფლიც და აბრეშუმიც. რა, ტელევიზორს და ავტომანქანას ვერ შეიძენს ქვეყანა, რომელსაც ბაზარზე გასატანად ექნება ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია?!

ასკაგუბურას მაგალითზე ვიმსჯელოთ. აქაურობა ოცი-ოცდაათი ჰექტარი იქნება ყველაფრიანად. გადაყრუებული ცოლ-ქმარი აქ რამდენიმე ტონა თაფლს და სიმინდს, ცენტნერობით — ყველს, ხორცს და ლობიოს ვაწარმოებთ წელიწადში. ახლა უფრო ბეჯითად რომ ჩავუღრმავდებით ჩვენს უხეირობას, დავინახავთ: ასკაგუბურა მხოლოდ არშინით თუ აგვითვისებია. დანარჩენი მიწას მიაქვს უკან, მეწყერს და თოვლს. ნამდვილი მეურნე კაცი აქაურობიდან ოც-ოცდაათ ტონა თაფლს მოიწევდა, სხვა მოსავალსაც — ათჯერ და თხუთმეტჯერ მეტად. ახლა ვიანგარიშოთ, რამდენი ასკაგუბურასნაირი ხეობა გვექნება სრულიად საქართველოში?

— წლების წინათ მეკამეჩეობის პრობლემებს ვუკირკიტებდი. მასალების მოკვლევისას აღმოვაჩინე, რომ ჩვენში ოცდახუთი ათასი დიდი და პატარა მდინარეა, ანუ ოცდახუთი ათასი ხეობა, სადაც თითოეულში ორმოცდაათიდან ხუთასამდე კამეჩის მოშენება შეგვეძლო. საერთო გათვლით კი მთელს საქართველოში სამას ათასზე მეტი სული კამეჩის მოშენება მოხერხდებოდა დროთა მსვლელობაში. დავბეჭდე კიდეც ეს მასალა, მაგრამ ყური ცოტამ შეიბერტყა. თქვენი თანადგომა დანამდვილებით მიდასტურებს ერთ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებას: ჩვენს ქვეყანას გადაშენება არ უწერია, ოღონდ მარჩენალ ბუნებას ზურგი არ შევაქციოთ და...

— ეეე, — გაიშვერს მარჯვენას დაბლათისკენ, — ხედავ წითელი მინდვრისკენ ვერცხლის ქამარივით წაკლაკნილ გზა-სავალს?! კარგად დააკვირდი, კარგად! მოძრავ წერტილებს ამჩნევ?!

— ჩინებულად, ტყემზიდებია, — ამოვუდგები გვერდში ფრიალო კლდიდან გადმომზირალს, — ნისლიანში შემოიპარებიან სისხამზე. ბრეზენტის ყვითელმოსასხამიანი ტყისმჭრელები მოკალათებულან ძარაზე. ჩაივლიან დამსვნებლების თვალწინ, უშიშრად, ყინჩად, ვინაიდან მათი აღმასვლა ჯერ რაიონის გამგებლისგანაა ხელდასხმული, მერე — დაცვის უფროსისგან თუ თავად კურორტის მესვეურთაგან. გვიანობამდე არ გამოჩნდებიან მოჭრილი ხეებით. ნახევარსაათიანი უშუქობისას დროს იხელთებენ, უმტკივნეულოდ ჩაიტანენ უშველებელ მორებს, უკვე შეღამების ჯანღებს ატორღიალებულნი და იბაგუნე მერე მკერდში მჯიღი დილიდან საღამომდე, დაისიდან აისამდე: ტყე შეუნახე შვილებსა, ტყე გაშიშვლდება, ბრალია-თქო.

ბელგიელების სამხერხაო იყო აქ გასული საუკუნის მიწურულსო, იტყვიან მრავალისმომსწრენი, წითელ ხეებს ეძებდნენ თურმე, შერჩევით ჭრიდნენ საავეჯოდ, ისე აშუშავებდნენ, ნაფოტსაც არ ჰკარგავდნენო. როცა გადამთიელები ასეთი მოკრძალებით ეპყრობიან შენს ბუნებას, ვერ გამიგია, ჩვენ, მის ნამდვილ მეპატრონეებს რაღა ღმერთი გვიწყრება?! მონდომებით რატომ ვჭრით იმავ ტოტს, რომელზეც ვსხდევართ? ვალიკო, ბატონო, იქნება ვითომ საშველი?! — მიგაშტერდები ჯიქურ.

— აკი, წელიწადზე მეტს ვიცხოვრე ჭურიაში, ირიდი სართანიას სიახლოვესო? ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. მესიაკონი კაცის გვერდით ნამყოფისგან ამდენი წუწუნი გაუგებარია, ბაბაგე, გური! არ უთქვამს იმ ცხონებულს, წყარ ნაწყარს და შარა ნაშარსიავა?

ოგიშხა

არა გვაქვს ჩვენ, ქართველებს, ბატონებო, კვირათა სრულყოფილი სახელები. მათი შინაარსი სრულ შეუსაბამობაშია ბიბლიასთან, აქედან გამომდინარე, ორი რამ არის საგარაუდებელი: ან ჩვენი კალენდარია ბიბლიაზე ძველი, ან კიდევ დიდი უწიგნური და დაუდევარი ხალხი ვყოფილვართ. გარინდებამდე გაუგებრობას იწვევს კანონიკური დასახელება ორშაბათიდან კვირამდე. დღემდე უცნობია ჩემთვის „შაბათში“ „დღეს“ თუ ვიგულისხმებთ, რატომ გამოგვივიდა „პარასკევი“ და „კვირა“ განსხვავებული, დანარჩენი კი ერთგვაროვანი? რა დაეშავა „ერთშაბათმა“, პირველდღემ, ან რისთვის შეგვიქცევია ზურგი „ექვსშაბათისთვის“ თუ „შვიდშაბათისთვის“?

მეგრელები ხომ მთლად ბალზე ვსხდევართ და ტყემალს შეგვექცევით.

კვირის პირველ დღეს „თუთაშხას“ ვეძახით, მთვარის დღეს, როცა ბიბლია დაბეჯითებით გვეჩიჩინება, ცაბაოთმა თავდაპირველად ცა და მიწა შექმნაო, გაჰ ყარა ნათელი და ბნელიო, და სადმე სამართალი რომ იყოს, პირველ დღეს „თუთაშხა“ კი არა „ცაშხა“ უნდა ერქვას, იგივე ხუთშაბათი, რათა იოტისოდენად მაინც მიეგოს პატივი უფლის პირზე ოფლგადმომდინარ ხელგარჯილობას.

სულაც არ ვაპირებდი ჩვენი წარმართული თუ ქრისტიანული კალენდრების რევიზიას, მაგრამ მიყვარს სინათლის შეტანა ყველგან და ყველაფერში, ამიტომაც მომეტევება, ალბათ, ჩხირკედელაობა ქუ-

რუმთა მითაჟამინდელი მჩხიბაობისა და მაცხოვრის ნამუშაკარს შორის განსხვავების მოსასპობად.

მეორე დღეს უფალთუფალს წყალი შეუქმნია და „სამშაბათი“ სავსებით შეუსაბამოა, ვინაიდან მეორე დღე „მეორეშაბათს“ მოითხოვს, „ორშაბათს“ ჩვენებურად, კოლხები კი მთლად თავს გასულან, „თახაშხა“ უწოდებიათ წყლის დღისთვის „წყარიშხა“-სთვის.

მესამე დღეს შემოქმედს მცენარეული სამყარო, იგივე ფლორა აღმოუცენებია, ამიტომაც ამ დღეს მეტი სიზუსტით „ობიშხა“ შეესაბამება, სვანური ვობის კულტი, ოდოიას დღე, ნაყოფიერების გენია.

ყველა უბედურება კი მეოთხე დღესთან იყრის თავს, რამეთუ, დიახაც, ამ დღეს შექმნა უფალმა ორი მთავარი შუქმფენი: დიდი მნათობი დღის გამნათებლად და მცირე მნათობი ღამის გამჩირაღდნებლად, კიდევ — ვარსკვლავები. როგორ მოვიქცეთ ახლა, რომელს მივანიჭოთ უპირატესობა, მზეს თუ მთვარეს? მზე დედაა ჩემი, ამაყად თავს მაღლა წევს კოლხი; მთვარე — მამა ჩემი, სამყაროს ეტოლება ფრთაგამოსული ჭიანჭველა; სავსე-სავსე ვარსკვლავები — და და ძმაა ჩემი, არ იშლის თავისას. ასე რომ, ბიბლიის შესაბამისად მეოთხე დღე მზე-მთვარისაა, „ბჟა-თუთაშხა“-სი და არავითარ შემთხვევაში ათვლაცდომილი „ხუთშაბათი“ თუ „ცაშხა“.

მეხუთე დღეს ძველი აღთქმის კვალდაკვალ ყველგანმყოფმა ფაუნას დაუდო სათავე ვიწრო გაგებით ნაწილობრივ — ცაში ფრინველი ააყივლა, წყალში თევზი აასხმარტალა და თქვა ღმერთმა: აფუთფუთდეს წყალში სულდგმული; მიწის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველმა იფრინოსო, და რომელი ძალა აღუდგებოდა წინ?! მაგრამ კარგად გახსოვდეთ, რომ მიწის სულდგმული, საქონელი თავთავისი გვარის მიხედვით, მხოლოდ მეექვსე დღეს გააჩინა ზეციერმა ქვეძრომითურთ, „საბატონო“ რომ გახლავთ კოლხურად და ურიცხოვნო „შაბათი“ ზოგადქართულად, მხოლოდ ნასადილევს, შუადღის გარდასვლისა და სიესტური მოთენთილობის გარდავ- ლის მერმე გააჩენს იგი კაცს თავის ხატად, და ჭეშმარიტად, ამ დღეს ამოაცლის მითვლემილ ადამს უფალთუფალი ნეკნს, რათა შეუქმნას ხორცი ხორცთაგანი ევა, რომლის მეოხებით მიატოვებს ხოლმე დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რამეთუ იქცნენ ერთხორცად.

მოკლედ, სწორედ მეექვსე დღეს დაასაბამებს უბედურებათა წყებას უფალთუფალი ევას სახით, თუმცა მოვეშვათ მაცხოვრის ნაღვაწის განჩხრეკას და შედარებით უმტკივნეულო ამბით შემოვიფარგლოთ, ანუ ქართული წარმართულ-ქრისტიანული კალენდრების ასინქრონულობით.

სიტყვა შორს რომ არ გაგვექცეს, მეხუთე დღეს, რაკი სანახევროდ შექმნილია ფაუნის სამყარო, უბრიანია ეწოდოს თევზ-ფრინველის დღე, ნაცვლად „ობიშხასი“ თუ „პარასკევი“-სა. რაც შეეხება მეექვსე დღეს, ვფიქრობ, წინ არაფერი დაუდგება ტალახისგან გამოცხობილ ადამიანს, კაცს ზოგადად, რომელიც შემდგომ განიყოფება მამაკაცად და დედაკაცად. ასე რომ, ამ დღის მოსანათლად ფრიად გამოგვადგება ფონემა „კაცი“ და აქედან გამომდინარე, „კოჩიშხა“, იგივე „კაცდღე“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სოციალისტურთან გაიგივებული, რომლის მიხედვით მამაცხონებული სტახანოვი სამასი მეკურტნეს ნორმას გამოიმუშავებს და სხვა ლონდრე სულაც მცონარობით გვამახსოვრებს თავს ტყირპლიანი გვადი ბიგვათა მიმსგავსებით, თუმცა ვინაიდან და რადგანაც თვით მამაღმერთსაც მიეტევება ექვსდღიანი ჯაფის შემდეგ მოსვენება, დავუთმოთ ზირტიკებს მსგეფსი მხართეძოზე სანებივროდ?!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვგონებ თვალნათლივ დავინახეთ თუ როგორი ანაქრონიზმია ქართული წარმართულ-ქრისტიანული კალენდრების საკანში და რანაირი ჭკუადაუნჯებით შეგვიტანია ნათელი საუკუნოობით აბურდულ საქმეში!

დარწმუნებული ვართ, ამიერიდან მაინც შემდეგნაირ რიგისობას დააწესებენ კვირის დღეების თანამიმდევრობაში მეგრელები: „ცაშხა“, „წყარიშხა“, „ობიშხა“, „ჩხომიშხა“, „კოჩიშხა“, „თუთაშხა“ „სვანჯიშხა“. ასე და მხოლოდ ამგვარად მიიჩნევა პატივმიგებულად ცაბაოთის ღვაწლი ექვსდღიანი მეცადინეობის გზაზე.

ზოგადქართულად ხომ მიგვინიშნებია ერთხელ: „შაბათი“, რადგანაც „დღეს“ შეესაბამება თანამედროვე გაგებით, ამგვარ მეტამორფოზას დავსჯერდეთ: ერთშაბათი, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, ექვსშაბათი, შვიდშაბათი.

ეჰ, როგორ უნაყოფო ფიქრებს აღმოაცენებს ხოლმე საირმეს ნისლიანები?!

ნელი სვლით მიგოგმანებენ თავდაღმართში გიგანტი ნაძვებით დაჯორგილი ტყემზიდები.

აივნიდან გაჰყურებ უშფოთველი ძილით გარემოსილ კურორტს. თანამეცხედრე მესამე და მეოთხე წყაროებიდან პლასტმასის ლიტრანახევრიანებით ამოგიტანს წყაროს წყალს.

დავიწყებას მისცემია შლაკები ნაარყალ-ნაღვინევი თირკმელებიდან. ეზეიმება ღვიძლს, კუჭ-ნაწლავს.

სასადილოდან ლანგრებით ამოაქვს ხელმწიფის საკადრისი სადილი შეფ-მზარეულ იზოლდას.

უბედურებას დამატეხს თავზე თოლიო და ქეთი ნერგაძეს სასადილოს მეჭურჭლეთუნუცესისთვის არ ჩაუბარებია თურმე საჩემო სულუგუნთაფლეულით გამეძგილი ბოლიეთილენის პარკი?! ახლა მაინც სად გაექცევი რეალობას? ბავშვები წითელი მინდვრისკენ გექაჩებიან, სილამაზის წყაროსკენ გაძღოლას გეაჯებიან, გეპატიჟებიან საკუნტრუშოდ საცეკვაო მოედნისკენ. ვერაფერი ერევა შენს სიჯიუტეს, შენს წყეულ თაბახებს და საშა ეგუტიას ნაჩუქარ საბეჭდ მანქანას, რომლის სადღეღამისო რაკუნს კარგა ხანია შეგუებია წაბლა-

რისწყლის გაღმა-გამოღმა კორპუსები. ბოლოს და ბოლოს იეშმაკებენ ონავრები, სუსტ წერტილს მოუძებნიან შშობლის მოუხეშავობას და გერმანელი ტყვეების საფლავებისთვის დაკრეფილი ყვავილებით რომ მომადგებიან, ფარ-ხმალს დაგვაყრევინებენ მეცა და ბადრი ცირამუასაც. ტაატით მივუყვებით სასაფლაოსკენ მომავალ გზას ხალხმრავალი პარკის გავლით. ბავშვები ფეხებში გვებლანდებიან. მიიფრიალებს ჯიბიდან ბოლო ლარიანებს ნაყინი, სათამაშოები, სასუსნავი... გრძელ მერხებზე სხედან ცხოვრებით დაშაშვრალი დამსვენებლები. საუბრობენ ერთმანეთში. დროდადრო მოყლუპავენ საირმეს პირმომწოე წყალს.

გონებაში ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“ ამოტივტივდება: „სხვენის კიბიდან ჩამოაქვთ ცარიელი სამგზავრო სკივრები ცარიელი კუბოებივით ხრიგინებს. ფრენჩ-ლიკი,ზ სიკვდილი კი არ უნახავს მლაშობზე წასულ გოგოს“.

ამ სტილის მწერლების უკომენტაროდ გაგება ძნელია. აუცილებელია შენიშვნებში ჩახედვა. ფრენჩ-ლიკი თურმე მარილის საბადოებით ცნობილი აგარაკი ყოფილა ინდიანას შტატში. კვენტინ ქომპსონს სამგზავრო სკივრები ჯერ კუბოებად წარმოესახება. ეს უკანასკნელი ფრენჩ-ლიკს ამოატივტივებს მის ცნობიერებაში, ვინაიდან ნადირი, დიახაც რომ, მარილიან ადგილებს ეტანება ხოლმე. მონადირეებმა ჩინებულად უწყიან ამის თაობაზე და სწორედ იქ ხდებიან მათი ტყვიის წერა. მლაშობზე წასული გოგო, იგივე კვენტინ ქომპსონის უსაყვარლესი და — კედი გახლავთ, რომელიც სიკვდილს კი არ იპოვის ფრენჩ-ლიკში, არამედ მეძავი ქალის სახელს.

ბატონი შოთა ზოიძე კი გზისპკვლევში ჯიუტად გვახვევს თავს საირმეს ეტიმოლოგიის თითებიდან გამოწოვილ ვერსიას:

საირმის დღევანდელ წყაროსთან გამოსულ ვინმე მზეჭაბუკს შველი უხილავს. განუგმირავს მშვილდ-ისრით. მერმე დაჭრილი, ადამიანის ენით რომ ალაპარაკებულა, მთის მწვერვალზე აუყვანია და იქ დაუტოვებია ნადირის თხოვნისამებრ. გასულა უამრავი თვე. გაცივებულა ტყე-ღრეში მოხეტიალე მონადირე მწყემსი მზეჭაბუკი და ამ დროს მფარველად ქალწულადქცეული ის შველი მოვლენია. თურმე ჯადოქარს გადაუქცევია იგი ირმად, რათა დევებისგან ეხსნა. გამოჯანმრთელებული მზეჭაბუკი ამოხოცავს დევებს, იმ ერთადერთს დიდხანს ეჭიდავება და ბოლოს, ეს უკანასკნელი მაინც ძლევს ადამის ნაშიერთ: ქალს კალმახად გადააქცევს, ბიჭს — ტბად და კეთილ ჯადოქარს — ნაძვად, საირმის შემოსასვლელში ქვაოკვანეშზე, ქვაქანციაზე საკვირველად რომ ამობობღებულა, იმ ნაძვად. ესეც ზოიძისეული ფანტაზის მზეგანი ეტიმოლოგიის სადაურობის თეშარაზე.

„ფრენჩ-ლიკი... ყველანი ჩვენი მლაშობისკენ მივიჩქარით, — ვფიქრობ გზადაგზა, — ნოდარ წულეისკირის ნოველის ბულბულები სურნელოვანი ვარდებისკენ მიისწრაფვიან, სადაც თვალდახუჭულებს ადვილად ეპარება უკუღმართი ონავარი და რადგანაც იცის, მაფშალია ამ დროს გარემო სამყაროს გამოთიშულია, უსულგულოდ მოიხელთებს ხოლმე;

ზეგნელი ილარიონ გორგოძე და მეჯოგე გუჯუ გაბედავა მლაშე წყაროებისკენ მიაბოტებენ, ვინაიდან სჯერათ, გამთენიისას უცილობლად მიაკითხავს იქაურობას მწყურვალი რემა. ქორბუდათა ფრენჩ-ლიკიც ეგ არის;

გერმანელი ტყვეები ფეხარეულად მოაბიჯებენ გოლიათი კლდეების ძირში, რომლის ღრანტეებში უხვადაა ჩაწყობილი ლაღუმი. აფეთქებებს ლოდთაცვენა მოსდევს და იოდისფერ ნამსხვრევებში ღაფავენ უსამშობლო სულს; გიგანტი ნაძვები წითელი მინდვრისკენ მიისწრაფვიან, როგორც მდინარეთა სათავისაკენ ქვირითისმყრელი ორაგულები, რათა ნისლის კალთებიდან შემოპარულ ტყისმჭრელებს თვინიერად მიუშვირონ ყელი გამოსაღადრავად, რომ მერმე იმ ვინაობაამოუხსნელი ტაფობის სულში აჩუხჩუხონ ძალუმად დამდოვრებული სისხლი. ფიჭვების ფრენჩ-ლიკი წითელი მინდორია“.

ბადრი ცირამუა, მე, ოტია იოსელიანი თუ თითისწვერებზე შემდგარ პანსიონატში ხვალ-ზეგ მოსასვლელი რეზო ჭეიშვილი, მარილით გაჯერებულ სიტყვას ვეფალავნებით. ნაღრძობია თქმა თუ მუხლისთავი იაკობივით უზენაესთან სადღეღამისო ჭიდილში და აწი, იმ ჩუმჩუმელა ტყისმზიდების ათწყება საირმის წყალიც რომ ყლაპო ბოლიეთილენის ლიტრანახევრიანებით, ვერაფრით გაგაცლის მათ დანაშრევ-დანალექს:

„ზე დედაა ჩემით“, ძერწავს პოემას მუხურელი მელექსე;

მეწინავე რეხოს ირაოებს მიადევნებს მზერას ბატონი ოტია — საქართველოს უნუგეშო სინამდვილის მესვეურს.

„ცისფერი მთების“ — დაუსრულებელი რომანის დავიდარაბა ჩაუმთავრებია დიდებულ რეზო ჭეიშვილს და ვინ იცის, ახლა რა ამოუღია თვალში აყმუვლებული რეალობიდან;

მეც „მგზავრის წერილების“ მიმსგავსებულს ვაჩინდრიკებ უბატონო გვარის წარმომადგენელი ვალიკო მესხიას მეთხებით ლელთ ღუნიას თარგზე.

ფრენჩ-ლიკი ხომ არა და არ ილევა.

დიდოსტატის შემოქმედის მემკვიდრისათვის იგი უბედური სამშობლოა, ღურწკაიების ჭერი და დრინაზე ხიდის გამდებელი დიდი ვეზირის, ვიშეგრადელი სოკოლის თანამოსახელე წინამძღო- ლისთვის — მსოფლიოს გულისკენ მიმავალი დიდი აბრეშუმის გზა ნავთობსადენიანად;

ყველა თავის ფრენჩ-ლიკთან აღესრულება:

მეფეთმეფე აგამემნონს ბაგაში დაბმული ხარივით დაკლავენ ცოლი და მისი კურო ეგისთე;

ალექსანდრე მაკედონელი ლაშქრობაში დალევს სულს, რათა თაფლის სარკოფაგით მოუბრუნონ მაშულს, სხვათა დაშცრობაში აღზეგებულის შეურყვნელი ნეშტი;

იულიუს კეისარს რუბიკონს გაშოღმა, სენატში უშარჯვებენ ორლესულებს მკერდში რომის დიდებულნი, განუყრელი შეგობარი ბრუტუსის ამფსონობით;

ჯორდანო ბრუნოს თუ ქეთევან დედოფლის ფრენჩ-ლიკი მოგიზგიზე კოცონში გამოსაწრთობი რწმენაა;

ერთადერთი, ონავრების ჟრიამული არ ცნობს ფრენჩ-ლიკს;

მათი ციცაბო, ჭვავის ყანის კიდეს ხბოს კუნტრუშია, დედის წინ კვიცის მორბენლობა და არაფერია გასაკვირი, რომ იმ გრძელ მერხებზე ჩამოსკუპებული, საირმის წყლის ყლუპვაში მომასლაათე დიდედები ცეცხლზე შემოდგმული რძიანი ქვაბებისთვის საჭირო სიფხიზლით შეჰყურებდნენ ფერდობ-ფერდობ მოჯირითე შვილიშლებს, თან აქა-იქ ხმასაც მიადევნებენ მათ დაუსრულებელ გიჟმაჟობებს:

— ნელა ირბინეთ, გენაცვალეთ! არაფერი იტკინოთ, ბებოს ჭირმა!

ქეთი ნერგაძისგან ვიცი, თბილისელი მონადირე გუშინდამ წასულა მწყრებით გამოტენილი ჩანთით. დათვის ქონი, თაფლი და რძიანი სულუგუნებიც წარუმძღვარებია ბლომად. თავს იკლავდა თურმე მისი თოლი, მაგრამ ის ახმახი მიშიკო, დასაკუწავად რომ დაღირებია ტკიცინა ასლარიანებს, ჩამოუყრია მხრები უბატონო გვარის შთამომავალს.

— გელოდებაო, — ასე დაასრულებს საუბარს.

ხელოვან ხალხს ხელისგულზე ატარებდნენ და ატარებენ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში: ქართლში, კახეთში, გურიაში.

ამ მხრივ იმერეთი შეუდარებელია მთლად.

ერთი ფაციფუცია ბატონი რეზო ჭეიშვილის მოლოდინში. სიტყვის ყადრი წუთისოფლის ოღროჩოღროს ღარშია მიშვებული მეოხად, ნუგეშისმცემელ ჯადო-თილისმად სრულიად საქართველოში დღევანდელი სამეგრელოს გამოკლებით, ვინაიდან აქ ფეხზე მოსიარულენი რა მოსატანია, როცა უიარაღოს — კონდრატე თათარაშვილის სახლ-მუზეუმი იყიდება ამ სიტყვის იურიდიული გაგებით; როცა ალექსანდრე საჯაიასა თუ იონა მეუნარგიას ეზოყურეებს აწვიმს და ათოვს, მაგრამ რას გააწყობ, როგორიც ბერი, ერიც ისეთია, თქმულა.

ცრის. გერმანელი ტყეების საძმო საფლავს ბალახი მოსძალებია. მართალია, ოთხი წლის წინათ აქაურობა გაკრიალებულა მაშინდელი გამგებლის, გურამ გეწაძის თაოსნობით, და გზისმკვლევის სიტყვებს თუ დავესესხებით: „გერმანელ ტყვეთა შემორიალის აგება ნათელი დადასტურება იყო იმისა, თუ როგორ გვესმის იმ ეპოქის ტრაგიზმი, რომლის დროსაც მილიონობით ადამიანი ასცდა საკუთარი სულიერი და ფიზიკური მისწრაფებების ტრაექტორიას და მათთვის ადამიანურ ღირებულებათა (სტილი ავტორისაა, გ.ო.), კომპენსაციად იქცა ომი, ნგრევა, შიში, შიშშილი“.

ყველაფერი ჩინებულად მოკოპწიავებულა, საელჩოდან წვეული სტუმრების მოსახიბლად, ქულების ჩაწერის მიზნით. გამომხდარა ხანი და აქაურობა უჟმურ ლენცოფას წაულეკავს, გვირილაგარეულს, თაკარა მზისგან გახუნებულ ლენცოფას.

ჯვრებს აქა-იქ ფრთები ჩამოუყრია, წაქცეულა ზოგი, წაფერდებულა სხვა, და ფეხზე გვარიანად მდგომელთაც საღებავი გაცრეცვია თალხი ფერისა. ოთხი წლის წინათ კი მჯიღს ვიცემდით მკერდში ნორბერტ ბაასის თუ სხვათა გულების ასაჩვილებლად.

მოვაკოხტავებთ სასაფლაოს შიშველი ხელებით რამდენადაც შეგვეძლება, თითოეულ სამარესთვის იკმარებს ონავრული გულუბრყვილობით დაკრეფილი ველური ყვავილები. მე კი ბორჰერტის „თოვლი, თოვლი, თოვლი“ მახსენდება და კიდევ — მირზა გელოვანი, მისი „აონი“ და „მე დავბრუნდები, მე დავბრუნდები, მე შენი თმები დამაბრუნებენ“.

რამდენ ტალანტს გამოუსვა კოჭებში ცელი არესის ორომტრიალმა?! იდეოლოგიურად გათიშული მსოფლიო ლამის გადაიჩეხოს მარათონული მამლაყინწური ურთიერთდამოკიდებულების გამო. ახლა წითელი საბჭოეთი გადამწვანებულა დოლარის კოლორით, მაგრამ აღთქმული საამური ცხოვრება კვლავინდებურად რომ ოგვიანებს?!

— კაცის მოსაწონი მამაღმერთმაც ვერ გააკეთა, — ვიხსენებ ვალიკო მესხიას გუშინწინდელ ნალაპარაკევს, — ადგა და ტალახისგან გამოცხობილს სული შთაბერა, ედემის უკვდავ ბაღში დააფუძნა სამისდღეშიოდ, მაგრამ მოყირჭდა მალე უზრუნველობა ჩვენს ადამს და აქ ცხოველ-ფრინველების ქარავნები აახლა უფალთუფალმა თავის ხატად შექმნილს. იკუნტრუშა მათთან ერთად ადამმა გვარიან ხანს, მაგრამ დროთა ვითარებაში მობეზრდა უსაგნური თამაშიც და ღმერთი იძულებული შეიქმნა მიძინებულისთვის ნეკნი ამოეცლია, დედაკაცი მოეკლინა მოწყენის გასაქარწყლებლად.

ამანაც ვერ აზეიმა დიდხანს ადამის სული და ასეთ დროს, ასეთ ვითარებაში, გველისგან შეცდენილი ევა იგემებს კიდეც აკრძალული ხის, ხეცნობადის, ნაყოფს და აუხილება ადამთან ერთად თვალი. შეიცნობენ თავიანთ სიშიშვლეს. ჩაებუდებათ უფლის შიში დანაშაულის გამო, მამაღმერთის სიტყვას რომ გადავლენ. ასე გაძევდებიან სამოთხედან მარადიული სიკვდილის კერძები ოფლით პურის მოსაპოვებლად, სიმწრით შვილების გასაჩენად, ქუსლით გველის თავის გასაჭეჭყად და დასაგესლად იმავე თავისგან. ხვანცალებენ და ხვნეშიან იქიდან მოყოლებული. საკუთარ თავში იძირებიან, ვარსკვლავებს მისდევენ, უსასრულობაში ინთქმებიან, მაგრამ ბუზღუნით აღესრულებიან მაინც, ვინაიდან უკვდავებას ვეღარაფრით ინაღდებენ.

ამაო ყოფილა მათი მეცადინეობა, მათი ყოველი მუშაობა ჭეშმარიტის ამოცნობის გზაზე.

სხვანი აგრეთვებენ დოვლათს, შეიძენენ ათასი ჯორ-აქლემის აკიდება ოქრო-ვერცხლს, დაჰკარგავენ კი ამ გაწამაწიაში უმთავრესს — სულს. ისინიც წუწუნით გავლენ გაღმა, მარილზე.

მავანნი საგმირო საქმეებით ცდილობენ საკუთარი მეობის გადარჩენას მთელი კაცობრიობისთვის: ახდენენ რევოლუციებს, არიან ხალხის ბელადები, თანა-უგრძნობენ გაჭირვებაში ჩავარდნილ თვისტომს და უკიდურესობამდე იზიარებენ მათ სატკივრებს;

ზოგი მსუბუქად მიათამაშებს კავს, ზოგი ღრმა ხნულს გააკლებს მეხსიერების საშვილიშვილო კბა-დინზე, და ვიკენკეებით, ვიციცქნებით უკვდავების ნამ-ცეცებით, რომელიც ჩვენი ავადმყოფი ბუნების დასამ-წყურვალებლადაა გამოგონილი.

ხეცნობადის ნაყოფი რომ აგეკა გველმა ევას და ადამს, ხომ შეძლო სიცოცხლის ხის ნაყოფით და-ეწყო მათი გაბედნიერება, მაგრამ მაშინ დაირღვეოდა ადამიანის გაჩენის, ცხოვრებისა და სიკვდილის გარ-დუვალობა. ამიტომაც არაკი სინამდვილეს რომ მორგებოდა, ხეცნობადის ნაყოფით აგვიხელენ თვა-ლებს და ედემის ბაღი აღმოსავლეთით ქერუბიმებს და ცეცხლოვან მახვილს გადაეცემა სამეთვალყუ-რეოდ, რათა დაიხშას სიცოცხლის ხესთან მისასვ-ლელი, ჩვენ კი პირზე ოფლშეუმშრალნი ვისწრაფ-ვით იმ ხის ნაყოფის მოსაწყვეტად, მეჯოგე ვართ ეს, მეფუტკრე, მეგენახე, გუთნისდედა, მშენებელი თუ მწერალი, ყველას გვჯერა ჯადოსნური ზღაპრისა, უკვდავება კი სინამდვილეში ადამიანების გულის დასამშვიდებლად აგორებული ჩმახია.

რომელ უკვდავებაზეა საუბარი, ბაბაგე, გური, რომელ მარადიულობაზე, როცა ჩვენი დედამიწა, მისი ყოველი სიკეთე საპნის ბუშტია დროსთან მიმართე-ბაში?! ეს ხუჭუჭა გორაკები, ლებოროტი, საკონდახი, წაბოცეთი, ასკაგუბურა, უფრო შორს — კავკასიონი და მის იქით — აფრიკა, ამერიკა, თავიანთი პირამი-დებით თუ ცათამბჯენებით, ტელევიზორის ეკრანიდან რომ მომიკრავს თვალი, „ვეფხის ტყაოსანი“ ჩვენი, უამრავი გულშიჩასაკონებელი მშვენება: ირმის შვე-ლი, ხოხობი თუ იაია — მტვერია, ცეცხლი, გარდა-უვალი განადგურების მომლოდინე და მაინც ადამიანი აი, ამ წამიერი აღმაფრენითაა უკვდავი, არა დროის ხანგრძლივობაზე დამოკიდებულით, არამედ შექმნის ხიბლით მონუსხული, შრომის, მუშაობის მადლით შემოსილი და მეც ამ იმედით დავლაყუნებ დუნიაზე.

დასახლებასთან გავიყრებით გერმანელი ტყვეე-ბის ჭირისუფალნი: ქალები სანატორიუმისკენ წალალავენ ბავშვებს; ბადრი და მე ფირმა „საირმე-92“-ის ტერიტორიისკენ დავეშვებით.

მასპინძლები თავაზიანად გვეგებებიან. როცა შეიტყობენ ჩვენს ვინაობას და სურვილს — ორიოდე სიტყვა შევაწიოთ მათი საშვილიშვილო საქმეს, ახოვანი ნაძვების ძირას დამონტაჟებულ, წაგრძე-ლებულ მაგიდასთან მიგვიპატიჟებენ. გამოიტანენ საწყობიდან სხვადასხვა ტევადობის ბოთლში დაფასოებულ „საირმეს“.

სააქციო საზოგადოება „საირმის“ გენერალური დირექტორი, ბატონი ვახტანგ კობალეიშვილი, ბაღდათს გამგზავრებულა. დანარჩენი აქციონერები აქ გახლავან — დავით გარუჩავა, თამაზ კბილაშვილი, ალექსანდრე ნერგაძე და კახა გვიჩია. მათი ძირითადი ხელგამძართველი ამ უკანასკნელის ბიძაშვილი გია გვიჩიაა, სანკტ-პეტერბურგელი ბი ზნესმენი, იქაური ლუდის გიგანტი ქარხნის გენერალური დირექტორი. ნევისპირელ მეწარმეს დღემდე 250 ათასი ლარი გაუხარჯავს საირმელების სასარ! გებლოდ. ძირითადი სამუშაოები ზედმიწევნითაა შესრულებული. ჩამო-ტანილია ახალი ხაზი, რომელსაც შეუძლია საათში საშუალოდ 2000-4000 ლიტრი მინერა- ლური წყლის ჩამოსხმა. ბოთლებს ნახევარფაბრიკა ტების სახით ღებულობენ, იგივე პოლიეთილენის ჰილზებს რუსთავის ქიმბოჭკოდან — ერთლიტრიანებს და 400-გრამიანებს. შეძენილი აქვთ ჩინური წარმოების 2 მანქანა-დანადგარი, რომელიც საათში უშვებს 500 ბოთლს, ბერავს მათ და სასურველ კონფიგურაციას ანიჭებს. გამორჩეული აღნაგობის პოლიეთილენის ბოთლები მიეწოდება ჩამოსასხმელ ხაზს. თავად № 3 ბ და 8 საირმის წყარო ბოთლებში ჩამოსხმამდე იფილტრება, სუფთავდება ბაქტერიებისაგან, გაზირდება. მხოლოდ ამის შემდეგ იგზავნება უამრავი მიმართულებით, საქართველ ლოსა თუ რუსეთში. ფირმის გარანტიით „საირმის“ შენახვის ვადა 12 თვეა.

კახა გვიჩიას თქმით, მათი პროდუქციის ფალსი-ფიკაცია გარკვეული პერიოდი გაძნელდება, რადგანაც ეტიკეტი ორმხრივია, თანაც ფორმა ისეთი შეურჩევიათ, რომ გაჭირდება მისი დაბეჭდვა; გართულდება აგრეთვე ეტიკეტის გამოჭრაც, ყველაფერთან ერთად ეტიკეტის მასობრივი დასტამბვა ხომ სოლიდურ თანხას მოითხოვს. მაგა-ლითისათვის, პირველი ნაკადის ეტიკეტისათვის მათ 15 ათასი დოლარი დაუხარჯავთ. ეტიკეტი გერ-მანული წარმოშობისაა, სახურავი — თურქეთისა.

როგორც აქციონერები გვეუბნებიან, ხაზზე ოცი კაცია დასაქმებული. ძველი კოლექტივი არსებითად შენარჩუნებულია და დაცულია მათი სოციალური ინტერესები. მუშები, აქვე, ქარხნის ყურისძირას ცხოვრობენ. უფასოა ერთჯერადი კვება. „საირმელები“ ხელფასს ჯერჯერობით ას ლარს უნაზღაურებენ თითოეულს. წელიწადში სულ ცოტა 5 მილიონი ბოთლის ჩამოსხმას ვარაუდობენ, რაც მარტივი გაანგარიშებით ადგილობრივ ბიუჯეტს 150-200 ათასი ლარით შეავსებს. სხვა რა გვენდომება ჩვენც — მამულის მოჭირნახულე მესიტყვე-დამსვენებლებს?!

ჩავეკითხები მოგვიანებით „საირმელებზე“ მარტოსული ხეობის მახვშს და აი, რას მეტყვის სინანულით:

— დიდი უმადურები ვართ ჩვენ, ზოგი ქართველი,

სანატორიუმელებია ესენი თუ იმ საირმის მეპატრონენი. კომუნისტობაიაობიდან მოყოლე- ბული, კრუნივით ასსედან გაპარტახებულ ავლადიდებას და როცა ვინმე წესიერი ინვესტორი დააპირებს შემო- სვლას, წილებში ჩაჯდომას მოიგუნებებენ ხელად, მუქთა სარჩოსაბადებელს ეპოტინებიან. ამისთანებს გავხვეტავდი არა თუ საირმიდან, საქართველოდან საერთოდ. ბიჭოს, არ ჰყოფნით ბედოვლათებს სოცია- ლისტური ხუთ- წლედებში შეტკბარუნებული ათასები. ესენი იმისთანა გაუმაძღრები გაუჩენია ზეციერს, მუგუზალშიც შეგეცილებიან, ოღონდ საჭმელად ვარგოდეს. ყოფილა ჩვენთან კახა გვიჩია. სახიერი ყმაწვილკაცია. ბევრის გაკეთება სწადია, მაგრამ, აი, ესენი და კიდევ ბაღდათელი ცუცკები უცრუებენ გულს. ამ არაფრის მაქნისებს ჰაერიდან მოწყვეტილი ფული უნდათ ცხოვრების მოკვარან- ჭინება. ფუტკარი უფრო გაბედულია. მოამსხვრევს ამისთანებს ფრთებს და თვალის დაუხამხამებლად ისვრის სიკვდილ. ერთხელაც იქნება და აუცრუვდება გული იმ შენს ლენინგრადელ გვიჩიას, ბაბაგე. მიატო- ვებს ამ მიყრუებულში „საირმის“ ჩამოსხმას, თავის ჩინებულ „სტეფანე რაზინს“ მიუჩოჩდება, ფულსაც მოაბეკრებს და სახელსაც..

საირმეში ჯერხანობით ფიჭური ტელეფონი უმაქ- ნისია. ისევ ჯაბანანა ტრადიციულით გავიფონებთ.

— როგორ შეეწყვეთ იქაურობასო, — მეტყვის ძეძემტე.

— ჩინებულად-მეთქი,— ჩავძახი ყურმილს, — ისე- თი კვება და ყურადღებაა, ბავშვების წამოყვანა ნამდვილად გამიძნელდება-მეთქი.

— მაინც როდემდე რჩებითო, — მეკითხება აუ- ღელვებელი ხმით.

— თხუთმეტ აგვისტომდე-მეთქი.

— მაშინ ცხრამეტში ერთად წავსულვართ ბაკუ- რიანში. ხომ არ დაგვიწყნია ვინ გვეელოდება იქ?! ჩვენი, ათას ხუთასი დევნილი საშურზაყანოელი მო- ზარდიო.

— ღვთის შეწევნით ჯერჯერობით მეხსიერებას არ ვუჩივი-მეთქი. — კი ვეუბნები ასე ძეძემტეს, მაგრამ გული მიკრთის, ვინაიდან ვალიკო მესხიას ნასაუბრების ორმოცდაათი პროცენტით აღდგენაც ვერ მომიხერხებია. ხომ არ მომჩოჩებია მარაზმი როსტევან მეფის დამასევდიანებელი სნეულებით- მეთქი და იქვე თავაწეული გადავიყრი მხრებიდან ნაადრევი სუსხის ფთილებს.

ფეხაწყობილად მივუყვებით აღმართს სანატო- რიუმისკენ მე და ბადრი ცირამუა. იმას თავისი მანრა ულრღნის სულს, მე — ჩემი. უხმაურობა მსვლე- ლობა ესე, მაგრამ ფიქრით დაყურსული.

— შენობების გაყიდვის არ უნდა შეგვეშინდეს ჩვენ, — ჩამესმის ვალიკო მესხიას სიტყვები ოთხშა- ბათური ძასლაათიდან, — მთავარია მიწები შევინარ- ჩუნოთ. სანამ მიწა აქვს ქართველს, მისი გადაგვარება შეუძლებელია. გვარივით შემკონავია იგი, ჩვენი უძ- ლეველობის ჯადო და თილისმა. მხარ-ბეჭიანი შემ- თხვევით აღმოცენდება განა წინაპრის ნაფესვარში ჩარგული ნაძვი? გვჯერიდეს, მამა-პაპათა საფლავებს რაღაცნაირი მომნუსხველი მიზიდულობა გააჩნია, ჩვენი მხნეობისა და დღეგრძელობის ურყევი საძირ- კველი, ლიბო. ნურც უცხოელის მოსვლის შეგვეშინ- დება, ბაბაგე, გური. ყოფილან აქ, ქვემოთში, ბელ- გიელები ხე-ტყის დასამუშავებლად. მომცრო ელექ- ტრო-სადგურიც იმათი ხელიდან გამოსულა და რამ- დენიმე ნაგებობაც, რომელიც ჩვენი დაუდევრობით იავრქმნილია ახლა. მართალია, გადამთიელი ნემსს რომ მიარჭობს, იქიდან ნაჯახის მოხსნას მოიგუნებებს ადრე თუ გვიან, მაგრამ ამით უარაფრობაზე მეტი რაღა დაუშავდება ჩვენს ქვეყანას?!

ქართველებს უცხოთა გაღმერთება გვჩვევია სა- ერთოდ. ნათქვამია, ქრისტეს მხოლოდ მშობლიურ ნაზარეთში არა აქვს შენდობაო, და რადგანაც ეს შეგონება ჩვენი მოურჩენელი იარაა, იქნებ უცხოე- ლების საქმისმოყვარეობამ, მომჭირნეობამ, დროის, ფულის ყადრმა, ჩვენშიც აღზარდოს ყაირათიანი ადამიანები?! ეგერ, ის შენობები, ჩვენი ფითრმოდე- ბული ტყეებისა არ იყოს, უსახსრობით ფუჭდება, ინგრევა. გიორგი ჩხეიძეს რომც აჩუქო, რას უზამს, ქონს წაუსვამს თუ თაფლს ჩამოწოლილ ჭერ- კედლებს? ფული იმას არ ატიალია და ქონება, ფეხზე წამოაყენოს ოდესღაც ქარვასლათა მსგავ- სნი. უცხოელი კი მოვა, ბაბაგე, გური, გაარიწკი- ნებს გზებს, ეზო-კარს, ოთახებს. დამსვენებელსაც თვალისჩინივით მოუვლის, თვითონაც იხეირებს და სახელმწიფოსაც არ დატოვებს ზარალში. აბა, უც- ხოელს ვინ აპატიებს გადასახადისგან თავის არი- დებას? ჯერ ჩვენ ბიძაშვილ-ძამიდა- შვილობის შეგ- ნებიდან ვერ გავთავისუფლებულვართ. უკუდო ხარს ვგავართ, კუდიანებს ბუზს რომ უგერიებს.

მთავარია, მიწებს მოვუარით, ბაბაგე, გური, ტყე- ებს მივხედოთ, ჩვენს წყაროებს და მდინარეებს; მთა- ვარია, წითელ მინდორსავით გულში ხანჯალს ნუ ჩავცემთ დედაბუნებას და მის მკერდზე აშენებული ნაგებობების, ქარხნების, სანატორიუმების, ფაბრიკე- ბის თუ ფერმების გაყიდვისას ხელი ნუ აგვიკანკალ- დება. ვერსად წაიღებენ იმ კედლებს გადამთიელნი, სამაგიეროდ ევროპული ყაირათიანობა დაისადგურებს ჩვენში, იქაური მუყაითობა. დაუდგება წინ რამე ამის- თანა ქართველს, ჰა?!

ასკაგუბურას სამნებამდე მოგვაცილებს კაცებს ნერგაძეების მანდილოსანი. იქ, ლარტანიანი ლა- ტანებისგან აბანდულ ზღუდესთან დედაშვილურად გადავეხვევით ერთმანეთს და ამჯერად თავპატიჟი არ გამომივა. მართალია, ნაცნობ ხურჯინს ჩემს მაგიერად თოლის გადასცემს დიასახლისი, თავის ჯიხას — ციხე-სიმაგრეს — გარეკს საქმეში, მაგრამ ხომ წავუყრეუბ საჩემოდ განკუთვნილ ტვირთს?! უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდნილვარ, დია- ხაც: მარტოსული ხეობის მახვში სტუმრის საპალ- ნეს შესდგომია საუკუნოვანი მხრით. ხელს გაიწვდი მისაშველებლად და გამოდის — ხეპრე ხარ — ძღვე- ნის დანიშნულების ვერამომცნობი, ან მთლად გითო- ღალირ-გაქექილი, თვალთმაქცურად რომ მორგები-

ხარ ვითარებას. პატივმოყვარეობას როგორღაც ვაჯობებ.

— მაინც თავისი გაიტანა, — ამ სიტყვებით წავიწევი ხურჯინისკენ, მაგრამ ვინ არის ტვირთის დამთმობი?!

ორჯერ მიეფარება თვალს ქეთი ნერგაძის მოფრიალე ჭრელი მანდილი. ბოლოს უღონოდ დაშვებულ მარჯვენიანად შეიწოვს დაყურსული უსიერი.

— სანატორიუმში თქვენი ბავშვების ნახვის შემდეგ მოსვენება დაკარგა. გარდაცვლილი და დაფანტული შვილების დარდი შემოაწვა გულზე. ფულის, სარჩოს წასაღებად ამობრძანებასაც არ კადრულობენ. ყბების გაქანავებაც ეზარებათ დაღეჭილი ლუკმის გადასაყლაპად. ახლა, სიკვდილის მდინარეში შესულისთვის, მეტი სიცხადე შეუძენია მამაზეციერის ნათქვამს: მშობლებს კი ვასწავლე შვილების მოვლა, მაგრამ აი, შვილებს, საგალალოდ — ვერაფრითო.

— ბიბლია სხვანაირად ხსნის ამ ამბავს. მოგეხსენებათ, უფალი ძილქუშს მოჰგვრის ადამს, მძინარეს ერთ ნეკნს ამოუღებს, სანაცვლოდ ხორცს ჩაუდებს და იმ ნეკნიდან შეუქმნის კიდეც დედაკაცს.

ამის თაობაზე ადამი დაასკვნის: ეს კი მართლაც ძვალია, ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანიო. ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენო. თითქოს მშობლები სხვა მასალისგან იყვნენ მოზელილნი.

— რა ბრძანებაა, მასალა აქაც ივივეა, მაგრამ გამცვდარია უკვე, დალეული. საკუთარი დედაკაცისას კი სხვა მათრობელა ოხშივარი ასდის. ჰ ოდა, იმას ვამბობდი, თქვენი ბავშვების მნახველს ორი ღამეა თვალი არ მოუხუჭავს. ზმუკუნებს აქაიქ, ჩემს მალულად. გამოვჩნდები სიახლოვეს და ბუხარში შერგავს თავს მაშინვე, თითქოს ცრემლი კვამლს მოუბევრებიაო.

ახლოს მაინც ცხოვრობდნენ, ხელს გავუმართავდიო რამდენადმე...ხურჯინს ორი თვალი აქვს და ორნი ხართ თქვენცა — ფეტელავები და ცირამუები. წიგნებს შეპირებიხარ ჩემს დედაკაცს და ეს უხარია.

სამარშრუტო ტაქსის მძღოლს გამოატანსო ჩვენს ჯიხურში დასატოვებლად. წიგნებს, ფოტოებს, ჩვენზე აყბედებულ გაზეთებს, წარმოიდგინე, კინოში გადაღებასაც, გულუხვად გვპირდებოდნენ, როგორც ადრე მითქვამს, აქ ამომსვლელი კორესპონდენტები, მაგრამ დროს გულმავიწყობა სჩვევია... მაინც რომელ გაზეთში აპირებ გამოქვეყნებას?

— დღეს გაზეთში წერილის დაბეჭდვა პრობლემა არ არის, ვალიკო ბატონო. სიტყვის თავისუფლება განაღდებული გვაქვს თითქოს. იქ გამოვაქვეყნებ, რომელსაც ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს, სხვაზე პოპულარულია.

— მაინც რომელია ასეთი? საიდუმლოა?

— რა ბრძანებაა: „ალია“, „ახალი თაობა“, „რეზონანსი“, „ასავალ დასავალი“, „საქართველოს რესპუბლიკა.“

— გაზეთების „კოსკი“ ერთია ჩვენში, ბაზრის სიახლოვეს. მისი გამგებელი ყოფილი მთავრობის გულშემატკივარია და სადაც შევარდნაძის სურათი გაიელვებს, ახლოსაც არ აჭაჭანებს.

— მაგრამ ხალხი, ხალხი რომელ გაზეთებს ეტანება უფრო?

— ნუ ეშმაკობ, თითქოს არ იცოდე, ხალხს როგორ გაურბის თვალი საჭორიკნოსკენ. მითქმა-მოთქმა, ლაზღანდარობა, ჩუმჩუმელაობა, მაბეზღრობა ისეთივე აუცილებელია დროის მოსაკლავად, როგორც — წისქვილის ქვებისთვის — საფქვავი.

— გასაოცარი თქმაა „დროის მოკვლა“, — ვერეკი საუბარში, — ამგვარად წყურვილზეც იტყვიან კიდევ. თითქოს მტერი იყოს შენი, მოსისხლე მტერი და არა ნამდვილი ქომაგი, მეოხი, შემწე. დროის მკვლელი, უწინარესად, საკუთარ თავს ანადგურებს. რუსულიდან შემოსული მგონია, ჩვენთვის ნაკლებად სახასიათო.

— ბაბაგე, გური, ეგ ჩვენი მეგაზეთე, მითქვამს როგორ ჭკუაზეცაა, დღევანდელი ხელისუფლების რანაირი ერთგულია. ახლანდელის მოსიყვარულე რომ ეყუდოს იქ, ხომ შებრუნებით მოიმოქმედებდა ყოველივეს?! გადააშენებდა გამსახურდიას მოსარჩლეს. რა ვქნა ახლა მე, როგორ მოვიქცე ასკაგუბურას ხეობაში გამოყრუებულმა?! საიდან მივუდგე სიმართლეს, რომელიც ამ ორ მოსისხლე მეგაზეთეს შორის ბორიალობს აღმა-დაღმა, დღევანდელის მხრიდან თუ აწი რომაა მომსვლელი?!

ასკაგუბურა კუნძულია, ბაბაგე, გური, რომლის ბილიკები სამი-ოთხი თვით ცის კარივით გადაიხსნება ხოლმე კანტიკუნტი დამსვენებლისთვის, დანარჩენი კაჭალიაზ ცხრა თვე კრიჭაშეკრულია თოვლ-ყინულის ხერგილით. არ მირჩევნია ისეთი გაზეთი მეკავოს ხელში, ორივეს რომ დაბეჭდავდა თავთავიანთი ტყეილ-მართალით?! ნებისმიერი მეგაზეთე პირში ჩალაგამოვლებული დარჩებოდა, შუაში ხომ ვერ გახევდა იმ გაზეთს, ან დანაკუწებულს, რომელი ოხერტიალი იყიდდა?! მოკლედ, ზარალში ჩავარდებოდა. მე და ჩემი დედაკაცი კი კერიის პირას დავსხდებოდით, ორის ნაცვლად ერთს შევიძენდით, ფულსაც დავზოგავდით და, რაც მთავარია, მოცალეობის ჟამს დავატოლებდით ერთმანეთს განსხვავებულ ნალაპარაკევს, მერე გადმოვიღებდი ბუნებისგან ნაბოძებ არშინს და უმტკივნეულოდ გავარკვევდი — ვისთან ბნელა და სად მეტი სინათლეა.

— ვალიკო, ბატონო, ამისთანა გაზეთს სანთლითაც რომ ეძებდეთ, ვერ იპოვით, თუმცა მათი რაოდენობა ორ ასეულს აჭარბებს. ან გაქანებული ზვიადისტი უნდა იყო, ან შევარდნაძეს უკმეოდე გუნდრუკს, ეს ძირითადში, მაგრამ შემკვეთი უამრავია შემსრულებლის მხარდამხარ: რუსეთუმეები, მედასავლეთენი თუ მესამხრეთენი, იმერ-აქერი(კა), რომელთაც შორიდან უხილავი, მაგრამ შინაგანად ვიღაცასთან მოკავშირეობით ხელფეხშეკრული სულის-

კვეთება აშიშვლებთ. შენი მოთხოვნილების გაზეთი გამომიცია თურმე ოთხიოდე წლის წინათ, — ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა „ოდოია“, რომელშიც შუაკაცის, შემრიგებლის თვალთახედვიდან განიხილებოდა ყოველგვარი ფასეული, სულიერი განზომილებისაა ეს თუ მატერიალური, თუმცა ზურგის ქარი ვეღარ აღმოცენდა და დავიდუმეთ ბავე.

— ბერმუხა ლევან მესხიას ნაამბობი გამახსენე უნებლიეთ. სტუმარი უამრავი გვწვევია წლების მანძილზე და არც ავაზაკი კლებია აქაურობას. ერთნი თავშესაფრის სათხოვრით რომ მოდიოდნენ და ლოცვა-კურთხევით გვტოვებდნენ გულღია გამასპინძლობის გამო, მეორენი იარაღის ტუჩს გვაბჯენდნენ საფეთქელზე: ამოქექეთ ფული მუთაქებიდანო, გვიტრიალებდნენ ცოცხალ-მკვდარს. ამდენი შვილისა და შვილიშვილის პატრონს ფულს ვინ გამიჩერებდა. მიგვიშავებია უკანასკნელი გროშები. თვრამეტჯერ დაგვაყაჩაღეს ამ რვა წლის მანძილზე. ბუნება ვერაფერს დამაკლებს მე, ვერც სტიქია, ადამიანია რომ მერჩის თორემ. ძელური ისე მკვიდრად შემიკრავს, ხუთი მეტრიც რომ ჩამოზვინოს, ძვრასაც ვერ უზამს. დახერხილი შუშა ყურისძირას მიწყვია. ფარეხამდე და სკებამდე გაგვკვალავ სავალს რამენაირად და მორჩა, ნახევარ წელიწადს ჩემს საუფლოში ძერაც ვერ შემოფრინდება!

ლევან მესხიას ფაბრიკაში კი იმ ცხრაასთვრამეტში ყველა ერთად შეყარა განგებამ: მეკრამიტეებიც, დევნილი თეთრებიც, მდევარი წითლებიც და თვით ქრისტეს ფეხის მკვნეტელი ყაჩაღებიც. ხუთი მეშუვიკი იმ დროს ამოაღწევს სამესხეოში, როცა იქ კრამიტის გამოწვაა გაჩაღებული. ბიჭაკიებით მოაქვთ აყალო მიწა. ცხრილავენ სხვანი, დანარჩენი ზილავს, ყალიბებში ტკეპნის და ქურახანაში პურივით უკეთებს.

წითლები მოგვდევენო, ამოქოშინდნენ თურმე თავისუფალი საქართველოსთვის თავდადებულნი. ადამიანი ალიზი როდია, საკირეთში შეუკეთო, გამოცხობილია ერთხელ და სამუდამოდ. რა იღონოს ოჯახის უფროსმა? დააპატიმრებენ მეშუვიკებს მის საბრძანებელში და თავი მოეჭრება ლევან მესხიას. გამცემის სახელს მოაკერებენ. გაგანია ზაფხულია. დევნილებს სასწრაფოდ მოუძებნიან ძველმანებს. მხედრულ აღკაზმულობას ქურახანაში გადაუძახებენ. ფეხშიშველნი ჩადგებიან დღიურ მუშებში.

— თოხი და თოფი ერთად არ გამოვა. ჩაკეტეთ საწყობში! — გასცემს ბრძანებას მეპატრონე და სხვა რა გზაა?! ტყვიასგამოქცეულებს არ აკლიათ ოფლი და სითარანე და რაჟამს მესხიების მამულში წითლების ოცეული მოხროვდება, შრომის გაქანებული რიტმი გუგუნებს მეკრამიტეთა წვივებამდე ტალახიან ფეხქვეშ.

მიმოიხედავენ გარშემო. ეჭვის თვალით მიაჩერდებიან სახეზე ოფლგადამდინარ მეკრამიტეებს. ირწმუნებენ კლასობრივი მტრის ხელიდან დამვრომას და მშიერ-მწყურვალნი დაეყრებიან ჭასთან.

უბერავს მასქური სულის მალამოდ. მოხალვათდებიან მდევრები. იციან, ლევან მესხია ტომბამ კაცია, ჭკუამოსაკითხი ბერმუხა, სტუმართმოყვარე, პურ-მარილით განთქმული და თავისით დაიწყებენ ჩექების გაძრობას თუ გალიფეების აკარწახებას. არაფერი დაშავდება, ცოტას თუ შეეშველებიან, სამაგიეროდ, სანაქებო სადილი რამდენადმე მოახლოვდება. გვერდიგვერდ ზილავენ თიხას თეთრები და წითლები. ოფლიანი ზურგებით ერთმანეთს ეხახუნებიან. ოხუნჯობენ, იქექავენ ჯაგარა წვერს. ამასობაში წაგრძელებულ მაგიდას ხორაგით ააგსებენ მოახლე დედაკაცები.

იარაღი საწყობში! მბრძანებლობს ოჯახის თავკაცი. თოფი და ქეიფი არ გამოვა ერთადო, მოსჭრის და კუჭგამძარი წითლებიც რას გააწყობენ. ეშხში შედის მოლხენა. მღერიან ერთად. მერე პოლიტიკაზეც ჩამოვარდება საუბარი და დავიდარაბაც მაშინ ატყდება.

წითლები ლენინს და სტალინს ადღეგრძელებენ ფეხზე წამომდგრები.

თეთრები — მეფეს და ქრისტეს. უკვე ლევან მესხიას აწეული ხმა აღარაფერს შველის სახეზე სისხლმოწოლილ მესმურეებს და, ვინ იცის, ყოველივე რითი დამთავრდება, მეკრამიტეებს ბინდისპირზე ყაჩაღები რომ არ დაესხმოდეთ თავს.

ყველა გასუსულია. დაავიწყდებათ საკუთარი ფერი და აღნაგობა. ფეხზე წამოშლილან მომხდურის მოთარეშებაზე. აბრაგები წირვას გამოუყვანენ დარჩენილ პურ-მარილს. წიხლსა და პანღურს არიგებენ აქა-იქ ლევან მესხიას მეკრამიტეებისთვის. გახსნიან სალაროებს. გაიყოლებენ ფულს და საგულდაგულოდ ჩაკეტილ იარაღს. არც ტარიელ გოლუას თარგი დაელოდება შეზარხოშებულთა გონზე მოსვლას. ტკიცავს ცხენს მათრახს და ყასიდად ბუზივით მიუჩინარდება შინ უჩუმრად მოსაბრუნებლად და საგანგებოდ გათხრილ გვირაბში ორმოცი წლით ბერ-განდეგილივით დასაყუდებლად.

მიმიხვდი ახლა რისთვის გამეცინა?

საუკუნის დამდეგს წითლები თეთრებს დევნიდნენ, ბოლშევიკები მენშევიკებს ეუფლებოდნენ. საუკუნის მიწურულს ვინ ვის ავიწროვებს, ვერ გაარკვევ, დოვლათი კი ყაჩაღებს მიაქვთ. ძიგილი იგივე დარჩა.

— ეჰ, ვალიკო, ბატონო, საქართველოს მტრებს ხელს აძლევთ სადღეისო აწეწილი ვითარება, რადგან ურთიერთმიყოლის ნიჭით დარაზმულ ქართველზე საშიში არაფერია მათთვის. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დადგეს დიადი შერიგების, ურთიერთმიტევების ჟამი საქართველოს მომავლის სახელით?! არადა, აღმა ხნულის დაღმა ფარცხვაში ლამის უსამშობლოდ დავრჩეთ ყველა.

— კანონთა სიმკაცრითა და თოფის მოღერებით ყაჩაღს ვერ დააშინებ. ამიტომაც მირჩევნია ისეთი სიტყვა ამოვიღო გულიდან, როგორი წყაროც კამკამებს ჩვენს საფუტკრეებთან.

დამეჯერება, ამ ჯოჯოხეთურ საუკუნეში საკით-

ხავი წიგნი არ მომაკლდებოდა ბიბლიოთეკარი დედაკაცის პატრონს. მათგან ბიბლია უმთავრესია ჩემთვის, ვინაიდან აკრძალულ ხილს ჰგავდა, უჩუმრად მოწყვეტილს.

გასაგებია ჩემთვის შენი გარჯა, მეცადინეობა, სულის დუღილი. აღარაფერს იშურებ შუაზე გახლეჩილ საზოგადოებაში საყოველთაო თანხმობის ჩამოსაგდებლად, მაგრამ გიფიქრია იმაზე, რომ ეს საზოგადოება ლამის სამასი წელიწადია ორად გათიშულა, ერეკლე მეფის შემდეგ გაპობილა შუაზე და ილიასებურმა თავდადებამაც ვერ უშველა მის გამთლიანებას. შეუთავსებლობის მიზეზი კი მარტივია: პატარა კახმა თითქოს გადაარჩინა ქვეყანა ფიზიკური განადგურებისაგან, სანაცვლოდ სულიერება შეეწირა ხორციელის დღეგრძელობას და საბოლოო ჯამში ამ უკანასკნელსაც არ უწერია დიდხანს ბოგინი. ამ ორ საუკუნეში დედინაცვალი რუსეთის ხელში უხვად გამოიჩეკნენ გურელაბურჯღონილეფი.ზ გარეგნულად ქართველები არიან, ალვასავით აშოლტილები, ყირმიზსახეიანები, სიტყვით ქარვასლათა ამგებნი, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, მიწას გამოგაცლიან ფეხებქვეშ. დიდი ხათრი მაქვს შენი, მაგრამ არ გამოვა საშობლოს აღმშენებლობისა და დამაქცევრის შერიგება. უმჯობესია ნამდვილი მამულიშვილი გამუდმებულ დევნაში იყოს, შევიწროვებაში, საპყრობილეში ღაფავდეს სულს, ვიდრე ქვეყნის დამამხობელთან თანამშრომლობდეს.

ვიცი შენი მიზანი, ბოროტება გინდა სიკეთესთან ერთ უღელში შეაბა და სამომავლო ბერის ყანა აადღალნო. სხვა არაფერი ამოძრავებს მაღალ ღმერთს. თუკი დაკვირვებიხარ, მაგისთანა მიმტევებელი მეორე არ დაბადებულა დუნიაზე. რამდენი დანაშაული ჩადენილა მის თვალწინ, მაგრამ რომელი ერთი დაუსჯია სიკვდილით?! ეკას მაცდუნებელი გველი, ადამის გაბრიყვებული დედაკაცი თუ თავად უფლის სიტყვას გადასული ჩვენი პირველი წინაპარი? ვის მიაგო კბილი-კბილის წილ, თვალი-თვალისა წილ, კაენს?

— აბა, წარღვნა, სოდომისა და გომორის ცეცხლში დანთქმა არაფერია?

— ამას ვერავინ უარყოფს, უზნეო ხალხი, საზოგადოება დასჯილია საკადრისად, მაგრამ მე მისგან რჩეულებზე გესაუბრები, მის ცნებათა აღმსრულებლებზე. აი, ესენი არ ემეტება მამა-ღმერთს საშუდამო გაქრობისათვის.

— არ ემეტება იმიტომაც, — ჩავერევი საუბარში კვლავ, — მაცხოვრის უმთავრესი მიზანი აღზრდაა, შეცდომათა აღიარება და ღვთიურ გზაზე დადგომა. ქრისტეც ამას არ ადასტურებს? ცოდვილთათვის მოვსულვარ და არა დალხენილთათვისო. მაგრამ ჩემთვის მთავარი ის გახლავთ, ვალიკო, ბატონო, ახლა თქვენ ვინმე გური ოტობაიას კი არ ეკამათებით, არამედ — თვით ირიდი სართანიას. შერიგება, გნებავთ — ძმათამკვლელებისა, მისი ცხოვრებისეული მიზანი იყო.

ბოლოების შეუერთებლად ბორბალი ვერ გაივლისო, უყვარდა თქმა. დაბლის აუწევლად და მაღლის ჩამოუხრელად სიკეთეს ვერასდროს ვეღირსებითო, გამიგონია მისგან. უხსენებლის შემწეობით ეზიარა ადამიანი უკვდავებას, მართალია, ჯერჯერობით გამოძევებულია სამოთხის ბაღიდან, ედემისაგან, მაგრამ ხომ აქვს იქ მიბრუნების შანსი, ცოდვათაგან საბოლოოდ განწმენდილს? ჰოდა, როგორ ფიქრობ, იქ შესული ადამიანის ნაშიერი მხართეძოზე წამოწვება ჩიტების სააბურ ფლურტულში, თუ ეგრევე სიცოცხლის ხისკენ დაადებს თავს, რათა ხეცნობადისაგან ერთხელ და სამუდამოდ გონებაახელილმა სამარადისო სუფევის ძალაც შეიტკბოს ქერუბიმების დაცული ნაყოფის დაგემოვნებითო.

— მდა�ა, — გააბამს ვალიკო მესხია, — ყიფიანი იყო კაი კაცი, მაგრამ პეტრე ნანიტაშვილი — უკეთესი, ბუნების ღვიძლი შვილი. ვიცოდი წისქვილის დაბლა, მოტბორებულზე თევზები ბუდობდნენ. დროდადრო ფქვილი იპნევა ღრიჭოებიდან და ეს იზიდავს თევზებს. წავიყვანე კალათით, ამოვავლე წყალში და რომ ამოვავსე ასხმარტალეული კალმახებით, კინაღამ გადაირია.

დამწყვდეული გეყოლებოდა ჩემს საამებლადო.

მობრძანდით გაუფრთხილებლად, ნებისმიერ დროს და თქვენით დარწმუნდებით-მეთქი. მართლაც მასე ქნა და სამჯერ რომ იგივე გავუმეორე, აღაპყრო ცისკენ ხელები:

რას ერჩი, ქუდბედიაო, მაგნიტივით იზიდავს ფრინველს, ფუტკარს და თევზებსო.

ერთხელ ტაღანითაც მოატყუებენ ძაღლს, ლაკვატათი ჩვენებურად. ბუნება სრულყოფილია, რადგანაც იგი არ ცნობს ზნეობრიობას. ეს უკანასკნელი ქუსლში ჩარჩენილი ეკალია ადამიანისათვის, რომელიც ადრე თუ გვიან თავისით უნდა ამოირწყას. ფიზიკურ განადგურებას კი გადაგვარჩინა ერეკლემ, მაგრამ სული დაგვაკარგინა, ვაინახებს რომ შერჩათ ის სული.

ცხრაასთხუთმეტში თურქებმა მილიონნახევარ სომეხს გამოჭრეს ყელი, ამაზე უარესს ხომ ვერ გვიზამდნენ, მაგრამ შეხედე დღეს რეებს შვრებიან?!

ბიბლია ცდუნებული ორგანოს მოკვეთას ქადაგებს, რათა მთელი სხეული არ წაახდინოს და შენ, ბაბაგე, გური, მოგიხერხდება ვითომ ჯანსაღისა და სნეულის შერიგება?! ხომ გამოგეცალა ხელიდან სრულიად ის მცირე საღიც? მთელი სამყაროა ასკაგუბურა. აქ არ ჩხუბობენ ჩემი ფუტკრები, ცხოვრობენ თვინიერად. აქ არ იჩხუბა ხე-ტყე, წითელი მინდვრის შემოგარენისაგან განსხვავებით, თავისით წაიქცევა ფესვებმოშპალი, ან ფოთრისაგან ძლეული; აქ არ ესვრიან ნადირს.

— თბილისელი მიშიკოს გამოკლებით.

უკმაყოფილო მზერას მტყორცნის. ხურჯინს მხრიდან ჩამოიღებს. წავიწევი ტვირთისკენ და არ გამიძალიანდება ძველებურად.

— მიშიკო დიდი ჩუბინია, მაგრამ, მთავარია, მე

არ ვისვრი. იმ მწყერს ასკაგუბურაში თუ არა, ჯაჯის ტბასთან მაინც წამოეწევა მონადირის ცხელი ტყვია.

ირიდი სართანია კი იყო გულთმისანი, მაგრამ თვალი და ყური არც ჩვენ გვიწყვია ჯიბეში. ყვარილ რინას, შური ვარდენ თინა უჯგუ. ძველი მდგომარეობა რომ დაიბრუნო, ამოიჭრა უნდა გულგრილობის ხორცმეტი. მერე, დროთა ვითარებაში, დაკარგულ თვისებებს აღიდგენ, ალბათ. ყველაფერი გარემოზე ჰკიდია.

ამბობენ, ოდესღაც გვიმრა უშველებელი ხე იყოო, მაგრამ ახლა ბალახია. მითქვამს და ვიმეორებ, კეთილისა და ბოროტის თანამშრომლობა არ გამოვა, ბაბაგე, გური. კეთილი იმიტომაც იმარჯვებს, რომ მუდმივ წინააღმდეგობაშია ბოროტებასთან. ახლა ორივეს ერთ ტაბლაზე თუ დასხამ, მოთავებულია საქმე, ვინაიდან განურჩევლობა მოაშთობს ქვეყნიერებას.

ბუნობა ორჯერაა წელიწადში, დღე-ღამის სწორება, 21 მარტს— გაზაფხულზე და 23 სექტემბერს — შემოდგომით. აი, ამ დროს ჭირს გარკვევა, ვინ რომელია, მეტი მოფრთხილებაა საჭირო, თორემ დანარჩენი დღეები ისედაც ნათელია. ბუნიაობისკენ ექაჩები ადამიანებს, ბაბაგე, გური?

— გაგვირთულდა საუბარი, — ვეტყვი ხვნეშით, — კეთილისა და ბოროტის თანამშრომლობის უტყუარი საბუთი თითოეული ჩვენგანია, ვალიკო, ბატონო, როცა საკუთარ თავს ვეკამათებით, ეს ორი ურთიერთმოქიშპე ძალა არ ხმაურობს ჩვენში?! მიდის დავა, ჭოჭმანი, ასჯერ გაზომვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაკრატელიც აკრაჭუნდება: სასურველ გადაწყვეტილებას ვღებულობთ. აი, რანაირ განზოგადოებულ თანამშრომლობას ვესწრაფვი, მაგრამ მგონი, თავი შეგაწყინეთ, აწი მარტოც გავიკვლევ გზას, — ვიტყვი და მოსვირინგებულ გიგანტ ბულონიაზე ხელმიყრდნობილი შეგუყოვნებდი ჩამორჩენილს.

— იარე, იარე, კაცო! — მოსჭრის და მსუბუქად მიბიძგებს თავისუფალ მხარზე.

საბატონი

წელკავივით მნაცრავს სვანური ხალხური პოეზიის უმწვერვალესი „ბილებას“ წერედიანისეული თარგმანი. შორეულზე შორეული წარსულიდან ისეთი სიცხადით ღაღადებს დღევანდლობაზე უსახელო მელექსე, თითქოს ხელისგულზე უწკმუტუნებდეს გალახული ჩვენი საწუთროს ავანჩავანი:

ამბავი არის გასაკვირი,
დიდი ხეები უვლიან ფერხულს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ჭიანჭველები აგებენ ციხეს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
დასეირნობენ თევზები მინდვრად.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ზურგზე უნაგირს ადგამენ ძროხებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მაღალ ხეებზე შემსხდარან მწყრები.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მეცხვარეებად დამდგარან მგლები.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ეჭიდებიან თაგვები დათვებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ჩიტი-ჩიორა იტაცებს ორბებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ერთი ნიბლია ამარცხებს ლაშქარს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მდინარე აღმა მიედინება.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მზე დასავლეთით ამოდის ცაზე.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
უსიტყვოდ სხედან დედაკაცები.

შენელებული კადრის კვალობაზე მიღოღავს ჟამი: მესხეთში ობსერვატორია და ათასხუთასი დეკნილი სამურზაყანოელი მოზარდი მომელის;

ხარაგაულის სიახლოვეს, ნუნისს ზემორე, ბერთაკლდესთან — კუს ბაკანი, ქვის ვეშაპი, უამრავი ეზოტერიკული თუ მისტიკურ-რეალური ფიქრის აღმძვრელი ციტადელი;

დედაქალაქში — უთვისტომოდ მიტოვებული სანახევროდ მომთავრებული თუ ახალწამოწყებული წიგნები.

შენელებული კადრის კვალობაზე მიღოღავს დრო: წამი წუთად ქცეულა, წუთი — საათად, საათი— დღე-ღამედ. გვაქვს კოლხურში უფრო ტევადი, რუსულ „სუტკა“-სავით მოჭრილი ბორჯი, სულხანსაბას ბორჯალად, რომ შემოუხიზნავს „სიტყვის კონაში“, მაგრამ სინთეზური აზროვნებისთვის მოიცლი ეროვნებაწართმეული შემოქმედი?!

საითკენაც წავედინები, ქორბუდა ირმების ფრენჩლიკისკენაა ეს, გერმანელი ტყვეების საფლავებისკენ თუ ნისლიანებში ხომალდივით შეცურებული ასკაგუბურასკენ, გამუდმებით ჩვენი შურობუმუს, ჩვენი სამშობლოს მერმისი მიწიოკებს სულს, ძარღვებს მიფატრავს და ჯიგარს მიბოჟირებს თვალსაწიერწაგვრილს.

კვლავ მარტოსულხეობელი ამესვეტება. მისი ეჭვმიუტანელი შეგონებანი ზარებივით მიგუგუნებს ყურთასმენაში:

— ეროვნების ჩამოყალიბებაში ფარატინა ქაღალდის ნაგლეჯს გაცილებით მეტი შესძლებია,

ბაბაგე, გური, ვინმეს მამა-პაპათა სამარხების ლაშქარს. აფხაზეთში აფხაზობას რომ ჩემულობს იმ ხალხის ორი მესამედი მეგრული წარმოშობისაა, ქართულენოვანი, მაგრამ ლაკადური კანის გამოცვლა ვერ მოუსწრიათ და ძირძველი აფხაზობით თავმომწონეობენ უკვე. აქამდე ჩამრჩენია მანქურთზე შენი მონაყოლი, ვინაობის დასავიწყებლად აქლემის ნედლ ტყავს რომ შემოაკერებენ თავგადაპარსულს. რას არ მოიგონებს ჩინელის ჭკუა?! მაგრამ მაინც ბედნიერი ხალხი მგონია ისინი, ბაბაგე, გური, ვინაიდან საკუთარი ხელით როდი ამოუცლიათ მეობა.

რაღა შორს მივდივართ, ადამიანების დასჯაში არც დადიანები ჩამორჩებოდნენ ვინმეს. ბიძია ლევან მესხიასგან თუ მათე ბაბუასგან გამიგონია, უამრავი საშუალება გააჩნდათ ურჩი ყმების მოსარჯულებლადო. ყველაფერი ბორკილთან, გაკოჭვადახლართვასთან იყრიდა თავს. დადიანურ უმძიმეს ხუნდს სხვანაირად ხაჯალურსაც ეძახდნენ თურმე. ტყვეს ამოღრუნტულ, უშველებელ მორში გააყოფინებდნენ თავ-კისერს, ხელ-ფეხს და — ირიკე!ზ მაგრამ უმაგალითო ბორკილი, შეუდარებელი, ალბათ, მთელს დუნიაზე, თანაც მოციქნული ამ დროს, უეჭველად— რიკია: თხილის ციდისხელა ჯოხს ბოლოებში თასმას გამოაბამდნენ, დაგაფჩენინებდნენ პირს, ამოგიდებდნენ ლაგამივით, გაგინასკვავდნენ კეფასთან და მიგიშვებდნენ ნებაზე. სიარულიც შეგეძლო, მუშაობაც, ცეკვაც და თამაშიც, ამის გუნებაზე თუ მოხვიდოდი, მაგრამ ხმა დატყვევებული გქონდა.ჰქონიათ დადიანებს ბორკილი მსედველობისთვის, იგივე — ფინახარი. ახლაც ინილავ ჩვენში მოგავალეზ კამეჩს თუ ძროხას რქებზე ფირფიცარგამობმულს. ასეთ სახუნდარს დასჯილ ადამიანს ოთხი თასმით შეუკრავდნენ კისერთან. მიდიოდი, მაგრამ ცხვირს იქით ვერ იხედებოდი.

ჰქონიათ დადიანებს ბორკილი სმენისთვის. სანთლისგან დამზადებული ცვილით გულმოდგინედ ამოუგლესდნენ ყურის ორივე ნიჟარას და მერე ზარბაზანიც რომ დაგეცალათ, გააგონებდით რამეს?!

ვადამდე, დადიანის უნებართვოდ, ყმას არც პირველი სასჯელის ახსნა შეეძლო და აღარც — მეორე-მესამისა. ურჩებს მარჯვენათი კიდებდნენ ორდოხზე უკეთეს შემთხვევაში, უარესობისას — ფეხებით, და ბოლოს — ყელით, კისრით ჩვენებურად, როცა საშველი გაწყდებოდა.

ბაბაგე, გური, როგორც ვატყობ, დიდზე დიდი რიკია ჩვენთვის გამოთლილი და ღრანჭებში ამოდებული; დიდზე დიდი ფინახარია გამოჭედილი და თვალებზე ლიბრად აკრული; ბევრზე ბევრი ცვილია გამოდნობილი და ყურთასმენა ეკორანგვილი, დახშული. ამისი ნათელი დასტურია ამჟამად გვარიანად მივიწყებული სიტყვა „შურუბუმუ“.

— შურობუმუ, — დაგაზუსტებ მე, — შურობუმუ სამშობლოს სინონიმი ყოფილა ადრე, რომელიც მოგვიანებით ოდაბადედ შეცვლილა, სულის განსასვენებელ სავანედ, საბადისად, საბადებელ ადგილად.

— ვიცი, ვიცი, შურობუმუ სულის სანთხეველია, სულის საყუდებელი. მე სხვაზე მოგახსენებ, შურუბუმუზე, რომელიც, ბაბაგე, გური, თავად შურობუმეს განმსაზღვრელიცაა, ვინაიდან წლობით რიკამოდებული, ფინახარაკრული და ცვილმოგლესილი ადამიანი ერთიანად გადაეჩვეოდი საუბარს, თვალთვალს, ყურისმიგდებას, რანაირად ენაგაკრეფილიც ყოფილიყავ ადრე, თვალმჭრელი თუ ყურმახვილი, შურუბუმად, თოჭუ-ყვერად, ყუნგად გადაიქცეოდი, იგივე შურხირილად, ენაჩაგდებულად, ენაგადაყლაპულად, თვალამოშრეტილად და სმენადავსებულად. მოკლედ, ვინმე უშველებელ ყვარილად, ყვერულად, დაყივლება რომ არ ძალგიძს, შესმენა არ შეგიძლია და რისამე დანახვაც მისდღეში არ მოგაფიქრდება. ამიტომაც, ბაბაგე, გური, შურუბუმუ ცხოვრებას, რიკამოდებულ რინას, ფინახარაკრულ არსებობას, ცვილამოგლესილ ყურყუტს, ასი წლის მკვდარი ვიყოთ გვერჩივნოს.

მკითხველი ივრძნობს, ალბათ, რომ მარტოსული ხეობის მახვშთან საუბარი გვარიანი ხანგამოშვების მერმე ცოცხლდება, აქ, ამ თეთრი კურდღლების ქალაქში, თინათინ მღვდლიაშვილისებურად.

საოცარია ბედისწერა, ყისმათი, ირონიული ღიმილის მომგვრელი დროდადრო: სიმართლეს ივი ჭედავს, ვინც გაქანებული ხელმოცარულია ერატოსა თუ მის რვა დაქალთან მიმართებაში და შურუბუმუ, ენაჩაგარდნილი ის გამხდარა, რომელიც ბოეტური მადლით კი ცხებულა, მაგრამ გამბედაობის ნასახიც არ გააჩნია. საკმარისია ჩანგები გაცვალონ ამ ანტიბოდებმა და მყისვე კალაპოტში ჩადგება ყველაფერი. მართლისმთქმელ უნიჭოებს არ ხელეწიფებათ ადამიანთა გულების ძალუმად აძგერება, ხოლო ლიქნია, გულნამცეცა ტალანტების გრძნობით დამღერებულს საზოგადოება ცალყბად ჩაატარებს ხოლმე.

წითელი მინდორიც უცილობელ კავშირშია შურუბუმეობასთან, მკითხველო, ჩემო! ადრე, სასხვათაშორისოდ მიხსენებია მასზე, ამჯერად, შედარებით მოცლილი და გილიოტინის სივილსდადარაჯებული, კვლავ ამომიტივტივდება გოდერძი ჭეიშვილის ნოველის კონტურები.

მახსოვს, კარგად მახსოვს, ჩვენსავით დამსვენებელი მამა-შვილი მანქანით დაადგება წითელი მინდვრისკენ ოცკილომეტრიან გზას. მეოცნებე ყმაწვილი ფერმწერია და ეგზოტიკური სახელის მიდამოს დასატყვევებლად იმთავითვე მოითადარიგიანებს ფუნჯს, ჩარჩოზე დაჭიმულ ტილოს, გემოვნებით შეზავებულ საღებავებს. მიაღმართობენ და მიაღმართობენ (რას ნიშნავს სიახლოვე?! ქეთი ნერგაძესავით არ მოვუქცივ?). ბოლოს, როგორღაც გაივაკებენ, სადაც გზის ხელმარჯვნივ ფერმის წაგრძელებული შენობაა და ხელმარცხნივ (შესაძლოა

პირუკუ) — ხასხასა ფიჭვნარში მომწყვდეული კვადრატული (იქნებ ოთხკუთხა) მინდორი. იქ შემოჩეხებული კაცი, მწყემსია თუ სულაც ვალიკო მესხია, გადახუნებულ ტაფობზე მიუთითებს წითელი მინდვრის მაძიებლებს, მაგრამ ამ უკანასკნელს წითლისა არაფერი სცხია, აღარც ყაყაჩოები ბრდღვიალებენ ნიავის დაქროლებაზე, არც მეწამული შეფერილობის ნახირია შეფენილი თვალის მიმტაცებლად და ქვეყნის ჭორებს ადევნებული კაცი სინანულით გააქნევს თავს, ხოლო თვალებზე ცრემლმომდგარი მემკვიდრე მანქანიდან ჩამოუსვენებლად ჩარჩოზე დაჭიმულ ტილოს სინანულით მიაწერს (ვგონებ წითელი ფანქრით) ორად ორ სიტყვას: „არ არსებობს“ — გამონაგონის, ფანტაზიის, ილუზიის ტყვეობიდან გამოდის ყმაწვილის ჰაეროვანი ასაკი და არაფერია გასაკვირი, რომ, დიახაც, მათი თაობა გადაეღობება იმპერიის მუხლუხოებს ცხრა აპრილისას. სწორედ ისინი დასცხებენ ჯოხებს გამეტებით ჩრდილოურ ტანკებს და ჯავშანტრანსპორტიორებს შმაგი დოლიძის მიმსგავსებით.

„არა, არ არსებობს წითელი მინდორი“, ქვეშეცნეულად კივის ჩემში დღემდე ახალბედა ყმაწვილი მხატვრის განუხორციელებლ ტილოზე ხელის ერთი მოსმით წარწერილი ფრაზა და რაჟამს წაბლარიწყლისპირას ჩამოქვეითებულნი სანატორიუმის მაღლივი კორპუსებისკენ დავეღირებით და გვერდიგვერდ მომავალს ძუნწად ვეტყვი ყოველივეს, მოსახვევთან შეყოვნდება ვალიკო მესხია.

— ვინ, რომელი ყრანტალებს წითელი მინდორი არ არსებობსო? — შემომიბღვერს პროვოცირებული საუბრით ანთებული, — ვის, რომელს შეუძლია ხელაღებით დაამტკიცოს აისი და დაისი მეწამული ფერის არ არისო? წითელი მინდორი, ბაბაგე, გური, ოგივე საქართველოა, განსაცდლის ზღვარ-კიდემდე მისული საქართველო; საქართველო, რომელსაც რუსეთუმეებმა, შურუბუმუებმა, ალიკაპიანობა, გულამოცლილებმა თუ შენმა მანქურთებმა წირვა გამოუყვანეს. აი, რატომ არ შეიძლება ბუნების კანონების ადამიანებზე მორგება! აი, რატომ არ შეიძლება ძნელის იოლით ამოხსნა, შეცდომა მოგივა, თანაც — გამოუსწორებელი.

მზეზე გამოსული ნაძვი თანდათან თრგუნავს, ავიწროებს ჩრდილში მდგომს. ვერ ვხედავთ თორემ ათასი კბილით და კლანჭით ანაფლეთებს მეტოქეს. ოგივეს მოიმოქმედებენ ლომიდან მოყოლებული წრუწუნათი დამთავრებული. მტაცებლებს ვეძახით არწივს, ძერას, აფთარს და ფოცხვერს, მოკლედ, თითოეულს, რომელსაც კბილების თუ კლანჭების აელვარება შეუძლია, მაგრამ ნაკლებ მტაცებელია განა ხეზე გადაცოცებული ვასაკა თუ ბუნების მშვენებად აღიარებული შვლის ნუკრი თუნდაც?! პირველი ჩვენთვის უჩინარ მწერებს მიიზიდავს ენის წკლაპუნით, ხოლო მეორე ჯერაც მობიბინე ბალახს თვალდაუხამხამებლად აგზავნის სტომაქში. მტაცებელია ბუნება უსუსურიდან დაწყებული უძლიერესის ჩათვლით და ასეთი მოქიშპეობის პირობებში, სასაცილოა მათ თავზე სახარების კითხვა, ბაბაგე, გური. მიუღწეველი ოცნებაა თხისა და მგლის ერთად რუსთველისეული ძოვინება. ესეც შენი წითელი მინდორი, გასაგებია?!

რატომღაც მაიაკოვსკი ამოიზრდება ხსომიერებიდან, ჯიუტქოჩრიანი, როგორც წაბლარიწყლის ტალღაა ზემორე აშვერილი წითელყდიანი პასპორტით. მზე აღმართავს ხოლმე ამგვარად გარიჟრაჟებს და უნდა დაფაცურდე: ტყაჩუ — ირიდი სართანია, მეფუტკრე — კოჩია ქარდავა, მენახირე — ძიკი კვარაცხელია თუ მარტოსული ხეობის მახვში — ვალიკო მესხია.

საკუთარ ფიქრში მოხრაკულო, მიმწუხრის რაინდო, შენც ლელთ ღუნია ხარ საქართველოსთვის, მხცოვანი ლელთ ღუნია, მისი სულიერების ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, მისი ტკივილების ბაწარაღებით მოყურადე, მისი ცის ობსერვატორია და ხევხუვის ელექტრომიკროსკოპი.

ექსპერიმენტების პანტაპუნტს კი რა გამოლევს ჩვენში?! როგორც განუწყვეტლივ ცვივიან დედამიწაზე მომცრო და მოზრდილი მეტეორები, როგორც დღენიადაგ ემატება კოსმოსური მტვერი ჩვენს მხრებს, ქედებს თუ აბასთუმნის ზესიმძლავრის ლინზებს, ასევე გვეშრიტება უფლის უსასრულო გამოცდით ღმერთსგათანაბრებული საშობლო — ოდაბადე, ობადიში, შურობუმუ, მაგრამ ვალიკო მესხიასი არ იყოს, ნებისმიერი ექსპერიმენტი განწირულია საქართველოში, აბაშისაა ეს, ფოთისა თუ სხვა, მომავალშიც რომ აღმოაცენებს დრო მიწაში მოსროლილი დრაკონის კბილებისგან და, აჰა, 14 იანვარიც: სამარცხვინო მიჯნა, ხრამი, ოგივე წითელი მინდორი მითიურ და აწინდელ უპიროვნო საქართველოს შორის.

ისევ შენ და შენისთანები მეგულებით საიმედო გადასასვლელ ხიდეებად, ბონდებად, ბოგირებად ორათასწლეულის მიწურულის ლელთ ღუნიავ, ჩემო თოლი მესხიავ, წარსულიდან მომავალში გასაღწევ ბეწვის ხიდად, რომლის ქვემოთ სტიქსი, ლეთა და პერსეფონე შეკავშირებული ძალით მიღვარცოფობს მგზავრთა გულების შემაგიწროებლად, მაგრამ კვლავ მარტოსული ხეობის მახვშის შეუვალი ქედმაღლური პათოსი გამამხნევებს, გამასაღკლდევებს სულშეჭირვებული ქართველის გენიოსობით, რომელიც უცილობლად პოულობს გამოსავალს თითქოსდა უნუგეშო სიტუაციაშიც და აქამდე ჩრდილოეთი რომ გვიტევდა შეფარვით, კრილოვ-ეზოპესეული ენით, ირიბად, შემოვლით, ხვევნა-ალერსში ნელ-ნელა გვაცლიდა მიწას ფეხქვეშ, შარბათში შხამს შემოგვაპარებდა, გუგულის კვერცხებს გვაჩეკინებდა ხოხბების ნაცვლად, თანაც მკერდში მჯიღს გვაბაგუნებინებდა: ხომ ხედავთ, როგორი ინტერნაციონალებიცა ვართ? კანადა, შვეიცარია ჩვენთან რა მოსატანია! ახლა ასამდე ეროვნებასთან თუ ვცხროვობთ უზრუნველად, უპრობლე-

მოდ, მეგობრულად, ხვალ ორასამდე გავზრდით ამ მაჩვენებლებსაო, გავყვიროდით კოსმოპოლიტური თავ- მომწონეობით. საპნის ბუშტივით გასკდა ჩრდილოური ილუზია, მირაჟი და წუთისოფლის შავთეთრმა კანონზომიერებამ გამოარკვია, რომ ინტერნაციონალური საშობლო კი არა, პირწავარდნილი ბაბილონის გოდოლი გვიშენებია, ყველა რომ ჩმუღობს, ყველა რომ ეპოტინება მის ისტორიულ მიწა-წყალს;

ჩრდილოეთიდან ოსები მოჩოჩავენ, ჩრდილოდასავლეთიდან — აფხაზები, სამხრეთიდან — თათრები, სომხები და თურქები; ზღვიდან და ჰაერიდან — ამერიკა-ევროპა. არ იცი საითკენ გაიხედო, ვის მოაპყრო მზერა. თურქულ რუკაზე საქართველო გადასანსლულია; ირანული კარტოგრაფიით საქართველო შეხრამუნებულია; სომხური, ველიკოარმენული ჩმახებით საქართველო მონელებულია; რუსულ, აბსტრაქტულ თუ რეალურ რუკაზე ხომ ჩანთქმულია და ჩაქვესკნელებული.

და აჰა, ჩვენი ვარაუდების პირველი ყლორტები: 14 იანვარი — ქართველი ახალშობილის თუ ზრდასრულის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებიდან ამოღებულია ეროვნების რეკვიზიტები, გამტყდარია ციხე შიგნიდან მერამდენედ. საკუთარი ჯიშ-ჯილაგი, საკუთარი ასულები და დედაკაცები მიგდებულია უცხოეთისათვის გადასავლელად! დაყრილია მარგალიტები კოლტისთვის! მაგრამ ყველაფერს ეძებნება ახსნა და ჩვენც სულის ქავილამდე გვაინტერესებს, მაინც რა მიზეზები კვებავს ქართული პასპორტიდან ეროვნების რეკვიზიტის გაქრობას: იქნებ შორსმზირალი სტრატეგიაა — ჩრდილოეთიდან ამომავალი მზე; იქნებ აისბერგია, რომლის სამხრეთულ, საშვილიშვილო წყალწყვას ვერ აღიქვამს ფინანსურებით შელიბრული ჩვენი თვალსაწიერი?!

გონებაში მოცურავს მაიაკოვსკის ყამასავით ამოშიშვლებული წითელი პასპორტი. ა�ა? როგორი სიამაყით აცხადებს პოეტი: „ჩიტაიტე, ზავედუიტე, ია გრაჟდანინ სოვეტსკოგო სოიუზაო“! შესაშურის მეტი რაა, სანატრელის მეტი, რამეთუ იქ შავით თეთრზე მაინც მიეთითებოდა თითოეული საბჭოთა მოქალაქის ეროვნება: ქართველს ქართულად ამუნჯებდნენ, უკრაინელს უკრაინულად აყრუებდნენ, სომეხს სომხურად აბრმავებდნენ, აწ კი მოსულა წარღვნის ახალი ერა — ათქვეფა გოგლიმოგლის, აჯაფსანდალის სტილში.

არ დაუწყიათ ახალმატერიკელებს რუსებივით რებუსული ბწკენები, არც გუგულის კვერცხების შემოპარება დემოგრაფიული რუკის კონტურების შესაცვლელად. სულ რაღაც რვა წელიწადია თანამშრომლობის გაუბედავი ძაფები გაგვიბამს მათთან და აჰა, ამ უდღეური ალიანსის შედეგიც — 14 იანვარი, ანუ მსოფლიო მოქალაქის, კოსმოპოლიტური ცვედანის ნიღბის ჩამოფარება სახეზე. აჰა, გაკვესა გონებაში მეორეათასწლეულის მიწურულის ღელთ ღუნიას ალიკაპმა ენის შესაბოჭად, შურუბუმუობის ოკეანემ.

არა, უნდა ჩავყურყუმელავდე ერის სულიერების უჩინარ მდინარებაში მორიელისგან დაგესლილი კუ. ეჰეი, შურუბუმუ ქართველო, საკუთარი ნებით პირში რიკამოდებულო, მაინც ვის აძლევს ხელს შენი დადუმება?! არ დამთავრდება წყეული ექსპერიმენტები შენს თავზე?! ვის სჭირდება ვარდზე თვალმინაბული ბულბულის მოხელთება, წულეისკირის ფრინველმოძულე მოზარდს ხომ არა, ახალმიწელის სახით, ტუჩებზე დედის რძეშეუმშრალს ჯერაც, ვინაც ტლუა საშობლოს სიყვარულის ცნებაში, შურობუმუს მისტერიებს ვერ აღაგლენს ცად, გოდებისმაგვარს.

მამულის ფეთქვა ჯიგრებში რომ გაგიჯდეს ათასწლეულია საჭირო, იმ ყრმას კი ფულის შოვნის იქით არაფერი ელანდება, საშობლო მოშთობილი მაფშალიაა საფიტულედ; მისი ლურჯ ზოლებიანი კვერცხები — საკოლექციოდ. ოდესმე ეს ახალმიწელი ღლაპიც აღენთება უცილობლად პატროფილური გენით, ათასწლეულს მიღმა აღენთება, სამიათასის მიწურულს, მაგრამ ორიათასის კენწეროზე შენს მამულიშვილურ სულისკვეთებას რომ მუსრავს 12 მილიონი ინდიელის მსგავსად, დღეს ჯოგივით რომ შეყრილა რეზერვაციაში და პირში რიკამოდებულია, კიზის გოლიათი პერსონაჟია საგიუეთს შეფარებული, ოდეს გუგულის ბუდეს გადაუფრენენ?!

შურუბუმუ — ენაგაკმენდილი, ენაგადაყლაპული, ვინაობაწართმეული, საშობლოს კოცონზე გამყვანი, საკუთარი ნებითვე საკუთარი გოდოლცათამბჯენის დამამხობელი ... გასაოცარია, გასაკვირი, გასაგიუებელი.

აღოქმული ქვეყანა ყოველი კუთხე-კუნჭულიდან მოუხმობს თავის ასულებს და ძეთ; ისრაელი პატროფილიის ეტალონად წარმოჩინდება XXI საუკუნის დამდეგს, ფერფლიდან წარმომდგარი ფენიქსის სინონიმად და ეს პროგრესულია მსოფლიოს თვალში!

ივივეს მოიმოქმედებს არანაკლებ მითიური არმენია, ისიც ათასგზის იავარქმნილი, უთვალავჯერ სულშეძრწუნებული, კვლავაც და კვლავაც თავაღერილია საშობლოს უკვდავების რწმენით. გაღმა ედავება კარის მეზობელს ყარაბაღზე, და სადღაც ახალ მატერიკზე რომ მოსახლეობენ, ვინმე მიკირტუმ გასპარიჩი თუ უსინათლო მორდოხაი, დიახაც, ძირითადი, ნამდვილი დედულ-მამულისთვის იღვწიან და რუდუნებენ, მილიონებს აგზავნიან მათი ბჭეების გასამაგრებლად თუ გასავრცობად და ესეც სრულიად ნორმალურია ცივილიზაციის მაღალ მორალში!

აქ კი, გამცემლური 14 იანვარია! როგორ ენათესავება ციფრობრივად ეს თარიღი 14 აპრილს და რანაირად შორდება შინაარსით, როდესაც ერის მრისხანება ზეცას უწევს და ღირსეულად გადა-

ეფარება საშობლოს თვითმყოფადობას?! მაგრამ დღეს, დღეს რა ღმერთი გვიწყრება?! სად არიან საამოწყალო ბარათებზე მოსადილე ტელე-რადიოს ჟურნალისტები?! რისთვის არ სხდებიან კიბეებზე პროტესტის ნიშნად?! რატომ არ გადაკეტავს შუა რუსთაველს შუაზე გახლეჩილი ედეპე?! რატომ არ იქნევს მუშტებს აკოკრილი კანაფის სურნელით ეგზალტირებული ექსპრემიერი:

გამოეთრეს გარეთ თქვენი კურდღელი პარლამენტიო?! ეჰ, თბილისი ხომ თეთრი კურდღლების ქალაქია, თინათინ მღვდლიაშვილისებურად?!

არა, უნდა ამოვხსნა ვის, რომელს დასჭირდა საქართველოში პირადობის დამადასტურებელ საბუთში ეროვნების ამოჩიჩქნვა? ვის ეზედმეტა, ვის აებლანდა ფეხებში?! რომელთა გზა-სავალს აფერხებს, რომელ მისიას, რა განზომილებას შეუყენებს წყალს?!

ეროვნებათა სიჭრელე რომ კაცობრიული ცოდვის ნაყოფია, ბაბილონის გოდოლის მითიდანაც ჩანებულად ჩანს. ერთგვაროვნად მოსაუბრე მსოფლიო ღმერთს ყელში რომ არ წვდომოდა, წიგნების სასახლეებით ცისკენ მიმავალს ენა აურია და დაამხო. მანამდე კი უნასისგან ცდუნებული ევას ხეცნობადის ნაყოფი მოაწყვეტინა და თვალის დაუხამხამებლად შეასვლიპა ადამს. ღმერთს უფრო ადრეც შეეშინდა ტალახისგან გამოცხობილი კაცუნასი, რადგანაც ბოროტისა და კეთილის არსშეცნობილი, ადვილმოსალოდნელია უკვდავებასაც წაპოტინებოდა და მერმე ხომ შესაძლოა მთლად უფალთუფალის სახსენებელიც გადაეშენებინა ედემის ბაღიდან, რამეთუ გამეცნიერებული გლეხი ვაჟაისებრ თვითონვე მოგვევლინებოდა ცაბაოთად და რადგანაც ერთ ქარქაშში ორი მახვილის ჩაგება შეუძლებელია, ვის დარჩებოდა სრულიად საყარო, თუ არა გაგულთმისნებულ და გამესიაკონებულ თიხის კაცს?! თუმცა მოისროლეს ტალახში, მიწას მიწა მიეპატა და მას აქეთ ენააღრეული ეხეტება კარდაკარ.

ქართველი კი იმ მუხას ჰგავდა და ჰგავს, რომელსაც მუმლი ეხვეოდა მიწყივ, მაგრამ ბიჯიც ვერ წაადგმევინეს თავისი ტერიტორიიდან, თუმცა შემომსხვრევია ტოტები უხვად, უმოწყალოდ და მიუხედავად ყოველივესი, მაინც ურყევია, ალაგ—შემხმარი და ალაგ — შეფოთლილი, ვინაიდან მშობელ მიწაში უდგას ფესვები; საკმარისია ზიზილპიპილებით მორთული უცხოეთისკენ წააბიჯოს, რომ მყისვე ნოსტალგიაში, უსაშობლობაში ამოხდება სული.

დაე, იმომთაბარეონ ინდო-ევროპელებმა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ; დაე, იოკეანონ ესპანელებმა და ინგლისელებმა მატერიკების აღმოსაჩენად ზღვა-ზღვა; დაე, იკოსმოსონ მზის სისტემასა თუ ირმის ნახტომის გალაქტიკაში ამერიკელებმა და რუსებმა ჩინელების ერთობით; ქართველი კაცის ჭარა, ივივე ბედისწერა — გეორგიანობაა, ანთეოსობა, მიწისმოყვარეობა, ფუძის ანგელოზისა და ნერჩის თაყვანისცემა, „ლილეოსა“ და „ოდიოსაში“ გადახლართული ვენახის მისტერია და თუ მამაღმერთი უკუაგდებს კაენის ოფლითმოწეულ ნაყოფს, აქაც ძველისა და ახლის სიმბოლური ჭიდილია, აბორიგენულისა და ახალჩამოთესლილის ორთაბრძოლა, ზევსის არწივივით დამცხრალი მძლეთამძლე ამირანის ღვიძლს! დიახ, ამირანის ღვიძლს ჩაუნისკარტეს 14 იანვრის შემოქმედთა პრეზიდენტის წათვლემის თუ სპიკერის წაგასტროლების პირობებში.

— ახლაც შეუვსებლად დევს ჩემი პასპორტი „ოვირში“, — ვეუბნები თოლის საბოლოო განშორებამდე, — აბა, რა მექნა, როცა შევიტყვე, რომ შიგ ჩემი ვინაობა არ გაჭაჭანდებოდა? დამიბრუნეთ ძველი, საბჭოური პასპორტი-მეთქი, გავიბრძოლე, მაგრამ უკვე მოესწროთ მისი გაუქმება და ლამინირებული, ცელოფანში ჩასმული მოწმობით გავდივარ ფონს, სადაც შავით თეთრზე მიწერია: „ეროვნება — გალის რ-ნი“.

— მოლასავით მოგსვლია, — ირონიული ღიმილით მეტყვის ვალიკო მესხია, — სიზმარში ღმერთისგან შემოძღვეულ, კაპიკით ნაკლულ მილიონს რომ იუარებს. გაიღვიძებს ბედოვლათი და იხილავს რა გარშემო გაღლეტილ ყოფას, ისევ დახუჭავს თვალებს, მაპატიე უფალო, ნახევარზეც თანახმა ვარო, დაიღმიჭება, მაგრამ ვინ არის გახვრეტილი შაურიანის გამღები?! აღა მახმად ხანი სპარსული შაქარყინული ყოფილა იმ პასპორტის ჩამომტანთან შედარებით.

— ხმას ამოიღებ და უვიცს, გაუთლელს, ჩამორჩენილს გეძახიან, თითქოს ეროვნულობა ამუხრუჭებდეს ჩვენს წინსვლას და განვითარებას!

— გვარნაცვალთა დაყრილია ეგ საკენკი, ბაბაგე, გური. მათთვის რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ქართველი სად დაიმარხება; რამდენი როგორი გაჩნდება; რამდენი რაფერ დალაყუნობს?! სანამ საჭირო, არიან შეფარებულნი ქართველობას, შეიცვლება ვითარება და მყისვე გადაირქმევენ გვარსახელებს, მყისვე გადაინათლებიან. მთლად მომიკალი გული და ეგ არის! უეროვნოდ როგორ გინდა ჯიშ-ჯილაგი შეინარჩუნო?! სულ წახვედით ხელიდან, კაცო?!

— თურქეთში, საფრანგეთში, სხვაგან, განურჩევალად ყველას, ქართველია ეს, ბერძენი, სომეხი თუ ზანგი, ეროვნებად თურქი და ფრანგი უწერიათ, ვალიკო, ბატონო ...

— ეგეც დიდი სიბეცეა, — კოლბოხს ჩექმის ჭვინტს წახკრავს გაგულისებული, — გაფრანგებული კონგოელი ჭილყვავივით რომ მოედება იქაურობას, მაშინ შემოირტყამენ თავში ხელებს, მაგრამ გვიან იქნება საგალალოდ. რა, ფერი შეეცვლებათ თუ აღნაგობა? რაც მილიონწლობით ჩამოყალიბებულა, იმას საუკუნეები გადაასხვაფერებს?! უცხომიწელები შავ მუშებად ჭირდებათ ფრანგებსაც, გერმანელებსაც და თურქებსაც. საპირფარეშოს გამოწმენდას, ქუჩის დახვეტას არ კადრულობენ, ბა-

ბაგე, და იაფი მუშახელის სახით მოდის კიდეც მათი ეროვნული აღსასრულის დღეც.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში ნებისმიერი ეროვნების ადამიანი, ამერიკის მოქალაქეა და მორჩა, შენი ეროვნება მიიწებე შუბლზე, — ვფიქრობ ჩემთვის, — ვინც ინგლისურად ვერ ატლიკინებს ენას, მჭადს არ მოუტეხენ, წყალს არ დაალევინებენ. იარაღით მოპოვებული ქვეყანაა ამერიკა, ძალადობას ჩვეული, ინდიელების გაჟუჟვის ხარჯზე, მათ ჩონჩხებზე აშენებული ცათამბჯენების ქვეყანა, უამრავი ეროვნების უსამართლო დაბეჩავების კერა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მართვაც უმრავლესობის ხელში მოქცეულა: შტატებში ინგლისელებმა იყოჩაღეს, კოლუმბიაში — ესპანელებმა, პუერტორიკოში — პორტუგალიელებმა. მიუდგები ახლა იმათ 14 იანვრის საზომით? ხომ ზეზეურად გადაგჭამეს თავი?!“

— ღმერთის გაჩენილს ადამიანი ნუ ეტორღიალება, ბაბაგე, გური, — მომეძალება ისევ ვალიკო მესხიას ხმა, — უკუდო ხარს ნუ ვემსგავსებით: მგელი ყმუის, მამალი ყივის, ხარი ბღავის, ლომი ღრიალებს, ვირი ყროყინებს. ამ ცხოველების ენა ერთნაირია ამერიკაშიც, აფრიკაშიც, აზიასა თუ ევროპაში, მხოლოდ ადამიანია განსხვავებული, რომელიც ბუნების კანონებს არ ექვემდებარება.

ენა, ეროვნება ამა თუ იმ ხალხისა უმთავრესი საგანძურია. ქართველს ამ ბალავარს თუ მოუშლი, მეისვე უკრუნო წიწილებს დაემსგავსება, ქორი რომ წააწიავებს სათითაოდ.

ჩვენ საკალალოდ ყოველთვის ორ ენაზე გვიხდებოდა არსებობა: უძველეს წარსულში ქართულ-ბერძნულად, ქართულ-რომაულად, ქართულ-არაბულად თუ ქართულ-სპარსულად. გამოხდა ხანი და ქართულ-რუსულ- ად ავჯგირჯგინდით. ახლა ინგლისური მოგვძალებია... ბუნებრივია, თავის დროზე თითოეულმა ენამ გარკვე- ული კვალი დაამჩნია ჩვენს მეტყველებას, ქცევას და ხასიათს, მაგრამ მთავარი მდინარება მაინც ვერ დაშრიტა, შესაძლოა კალაპოტი შეუცვალა ხან სამხრეთისკენ და ხანაც — ჩრდილოეთისკენ, მაგრამ ნათქვამია: წყარ ნაწყარს დო შარა ნაშარსიავა, და რადგანაც ფეხთაქვეშ მიწა გაგვაჩნდა: ეროვნებად, სხეულად, სამშობლოდ, ხოლო თავსზემოთ — ზეცა: ენად, სულად, ფიქრად და ოცნებად, მოვღწეულვართ კიდეც დღემდე, საქართველოდ, ქართველებად.

თქვენია, ბაბაგე, საწურ-კალამი, ქაღალდი, ტელევიზია და რადიო. ამხილეთ ის დამაქცევრები! საჯაროდ გამოაჭენეთ გვარ-სახელებით, ისე რომ, იმათ ნათესავებს საზოგადოებაში გამოჩენის რცხვენოდეთ. ამანაც თუ არ გაჭრა, იფნის წკნელებს მე მოგიმარაგებთ — აუჭრელეთ გვერდები და თუ ესეც არასაკმარისი გამოდგა, გააპანღურე საქართველოდან თავიანთ უცხვირპირო პასპორტებიანად!

მაინც რა არის დამალული ქართველობის უარმყოფელი ქმედების მიღმა? ვეკითხები ჩემს თავს.

დავიწყოთ ანდან:

კი, ბატონო, უმადურ გერებს — ქართველებს, აფხაზეთს ჩამოგვაჭრის ხელწაგრძელებული დედინაცვალი — რუსეთი, მთელ ზღვისპირეთს აგვაწაპნის ამერიკასთან ბოლოდროინდელი ჩახუტებების გამო, რადგანაც ჩვენისთანა გემრიელი ლუკმა არავის ეთმობა;

კი, ბატონო, უნდა გავუგოთ ისტორიულ მეზობლებს, იმათ ხომ სურვილისამებრ არ ირჩევენ. მათ სტრატეგიულ რუკებზე ხომ საქართველო აორთქლებულია, როგორც ეროვნების რეკვიზიტი ჩვენი მეტრიკა-პასპორტიდან? რას ერჩი, უმადლოდე კიდეც უნდა, უსისხლოდ, თოფის დაუხლელად რომ გებრძვის, ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე (ჯერაც ვერ გამოვსულვარ ჩრდილოეთის სტილური ზეგავლენებისგან), უმტკივნეულოდ, ეკოლუციურად გიცვლის ფსიქიკას?!

კი, ბატონო, უნდა გავუგოთ ოკეანისგაღმელ წითურ ბიძა-ბიცოლას, რომელთაც ფული გაუხდიათ უმთავრეს კერპად და ამ ძრავალსახა ხვლიკისფერ მოლოქს თვალისდაუხამხამებლად სწირავენ პატარა ერების სასიცოცხლო ინტერესებს. ამჯერად კავკასიაა მხედველობის არეში; მისი ენობრივი თუ რელიგიური სიჭრელე აღიზიანებს, თვალში ეკალივით ესობა. ამას ხომ ათასწლეულს იქით გაუფაჩუნდება ის უჯრედი, პატროფილურ განცდებს რომ ამოსტყორცნის გულისგულიდან ოდესმე ასკაგუბურას საფუტკრეთის სიახლოვეს მოჩქაფუნე წყაროსავით?! რატომ აშთობენ მტილოვანში გალობისას თვალგანაბულ მაფშალიას?! ვისი ყურთასმენა შეაწუხა ბულბულის სააურმა ჰანგმა? ვისგან, რომელი გულქვაობიდან ამომხეცებულა ეს გაუგონარი შურუბუმუობა, რიკის ამოდება ლაშებზე საკუთარივე ძალისხმევით?!

მივყვეთ მსჯელობას: გატანილია საქართველოდან ყოველივე მოძრავი: ბორბლებით, მარხილებით, რუკზაკებით თუ ცხენ-ჯორ-აქლემით; გატანილია: კოვზი, ჩანგალი, დანა, უნიტაზი, ჩარხი და მაქო, გემი, რელსები ორთქმავლებიანად; ტაფეები, ტაფეები თუჯალუმინ-თითბრისა უარვინო სულების მოსახრაკად. დიახ, ჰომეროსის ჭკუაულევ ოდისეგსს მივმსგავსებულვართ რამდენადმე პოლიფემის გამოქვაბულში დატყვევნილს, რომელიც დამალავს საკუთარ სახელს, „არავინ ვარო“, გაენდობა პოსეიდონის ცალთვალა ძმას — ციკლოპს და როდესაც ეს უკანასკნელიც წაშამფურებული ბარჯგით დაბრმავდება, მთაკაცი ბნედიანივით შეასკდება გამოქვაბულის გოლიათ კედლებს და ცხვრის ტყავს შეფარვით გაშლილ ზღვაში გასული ოდისეგსს უშველებელ ლოდებს დაუშენს გასანადგურებლად სიტყვებით:

არავინმა დამღუპა, არავინმა დამაქციაო!

დიახაც, ამგვარად შეგვეძლება ახლო მომავალში შევეხმიანოთ მსოფლიოს:

არავის ფულები წამოგვიღია ჩვენ, და რადგანაც,

ბატონებო, არაფერი გაგვაჩნია მის ასანაზღაურებლად, ინებეთ სარგებელში, არავინ საშობლო-თქო.

დაახლოებით ამგვარადაა საქმე 14 იანვრის დილასისხამიდან. პატროფილია ატროფირებული ხალხისგან მოდის უამრავი საძაგლობა წარსულდღეგანდლობიდან: გომორი თუ სოდომი, შიდსი თუ ცისფრიანობა და აწ საფლავებში წრიალებენ ბარათაშვილები „ყანწელების“ ამალითურთ ამ უმშვენიერესი, ხშირად ნაელვარები სიტყვის ფრიად საჩოთირო ინტერპრეტაციის გამო.

დიახ, ყველაზე უსათუოესს, უანკარეს ჩასცეს ლახვარი სულში მატერიკელებმა, რათა ცისკენ არ გაიხედოს ადამიანმა, თანაც თვალსაც არ ახამხამებენ ისე, ცისფერი ვარ, სერ, და ქორწილში პატივს ხომ არ დამდებდით მაყრად? თქვენსავით ულვაშაღერილს ვუწყვილდები მომავალ შაბათსო, უძებნიან საზოგადო გამართლებას თახსირ უკუღმართობას.

ამიტომაც, არაფერია გასაკვირი სნებოვანი მატერიკით დაშინებული გოგუაძეები, კვარაცხელიანი, მარგიანები თუ ერგასათასელი ჭკუაბორგებული არავინ ეროვნებით, ისევ შეჩვეულ ჭირს — რუსეთს მიჩოჩებია, ეზოპეს მკბენარმომრავლებულ ქელიასავით, გასუფთავებას რომ არ დაანებებს თვისტომს, ვინაიდან ძველი ტკიპა თუ ბაღლინჯო სისხლით გამძღარა, ხოლო ახალი დამშეული მეტის გამძაფრებით განუმრავლებს რამდენადმე მიყუჩებულ ტკივილს.

ახია ჩვენზე — ქართული თვითმყოფადობის დამამკვიდრებელს უწყინარ თანამდებობას, პრეზიდენტის რეფერენტობას მივუბოძებდით, და აგერ, დრაკონის კბილებისგან აღმოგვიცენდა კიდეც 14 იანვარი, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია და საარვისო პასპორტს ცხვირ-პირში მივახლით დედაწულიანად წყნარი ოკეანიდან ამოვარდნილ ქარტეხილებს.

აქედან გამომდინარე, ალბათ, გასაგებია გვერდიგვერდ რისთვის ვდგავართ ბარიკადებთან მთლად რადიკალურად მოაზროვნენიც, მემარცხენე-მემარჯვე- ნეებიც, ცენტრისტებიც, დემოკრატიას ამოფარებულნიც თუ ტირანიის მქადაგებელნი სულაც — უფრორე აღმატებული დიდგორი საქართველოს ყოფნა-არყოფნას თავისი არსებობის მანძილზე არ უწერია! დიახ, 14 იანვრიდან მოყოლებული ულვაშიანი ქართველი ირონიაა, გმირთაგმირი წინაპრების დაცინვაა, ფარსი — ტრაგედია კომედიის მოსასხამში. აკი, შოტლანდიელები თუ ირლანდიელები ეროვნული ღირსების შელახვის გამო დედაკაცურად შეიმოსებიან ქედისმომხრელი ანგლო-საქსების წინაშე, ბოლომოფრიალე კაბებს ჩაიცვამენ და დღესაც იმ აღკაზმულობით აჭყვიტინებენ ხბოსფეხა ზურნებს თუ ეგებებიან ტყვიებს თავისთავადობის ეკლიან გზაზე. ო, სანკტა სიმპლიციტას! ო, უწმინდურო ანგარიშიანობავ! ედემის ბაღისკენ ხაბარდა! მონანიებულია იესო მაცხოვრისგან საყოველთაო ცოდვები და ქერუბიმების ქერეჭიანი სხეულებით გარშემორტყმული ცხოველი ხეც თითსწვერებზე შემდგარა მაუკვდავებული ნაყოფის მოსართმევად ...არა, ჯერაც ვერ ამომიხსნია სრულყოფილად უარვინო პასპორტის შემოქმედთა საწადელი. გაღმაოკეანელთა გულისთქმას რამდენადმე მივუახლოვდებით, როცა შეძლებისდაგვარად გავაშიშვლებ საფინანსო ორგანიზაციების მეცადინეობას დევიზით: „ბევრი ვეცადე შენთვისა, ძლივს მოვახერხე ჩემთვისა“.

ჭეშმარიტად, მომხმარებლურ, მცონარულ ქვეყნად წარმოგვისახავენ, თავიანთი ჩაწოლილი ჭარბი პროდუქციის გამსაღებლად. მერე და ვის? ერს შემოქმედს! ერს აღმაშენებელს! ერს გეორგიანელს, სიტყვით და საქმით უკვდავებისთვის მებრძოლს ნიადაგ! ოქროს მომპოვებელს ქიმიის მეთხებით ქრისტემდე ოთხიათასწელს მიღმა! ფოლადის მწრთობელს! გუთნისდედას და ზანდური ჯიშის ხორბლის პირველ მომკელს! ზეკოსმოსური ხმების მბეჭველს პოლიფონიურ საგალობლებში: მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მარადიულობის დამგუგუნებელს ათადან და ბაბადან!ასომთავრულის პირველშემქმნელს!ღვთიური ცეცხლის ჩამომტანს მიწაზე პრომეთე-ამირანარამხუტუს შემწეობით! ოქროს საწმისზე, ოგივე ცხვრის ტყავზე, კირბებზე, კირიბიშზე მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის უმთავრეს ცნებაფორმულათა აღმბეჭდავ ხალხს, რომელიც დანარჩენ მსოფლიოს ალმა მატერივით ვაწოვებდით ზეგარდმოვლინებულ სულს. ტუჩებზე დედის რძეშეუმშრალი უწარსულოონი კი მოშურნეობით იტყვიან:

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე ქართველები ასოთხმოცი გრადუსით შემოვაბრუნოთ და ჩვენს აქრაში შემოვიერთოთ, გავხადოთ ჩვენსავით ყველაფრისმქონეებად და მაინც არვინადო და როდესაც ორი უცნობი შეხვდება აბრეშუმის გზაგასაყართან, დიდი და პატარა არავინ, საუბარი გაადვილდება, რადგანაც ოდნავმეტ არავინად გადაიქცევა, რომელიც „ჩაკრულოს“, „კრიმანჭულს“, „ლილეოს“ თუ „ოდოიას“ კი მღერის ნოტების შესატყვისად, მაგრამ აღმოსავლეთში — ფეხმორთხმულად, ოიგასგან ნაწოიკები შიგნეულით და დასავლეთში — უჯიგრო მოშვებულობით, ქართული სანელებლების უქონლად, უპილპილოდ, რაჰათლუკუმური დატკბარუნებით, რომელიც ნაკლებად ეგუება ჩვენეულ გათარანებულ გულფიცხობას.

კვლავაც მარტოსული ხეობის მახვშის სიტყვები ამოიწევა ცნობიერებიდან: — ბოროტებას და სიკეთეს, ბაბაგე, გური, ერთ უღელში ნუ შეაბამ, რათა მიწა გადააბრუნო და მეტი სახვალიო მოსავალი მოიწიო. არ შეიჭმევა ის პური მადლიანად. შეუძლებელია ერთ ტაბლასთან დასხა წმინდანი და უზნეო, ბილწი და კეთილშობილი. ეს ხომ იგივე ბუნიათბაა, ყველაზე საშიში, ყველაზე დამამხობელი განურჩევლობა?! ბუნიობის თემას მივუძღვენი მე ესეისტური მატიანეს ერთ-ერთი განაკვეთი „მეირონახანი“, მაგრამ რადგანც ახლა ჯერი მიზანმიმართულ სიცხადეზე — „ფადაასობაზეა“, ბა-

რემ ბილომდე გავარკვიოთ, რას გვერჩიან, რისთვის ამოგვზლეტენ პირიდან ენას, ან რატომ გვჩრიან ყანყრატოშივე დადიანის რიკუებით? ვისგან, საიდან მოდის ეს ფართომასშტაბიანი შემოტევა?! საიდან მოღვარცოფობს, ღეთას რომელი ნაპირიდან?! მანქურთობა და შურუმუობა გამოგვივლია. კიდევ რა გველის, კიდევ რა განსაცდელს გვიმზადებს საწუთრო?! ივივეს ხომ არა, რასაც გებელსი — თავის ანგელოზებს: ნუგბარეულით ციანიკალს შეაპარებს ოქროსფუჩეჩებიან მოზარდებს და თანაც:

ძილი ნებისა, მამიკო, ეფერება თითოეულს მუმიასავით გამოჩუჩუნებულის გამოხედვით? აი, საითკენ გვიბიძგებს თურმე 14 იანვრის უარვინობა, 14 იანვრის უთვისტომობა, 14 იანვრის უპირიოვნობა, ჩვენს თავს ქართველ ხეროსტატეთა ხელით დანთხეული! თითებზე ჩამოსათვლელი წლების მანძილზე უამრავი ჯიბე გასქელებულა კომპრადორობით. აურაცხელი უცხოური კრედიტ-ინვესტიცია ხან რიკივითაა გაჩრილი ნუკორიში ქართველის პირს, ხან ფინანსარივითაა თვალებზე აკრული და ხან კიდევ ცვილივითაა ყურის ნიუარებში მოგლეესილი. შეაჩერებ ნეობატონისკენ მუქთად მიმავალი ხე-ტყის ჭრას წითელი მინდვრის სიახლოვეს და მყისვე შეგეშფოთება: ციც, გონს მოეგე, საწყალო, ხომ ხედავ, შენი სული ჩემს ხელშია?! თუნდაც ნემსის ყუნწში გამძვრალხარ, ოღონდ ის ხე-ტყე უწყვეტად მომაწოდეო და ეს უკანასკნელიც, გინდა ორკუზიან აქლემს აჭარბებდეს აღნაგობით გულმოდგინედ გაიძურწება დასახელებული სივიწროვის ნახვრეტში, პირბასრი ცულებით მიადგება სიცოცხლის ხეს და თავის გადასარჩენად უხათქუნებს და ურათქუნებს სისხამიდან შუღამებამდე, საამრობიდან ალიონამდე.

რას დაღონებულხარ ძმობილოო, გაგამხნევებს იგი მშობელი ხალხის საყვედურებისგან გვარიანად აჭარხლებულს. ხომ გსმენია, ძაღლი ყეფდა და ქარავანი მიდიოდაო? რა გენაღვლება, იყეფონ, მოგაცვდება რამე იმ ქოქოლასგან? ნურც მომავალში დაგაფიქრებს შენიანების შემოტევა. რა დროს ეროვნულობაზე საუბარია, როცა კატასტროფას მიახლოებია სრულიად დედამიწა — პლანეტა ჩვენიო?! ასეთი უმეცრება გაგონილა? საამარცხვინოა, სიმწრის ოფლის მომდენი! აბა, კარგად გაიხსენე გენიალურმა აინშტაინმა როგორ აღიარა მსოფლიო მოქალაქეობა. ეროვნულობას პროვინციულად მიიჩნევს ქრისტეც. არაფერს ვამბობთ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის კომუნიზმზეო.

მერე რა, ზოგ-ზოგებს თუ ვერ შეგასმინეთ რიგიანად ეგ სიბრძნე, ხომ იწვნიეს ვატერლოო, სტალინგრადი, ჰიროსიმა და ნაგასაკი? არ კმარა ჭკუის სასწავლებლადო? ეს ჩვენი ხოხმა მიტუები, ძუკუები და ჭიჭიკიები კი ხედავ, რამდენს ჩემულობენ?! არხეინად მისცემიან ერთმანეთის თავებიდან მკბენარეების გამოხილვას, თანაც „დიდებით მოსილ როდინდელ“ წარსულსაც ვერ ელევიან ავგიას თავლაში მოსროლილებით.

ასეთი და ამგვარია ჩვენი არსებობის პერსპექტივები 14 იანვრის შემდეგ.

ხურჯინის ორივე თვალი რომ დაიჩუტება, მარტოსულხეობელი მახვში დაკეცავს, იღლიაში ამოიჩრის:

— ყიფიანი იყო კაი კაცი, მაგრამ ეგნატე ნანიტაშვილი — უკეთესი. დრომ დავიწყება იცის, ბაბაგე, გური, და მაინც, დაიხსომე, კეთილისა და ბოროტის ერთ ულელში შებმა წყლის ამაო ნაყვაა უზნეობასთან ერთად. გულთმისანი, მენცარკოჩი გახლდათ ირიდი სართანია, მაგრამ თვალ-ყური არც ჩვენ გვიწყვია ჯიბეში. მეტს ნუ შეწუხდებით, ბავშვებს მიხედეთ, ჰო, კიდევ — ამ ტყეს, — მარჯვენათი ნახევარწრეს მოავლებს ჰაერში, — და ჩვენივე სისხლით და ოფლით გაპოხიერებულ მიწას, ვინაიდან სანამ მყარად ვდგავართ მასზე, სანამ ჩვენი თავი ჩვენს განკარგულებაშია, კიდევ არა გვიშავს რა, კიდევ ნაშვილები ვართ მოურჩენელ ძიძგილობანას გადაგებულნი, მაგრამ როგორც კი ამ საძირკველს გამოგვაცლიან, მშვიდობით საქართველოვ და ქართველობავ! — ლამის იყო „ჩვენადვე გვეყუდნესო“ ბრძანა.

სვენებ-სვენებით მიეფარება თვალს ვალიკო მესხია. დიდხანს მიჭერებივარ ჭრელაჭრელა ქათიბში ამოვლებულ ფერდობებს. ხვლეპუსა ტაფობელაზე შემოტრიალდება, ორივე ხელს აგვიწევს, არის ასე ერთანს გარინდებული, მინუმუნტივით გასაგნებული, მერე წაწიაღდება და წაწკვარამდება, წაუჩინარდება, შეუსრიალდება ძარღვებში ბუნებას, განეფინება უსიერის სულში, გაიტოტება და გაიფესვება ულრანის თვისებით.

ᲨᲐᲣᲜᲐ

ახლაც, ამ წუთას, ის სიცხადე მილიცლიცებს თვალებში, ის ოზონჭვირვალი გამოსახულება — პანო საირმეს ჩრდილოეთით.

მზეს დიდხანს არ სცალდება იქ ბუდრაობა, გეღოვანისებურად თუ ვიტყოთ, კრუხივით ჩაუშვება მთებში, წამიერად ალანძავს დასალიერს, თითქოს გოდერძი ჭეიშვილის ნოველის პერსონაჟს წითელი მინდორი დაუტყვეევია ტილოზეო და იღლიიდან ამოჩრილი ნადავლით მიუყვება ასკაგუბურას განედ-გრძედს თოლი მესხიას დარადო.

ამწამიერადაც ი...მერეთულ მოლანდებას მიეჩერებივარ ასეული კილომეტრიდან, მარადგაუხუნარს, დაუხავსებელს და უსამნო-უდასასრულოს, სულს რომ მიფოლადიანებს 14 იანვრულთა ჯიბრზე.

დღითი დღე კაშკაშდება, დღითი დღე მზიანდება შორეთიდან თოვლით ამონაქრული ნიუარისხელა ასკაგუბურა, დიახაც, ჩემი ჯიშ-ჯილაგის გადასარჩენ კიდობანს დამსგავსებული, სადაც აქამდე ვერ ჩაღწეულა შეპირებული წიგნები და მარტოსულ ხეობელებზე აბაბანებული გაზეთები, თუმცა დროს გულმავიწყობის მხარდამხარ, საბედნიეროდ, ხსომიერებაც დანათვლია, და ახლა ის ხატი, ის ფერსიცხადე,

აგვისტოს დამდეგს სულში ჩარჭობილი ჭადრის ბარჯგვივით, ლაშარის გორზე გადმომდგარა გვარიანად გაფოთლილი და ზეშგრძნობიარე ანტენასავით მიტაცებს თითოეული ქართველისთვის აფორიზმივით დასახსომებელ ხმა-შეგონებას:

— საკუთარ მიწაზე საკუთარი ხელით მოიპოვე პური შენი არსობისა, ბაბაგე, გური. ნუ გიკვირს კოხისა და მეხათატუნის მოხშირება შენს თავზე, სხვებს უარესი სახადი გაუგდიათ კუდამოძუებით და მერწმუნე, შენც კარში ისვრი კინწისკვრით ადრე თუ გვიან.

ნებისმიერ კანონს ორი ბუნება აქვს, როგორც ჯოხს — ორი ბოლო: ადამიანის დამტკიცებულს ადამიანივე აუქმებს. ზღვა გამუდმებით უტეკს ნაპირს, მაგრამ გამუდმებითვე უკუიქცევა. მთავარია, ბოროტი და კეთილი ერთ ტაბლასთან არ დასხა, არ გააიგივო, არ ჩაუტარო ერთმანეთს, ვითომ უკეთესობას მოვიმკიო. ფუჭია ეგ. ჭიდილით კი აჭიდავე რამდენიც გინდა, რამდენიც გენებოს, ლავიწის თუ კვერისთვის ამოგდებამდე.

ის პასპორტი, გჯეროდეს ჯიბესქელი ხალხის მაზანდაა. ალბათ, მილიონებია ჩაყრილი მაგ საქმეში და სანამ ათმაგად არ ამოიგებენ, არაფრისდიდებით მოგეშვებიან. ხალხის საწინააღმდეგო კანონის მიღება გაღმა შემოდავება იქნება, გამოღმა რომ დარჩეთ, გადასაყრელი რომ არ გაუხდეთ პასპორტები. ამიტომაც გირჩევთ, ნურც მწვადს შეწვავთ და ნუღარც — შამფურს. ორი-სამი მილიონი პასპორტის ხელახალი დაბეჭდვაც არ მგონია მთლად გონივრული ჩვენი მეცეკუნტა საბნების პატრონთათვის და იქ ჩვენი ეროვნულობის დამადასტურებელი სიტყვა განგებაა გამოტოვებული თუ უნებლიეთ გამორჩენილი, რა სანუგეშოა, დავიწყების მორევში ვართ გადაყრილები ერთიანად! ამიტომაც მგონი არაფერი დაშავდება ამჯერად გარკვეული ხელით თუ ჩაიწერება შიგ საქართველოს ნებისმიერი მაცხოვრებლის ნამდვილი ვინაობა. მომავალში ეგეც გამოსწორდება. აბა, ქვეყნის დამაქცეველთაგან უკეთესობას რას მოელოდით? კანონს კი თვალის ჩინვით მიხედეთ, ბაბაგე, გური! კანონია ყველა სიკეთისა და უბედურების სათავე ... ეგეც იქით იყოს, მთავარია უფრო მნიშვნელოვანი გვახსოვდეს გამუდმებით — მარჩენალ მიწას არ მოვწყდეთ და კიდევ — ღვთით ბოძებულ მოსაქმეობას — გეორგიანობას, გუთნისდედობას, ჯინჯიღუღა — ძირდაგრეხილი ვენახის მოვლა-პატრონობას, მამაპაპური აბჯარის გაფერვასაც შიგადაშიგ; მოკლედ, ყოველივე იმას, ბაბაგე, გური, რაც ქართულად ნამდუღარება მაჭარივით და დაღვინებულა დიდი ბორგვების შემდეგ მიწიდან ზეცამდე, ხორციდან სულამდე, გარდაცვალებიდან უკვდავებამდე!

მსგეფსი

ცხრა აპრილის შემდგომი აღმავლობის პათოსზე „მეიერხანში“ საკმარისად გვიწერია. მიჭირს განმეორებით იმ წუთების ადეკვატური ასახვა, მითუფრო წინდებული სათქმელის მიზანი სრულიად განსხვავებულია — ეროდი სართანიას პიროვნებასთან რამდენადმე მიახლოება.

შესაძლოა ეს თემატიკა შედარებით „სერიოზულ“ ნაწარმოებში გამომეყენებინა და ამით ბოლომდე მიმეგო პატივი მართლაცდა განუმეორებელი ბერმუხასთვის, მაგრამ საირმეში ასკაგუბურელი მესხიების მოხილვამ და მათთან ორკვირიანი ურთიერთობის პერიოდში რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ მთავარი გმირის, ჟინი ანთარის პროტოტიპის, უნებლიეთ ამოტივტივებამ, გეზი შემაცვლევინა.

ვენდობი ჰორაციუსის ავტორიტეტს: ახლა უნდა ითქვას ის, რაც ამ წუთასაა აუცილებელი, დანარჩენი — გადაინახოს მომდევნო დღეთათვის, სხვაგან და სხვა სიტუაციაში გაიშალოს საჭიროებისამებრო;

ჩვენს ბელეტრისტულ მსწრაფველობას კი გეხსომებათ, ვალიკო მესხიას ზეპატრიოტული პერსონა ესაფუძვლება, რომელიც მოფრთხილებით, მაგრამ გამგონესათვის სრულიად თვალსაჩინოდ ეწინააღმდეგება ზღვისპირა ჭურიის მეტყევის მსოფლმხედველობას და რადგანაც საკითხი ცალმხრივად წარმოგვედგინა დღემდე, ეს საგანგებო ნარკვევიც სავსებით მიზანმიმართულად წარმოჩინდება.

აგვისტოს მიწურულია.

ჯერ სექტემბრის აქციები არ აგორებულა შუა რუსთაველზე.

ჯერ ბარიკადებით არ გადახერგილა ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი.

ოპოზიცია ზამთრისპირა ბუზანკალივით იკბინება და გონიერების თვალს თუ მიადევნებ სამომავლო დღეებს, მიხვედრილისთვის ადვილწარმოსადგენია გაუბზარავი ნაჭუჭიდან დინოზავრის ამოღრიალება.

მირო ბუკიას ჯაბახანა ჟიგული მიჩვეულია ამ გზებს.

მირო ნადირობის დიდი ტრფიალია, ცაში ასროლილი ათასობით თოფში შემსხვერპლებია მის ჩუბინობას. არც თევზაობა მოყირჭებია ჯერხანობით. იშვიათი გულისხმიერებით გამოირჩევა. მართალია, ხელი ვერაფერში გავუმართე, „იკარუსის“ მძღოლობა ვერანაირად გავუჩალიჩე: ჩემი ბელეტრისტული ავტორიტეტი საკმარისი არ არის საამისოდ, თანაც ცხრა აპრილის შემდეგ ათასნაირად შეტრიალდება ავტოპარკების ბედ-იღბალი: დაიტაცებენ ავტობუსებს, ტაქსებს, კამაზებს, ვინ, როგორ და რანაირად, მაგრამ მაინც არ მსაყვედურობს. ესმის, თავს ზემოთ ძალა რომ არ არის.

აჩინჩხილან ფერმები. ოდესღაც მოასფალტებულ თუ მოხრეშილ გზებს ორმოები მომატებია და მძღოლის სამაგალითო ოსტატობით მიყოლებით გავივლით ინგირს, კახათს, დარჩელს, ერგეტას.

ათი წლის წინანდელი ახალშენები გაუდაბურებულან.

კოლექტიური მეურნეობების მოშლა მუსრს გაავლებს ოდესღაც სიმინდის ყანებით ახასხასებულ საგარგულებს.

კახათელების ფარეხი ნაცარტუტად ქცეულა; ის კოპწია ოდა-სახლიც, უამრავ სტუმარს რომ მასპინძლობდა ზამთარ-ზაფხულ. მორღვეულა მავთულბადის ღობეები. მრუდე ხელს მავთულხლართიც აუცლია ბეტონის ბოძებისგან და აქა-იქ საღი საყრდენებიც ზედ მიუყოლებია.

მეწლე მსხლების ძირას ტალახიანი ძროხები იცოხნებიან მშვიდად, ხოლო გუგუჩიების არხის სათავესთან კამეჩები დგაფუნობენ.

წავიხემსებთ ქალაქიდან წამოძღოლილ ბურს და ძეხვს.

მირო ბუკია სასროლ ბადეს დასტრიალებს. სადმე თვალი ხომ არ ჩაშლილაო.

მე რუკზაკში გადავანაცვლებ ირიდი სართანიას საყვარელ „პრიმას“, ბურს, გაზეთებს, ქარხნის არყებთან, შებოლილ ძეხვებთან და კონსერვებთან ერთად.

წლების წინათ უთვალავჯერ გაუმართავს ხელი ჭურიელ ტყაჩუს და მთლად ქესეტად მისვლაც არ ივარგებს. რაც მთავარია, ხელმეორედ გამოცემული წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი მიმაქვს საჩუქრად ჟინი ანთარის პროტაგონისტისათვის. ხუთი ათასი ეგზემპლარი დამიბეჭდავს, მაგარ გარეკანში, ბუნვილინში შეფუთნილი — წითელი, ლურჯი, მწვანე და ყავისფერი. ამაზე უკეთეს ნობათს ვერაფრით გავუმზადებ ბუნების მესაიდუმლე კაცს.

მართალია, წიგნი ირიდისთვის ვერაფერი ბედნაა, შემოდებს თარიზე და მომსვლელებს შეახსენებს, რომ იმ ხელისგულისოდენა ოთკუთხა სივრცეში მისი პიროვნება ამწყვდევია; ხოლო რამდენად ზუსტია, რამდენად შეესატყვისება დედანს ასლი, ამის თაობაზე, დაე, სხვებმა იმტვრიონ თავი.ოდიშში ავაკითხავ მთავარი გმირის პროტოტიპს. იქ გამიმხელენ, ისევ ჭურიასკენ აიბარგაო. ოთხმოცდაათს მიუკაკუნა, მაგრამ სახლში როგორ გაიჩერებო. ის რუსის მთვარესავით ქალი კვლავაც ჰ ყავს თურმე. ეგ არის და ეგ. ამჯერად გვარიანად შეძლებული მეთქმის. წიგნის პირველი გამოცემა საკმარისად გასაღდება. მართალია, ნახევარზე მეტი გამისაჩუქრებია, მაგრამ მყოფნის ფული მომდევნო ხუთიათასის დასასტამ ბადაც. მარტო გალის სტადიონზე შონიების საგვარეულო შეკრებისას შვიდასი ცალი გაიყიდება. გადაყრილია იდაყვგაცრეცილი პერანგები. ოჯახურ პრობლემებსაც უმტკივნეულოდ ვაგვარებ, ჰოდა, აშნაირი ამანათით მივემართები არხებს გადაღმა. სამი-ოთხი კილომეტრი მაინც მომიწევს ეკალ-ბარდში ბოდიალი. ნავი მყავდეს, ერთი საათიც არ მოვუნდები მის სამყოფლამდე მისვლას.

მირო ბუკიას ორლულიანი „ტულა“და პატრონტაში ფაბრიკული ჰილზებით, ზედ ამისხამს ყოველ შემთხვევისათვის. ჯინსები რეზინის ყელმოკლე ჩექმებში ჩამიტნევია და მივემგზავრები ასე, აგვისტოს ხვატით ამტუტებული არხის გორმახებით. ორიოდე საათში სართანიების მამულს მივადგები ზურგიდან. ღობეები ტყრუშულია. აკაციის წყვილ-წყვილ სარს შორის ლატანები მიჯრითაა ჩაწყობილი ისე, რომ მისი გარღვევა ჩრდილოეთურ ტანკსაც გაუჭირდება.

ფიცრულიდან ამომავალ კვამლს შორიდან შევნიშნავ, ქოჩორა ტყის დასაწყისიდან; თხელია კვამლი აგვისტოს თვეში, სვეტივით აღმა მიმავალი.ჯაჭვზე დაბმული ძაღლი აყეფდება. გამოიხედავს მასპინძელი ჭურიის მიმართულებით, ფიცარნაგთან გამოვა, სადაც ნიჩბის ნავი ზღვაურისგან დატალღული ნაკადის მოძალებით ოდნავ ირწევა. მერე, როცა ფიჩხი გატყდება მასპინძლის ზურგს უკან, მომხედავს ხელით თვალებმოჩრდილულის იერით. მზე შუბის ტარზეა. ანწლის, ველური ლეღვის და კიდევ ჭაობნარის ლეყებმოძალებული შმორის მძაფრი სურნელი შეიგრძნობა. ქათმები კრიახებენ კუტიკარს მიღმა. გოგრების სიმრავლეა საგანგებო ტალავერიდან თუ ხირხალის ღობეებიდან. სიმინდის ყანას წყრთა ტაროები ამოუჩრია იღლიაში. ალაგეზე გადმობიჯებამდე მიცნობს.

— ოოო, მწერალს გაუმარჯოს, — გაშლის ხელებს.

ფლანელის გახუნებული, მოლურჯო პერანგი აცვია. ხუთიოდე წელიწადში ოდნავ დაპატარავებული მეჩვენება. იგივე სითეთრე, იგივე ბეწვები, იგივე უშურველი ღიმილი.

დედაკაცს მეგრულად ელაპარაკება. ქალს ჩინებულად აუთვისებია ადგილობრივი კილო ოდნავ შესამჩნევი აქცენტით. ზოგიერთ თანხმოვანს დამახასიათებელი კოლორიტით წარმოთქვამს.

თუთის ხის ძირას ფიცრებისგან შეკრულ მაგიდას თანდათან ეპატება მოხარშული სიმინდი, წურფა თხილი, დავარსკვლავებული ლეღვი, დაჯაჭვული არაყი, სიგრძივ დასერილი სულუგუნი. ოციოდე წუთში სუფრაზე ჩაგრაგნილი ელარჯიც გაჩნდება. ნაჩუქარი წიგნები აქვე ალაგია. გადაფურცლავს რამდენიმეგზის, ილუსტრაციას დახედავს, მსგავსებას ვერ აღმოაჩენს მხატვარ თავაძის ფანტაზიასა და საკუთარ აღნაგობას შორის, უსიცოცხლოდ იტყვის:

— ოსური, ქარწყექო სო გობჭარესუნ?

გამომკითხავს დაწვრილებით, რასა ვიქმ, საქმეები როგორ მიმდის. გაიხარებს, რომ დავოჯახებულვარ, უკვე ორი ასულის მამა ვარ. თანაც რამხელა წიგნი გამომიცია.

— ეს პირველი ნაწილია, — ხმას ავუწევ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. ორს დავწვდები, სავარაუდო მოცულობის თვალსაჩინოებად ვიშველიებ, — გაივლის რამდენიმე წელიწადი და მშვიდობა თუ გვექნა, კიდევ ორ ამხელა წიგნს გავასრულებ. ჰოდა, დამთავრდება ამით ჩემი ტრიადაც, იგივე სამწიგნა, — ვესაუბრები, თან უნებლიე მოუცლელობისათვის ვებოდიშები.

— დასაკარგავში ვართ, — აქეთ გამოვყავარ უნერწულობიდან, — მერე და აწეწილი დროებაა, — მომაჩერდება მოჭუტული თვალებით, — მთავრობისკენ ხომ არ გაგიტეგია, — იგივე გამომეტყველებით მითვალთვალებს.

— მთავრობაში მწერალს რა ესაქმება, თავს ძაღლა ვწევ დიდის ამბით, — მწერალი სამშობლოზე უკეთ არ უნდა ცხოვრობდეს, — გავრეკავ სამიოდე სირჩით ენააჭიკჭიკებული.

— კომუნისტები კი გადააგდეთ, მაგრამ მათ დანატოვარ სიმდიდრეს რას ერჩით, ვერ გამიგია, — გამიმხილეს, — რაც აქეთკენ ფერმები და სამხერხაოები იყო, კუდის რიკამდე გაძარცვეს, გააპარტახეს. ცარიელი სიტყვებით ვაპირებთ ქვეყნის აშენებას? — ოხშივარშემოძარცვულ სიმინდს ბოწოწებს აცლის, მწკრივ-მწკრივად მარცვლავს და ასე შეექცევა. ჯანსაღი კბილები აქვს, მაგრამ წეკოსგან ერთიანად ჩარუხებულ-ჩაყვითლებული. — დღეს ბევრი მესოფლიაა არაფორმალი გახდა და ჯოტო გუგუჩიას დაუწყო განქიქება. ჯოტო მეურნე კაცია. უქნარების გაკეთებული საქმე ვინ თქვა. რამდენი მთავრობა შეცვლილა ჩემს თვალწინ, მაგრამ უსაქმურების აშნაირი მოძალება არასდროს მინახავს. გაგონილა, ყანებისთვის ზურგი შეექცია გლეხკაცს? ვითომ დაუმორჩილებლობას არქმევენ და სინამდვილეში საკუთარ ცხოვრებას თავდაყირა ამხობენ. თავისუფლებას ვეპოტინებით ვითომ და სინამდვილეში უძირო უფსკრულისკენ მივექანებით. თავისუფლება ცოტათი სხვა რამეა, ბაბაგე, ვიდრე ეს თქვენ, ახლებს წარმოგიდგენიათ. — ახლაღა ვავლებ პარალელს ვალიკო მესხიასა და მის ტემბრს შორის. ასკაგუბურელის „ბაბაგე“ ირიდისგან ნასესხები შეჩვენება. აბა, მარტოსული ხეობის მახვში შუაგულ იმერეთში ასეთნაირი სილაღით საიდან შეისისხლხორცებდა ამ სიტყვას?!

— თავისუფლება, უმაღლესი საზომი მგონია სულისა, მაგრამ ვაი, რომ თითქმის შეუძლებელია ეგ, თითქმის კი არა, ნამდვილად შეუძლებელი.

— რატომ? — გავიოცებ მე, — აბა, უმიზნოდ იაროს ადამიანმა?

— თავისუფლება ლამაზი ოცნებაა კაცისა, მაგრამ სიკვდილით შებოჭილმა რომელ თავისუფლებაზე უნდა იმსჯელო? ხო-ხო რა უხვნი ვართ უკვდავების მისამართით?! თავისუფალი მთელს დუნიაზე ერთადერთია და ისიც — გიჟი. მე გულის დასაწყვეტად როდი გეუბნები. ჩვენ ადრეც გვისაუბრია ბუნების კანონზომიერებებზე, ადამიანებისა და საზოგადოების ურთიერთობებზე, მაგრამ მაშინ კიდევ უმწიფარი ვყოფილვარ. შენ ძრავალ კითხვაზე მთხოვდი პასუხის გაცემას და მეც სახელდახელოდ წამოვისროდი მათ, მაგრამ მას მერე ხუთი წელიწადია ჩავლილი და ამ ხნის მანძილზე, სასთუმალქვეშ ხელებამოდებულს ვარსკვლავიანი ცისთვის რომ მითვალთვალია; ან ტყის, ზღვის, ბუნების მაჯისცემას მივყურადებივარ, სასაცილოდ მომჩვენებია ვითომ ჩემეული მენცარკოჩობა. ხოლო თავისუფლება შეუძლებელია ახასიათებდეს წარმავალს. თვით შენი საყვარელი ჰომეროსის წიგნებიც კი უძლურია თავისუფლების წინაშე, ბაბაგე, ვინაიდან ყოველი ათასწლეული სიტყვიერ სამოსელს გადაასხვაფერებს და აქედან გამომდინარე, ის გამუდმებულ ცვლილებაშია. თავისუფლება მარადიულთან გაიგივებული ამბავი მგონია. ადამიანს შესაძლოა თავისუფლად გეჩვენებოდეს ადგილმონაცვლეობა ერთი სოფლიდან მეორეში, ერთი ქალიდან მეორესთან, ერთი სახლიდან მომდევნოსთან, ერთი აზრიდან განსხვა- ვებულთან, მაგრამ ვის სჭირია ამდაგვარი თავისუფლება? თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. შენით მიხვდი, რომელია ახლა თავისუფალი, ეს „რომკა“, „ონტკა“ თუ ჩემი ჟანგიანი კბილები? სად არის ამ სამ საგანს შორის თავისუფლება? რომკას არ შეუძლია თავის არჩეულ ფორმას გაექცეს; არაყს თავად რომკისგან ენიჭება ფორმა, ვიდრე კუჭით დაიქლიბებოდეს, ხოლო ამ კბილებს, ალბათ, სულ ძალე გარედან გადმოტკიცინებული ტყავი შემოეძარცვება. გამქრალია სამივე. ეს ყველაზე უმარტივესი მაგალითი მომიშველიებია. უფრო შორს წავიდეთ. ზღვისა და მიწის დამოკიდებულება ავიღოთ, იგივე თხიერისა და მყიფესი. ან აგერ, ამ თუთის ხეებით შემოვიფარგლოთ სულაც. ტანზე რამდენი ტოტი ასხია თითოეულს, ზუსტად იმსიგრძე ფესვები გაუფარჩხავს ქვემოთ. მოაშორებ მიწას და მყისვე დაბერეკდება. თუთის თავისუფლება მიწასთან გადაჭდობილი ფესვების ერთიანობაშია. ან განაშორე ტოტებიმ ჰაერს და უარესი სიდუხჭირე შეეყრება. შენ როგორ ფიქრობ, ადამიანი განსხვავებულია ვითომ ამ დამოკიდებულებისაგან? ან თვით ის ვარსკვლავები, თვალები ძლივს რომ მიგვიწვდება და მის მიღმაც, ვინ იცის, კიდევ რამდენია უჩინარი?! ან მზის სიახლოვეს მოძრავი სხეულები... ამოაგდე რომელიმე ამ კანონზომიერებიდან და შენს დედამიწაზე მთებს წყლები დაფარავს, ან პირიქით, აორთქლდება, გაქრება საერთოდ. ამას იმიტომ ვყვები, თავისუფლება კაცისგან მოჩმახული მოჩვენებითობაა. უფრო მეტიც, საკუთარი თავის დამშვიდება. ვინც თავისუფლებას მიელტვის, მზეზე ასვლას ლამობს. ის, რაც ჩვენ თავისუფლება გვგონია, სინამდვილეში ურთიერკავშირია, ურთიერთდამოკიდებულება, ერთმანეთისადმი დაქვემდებარება. ვთქვათ და მაგალითისთვის, მოგცა შენ მამაზეციერმა თავისუფლების ნება, რას მოითხოვდი უწინარესად, რა სურვილის ასრულებას?

— სამშობლოს ბედნიერებას, — არ დავაყოვნებ მე.

— ეს, ბაბაგე, რამდენად უმეცრები ხართ შენ და შენი არაფორმალები?! კი, ბატონო, ვთქვათ და მიიღე ეს, თუმცა ბედნიერებაც საკითხავია, რა ჯურისაა, რითი უნდა აზომო, რითი აწონო, არწყა.

— საერთო კეთილდღეობით, — მივაგებებ მე.

— მერე და, ბაბაგე, ეგერ, სადღაც აფრიკის ჯუნგლებში ციებისგან იხოცება ათასობით ადამიანი, სხვაგან — შიმშილისგან, და აი, ყურისძირას, იარაღით დარეკვია ერთმანეთს ღვთის სხვადასხვანაირად მორწმუნე ხალხი. სად არის აქ შენი თავისუფლება, შენი ბედნიერება?! თავისუფლებას ეძახი ამას? ბედნიერებას? როცა გნებავს, მთელი ქართველობა ოქრო-ვერცხლსა და თაფლში ცურავდეს, სხვას კი კვნიტი მარილი და ფუჩხა ენატრებოდეს? რა თავში იხლი ამისთანა ბედნიერებას, მითხარი, ნეტავ? ბედნიერება კიდევ მესმის ზიარი ჭურჭლის პრინციპით რომ დადიოდეს, ყველა ჩაღრმავებულს და ამობურცულს თანაბრად მიაგებდეს პატივს, იგივე მზის სხივის დარად, რომლისთვისაც მიკეროძოება გამორიცხულია, მაგრამ ხომ ხდება ისეც, მზის სხივი სხვათა ბუნების, ან თვისების წყალობით უძლურია ჯადოქრობა მოიმოქმედოს: ქვის გულში ვერ აღწევს იგი ამ ჩრდილოვანის ტოლძალოვნად და ვეღარც — ყინულის წიაღში, რომელიც თავისთავად მზესთან მიმართებაში ყოფნითაა გალურსული. ასე რომ, წყლისთვის, მიწისთვის, კლდისათვის თუ ყინულისათვის მზე განსხვავებულად აცხუნებს, თუმცა თითოეულს თანაბარი ოდენობით მიეშუქება. ესე იგი თავისუფლებას მართლაცდა რაღაც განსაკუთრებული სხეულს თუ მივანიჭებთ, ვერასოდეს იქნება თანაბარი სხვადასხვა პიროვნებისთვის თუ სახელმწიფოსთვის და აქედან გამომდინარე, ის რაც განსხვავებულ შედეგს გვაძლევს, ვერაფრით მიიჩნევა კანონად, წესად?! ყოველივეს გათვალისწინებით საბოლოოს ბედნიერება ვერ გამოგვადგება თავისუფლების ხატად, თუნდაც შენს გარშემო თუ უკიდურეს წერტილამდე მდინარეებში რძე მიუშვა, მთები ხორბლის გორებად აქცეო და ზღვები თაფლით გაავსო. თავისუფალი მაინც ვერ იქნები, ვინაიდან ეგერ საუკუნის თავზე მიქელ-გაბრიელი ჩაგსაფრებია, და რომც მიაღწიო ათასწლოვან სიცოცხლეს არა მარტო შენთვის, არამედ სრულიად საკაცობ- რიოს, ესეც უკმარია, რამეთუ არის უფრო დიდი გაცამტვერება, რაც დედამიწას ემუქრება ასეულათასწლის შემდგომ; თვით მზესაც — მილიონობით საუკუნის მერმე. რომელ თავისუფლებაზე მელაპარაკები ახლა, რომელ ბედნიერებაზე?! — შეყოვნდება წამიერად, როცა სავსე სირჩას წვალებას დავუწყებ ნერვიულად, თითქოს ჩემს პასუხს ელისო, თითქოს ჩემს შეხმიანებას უცდისო, რათა კვლავაც მეტი ცეცხლით დამნაცროს.

ვისარგებლებ ამ პაუზით და უკვე დაუფარავი სიჯიუტით შევუტევ:

— ეს ხომ ნი ჰილიზმია ირონი, ბატონო?! არახალია: არარაი არარაობად მიიქცევი; თუმცა ადამიანს, რომც გაცნობიერებული ჰქონდეს საკუთარი სახვალიო თუ საზეგისო აღსასრული, მოყვასისადმი თავდადება გადააქცევს ღმერთის ტოლფასად, და იგი ამითაც ბედნიერია, თუნდაც ვერავინ გაიგოს მისი საყოველთაო თავგანწირვა. ადამიანური ბუნების კანონებთან გაიგივება ტოლობას არ ექვემდებარება. შეუძლებელია მათი გაწონასწორება. მაშ, ტყუილად ბრძანებს ჰოეტი, ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო?

— სძლიაო ამბობს და არა მოსპოო. „სძლია“ განადგურებას როდი გულისხმობს, არამედ დაქვემდებარებას მიანიშნებს. ბუნებაში შეუძლებელია განსხვავებული ოდენობით არსებობდეს სიკეთე და ბოროტება. შეუძლებელია მეტნაკლებობით არსებობდეს სინათლე და სიბნელე; ასევე — დადებითი და უარყოფითი განწყობილება. ყველაფერი მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე ჰკიდია: საითკენაც მეტი გადახრებია, ცხოვრებაც იმნაირი გვერგუნება. როგორ გგონია, ადამიანი გაექცევა ბუნებას თუნდაც იოტისოდენად? ისიც ბუნებაა, ბაბაგე, ოღონდაც უფრო ჭკვიანურად და მომჭირნეობით ნაშენები. ბუნებამ ამოტყორცნა შეგნების ამ სიმაღლეზე და ბუნებასვე უბრუნდება.

— მაგრამ არა კაცობრიობა.

— ართ ბზინგ დო აფხაშ რენა, კაცობრიობაც იგივე ბუნებაა. მხოლოდ უცვლელ კანონზე შეიძლება ითქვას: თავბოლოშეკრულიაო, ერთსა და იმავეს რომ ჩმახავს, არღვევს და ისევ აკოწიწებს. ამ საქმეში ღმერთის ხელი ვერ ჩაერეოდა, რომ არა ჩვენი უსუსურობა. ღმერთი მხოლოდ სიკეთის შემოქმედი ძალა თუ არის, მაშინ მის გარშემო მარტოკა უკვდავება, თავისუფლება და ბედნიერება ისადგურებდა და არა იმნაირად, როგორც თქვენს წიგნებში ითითხნება; არც მაინცდამაინც უბედურების სათავეა იგი, მონობისა და სიკვდილის, თუმცა ამ ორ ძალას თავ-ბოლოს თუ შეუკრავ, ყველა კითხვაზე მიიღებ პასუხს და ვინაიდან ამისთანა სიდიდის წარმოდგენა აღემატება კოღოსხელა ჩვენს გონებას, ვირთხასავით ვაცეცებთ თვალებს და სიხარულისგან ვკუნტრუშებთ. რაიმე თვალწინმდებარეს შუბლით თუ დავეჯახეთ, „ჩემიაო“ ვიძახით; „ჩემიაო“ ვიფხრიწებით, იმ მიწის ნაგლეჯზე, რომელიც შემადგენელი ნაწილაკია, ნაფლეთია უფრო ვრცელის. „არა, ჩემიაო“, გექიშპება სხვა ამ სიდიდეზე და საკუთარი უზრუნველობა რომ შეინარჩუნო, პირში ქვას ჩრი, ჩაქოლავ, როგორ და რანაირადაც მოგიხერხდება. ის, რაც საკუთარ მონაპოვრად მიგიჩნევია, ბაბაგე, არც შენია სინამდვილეში, არც — სხვისი, არამედ უფრო მორჭმული ბატონ-პატრონი ჰყავს, და ისიც საკითხავია, როდემდეა ამ სიმდიდრის მესაკუთრე. შედარებით მოკრძალებულნი ვყოფილიყავით, ვიტყოდით: დროებით სარგებლობაში მოგვცემია ყველაფერი.

ერთი რეალობაც უნდა გავაცნადო, ვახტანგ, ძვირფასო, ზემოთ აღმინიშნავს, რომ ირონი სართანიას თანამეცხედრე მეგრულად მუსაიფობს, რუსისთვის დამახასიათებელი აქცენტით-მეთქი. სატანჯოელი ტყაჩუ კი მიერეკება და მიერეკება ძირძველი მეგრულით. მე მასთან, მრავალ სადღეღამისო საუბრისას, აქამდეც, წლების მიღმაც, ორი ღერი სალიტერატურო ქართული ვერაფრით მომიხელთებია, მით უმეტეს ამწუთას, როდესაც მჭევრმეტ-

ყველური განწყობილებითაა დამუხტული. ირიდი სართანიას ნამეტყველები ვალიკო მესხიასთან ორკვირიანი ურთიერთობის შემდგომ ამომტივტივებია, წვალება-წვალებით მოვაქართულებ და ნახევრად ველური ხალხის რაფინირებული მსჯელობანი ხელოვნური თუ მოგეჩვენებათ, ყოველივე შენი შენი მორდილის, შენი ნათლული გიორგის, ნათარგმანებია. ასე რომ, ამიერიდან მაინც ნუ გაიკვირვებ ირიდი სართანიასგან წელგამართულ ფრაზებს:

— სხეულიდან დაწყებული, ბაბაგე, ბუნების მთელი ავლადიდება ადამიანშია მოქცეული შეკუმშვისა და შემჭიდროვების ხარჯზე. ნიადაგ დათთხილი რაჟამს ბუნაგთან მიმწყვდეული დათვივით ზე აღიმართა, ყველაფერი გადაუადგილდა მას. განსაკუთრებით თავის ქალა, ტვინის ნაჭუჭი. ადამიანი შეკრულ წრესავითაა. სხვათა შორის ამ სამყაროში შინაარსით, ყველაფერი წრიული აღნაგობისაა, შენი თავისუფლება-ბედნიერებაც უკვდავებიანად. ის, რაც არ იკვრება იმ წერტილთან, საიდანაც აღმოცენებულა, უმიზნოდ იფლანგება და ამისთვისაც გვეჩვენება სასრულად. ადამიანი ხომ ბუნებაში მზამზარეულად არსებულს აღმოაჩენს ხელმე და მოიხმარს მომჭირნეობით თუ დარდიმანდულად. აქ მთავარი კი მაინც კუჭია. კუჭი აიძულებს ვეშაპს, ზვიგენს პირი ფართოდ გააღოს. კუჭი აიძულებს ვეფხვს საკუთარ სხეულზე ხუთჯერ მეტი კამარა შეკრას და კუჭი დააძუნძულებს მგლების ხროვას ათეულობით კილომეტრს. კუჭი აიძულებს ადამიანსაც „ჩემიაო“ დაიძახოს, „ჩემიაო“ დაეღიროს. თავიდან ამ უკურნელი კუჭისგან ქვას წამოავლო ხელი ადამიანმა და შეუქნია მაღალი ხის ნაყოფს, მაგრამ როცა მიზანი გაუცუდდა, და ის ქვაც სადღაც უფსკრულში გადაეხაფრა, რა მოიმოქმედოს ახლა? ისევ ახალი ქვა მოიძია, ისიც ამგვარადვე დაეკარგა და ძახორ- ციელი ნელ-ნელა მიდის ქვის დატყვევების შეგნებამდე. ქვის დატყვევება კი მისი დაგრძელებაა იმ ტოტამდე, რომლისგანაც მწიფე ნაყოფი ვეღარაფრით მოუწყვეტია. დაგრძელა, ბატონო, ჯოხს მიაბა, მაგრამ ზამთრობით, როცა ხეს ნაყოფი ჩამოსცვენია, პირის დაღება კი კვლავაც აუცილებელი პირობაა: რა მოიმოქმედოს, როგორ დაგრძელოს ეს ქვა ნადირამდე, რომელიც თავად ცდილობს ადამიანის მოხელთებას, მისივე კუჭის კარნახით?! და აქ იბადება ჯოხს გამობმული ქვის ტრაექტორია, იბადება მიმართულების იდეა. ეს კიდევ ათასი წახნაგით იხვეწება საუკუნეთა ჯოგში და ჩნდება აზრი ისრის გამტყორცნი ძალის საჭიროებაზე: ორი ჯოხიდან ერთ-ერთი მოიღუნება და შქვილი, ანუ მოჭიმულის ღონე წაასწრაფებს გალარულ საგანს. ასე გაჩნდება მშვილდ-ისარი. ამჯერად ადამიანი კიდევ რამდენიმე ნაბიჯით გაუსაფრთხოვებს საკუთარ სიცოცხლედაფჩენილი პირის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, გზაზე, მაგრამ მადა ჭამაში მოდისო, იტყვიან და მზარდი მოთხოვნილებანი მორიგი სიახლისკენ უბიძგებს კუჭის კაპრიზებს გამობმულ გონებას. ამჯერად ორი მშვილდი მიეტყუპება ლარებით ერთმანეთს და ორი ნახევარწრისგან შეიკვრება მთელი, ნედლობაში მოჭრილ წკნელს გაუმთლიანდება თავი და ბოლო და მიგალთ კიდეც ბორბლამდე, რომელიც მთვარისა და მზის აღნაგობებით აკვნიდანვე თვალწინ გვიტრიალებდა. აი, რიდიდან გადალახავს ადამიანი ცხოველურობის პირველ ფაზას. ამას აქეთ სულ ამ რგოლს აციბრუტებს საკუთარი ღერძის გარშემო, ხან სფეროებს ღებულობს, ხან — ატომს და ნეიტრონს, და მის მაგიურ ძალას ვერაფრით გაქცევია, და რადაგანაც ჯოხსგამობმული ქვის მსწრაფველობა ბევრად არ განსხვავდება თავბოლოშეკრული ჯოხის მსწრაფველობისგან, საკუთარ ნახნავს თვითონვე ტკეპნის. არადა, საჭიროა სწორხაზოვანისა და სფეროსებრის შეჯვარება, რათა განსხვავებულ თვისებრიობაზე გადავიდეთ. სად ჯოხი, სად — წრე და სად კიდევ — თავისუფლებაო, დაგებადება კითხვა, ბაბაგე, მაგრამ რადგანაც თითოეული ვიღაცის შესავიწროვებლად, ვიღაცის დასათრგუნად, ვიღაცის დასამხობად გამიზნული საშუალებაა დაფჩენილი პირისა და გაუმაძღარი კუჭის გამოისობით, სრულიად უსირცხვილოდ და სრულიად უგუნურობით, არათუ სხვისი, ლამის საარვისო საგანძური დაგვიჩემებია და არ გავიცინო ყოყოლი ღლაპების მკერდში ძუშტების ბაგუნით მოპოვებულ თავისუფლებაზე, რომელიც ძველს ანგრევს და აღარც ახლის შექმნა ხელეწიფება, გაქანებული გიჟი უნდა ვიყო, „თავისუფალი“ შენებურად..

საქართველოს გმირი კოლექტივი

ღვთაება გრანტის შვილები

კაპიტან გრანტის შვილებზე ჟიულ ვრენი წერდა. ჩვენი პერსონაჟი განსაკუთრებული წარმომავლობისაა — უსხეულო მამონას აღნაგობის, რომელსაც სულიერსავით ეთაყვანებოდნენ ახლო აღმოსავლეთში ათასწლეულებს მიღმა და დღეასაც არანაკლები ციებ-ცხელებით გაუთანგავს სრული პლანეტა.

თუმცა რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებათა ქარავანი, ქართული სახელმწიფოებრიობა აქამდე სულს ვეღარაფრით მოიტანდა.

მთავარი დონორი ჩვენი ქვეყნისათვის ამერიკის შეერთებული შტატებია, (**1 მლრდ. 200 მლნ.** აშშ დოლარი).

დემოკრატიისა და თავისუფლების მექას კვალში მისდევენე: მსოფლიო ბანკი, (**640 მლ**ნ აშშ დოლარი) ; საერთაშორისო სავალუტო ფონდი, (**470 მლნ** აშშ დოლარი); ევროკავშირი, (**70 მლნ** ევრო); ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, (**250 მლნ** ევრო).

არანაკლებ შთამბეჭდავია მეგობარ ქვეყანათა ზურგსქარები გერმანიიდან (**378 მლნ** გერმანული მარკა); იაპონიიდან (**80 მლნ** აშშ დოლარი); ნიდერლანდებიდან (**60 მლნ** აშშ დოლარი); თურქეთიდან, (**30 მლნ** აშშ დოლარი); შვედეთიდან (**4,4 მლნ** აშშ დოლარი). დიდი ბრიტანეთიდან, (**11 მლნ** ფუნტი); ჩინეთიდან (**5 მლნ** აშშ დოლარი); კუვეიტიდან, (**25 მლნ** აშშ დოლარი);.

სულ ამ თანხის არითმეტიკული სიდიდე **2 მილიარდ 666 მილიონი** აშშ დოლარია, რაც სადღეისო კურსით (06.09.2003 წ.) **5 მილიარდ 785 220 ათას** ლარს უტოლდება, ანუ ჩვენს სეკვესტრირებულ 5 წლის ბიუჯეტს.

შემოსული თანხის ძირითადი მასა 4 მიმართულებით მოედინება, რომელიც საბოლოოდ ორ პატრონამდე დაიყვანება — სახელისუფლებო და ოპოზიციურ ძალებამდე.

— თევზის ჩუქებაზე უკეთესია კაცს თევზის ჭერა ასწავლოო, იტყვიან ბიზნესის სამყაროში და ღვთაება გრანტის ქართველი თინეიჯერები იქამდე შეისისხლხორცებენ საბაზრო ურთიერთობის ამ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ ახლა სრული ნიჰილიზმი დასადგურებულა ჩვენი ეროვნული ფასეულობების მიმართ: ილიას პოეზია პრიმიტიულია; ვაჟას და აკაკის არა უშავთ რა. ქვეყნის პრეზიდენტი ,,ჩვენი ეზოს'' ნაგავსაყრელზე იქექება დღემოსწრება და ამაოდ ეძებს ბიუჯეტს ცარიელ ვაგონში. კონფუციისა არ იყოს, მართლაც ძნელია შავი კატის პოვნა ოთახში, განსაკუთრებით, როცა იგი იქ საერთოდ არ იმყოფება.

გრანტი მაინც განსაკუთრებული მოვლენაა ტექნიკურ თუ ფინანსურ დახმარებათა შორის. აქ სამი მომენტია ნიშანდობლივი.

პირველი, ინვესტორის გაქვავებული კაპიტალის ამოძრავებაა. შენეული სივრცეა მხოლოდ, ტერტორია და წილობრივი მონაწილეობაც. ფულს თავად დონორი განკარგავს საჭიროებისამებრ: ასაქმებს საკუთარ სპეციალისტებს. შემოაქვს სამშენებლო მასალები, დანადგარები. ადგილობრივს ქვიშას მოიხმარს და კიდევ — წყალს.

მეორე ის გახლავთ, რომ საკუთარი ქვეყნის ჯიშები დაბინავდება შიგ, ამ შემთხვევაში ურქო ფურები, როგორც ეს სენაკის რაიონის რძის საწარმო ,,ტყირის'' მაგალითზეა.

და ბოლოს, ამას მიედევნება პროდუქციის წარმოების თავისებურება — ოდესღაც სულუგუნის გადაზელვით განთქმული მალანია თუ ჯალაღონია, ამიერიდან ნიდერლანდურ ყველს აწარმოებენ, რომელიც ძვირადღირებულია, მაგრამ მომგებიანიც ამავდროულად და გრანტის სამივე მომენტით ნიდერლანდია მკვიდრად იკიდებს ფესვებს შუაგულ თეკლათში.

დღეს ლამაზი თვალებისათვის არავინ გაიღებს გახვრეტილ შაურიანს. მსოფლიოს საინვესტიციო სივრცეში გაბატონებულია დოქტრინა: ნემსის მიბნევა ნაჯახის მოსახსნელად.

***

ამგვარი ინფორმაციით გულგასენილი დავიარები წალენჯიხის რაიონში.

ბეტონის ქარხანასთან შუქრი ქირიას ფეშენებლური კოტეჯი იავარქმნილა. იქ ახლა კამაზების სიმრავლეა. ხრეშით იტვირთება თვითმცლელები და მიყოლებით დაწალიკდებიან ფოთის ტერმინალის მიმართულებით.

ფოცხოში ხელმეორედ მოვიპოვებ საჭირო ინფორმაციას ენგურხესელებისგან.

თაღოვანი კაშხლის ძაგძაგსაც ვესტუმრები მერამდენედ.

სანუგეშოს ვერაფერს ვეტყვი ჯონი ჭანიას ბიჭებს. ისინიც ნირწამხდრები დამემშვიდობებიან.

ახლა ჩემი მეგზური ყირმიზი სახის რუბენ შეილიაა, დათა თუთაშხიას პროტოტიპის, შიკუს , მოგვარე. ორხიდიანი მანქანით მივუყვებით კაშხალის გასვწრივ წაკლაკნილ გზას. რუბენი მონადირე კაცია. ისეთი სხარტი ენით დაუჯილდოვებია განგებას, პეროვის პერსონაჟები მიმიქარავს. დასჭირდეს, ფეხის გულსაც კი უპრობლემოდ მოიფხანს მისით. ორლულიანს მიფეშქაშებს სიტყვით, მაგრამ ენგურსგაღმა გამოქვაბულში შეუნახავს იგი, ბრეზენტის ნაჭერში საგულდაგულოდ შეხვეული.

– გინდა ფუტკარი გყოლია და გინდა ავადმყოფი, – სხაპასხუპით ამბობს რუბენი და საჭეს ჩაფრენილს ღმუილით მიხყავს მანქანა ბეტონის გზაზე, – მისი გამრავლება სწრაფად ხდება. აფხაზეთი ომი ხომ იცი, იქ ერთი მთაა, თეთრზე თეთრი, ფრიალო. ომამდე აფხაზეთში მეფუტკრეობა კარგად იყო განვითარებული, მაგრამ როცა იქაურობა ჯოჯოხეთს დაემსგავსა, ფუტკარმაც თავს გაქცევით უშველა. აქ, კამაწაწას გამოქვაბულებს შეეფარა. ახლა თაფლი გამოდი კლდიდან. ჩემი თვალით მინახავს ყოველი. ტონობით დევს იმ მთაზე თაფლი. წარმოგიდგენია, 5 კილომეტრის სიგრძისაა დალოცვილი. აი, საშენო თოფსაც იქ ვინახავ.

ერთხანობას მეფუტკრე კოჩია ქარდავაზეც ვისაუბრებთ, რომელიც წლების წინ გარდაცვლილა და ახლა ხუბერში მისი მეუღლე და შვილები განაგრძობენ. საშვილიშვილო საქმეს.

უკვე ჯვარიდან მეთვრამეტე კილომეტრზე ვართ, სადაც ჯოღორნაშურა შეერევა ჯალარს და თვალწარმტაცი ჩანჩქერი ჩნდება.

– თევზი ამას იქით ვერ მიდის, – მიხსნის ისევ რუბენ შელია გამალებული საუბრით, – ზევით წასვლა რომ შეეძლოს, მაგანის სათავესთან, დაახლოებით 42 კილომეტრში ტობავარჩხილამდე ააღწევს, მაგრამ მაგისი პირობები არა აქვს. ხელის წაშველება საჭირო, დაიჭირო უნდა და გადაალახვინო ჩანჩქერი. გადაუჭარბებლად გეტყვი, სამი წელიც საკმარისია, თევზი თმასავით მოხშირდება. იქ ტყობაჩის ნაკრძალია, არაჩვეულებრივი, საოცარი ადგილი. პარმენ როგავა იყო მაგის ხელმძღვანელი. კომუნისტების დროს საკუთარი თანხებით ირემი, გარეული ღორი მოაშენა. მალე ისე მომრავლდნენ, ისე მოშინაურდნენ, ხელით ვაჭმევდით საჭმელს. ახლა მხოლოდ ოთხი ღორია და ორი ირემი, თუ ისინიც არ ამოხოცეს. ტობავარჩხილი უნიკალური ტბაა. ჯვარიდან ოცდამერვე კილომეტრზეა. მაგანას ტოტი გამოდის იქიდან. სიგრძე კილომეტრნახევარია, სიგანე კილომეტრი. სიღრმე არავინ იცის. ისეთი ცივია, წყალქვეშ ვერცერთი არსება ვერ ძლებს. ეს არის სუბალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 3500 მეტრზე, გამსახურდიას დროს იყვნენ იაპონელები, გერმანელები. წყლის სინჯი გააკეთეს. მე ნავებით შევიყვანე ისინი. წყალი ლაბორატორიული გამოქვლევის შემდეგ არაჩვეულებრივი გამოდგა. ხოდა, გამოთქვეს სურვილი, რომ ამ წყალს გამოიყვანდნენ სპეციალური მილებით, სამი წლის განმავლობაში რეალიზაციას გაუკეთებდნენ და ამის 30 პროცენტს რაიონს და უტოვებდნენ. მაგრამ მერე ქვეყანა აირია, და მას აქეთ ვართ კიდეც ჭაობის ფსკერზე, განუკითხაობის ხახაში. ხელშეუხებელი მარტო კვაკვა დარჩა. სხვაგან უსულგულოდ განადგურდა ტყე. წაბლის ნასახი არ დარჩა ქუაუჩაში, ტყავაშაში, ყველა მოხერხებულ ადგილას აკეთებს სახერხს. სვანეთის ტერიტორიაზე მოქმედი სახერხი 50-იდან ასამდეა, სულ კერძო. ჯვარში თხუთმეტია, კვალის დაფარვის მიზნით ნახერხს პირდაპირ ენგურში ყრიან რითაც თევზი პირწმინდად განადგურდა. რანაირი მეთოდით არ იჭერენ თევზებს, დენით, პილიკანით, დინამიტით. თუ რომელიმე თევზმა გაქცევით თავს უშველა, ის მაინც ვერ გამრავლდება. ენგური კალმახით იყო განთქმული და დღეს ამ ნახერხების თუ გაუმაძღარი ბრაკონიერების წყალობით თევზი განადგურებულია.მთელი ორი დღე შემომატარებს რუბენ შელია წყალსაცავის მიდამოებს.მომდევნოლ პარასკევს წალენჯიხის რაიონის გამგეობის შენობასთან დაკავშირებით.

– წალენჯიხაში 12 სოფელია, ყველა კოლორიტული, ცნობილი ხალხის ობადიში, მაგრამ ჯვარი გამორჩეულია, ვინაიდან თაღოვანი კაშხალი აქ არის გაშენებული, – ამბობს რაიონის გამგებელი რობერტ კაჭარავა, – თავის სპეციფიკიდან გამომდინარე წალენჯიხა შეიძლება ენერგეტიკოსთა რაიონადაც ჩაითვალოს. ჩვენ მცირემიწიანი მხარე გვეთქმის, რადგანაც არსებული ტერიტორიის 70 პროცენტი ტყეს უკავია. ჭანის წყლის სათავეებში უღრანები მართლაც უსულგულოდაა გაჩეხილი. ადრე საქვაბეები ნახშირზე მუშაობდა. ეს ყველაფერი მოიშალა. ახლა საბავშვო ბაგა-ბაღები, სკოლები, 9 000 ოჯახი შეშით თბება, რაც უმძიმეს ტვირთად აწვება ტყეს. ტყეს თავისი ფუნქცია უნდა დაუბრუნდეს, ხის მოჭრა კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ – კანონიერად. წალენჯიხაში არის ერთი, ორი ისეთი სახერხი, რომელიც ენგურის პირასაა გაშენებული. ასევეა წყალსაცავის ქვემოთაც, შენი მეგზური მონადირის მოგვარეს რომ ეკუთვნის. ჰოდა, რომ დამალონ თუ რამდენი ხე-ტყე მუშავდება, ნახერხი მთლიანად მდინარეშ იყრება. ასეა საქმე და კატასტროფულად ნადგურდება თევზი. რაც შეეხება თავად თაღოვან კაშხალს, 70 პროცენტით ავსებს იგი ჩვენს ბიუჯეტს. ჩვენ იქიდან ყოველთვიურად მარტო ქონების გადასახადი 80 ათასი ლარი გვეკუთვნის, მაგრამ ცენტრიდან ვეღარც ისინი იღებენ კუთვნილ ფულს, და აქედან გამომდინარე, ჩვენც ცარიელ-ტარიელზე ვართ. ენგურჰესის უნიკალური კაშხალი ჩვენს ტერიტორიაზეა და რაიონმა უნდა გამოიყენოს მისი პოტენცი-



ალი ამასწინათ პრეზიდენტს იდეა შევთავაზეთ და დაგვთანხმდა, რომ რაიონმა მიიღოს ელექტროენერგია თვითღირებულებას ჰდლუს 1,2 თეთრად. ასეთი იაფი ელექტროენერგია კარგი გარანტია იქნება ინვესტორების მოსაზიდადა, აღდგება ინფრასტრუქტურა და შიმშილის ზღვრამდე მისული მოსახლეობა შვებით ამოიოსუნთქავს.

საუბრის მიწურულს ქვემოთ მომლოდინე მამაშვილი შანავები გამახსენდება.

– ჯერ კიდევ ოთხმოცდათხუთმეტში დიდი წარმატება ვუწინასწარმეტყველე მოჭადრაკე ბიჭუნას. მე ამას ანთროპოლოგიური მონაცემებით ვსაზღვრავ ხოლმე. სურვილი ერთია, მაგრამ ასეით მწირი ბიუჯეტით როგორ გინდა მოხეთქილ გენიას ხელი გაუმართო? – ვეტყვი და გამომცდელა მივაჩერდები გამგებელს.

– კოკა შანავასთვის მეორე წელია ჰონორარის სახით ყოველთვიურად 150 ლარი მაქვს დანიშნული. ბიუჯეტის ასიგნებიდან გარკვეული თანხაა ყოველთვიურად 150 ლარი მაქვს დანიშნული. ბიუჯეტის ასიგნებიდან გარკველუი თანხაა გამოყოფილი. ამგვარი საუბრებით დავეშვებით კიბეებზე.სიმაღლეში წასულა წალენჯიხელი მოჭადრაკე. სხეული შემოუბერტყავს. პროფილი ღვთაებრივ შთაგონებას დაუშარავანდედებია. ამ რვა წელიწადში უამრავი ბარიერი გადაულახავს. ესპანეთში გამართულ შარშანდელ ტურნიის დეტალებზე ჩავეძიები.

– ძლიერი შემადგენლობა იყო, – გენიოსის შთაგონება აულანძავს სახეს, – მე ვიყავი 22-ე სასტარტო ნომრით. თავიდან საქმე კარგად ვერ აეწყო. მესამე პარტიაში დავმარცხდი. აუცილებლად მჭირდებოდა სამი ბოლო პარტიის მოგება. ვხვდებოდი სამ უძლიერეს მოჭადრაკეს. ძალების მაქსიმალური მობილიზებით გადავლახე ეს საზღვარი. ბოლო მეთერთმეტე პარტიაში რუს ალექსეევს ვაჯობე, რომელიც დიდოსტატია და 250 ფუნტით აღემატებოდა ჩემს რეიტინგს. ყველაფერმა მაღალ დონრეზე ჩაიარა. სასტუმრო ხუთვარსკვლავიანი გახლდათ. სათამაშო პირობები– იდეალური. ესეც რომ არა, იქ ხომ ბასკეთია და სამშობლოს კედლები ცოტას ნიშნავს განა?!

– ჰო, სისხლის ყივილმა იცის ეგრე, – მეცხრე ცაზე ვარ სიხარულისგან, – ისევ გულიკო ხარჩილავამ დაგაფინანსა?

– ამჯერად არა. საქართველოს ჩემპიონობა მოვიპოვე იმ წელს და აქედან საგზურით გამიშვეს. მატჩი 11 ტურად ჩატარდა, სულ ცამეტი დღე დავრჩით ბარსელონაში.

– შენი რეიტინგი დღითი დღე იზრდება და მერწმუნე, შვილის წარმატებასავით მახარებს, ვუღიმი მსოფლიო ჩემპიონს 16 წლის ვაჟთა შორის.

– მჯერა, – გულწრფელია ჭადრაკის ლაკადელი გენია, – თქვენმა გზის დალოცვამ ჯერ კიდევ რვა წლის წინ შემასხა ფრთები. საქართველოს ახლანდელი ჩემპიონატი მე ბრწყინვალედ ვითამაშე. შვიდიდან შვიდი ქულა მქონდა. ბოლოს ორი პარტია ყაიმით დავამთავრე და პირველ ადგილზე უმტკივნეულოდ გავედი. ბატონმა როინ მეტრეველმა უნივერსიტეტში უგამოსცდოდ მიმიღო, საერთაშორისო ეკონომიკურ ფაკულტეტზე. ქვეყნის პრეზიდენტმაც თავისი სახელობის პრემია დამინიშნა.

– ჯერ სად ხარ, – ვაქეზებ დამსახურებისამებრ, – კიდევ ორი-სამი წელიწადი და მთელი საჭადრაკო სამყარო შენს ფეხრთით აღმოჩნდა. შენ ხომ ლაკადელი ხარ, ძმისშვილო, მსოფლიოს მერევე საოცრების – ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის პირმშო და მემკვიდრე!

ქართული ენერგეტიკის დედაბოძი

დაბა ჯვარამდე ჯაბახანა ტაქსით მოღწეული, ორხიდიან „ნივაში“ გადავჯდები და ორიოდე წლის წინათ გალარული ხიდით ფოცხოსკენ წაკლაკნილ გზას დავადგებით.

თაღოვანი კაშხალის პერსონალი მაქსიმალურად მობილიზებულია. წლებს თავისი გაუტანია მაინც, ხუჭუჭი თმა შემოდგომის ქარებს გაჰ ყოლია. წერწეტი სიარული დაზმორებულა. თითივით გალოკილები დაწვრილშვილებულან.

მიყოლებით ჩავიწერ ენგურჰესის – მსოფლიოს მერვე საოცრების შემოქმედი ხალხის საუბრებს.

კლდეზე მცოცავთა ბრიგადის ხელმძღვანელის, ნეგუს აკობიას იერი და მიმოხვრაღა მეცნაურება იმ ერგასეული დამხდურისაგან.

უნიკალური თაღოვანი კაშხალისკენ მივემართებით. იქ გადავიღებთ სამახსოვრო ფოტოებს. ხოლო ამ წერილის შეპირებული მონაკვეთისათვის შ.პ.ს. „ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის“ დირექტორ ბატონ ჯონი ჭანიას მონათხრობს შემოვიშველიებ, როგორც ყველაზე კომპეტურს და მიზანმიმართულს საგაზეთო მოთხოვნილებით.

– გვარი ჭანია რამდენადმე ახლობელია ჩემთვის, როგორც შემოქმედისთვის, მწერლისთვის, რადგანაც ჩემი წიგნები მისნაირი ხალხით დასახლებულა.

– თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე 1979 წელს (ახლახან – უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობა), მას შემდეგ ვმუშაობდი ენგურჰესის კაშხალის მშენებლობაზე, სხვადასხვა ობიექტზე. დედ-მამა პენსიონრები არიან. მყავს ერთი ძმა. მხატვარია, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მოღვაწეობს მოსკოვში. მყავს მეუღლე, დარეჯან დადიანი. ორი ვაჟი – თენგიზი და ჯონი. ვცხოვრობთ ჯვარში, ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის სიახლოვეს. ვიყავი სამთო ოსტატი. შემდეგ – სამუშაოს მწარმოებლად, უბნის უფროსად ვმუშაობდი ენგურჰესის თაღოვან კაშხალსა და ხუდონჰესის მშენებლობებზე.

კაშხალის მშენებლობის პერიოდში, 89-ში აშშ-ში მიმიწვია ფირმა „როტეკმა“, რომლის დანადგარებს ჩვენ ვუწევდით ექსპლუატაციას. ამერი-

კელებიც დაინტერესდნენ ექსპლუატაციის პერიოდში გამოვლენილი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით. მოვახსენე ჩემი დაკვირვების შედეგები და, წარმოიდგინეთ, რომ ჩემი შეთავაზებით მექანიზმებში რამდენიმე ცვლილება შეიტანეს.

სამუშაოდ დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ იმ დროს ამეებზე ფიქრიც ზედმეტი იყო. საქართველოში მე ჩემი საქმე, ჩემი გეგმები მქონდა.

86-ში ჩერნობილის ატომური სადგურის ავარიის დროს ჩვენი მშენებლობის ტრესტის მმართველმა მიხეილ ცისკარიშვილმა მოსკოვიდან დეპეშა მიიღო: სამ დღეში უნდა გადაგვეტანა ამერიკული დანადგარი ჩერნობილში.

– რატომ? ჩემთვის რაღაც ბუნდოვანია.

– იმიტომ, რომ ამ მოწყობილობით იქ უნდა დაგვებეტონებინა პირველი რიგის სარკოფაგი. ტრანსპორტირება უმოკლეს დროში მოხერხდა. მე ვიყავი პირველი ქართველი, ვინც ქალაქ ჩერნობილში ჩავიდა.

ჩვენი მოწყობილობა ადგილზე დამხვდა. შევუდექით მუშაობას, და ის კედლები დავაბეტონეთ.

უკრაინის მთავრობამ დაგვაჯილდოვა მედლით „ატომური ელექტროსადგურის ავარიის ლიკვიდაციისათვის“. დეზაქტივაციის შემდეგ უკან ჩამოვიტანეთ ჩვენი დანადგარი და გავაგრძელეთ ხუდონჰესზე მუშაობა.

– ბატონო ჯონი, ხუდონჰესზე ვიყავი და ვიცი, რომ ათობით მილიონი მანეთის სამუშაოები იყო იქ ჩატარებული, ეროვნული მოძრაობის ერთმა ფრთამ, ძირითადად, „მწვანეთა პარტიამ“ მის წინააღმდეგ გაილაშქრა და მშენებლობა დავაკონსერვეთ.

– 89 წლისთვის ხუდონჰესზე კარგი ტემპი გვქონდა აღებული, მშენებლობის მიწის სამუშაოების 90 პროცენტი დამთავრებული იყო. ორი წელიწადი მუშაობა ამ ტემპით რომ გაგრძელებულიყო, ხუდონჰესის ნაწილობრივ ექსპლუატაციაში გაშვებას მოვახერხებდით... და ზამთრის პირობებშიც კი ენერგოდეფიციტი მოიხსნებოდა, ზამთარშიც ელექტროენერგიას საზღვარგარეთ გავყიდიდით.

– ხუდონ**ხ**ესზე ჩატარებული სამუშაოები ნუთუ, მართლაც, წყალშია ჩაყრილი?

– თუ გაგრძელდა მშენებლობა, ადრე გაკეთებული წაგვადგება. მაგრამ, ცხადია, დიდხანს მისი ასეთი სახით დატოვება არ შეიძლება: კლდის მასივი, რომელიც გაშიშვლებულია და ერთგვარად იცავს ბეტონის საფარს დაშლისა და კოროზიისაგან, ირეცხება, ფუჭდება. ამიტომ სასურველია, რაც შეიძლება მალე გაგრძელდეს მშენებლობა. უბეტონოდ ფილტრაციული წყლები ჟონავს და ეს უარყოფითად მოქმედებს მოშიშვლებულ ნაწილზე.

მიწისქვეშა სამუშაოები თითქმის დამთავრებულია: წყალმიმღები, სამანქანო დარბაზი, გამწოვი მილი, საამშენებლო გვირაბი დღესაც ფუნქციონირებს, შეიძლება პატარა რემონტი დასჭირდეს. დაკონსერვების წინ ძირითადი სამუშაოები თითქმის დამთავრებული იყო, რჩებოდა მარტო ტურბინების მონტაჟი და წყალმიმღების, სამანქანო დარბაზის დაბეტონება.

– „ხუდონჰესი“ თუ არის რაიმე იურიდიული პირის სახით დაფუძნებული?

– კი, როგორ არა. იგი ეკუთვნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „საქენერგოგენერაციას“. ხუდონჰესის დირექცია არსებობს დღესაც და მისი დირექტორია ზურაბ ფიფია.

– მოდით, ახლა ენგურჰესს დავუბრუნდეთ.

– ენგურჰესი თავისი პარამეტრებითა და განლაგებით უნიკალურია. ეს არის სათავე ნაგებობა, რომელსაც ჰქვია ენგურჰესის „თაღოვანი კაშხალი“ და ათი კილომეტრი გვირაბი, რომელიც წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე გადის, ხოლო დარჩენილი ხუთკილომეტრიანი გვირაბი და თვით ენგურჰესის ძალოვანი კვანძი, ვარდნილ-1, ვარდნილ-2, ვარდნილ-3, ვარდნილ-4 განლაგებულია გალის რაიონში. თაღოვანი კაშხალი ძალოვან კვანძს დაშორებულია 28-30 კილომეტრით. შემდეგ მოდის გალის ვარდნილჰესები, წყალსაცავითურთ, ხელოვნური არხით, რომელიც უერთდება შავ ზღვას. ვარდნილჰესების დირექტორია ალფეზ შელია, ხოლო ენგურჰესის დირექტორი ლევან მებონიაა. ვარდნილჰესების კასკადის 3 სადგური, სამწუხაროდ, ჩაძირულია. ეს გამოიწვია აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარმა მოქმედებამ, პერსონალი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა სამუშაო ადგილი, და ამის გამო სამი სადგური წყალქვეშ აღმოჩნდა.

– დაიტბორა?– ჩავეკითხები რესპოდენტს.

– დაიტბორა ცოტაა! სამანქანო, სადაც აგრეგატებია განლაგებული, წყალსაქაჩების გაჩერების შედეგად წყლით აივსო.

– რა ეშველება?– ჩავეკითხები კვლავ.

– ისევ აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში მოქცევა და სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ან მანამდე აფხაზებთან ერთობლივად ტექნიკური პრობლემების ლიკვიდაცია.

– რამდენად შესაძლებელია ეს?

– ტექნიკურად ეს შესაძლებელია, თუ იქნება დაფინანსება. თუმცა, დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი: ათი წელია, რაც წყალქვეშ არის მოქცეული. იქ ზოგი დანადგარი მწყობრიდანაც იქნება გამოსული, შეიძლება დაჟანგულიც იყოს...

– აფხაზებთან, რამდენადაც ვიცი, ენერგეტიკოსებს კარგი ურთიერთობა გაქვთ.

– ენერგეტიკოსებს შედარებით ნორმალური ურთიერთობა გვაქვს იმ მხრივ. ექსტრემალური პირობების მიუხედავად ავარიების შემთხვევაშიგადავდივართ იქ და ერთმანეთის თანადგომით ხდება ავარიების ლიკვიდაცია. ელექტროენერგიის რაოდენობას 40 პროცენტამდე ითხოვს აფხაზეთის მხარე. ეს განუხორციელებელია, ამდენს ვერ მოიხმარენ. დიდი ნაწილი მაინც საქართველოსკენ უნდა იყოს მიმართული.

– ამ დღეებში ერთ-ერთი ტელეარხის გადა-


02 12 6

ცემაში მივუსწარი ენერგეტიკის პრობლემაზე საუბარს. სათქვენოდ გამოყოფილ 45 მილიონ დოლარსა თუ ლარზე იყო მსჯელობა...

– ევროპა გვპირდება სესხს 37 მილიონ 800 ათასი დოლარის ოდენობით ენგურჰესის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის განხორციელებისათვის. გვპირდებიან სხვა კრედიტსაც იგივე დანიშნულებით. ესაა გრძელვადიანი სესხი კარგი პირობებით, 15-წლიანია. ტენდერი იყო გამოცხადებული, რომელშიც სხვადასხვა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, გერმანიამ, თურქეთმა, ავსტრიამ და რუსეთის სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა. ამ შემთხვევაში ჩვენ შევჩერდით რუსეთის სამშენებლო ორგანიზაციებზე, რომლებიც თავის დროზე ენგურჰესის მშენებლობაზე მონაწილეობდნენ.

– თუ არ ვცდები, 1997 წელს სადერივაციო გვირაბსაც ჩაუტარდა რემონტი.

– მართალია, მდინარე ოლორის გადასასვლელ მონაკვეთზე, საიდანაც ხდებოდა წყლის დიდი რაოდენობით გაჟონვა. საჭირო შეიქნა სადგურის გაჩერება, შიდა მხრიდან ცემენტის ინექცია, ბზარის შეკეთება და გვირაბში სარქველების რემონტი. ასეულობით კუბური მეტრის ბეტონი დავაგეთ ძირის ნაწილზე. თითქმის 100-პროცენტიანი შედეგი მივიღეთ, მილიონამდე თანხა დაჯდა ყოველივე. ესეც ოპერატიულად გაკეთდა. დიდი ხნით გვირაბის გაჩერება იწვევს სადგურის გაჩერებას, ამიტომ მობილიზებულ იქნა მთელი რიგი სამმართველოები და საქმეს ჩინებულად გავართვით თავი.

მიწისქვეშა სადგური მიწის ზედაპირიდან 100 მეტრით ქვევითაა. სადერივაციო გვირაბი – 15,5 კილომეტრი სიგრძის, დიამეტრით 9,5 მეტრი, უზარმაზარი ნაგებობის კომპლექსია, სადაც წნევა 16 ატმოსფერომდე აღწევს. სადგურის ავარიულ რეჟიმში გაჩერება მყისიერად იწვევს წნევის ცვლილებას, რაც უარყოფითად მოქმედებს გვირაბზე. თითქმის ოცდახუთი წელია, რაც ექსპლუატაციაში შევიდა ენგურჰესი, არადა, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა ჩაუტარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები, დიდი თუ მცირე, თუმცა ცნობილი მიზეზების გამო საამისოდ ვის ეცალა?!

– ვიცი, რომ დიდი ძალისხმევა დაგჭირდათ, „თაღოვანი კაშხალს“ სხვა სამართლებრივ სივრცეში მოსაქცევად

– ეს აუცილებელი იყო ოპერატიული ხელმძღვანელობისთვის, ამიტომ დაისვა საკითხი, რომ „თაღოვან კაშხალს“ მეტი უფლება მისცემოდა, ფილიალის სახით თუნდაც. ჩვენი წინადადება ბევრმა აღიქვა, როგორც სეპარატისტული, მაგრამ მხარი დამიჭირეს გიორგი მიქავამ, „საქენერგოს“ ეკონომიკურმა სამსახურებმა, გამოცდილმა ინჟინრებმა. გადაწყდა, რომ ცალკე შექმნილიყო ენგურჰესის ოპერატიული სამსახური. ცალკე ჩამოყალიბდა ენგურჰესის „თაღოვანი კაშხალის“ დირექცია. ეს ყველაფერი 94-ში მოხდა. პირველი დირექტორი გავხდი მე; 99-ში ჩვენ ვიყავით სახაზინო საწარმო. მერე დღის წესრიგში დადგა მისი შპს-დ ჩამოყალიბება. ენგურჰესი დაფუძნებულია თბილისში, „თაღოვანი კაშხალი“ კი წალენჯიხის რაიონშია.

– ეგ რატომ?– სულის მოთქმას არ ვაცლი.

– აფხაზეთში ჩვენი იურისდიქცია რომ ხორციელდებოდეს, ენგურჰესის დირექცია, ალბათ, გალში იქნებოდა, მაგრამ ამჯერად წალენჯიხის რაიონში მისი დაფუძნება ყოველნაირად გამართლებულია: მშენებლობისას რაიონი ეკონომიკურად ძლიერი იყო, ახლა იქ არაფერი ფუნქციონირებს. რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის შემავსებელი ერთადერთი ორგანიზაცია ენგურხესის თაღოვანი კაშხალია. ყოველწლიურად 400-500 ათას ლარს ვამატებთ წალენჯიხის ბიუჯეტს.

– ბატონო, ჯონი, რამდენადაც ვიცი, მილიონი ლარი გერგებათ და 8-9 თვის ხელფასი გაუცემელია.

– სამწუხაროდ, პერმანენტულად დგება ხოლმე ჩვენი დაფინანსების პრობლემა. პრობლემა არის ელექტროენერგიის საფასურის გადახდაშიც და, აქედან გამომდინარე, არის დავალიანება ელექტროსადგურების მიმართაც. ბუნებრივია, გამონაკლისი ვერც ჩვენ ვიქნებით. ჩვენთან საშუალო ხელფასი 150 ლარია. ხვალ და ზეგ რომ ველოდებით სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ეს პროფესიონალი ხალხი დიდ საქმეს გაგვიკეთებს. ჯერჯერობით რაღაცნაირად ვახერხებ მათ შეჩერებას, მაგრამ თუ წავიდნენ, მათ შემცვლელს გარკვეულ პერიოდში ვერ ვიშოვით.

ჯვარს ერგო წილად, რომ სწორედ აქ აღმართულიყო მსოფლიოში უნიკალური კაშხალი. ხალხიც დიდი სიხარულით შეხვდა ამას. მაგრამ ახლა, ამ წლების სიდუხჭირემ, ადამიანებიც შეცვალა. იშვიათად დაინახავ ქუჩაში გაღიმებულ მხცოვანს თუ ჭარმაგს... ხუდონჰესის მშენებლობის დაწყება იქნება არამარტო ჩვენი ინდუსტრიის გაძლიერება, არამედ მორალური გაჯანსაღების საწინდარიც. ამის შესაძლებლობა არის: შენარჩუნებულია ცემენტის ქარხანა, რომლითაც წლების წინათ აშენდა ენგურჰესის კაშხალი. ეს იყო სამასმარკიანი ცემენტი „კამა“. ენგურის ჰიდროტექნიკურ ცემენტს ეძახდნენ. მისი თვისებები უნიკალურია. ასე რომ, ქვეყანაში ყველა წინაპირობა არის იმისთვის, რომ ხუდონჰესის მშენებლობა გაგრძელედეს.

– მაინც რამდენ მუშახელს მიიზიდავს ხუდონი?– მივაყრი სხაპასხუპით.

– ხუდონჰესის მშენებლობა დაასაქმებს 10-12 ათას ადამიანს. გარდა საკუთრივ ხუდონჰესისა, მდიდარი ინფრასტრუქტურაა მოსაწყობი. გზებია მოსაწესრიგებელი, კვების, კულტურული დაწესებულების ობიექტები. მშენებლობა პიკს რომ მიუახლოვდება, შეიძლება დაიწყოს საუბარი ტობარჰესზე და იმ კასკადის განხორციელებაზე, რომელიც იმთავითვე ჩადებული იყო პროექტში. მე მჯერა ენგურჰესის მომავლის.

ელექტროსადგურის დირექტორები ლევან მე-

ბონია, ავთო შელია და მე პრეზიდენტის ბრძანებულებით, ღირსების ორდენებით დაგვაჯილდოვეს. ეს ყველაფერი ჩვენი საქმიანობის ავანსია და, დამერწმუნეთ, ფარ-ხმალის დაყრას არც მომავალში ვაპირებთ.

SOS: ვარდების რევოლუცია რომ არა, ენგურჰესი ეზად იყო... კატასტროფისთვის

პალიასტომი რაც არის, გაგვიცხადებია – პავლიას ტომის წარღვნილი ადგილსამყოფელი, რომელსაც გაურკვეველი კატასტროფა უფსკრულში დანთქავს მითოსური გადმოცემებით. პალიასტომი დაახლოებით ენგურჰესის წყალსაცავი აუზის პარამეტრებისაა, ოღონდ განსხვავებით ზღვის დონესაც ემორჩილება იგი და აღარც ჩვენს თავზეა გილიოტინასავით ჩამოკიდებული. პალიასტომის ფსკერზე წვერგაბებღილი ბოგვერაძედან მოყოლებული, აკვალანგები თუ მეთევზენი, დღესაც პოულობენ ბერძნული წარმომავლობის ამფორებს, მარმარილოს საფეხურებს თუ სფინქსის ღიმილით გაჯერებულ თავის ქალებს პრეისტორიული სამარხებიდან. პალიასტომის, გნებავთ „ტიტანიკის“ ყისმათი ფუფუნებაა სამეგრელოს განსაცდელთან შედარებით, ვინაიდან იმ ორისგან რაღაც ნივთიერი მაინც დარჩენილა – აისბერგით შენგრეული ფერდი თუ ლამინარიით გასლიპინებული კედლები. აი, სამეგრელოს ბედი კი გაცილებით ტრაგიკულია ენგურჰესის კაშხალზე ავარიის შემთხვევაში, რადგანაც იმ უმართავი წყალსაგდები 4 სარქველის მოწყდომის ალბათობა, წამში 2000 კუბმეტრის ნაკადის დარტყმის ტალღა, მოასარგალებს ჩვენს სახსენებელს. შემდგომ 6-7 მეტრის ნიაღვრის ცათამბჯენები ელვაზე უსწრაფესად ჩაგვაღწიებს შავი ზღვის ბნელხვეულებში აფხაზეთ-აჭარიანად. ესეც შენი პალიასტომის მასშტაბური პერსპექტივა უძღები შვილების თუ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მართული ჩინოვნიკებისგან მომადლებული წლობით, მაგრამ ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.

წლის მიწურულს ენგურჰესზე ორგზის ხანგრძლივად ყოფნამ; იქაურ ხელმძღვანელებთან, ცნობილ სპეციალისტებთან თუ რიგით ადამიანებთან გულახდილმა დიალოგებმა? ერთიანად საფრთხე გავიცნობიეროთ დიდმა და პატარამ, გამგებელმა და მაჟორიტარმა, გუბერნატორმა და მინისტრმა, ერმა თუ ბერმა. ჩვენ კი გაუცემელ ხელფასებსა და პენსიებზე ვჭიჭყინებთ, უშუქობას და უგზოობას მივსტირით, შუარუსთაველიდან ვქოთქოთებთ დრაკონული ტარიფების გამო, როცა დედაწულიანად ენგურჰესთან უნდა ვეყაროთ ყველა და გადაუდებელ პრობლემებს ვაკლავდეთ თავს.

კლდის ვეფხვად წოდებული ნეგუს აკობიას მტკიცებით, ჩვენი უბედურების სათავე „მწვანეების“ მიერ ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერებაა. ჯანდაბას წყალში გადაყრილი 154 მილიონი რუბლის სამუშაოები! (იური გუგუჩია), ჯანდაბას 700 მეგავატის ენერგიაზე ზურგის შექცევა! მაგრამ იცოდა ჭევიანმა მტერმა, რომ ხუდონჰესის გასრულება უწინარესად ენგურჰესის თაღოვან კაშხალზე სარემონტო სამუშაოების უპრობლემოდ წარმართვას მოასწავებდა და ისარგებლეს კიდეც ჩვენი დოყლაპიობით: დავაკონსერვეთ ეროვნული ენერგეტიკის დედაბოძის – ენგურჰესის – სარეზერვო-სათადარიგო ნაგებობა ხუდონჰესი. ეროვნული მოძრაობის სახელით შეინიღმა მაშინ ეს ყველაფერი, ეკოლოგიური უსაფრთხოების საბაბით, მაგრამ ახლა რისთვის გავჩუმებულვართ კარზემომდგარი კატასტროფის სიმწიფის ფაზაში? დღეს სხვაგან ქრის მათი გონება. მათი სარბიელი ბორჯომის ხეობის მომავალს აბნელებს, როგორც დამაჯერებლად გვეუწყა ყოველივე ბ-ნ ნუგზარ მოლოდინაშვილის გამჭრიახი წერილიდან: „მწვანე“ შეტევა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროეტზე“ („სრ“, №317-318, 2002 წ.). უკვე ეჭვს არ იწვევს ქოჩლაძეების „მწვანე ალტერნატივის“ და სხვათა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა სომხეთის ინტერესების სასარგებლოდ.

,,გაძარცულია კაბელები, სპილენძი; წაღებულია ალუმინის კარ-ფანჯრები. სომხებით დაკომპლექტებული საშუალობები რომ იდგნენ, იმათმა არაფერი დატოვეს. ერთი ხაზის კვებაღა გვაქვს ჯვარიდან. თუ ისიც მოიშალა, ან ორი საათით გამოირთო, ჩაიძირება სატუმბი სადგური. როცა ჩაიძირება, მერე ახლოს ვერ მიხვალ, ამოქაჩვა კი ძნელია. ყველაფერი მოშლილია. მისასვლელი გზები გაფუჭებულია. აქაურობის „მოსასვლელად“ რუსებს სომხები ხყავდათ დაქირავებული. ვის რას ეტყოდი? ვინ იყო ჩვენი გამკითხავი?“ (ბორის გაბედავა).

„ენგურხესი დღე-ღამეში მილიონ ორასი ათასი ლარის ელენერგიას გამოიმუშავებს. ჩვენი დირექცია ყოველთვე უნდა ღებულობდეს 220 ათას ლარს. სინამდვილეში ვიღებთ 30-40 ათას ლარს. ამ 220 ათასიდან 78 ათასი ქონების გადასახადია, ბიუჯეტს უნდა დავუბრუნოთ. წელს ჩვენ მილიარდ 700 მილიონი კუბმეტრი წყალი დავღვარეთ. რატომ? ენგურზე ერთი აგრეგატი გაჩერებულია. წლების განმავლობაში მის რემონტს 3 მილიონი დოლარი სჭირდებოდა. რომ აგვეშუშავებინა იგი 14 დღეში აინაზღაურებდა თავის თავს. არ ტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, სიღრმული ფარების შენობაში ექვსიდან 2 მოქმედებს. თუ რადიკალური ცვლილებები არ მოხდა, ეს ჰესი 2-3 წელიწადში გაჩერდება. ენგურის ელენერგია 0,4 თეთრი ჯდება. „თბილგრესისა“ — 10. თბოელექტროსადგური, ბუნებრივია, გვჭირდება, მაგრამ ასეთი ძვირი? სჯობია დენი უცხოეთიდან ვიყიდოთ. აქ თვითნებური ვაჭრობაა. იტყვია;, საწვავი 40 დოლარად კი არა, 80-ად ვიყიდეთო და უმტკიცე მერე. აი, ენგურხესის

გამომუშავებული ფული მეტწილად იქ ტრიალებს. ელექტროენერგიის დეფიციტი მათ ხელს აძლევთ. ეს არის ეკონომიკური საბოტაჟი ქვეყნის წინააღმდეგ. ვინც დღედაღამ მუხლჩაუხრელად მუშაობს, იმას 9-12 თვის ხელფასი არ აუღია, არადა, ზოგ-ზოგები მილიონებს იჯიბავენ ჩვენი ექსპლოატაციის ხარჯზე. სახელმწიფოებრივი მიდგომაა საჭირო" (ნეგუს აკობია).

„გარედან ლამაზია კაშხალი, მტერს თვალს უბრმავებს, მაგრამ შიგნით ყველაფერი ისე ჩაოხრებულა, მოწყობილობები იმისთანა ცუდ დღეშია, ხარობს მტრის გული, ზეიმობს. 78-ში რომ გაუშვეს კაშხალი, მას მერე რემონტი საერთოდ არ ჩატარებულა. კაშხალი ბოლომდე დამთავრებულიც არაა. საგანგაშო მდგომარეობაა საკეტ ფარებთანაც. მათ აქვთ ხვრელი და ორი ფარი. ჰოდა, ეს არ მუშაობს. მიიღეს გადაწყვეტილება, მოეჭრათ იგი, ბეტონით ამოევსოთ. ერთი მხარე უშვებს წყალს წნევით. ეს დამანგრევლად მოქმედებს კაშხალზე. სანამ ეს მიმწოლი ფარი არ იქნება, რემონტი ვერ ჩატარდება. მუშა ფარებს გაუკეთდათ რემონტი, მაგრამ ბოლომდე ვერ კეტავს, იმ ფარებიდან წყალი მაინც ჩამოდის. თუ ასე გაგრძელდება, უსულგულო დამოკიდებულებით, შეიძლება მომავალ წელს იგი ვერც გავაღოთ. წყალი შეიძლება სტიქიურად გაივსოს და გადმოიღვაროს. იყო ჩამოსული ჩვენთან რუსი სპეციალისტი. 10 წუთიც ვერ გაჩერდა იქ, იმისთანა ვიბრაციაა. მართლაც ვითარებაა: ერთი ვერ კეტავს, მეორე წყალს უშვებს, ორი ჩაგარდნილია, დაგვრჩენია 2 ფარი, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ. წყალგამშვები 4 ფარიდან ორია მუშა. ხუთჯერ მეტი დატვირთვით მუშაობენ ისინი. 20-25 წელიწადია კაცი არ მისულა რკინასთან, ყანგი ჭამს ყველაფერს. კოროზიასთან ბრძოლას ყოველწლიურად 25 ტონა საღებავი სჭირდება. იცის ჩვენთან გადაბმული წვიმები, შვიდდღიანი, ათდღიანი, მეტიც. ფარი იმიტომაა საჭირო, რომ წყლის მასას რეგულირება უნდა. ჩაკეტვითაც ვერ ჩაგვიკეტავს, ვინაიდან შეიძლება სულ მოწყდეს. მერე კატასტროფას წინ აღარაფერი დაუდგება. ჯვარში 5-10 მეტრის წყალი დადგება, კაშხალის მიერ გაშვებული ვრიგალი, სანამ წყალი მოვა, წალეკავს ყველაფერს. დებეტის პიკის დრო თუ მოხდა ყოველივე, ზღვის დონე 5-6 მეტრით აიწევა, მარტო დასავლეთ საქართველოს კი არა, თურქეთსაც ავნებს, ვაკონკრეტებ, თუკი ოთხივე სარქველი მოწყდა და იქიდან დაგროვებულმა წყალმა იხუვლა". (ბორის გაბედავა).

შპს „ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის" მთავარი ინჟინრის, ბატონ **ლევან ჭანტურიას** სიტყვებით, მათ ყოფას თამამად შეიძლება ეწოდოს: „ცხოვრება ნისიად". მათ ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული ენგურჰესის უფროსთან, ბატონ ლევან მებონიასთან და გამომუშავებული 30 მილიონი ლარის 17 პროცენტი მათია. ეს 5 მილიონი ლარი სრულიად საკმარისია პირველადი სამუშაოებისათვის. მთავარი, დაუხანებელი, იმ 4 წყალსაგდების რემონტის ჩატარებაა, რათა ნორმატიული, დადგენილი გრაფიკით მოხდეს წყალსაცავის აწევა და დაწევა. ბრტყელი, ავარიული ფარები შესაკეთებელია. ერთი გარემონტებულია 99-2000 წლებში, მეორე ისეა დარჩენილი, არადა, დემონტაჟია საჭირო, რომელიც დიდ თანხას არ საჭიროებს – გაწმენდას და შეღებვას. ეს უკანასკნელი ახლა აღდგენილია და იმედისმმცემიც. უგროვდებათ ვალები თვიდან თვემდე და ცხოვრობენ ნისიით. ზოგჯერ სამუშაოზეც აგვიანდებათ, ვინაიდან ღომი ლობიოზე უფრო ჩქარა იხარშება. საგზლად ესენი უნდა წაიღოლო. აბა, სამსახურში ხმელი პურის გამტეხავი არავინაა. თუმცა ყველაფერს მოითმენს ლაკადელი კაცი, ოღონდ ენგურჰესის პრობლემებს ეშველოს! ოღონდ ენგურჰესის მიმართ მიზანმიმართული დისკრიმინაციული დამოკიდებულება შეწყდეს!

განა მთლად უსაშველოდაა საქმე? ენგურჰესის 10 დღის გამომუშავებული ენერგიის საფასურია საჭირო აუცილებელი სამუშაოებისთვის, 8-10 მილიონი ლარი, რომელიც ღმერთმა უწყის, ვის ინტერესებს ჩაენაცვლება ზემოთ და ზემოთ. ორიათასის მიწურულს ენგურჰესი პრეზიდენტმაც მოინახულა, სახელმწიფო მინისტრმაც – რამდენიმეგზის და პარლამენტის თავმჯდომარემაც, მაგრამ ჯერჯერობით საქმე ადგილიდან არ იძვრის. მისი რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია რამდენიმე უცხოური გრანტი და კრედიტი, მაგრამ გულგრილობის სინდრომს დასასრული არ უჩანს. ვერაფრით იძებნება შემსრულებელი ფირმები. მიდის გარიგებანი, ამასობაში კი კაშხალზე დასადგურებულ ვიბრაციას ყვავებიც კი შორიდან შეჰ ყრანტალებენ შეჯანღული ციდან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ენერგეტიკის ლობს – მეცნიერს, გუბერნატორს და ჟურნალისტს, 100 ათასი დოლარით აჯილდოებენ ყოველწლიურად თითოეულს, ბატონი იური გუგუჩიას რწმუნებით.

ლობი ახალი ტერმინია ქართულ სინამდვილეში, ლობიობასთან არაფერი ესაქმება . იგი კულისების, კულუარების ეკვივალენტურია ინგლისურში და ამა თუ იმ მხარის ინტერესების დაცვას გულისხმობს კონგრესში ვიწრო მნიშვნელობით. ფართო გაგებით კი იგივეა, რაც მეოხი, მხარდამჭერი, ქომაგი.

ლობი ჩვენს მეზობელ ქვეყანას საუკეთესო ჰ ყოლია „მწვანე ალტერანტივას" სახით;

თავიანთი ლობები ჰყავთ იეღოველებს პარლამენტსა თუ მთავრობაში – კანონი. ჯარში ალტერნატიული სამსახურის თაობაზე, ამისი ნათელი დასტურია:

ლობებმა გადააშენეს პირადობის დამადასტურე-

ბელი მოწმობიდან მამის სახელი და ეროვნულობა;

უცხო ქვეყანათა ინტერესების ლობირება საქართველოს საზიანოდ ფრიად მოჭარბებულია დღეს. ლობი ჰყავს ყველას და ყველაფერს, მხოლოდ ქართული ენერგეტიკის დედაბოძს – ენგურჰესს – არ მოეპოვება იგი. ჰოდა, სანამ გვიან არ არის, ვიდრე თაღოვან კაშხალზე კატასტროფა დატრიალებულა და მთელი დასავლეთ საქართველო პალიასტომად ქცეულა, ნუ დავიშურებთ ენგურჰესის გამომუშავებული მილიონებიდან რაღაც მიზერულ თანხას მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის!

ზავი „ენგუჰრესის“ ძალისხმევით

გალუმპული გამოვდივარ დისკური საკეტების შენობიდან, გადაქერქილი თხემი მეწვის, მაგრამ სამედიცინო პროცედურისათვის ნამდვილად აღარ მცხელა.

გაივლის ორმოციოდე დღე და ბატონ ლევან მებონიასგანვე შევიტყობ მეტეხის ტაძრის სიახლოვეს:

– დათო ქანთარიას დახმარებით მყვინთავები ჩამოვიყვანეთ ფოთიდან. საკუთარი ძალებით შევაკეთეთ დაზიანებული №1 აგრეგატი და 255 მეგავატის სიმძლავრით მუშაობს 31 დეკემბრიდანო.

ჩემი წამოსვლის კვირისთავზე გაუსრულებიათ საშური საქმე, თუმცა ჯერ ბელეტრისტული მასალების მოკრების მამითადია და მეც ღობეყორეს ვედები.

გულდამძიმებული მოვინახულებ საბერიოს სანახებს. ირგვლივ ელიოტისებური ნაცრის გარემოა. აქა-იქ ბუხრების ალიბჭენი ასვეტებულან უბედურების უტყუარ სტელებად. ვეღარ შევივლი რენალდ დგებუაძის ოჯახში; ვერც ჯიმშერ კვირკველიას – ჩირქალის – სამოსახლოს შევძახებ ჩვეული ომახიანობით. ზედგამოჭრილი სიპარტახეა ქვემოთაც, ბარის მიმართულებით; – ლეკუხონა–ჭუბურხინჯი, თაგილონი თუ სულისდგმა ოტობაია საკუთარი ფერფლიდან აიმართებიან ფენიქსივით. ჰოდა, ამ ამტუტებულ სივრცეში, ამ გადარუჯულ არე-მიდამოში, საბერიოს ელსადგური ერთადერთი ოაზისია, სადაც ტყვიას ფოთოლიც არ გაუკაწრავს ჯერეთ. ითქმება ამის თაობაზე ერთგვარი სიამაყით და უშედეგო მოლაპარაკებათა ათწლეულით ძარღვებაშლილს, სწორად ჩამომერთმევა, თუკი აფხაზურ-ქართული თანაარსებობის ქვაკუთხედად, დიახაც, ენგურჰესი გამოვაცხადო!

ამჯერად სამანქანო დარბაზს დავუტრიალდები. იქამდე ჩამითრევს, იქამდე გამიტაცებს ბლიცინტერვიუები ზეზეურ გმირებთან, რომ მასპინძლებს სახელდახელო სუფრა ჩამწარდებათ. ჩვენს მოლოდინში ჭირისუფლებივით უსხედან აოხშივრებულ სადილს და სამურზაყანოული ადათისამებრ, პირს არაფერს აკარებენ. მივეახლები წვეულებას და მყისვე იზაბელათი აფერადებული ბოცაც გამოჩნდება, თუმცა ქაფქაფა ადესას გამაბრუებელი სურნელისაგან თავს შორს დავიჭერ.

– ძმებო, სანამ სამშობლო სრულფასოვნად არ დაგვიბრუნებია, უწინამც მზე დამლევია, ღვინოს ტუჩი თუ დავაკარო-მეთქი და შეფუცხუნებული თანამეინახენიც მხრებს ჩამოყრიან. მალევე ავიშლებით. ტუსტუსით ამედევნება ჭიქა ღვინით ენადგაკრეფილი მხცოვანი ენერგეტიკოსი, გერშენზონ ბორის აბრამოვიჩი. პატარაობიდანვე დაობლებული სასომხეთში გათხოვილ დას გაუზრდია. იქიდან მოყოლებული, ხან უკრაინაში მოხვედრილა, ხანაც – ბელორუსიასა თუ ვოლგისპირეთში, მაგრამ ათასი წეს-ჩვეულების შემთვისებელს, ფესვი ვერსად მოუკიდია დაგორებული ქვის მსგავსად. გულის უშორეს კუნჭულიდან მოყურებია აღთქმული ქვეყნის თავანკარა ძახილი, თუმცა ბებერი ძვლები ვეღარაფრით წამოუკრავს, ვნებული შუბლის გოდების კედელზე მისაყრდნობად.

იშვიათი უშუალობის შესანარჩუნებლად დიქტაფონი გამომირთავს, მაგრამ მეხსიერებაც არანაკლები მიზიდულობის მოუმადლია ჩემთვის განგებას და მიყოლებით ილექება ცნობიერებაში ქაოსური ფრაზების, წინადადებათა თუ ტირადების თავაშვებული რემა. „მეორე ფარსმან სპარსი“, გამიელვებს გონებაში.

კვლავ გამორჩეულ პერსონაჟებს ვესაუბრები. სამხრობამდე გაგვიგრძელდება საბერიოელი ენერგეტიკოსების ათწლიანი თავდადების მატიანის აღდგენითი სამუშაოები. „ცისფერჩაფხუტიანების“ შლაგბაუმთან მიხეილ მოსაშვილის საპროექტოს ხალხის ულუკმაპუროდ ლოდინის ხსენებით დამძრავენ ადგილიდან, თუმცა ყველაფერზე თანამიმდევრულად.

ლევან მებონია:

ენგურჰესის დირექტორი,
ფრაგმენტები თბილისური დიალოგიდან!!

– გეტყვით, რომ საბერიო და მიმდებარე სოფლები, რეჩხი, ლეკუხონა, ფართონახევი თუ სხვა, აფხაზეთის თავდაპირველი შემოსვლისას ოთხმოცდაცამეტში, სამურზაყანოს ზღვისპირა სოფლებისგან განსხვავებით გადაურჩა მასობრივ გადაწვას და აოხრებას. ეს ყველაფერი ენგურჰესის გამო მოხდა. როდესაც აფხაზები მოვიდნენ და ნახეს, რომ ეს არის სადგური, რომელიც ელექტროენერგიას აძლევს აფხაზეთს, მის გარეშე იქ უშუქობა დაისადგურებდა, გონს მოეგნენ. სიმართლე უნდა ითქვას, იყვნენ თავგამოდებულებიც, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ, რათა ჩვენთვის უსიამოვნებები აეშორებინათ. გამუდმებით ჩამოდიოდნენ ლევან ლაკერბაია, ხუტა ჯინჯოლია, სერგი ბაგაპში და ყველაფერს აკთებდნენ სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ზოგიერთი ჩვენი თანამშრომელი შეეწირა უმართავ სიტუაციას – გზაზე მიდიოდნენ, დაიჭირეს და დახვრიტეს. თავი სი-

02 12 6

მამაცით წააგეს. სადგურზე გაჩერებულიყვნენ, ხელს არავინ ახლებდა; წინა ღამეს პარტიზანებმა აფხაზები მოკლეს იქ და შურისძიების მიზნით ესენი დახოცეს.

გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსლან ქიშმარია ხშირად მოდის ჩვენთან. ჩინებულად იცის მეგრულიცა და ქართულიც. თავგამოდებით გვეხმარება. მოუგვარებელ ბევრ საკითხს გვიწყვეტს. ხშირად ვტოვებთ ჩვენთან. როდესაც ჩამოდიან ხელმძღვანელები თბილისიდან, ზუგდიდიდან, ვაწყობთ ენგურჰესში ასეთ შეხვედრებს. ბოლოს ყველაფერი ტრადიციული სუფრით მთავრდება. უკვირთ რუს სამშვიდობოებს:

აფხაზები და ქართველები თუკი ასეთ პატივს სცემთ ერთმანეთს, ჩვენ რაღა საჭირონი ვართო.

ოთხმოცდაცამეტის ნოემბრიდან დაიწყო პირველი კონტაქტები აფხაზ ენერგეტიკოსებსა და ქართველ კოლეგებს შორის. ამისი მოთავეები იყვნენ სადგურის მაშინდელი დირექტორი, ბატონი გიორგი მიქავა, ზუგდიდიდან იური გუგუჩია, თბილისიდან – იური ჭედია. იმ დროს აფხაზური მხრიდან ჩამოსული გახლდათ ხუტა ჯინჯოლია. კონფლიქტური სიტუაციები ფეხქვეშ გვებლანდებოდა. ვერაფერი შველოდა საქართველოში მომავალი ხაზების გამორთვას. მერე ეს ყველაფერი ნელ-ნელა გამოსწორდა და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ენერგეტიკა ერთადერთი სფეროა, სადაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის სრული თანამშრომლობაა. იმასაც ვერ ვიტყვით, რომ თითქოს ყველაფერი იდეალურადაა, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ გავერიდოთ პოლიტიკურ მომენტებს. ყურადღებას მხოლოდ და მხოლოდ ელექტროენერგიის გამოშვებაზე ვამახვილებთ. საქართველოში ენერგიის სხვა წყაროებიც მოგვეპოვება. აი, აფხაზეთში კი ენგურჰესის გარდა არაფერი არსებობს. ასე რომ, ელსადგურის ნებისმიერი სატკივარი მათთვისაც ყურადსაღებია. თანაც არც ისე ადვილია 400 კაცის ჩანაცვლება. ესენი გახლავან რეჟიმპულტის მართვის ინჟინრები, მართვის ავტომატიკის, სარეაბილიტაციოს, ტურბინის, გენერატორის სპეციალის ტ ინჟინრ- ები, რომელთა მსგავსს ვერსად იპოვი, თითს იჭრიდე. ორივე მხარეს შეგნებული აქვს ეს. პერიოდულად ვხვდებოდით ენგურჰესში ერთმანეთს აფხაზი და ქართველი ენერგეტიკოსები საერთო პრობლემების განსახილველად, განსაკუთრებით – ზამთრის სეზონის წინ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბატონ გიორგი მიქავას როლი ენგურჰესის შენარჩუნების საქმეში. მართლაც ყოველმხრივ შემკული პიროვნებაა. ენერგეტიკაში ხომ თითებზე ჩამოსათვლელი თუ დაეტოლება უმწიკვლოებითა და პროფესიონალიზმით: უმუშავია ტყვარჩელში, „თბილსრესის“ დირექტორად; მერე – „საქენერგოს“ მთავარი ინჟინრის მოადგილედ. ოთხმოცდაცამეტის ტრაგედიას საბერიოში შეეგება. აფხაზები გალში რომ შემოვიდნენ, მთელი სადგური მომენტალურად დაიცალა. და აი, აქ სრულიად ახალი შტრიხებით წარმოჩინდება გიორგი მიქავა – შეუდარებელი ვაჟკაცობითა და გასაოცარი პასუხისმგებლობის გრძნობით ქვეყნის წინაშე. ის დირექტორი გახლდათ, მე – მთავარი ინჟინერი და ცხადია, თანაბრად გვაღელვებდა სადგურის ბედი.

რას აპირებო, მითხრა გადაჭრით.

დანამდვილებით არ ვიცი. თქვენ რას აპირებთ-მეთქი.

მე აქედან ფეხს არ მოვიცვლიო.

არც მე ვარ წამსვლელი-მეთქი.

შენ არავის დააძალო და ვინც თავისი ნებით დარჩება, დარჩესო, ასე ბრძანა.მე და შენ ვიქნებით აგერ, გვერდიგვერდო.

ელსადგურს პირველ დღეს შვიდი კაცი შემოვრჩით, ასე გაგრძელდა 5-6 დღეს. შვიდი კაცი ვიყავით – დირექტორიც, მთავარი ინჟინერიც, მართვის ფარის მორიგეც, მონტიორიც, მოკლედ, 400 კაცის სამუშაოს წარბშეუხრელად ვასრულებდით. ოცი დღე დასახლებაში არ ჩამოვსულვართ. კაბინეტებში გვეძინა რიგ-რიგობით. ამაოდ გვიცდიდა საბერიოში კეთილმოწყობილი კოტეჯები, ბინები. მერე ნელ-ნელა თანამშრომლები შემოგვემატნენ. მალვით, ტყე-ტყე მოდიოდნენ. ეს უფრო დიდი გმირობა იყო, ვინმემ სადგურზე დარჩენა, ვინაიდან გზებზე მაშინ აღვირახსნილი განუკითხაობა მძვინვარებდა. ჩვენ ხომ გარეთ არც გამოვსულვართ, ელსადგურში ვიყავით ჩაკეტილები. ერთ თვეში დაახლოებით ორმოცდაათამდე კაცი შევგროვდით. და იქიდან მოყოლებული, სადგურს პერსონალის ნაკლებობა არ დატყობია, მაგრამ ვიმეორებ, ყველაფრის თავი და თავი, მაინც ბატონი გიორგი მიქავა გახლდათ. ასეთ ეპიზოდსაც მოგიყვებით. ჭლოუში ერთ ოჯახში მოვხვდი. ოჩამჩირის რაიონია, სუფთა აფხაზური სოფელი. ბუნებრივია, აფხაზებს სტუმრის პატივისცემა არ ეშლებათ. სუფრა გაშალეს. მეზობლებს დაუძახეს, ჩემზე ცოტათი უფროსს.

ოჩამჩირეში ვცხოვრობდით და მეუღლე მომიკლეს ქართველებმა, 30 წლის ქალიო. დამრჩა ორი მცირეწლოვანი შვილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველთან სასაუბროდ არ დავჯდე, ერთი ჭიქა ღვინო არ დავლიოო. აფხაზმაც მოკლა უდანაშაულო ქართველი და გაამწარაო. შენ მაინც უნდა მოხვიდე ჩვენთან, ერთად დავსხდეთ და ბოღმა თუ ვარამი თანაბრად გავიქარვოთო. ამ ვაებას ჩვენს შთამომავლობას მოუწესრიგებლად თუ დავუტოვებთ, ჩვენც გავქრებით და ჩვენთან ერთად – თქვენცო.

მე მგონი ეს ჭკვიანი კაცის ნათქვამია, საღი გონებით ნათქვამი.

რაც მოხდა, ჭკუის სასწავლებლად უნდა გვეყოს. შვილების მომავლის მოსპობა აღარც

ერთ მხარეს გვეპატიება მომავლის თვალსაწიერიდანო.რუსეთი და გერმანიაც ომობდნენ. დრო დიდი მკურნალია და შერიგებულან. ისინი შორიშორს არიან. ჩვენ ახლოს, ყურისძირას და მეტი წინდახედულება გვმართებსო. ჩვენი თაობის ხალხი, ვისაც ქართველებთან უცხოვრია, ძალიან დიდი ნოსტალგიითა და მოლოდინით ველით მათ დაბრუნებას. მაგრამ ძნელია ახალგაზრდობასთან საერთო ენის გამონახვა და იობის მოთმინება, დიახაც, აქ არის საჭიროო.

იური გუგუჩია: საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გაერთიანების დირექტორი.

ამონარიდი ვრცელი ინტერვიუდან

– არ შეიძლება ენერგეტიკა იმართებოდეს ზუგდიდში ცალკე, ქუთაისში ცალკე, გორში ცალკე და ასე შემდეგ. ენერგეტიკა ერთი ცენტრიდან იმართება ყველგან და ყოველთვის. ჩვენც თამაშის ამ აღიარებულ წესებს უნდა დავექვემდებაროთ არსებითად. ენერგეტიკა გახლავთ ერთადერთი დარგი, რომელიც ავად თუ კარგად აგრძელებს საქმეს. ენერგეტიკოსები, საინჟინრო პოტენციალი ყველაფერს აკეთებენ, რაც ადამიანზეა დამოკიდებული. აქ არ არის ნორმირებული სამუშაო დღე. აქ არ არის გამიჯნული, საშიში და უსაფრთხო სამუშაო. არ არსებობს სიძნელე, რომელთა წინაშე ენერგეტიკოსები შედრკნენ. ამისი უამრავი მაგალითია ჩვენს რეგიონში. ძალიან ხშირად სიცოცხლისათვის ფრიად საშიშ ვითარებაში, აფხაზეთთან დაკავშირებულია ეს თუ ურთულეს გეოლოგიურ-კლიმატურ პირობებთან, უმაგალითო პიროვნული მამაცობის წყალობით. ნახევრად უხელფასო ხალხი შეუძლებელს ვახერხებთ. არადა, დივერსია ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. დაუდგენელია ვის ინტერესებში შედის ეს და ვის წინააღმდეგაა მიმართული. საერთო ჯამში – ხალხის, სახელმწიფოს წინააღმდეგ. როგორც იქნა მოვახერხეთ რუსეთიდან ელენერგიის დიდი ოდენობით იმპორტი. ეს 500 კილოვატიანი ხაზი ნახარის უღელტეხილით გადადის სტავროპოლის მხარეში. სულ 410 კილომეტრზეა იგი გაჭიმული და აქედან ჩვენს ტერიტორიაზე თითქმის მეოთხედია დამონტაჟებული. იმისთანა რთული რელიეფია, სხვანაირად ვერ მიუდგები. რა ქნას ახლა სახელმწიფომ, ყველა ანძასთან თოფიანი კაცი დააყენოს? აი, სადაც დაზიანებები ხდება, ჩვენი ჯიშ-ჯილაგი ცხოვრობს უმეტესწილად სავალალოდ.

ახლა შევხედოთ რა სიტუაციაა ვითომ კონფრონტაციულ მხარესთან.

გაწყვეტილია ყოველგვარი ძაფი აფხაზეთთან. არადა, ენგურჰესის ძალოვანი კვანძები განლაგებულია იქ, სადაც ჩვენი იურისდიქცია სამწუხაროდ არ ვრცელდება. თავიდანვე ჩვენ შევეცდებით დიალოგის გამართვას. აფხაზებიც შემხვედრ ნაბიჯს გადმოდგამენ და ამ დარგში შეხების წერტილები გამოიკვეთება. ეს ის დროა, როცა ორივე მხარე უკიდურესად დაპირისპირებულია. მოშლილია ყოვლეგვარი კონტაქტი ორ ნაპირს შორის. თუ პერსონალი ელსადგურს დატოვებს, არის აშკარა საშიშროება საერთოდ ენგურჰესის დაღუპვისა. ოთხასამდე კაციდან მხოლოდ შვიდიოდე შერჩენია პოსტს ფეხის მოუცვლელად. ზეზეურად სძინავთ მთელი თვე, მაგრამ როდემდე მოახერხებენ ასეთ მდგომარეობაში ენგურჰესის ექსპლოატაციას? მშველელი არსაიდან ჩანს. შეიძლება შვიდი კაცით ამხელა ნაგებობის გაძღოლა?

მოვნახავ რაღაცნაირ საშუალებას. ომი დამთავრებულია. დევნილები რის ვაი-ვაგლახით გამოღწეულან. ახლა რომელს ახსოვს ენგურჰესი იქითაა თუ აქეთ?

შიშს დიდი თვალები აქვსო, იტყვიან და შვიდი კაცის მეტს საბერიო მიუტოვებია.

ასეთ დროს, ამისთანა სიტუაციაში, პირველი შევეხმიანები აფხაზ კოლეგებს. დიდი არაფერი, გამგებლის მოადგილე ვარ, ენერგეტიკის გაერთიანების ხელმძღვანელი. სხვა მაინც არავინ ჩანს აფხაზებთან დიალოგის მოთავე. თბილისიდან მხოლოდ დირექტივები მოდის და კიდევ – თხოვნის ზარები. გართულებულია მიმოსვლა რიკოთს გაღმა-გამოღმა. ჰოდა, დავთქვამთ შეხვედრის დროს ენგურის აფეთქებულ ხიდზე. ათი მეტრის მანძილზე ვდგავართ პირისპირ. ვდუმვართ ჩვენ, გაჩუმებულან ისინიც. იქიდან სამნი მოსულან, ჩვენგანაც ამდენივეა – ლერი ჭითანავა, გია ხუბულავა და თქვენი მონა-მორჩილი. ისევ გაღმელები დაძრავენ ხმას:

სანამდე ვიყოთ ასე დაშორიშორებულნიო. წამობრძანდით ჩვენთანო, შემოგვთავაზებენ. გადავხედავთ ერთმანეთს და უხმოდ დავყაბულდებით. არ შეიძლება ამისთანა სიტუაციაში შედრკე; უკანასკნელი ქალაჩუნაც რომ იყო, უნდა გაუძლო მამულის სახელით. ჩაგვსხამენ ავტომანქანებში და გავუტევთ სოხუმის მიმართულებით. ჩვენ პირველები გავივლით გზას, რომელიც 300 ათას კაცს გამოუღწევია სულ რაღაც გუშინ. მარჯვნივ თუ მარცხნივ ოტებული ხალხის ნაკვალევია. ყველაფერი უპატრონოდ ყრია, ტექნიკა, საოჯახო ნივთები. ამაზრზენი სურათია. გავივლით გალს. ეჭვის ჭია გვიღრღნის გულს თითოეულს: სად მივყავართ ამ ხალხს-თქო. რომელიღაც სოფელში შეუხვევენ და ერთ-ერთ ოჯახს მიგვაყენებენ. მოუწყვიათ აქ შესანიშნავი პურ-მარილი. მანამდე სპეციალურად სასაუბროდ გამართულ მაგიდასთან დაგვსხამენ. ძალზე რთული დიალოგია. მართალია, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დავპირისპირებულვართ, მაგრამ ნათქვამია: ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ საუბრობენო და ჩვენც ენერგეტიკის პრობლემებზე მსჯელობით შემოვიფარგლებით. ვლაპარაკობთ იმის თაობაზე, თუ რამდენად მნიშვნე-

ლოვანია ენგურჰესის ჰიდროკვანძი, როგორც აფხაზებისთვის, ისე – ჩვენთვის. არის აქ ენერგეტიკაში მეტნაკლებად გათვითცნობიერებული პიროვნება, რომელიც თავის დროზე „ტყვარჩელსრესის“ დირექტორად მუშაობდა. შევთანხმდებით, რომ ენგურჰესს დავტოვებთ პოლიტიკის გარეშე; რომ დაპირისპირება ენგურჰესს არ შეეხება; რომ საქმე გვაქვს ურთულეს ნაგებობასთან, რომელიც მოითხოვს მაქსიმალურ ექსპლოატაციას და პერსონალის აბსოლუტურ უსაფრთხოებას. გაჭრის გულწრფელი დამოკიდებულება. ყოველივე თავის შედეგს გამოიღებს. ორივე მხარე ღირსეულად მოიქცევა. გვიან ღამით დავბრუნდებით ზუგდიდში. იქ ერთი ვაიუშველებლია, ალიაქოთი: სად არის ეს ხალხი? სად წაიყვანეს? რა ბედი ეწიათ და ასე შემდეგ. ქალაქის გამგებელი ედიშერ ჩარგაზიაა. ხიდთან დაგვხვდებიან. გვკოცნიან „მოუსავლეთიდან დაბრუნებულებს.“ ასე მიეცემა დასაბამი ორ მხარეს შორის მჭიდრო თანამშრომლობის პრაქტიკას ენერგეტიკის სფეროში. ენერგეტიკა აქაც უსწრებს დანარჩენს და დღესაც სამაგალითოა ყველასთვის – როდესაც ახერხებ ინტერესების დამთხვევას, მიდიხარ რაღაც შეგნებულ დათმობაზე, კომპრომისზე, მოპირდაპირე მხარეც წინდახედულია. ელსადგური ოთხასამდე სპეციალისტს უყრის თავს მიმდებარე რაიონებიდან – ზუგდიდიდან, ჩხოროწყუდან, წალენჯიხიდან. მათ ვახტური მეთოდით უწევთ გადმოსვლა და პერსონალის უსაფრთხოების გამორიცხვით, ენგურჰესი დაღუპულია. თუმცა გონიერება კვლავაც გაიმარჯვებს უმეცრებაზე და ეს უნიკალური ობიექტი ამაყად თავაწეულია დღეს, როგორც აფხაზი, ისე – ქართველი ერის სასახელოდ; გაძარცვული, აქა-იქ გაოხრებულიც, მაგრამ ჩვენი მომავალი თაობების თანაცხოვრების უკვდავ ძეგლად აღმართული.

ჯეირან არონია:
ელსადგურის მთავარი ინჟინრის მოადგილე

– აფხაზეთში ომის აგორებას „ტყვარჩელსრესში“ შევხვდები მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. ცნობა რომ მოვა საქართველოს ჯარის შემოსვლის თაობაზე, აფხაზ მოსახლეობაში სასოწარკვეთის, ფსიქოზის სიტუაცია შეიქმნება. ისეთი აგიტაციაა გაჩაღებული, რომ თითქოს ცოცხალს არავის დატოვებენ. იშველიებენ საუკუნის დამდეგს, როცა მსგავს გენოციდს მოუწყობს აფხაზებს მენშევიკური საქათველო. შვიდი-რვა თვე დავრჩები იქ, ასეთნაირად ეგზალტირებული ხალხის გარემოცვაში. მერე ჯანმრთელობა გამიუარესდება, ჩამოვალ თბილისში და ვთხოვ „საქენერგოს“ მაშინდელ უფროსს, ბატონ იური ჭედიას, კვლავ აფხაზეთში დამაბრუნოს.

იქ დავბადებულვარ და წესით იქ უნდა ვიყომეთქი.

წამოვალ ენგურზე.

უკვე ოცადაათ სექტემბერს, რაც დატრიალებულია გალის იქით, გალშიც დატრიალდება. დილით, გარიჟრაჟზე, მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი ენგურსგაღმა გაიხიზნება.

ოჯახი აქ მყავს.

ვეუბნები მეუღლეს და ბავშვებს, წადით-მეთქი.

კი, მაგრამ სადო, მომაჩერდებიან კითხვითვე.

წადით სადაც გნებავთ, ოღონდ აქაურობას მოშორდით-მეთქი.

ბატონ გიორგი მიქავას ავტორიტეტის იმედი გვაქვს ყველას.

საჭმელს მოსახლეობა გვაწვდის. ისინიც ოჯახებში თითო კაცი დარჩენილა. ათი დღის მერე ხელის გამმართავი არავინ შეგვრჩება. წაბლითა და კარალიოკით გაგვაქვს თავი. მაგრამ სადგურს ერთი წუთითაც არ ვტოვებთ. განკარგულება გვქონდა „საქენერგოდან“, რომ გავცლოდით იქაურობას და წამოვსულიყავით. მაგრამ სიკვდილის შიში გდავლახეთ, და დავრჩით ადგილებზე,სხვანაირად საქართველოს ეს უნიკალური ნაგებობა დაეკარგებოდა.

– აფხაზებსაც-მეთქი, ჩავერთვები.

– ცხადიაო, – დამიდასტურებს, – ეს იქნებოდა ორმხრივი ტრაგედია. ჩვენი დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ვხედავთ ამას. თუ რას ნიშნავს ენგური საქართველოსათვის, რას ნიშნავს აფხაზეთისათვის და საერთოდ, საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ხალხისთვის.

სოხუმის დაცემის დღეს თუ მივიჩნევთ ენგურჰესის გმირული მატიანის ათვლის წერტილად, ენერგეტიკოსებთან ჩვენი ურთიერთობა ერთი წუთითაც არ შემწყდარა. ეს კონტაქტები, ეს თბილი დამოკიდებულება დღემდე არ შეცვლილა. რაც შეეხება აფხაზების შემოჭრას ჩვენს დასახლებაში, აქ სადამსჯელო რაზმი არ შემოსულა. აქ შემოვიდა ათკაციანი ჯგუფი, რომელთაც ჩვენი დაცვა ჰქონდათ დავალებული. ისევ თავისიანებისგან გვიცავდნენ, რათა ვინმე გადაწეული არ მოგვხდომოდა კარზე და შეურაცხყოფა არ მოეყენებინათ. ასე გავლევთ პირველ ათ დღეს. მერე აირევა მონასტერი. შემოვლენ სხვადასხვა ჯურის დაჯგუფებები, განსხვავებული მიზნებითა და მიდრეკილებებით და მაშინ დაგვეღუპება კიდეც ერთი თანამშრომელი.

გვიჭირდა მორალურად, ფიზიკურადაც, სიცოცხლის შენარჩუნების საფრთხე იყო. მართალია, ჩვენ ავტომატით არავინ დაგვსდევდა, მაგრამ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა სიტუაცია შეცვლილიყო და ამ მოლოდინის ქვეშ გამუდმებით ყოფნა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ვერც კი გაიგებდი ვისი გასროლილი ტყვია გიმსხვერპლებდა. აფხაზი ენერგეტიკოსები თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ სიტუაციას უკვე ისინიც ვერ აკონტროლებდნენ.

ახლა ვითარება გაცილებით სტაბილურია.

თვენახევარში ჩამომიბრუნდება ცოლ-შვილი, მაგრამ ისევ თბილისისკენ გავისტუმრებ. არაფერი მუშაობდა სკოლის ჩათვლით და ბავშვების გაველურებას მარტოობაში ყურყუტს ვამჯობინებ.



აფხაზ ენერგეტიკოსებთან ერთად ხშირად მოგვიკითხავენ რაიონის ხელმძღვანელებიც, ქიშმარია, ლომია, ქალაქის მერი. ამ ათი წლის განმავლობაში 15-20 ტონამდე საწვავი მოგვცეს – დიზელი და ბენზინი. ჩვენი ვალი ადევთ ათეულობით მილიონი დოლარი, მაგრამ ვინ არის მაგის გადამხდელი?! როდესაც წლების წინ საკითხი დადგა სადგურის რეაბილიტაციაზე, პროექტს აფხაზური მხარეც გაეცნო. მათ თავიანთ პარლამენტში მიიღეს სათანადო დადგენილება, რომ ეს აუცილებლად განასახორციელებელი საქმეა. ევროპა ითხოვდა ამნაირ თანხმობას. ინვესტორს, მყარი გარანტია სჭირდება, რომ ეს ფული არ დაიკარგება. მიღწეულია ასეთი შეთანხმება და დღე დღეზე ველით „ფოინთ-სიმენსის“ მოსვლას.

შუქი აფხაზურ მხარეს 24 საათის განმავლობაში მიეწოდება, მაგრამ ოჩამჩირე, სოხუმი, ის არ არის ოდესღაც რომ გვინახავს. მე ჯერ ობიექტი არ შემხვედრია, სადაც აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდეს.

ძალიან ამაღელვებელი შეხვედრა მქონდა ტყვარჩელელ კოლეგებთან. დამინახეს და დაიწყეს ტირილი. ადამიანს თვალებში შეატყობ ეწყინება თუ გაუხარდება შენი ნახვა. ქალაქის იერი აღმაშფოთებელია. სიდუხჭირეა ყოველ ნაბიჯზე. ორი ქართული ოჯახი ვნახე იქ. იტანენ ერთმანეთს. ვისაც საშუალება ჰქონდა სადმე წასულიყო, გაკრეფილია ყველა, თვით აფხაზებიც. იქ ჩამკვდარია წარმოება-დაწესებულებები. ქარხანა-ფაბრიკები არ მუშაობს. გაჩერებულია გრესიც. იქაური თბოსადგური ქვანახშირზე მუშაობდა. ომის დაწყების პერიოდში უკვე ხდებოდა რეკონსტრუქცია და გადაჰყავდათ გაზზე. მოწყობილობა ჩამოტანილი იყო უკლებლივ. გაზის ხაზი მოყვანილი გახლდათ სადგურამდე. ჰოდა, რაღაც წელიწადში, 93-ის ბოლოსთვის, ერთ-ერთი ბლოკიც ამუშავდებოდა. მაგრამ ომმა გრიგალივით გადაგვიარა თავზე და ყველაფერი ჩაკვდა. სადგურის მოწყობილობა, რომელიც ყოველგვარი კონსერვაციის, მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩება, იღუპება თავისთავად. შიდა და გარე კოროზიას მწყობრიდან გამოჰყავს მეტალო-კონსტრუქციები, იფშვნება გამხმარ თიხასავით. ისევ ენგურჰესმა გადაგვარჩინა ორივე ერი, აფხაზებიცა და ქართველებიც.

ნაჟირუა ჯიმალეფი — ტყუპისცალი ძმები

რევაზ და თამაზ გვაგვალიები 79 წლიდან არიან სადგურზე. გვერდიგვერდ უმუშავიათ სხვადასხვა თანამდებობაზე, სამანქანო დარბაზში ცვლის უფროსებად, უფრო მაღლა და მაღლა სამსახურის იერარქიულ კიბეზე. ნიადაგ განუყრელად დავლენ და სულიც ამის შემწეობით უდგათ. განა ტყუილუბრალოდ თქმულა: ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო?

– პირველი დღე მაინც წარუშლელია,– ენაუხვი უფროსი რევაზი გამოდგება, თამაზი დასტურის ყაიდისაა, ღიმილით უქნევს თავს ტყუპისცალის გაწონასწორებულ მსჯელობას. – არის ამისი ტელეფონოგრამა, თუ როგორ გვემოქმედა ბლოკირების საშიშროების შემთხვევაში.

– ტელეფონოგრამა საიდან იყო-მეთქი, ვაკონკრეტებ საუბარს.

– ჭედია აწერდა ხელს, – მეტყვის დინჯი გამომეტყველებით და დაბარებულივით თამაზის თავის კანტურიც ნოტარიუსის ბეჭდის ძალმოსილებას იძენს, – მორიგე დისპეტჩერმა გადმომცა. ის ოპერატიული ჟურნალი დღემდე შენახულია. ყდაზე აწერია ტექსტი, რადგან მაშინ თაბახიც არ მოგვეძევებოდა. ძირითადი აზრი ასეთია: ენგურჰესის ბლოკირებისას როგორ გაგვეჩერებინა სადგური. რანაირად მოგვეხდინა ხალხის ევაკუაცია დისლოკაციის ადგილზე – ჯვარში, მაგრამ საბედნიეროდ მართვის ფარზე დავრჩით ბიჭები – გიორგი მიქავა, გია ხუბუა, ჯეირან არონია, ლევან მებონია, მე და ჩემი ძმა. გადავწყვეტთ ერთობლივად: სათითაოდაც რომ დავეხოცეთ, სადგურს არაფრისდიდებით გავაჩერებდით. ვარდნილჰესებთან, პირველ გალში ერთადერთი პიროვნებაა დარჩენილი – შოთა სანაძე და ყოველ ხუთ წუთში ვურეკავთ ერთმანეთს: რა ხდება, რა ამბავია;

აჰა, გალშიც შემოვიდნენო, გვეხმიანება გაუგონარი ვაჟკაცობის კოლეგა. სროლები და ერთი ვაიუშველებელიაო.

ჩვენს ზემოთ, მეშვიდე სართულზე, ასასვლელია და გვინდა ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილოთ. ლევანი ლიფტში გაიჭედება. ძლივს გამოვიყვანთ იქიდან მე და გია. გადავიხედავთ მერე ქვემოთ და ვამჩნევთ: ფეიერვერკებშია გახვეული მთელი მხარე.

მეორე დილა ჩვეულებრივ გათენდება. შემოვლენ არაოფიციალური წარმომადგენლები და იწყებენ მოროდიორობას. უდიერად შეიჭრებიან სახლებში და გააქვთ ყველაფერი.

სადგურიდან ჩემს სახლამდე ხუთი კილომეტრია. ჩავაღწევ იქამდე. არავინ დამხვდება და მოვბრუნდები. აქეთკენ რომ დავადებ თავს, მოსახვევია ერთი, ჰოდა, ათიოდე მეტრის სიშორიდან დავინახავ – ქეიფობენ. რა ჭირად მენდომება ახლა ამათთან შეყრა, მაგრამ გზა რომ აუქციო, გესვრიან. გავუპირდაპირებ მოპურმარილე აფხაზობისკენ.

სადღეგრძელო თქვიო, მომაჩეჩებენ ჭიქა ღვინოს.

რუსულად ვიტყვი რაღაც ლიტერატურულ ფრაზებს, დავლევ და უკანმოუხედავად გამოვბრუნდები. არ მესვრიან ზურგში.

მომდევნო დღეს ბეჭედს და ქურთუკს წამართმევენ ხეტიალის მახრაშეჩენილს. შემდეგ – ჯემპრს. ლევანი მაჩუქებს თავისას. ტანსაცმელი იმნაირად მომერგება, როგორც სარს – ქოთანი.

სხვათა შორის ბატონი გიორგი მიქავა წარამარა გვამშვიდებს: ეს მოროდიორობა დიდი-დიდი სამი დღე გაგრძელდესო და მართალიც გამოდგება. მაგრამ ჯერ ყველაფერი იძარცვება, ყველაფერი იფხიკება: ოქრო, ტყავი, მანქანა; მერე – ლურსმანი და ნახმარი წინდებიც კი.

ბებიაჩემი მახსენდება. ოთხი წელია გარდაიცვალა ცხონებული. ერთი სანიშნე შარვალ-კოსტუმი მქონდა დარჩენილი. ბებიას წინდახედულება გამოუჩენია და ლეიბის ქვეშ შეუნახავს. იმასაც მიწვდებიან, იმასაც აღმოაჩენენ. გამწარდება ქალი თურმე.

გეყოფათ ახლა, რაც თქვენ რევაზის გაუკეთეთო და წაართმევს. გაეცინება მომხდურს. ას წელიწადს მიღწეული დედაბრის აფოფრვა გადაიფიჩინებს ყველას. მერე 93-ში სახლს დამიწვავენ. ხეტიალს მაინც არ მოვიშლი. ბინაში ვცხოვრობ ახლა. დავქორწინდები ყველაფრის ჯინაზე. უფროსი გოგო სამი წლისაა, პატარა – ერთის. ჩემი ძმა ხომ მთლად ბაბუაა.

– უფროსი რომელია თქვენში-მეთქი, სათითაოდ მივაჩერდები ტყუპს და დათქმულებივით ისევ რევაზი გააგრძელებს თამაზის თავის კანტურის ფონზე, – მე, მე, ნახევარი საათით. უერთმანეთოდ წუთითაც არ გვიცხოვრია. ერთად ვსწავლობდით, ერთად ვშრომობდით. დღეს აქ ჩვენი ყოფილი ლექტორია ჩამოსული – გიორგი მახარაძე. საგნის ნახევარს თამაზი ამზადებდა და მეორე ნახევარს – თქვენი მონა-მორჩილი. ბევრჯერ გავაცურებთ ასე. ერთხელ ბატონი გიორგი აბარგდება თავისი ადგილსამყოფლიდან, წინა მერხზე გადამჯდართ შუაში მოგვიკალათდება. ჭეშმარიტების დადგენას ცდილობს. ჩვენი ცოდნის საფუძვლიან გამოკვლევას ლამობს, მაგრამ მივაყრით პასუხებს ერთობლივად და თავის ტრიალისაგან კინაღამ კისერი მოწყდება საწყალს; თამაზი და რევაზის, რევაზი და თამაზის ძახილში, ლამის სული ამოძვრება. მეტრიკულებშიც „ფრიადებს“ ფარხმალდაყრილი ჩაგვიწერს მიყოლებით, ისე რომ, ბოლომდე ვერ გარკვეულა რომელი რომელია, ვის მეტი მიაკუთნა, ვის – ნაკლები.

სტუდენტობის პერიოდია. კახეთში ვიმყოფებით რთველზე. საღამოთი პურ-მარილს გაგვიშლიან მასპინძლები. თამამად ვიღაც ბეხლეწი კაცია. მოპასუხედ მე ამომირჩევს, ალბათ, ფიქრობს: მოცქნაფულს მალე მოვუგრეხ კისერსო, მაგრამ შუა სმის შემდეგ შემენაცვლება თამაზი და გავასვენებთ საკაცით სუფრიდან.

აფხაზების შემოსვლის პირველი დღეა. ღამის თორმეტი საათი გადასულია. ბატონი გიორგი მიქავა მარტოა მართვის ფარზე.

ადით კაბინეტში, მოისვენეთ-მეთქი, ვეტყვი, მაგრამ გაჯიქდება: მარტო არ დაგტოვებო. ამ დროს გარეთა კარებს უბრახუნებენ. გავიხედავ და „ბეტეერი“ არ მოგვსდგომია?! შემოვლენ ოთხი თუ ექვსი. შავი ფორმები აცვიათ. ავტომატები საომარ მზადყოფნაში მოუყვანიათ. ჩართული გვაქვს ტელევიზორი.

უნდა წავიღოთო, მოსჭრიან.

ხომ ხედავთ, ჩართულია-მეთქი.

მერედა, გამორთვას რაღა უნდაო, იღიმნჭებიან. ხვალ ან ზეგ დაგიბრუნებთო. ოთხმოცი ტელევიზორი გვაქვს შტაბში (ზვიად დგებუაძის ოჯახში დაბანაკებულან), ვიდეოს ყურება გვინდა, მაგრამ იმ ოთხმოციდან ვიდეოს ერთიც არ აჩვენებსო. წაიღებენ და მოტანა ვის გაახსენდება. ტყვარჩელში თუ სადღაც გააქანებენ. ათი დღის მერე არძინბაც შეიტყობს ამ ამბავს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ოქუმელი ზარანდია, დააბრუნებინებს თავიანთი ხელით. იკარუსით მოვლენ. კონსერვებს და პურის ფქვილს მოგვიტანენ.

ის პერიოდია, ყველაფერი რომ ამოგვეწურება და ბატონი გიორგი სადგურზე შემოხეტებულ გოჭს დაედევნება, დაიჭერს, დავკლავთ, შევბრაწავთ და სულს რამდენადმე მოვითქვამთ.

ზარანდია ხუმარა კაცი გამოდგება. გაუგია ფარზე ტყუპისცალი ძმები რომ დავრჩენილვართ. შეუტყვია ისიც, რომ ორჯერ წაგვართმევენ მსგავს ჩასაცმელს. შემდეგ ერთად, გვერდიგვერდ რომ გვიხილავენ გაღლეტილებს, შევეცოდებით და დაგვიბრუნებენ ორივეს.

ეგ რა მოსატანია-მეთქი, ვიქაჩლებ თავს. სტუდენტობის პერიოდია, ქრონიკული უფულობის ხანა. წვერი ორივეს მოსაპარსი გვაქვს, მაგრამ სად არის საამისო თანხა? ისევ მე ვიმარჯვებ და პარიკმახერს ვაგულიანებ, რაც შეიძლება მაგრად ამოფხიკე თმა, მშობლებს იმისთანა უკუღმართი გავუჩენივარ, თუკი ზერელე ნამუშევარია, წვერი ორმოც წუთში ამომდის-მეთქი.

დააჭყეტს თვალებს. ააფხიანებს სამართებელს. ლამის კანი ამატყავოს, მაგრამ რაღაც საათში წვერამობიბინებული თამაზი რომ მიუვა, თვალები გადმოეკარკლება. ეს ვინ ყოფილა, კაცოო, ხვნეშის და ატყაპუნებს სამართებელს ტყავის ქამარზე.

მოგვიანებით მიუხვდება დალაქი ჩვენს ციგნობას და ცალ-ცალკე თუ შევდივართ, საგანგებოდ დაგვიტოვებს ნაკაწრს ნიკაპსა თუ ლოყაზე. ხომ გაგვიგონია, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას განახებო.

ვიცინით ჩვენც და იცინიან აფხაზებიც.

ამგვარად მივათრევთ წუთისოფელს, გური, ძმობილო. სულ გვერდიგვერდ ვართ თამაზი და მე. ტყვიაც ამიტომ გვერიდება ხოლმე და წარმოიდგინე, თერთმეტი თვის ხელფასიც, მაგრამ ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.

ვარდების რევოლუცია სულზე მოუსწრებს „ენგურჰესს“

I

დღევანდელი ჩემი პათოსი განსხვავებულია „საქართველოს რესპუბლიკაში“ წლების წინათ დაწყებული წერილების ციკლის „შეუთავსებლის შეთავსების“ („ქართული ენერგეტიკის დედაბოძის“) №3, 6, 40, 41, 48, 55, 2003 წ., „საქართველოს რესპუბლიკა“), სტილისტიკისაგან. ადრე ამაოდ შეღავღავებდნენ ისინი ეგნერგეტიკის „ასაღორძინებლად“ შემოსული მილიონებით დასაპალნებული გრანტების ზოზინში უგულისყუროდ მოტოვებულ ენგურჰესს. აწ სხვაგვარადაა საქმე, აწ სხვა შემართების ძალიმსხმევაა ქვეყნად. „ტაიმაუტი ენერგოქაოსის დასასრულამდე“ – ამნაირად სათაურდებოდა ბოლო პუბლიკაცია. მასალები, დიახაც, უამრავი მოეპოვებოდა ავტორს ფულის გასათეთრებლად ქცეული ენერგო-სამორინეს სამხილად, თუნდაც სტატისტიკის დონეზე, მაგრამ რუსთველზე უფრო მამაცი ვერ აღმოჩნდა და გაეცალა საცა არა სჯობს! ამ მისიამ „ვარდების რევოლუციის“ მხრებზე გადაირა არსებითად ანიდან ჰოემდე და იხსნა მწერლის კისერი ეშაფოტების პატივდებისგან

ურთიერთდამოკიდებული სიდიდეებია ბილიკი და თემშარა, ბნელი თუ ნათელი, ვინაიდან მათი ჰ არმონიზაციით – თანაქმედებით მკვრება საერთო ინტერესები: სანამ საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ეთნიკურ ჯგუფს არ გაეხსნება გზა სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისკენ, ყოველთვის იბოგინებს ჩვენში არასრულფასოვნების სინდრომი. ამ პრობლემის მოხსნა გადაწყვეტა შეძლო ერთადერთმა ქართველმა – ჭყონდიდელის უბადლო მოწაფე დავით აღმაშენებელმა ფეოდალურ ხანაში მატერიალური თუ სულიერი ფასეულობების ზიარი ჭურჭლის პრიზმიდან დანახვით. ამ დილემას მოვხსნით ჩვენ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟე სახელმწიფოებრივი აზროვნების პრალენეტარული ნიშნით სააკაშვილის მესვეურობის ჟამს.

ამ წერილს ვწერ საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩვენი ერთწლიანი ცხოვრების შემაჯამებელი გამოსვლით შეძრული.

არა, იღბალი ყოველთვის გვწყალობდა ქართველებს, რამეთუ განსაცდლის ხანაში მშველელს უსათუოდ მოგვივლენდა უფალი.

არ არის ეს ობივატელის ცმუკვა თუ ლიქნიას მუცელზე ხოხვა.

ალბათ, ძნელია დღეს მსოფლიოში არათუ 36 წლის პრეზიდენტის, არამედ ორგზის უხნესის მოძიება, რომელიც ესოდენი ერუდიციით განსჯიდეს საშინაო თუ საგარეო მოვლენებს; ესოდენი პათოსით უბრუნებდეს საქართველოს დიდი დავითის დროინდელ ფასეულობებს ათასწლეულის მერმე – **ძალა ერთობაშია.**

აქ გამორიცხულია მეტნაკლებობით განიხილებოდეს იაია და მუხა, ბილიკი და თემშარა, ბნელი თუ ნათელი, ვინაიდან მათი ჰარმონიზაციით – თანაქმედებით იკვრება საერთო ინტერესები: სანამ საქართველოში მაცხოვრებელ თითოეულ ეთნიკურ ჯგუფს არ გაეხსნება გზა სახელმწიფო ებრივი სტრუქტურებისკენ ყოველთვის იბოგინებს არასრულფასოვნების სინდრომი. ეს პრობლემა მოხსნა ჭყონდიდელის უბადლო მოწაფე აღმაშენებელმა ფეოდალურ ხანაში მატერიალური თუ სულიერი ფასეულობების ზიარი ჭურჭლის პრიზმიდან დანახვით. ამ დილემას მოვხსნით ჩვენ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე სახელმწიფოებრივი აზროვნების პრალენეტარული ნიშნით სააკაშვილის მესვეურობის პერიოდში.

II

გამაოგნებელია ჩემთვის საქართველოს სინამდვილეში დაგროვილი გმირული მაგალითების პრეზიდენტისეული ნუსხა. რამდენ უცნობ თუ ნაკლებად ცნობლ პიროვნებას წარმოგვიდგენს ბატონი მიხეილი 1 საათის მანძილზე?! ვამჩნევ ეკრანიდან თავის ქიცინებს, კიეკრი ხოთა კანტურებს და ირონიულ მიმიკრიებსაც, მაგრამ საერთო აპლოდისმენტების მხარდამხარ აღფრთო ვანებისაგან სული ეგუბება სრულიად საქართველოს.

სულ მოველი, სულ მოველი, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ბოლო აკორდად ენგურჰესელების უმაგალითო გმირობას მოიშველიებს-მეთქი დამაგვირგვინებელ ფაქტორად, მაგრამ იმედი გადამეწურება. რატომ? რის გამო? რის გულისათვის? ამგვარი კითხვები მომეძალება ეკრანს მიჩერებულს. განა „ვარდების რევოლუციის“ პირველი ნაკადი წალენჯიხიდან, „ენგურჰესიდან“ არ იხუვლებს თბილისისაკენ საყოველთაო შვების დასამკვიდრებლად?! წყენაც მომერევა თითქოს. თუმცა ყველაფერზე რიგისობის მიხედვით

III

სისხამი. ზუგდიდის რკინიგზის სადგური. დილით ხაში და ზედ – ლავაში.

ჯონი ჭანიას მრავალნაცადი „ნივით“ ჯვარში ვართ უკვე.

კაშხლის უფროსს განგებ არ ვესტუმრები.ოჯახში. ვიცი დადიანების ასულს ჩინებული საუზმე-სადილი ექნება გახაზირებული, მაგრამ ისიც გამეგება, რომ მთელი დღე მომიცდება მერმე.ჩემი ისედაც აშკარა ცაიტნოტში ვარ.

სადღაა შენი მიღრეცილ-მოღრეცილი გზები?! ასფალტი აგაქროლებს თაღოვან კაშხლამდე თუ ავი თვალის გასასკდომად აწვართულ კანტორამდე. იქ ნეგუს აკობიას მერამდენედ გადაელოცება ჩემი თავი დასაკვალიანებლად.

ადრე თქმულისამებრ ნეგუსი უხუცესი ენგურჰესელია. კლდეების ცოცვაში ჭიპი აქვს მოჭრილი. მეკლდეურთა ბრიგადას მესვეურობდა და პოპულარობით ტოლს არ უდებდა ჰიმალაის თუ კილიმანჯაროს დამლაშქრავ ალპინისტებს.

იწყება შეხვედრები კოლექტივის წევრებთან.

მოკლე დიალოგები.

სხარტი შტრიხები.

აქა-იქ ტირადებიც იელვებს და ფრაზეო ლოგიაც.

ეკა სხილაძე დამკვირვებელთა ჯგუფის ახალი წევრია. მამაისი თეკმურ სხილაძე თაღოვან კაშხალში განისვენებს აწ და მარადის. აქ არის მისი სასაფლაო.

ლუიზა ქარდავა კადრების განყოფილების უფროსია. აფხაზურ-ქართულ ურთიერთო ბებსაც გადავწვდებით – ჩვენს განუყრელ თანაცხოვრებას წარსულსა და მომავალში. ნაციონალური მოძრაობის ეიფორიით აბრიალებს თვალებს.

ჟონარა აკობია მატერიალური პასუხისმგებელია ტექნიკურ მოწყობი ლობებზე.

წარუშლელია საუბარი დირექციის იურიდიულ მრჩეველთან გიორგი ვეკუასთან.

ჩემი ადრინდელი მეგზური რუბენ შელია თბილისში გადაბარგებულა, ისე რომ ნაჩუქარი თოფი კვლავაც ბრეზენტში შეხვეული მელოდება კვაწაწას გამოქვაბულში, სადაც ველური თაფლი ჟონავს ზამთარ-ზაფხულ.

ჩემი ძირითადი ინფორმატორი ნეგუს აკობიაა. ჯონი ჭანია გამირბის. ამას დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება. ხან დაცვის უფროს ვეკუას ელაპარაეკება, ხანაც ფიჭურ ტელეფონს მიიკრავს ყურზე და ქარის მიმართულებით მიაბრუნებს სახეს. ცუდადაა საქმე: დადიანების შთამომავალი თანამეცხედრე გავუნაწყენე, ორი ვაჟიშვილის დედა.

ნეგუს აკობიას „ვარდების რევოლუციის“ მედროშესაც ეძახიან კაშხალზე..

საწარმოო განყოფილების უფროსის, გიგლა სამუშიას თქმით, სააკაშვილმა დიდი და პატარა ენგურ-

ჰესელი, ჯვარელი, წენდიხელი ზოგადად, ხელის ერთი მროსმით გამოცვალა, ახალი სული ჩაუდგა, ახალი ხორცი და ძვალი. ნეგუსიც ამ კატეგორიისაა.

დილასისხამიდან აღმართ-აღმართ დავქრივართ მთავარ ინჟი ნრის, ბატონ ლევან ჭანტურიასგან, ნათხოვარი მანქანით.

ასულს გამაცნობს ნეგუსი, რომელიც რომანს წერს თურმე რუსულ ენაზე.

მთავარი ინჟინერი ლევან ჭანტურია ბობოქრობს.

ნახევარ საათს მაინც დავყოვნდებით კოკროჭინა ჯიხურში რომლის კედლები კურტიზანი ქალების ფოტოებითაა შეწებილი. ყოველი მხრიდან წყალი მოთქლიშინებს.უკვე ბათინკები ვერაფერს შველის მუხლებამდე მოჩოჩებულ ნაკადს.

– ისე მეტის ღირსი ნამდვილად ვართო, – მომადვენებს დენის აკობია. ნეგუსის ძმაა. იმ ოთხთაგანია, რომლებიც სამი ათეული წელია ენგურჰესზე ტრიალებენ.

ავაღწევთ ბორის გაბედავას ტურბინებამდე. ადრე საღეებავით მესერს რომ ვერ აფერადებდა მთავარი მექანიკოსი, გადაურუხებია ტურბინები, ისე რომ ქათქათა ქოჩორისათვის წვეთიც არ გამოუ მეტებია. გასაოცარი ხალხია ენგურჰესელები.

18 თვის სახელფასო დავალიანება დაუტოვა წინა ხელისუფლებამ და ახალმა პრეზიდენტმა ერთ წელიწადში კაპიკ-კაპიკ რომ აუნაზღაურა თითოეულს კუთვნილი გასამრჯელო, გვეგონა კანცელარიასთან დაეყრებოდნენ მადლობის მოსახდელა, მაგრამ ასეთი ეშმაკობები შორსაა მათი უმწიკვლო ბუნებისაგან. ეთაყვანებიან თავია.ნთ პრეზიდენტს და მორჩა, ამნაირად გააქვთ წუთისოფლის ლელო.

– სიტყვის კაციაო, – გეტვიან დაჟინებული მზერით მოშტერ ებ ულნი.

– მიყრუებულში ვართ, – სვენებ-სვეებით ამბობს ბატონი ბორის გაბედავა. – თქვენც დაგვწყეთ ბოლო დროსო, – ერთგვარი საყვედური გამოჟონავს მის კილოში.

ვანახებ „კირბისში“ გამოქვეყნებულ მის ფერად ფოტოებს და მადლიერებით გაიბადრება.

მემწე ანატოლი გოგოხიას გავემსაუბრები..

აქაც სამაგალითო ხასხასია.

ავაღწევთ გაკრიალებულ ცენტრალური ოფისამდე.

სადაც ადრე წლების წინათ თხები ზამთრობდნენ მარაკად გადაქცეულ ნაგებობაში, ახლა ავეჯიდან დაწყებული ფარდებით დამთავრებული, ყველაფერი ქათქათებს. ორმოცი მილიონი ლარის ზეგეგმიური ელექტრო ენერგია აწარმოეს თურმე ენგურჰესელებმა შარშან, თუმცა ამის თაობაზე პირველად მესმის.

– როგორ, რანაირად-მეთქი და მიხსნის ნეგუს აკობია სათანადოდ.

– მერედა სად ხართ-მეთქი, ვფიცხობ. კაცი ასანთის ღეროს ორად აპობს, მეორე – ოთხად, ამგვარი ეკონომიით გააქვთ თავი და ეკრანიდან არ ჩამოდიან. ლამის ჯეიმს ბონდად წარმოჩინდნენ. თქვენ კი რას შვრებით-მეთქი.

– მას-მედიასთან კონტაქტები გვიჭირს, – იღრუბლება ნეგუს აკობია.

– თქვენი თავის მტერი თქვენ ყოფილხართ-მეთქი.

– პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატს, სამინისტროს სისტემატიურად ვაყენებთ საქმის კურსში...

– კი, მაგრამ სამადლობელი წერილი თუ მიუგზავნეთ პრეზიდენტის-მეთქი.

– არა, – გულწრფელია ნეგუს აკობია.

– ერიჰა! – გავვცეცხლდები.

აი, სად დამრეტავს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გახსნაზე ბატონი მიხეილის გამოსვლაში ენგურჰ ესელების პრობლემებისადმი ერთგვარი წაყრუება. როცა საქვეყნოდ წარმოაჩენ რიგითების გმირობებს, და ნამდვილი გმირული სულისკვეთებით გაპოხიერებული კოლექტივი გამოგრჩება თუ გამოტოვებ, რაღაცაშია საქმე-მეთქი, ამნაირად განვსჯი.

– ჩვენ თავს არ ვზოგავდით ბატონი მიხეილისათვის, – უელავს თვალები ნეგუს აკობიას, – მე ახლაც შენახული მაქვს „ვარდების რევოლუციის“ დროინდელი ხუთჯვრიანი დროშა. ერთერთი დემონსტრაციის დროს , ჭყლეტაში ვიღაცას ხელიდან გაუვარდება. ავიტაცებ და მას აქეთ ჩემთანაა. ჩვენ აქ 6000 კაცს გვუკეთეთ მობილიზაცია. ავტობუსებით, ტრანსპარანტებით დავეშვით დათბილისისაკენ. ჩვენ ბატონ ბრეზიდენტს ნამდვილად გავუმართლეთ. ჩვენ ყველას ვუმართლებდით, რადგან ენგურჰესელს უკანდასახევი არაფერი დარჩენოდა. ჩვენ ღამეებს ვათენებდით თბილისის ქუჩებში, სუსხიან ქარში, მშივრები, მაგრამ მიჩვეულები ვიყავით ამნაირ პირობებს. ყინვა, თოვლი და შიმშილი ჩვენი განუყრელი მეგობარი იყო წლების

მანძილზე. დიახ, უკანდასახევი არაფერი გვქონდა. ღმართმა გვაშოროს და მცირედი კატასტროფის შემთხვევაშიც კი ჩვენი კუთხისაგან აღარაფერი დარჩებოდა. წინაპართა საფლავებიანად ზღვაში ჩაგვხვეტავდა წყლის კოლოსალური ნაკადი!

– ვიცი ყველაფერი რუბენ შელიასგან-მეთქი.

– რუბენი თბილისშია, ჩვენ კი აქ დავრჩით, ჩვენს უბედურებებთან. ეს სამხერხაოები დაუყოვნებლით თუ არ დაექვემდებარება სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ენგურს მკვდარი მდინარის ბედი ელის ცხადია, თევზის თვალსაზრისით. ერთი სიურპრიზი მაქვს შენთვის შემონახული – გამოსარკვევია ენგურჰესის თაღოვან კაშხალში არსებული გრუნტის ქიმიური შემადგენლობა, რამდენად, როგორ შეესაბამება იგი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, როგორც სასუქი...

– არის ჟენევაში მსგავსი პრაქტიკა, იქ ირეცხება ეს შლამი და ვენახში შეაქვს ფერმერს.

– მაცალე! იქ სხვა სიტუაციაა, აქ – სხვა. ჩვენს მაგალითზე საკუთარი კონსტრუქციის მცირე გაბარიტიანი მიწახაპია გემით, როგორიც "ნიკოლა- ძეა"ფოთში,შევუდგებით გრუნტის ამოღებას და გაყიდვას. ამით დარეგუ ლირდება კაშხალის აუზი, წყლის დებეტით მოტანილი შლამი თანდათან დაიწევს დაბლა და ენგურყჰესის სიცოცხლის ხანგრძლივობა საპროექტო 100 წლიდან მარადიუ ლისკენ გადაიზრდება.

– საინტერესოა.

– ამასთან გადაუდებედ საქმედ გვეჩვენება ენგურჰესის კაშხალს გადმოეცეს წალენჯიხის და მესტიის რაიონების სატყეოს კუთვნილი ფართობები საკურატორად, რათა უფრო ეფექტური გავხადოთ ეკოლოგიური თუ სასოფ- ლო-სამეურნეო საქმიანობა. ახლა ენგურყესის თაღოვანი კაშხალის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული სამხერხაოა განლაგებული, რომლებიც დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ამ ნახერხს პირდაპირ მდინარეში ყრიან და ამ ვანდალური ფაქტის წყალობით ენგურზე თევზი ამოწყდომის პირასაა მისული.

– სტიქსი, ლეთაყ

– დიახ, ლეტაა ყოველივე. არადა, აქ თავისუფლად მოშენდებოდა ათობით, ასობით ტონა თევზი, მით უფრო როცა გეყოლებოდა საკუთარი მიწახაპია გემი. ამასთან მოსაწესრიგებელია ქვირითის ყრის პერიოდში ენგურზე ამოღწე- ული თევზის მდინარე მაგანაზე გადასროლა არხის ან წყალსაქაჩის მეშვე- ობით. ამისი განხორციეოლება ენგურჰესელებს ნამდვილად შეგვიძლია საკუთარი ძალებითაც.

– განაგრძეთ, განაგრძეთ, – აყვანილი ვყავარ უკვე.

– ენგურყესის თაღოვანი კაშხალი, კომერციალურად რომ მიუდგეს თავის საქმიანობას, საკუთარი შემოსავლების ათჯერ, ოცჯერ და ოცდაათჯერაც შეუძლია. დამატებით მას უნიკალური ხელსაყრელი პირობები გააჩნია ფუტკრის ევაკუაციისათვის, იგივე მიწახაპია გემ-კატარღით. მდინარის სათავისაკენ შესაძლებელია სკების ტრანსპორტირება ღალიანობის პ ერიოდში ძვირფასი თაფლის მოსაპოვებლად ზამთარ-ზაფხულ დარაც მთავარია, დარეგულირდება ხე-ტყის გაუგონარი ჩეხვა, რითაც რამდენადმე შენარჩუნდება ეკოლოგიური წონასწორობა, თორემ დროთა ვითარებაში, თუკი ენგურჰესის კაშხალის შემოგარენში უსულგულოდ განადგურდება ტყის საფარველი, წყლის დებეტიც კატასტროფულად შემცირდება და ენგურჰესს მოაკლდება უმთავრესი მასურდგმულებელი ენერგია – წყალი. საქმისადმი ამდაგვარი დამოკიდებულებით ენგურჰესი გამოავლენს სახელმწიფოებრივ მიდგომებს ასრებული პრობლემებისადმი და იგი უკვე ელექტროენერგიის მწარმოებელი ორგანიზაციიდან გადაიქცევა მსხვილ სასოფლო-სამეურნეო კომპლექსად.

– მერედა, რას უცდით, ვის ემალებით ხალხო, – აღმომხდება ანაზდად.

– დაწყებული გვაქვს ასეთ პროექტზე მუშაობა გრანტის მოსაპოვებლად, მაგრამ გინდა დადიანებს გადავურჩეთ ამაღამ, ორივე, დროზე წავედით, ძმაო!

IV

არ გამომივა ფიცი-ფიცილი ჯონი ჭანიას სასიმამროში, თუმცა იციან სასმელს გავურბივარ. აკი, დამიფიცებია ერთხელ: უწინამც მზე დამლევია, სანამ სამშობლოს ღირსეულად არ დავიბრუნებთ, ღვინოს თუ გავეკარეო-მეთქი. ასე გამიცხადებია ორი წლის წინათ ბატონ ლევან მებონიასთან საბერიოში. გაგონილა!

ოჯახის მახვში საგვარეულო ალბომით შემიქცევს. ნარდსაც ავაჟღარუნებთ. პოეზიის ტრფიალი აღმოჩნდება. შვილიშვილების სიმრავლე ახალის- ებს ვაჟიშვილის ტრაგიკული აღსასრულით გულგანგმირულ კაცს.

ნადირობის კუმირია თურმე.

ვუხსენებ რუბენ შელიას ნაჩუქარ თოფს კვაწაწიდან და ჩაბჟირდება სიცილით.

სხვა რა ჯილდო მექნება მწერალ კაცს და ვუსახსოვრებ ლექსების წიგნის სასიგნალო ეგზემპლარს. თანაც რამდენიმეს რომ წავუკითხავ, გაცამტვერდება დადებული აღთქმა – დიდი დიასახლისიც მოაკითხავს სუფრას.

ასეა ჩვენი საქმე და მივგრიალდებით კიდეც საათნახევრის დაგვიანებით მატარებელგაცლილ ზუგდიდის რკინიგზის სადგურში.

ეს სცენები, ეს საუბრები უნებლიეთ ამომიტივტივდება გონებიდან პრეზიდენტის სიტყვით ჩაფიქრებულს. აქვე მას-მედიიდან ამოკრეფილ ფრაზებ საც გადავწვდები მოგვიანებით.

ბატონი სერგეი ბაღაფში უპერსპექტივოდ მიიჩნევს აფხაზეთის „სახელ- მწიფოს“საქართველოს სხეულებრივ მთლიანობაში განხილვას. ამასთან პრეზიდენტ სააკაშვილთან თბილ დამოკიდებულებასაც არ მალავს და დამაჯერებლობით დაასრულებს ბოლოს: მას სხვანაირად არ შეუძლია საკითხის წამოყენება სახელმწიფოებრივი პოზიციიდანო, თუმცა მაშინ საბჭოთა კავშირიც უნდა აღვადგინოთო. ბაღაფში არც ისე უცხოა ქართული გვარსახელებისათვის – გვახსოვს ჩვენ აღმაშენებლის პერიოდის ბაღვაშები. ესეც რომ არა თბილისში განსწავლულ კაცს ჩინებულად მოეხსენება, რომ აფხაზეთი საბჭოთა კავშირამდე, მეფის თუ კიევის რუსეთამდე, კოლხეთის, იბერიის, ერთიანი ეროვნული ფსიქიკით შეკრული პროტოქართული მიწა-წყალია.

V

მაინც სად იმალება მთავარი ძარღვი-მექი, გამკენწლავს მერამდენედ. „ენგურჰესის“ გმირული შემართების კოლექტივის შრომას თანაბარი სიმსუყით დაიგემოვნებენ აფხაზ-ქართველი ენერგე- ტიკოსები. რომ არა პრეზიდენტის პიროვნული ძალისხმევა, ენგურჰესის კაშხალი განწირული იქნებოდა კატასტროფისათვის, ვინაიდან 18 თვის გაუცემელი ხელფასის მოლოდინით გაწამებული ხალხი, მათ მიერ ხელდასხმულისაგანაც გულგრილობას, იგნორირებას რომ დაინახავდა, ამოეწურებოდათ უკანასკნელი მასულდგმულებელი ენერგია და წყალსაცავიდან მიყოლებით იფეთქებდა სტიქია. ჯერ ჩამომწყდარი ერთი სარქველებიდან, მერე – მეორიდან და მესამიდან, შემდგომ – მეოთხიდან, მეხუთიდან და ზვირთების მთაგრეხილებით მოისრებოდა სრულიად სამეგრელო აფხაზეთითურთ. დიახ, პრეზიდენტის ძალისხმევამ მიანიჭა ხალხს გაუგონარი ენერგია, კვლავაც ინვესტიციების მოლოდინში შიშველი ხელებით შეჭიდებოდა თავზესაყრელ პრობლემებს. თამასუქები განაღდებულია. მაშ, რატომ დაიგვიანა გმირობის შემცველმა ინტონაციამ პრეზიდენტის ხმაში. გულმავიწყობაა?! დაუფასებლობის გამო შურის ძიება?! თუმცა ასეთი რვმ ხომ წარმოუდგენელია ხელდასხმული პიროვნებისაგან-მეთქი, ვიჭყლეტ ტვინს. კიდევ უამრავი შრე, უამრავი წიაღი მოითხოვს განჩხრეკას.

„რა მოხდებოდა, თაღოვანი კაშხალის ხალხს რაბი აეწია და ენგურჰესი გაეჩერებინა?! “ვეკითხები ჩემს თავს და იქვე ვპასუხობ – ჯერ ერთი სრულიად საქართველოს მოაკლდებოდა 60 პროცენტით მასაზრდოებელი ენერგო-რესურსი, მაგრამ ამავდროულად აფხაზები მთლად ცარიელ-ტარიელზე დარჩებოდნენ. ჩვენ ორმოცი პროცენტს მაინც გამოვქექავდით ღადარიდან, ხოლო ისინი სულ გალოკივლი თითს დაემსგავსებოდნენ და ამისთანა ვითარებაში, დავიჯერო სამურზაყანოში განთავსებულ 40 ათასამდე მოსახლეობას ისევ არ გამოაბუნძურებდნენ ისინი, დანით ყელგამოუღადრულს თუ არა, დაპანღურებულს მაინც?! არადა, „ენგურ- ჰესი“ ქართულ-აფხაზური გენურიშეჭიდულობის ერთადერთი ნათელიწერტილია, სადაც პოლი- ტიკური ინტერესები მოთოკილია სტაბილური თანაქმედების სასარგებლოდ.

იდეალურ სუფევამდე სამყაროს სამი სტადია აქვს გასავლელი.

პირველი წყლის ბუნებაა, რომელმაც ოდესღაც ერთიან გონდვანას გაბნეული კონტინენტები აღმო- აჩინა, ერთმანეთი აპოვნინა;

მეორე– ეკონომიკური ხასიათია, რომლისკენაც გამალებით მიისწრაფვის კაპიტალის მსოფლიო. აქედან გამომდინარე, დღეს „ენგურჰესს“ განსაკუთრებულზე განსაკუთრებული მისია აკისრია, საქართველო- აფხაზეთის პრობლემის მსოგვარებაში;

მესამე უკვე სახელმწიფოებრივი აზროვნებაა პლანეტარული შინაარსით: თავის დროზე დრინის ხიდმა შეაკავშირა მუსულმანურ-ქრისტიანული იუგოსლავია, მაგრამ მეოცე საუკუნემ დააქუცმაცა იგი, დაასინდიყა, რათა ეკონომიკური ძაფებით შეეკერა.

გვყვანან ჩვენ პოლიტიკური მეტრები, ბატონები: გოგი გაჩეჩილაძე, ოთარ ხუფენია, ლადო თათარიშვილი, და სხვანი, რომლებიც მომრავლებულ საკითხებს ერთ ფოკუსში აქცევენ და ეს ერთი ფოკუსი ეკონომიკ-ური ინტეგრაციაა, სახელმწიფოებრივი აზროვნება პლანეტარული ნიშნით, რადგანაც დედამიწის ნებისმიერ ქვეყანას, ერს თუ ეთნოსს კარზე მოსდგომია ზოგადკაც ობრიული კრიზისები და ამ გადასახედიდან ბატონ მიხეილ სააკაშვილს „ენგურჰესის“ კოლექტივიდან თითო-ოროლას გამორჩევა პრიმიტიულად ჩამოერთმეოდა; პრეზიდენტი ელის თავის დროსა და ადგილს. ეს დრო და ჟამი კი დღითი დღე მკვეთრდება. დღითი დღე ნიშანდობლივი ხდება „ვარდების რევოლუციის“ მსწრაფველობა უფრო მძაფრი და მრისხანე ფერისაკენ. გუშინწინ იყო ვარდისფერი თბილისი. გუშინ განარინჯფერდა სრულიად კიევი. ხვალ გამორიცხული არ არის იგი ხასხასა წითელში გადაიზარდოს, დაგლერტებულ მეწამულში – რუსულ ბედისწერაში.

VI

ბატონი მიხეილი ხალხის ინიციატივებს ელის. ამ შემთხვევაში, ენგურჰესელების დაგვიანებული სამადლობლისა და აღმაფრთოვანებათა დემონსტრირებად ერთ პერსონას წარმოგიდგენთ მეშვიდე კასეტიდან – სოსო ციმენტიას.

ჩვენ ფოცხოში ჩასვლის პირველ დღეს გავესაუბრებით ერთმანეთს. დამქანცველია მასთან ლაპარაკი. საწნახელში ჩაგდებულ მტევანს ემსგავსები. ფიზიკის მასწავლებელია ბატონი იოსებ, ნიჭიერებით დატენილი. სამოცს მიტანებულა. „ვადების რევოლუციას“ ქომაგად ედგა ჯვარსა თუ თბილისში. ის ბოლომდე ეგზალტი-რებულია, დაავადებული ბატონ მიხეილის ფენომენით. რუსულის ენის ჩინებულად მცოდნეს როცა სააკაშვილის ცეცხლოვანი ინგისური მოუსმენია მაღალიტ ტრიბუნიდან, ცივ ქვაზე შემდგარა და დაუფიცია: ერთ წელიწადში ინგლისურს ვისწავლიო.

კასეტაში უამრავი პასაჟი მრჩება საანალიზოდ, რომელთაგან ერთადერს წარმოვაჩენ ახლა – პოეზიას:



TO THE PRTZIDENT
OF GEORGIA
MICHAIL, MAIKL SAAKASHVILY

Your name is Great name,
First name and midd name,
Last name and suntime,
Short name it is fame!

You’re name is manly man,
You name is frienly man,
This is name of jastly man,
Our Prezident getleman!

Here is name of fine fellow,
He goes at hight, above,
you’re native Georgia’s shvilli,
Michel, Maik, Saakasvili!

05. 12. 2004 year,
Soso Tsimentia

– წელიწადში მეც ვისწავლი-მეთქი.
– შენ გერმანული გცოდნია და რატომაც არაო.
– არა, სვანურს-მეთქი.
ხელს ჩამოვართმევთ ერთმანეთს.
მერეც დამეძებს თურმე სამასპინძლოდ, მაგრამ დადიანების მოხელეთებულს რას მიპოვიდა?!
დადმდგარა ჩვენი ხანგრძლივი საუბრის დაკვარცხლბეკების დრო.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო მიხეილ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, იქნებ შეშუშავდეს სათანადო ფორმა-შინაარსის პროექტი, რომე ლიც გამორჩეულ კოლექტივებს, წარმოება-დაწესებულებებს საქართველოს გმირი კოლექტივის სტატუსს მიანიჭებს. არც ისე შორეული წარსულიდან გვახსენდება — გმირი ქალაქები... მაგრამ ჩვენს შემთხვევაში კოლექტივისათვის გმირის წოდების მინიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ერთობ-ლივი აზროვნების, მონოლითური ფსიქიკის შესამუშავებლად. უკვე მთავარი სათქმელიც შორს არ მრჩება — ასეთი კოლექტივი, ალბთ, უცილობლდა მოგინიშნავთ თქვენთვის, მაგრამ ზედმეტ მოკრძალებაში რომ არ ჩამოგვერთვას, ჩვენი ჟურნალის სახელით, ჩვენი თანამოსაგრეების სახელით საქართველოს გმირი კოლექტივის მატარებული ორგანიზმის პირველ მერცხლად, დიახაც, ქართული ენერგეტიკის დედაბოძი — „ენგურჰესის“ უმამაცესი და მკლავმოუღლელი კოლექტივი დაგვისახელებია, რომელიც, როგორც ზემორე ფრაგმენ-ტულად დაგვინახავს, თქვენით აღფრთოვანებული ინგლისურსაც სწავლობს და მალე სვანურადაც გააბამს ბაასს მხცოვან მუშვანებთან. ეს ყოველივე შინაგანი ბედისწერაა ბატონო მიხეილ; ამისთანა შანსი მილიონი ნიჟარიდან მხოლოდ ერთადერთს ეძლევა ცხოვრებაში ჯადოსნური მარგალიტის აღმოსაცენებლად. ქართველი ერის შეკავშირების ტოტალური ღონისძიება ასეთნაირად წარმოგვესახება. თქვენ უკეთ უწყით, როგორც ხელდასხმულმა, თუმცა ყველაფერი ცაბაოთისაგანაა ნაკარნახევი — აუწყვეტია ათასწლეუ-ლების ბორკილები ამირანს, ნოეს ბადიშ პრომეთუსას, აფხაზების აბრსკილს თუ ჯვარელ-ლაკადელთა არამხუტუს სრულიად ცივილიზა ციის სინქრონიზაციის საწინდრად, და იარონ, იარონ, იარონ, ამინ!

საშზადისი სიმპოზიუმისათვის თემაზე: „ჰომო გეორგიკუსი და პროექტი „გვიმარა“

ლექსი ვეფხისა
და მოყმისა

მოყმემა ბირშიშველამა, შიბნ გაიარნა კლდისანი.
მოინადირნა, დალახნა,ბილიკნი ჭიუხისანი,
შამახდეს კლდისა თავზედა ხორონი ჯიხვებისანი
ჯიხვსა თოფ დახკრა ბეხრენსა, ჭალას ჯახნ იქნეს რქისანი.
შაღვარდა ვეფხვსა ნაწოლსა, დრონ იყვნენ შუაღმისანი.
ვეფხვი რო წამოუფრინდა, თვალნი არისხნა ხთისანი.
შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი,მაშინ დაიძრნეს მიწანი,
კლდეები ჩამაინგრივნეს, შტონ დაილეწნეს ტყისანი,
დრო აღარ დარსჩა მოყმესა,ხანნი რომ ჰქონდეს ცდისანი.
ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს, ვეფხვნი ჩქარნია კლდისანი,
გაზით გაართვნა კალთანი, ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა,ვადანი თავის ხმლისანი,
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა, დრონ იყვნენ წაქცევისანი.
ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა, ჩამოაწითნა ქვიშანი.
თავად კლდის თავზე შემოწვა მოყმე სულამამდინარი,
ქვიშას მიჰლებავს წითლადა სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა, კარს უსხდეს ქადაგ-მკითხავნი,—
„უერთოდ კი არ იხარჯნესჩვენ მონადირის ისარნი!“
იარებოდა დედაი ტირილით, თვალცრემლიანი:
„ჩემ შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია გაჯავრებული, ტიალი,
ჩემს შვილს — ხმლით, იმას — ტოტითადღე დაუღამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი,
იმათ დახოცეს ერთურთი, არ დარჩეს სირცხვილიანი“—
ტირილით წყლულებს უხვევდა ვეფხვის კლანჭითა დაჭრილსა,—
„შვილო, არ მოჭკვდი, შენ გძინავ,დაქანცული ხარ ჯაფითა,
ეს შენი ჯაჭვის კალთებიტიალმა როგორ დაფლითა?
შენც იმის საფერ ყოფილხარ, ხმალი ქნევაში გაგიცვდა.
არც იმან მოგცა მეტი დრო, აღარც შენ დაიცალია,
ვეღარც შენ დაიფარიე შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ვეღარცა ვეფხვმა ტოტები, — ხმალმა დაკუწა ძვალია.
მაგის მეტს აღარ გიტირებ, შენ არ ხარ სატირალია.
ლაშქარში, მეკოპარშია არ იყავ საწუნარია!
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,ეგეც სამარის კარია,
ერთ შვილ ხომ მაინც გაგზარდევეფხვებთან მეომარია“.
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილიელანდებოდა მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს ტანზეით აჰყრის რკინასა,
ხან კიდევ იმისი შვილი ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
აი, ამ სიზმრებს ხედავდის, გამაეღვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა, უდედოდგაზდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა, მეც უთხრა ჩემი შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისა.

სინდისის პატიმარი, აწ ბერთა კლდის საძოსგან განდგომილი

ზემოთხსენებული დებულების ნათელფენისათვის ერთხელაც შემოვიშველიებთ ,,ქებაის,, უარქაულეს ტექსტს თავდაპირველი გრაფიკული იერსახით, სადაც ნაგულისხმევი ნუმერაცია ჩვენს მიერაა დაფიქსირებული: და აქვე — ძეგლს ვბეჭდავთ ალაზნისპირისეული კომენტარებითურთ.

,,1902 წელს, პროფესიით ენათმეცნიერმა, ფილოლოგმა, არქეოლოგმა და ორიენტალისტმა — აკადემიკოსმა ნიკო მარმა, პალესტინაში, სინის მთაზე, ქართველთა მონასტერში აღმოაჩინა ძველი ხელნაწერები, რომლებიც ბერი იოანე-ზოსიმეს სახელთან არის დაკავშირებული. ეს ტექსტი რამდენიმე ეგზემპლარად ყოფილა გადანახული. ამ ხელნაწერების შინაარსით — ჩვენი საუკუნის დამლევს ქართული ენის საკრალური არსის გამოღვიძებაა ნაწინასწარმეტყველები, რითაც თურმე უნდა გამჟღავნდეს ლაზარესთან დაკავშირებული გრანდიოზული საიდუმლო. საჭიროდ მივიჩნიე წავიკითხოთ და შემდეგ განვიხილოთ იოანე-ზოსიმეს ეს ტექსტი'':

1. **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“**
2. დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე
მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად,
რაითა, ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
3. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ხქვიან!
4. და ახალმან ნინო მოაქცია და ხელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაი,
5. და მეგობრობაი ამისთ ვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს.
6. და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინას წარმეტყუელმან რამეთუ ,,წელი ათასი — ვითარცა ერთი დღეი'',
7. და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჰე სსა წილი ზის,
რომელ ასო არს და იტყვის ყოვლად ოთხ-ათასსა მარაგსა, და ესე
არს ოთხი დღე, და ოთხისა დღისა მკუდარი,
ამისთვის მისთანავე დაფლული
სიკუდილითა ნათლის-ღებითა უფლისაითა,
8. და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა,
მდაბალი და დაწუნებული,
მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისა,
9. და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან დღესამომდე.
10. და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ,
ესე წილი ანბანისაი.

1. მესიისა; 2. რათა; 3. დღე ; 4. დღე ; 5. მამისაითა; 6. ას ოთხი; 7. ას ოთხი ესე წელი, და... (ეს სიტყვები გამოყენებულია ,,ქებაის'' სხვა ხელნაწერებში. იოანე-ზოსიმეს ოთხი ასეთი ხელნაწერი დაუტოვებია).''

თუკი მოხმობილ ტექსტს უსათაუროდ დავნომრავთ, მაშინ მივიღებთ 9 წინადადებიან წერილს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას ფორმითვე ეზოთერულობის თაობაზე. ციფრთა საკრალურობის შესახებ ვისაუბრებთ საკმარისზე მეტად და ბარემ აქვე გავავლებთ პარალელს ,,ქებაის'' ოთხეგზემპლარობის გამო ,,ვეფხისტყაოსნის'' შაირის ოთხტაეპიანი სტროფის მიმართებაში, მით უფრო, როცა ალაზნისპირელი იოანეს — იონა-ს — სა და -ის — ,,ან-ი და ოი-ს უკუღმა წაკითხვად აღიქვამს, იგივე ალფაბეტის სინონიმად, იგივე შოთა რუსთველის პროტოტიპად.

ეს ვერსია კი შემდეგი მასალითაა გამაგრებული:

,,ნუნისის ღვთიშობლის ეკლესიიდან ბერების კლდემდე მანძილი თხუთმეტი სტადიონია. ამ ტაძრიდან გამოქვაბულამდე გზა გვირაბით შემოდის, რომელიც დრომდე დაკეტილია. მოვიყვანოთ იოანეს სიტყვები:

,,ბეთანია ახლოს იყო იერუსალიმიდან, თხუთმეტი სტადიონის მანძილზე'' (იოანე; 11-18).

შოთა რუსთაველი, (**რუსთველი, გ.ო.**): ,,ვეფხისტყაოსანი'':

„ცხენსა ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივს გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან“.
(1300)

(დააკვირდით მოხმობილი სტროფების ციფრობრივ მონაცემებს, ისინი აქ და შემდგომში ყველგან საკრალურია — 1300, 1309, 1293, გ.ო.)

ვისაც ყური აქვს, ისმინოს!

იბერიონთა საძმომ, 1989 წლის 29 აპრილს, ბერების კლდის წინ აგებული ეკვდერიდან პირველი დამღა — ნიშანი მოხსნა. ეს არის სამალმიანი, — ქვაში გამოკვეთილი საქართველოს გვირგვინი, რომელსაც ერთი ალამი წაკვეთილი აქვს.

„აჰა, ინიშნე ნიშანი, შენეულისა რიდისა!
გადმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა,
ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა,
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა, ცისა შვიდისა“.
(1309)

გამოცხადება იოანესი:

,,შევხედე და აი, თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე, რომელსაც ჰქონდა მშვილდი და მიცემული ჰქონდა გვირგვინი, და გამოვიდა გამარჯვებით, რაითა გაიმარჯვოს“ (6-2).

,,ვეფხისტყაოსნიდან მოტანილი ფრაზები რომ ლაზარეს წიგნის საიდუმლოებაა, შოთა რუსთაველიც (რუსთველი, გ.ო.) გვიდასტურებს:

„ხე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველსა ამონაწები,
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები,
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები“!
(1293)

შოთა რუსთველის თაობაზე ჩვენ ადრეც გამოგვითქვამს მოსაზრება, რომ რუსთაველში ა-ნი ზედმეტია, რადგანაც მენცარმა პოეტმა ყველაფერი გაითვალისწინა და ფსევდონიმიც ისეთნაირი დაირქვა, რომლითაც გაგვიმხილა— ხმოვანთა სრულ ოქტავას მოვიცავო — დავაკვირდეთ: შოთა რუსთველი — **ო ა უ ე ი**, ამით მთელი სამყარო ვარო, განაცხადა, მაგრამ უმჯობესია ქვემორე წერილს მივადევნოთ მზერა:

ციფრი 8 უფლის, ღმერთის სიმბოლოა, მისი გამოცხადების სიმბოლო, თუ მისი ზურგშექცევის სიმბოლო. მაგრამ რაც ნიშანდობლივია ნოეს კიდობნის მოცულობა დაემთხვა 13-13-10. რუსთველის მათემატიკაში განსწავლულობას ჩვენ რამდენადმე შევეხეთ, მაგრამ ციფრების ხარმონიის უფრო მეტი ცოდნაა გამოვლენილი ხომეროსის ,,ილიადასა“ და ,,ოდისეაში“. გაიხსენეთ, ყოველ ნაბიჯზე საკრალური ცხრა გებლანდება ფეხქვეშ. სწორედ ცხრა წელიწადს ვერ ამარცხებენ გრეკები ტროელებს, იგივე პროტოიბერიულ მოდგმას, მხოლოდ მეათე წელიწადს ეცემა ილიონის კარიბჭე ტროას ცხენის (მოძრავი მეხუთე კოლონა) ძალისხმევით. მხოლოდ მეათე წელიწადს გააცამტვერებენ გრეკები მათზე ათჯერ მცირე ტროელებს — ზუჩმოელვარე ჰექტორის დროშის ქვეშ დარაზმულ ზღვის ხალხს, მაგრამ გენიალური ჰომეროსის კოსმოგონური ცოდნა გაძარცულია, მივიწყებულია და ნაწილაკია მხოლოდ კირბების, ძველი კოლხების გლობალურ წარმოდგენებთან შედარებით. დარწმუნებული ვარ ,,ხომალდების კატალოგის“ უფრო ჩაღრმავებული წაკითხვით 13-თან მიმართებაში, რომლის შედეგია საერთოდ 9, მრავალზე მრავალ სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციას გავშიფრავთ. ჩვენ ხომ გვესწავლა: ᲩᲐ-ს გაჩენამ ,,აბრამ“-ში მოკვდავიდან ღმერთად აქცია იგი, რადგანაც აბრაამის კაბალისტურ ჯამს — 144 დაემატა 8 ხოლო აბრაჰამისა 152, იგივე რიცხვიანი.

სრულიად გონსასეირო
არასენსაციურად!

ანუ ლაზარე აღდგინებულია უფრო ზუსტად კი ბიბლიური წარღვნა მომხდარა 6153 წელს დასაბამიდან, მე-4-ე თვის მე-8-ე დღეს. ეს მოსაზრება ნოეს კიდობნის პარამეტრებითაც დასტურდება.

ესეისტურ მატიანეში ,,სუფევა“ საგნებისა და მოვლენების მიმართ მატერიალისტი ვარ, დიალექტიკოსი; ამდენად სენსაციების ნაკლებად მჯერა, თუმცა ირაციონალურის დაშვებას არ ვუკრძალავ ჩემს მეობას, განსაკუთრებით როცა საკითხი ეხება მთვლემარე ერის სულიერი გამოღვიძებისა და აღზევების პრობლემებს.

ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოში დიდი ბუმი ატყდება იოანე ზოსიმეს — სინელი ბერის, მესიანისტური ძეგლის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ გარშემო. ყველაფრის ამოსავალი წერტილი ეს 150 (!) სტყვიანი ეზოტერიკული (საიდუმლო, დაფარული, ბერძნ.) სიტყვაკაზმული მემკვიდრეობაა:

იოანე - ზოსიმე

ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა, საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამასა ენას ლაზარე ხქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ხელენე დედოფალმან; ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაი. და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ „ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს;“

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ „წელი ათასი ვითარცა ერთი დღეი.“

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისსა წილი ზის, რომელი ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხიათასსა მარაგსა;

და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხი დღისა მკუდარი. ამისთვის მისთანვე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მამისაითა.

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა, ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაი.“

დაგვეთანხმებით, ქართველი კაცისთვის არ არსებობს უფრო დამაინტრიგებელი, უფრო ზეაღმტაცი წინასწარმეტყველება, გნებავთ მოწოდება, ვინემ „ქებაია“.

ამის თაობაზე უწერიათ ბატონებს: რამაზ პატარიძეს, ზვიად გამსახურდიას, ვლადიმერ ჩუბინიძეს, მეუფე იოანე-იონას (მურთაზ ჩახავა), გივი ალაზნისპირელს, თქვენს მონა-მორჩილსაც, და რადგანაც ლაზარე გაიგივებულია 4 000 წლით მიძინებულ საქართველოსთან, ყოველი დებულება, ვარაუდი, მოსაზრება აჭიმულია ქართველთათვის სასურველ ნიშნულამდე, თუმცა ვიტყოდი, რომ „ქებაის“ მიმართებით ჩვენი მეცნიერების — პროფესიონალთა თუ დილეტანტების — კვლევა-ძიება მთლად წყლის ნაყვა არ ყოფილა.

დღეს ჩვენს ხელთ არის რამდენიმე ვრცელტანიანი ნაწარმოები, რომელთა წაყრუება, მით უფრო უგულებელყოფა, არაფრით იქნება; განსაკუთრებით საკუთარი ქვეყნის გარდასულ ჟამთატრიალს მიყურადებული მწერლისგან, როდესაც დღევანდელობა და მომავალი, სწორად რომ ამ წარსულის ბალავრებიდან, ბურჯებიდან ამოგვყავს:

რამაზ პატარიძის, „ქართული ასომთავრული“;

ვლადიმერ ჩუბინიძის, „სასწაული“;

გივი ალაზნისპირელის, „მსოფლიო დასაბამისეული აღმოჩენა“;

ეპისკოპოსი იოანე-იონას, „რა უნდა ვაკეთოთ;“

ჯუმბერ ჯუნი კაკულიას, „საქართველოს ისტორიის ახალი აღქმა“, I, II.

ზურაბ ქაფიანიძის, თეიმურაზ მიბჩუანის, „კაცობრიობის პირველი ანბანი“;

ხამლეტ წულაიას, „სად ვეძებოთ წარღვნით ჩაძირული ნოეს კიდობანი“;

აკაკი ჯორჯაძის, გაზეთი „მეტი სინათლე,“ №1-30.

ბუნებრივია, დაიბადება კითხვა: მაინც რა საერთო აქვთ ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებს იოანე ზოსიმეს „ქებაისთან“?

ვლადიმერ ჩუბინიძე „ქებაის“ მიიჩნევს საკრალურ ტექსტად, რომელიც დასტურია ჩვენი წარმართი წინაპრების მიერ ენის მიძინებისა წარღვნამდე (3658 ძვ. წ. აღ.) 7 წლით ადრე. ხოლო თავად ადამიანს იგი ეძახის ღვთიური მდგომარეობისას, რომელიც ამ წარღვნით დაკარგავს კოლოსალურ ცოდნას, შევიწროვდება მისი მოქმედების არეალი დროსა და სივრცეში. ანბანში, მეტყველებაში ჩააქსოვს, დაატყვევებს გრანდიოზული სიბრძნეს, რასაც ქრისტიანული სარწმუნოება გააფთრებით ებრძვის. შედეგად მივიღებთ ტვინის 3-5 პროცენტი უჯრედით მოაზროვნე (დეგრადირებული, დედამიწას მიჯაჭვული) ინდივიდს, მაგრამ ჩუბინიძის კონგენიალური მიგნების გვერდით ავლა შეუძლებელია. იგი აღმოგვიჩენს თვალწინმდებარე რიცხვი 13-ის საიდუმლოს:

ერთხელ ნატურალური რიცხვების — 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 -ის ეშმაკის დუჟინად მიჩნეულ 13-ზე გაყოფისას ვლ. ჩუბინიძე გასაოცარ სისტემას შეეფეთება. ამის თაობაზე მოგვიანებით უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

გივი ალაზნისპირელის (აგრეთვე ბერთაკლდის საძმოსა და მისი მოძღვრის გიორგი მაზიაშვილის) დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ ნუნისის მთათა კომპლექსის მკვდრეთით აღდგომა, რომელიც ავადმყო-

ფურადაა დაკავშირებული მსოფლიო წარღვნის მისტიკურ სურათთან. თითქოს ნოეს ხის კიდობანი არ შეუქმნია, არამედ მოკირწყლვით, ქვისგან, დედამიწის ჭიპზე — ნუნისზე ნავის დაშენებით, სადაც პროექცირდება (საქართველოს გეოგრაფიულ პარამეტრებში — 43-42 კვადრატში), კოსმიური ციალი და ხვეული კიბეებით ჩადიოდა კავკასიის მიწისქვეშა სიცარიელეში, იგივე 3-4-ში (საქართველოს პარამეტრების 43-42-ის შიდა წევრების მინიშნება) — სამოთხეში და არამიწიერი სხივით ნათობდა. თითქოს იქ მყოფი ადამიანი გაცილებით ელასტიკური სხეულ-აღნაგობისა იყო, თუმცა მოგვიანებით, როცა წყლით აივსო ნუნისის ქვეშ მდებარე სიცარიელე, იქაური ენერგია უარყოფითად გარდაიქმნება, ადამიანებიც შესაბამისად ბოროტისეულ საწყისმომძლავრებულნი აღმოჩნდებიან და ებრძანება ღმერთისგან ნოეს ქვის კიდობანის აშენება, რომელსაც შესასვლელი ქვემოდან ექნება, როგორც წყალში ჩაშვებული ჭიქა არ შემოატარებს ხოლმე სითხეს, იმ პრინციპით:

თავი მეექვსე

(**დაიხსომეთ რიცხვი 6, გ.ო.**):

,,13. (**ესეც დასახსომებელია, გ.ო.**) უთხრა ღმერთმა ნოეს: მოაწია ყოველი ხორციელის აღსასრულმა ჩემს წინაშე, რადგან აივსო ქვეყანა მათი უსამართლობით; და, ახა, უნდა გავწყიტო ისინი მთელი ქვეყნითურთ.

14. გააკეთე კიდობანი ურთხელისაგან. (**ვფიქრობ, მასალა ხაზგასმით მითითებულია, გ.ო.**) ბუდეები გაუკეთე კიდობანს, შიგნით და გარეთ ფისით შეფისე **(ვგონებ, ტექნოლოგიაც ზედმიწევნით გამჟღავნებულია, გ.ო.)**

15. ამგვარი უნდა ააგო იგი: სიგრძით სამასი წყრთა (**წყრთა — 48 სანტიმეტრი, გ.ო.)** იყოს კიდობანი, სიგანით — ორმოცდაათი წყრთა, სიმაღლით — ოცდაათი წყრთა;

16. სასინათლო გაუკეთე კიდობანს, ზემოდან ერთ წყრთაზე დაუტანე; კარი გვერდიდან შეაბი კიდობანს; **(ვფიქრობ, აქაც უზუსტესადაა განსაზღვრული კარის ადგილმდებარეობა, გ.ო.)** ქვედა, მეორე და მესამე სართული გაუკეთე.''

კვლავაც მოვიშველიოთ ფრაგმენტები ბიბლიიდან:

თავი მეშვიდე

6. ექვსასი წლისა იყო ნოე, როცა წარღვნა მოხდა ქვეყნად.

11. ნოეს ცხოვრების მეექვსასე წელს, მეორე თვეს, თვის მეჩვიდმეტე დღეს, ამ დღეს მოსკდნენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნენ ცათა სარკმლები.

17. ორმოც დღეს იყო წარღვნა ქვეყანაზე. ადიდდა წყალი და ასწია კიდობანი, მოაქცია იგი მიწის ზემოთ.

18. გაძლიერდა წყალი და მეტისმეტად ადიდდა ქვეყნად, და გაცურდა (აქაც მოძრაობა გამოკვეთილადაა დაფიქსირებული, გ.ო.) კიდობანი წყლის ზედაპირზე.

20. თხუთმეტი წყრთის სიმაღლეზე აიწია წყალმა მათ ზემოთ და დაიფარა მთები. (ესე იგი წყალი ბორცვებზე , გორაკებზე, გნებავთ, მთებზე მაღლა ყოფილა 15X48 სმ.-ით, ანუ 7 მეტრითა და 20 სმ. გ.ო.)''

თავი მერვე

„13. ექვსასმეერთე წელს პირველი თვის დამდეგს დაშრა წყალი ქვეყნად; ახადა ნოემ სახურავი კიდობანს (ვფიქრობ, აქაც ყველაფერი გასაგები ენით წერია, გ.ო.) **და ხედავს, ახა, გაშშრალა მიწის პირი.**

14. მეორე თვის ოცდამეშვიდე დღეს გამოშრა დედამიწა".

მინდა ერთ დეტალზეც გავამახვილო თქვენი ყურადღება: თუკი წარღვნა დაიწყო ნოეს ექვსასწლიანობის ჟამს, მეორე თვეს, (ამ) თვის მეჩვიდმეტე დღეს და იგი გრძელდებოდა 40 დღე-ღამეს, რანაირად გავიგოთ მისი დამთავრების ქრონოლოგია: ექვსასმეერთე წლის მეორე თვის ოცდამეშვიდე დღეს გამოვიდა კიდობნიდან ნოეო? ნუთუ იგი კიდობანში იჯდა მთელი ერთი წელიწადი და კიდევ ათი დღე? მით უფრო, მას მერე, რაც წარღვნა დამცხრალია 150 დღის შემდეგ?! რას უნდა მიეწეროს დროში ეს შეუსაბამობა?

ნუნისი შუამდინარეთის დედანია ალაზნისპირელის მოსაზრებით. ურთხელის კიდობანი ბურიდანული სიჯიუტით გარდასახულია ქვის კიდობნად. ცხადია, ეს ყველაფერი მისტიკური ელფერის მკვებავია, მაგრამ მის ნაშრომში რაციონალური მარცვალი უთუოდ არის, კონკრეტულად, თავად ნოეს კიდობანი, თავისი მეტრული პარამეტრებით: 300 წყრთა 144 მეტრს შეესაბამება, 50 წყრთა — 24 მეტრს, 30 წყრთა — 14, 4 მეტრს. ამის შესახებაც მოგვიანებით მოგახსენებთ.

ეპისკოპოსი იოანე-იონას ,,რა უნდა ვაკეთოთ'' დიდ ყურადღებას უთმობს ლაზარეს აღდგინებას. იგი ყველგან ,,ენაში'' სამეტყველო საშუალებას ხედავს, როცა ზვიად გამსახურდია ,,მოდგმას'', ,,ეთნოსს'', ,,ხალხს'' კითხულობს.

ზურაბ ქაფიანიძის ,,კაცობრიობის პირველი ანბანი'' თითქოსდა არავითარ კავშირშია ლაზარეს

აღდგინებასთან, ანუ იოანე ზოსიმეს ,,ქებაისთან'', მაგრამ როცა საკრალურ ტექსტში ,,ენის'' ადგილას ,,ანბანს'' ჩავსვამთ მისებური ლოგიკით, ამ მესიანისტური ძეგლის შინაარსი 180 გრადუსით შემოტრიალდება რეალისტური გაცნობიერებისკენ.

ჯუნი ჯუმბერ კაკულიას ,,საქართველოს ისტორიის ახალი აღქმა'' თამამად წარმოაჩენს ერთ სიცხადეს, რომ სალიტერატურო ქართული ხელოვნურად, ეკლესიის მიერ, ღვთის მცნებათა შესასწავლად შექმნილი ენაა; რომ მას საფუძვლად უდევს გამარტივებული ძველკოლხური; რომ დღევანდელი ქართული ძველკოლხურის ბურჯებზე დგას.

აკაკი ჯორჯაძის ,,მეტი სინათლე,'' ღმერთს ანიჭებს სიტყვის მნიშვნელობას და თამამად აიგივებს ,,ადამს და ევას'' ცნობიერების პროცესთან, ამ ზღვა მასალაზე დაყრდნობით გაცხადებულია: ევ-ად (ევა-ადამი შემოკლებით). 5604

გამოდის რომ ღვთიურ შესაძლებლობის ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ არა ბიოლოგიური არსებანი ხომო საპიენსი ადამ და ევა, არამედ დამწერლობა, ანბანი.

დაბოლოს, ხამლეტ წულაიას დასახელებული წიგნი. უკვე მეცნიერული ხიპოთეზით დახატულია დედამიწაზე წარღვნის კატასტროფული სურათი, რომელიღაცა ციური სხეულის დაცემით გამოწვეული. იმ დაჯახებას დედამიწის ღერძი 28 გრადუსით გადაუხრია და შესაბამისად ყველაფერი შეცვლილა ჩვენს პლანეტაზე, შენელებულა სიჩქარე, რამაც ერთი დღე-ღამით გაუზრდია საერთო ჯამში წელიწადის ხანგრძლივობა, შეცვლიდა პოლუსები, განედები, გრძედები; ციური სხეულის დაჯახებას გამოუწვევია წარღვნა, რაც თითქმის სამ თვეს გაგრძელებულა ბიბლიური მონაცემებით და ა.შ.

საკითხავია, იყო თუ არა შესაძლებელი ასეთი მასშტაბის კატასტროფა დედამიწაზე და რამდენად სანდოა წარღვნის ბიბლიური ტრადიცია?

ჩვენეული მოსაზრებით ასეთი რამ გამორიცხული არ არის — ეს ყოველივე ჩვეულებრივი მექანიკური მოვლენაა, კომოსისთვის ნიშანდობლივი. წარღვნა დედამიწაზე შეეძლო და შეუძლია გამოიწვიოს მიწისძვრებს, ვულკანურ მოვლენებს, ასტეროიდის დაჯახებას და ვინ მოსთვლის, მაგრამ ჩვენთვის უმთავრესი ის არის, რომ ლაზარეს აღდგინების, ანუ მესიანისტურ ტექსტში მოცემული რეალობების განჭვრეტა სრულიად შესაძლებელია აღნიშნული ავტორების მოსაზრებებზე დაყრდნობით, მათგან ფანტასტიკური ელემენტების გამოხშირვითა და სინთეზური მეთოდის შემოშველიებით.

დიახ, ლაზარე აღდგინებულია!

წარღვნა მომხდარა 6153 წელს დასაბამიდან (რასაც ნოეს ასაკიც — 600 წელიც ადასტურებს და კიდევ პლუს 150 დღე წარღვნის მძვინვარება) და არა 3658 ძვ. წ. აღ., რაც ,,ნოეს კიდობნის'' პარამეტრებითაც იშიფრება. ამ შემთხვევაში ნოეს კიდობანს ბრჭყალებში იმიტომაც ვათავსებთ, რომ იგი წმინდა სისხლის ეზოტერიკაა — არა შენობა, როგორც ასეთი, არამედ წარღვნის საკრალური თარიღის მითის ფორმით დამახსოვრების, შენახვის მეთოდი დრომდე.

ბუნებრივია, კატეგორიულობა ყოყოლჩინობის დასტურიცაა, მაგრამ პიროვნება (მეცნიერი, გნებავთ დილეტანტი), როცა ვარაუდის დონეზე წამოსწევს მოსაზრებას, გულსაც მოეფონება ხოლმე, და წარმოიდგინეთ — თვით ბურუსით მოცულ საკითხსაც.

არიან პიროვნებანი, რომლებიც ლაზარეს აღდგინებას მეცნიერული ელფერის ექსტაზით იკვლევენ, ბატონები: ნოდარ ხვედელიძე, ბორის გოგია, თეიმურაზ მიბჩუანი, ინდიკო კვეკვესკირი თუ სხვანი. ადრე დასახელებული ავტორებიცა და ესენიც ლაზარეს — მიძინებული საქართველოს, მოდგმის, ენის თუ ანბანის აღდგინების ეზოტერიკას რა ხანია უკირკიტებენ და შეუძლებელია ესოდენმა ენერგიულმა ინტელექტუალურმა მაძიებლობამ შედეგი არ გამოიღოს.

ბატონი ვლადიმერ ჩუბინიძის კონგენიალური მიგნებით ნებისმიერი ნატურალური რიცხვის 13-ზე გაყოფისას ვღებულობთ რაღაც მთელს და კიდევ 6-ნიშნა პერიოდულ ათწილადს, სულ 12-ის ოდენობით, სადაც 1-ის 13-ზე განაყოფის შებრუნებული ვარიანტია 12-ის 13-თან შეფარდების შედეგისა; 2:13-ის განაყოფი — 11:13-ის განაყოფთან; 3:13-ისა — 10:13-თან და ასე შემდეგ. გასაყოფ წევრთა ჯამი უნდა იყოს 13.

1 : 13 = 0, 076 923
2 : 13 = 0, 153 846
3 : 13 = 0, 230 769
4 : 13 = 0, 307 692
5 : 13 = 0, 384 615
6 : 13 = 0, 461 538
7 : 13 = 0, 538 461
8 : 13 = 0, 615 384
9 : 13 = 0, 692 307
10 : 13 = 0, 769 230
11 : 13 = 0, 846 153
12 : 13 = 0, 923 076

ამ მარადიულ ტაბულაში ექვსნიშნა ათწილადი ორი სამნიშნა წევრისგან შედგება, რომლის პირველი და მეორე წევრის ჯამი ცხრიანებია: თუ განაყოფის პირველი სამეულია ,,076'', მაშინ მეორე იქნება ,,923'' ანუ იმდენი, რადმენიც ,,076'' აკლია ,,999''-მდე — ,,923''. ეს მთელს სისტემაში კანონზომიერია. იწყება ,,076''-ით და მთავრდება ,,076''. ქმნის ჯვარს, დიდს და პატარას. პატარაა 6-ისა და 7-ის განაყოფთან. დიდი — 1-ისა და 12-ის განაყოფთან. (აქვე აღსანიშნავია ბატონ ჰ. წულაიას მიგნება — 7 და 91-ის იდუმალებისა, სადაც პრინციპები დაახლოებით იგივეა, რაც 13-თან). ჩვენთვის ეს სისტემა რადმენიმე ასპექტითაა განსაკუთრებით საინტერესო. კერძოდ, კი იმით, რომ მისით დასტურდება ბიბლიური წარღვნის ზუსტი თარიღი.

ნული მაიას ხალხში წელთააღრიცხვის აღმნიშნველი ციფრია, უკეთ ახალი დასაბამისა, ათვლის წერტილისა.

აბა, შევხედოთ ტროანოს კოდექსს:

„6. კანის წელი, საკის თვის 11. მელუკას დღეს დაიწყო საზარელი მიწისძვრები, რომელიც 13 ჩუენის დღემდე განუწყვეტლივ გრძელდებოდა... „მაგრამ იმის გამო, რომ მეცნიერები ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან მაიას (ᲛᲐ — 13, Ა — 1, Ი — 10, Ა — 1 = 25; გ.ო.)**კალენდრის სისტემაში... უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია მრავალი მეცნიერი ცდილობს ამოხსნას „მაიას კალენდრის კორელაციად“ სახელდებული ამოცანა. კვლევა-ძიების შედეგები ჯერ-ჯერობით რამდენიმე ასეული წლის სხვაობას გვაძლევს. პრობლემა შემდეგ კითხვაზე დაიყვანება: გრიგორიანული კალენდრის რომელ თარიღს შეესატყვისება თარიღი 13.0000 4 ახაუ, 8 კუმხუ, რომელიც მაიას დროის ანგარიშით „ბნელ“ თარიღად იქნა მიჩნეული?“**

ინებეთ, ბატონებო!

6153-ი დასაბამიდან.

რადგან მხოლოდ 8-ს 13-ზე გაყოფისას ვღებულობთ:

0,6153 84-ს.

(აქვე თანადროულია გაგვახსენდეს ნოეს ასაკი წარღვნისას— 600 წელი, რომელიც ეზოტერიკული მინიშნებაა კატასტროფის თარიღისა.)

და ამ ,,ტროანოს კოდექსში'' ნახსენები 4 ახაუს და 8 კუმხუს, ოღონდ შებრუნებულად, როგორც მე-8 დღე მე-4 თვისა.

ამასთან ერთად წარბშეუხრელად ძალგვიძს თარიღი 6153 დავაზუსტოთ სხვა მონაცემებითაც. კერძოდ, ნოეს კიდობნის პარამეტრებით — მისი მოცულობით.

როგორც ძველი აღთქმიდან გვეუწყა, მისი განზომილებებია:

(300 წყრთა) 144 მ. X (50 წყრთა) 24 მ. X (30 წყრთა) 14,4 მ., რომელიც ტოლია: 49 766,4კუბური მეტრისა. და თუ ამ საკრალურ ციფრს გავყოფთ უკვე მრავალგზის ნაცად 13-ზე მივიღებთ:

49766,4 : 13 ! 38 28 1,8 4 61 53.

აბა, კარგად შევხედოთ რას გვეუბნება მიღებული არითმეტიკული სიდიდე?

38,28,18 ანუ 3,2,1, და სტარტი, ან რაღაც კატასტროფა.

ხოლო როგორც მიჩნეულია საერთოდ 8 უფლის სიმბოლოა. ჩვენეული ვერსიით ქალისა და კაცის ერთბლიობა - ᲗᲘ I , ანუ 5 I 5, იგივე 10, იგივე სავსება, იგივე ამოძრავებული ჯვარი, დედამიწის ეზოტერიკა კონკრეტულ შემთხვევაში და მარადიული მოძრაობის სამყაროისეული ნიშანი, რაზეც გაეკრა იესო ქრისტე, 12 მოციქული-

ანი (საკუთარ მეობასთან 13-ის ოდენობის) მოძღვარი ჩვენი. ე.ი. ღვთაება დედამიწაზე დაეჯაჭვა, დაება, რაც საკრალური ენით იქნებ ჩვენი ცივილიზაციის ყოფის რეალური სურათის სიმბოლიკური ხატია?!

ჩვენთვის მისაღებია, რომ ,,ნოეს კიდობნის'' პარამეტრებში ჩასაიდუმლოებულია დედამიწის კატასტროფის ეზოტერიკული შინაარსი და ნუნისის მთათა კომპლექსიც, ზედმიწევნით შეესატყვისება ამ მაგიის ცენტრს, ვინაიდან მხოლოდ ქრისტემ დაანაყრა 5 000 კაცი5 პურითა და 2 თევზით; ვინაიდან ნუნისი შედგება 7 მთისაგან და 2 ხვეული კიბისგან; ვინაიდან ნუნისი შუმერულად ნიშნავს თევზისას, ჩვენეულ ნუნისზე, ,,ქვის კიდობანზე'' იმ ვეშაპზეც ხომ 2 თევზია გამოსახული, აქვე ,,ნუნ'' ასონიშანი მიმახვედრებელია სხივისა, კიბის საფეხურისა და ა.შ. მაგრამ მთავარი ისიცაა, რომ ციდან ჩამოსული იოანი შუმერული მითოლოგიის მიხედვით ამ საკრალურობაში ტრიალებს და აქვე იმასაც დავსძენდით, რომ მაიას ტომში აღმოჩენილი ,,ცოლკინის'' მსგავსად, რომელიც ხულიო არგუელისის მიხედვით გენის, ცოცხალი არსების რეზონანსული მოძრაობის მატრიცაა, ადვილმოსალოდნელია ,,ნოე კიდობანი'' ნუნისის სახით სიმბოლიკაა მხოლოდ ან დედამიწისეული კატასტროფის არქიტექტურული მატიანე;

სვეტიცხოველზე გამოსახული მკლავი და გონიო, არსაკიძის მოკვეთილ მარჯვენად რომ მიუჩნევია თანამედროვეობას, ბატონ ხამლეტ წულაიას სწავლებით განა ტყუილუბრალოდ მიუთითებს ნუნისს ათიოდე მეტრის სიზუსტით?!

აქვე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებასაც, რომ შუმერული თამაში ,,სამკენჭა'' — წინაპარი ჭადრაკისა, პირდაპირპროპორციულ მიმართებაშია ეზოტერიკულ გაგებასთან.

აქ ხაზების შეერთებით ვღებულობთ 13 კვანძს. სამკენჭას დაფა 8 მართკუთხა სამკუთხედის ერთობლიობაა. ხოლო როცა მასში რომბს ჩავხატავთ, ანუ ბოლომდე შევაერთებთ ყველა წერტილს, კვანძების რაოდენობაც 13-ს გაუტოლდება. მაგრამ ამ 13 კვანძიან მართკუთხედს, უკეთ კვადრატს 8-ჯერ თუ გავამრავლებთ, გამოგვივა თანამედროვე 64 უჯრიანი ჭადრაკის დაფა და კიდევ რაღაც სიმბოლიკა.

შევხედოთ რასთან გვაქვს საქმე:

ჭადრაკი თავიდან შავ-თეთრი უჯრების მონაცვლეობით როდი ყოფილა აღჭურვილი. ეს ყველაფერი მეცნიერების ვარაუდით 1500 წლის წინ მომხდარა.

ჩინელების ჭადრაკი ინახავს თავდაპირველის საიდუმლოს — სიანცელები კვანძებით თამაშობენ, მაგრამ თუ ამ ,,64'' უჯრედს დავაკვრიდებით, გასაოცრად ვპოულობთ მას ბიბლიურ თარიღში (ქართული ათვლა) 5604-ში, ანუ ანბანის შექმნის თარიღში ეზოტერიკულად და ამ ,,64'' უჯრას თუკი გავამრავლებთ 9-ზე მივიღებთ: 64 X 9 = 576, ანუ ცოტათი მეტს, ვიდრე მზის უძრავი წელიწადის მოქცევაა — 532.

(576 — 532 = 44)

(576 + 532 = 1108)

მაგრამ თუკი ,,64'' უჯრის კვანძების რაოდენობის დაზუსტება მოგვინდა, იგი შეესაბამება: 64 X 13 ! ;'',,.

არც ეს ციფრი გვეუბნება რაიმე განსაკუთრებულს, ესეც მთელი 300-ით (ნოეს კიდობნის სიგრძის იდენტურობა) მეტია მზის უძრავი წელიწადის მოქცევის ოდენობა — 532-ზე, თუმცა დაბოლოებით ემსგავსება რაღაცნაირად. ხოლო ოდეს შევკრებთ ამ ორ სიდიდეს, უცებ განათდება გონება:

832 + 532 = 1364

აი, ამ მარტივი ცნების არითმეტიკული ჩაწერა.

13-ის როლი მართლაც განუსაზღვრელია ციფრთა ხარმონიის დადგენისას.

ამასთან შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ რუსთველის ,,ვეფხისტყაოსანი'' 64 მარცვლიანი სტროფებითაა შეკრული, ანუ მას მუხლებად თუ დავყოფთ და ისე წარმოვაჩენთ, მივიღებთ 8 მარცვლიან 8 ტაეპს, რაც ჭადრაკის დაფის ანალოგიაა, ეზოტერიკულად პოეზიის ენით:

1 რო მელ მან შექ მნა სამ ყარ ო,
2 ძა ლი თა მით ძლი ე რი თა
3 ზე გარ დმნო არს ნი სუ ლი თა
4 ყვნა ზე ცით მო ნა ბე რი თა,
5 ჩვენ, კაც თა, მოგ ვცა ქვე ყა ნა,
6 გვაქვს უთ ვა ლა ვი ფე რი თა,
7 მის გან არს ყოვ ლი ხელ მწი ფე,
8 სა ხი თა მის მი ე რი თა.
1 2 3 4 5 6 7 8



რუსთველის სულიერი ზიარება ნუნისის მთათა კომპლექსთან, ბერთაკლდესთან, გივი ალაზნისპირელიც შენიშნავს, უფრო სიღრმისეულად კი ქართული რენესანსის მებალავრეს ცნობიერება მთელი სისავსით ეზოტერიკულობასაა ნაზიარები, რაც მისი ფსევდონიმისა და პოემის დასახელების ჩვენეული ამოხსნითაც დასტურდება, თუმცა ამაზე — მოგვიანებით. დღეს კი შეიძლება განვაცხადოთ შემდეგი: შოთა რუსთველის კაბალისტური ჯამია 980 და 760, ანუ 17 და 13, იგივე 8 და 4. 17-ი 13-ს სწორად რომ 4-ით ეუფროსება და 4-ის პერიოდით თუ განვავრცობთ მათ მნიშვნელობას ორივე მხარეს, მივიღებთ არითმეტიკულ პროგრესიას — 33 - 29 - 25 - 19 - 17 - 13 - 9 - 5 - 1.

ასევე პროგრესიაა თავად 9876.

,,ვეფხისტყაოსანი'' კი შეესაბამება 9153.

რუსთველი რომ ჭეშმარიტი ეზოტერიკია, ამას მიუთითებს ,,ვეფხისტყაოსნის'' 64 ნაწილად დაყოფა. დღესდღეობით პოემის თავების რაოდენობა 65-ს შეესაბამება, მაგრამ ,,დასასრულის'' პოეტური ანალიზი ადასტურებს, რომ იგი სრულიად უცხოა კანონიკური ტექსტისთვის. ჯერ ერთი, თვალშისაცემია რითმათა სიღარიბე. ,,სარებლად'' დაწყვილებულია ,,საკამათებლად''- თან, ,,ხონელსა''— ,,რომელსა''-სთან. რაც შეეხება 1668 სტროფს, აქ შაირი წარმოდგენილია მოსაზღვრერითმიანად ფფფფ. ნაცვლად ფფფფ-სი. ასეთი რამ რუსთაველს არა სჩვევია.

1668. ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი,
რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყოვნებელი,
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავ იყოს მხლებელი.

ამასთან, თვალშისაცემია 1665 სტრიქონი — ,,ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა,'' რაც იშიფრება: რუსთველის მიმსგავსებით გესაუბრებითო. ესეც რომ არა, პოემის კანონიკური სტროფი მთავრდება ფილოსოფიით: თხა და მგელი ერთად ძოვდეს, ანუ იდეალური საზოგადოებრივი ხარმონიით, რაც ქრისტიანობის უმაღლესი მიზანია და აქვე ამ სტროფის ნომერია 1664. ვფიქრობ, ამით ყველაფერი ითქვა.

ამჯერად ეს ვიკმაროთ.

ნოეს კიდობნის პრობლემებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ბატონ ხამლეტ წულაიას ზემოთ დასახელებულ წიგნს. ბატონი ხამლეტი უწინარესად მეცნიერია და მისგან გასაკვირი არ არის საკითხთა წრისადმი პროფესიული მიდგომა. იგი ერთგან წამოსწევს დედამიწის კატასტროფის სურათს, სადაც გარეგანი სხეულის დაჯახებით ჩვენი პლანეტის ღერძი 28 გრადუსით გადახრილა. თუკი გემახსოვრებათ, ნოეს კიდობნის პარამეტრების ანალიზისას ჩვენ იქ გასაოცარი ციფრები მივიღეთ: 38 28 18 4 6153.

სავარაუდებელია, რომ ამ ციფრების წყება შეესაბამებოდეს გარეშე სხეულის დაჯახებით გამოწვეულ კატასტროფას დედამიწაზე, პლანეტის ღერძის გადახრას ჯერ 38 გრადუსით. ამჟამინდელი ასტრონომიული მონაცემებით ხომ ეს გადახრა 28 გრადუსს შეესაბამება, ანუ 10 გრადუსით ნაკლებს წარღვნის მომენტში მიღებულთან და მომავალში რედუქციის პრინციპიდან გამომდინარე, დასაშვებია გაუთანაბრდეს 18 გრადუსს, რაც მაუწყებელია დედამიწის თავდაპირველ მდგომარეობასთან მიახლოებაზე, ან სულაც ადრინდელი ვითარების აღდგენაზე.

აბა, სხვანაირი ახსნა როგორ მოეძებნება ნოეს კიდობნის პარამეტრებს, რატომ მაინცდამაინც 144 მეტრის სიგრძის, 24 მეტრის სიგანის და 14,4 მეტრის სიმაღლისა ააშენა ნოემ ურთხელის ფიცრებისგან ღმერთის კარნახით გარედან და შიგნიდან ფისით შეფისული (და არა მოკირწყლული) კიდობანი? ხომ შეეძლო დაემრგვალე-

ბინა ეს მონაცემები, როგორც ტექსტშია ეზოტერიკულად — 300, 50, 30, სინამდვილეში კი ათწილადების დონეზე აღიქვამს რეალობას. რა შეიცვლებოდა ამით, მასალა არ ხქონდა — ურთხელი — ეფეზგთ იფსსფეფ — გიგანტი წიწვოვანი ხე, რომელიც გამორჩეულია მეტად ძვირფასი მოწითალო მერქნით?! მაგრამ მაინცდამაინც 144 X 24 X 14,4 ზომებია უმთავრესი ამ მითოლოგიაში, რომლის ნამრავლი, როგორც აქამდეც გაგვიცხადებია, შეესაბამება 49766,4-ს.

ეს ციფრიც მთელი სიმბოლიკაა თავისი შინაარსით.

49-ს მოიცავს დედამიწიდან მზემდე მანძილის ექვსნიშნა ციფრი (149 604);

76-ს ვპოულობთ 1-ის 13-ზე განაყოფის ექვსნიშნა ათწილადში (0,076 923);

6,4 თანხვდება ჭადრაკის დაფის უჯრების რაოდენობას (64) და ოქროს კვეთის ფორმულას დამრგვალებულად (618;382. 6;4);

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ჩვენს მიერ მითითებული ციფრი — 1364 შეესატყვისებოდეს წარღვნის წინანდელ დღე-ღამის რაოდენობას დედამიწაზე.

1364 შეიძლება აღვიქვათ შემდეგნაირადაც: 1-ით მეტი 364-ზე, ანუ 1 + 364 = 3656 ანუ დედამიწის ბრუნვის ბუნებრივი სიჩქარე თავისი ღერძის გარშემო წარღვნის გამომწვევი გარეგანი სხეულის დაჯახებამ საგრძნობლად შეანელა და შესაბამისად 1 დღით გაზარდა მისი მოძრაობა მზის გარშემო.

აქვე განსაცვიფრებლად შეესაბამება კავკასიონის მთებში მომწყდეული ვულკან დემავედის სიმაღლე ზღვის დონიდან დამწერლობის თარიღად მიჩნეულ, ანუ დასაბამიდან ქართული ათვლის თარიღს — 5604. ხომ არ მიუთითებს ყოველივე, რომ წარღვნასთან რაღაცნაირად წილნაყარია კავკასიონის მთაგრეხილის წარმოქმნა, თავად ვულკან დემავედის არსებობა? ხოლო უფრო საკვირველი ის არის, რომ დედამიწიდან მზემდე მანძილია 149 604 მილიონი კილომეტრი, თითქმის 150000 მილიონი კილომეტრი, იგივე წარღვნის ქრონომეტრაჟის ბადალი. გაიხსენეთ 150 დღე-ღამეს რანაირად მძვინვარებს სტიქია ბიბლიის მიხედვით, მაგრამ უფრო ზეამწევი ის გახლავთ, რომ 149-ის ჩაწერა შეიძლება სხვანაირადაც. 149-ის კაბალისტური ჯამია 1 + 4 + 9 = 14, ანუ საბოლოოდ 1 + 4 = 57 ამ მეთოდით აღნიშნული ციფრი-სიშორე 149 604 შეიძენს ეზოტერიკულ მნიშვნელობას - ჭადრაკის დაფაზე დატყვევებულს თუ კიდევ მეტს და გაუტოლდება 5604-ს. (5+604; 609; 15; 6.) იგივე ,,იოანი'', (51 ანუ 6.)

ერთი სიტყვით, ვლ.ჩუბინიძესთან, გ. ალაზნისპირელთან, ზ.ქაფიანიძესთან, ჰ.წულაიასთან თუ სხვებთან გაბნეული მიგნებების შეჯამება მიიღებს ცალსახა რეალისტურ ხასიათს:

ლაზარე აღდგინებულია.

რომ ნოეს კიდობანი ადვილმოსალოდნელია არც აგებულა, ან თუ აგებულა, იგი ყოფილა წარღვნის საიდუმლოს მომცველი ეზოტერია, შინაარსი;

რომ გარეგანი სხეულის დაჯახებით დედამიწა 38 გრადუსით გადახრილა თავისი ღერძიდან, დასაბამიდან 6153 წლის მე-4 თვის მე-8 დღეს, პოლუსებისკენ შეჭყლეტილა შედარებით სწრაფად მოძრავი დედამიწა შეძენილი შენელების გამო. ალბათ, ჩქარი მოძრაობის დროინდელი შესატყვისობებია დედამიწის გიგანტი ნამარხი ცხოველები, გვიმრისნაირები, ხოლო გარკვეულმა შენელებამ ბიოლოგიური ფორმებიც საგრძნობლად გადაასხვაფერა, დააპატარავა პარამეტრებში. რომ თანდათან მიმდინარეობს დედამიწის ღერძიდან ამ გადახრის გამოსწორება, დაკარგული მდგომარეობის აღდგენა ჯერ 28 გრადუსამდე, მერე 18 გრადუსამდე. ამას იქით მისახვედრებელია, რომ იგი ნულოვან წერტილსაც დაუბრუნდეს არსებული სიჩქარის შენარჩუნებით.

დიახ, დედამიწის წარღვნის სურათის ამსახველია ჭადრაკის 64 უჯრიანი დაფა, ანუ იგივე დამწერლობის შექმნის თარიღი, იგივე ქართული წელთაღრიცხვა დასაბამიდან — 5604. გამოდის რომ ჩვენი ცივილიზაცია წარღვნის შემდეგ, მხოლოდ 549 წლის მერმე ჩამოყალიბებულა. 6153— 5604 = 549-ს.

ახლა კი დროა ბატონ რამაზ პატარიძის ,,ქართულ ასოთმავრულზე'' დავძრათ სიტყვა ბოლოს და ბოლოს.

წინდებული დაკვირვებების წარმოჩენისას მოფიქრებულად მოვიტოვეთ ამ გენიოსი მეცნიერის უსამართლოდ დავიწყებული თუ უგულებელყოფილი მიგნებანი. ამ უნიკალურ მონოგრაფიაში ერთხელ და სამუდამოდაა გარკვეული ქართული ასომთავრულის შექმნის თარიღი, მიზანი, მნიშვნელობა. გარკვეულია რომ იგი პითაგორელებზე ადრე ვერ შეიქმნებოდა და ქრისტემდე — 284 წელზე გვიან, როცა ასომთავრული სახელმწიფო დამწერლობად გამოცხადდა.

ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ნაშრომში საშვილიშვილოდაა გაშიფრული ,,ასომთავრულის'' — ჩვენი წარმართი წინაპრების შემოქმედების კონგენიალურობა. იგი ამართლებს საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, აღმოსავლეთ-დასავლეთის გზაჯვარედინზე ყოფნას და მართებულად მთვარისა და მზის კალენდრების სინთეზური, ეზოტერიკული ძეგლია.

მთვარის — 12 და მზის — 19 სიმბოლიკის ერთობლიობით მიღებულია 31 ასონიშანი, რომელიც (იგულისხმება 31. ,,წილ''-ი - 4000) ამავდროულად წილადიცაა და ოქროს კვეთაც (ფორმულით 618; 382):

12 + 19 = 31 = 4-ს. ეს ყოველივე მათი კაბალისტური ჯამითაც დასტურდება: 12 (1 + 2 = 3 + 19 (1 + 9 = 10, იგივე 1-ს) =31, (3+1) ანუ 4-ს.

აქ მართლდება ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ჩვენი წინაპრები მნიშვნელოვანი რიცხვების გასასაიდუმლოე-

ბლად სიმბოლიკებს მიმართავდნენ ხოლმე. 31-ს თუ 13-ს ისინი ,,4'' სახით წარმოაჩენდნენ, რადგანაც პითაგორელებთან ,,4''სრულყოფილი ციფრი გახლდათ.

,,ასომთავრულის'' მიხვედრილობას ზურგს უმაგრებს ჩვენეული ვარაუდი პითაგორელებთან დაკავშირებით. წრეში ჩახატული ხუთქიმიანი ვარსკვლავი მათი სწავლებით სრულყოფილების სიმბოლოა, პითაგორელების სავიზიტო ბარათია. ეს ვარსკვლავი — პენტაგრამა ორი ფეხზე მყარად მდგარი, ხელგაშლილი ადამიანის ხატია, ხოლო ორი 5-იანის ჯამი ზესრულყოფილებაა — 10, ანუ როგორც ადრე აღვნიშნეთ მამრისა და მდედრის ერთობლიობა, თვით ღმერთის იდენტური ფორმით — 8, მარადიულობის ნიშანი, უსასრულობის სიმბოლო; ზიგიტა განაყოფიერებული კვერცხუჯრედი.

მისტიკას რომ ნაკლებად ეთანაწყობა აზროვნების ჩვენეული მოდელი, განგვიცხადებია, და თუ ზოგი ავტორის თვითმიზნური ნააზრევიდან რაციონალურ მარცვალს ვეძებთ, როგორც ქვიშის გროვისგან ოქროს ნამცეცებს, ისევ და ისევ ქართული სიტყვიერების სასარგებლოდ, რადგანაც ჩვენს ყოფიერებას არაფერში არგია ფანტასტიკური, ერის გონიერების საეჭვო ფასეულობებით ამამღვრეველი დებულებანი: მართლაც, შეუძლებელია შავი კატის პოვნა ბნელ ოთახში, განსაკუთრებით, როცა იქ არ იმყოფება.

დარწმუნებული ვარ ქართველი ეზოტერიკების ერთი დროშით დარაზმვა, მართებულ სადინარს მიანიჭებს არც თუ ისე იშვიათად ფანტაზიორულ ძალისხმევებს და ვფიქრობ, ახალ რეგისტრში აიტაცებს ჩვენი ჭირნახული ერის თუ ზოგადად ცივილიზაციის ისტორის ბურუსით მოცულ ფურცლებს.

რაც შეეხება საქართველოში ანბანის შექმნის თარიღს, იგი 284 წელს განხორციელებულა ქრისტემდე. 284 წელს გამოცხადებულა სახელმწიფო დამწერლობად და ამით — მინიშნებით, ქვეტექსტით, ეზოტერიკულად გამჟღავნებულია 13-ის საიდუმლოების ცოდნის მომენტი, ვინაიდან დაფიქსირებულია წარღვნის თარიღის მიახლოებითობა. (ამასთან ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ მანძილი დედამიწიდან მთვარემდე გახლავთ 384 ათასი კილომეტრი.) ფარნავაზის ზეობის ეპოქაში მოძებნილია საკრალური თარიღი, რომელიც 8-ის 13-თან შეფარდების განაყოფის ბოლო ორ ციფრს ენათესავება, (0,615 3 84; 284). ჩვენი ბრძენთაბრძენი წინაპრები ფარნავაზის მეფობის სივრცეში დიახაც 284 წელს შეარჩევენ ამ ფაქტის უკვდავსაყოფ თარიღად.

დედამიწის ცივილიზაცია გასაოცარი აღმოჩენების კარიბჭესთანაა ქართველი ეზოტერიკების საერთო ძალისხმევით (ცალ-ცალკე უამრავი თვითნაბადი მიგნებაა, რომელიც ბატონ რამაზ პატარიძის დასინთეზების შემდეგ გარკვეული საფეხურით წაგვიწევია წინ), მაგრამ საჭიროა კვლავაც თავდაუზოგავი თანამ- შრომლობა აღმატებული სიმაღლეების დასაპყრობად.

იქნებ სწორად ეს, ცათაფრენის მომნიჭებელი გასხივოსნებას გულისხმობს სინელი ბერი, იოანე ზოსიმე, როცა 150 სიტყვიან ტექსტში წერს: ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არსო და ყოველი ერი ღმერთმა ამ ენით ამხილოსო. ლაზარე აღდგინებულია!

26.06.98 წ.

,,საქართველოს რესპუბლიკა'' №336-337-338,
26-28 დეკემბერი, 1998წ.

P.S.

ებრაელის წყევლა

არც შენით გაცოდინა და ნურც სხვებისთვის დაგეჯერებინოსო, ამგვთარია დიადი სემიანელის წყალობა განჯგონებული ადამსიანისადმი ბაქრაძისეულად. ალაზნისპირელი არ მესალმება, რადგანაც ერთ-ერთ წერილში ,,მომითხრია'' თურმე. საქმე ის გახლათ, რომ ამნაირ ტიპებს არგუმენტები ხელს ანრ აძლევთ. პროკრუსტეს კვალობაზე ძალუძთ გაჭიმონ და შეკუმშონ ბიბლიის საკრალური ტექსტი. განმკითხავი ხომ ა მაინც არავინა ცისქვეშეთში! კი ბატონო, გური ოტობაიას შეიძლება აუფხუკიანდე ,,მოთხრის'' ვსაბვედურით მაგრამ სად მიუვალთ ბიბლიის საკრალურ ტექსტს, სადაც ბიბლიური წარღვნის თაობაზე უზუსტესადაა მითითებული დრო, ადგილი, კიდობნის ზომები, კიდობნის საშენი მასალა და არქიტექტონიკა.

როგორც ჩანს პატივცემულ ალაზნისპირელს ოპონენტი კიდევ გამოჩენია, ოღონდ ამღერად აბასტუმანის ასტროფიზიკის ობესრვა ტორიიდან, ბატონ ვიქტორ ჯაფიაშვილი სახით. ცნობილ მეცნიერს, პროღესორს მახვილგონივრულად შეუნიშნავს თავად ბატონ გივი ალაზნისპირელის მოძღვრებული არსებული ორჭოფობა, ჭოჭომანი: ,,**ხარაგაულის რაიონის სოფელ ნუნისში „აღმოჩენილია ქვით ნაშენი ყოვლად უცნაური სისტემა“,** რაც წარმოადგენს უდიდეს კუს ზედნაშენი სამი ვეშაპით. ამასთან ერთის მხრივ ირწმუნებით, რომ ''ქვის ეს კომპლექსი **ნამდვილად ადამიანის ხელის არის აგებული**'', მეორეს მხრივ კი, ცოტა ქვემოთ გვაუწყებთ: ზოგმა მეცნიერმა მას ,,**ჩვეულებრივი მღვიმე“ უწოდა რადგანაც ეს ნაგებობა ძალიან ყგავს ადამიანის ხელით აგებულსო**.''

პროფესორი ჯაფიაშვილი მენტორული ტონით ზომიერებისკენ და მეცნიერული კეთილსინდისიერებისკენ მოუწოდებს ეზოტერიკს, რათა ჯერ დადგინდეს ობიექტის რეალური სახე და დასკვნებისათვის მერე გავირჯეთო. მაგრამ ყატონი გივი გაოჩნებულია და **ლაზარე აბასთუმანში შრომკვდარაო**, ცივ წყალს გადაასხამს ოპონენტის სრულიად მართებულ გამოხმაურებას. გაგვინაწყენდება ნათელმზილველის ამქარის კოლორიტული წარმომად გენელი. მეტიც ჯაფოშვილის კომენტარს ერთერთ ასტრონომიულ მოვლე ნაზე — **„ცის თაღზე მოლულოდნელად შემოიჭრა უცხო სხეულიო(?)“** ჰ ალლე-ბოპის გამოჩენას მოუმზადებლად შეხვდნენ მეც- ნიერები, თუმცა რომც ცოდნოდათ, როგორ უნდა მომზადებულიყვნენ, ან რისთვისო, წაირონიულებს.

,,მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენაის'' მეორე ტომის დასკვნითი ნაწილი ახალი იმპულსით აშუქებს ლაზარეს ტაბუსთან დაკავშირებულ ინფორომაციას, რომელიმც თურმკ გაზეთ ,,ასავალ დასავალის'' რედაქტორს, ლაშა ნადარეიშვილს მიუწოდებია ეზოტერიკისათვის.ატ ამჯერად რაფიელ ერისთავის პოეტური მემკვიდრეობაა გამოჰენებული. კერძოდ კი ერთი უღიმღამო ლექსი ,,ასპინძის ომი'' სადაც თურმე ნრეს კიდობნის საკრა ლუცრობა დავანებულა, რომელიც ,,ებგურად ჰხადის ამ მთასა'' და გამონთავისუფლდა სივრცე ეზოტერიკული ტვინჭყლეტიაო- ბისავთის. ებგური თურმე ,,სამყაროს მზვერავია, ხალხის სულიერი დარაჯი,,. დიდი სულხან-საბა ამ სიტყვას ამნაირად განმარტავს — ,,მაღლით მხედველი დარაჯა''. სიტყვის შინაარსის მიხედვით ებგური მიწიდან ცისკენ მზირალი პიროვნება თუა, ამ შემთხვევაში იგი იგივე ხალხის წინამძღოლია, მესია. და თუ ციდან მიწისკენ მხედველი ძალა გახლავთ, ესეიგი ცაბაოთთან გვაქვს საქმე, დუდოღორონთთან, იეჰოვასთან. მოკლედ, ,, ებგურად ჰჯადის ამ მთასა ზოგჯერ მიზეზად წყლულისა'', ნაკლებად გამოგვადება ალაზნისპირელის აკვიატე- ბული ხარანის, გუნისის ქვათა კომპლექსის სინონომად, რომეკლიც თურმე ნოეს სტაციონალური ქვის კიდობანია, ასე შემლდეგ და ასე შემდეგ.

მაგრამ საინტერესოდჟ გვეჩვენება წყრთის სინონიმად ,,ხელის,, დასახელება. აქ ,,ხელოვნება მარგალიტს ყგავს. მას ზღვა ფარავს შეუცვლელი'', მოიშველიებს ბატონი გივი გალაკტიონის სტროფს, ისევ მიწისქვეშა სიცარიელს დაველი- რებით, რომელსაც აგერ, ხავრანისაგან 150 კილომეტრის დაშორებით ჩხოროწყუს ორწოხებში ააწბდებიან ქართველი და უცხოელი სპალეო- ლოგები. გალაკტიონის პოეტური ბაბანი ავტორს ლამპარივით მიუნათებია ნუნისის ბნელხვეულებისათვის.და ეს ,,დიდი წიგნი'', რომელსაც ,,ლაზარეს წიგნი'' ჰქვია, ავტორს ,,შავ წიგნად'' მოუნათლავს, რადგანაც შავ სიბნელეში დევს და ,,ორიოდე'' სიტყვა ავქვს კაციბრიობისათვის სათქმელი. თურმე გალაკტიონს ზედმიწევნით სცოდნია ეს სიაიდუმლო, მაგრამ ყველაფრის თქმა ხომ არ შეიძლებოდა და ჩაუტანია კიდეც საფლავს. აქვე მინდა ბატონი გივის პოეტის სხვა ლექსიც მივანიშნო ამ კონტექსტისათვის — კონკრეტულად ,,მე და ღამე''. წარმოგიდგენიათ როგორი იდუმალებით დასერვია პოეტს გული, დიდი ხნიდან საიდუმლოს ისიც ღრმად დაატარებს გულში. არ უმჟღავნებს ქვეყნად არივის, ნიავსაც კი არ აკარებს, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მე კი ურწმუნო თომა ვარ ძვირფასებო და უფოლის ფერდში ხელის შეყოფასაც კი არ ვერიდები ჭეშმარიტების დადგენის გზაზე. ოჰ , რამდენს გარჯილობს ჩვენი გივი, რამდენს ოფლიანდება, ოღონდ ნუნისის ქვათა კომპლექსის კონფი გურაციას მატერიალური საყრდენი დაუძებნოს ქართულ პოეტიკაში. ალაზნისპირელი იკვლევის დალის სემანტიკას, რომ ,,ლი'' იგივე სულიერი ,,წყა'' -ლი,, -ა. გავაძლიერებთ მეცნიერის მოსაზრებას და შევაშველებთ სვანურ ,,ლიც'', იგივე წყლის მნიშვნელობას სვანურში, აგრეთვე ,,ენ-ლი-ლ''-ს შუმერულში. გააზრებულია მაქსიმა ,,შვი'',,ლი'' გაიჩინე სულიერი წყალიაო'': მაგრამ იდენტურობის ნიმუშად მოშველიებული ორი სურათის ანტიპოდობამ ჩამაღიმილა. ამგვარ წყობას არ ცნობს გალაკტიონის მეამბოხე სული: ,,შითა, აკაკი, ილია, ვაჟა და ...,,ანუ გალაკლტიონიო. კონკრეტულია ტაბიძე. სურათზე კი შვიდი ტიტანია შემოთავაზებული — რუსთაველი უმაღლეს იარუსზე, შემდგომ გურამიშვილი, შუალედურ ფენილებში ჭავჭავაძე და ვაჟაა, ცოტა ქვემოთ აკაკი, შემდგომ — ტატო და ბოლოს გალაკტიონი ვაზას სიმეტროიაში იგრეკ ღერძის გასწვრივ. აი. ამ ნახატს დააზომებს ნუნისის ტოპოგრა- ფიულ რუკას ჩვენი ალაზნისპირელი და დაასკვნის: ,,ვეშაპის'' ხვრელთა რაოდენობაც შვიდია და მგოსანთა პორტრეტებიც''- ო. არადა, პორტრეტები მართლაც შვიდია 48 ილუსტრაციაზე, დალის პორტრეტს და შვლის ნუკრასაც თუ შავუმატებთ სულ ცხრა გამოგვივა. 47-ე ილუსტრაციაზე კი შავით თეთრზე იკვეთება 7 მოზრდილი გამოქვაბული და კიდევ სამი მომცრო, სულ ათის ოდენობით. ო, სანტა სიმპიციტას! ო, წმინდა ურალოებავ! ჰოდა, როცა 47 ილუსტრაციის ნიშნუ- ლებს 48 ილუსტრაციის ხაროებს ვეღარაფრით დაამთხვევს ერთურთს თვალ- ხილულთათვის ჩვენი ალაზნისპირელი, ვერბალური სფეროდან მუსიკალურ ჟანრში გადაინაცვლებს სულის მოსათქმელად. მოიცა, მოიცა, მეხსიერებმით აღვადგენ რომ პირველ ტომში 7 მთაზე იყო საუბარი, რომელსაც შესასვლელი ერთი გააჩნია. აქ კი უცებ შვიდი შესასვლელი გამოიჩითება. მართლაც სასწაულია ყოველივე!

გამოხდება ხანი და ახლა ვინმე გია პარკაია დაუკაკუნებს ბატონი გივის კარებს, თან იმისთანა დამაინტრიგებელს განუცხადებს ჩვენს ქურუმს, რომ ,,აღმოჩენის'' მეორე ტომის დაწერას შთაგონებს

ელვის- ებურად. (ორივე წიგნი ბილინგვაა, ორენოვანი და თავისი შინაარსით ერთშიც მშვენივრად ჩაეტევა).

ყველაფრის თავი და თავი კი ერთ-ერთი მეგრული სიმღერის ტექსტია — ,, ერეხელი.''

ერეხელი ვარ-და,
მერეხელი ვარ-და,
ელის-ბარი ათეჯგურა სარიკოს.
მიქელაი ვარ-და... მიქელაი.
ძღაბ მეურსუ ჭეჭეთური,
ბოშ გეთხოზუ გეჯეთური, ქვერი!
ქვერი ვარ და...
ახალ ქვერი იმკვერია,
სიმკვერია,
თუდო ხორუ შხვაშ მიორუ
დაფარული ერი-ერი ქუმუ!
ქუმუ ვარ-და, ქუმუ წყარი,
ნება თქვანი
სახსოვარი, ოჰო-ჰოიაა და მიქელაი.

გივი მეგრულში მწყრალად ყოფილა ჩვენი ჰოლანდიელი რძლისგან გან- სხვავებით, ჰოდა, აი რას მიუთარგმნის ეზოტერიკის გაფაციცებულ სმენას გია პარკაია:

ერეხი შუმერულიაო გაენდობა ინფორმატორი. ერეხად ბაბილონი მოიხსენიებაო, მოიშველიებს იგი თავსთავად ბატონ ზურაბ კიკნაძის განსწავლულობას. მისგან არის გამოსული ნინევიის აღმაშენებელიო. თავისთავად სიტყვა ,,მერეხი'' მეგრულში აღიქმება როგორც უშველებელი, ბუმბერაზი, გიგანტი. ვერეხ კაცს იტყვიან ბუმბერაზ ადამიანზე, ხოლო მერეხი შინაგანადაც გმირთაგმირის ეკვივალუნტკრია. და აქ თავს წამოჰყოფს ბატონი გივსგან ნახსენები ,,ელის'' პრობლემა, იგივე ,,ხელის'' გაგება, რაც წყრთის ტოლფარდია. ამნაირი ჩართვა მასპიძლის სულის აფორიაქებიდან მოდის, თუმცა სტუმარი ჯიუტად განუმარტავს, რომ აქედან რამდენიმე ინფორმაცია ამოდის. სარიკო ზღაპრულის იდენტურია. მოკლედ, ერეხელი ვარდა, მერეხელი ვარ და ამისთანა სასწაულს ელის ბარიო. მერე გოგო მოდის ჭეჭეთური, რაც ჭა ურიდან გამოღწევას ედრება და ბოშ გეთხოზუ გეჯეთური — ეჯი ხომ იგივე მიწის არეში ,,გე''-ში არსებული საზომიაო. თანაც ქვემოთ სახლობს სხვისთვის დაფარული ერიო, გაენდობა ჩვენი ცოდვით სავსე ხალხური სიმღერის ინტერპრეტატორი პარკაია ალაზნისპირელს და ,,მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენის'' მეორე ტომის გაჩენაც მსწრაფლ გამოისახება ჰაერში.

,,ქუმუ'' ქომუს ნიშნავს ჩვენი სამოხიელი გიას მიხედვით და არა ქუმელს. ,,ამ ტესტით დასტურდება, რომ სადღაც ქვემოთ სახლობს სხვისთვის დაფარული ერი და ამან უნდა მოგვცეს ,,ნება თქვენი სახსოვარიო''. მოკლედ. აიშვეს. აქ დაფისქირებულ ,,ვარ-და'', რატომღაც ვარდნას უიგვიდება და არა იმას, რაც სინამდვილეში მეგრულადაა ნავარაუდევი, ,,ნუ იქნები''-ს, ერთგვარი მოწოდებაა დაქცეული, გაპარტახებული ნუ ხარო. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ყოფნაზეა საუბარი აქ ფრაზა შემდეგნაირად მოგვევლი- ნებოდა — ,,ერეხელი ვორექ, მერეხელი ვორექ — ერეხეოი ვარ, მერეხელი ვარ''. თუმცა გაივლის რამდეგიმე კვირა და ახლა ბატონი გივი ალაზნისპირელი თავის ფოსტაში ,,ფილოსოფიური მიგნებების თაყვანისმცემელი ქალბატონის ეკატერინე ჩიქოვანის წერილს აღმოაჩენს. თურმე ,,ერეხელის'' აწ დუეტური არია ააფორიაქებს მანდილოსანს და ბავშვბის დროინდელ ,,მეგრუ ლი ნანას'' გაახსენებს. ცხადია ლექსის ტექსტსაც თანადროულად აახლებს ეზოტერიკს:

ჩქინი თური თოლი ხვიჩა
ცას მიკოხე ხვარხვატელი,
დიხაშ თუდო ქიანა რე
გვერ კუდელსუ უწაწუანს,
გიმე წყარს დო ეშე ხვითოს
დღა დო სერით უქანცუანს.
იშ მულაშა მუთას თქუანს
მულირ კოჩი მართალს თქუანს
მარა არძოს მოკითხუნს
მით მუდგაენებს უთათხუანს!
კილერ კარსი კილა გონწყნს
ირკოს ინა ვაგანჯინე.

გ.ომანჯამალ კირილი რე
მერეხიშ მულას უჯინე.
უკულ მუთი იუაფუნ
უფალიშ კათა ქუჯინე.

აი, ამნაირი ტექსტით აუბნევს გონებას აწ ჩვენი მეიავნანე, მაგრამ ამ ბედოვლაფებს ავიწყდებათ, რომ ამ ქვეყანაზე არიიან საბედნიერად წიგნიერი ხალხი, რომელთაც ტოგო გუდავას, აპოლონ ცანავს, კალისტრატე სამუშიას თუ პეტრე ჭარაიას გამოცემები თვით „გპამმატიკა მინგრელოსკოგოქიაზიკას" ავტორი მეთაურობით ქოველი სტრიქონი მეგრული პოეზიისაა წყრთა-წყრთა ესე იგი ხელი-ხელ გაგვიანალიზ- ებია და აღნიშნული ტექსტი აღარსად დაგვილანდავს სათოფეზე. მეტიც აქ ხელოვნურად შეკოწიწებულია გივი ალაზნისპირელისათვის ხელსაბრელი პასაჟები. ნებისმიერი ლიტერატორი თუ ფილოლოგი დამეთანხმება, რომ ლექსის ტექსტს არაფერი ესაქმება იავნანას თემატიკასთან, გველს და ხვითოს უხსენებს აკავანში მწოლ ანგელოსზს მშობელი დედა, როცა ასპიტის უნებლიე ხსენებისას პირზე ხელს აფარე- ბენ იადამიანს ცოდვიმს შესასუბუქებლად. ეს შეთითხნილი მეგრული ნანაა ჩვენი ეზოტერიკის პროზიციების გასამაგრებლად, საქართველს ქვეშ მდებარებ მიწისბქვეშა სიცარიელს დასამტკიცებლად, რათა არარატი ამოვარდეს მისი კონტესტიდან და სომხებთან დაუსრულებელი პოლემიკა გავაჩაღოთ. აი. აქ ნამდვილად შეიძლება დამემდუროს გივი ალაზნის- პირელი, ვინაიდან ჩემი პოზიციიდან ეს უკვე მისი ნამდვილი მოთხრაა. ჩვენ თავს შეკივავებთ ამ ლექსის თარგმანისაგან, თინაიდან ყოველგვარი კომენტარი მკითხველისთვის მიგვინ- დვია ერთხელ და სამუდამოდ — ეზოტერიკებმა აიშვეს. ამასობაში ჩხოროწყუს 17 კილომეტრის მიწის- ქვეშა სიცარიელეში ქართველ-უცხოელი სპალეოლოგები მსოფლი- ოში დღემდე უცნობ ცხოველს იპოვიან. იქნებ ალაზნისპირელის ნათელმხილველობაც ეს არის?! მაგრამ კმარა ეზოტერიკულ ხუნტრუ- ცებს გამოდევნება და თან — საქმე!

2003წ.

მითაჟამი

— **ჰომეროსი** ეწინამძღვრება ყველას, ვისაც ეპიკური ტილოებისთვის მოუცლია. მრავალზე-მრავალ ბურუსით მოცულ სივრცეს და ისტორიას აერთიანებს იგი და თუ შლიმანის ღვთაებრივ ინტუიციით მომადლებული ადამიანი ჩაუკვირდება „ხელოვნების ნორმად და ნიმუშად" აღიარებულ მის შრეებს, არაერთი აღმოჩენა გველოდება მომავალშიც. ხომეროსის პოემებთან დაკავშირებული საკითხები დიდებულადაა გაშუქებული ჩვენი სასიქადულო მეცნიერის, რისმაგ გორდეზიანის მონოგრაფიებში, სადაც შეხების უამრავი წერტილია დაფიქსირებული ბერძნებისა და კოლხების ცხოვრებიდან. უფრო მეტიც, მედიტერიანული ხანა სწორედ რომ კოლხურ-ბერძნული თანაარსებობის ეკვივალენტურია, რაც ნათლად მიუთითებს წინარებერძნულისა და ქართველურის ნათესაობას; რომ აქილევსის რისხვა არ არის მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული ამბიციების შედეგი, მას უფრო მნიშვნელოვანი ფაბულა ესაძირკვლება — კონკრეტულად კი ის, რომ ფეხმარდი აქილევსი წარმომადგენელი გახლავთ წინარებერძნული საზოგადოებისა; რომ იგი გრეკებს — ძველი ცივილიზაციის დამპყრობს საბოტაჟს უცხადებს ტროას იავარქმნაში; ამით აქილევსი სიცოცხლეს უხანგრძლივებს თავის მოდგმას, თავის სისხლსა და ხორცს; მისი სიმპათიები ცხრა წელიწადს ყოყმანებს, ცხრა წელიწადს ითრევს ფეხს ილიონის კედლების დასალეწავად, მაგრამ როგორც კი საკუთარი აბჯრით აღჭურვილ ძმაკაც პატროკლეს, ხექტორი სიცოცხლეს მოუსწრაფებს, აქილევსი მძვინვარე ლომს დაემსგავსება და ფაქტობრივად ტროას დაცალეწვა მისი ბურჯის — ხექტორის მოკვდინებით მიინიშნება კიდეც; თუმცა ვიტყოდით, რომ ტროას ათწლიანი ომი აისბერგისებურად აურაცხელ საინტერესო მოტივსაც ითავსებს, რაც მხოლოდ ვარაუდის, ინტერპრეტაციის, ხიპოთეზის დონეზე წარმოგვიდგება, როცა ფაქტის გამაანალიზებელი მწერალია, კალმოსანი და არა — დაუნჯებული მეცნიერი.

ჰომეროსის პოემების ქრესტომათიული განხილვისთვის ამჟამად არც დროა და აღარც — სივრცე. ვიმეორებ, სრულიად კონკრეტულ ფაქტს — ტროას ათწლიანი ომის ნიუანსებს დავსჯერდებიმეთქი. სხვა მომენტების გაშიფრვას წერილების მთელი ოკეანე მოეძღვნა, ასე რომ, უმჯობესია,

პირდაპირ ხომალდების კატალოგს ჩავუკვირდეთ, რომელიც ერთგვარი პასპორტია ამ დაუსრულებელ ოროომტრიალში ჩათრეული ქვეყნებისა და ხალხებისა.

სიტყვასიტყვით თარგმანში ასეა: ,,ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ შორეული ალიბედან **(ხალიბედან — ხაზი ჩვენია, გ.ო.)**, სადაც ვერცხლის სამშობლო არის''.

მეხუთე ქებაში აგამემნონი ჰოროლით განგმირავს ჰალიძონების ოტებულ (გაქცეულ) გოლიათ მეთაურს, ოდიოსს. მოგვიანებით ამს სტრიქონებს ჩინებულად გადმოაქართულებს ბატონი რომან მიმინოშვილი — ,,**ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან, ალიბეს მხრიდან''.** მოხმობილი ციტატა სრულიად საკმარისია ჩვენეული მოსაზრების გასაშლელად. ალიბე, იგივე ხალიბე, შემთხვევით რომ არ მოხსენიებულა ,,ილიადაში'', უდავოა. ,,ხალიბიუმ'' ხომ რკინას ნიშნავს ბერძნულად. ხალიბები კი ვინ იყვნენ თუ არა კოლხები? ან სად დაირწა ამირანის მითი — ცეცხლის მოთვინიერების საგა, პრო-მეთეოსის, ანუ პრო-მითის, წინარე მითის, ძველი ამბის სახელით რომ გავრცელებულა მერმე მთელს მცირე აზიაში; ანდა სად ბრდღვინავენ აიეტის რკინისჩლიქება ხარები?! რკინის გამოდნობის საიდუმლეობა, როგორც ოქროს მოპოვებისა, ისევ და ისევ კოლხებს უკავშირდება უმთავრესად. დღეს ამის შესახებ არავინ კამათობს. მივუბრუნდეთ ზემოთ ხსენებულ სტროფს — ხოლო ხალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ, შორეული ალიბედან, სადაც ვერცხლის სამშობლო არისო. რატომ მაინცდამაინც ვერცხლის საბადოებს ახსენებს **ხომეროსი** და არა აია-ქვეყანა, საიდანაც ოქროს საწმისი, ანუ ოქროს მოპოვების საიდუმლო ამოტვიფრულ ცხვრის ტყავს (კირბები) მოიტაცებენ არგონავტები რაღაც ოცდაათიოდე წლის წინათ?!

ჩვენ არაფერი ვიცით თუ რას აკეთებენ ჰალიძონები და მათი გოლიათი მეთაური ოდიოსი ტროას ომში ცხრა წელიწადს. ამის თაობაზე ,,ილიადა'' სდუმს. გასაღები ისევ და ისევ მოხმობილ სტროფშია. ბერძნების გაერთიანებული ლაშქარი ცხრა წელიწადს ვერ დაამხობს ათჯერ მცირერიცხოვან ტროელებს, იგივე ზღვა ხალხებს — კოლხეთს შეხიდებულ მხარეს.

1067 ხომალდით მოსდგომიან ბერძნები ტროას. თითოეულში 120 მეომარი ეტევა. ესე იგი დაახლოებით 130 ათასი (!) კაცისთვის მოუყრია თავი ილიონის წასალეკად ბერძნების გაერთიანებული ლაშქრის მეფეს — აგამემნონს. ბერძენი ყოყლოჩინობს სპილენძის იარაღით, როცა ნახსენებია ხალიბები, რკინის, ფოლადის მესაიდუმლე ხალხი. ამ უზარმაზარ გაერთიანებაში ვითომ მხოლოდ მეომრის ფუნქცია ეკისრებოდათ მუჭა ხალიძონებს?! ჩვენი ვარაუდით ხალიძონები, ანუ კოლხები იარაღის გამოსაჭედად უნდა ჩამოსულიყვნენ ტროაში, ისინი პროფესიონალი მჭედლები უნდა ყოფილიყვნენ წესით. მათი მჭედლებად ჩამოყვანა ტროაში უსათუოდ ომის მასშტაბებს უნდა განეპირობებინა, ვინაიდან ამხელა მანძილზე კოლხეთიდან იარაღის ტრანსპორტირება ვერ მოხერხდებოდა ოპტიმალურად და რეგულარულად. ჩანს, ჰალიძონები თავიანთ გოლიათ მეფესთან, ოდიოსთან ერთად ბრძოლაში მხოლოდ ომის მიწურულს ჩაბმულან ფიზიკურად, როცა ტროა სისხლისგან დაწრეტილია, როცა უკვე თითოეული ადამიანი ჯარისკაცია — მჭედელი იქნება ეს თუ გუთნისდედა.აბა, დააკვირდით, როგორ მოკურცხლავს აგამემნონს შეფეთებული ხალიძონების გოლიათი მეფე ოდიოსი. მისთვის ომი, ხმლების ტრიალი, უცხოა. ეს იგულისხმება სტრიქონებს შორის. მაშ, სად მივყავართ მსჯელობას?! კოლხები ტროელების მხარეზე არიან ოდიოსის მეთაურობით, იმ ოდიოსისა, რომელიც აიეტის შვილიშვილების ხნოვანებისაა. არგონავტები, მართალია, რაღაც სამიოდე ათეული წლის წინ კოლხებს მოსტაცებენ ოქროს საწმისს, რომელზეც ამ იშვიათი ლითონის მოპოვების წესებია წარწერილი, მაგრამ რკინის გამოდნობის საიდუმლო ჯერ კიდევ ერის წიაღში ინახება. ასე რომ, ვარაუდიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, — ჰალიძონები და მათი გოლიათი მეფე ოდიოსი მჭედლებად ჩასულან ტროაში; ამიტომაც ვერ ამარცხებენ ათჯერ მრავალრიცხოვანი ბერძნები ილიონს — ზღვა ხალხის კოალიციას, რადგანაც კოლხური იარაღი იბრძვის იქ.

მოგვიანებით, როცა ამ გაერთიანებას გაუჭირდება, თვით მჭედლებიც იძულებულნი ხდებიან ოროომტრიალში ჩაებან. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კოლხეთი იმ დროისთვის მაღალგანვითარებული იარაღით მოვაჭრე ქვეყანა ყოფილა. კოლხები მიაგნებენ ფოლადის გამოდნობის საიდუმლოებას და განუდგებიან ხვნა-თესვას, მესაქონლეობას. ხელს აიღებენ მამა-პაპური ღვინის წარმოებაზე. იარაღია პურიც, ღვინოც, უზრუნველი ცხოვრებაც, არქილოქეს ლექსისა არ იყოს და გადაგვარდება კოლხი. ადამიანი საკუთარ სახეს დაჰკარგავს. ადრე მიწათმოქმედებს, იგივე გეორგიებს, შავ ჭირად მოევლინებათ ეს სიბრძნე, შავ ჭირად და დაღუპვად. განა მხოლოდ ოქროს საწმისის დაკარგვა?! არა და არა! უმთავრესად იარაღით ვაჭრობა მოსრავს კოლხეთს, ასე რომ, საკუთარი აღარაფერი დარჩება, ლამის აღიგავება მიწის პირისაგან. მოკლედ, გაბღენძილ ოდიოსს, როგორც კი საკუთარი ხელით გამოწრთობილ ჰოროლა ბეჭებს შუა გაუტარებენ, მაშინღა მიხვდება თუ რა ყოფილა სხვათა წაკიდება-წასისინება, რა ყოფილა ომი, რომლითაც მისი მოდგმა სულდგმულობს აქამდის, მაგრამ თითზე კბენა უკვე გვიანია.

ეგერ, სულთმობრძავი გდია ბრძოლის ველზე და მის ბურუსმოძალებულ თვალწინ გარბის თვით ტროაში დატრიალებული საცოდაობა, ათასების ტრაგედია, ათასების ვაება-უბედურება:

არავის იხეირებს ამ ომით, არც ხალხთა მეფე აგამემნონი, ბაგაში დაბმული მოზვერივით რომ დაკლავენ აბანოში მეუღლე კლიტემნესტრა და მისი კურო ეგისთე; არც ფეხმარდ აქილევსი, არც ზუჩმოელვარე ჰექტორი, არც ჭკუაულევ ოდისევსი, წლობით რომ ახეტიალებს მერმე ბედისწერა ხიფათიანი გზებით ოჯახს მოწყვეტილს; მით უფრო — გაფხორილი ოდიოსი. ეს ყველაფერი დღესავით ნათელია, მაგრამ ვინ არის თავად გოლიათად შერაცხული ოდიოსი, ჰალიძონების წინამძღოლი მეფე, მისივე ახოვნების მეტოქეს — აგამემნონს შეფეთებული კურდღელივით რომ მოკურცხლავს?!

ძნელია ახლა გაარკვიო, რა სწადია ჰომეროსს, აგამემნონის მრისხანებისა და ძლიერების დახატვა თუ იარაღის ვაჭრობით ზნეობადაცემული ოდიოსის დაკნინება.

ოდიოსი, ოდიოსი... ნუთუ ჩვენ გაგვიძნელდება პარალელის გავლება ამ სიტყვასთან?! ბერძნული ტრანსკრიპცია ქართული სახელის პარალელურ ფორმებს უთუოდ ინახავს ერის მეხსიერებაში. გვაქვს ქუთაისი — ქუთაია. ქვაბულს ნიშნავს იგი მეცნიერების ენაზე. ქუთაისი — ქუთაია, ქუთაია და უცებ განათდება გონება: ოდიოსი — ოდი... სკანდინავიური ,,ოდინ'', კოლხური ,,ოდოია''.

მაინც რას ნიშნავს ეს ძველკოლხური სიმღერა?! დღეს იგი მუსიკათმცოდნეობაში შრომის ჰიმნადაა აღიარებული. ჩავეკითხები მრავალ სპეციალისტს, მაგრამ ისინი სხვაგვარ ინტერპრეტაციას გამორიცხავენ. მართალია, ერთხმად ადასტურებენ, რომ ,,ოდოია'' წარმართული საგალობელიაო, მაგრამ მაინცდამაინც შრომის, გამარგვლის, გამოროდების საგალობელიო. მე კი ვიტყოდი, თუკი ,,ოდოიას'' სინქრონულად, ,,ოდოიას'' თან შეწყობით თოხი იქნია მუშაკაცმა, სვრელის ბოლომდე სულს ვერ მიატანს. ,,ოდოიას'' მეტრიკა, ინტონაცია, გადასვლები, ხეროიკა კარდინალურადაა გამიჯნული ძალისძალით შრომას მიტმასნილ შინაარსისგან. არიან მეცნიერები, რომლებიც ოდოიას კულტს სვანურ ვობს — ნაყოფიერების წარმართულ ღვთაებას უკავშირებენ, მაგრამ ესეც ნაკლებად სარწმუნო მეჩვენება. რაც შეეხება ამ სიმღერაში დაფიქსირებულ სტრიქონებს — ,,ბერგის მურქი გიგოია'' — ანუ თოხს მოუქნიე გიგოია, გუშინწინდელი პოეტომანიის შედეგი უფროა, ვინემ პირვანდელი, რამეთუ ადრინდელი ტექსტი ქრისტიანობა, როგორც მას საერთოდ სჩვევია, პირწმინდად წაშლის, დასტოვებს მხოლოდ მელოდიას, მუსიკას და შემდგომ ხალხის ფანტაზია, რადგანაც უკეთესს ვერაფერს შეუნაცვლებს — თოხს მოუქნიე გიგოიათი შეავსებს. შრომის სიმღერად გარდაისახება საგმირო, ბრძოლის ხიმნი. კასტრირებული მამალი წიწილების ჩეკას მიხყოფს ხელს.

კიდევერთი ფაქტის გამო ვერ დავუშვებ სიმღერა ,,ოდოიას'' შრომის სიმბოლოდ, რადგანაც იქსტროფებსა და სტროფებს შუა არის პასაჟები, რომელიც რაღაცნაირად სვანური ზარის ელფერს დაიკრავს; მიუხედავად იმისა, რომ შრომის ყაიდაზეა მოქცეული, მისამღერი — ვოი, ვოი, გლოვის ატრიბუტი რომაა, ყრუმაც იცის. მაშ, როგორ ჩაეტევა ერთ ცნებაში მწუხარება და აღმაფრენა, ომი და მშვიდობა, შრომა და სისხლისღვრა?! წლების მანძილზე ბრძოლის სიმღერა რომ შრომის ხასიათს შეიძენს, აქ უჩვეულო არაფერია. პირიქით, ომებით დაქცეული წუთისოფლის განუხრელი ლტოლვაა სიმშვიდისკენ; ეს ადამიანის, ხალხების საერთო განწყობილებაა მათი მმართველი ძალებისგან განსხვავებით.

ასე რომ, უშუალოდ ,,ოდოიას'' გაიგივება შრომის საკულტო სიმღერასთან შეძენილი თვისებაა, ხელმეორედ მონათლულს ხგავს, ძველის თანდათან გარდაქმნის შედეგია და სხვა არაფერი.

თუკი დავუშვებთ, რომ ოდიოსი და ოდოია იდენტური პიროვნებებია, ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. უკვე სრულიად ნათელი ხდება, რომ იგი ოდოიას უკვდავსაყოფად დამღერებულ-დაკვნესებული ოდაა და ამით წრედიც შეიკვრება. იმდროინდელი პოეტები ხომ უტყუარ სარკესავით აირეკლავენ მომხდარ ფაქტებს, ვახსენეთ, აკი, შლიმანის ფენომენალური ალღო, რომელიც სწორედ დასახელებული პოემების ლოცმანობით მიაკვლევს ტროას, და აგამემნონის ოქროს ნიღაბსაც კი აღმოუჩენს კაცობრიობას.

მაშ, რატომ არ უნდა ვენდოთ ჰომეროსის სტროფებს, როცა იგი აცხადებს: ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი (ოდოია) და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ შორეული ალიბედან (ხალიბედან), სადაც ვერცხლის სამშობლო არისო?!

რისთვის სჭირდება ჰომეროსს ხალიბეს ხსენება, მხოლოდ გეოგრაფიული არეალის მოსანიშნად?! ეგრე რომ ყოფილიყო ხალიბეს ნაცვლად უფრო ცნობილ ფაქტს — ოქროს საწმისის აია-ქვეყანას მოიშველიებს, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ უფრო სიღრმისეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე?! ჩვენ თუ დავუშვებთ, რომ სიმღერა ,,ოდოია'' შრომის კი არა ჰალიძონების გოლიათი მეფის — ოდოია-ოდიოსის უკვდავსაყოფადაა შექმნილი, მაშინ იქ გამქრალი სიტყვები შეიძლება დაახლოებით შემდეგნაირად წარმოგ-

ვიდგეს: აჰა, მომაკვდავ ოდოიას მრავალხოფიანი ხომალდით სამშობლოსკენ მოაქროლებენ ჰალიძონები და სასოწარკვეთილნი უმღერენ:

ოდოდოი ოდოია დო ოდოია, სადაც არის აიას ჭაღარა მწვერვალებიც გამოჩნდება. წყეულ ტროაში რა გინდოდა? ვისთვის ჭედავდი მახვილს და მუზარადს? არ ჯობდა ტკბილი ღვინო გეწურა, სამშობლოსთვის მიგეხედაო... ეჰ, ვერგილიუსისხელა კალმოსანი სჭირდება ამ განძეულის წარმოჩენას, ვერგილიუსისა, რომელიც ლათინთა ტომს ,,ენეიდას'' სახით სიკვდილ-სიცოცხლის სწორუპოვარი ჰიმნს დაუტოვებს; იმ ენეასისა, იავარქმნილ ტროას რომ გამოარიდებს თვის ჯილაგს და რომულუსის შთამომავლობას ახალ ცხოველმყოფელობას მიანიჭებს.

ეს ყველაფერი მწერლის საასპარეზო სივრცეა, მასალაა მომავალი თაობებისათვის ნაცარშიგახვეულ ღადარივით შენახული; ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ერთხელაც ფოკუსში მოვუყაროთ თავი სათქმელს:

ხომეროსი ჩვეული ქვეტექსტებით მიგვანიშნებს კოლხეთის სრულ დამხობას, იმის გამო, რომ იარაღით მოვაჭრეა, ახალ-ახალი ომის მიზეზი, წამქეზებელი და რადგანაც საკუთარი მოწოდებისთვის — გეორგიანობისთვის, ანბანთმსახურებისთვის, მოჰანგეობისათვის უღალატია, გოლიათი ოდოიას დაცემით გვაუწყებს კოლხეთის მითოსური დიდების საუკუნო ჩასვენებას. ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ცხადია, ყოველივე თქმული ემიჯნება მეცნიერულ პრეტენზიებს, ვარაუდის პირმშო უფროა, მწერლის ინტუიციას დამყარებული, და რაც მთავარია, სწორუპოვარი მარონისა არ იყოს, ცოცხალ მასალას წარმოაჩენს ტროასდროინდელი საქართველოს ყოფიერების ამსახველი ფართო ტილოს შესაქმნელად. არის ხომეროსთან რიცხვი ათის გაშიფრვის ჩემეული ვერსიაც, ათისა — ყოველ ნაბიჯზე რომ გვხვდება ,,ილიადასა'' თუ ,,ოდისეას'' ფურცლებზე, როგორც ღვთაებრივი, როგორც საკრალური სავსება, მაგრამ ეს ყოველივე სულ სხვა საუბრის თემაა და უმჯობესია სათქმელიც აქ დავასრულოთ.

* * *

ლაზარეს პრობლემასთან დაკავშირებით წლების წინანდელი წერილის მოხმობა თანადროულად გვესახება. ამ თვალსაზრისით ჰომეროსის პოემები ერთხელაც გულისყურითაა წასაკითხი. გასაოცარია, ,,ხომალდების კატალოგში'' მოხსენიებული ასობით ტომი, თავისუფლად, შეუჭირვებლად ელაპარაკება ერთმანეთს. მიმაჩნია ჰომეროსის ,,ხომალდების კატალოგი'', როგორც სხვა პასაჟები, კაცობრიობის პრეისტორიული მრავალ დასილულ შრეებს წამოატივტივებენ, მაგრამ ახლა უმჯობესია ,,მითაჟამის'' გამოხმაურებაც გაგაცნოთ!

,,მითაჟამი'' — ასეთი სათაურით დაიბეჭდა გაზეთ ,,ასავალ-დასავალში'' გასული წლის პირველ ოქტომბერს ბატონ გური ოტობაიას წერილი, სადაც მწერალი მოკლედ მიმოიხილავს უძველესი, ღრმადარქაული, ოდინდელი საქართველოს და კერძოდ, კოლხეთისა და უძველესი ბერძნული და წინაბერძენული კულტურების ურთიერთობათა ზოგიერთი შეხების წერტილებს, რომლებსაც ეხება ჰომეროსი თავის თხზულებებში და ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

მწერალი გასცნობია ბატონ რისმაგ გორდეზიანის ფუნდამენტურ და მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომებს, სადაც თვალნათლივაა განხილული წინაბერძნული და კოლხურ-იბერიულ კულტურების ურთიერთობათა დამაკავშირებელი რამდენიმე საკითხი, ინტერპრეტირებული მეცნიერული კუთხით.

ამასთანავე მწერალი, თავისი საკუთარი თვალთახედვისა და მწერლური ალღოს მეშვეობით ცდილობს გააცოცხლოს და გააშუქოს ზოგიერთი ბუნდოვანი კვანძი. მაგალითად ,,ალიბუ'', რასაც მასთან ერთად სხვა მეცნიერებიც აიგივებენ ხალიბუსთან, ხალიბიუმთან, რკინის მწარმოებლებთან, მერკინეებთან და ძველი ელადის ენაზე, ჰომეროსის პოემებზე დაყრდნობით, არა მარტო ხალხს — ხალიბებს, არამედ მხარესაც, ქვეყანასაც, ხალიბების — რკინის მრეწველობის ქვეყანას უწოდებენ.

მესრულიად ვეთანხმები მწერლის მცდელობას, თუნდაც იმის გამო, წინა პლანზე წამოსწია საკუთარი ქვეყნის ისტორიული წარსულის რამდენიმე საკითხი ქართველი მოსახლეობისა, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდობის ყურადღების მიქცევის მიზნით, რამაც შეიძლება დააინტერესოს ბევრი მათგანი და გავხდეთ მონაწილე მთელი ამ უძველესი და ურთულესი პრობლემების სრულიად ახლებური შესწავლისა და გაანალიზების მომსწრენი, რაც უსათუოდ ხელს შეუწყობს არა მარტო საბერძნეთთან, არამედ მრავალ სხვა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, ვინაიდან წინაბერძნული და ძველ-

ბერძნული, კრეტამიკენური, ეგეოსური, ეტრუსკული, შუმერული, პროტოხეთური და ხეთური, პელასგური, მცირეაზიური, სამხრეთ-ამერიკული, ძველი ინდური და სხვა კულტურების საოცარ ურთიერთკავშირს ავლენენ. დღეს არსებულ მრავალ ათეულ სახელმწიფოსთან უძველეს კულტურულ ურთიერთობათა და მეგობრულ დამოკიდებულებათა პერსპექტივები უნდა გაიხსნას, რაც ხელს შეუწყობს ხალხთა მშვიდობას და ურთიერთგაგების განმტკიცებას და გაფართოებას.

ახლა კი რაც შეეხება უძველეს — ოდინდელ — არქაული დროის სიმღერას ,,ოდოია''. მწერლებს და პოეტებს აქვთ რაღაც განსაკუთრებული ალღო ინტუიციური წინათგრძნობისა და არც ბატონი გური ოტობაია ღალატობს ამ საკითხს. პირადად მეც ვგრძნობდი ყოველთვის, რომ ,,ოდოია'' არ იყო შრომის სიმღერა. მისი რიტმი სრულებით არ შეესაბამება შრომას, განსაკუთრებით თოხნის პროცედურას, რადგანაც ამ უნიკალური სიმღერის ტემპით თოხნა შეუძლებელია და წარმოქმნის შრომისა და სწორი, ნორმალური სუნთქვის შეუსაბამობას.

ასეთი სიმღერითა და შრომით ერთდროულად დაიხრჩობა, ალბათ, ადამიანი, ან სრულად გაჩერებულმა, თოხის ტარზე დაყრდნობილმა უნდა შეასრულოს. ამ შემთხვევაში კი ეს არაა შრომის სიმღერა.

მე ვეთანხმები ბატონ გურის, რომ ,,ოდოიას'' სიტყვები, ალბათ, სრულებით არ შეესაბამება იმ უძველეს ფორმას და ხალხში შემორჩენილი საოცრად ტკბილი და ხარმონიული მელოდიის აღსადგენად მავანმა სპეციალურად შეარჩია გარკვეულ სიტყვათა რაღაც თანაწყობა.

ბატონო, გური, თქვენც ჩემსავით, ალბათ, ცრემლნარევი ღიმილით უყურებდით პირველ ქართველ ფეხბურთელებზე ფოთში გადაღებულ ფილმის ნაწილს, სადაც მაღალი კლასისა და საკმაოდ გამოცდილმა ინგლისელებმა დაამარცხეს დამწყები ქართველი ფეხბურთელები და ეს ბიჭები ტალახში ამოსვრილები, ერთ მუშტად შეკრული ქართული გენი, ინგლისელების მიერ შესრულებულ ჰიმნს თავისებურად როგორ შეუწყობენ სიმღერას და ქართული ჰიმნის დონეზე აჰყავთ.*

დაბოლოს, მინდა კვანძი გავხსნა და დიდად გასახარი სიურპრიზი შემოგთავაზოთ.

1975 წლის ნოემბერ-დეკემბრის ,,ინოსტრანნაია ლიტერატურა''-ში დაბეჭდილია ჟორჟ ამადუს მოთხრობა სათაურით: **,,Анна Мария устала воевать''**, სადაც ნაწარმოების ერთ-ერთ ნაწილში მართლდება თქვენი და ჩემი დაკვირვებები (გნებავთ მოსაზრებები), სიმღერა ,,ოდოიას'' შესახებ, რაც დაახლოებით ასეთი სიტყვებითაა გადმოცემული: **,,Одоия древноиберииская морская песня“.**

სამწუხაროდ, მე არასოდეს მივეკუთვნებოდი იმ ადამიანთა კატეგორიას, რომ მივლინებით, ან ტურისტად მაინც ჩავსულიყავი საფრანგეთში და გამომეკვლია ჩემთვის ასე უაღრესად საინტერესო მასალა, თუნდაც ჟორჟ ამადუს საარქივო მასალებში მაინც. დიდია ჩემი ცდუნება და, ალბათ, თქვენც მსგავსი ცდუნებით აგანთეთ.

პატივისცემით, **ბორის გოგია**

P.S. მე ვესაუბრე რუსთაველ ლოტბარს, რომელიც ,,მიონის'' გუნდს ხელმძღვანელობდა ,,ოდოიას'' შესწავლისას. ეს შარშან შემოდგომით იყო. სამწუხაროდ მისი გვარი არ მახსოვს. იგი განცვიფრებული იყო ჩემი ვარაუდით და მეხვეწებოდა იქნებ შევძლოთ ძველი (ნამდვილი) სიტყვების აღდგენაო. თითქოს მეც ეს არ მსურდეს''.

ბ. გ.

სამოთხე

ანუ

დიდი დათვის თანავასკვლავედი ქართულ ასომთავრულში,

ოგივე „37“-ის ისტორია

— ბატონო, ნოდარ, მიხარია, რომ ჩვენი შეხვედრა განგებამ ამ წიგნის შექმნის დამამთავრებელ სტადიაში ინება. თურმე ჩვენ ერთსა და იმავე დასკვნებამდე დამოუკიდებლად მივსულვართ სხვადასხვა დროში, თქვენ რამდენიმე ათეული წლის წინ, მე მოგვიანებით, ახლახან, მაგრამ განსხვავებული ბილიკებით ერთი მწვერვალისაკენ გვივლია — ,,37''-ისაკენ.

ქართულ ანბანს შეუძლებელია სხვა ნუმერაცია კეტავდეს. ჩემეული მიმართება ითვალისწინებს რიცხვების ეზოთერიას წმინდა მათემატიკური პოზიციიდან. დავიწყოთ უმარტივესი:

მაიელები „ცოლკინს" ორი პრიმიტიული სიმბოლიკით აღაშენებენ — წერტილებითა და ტირეებით. მათთან ერთი წერტილი „I"-ს შეესაბამება. ორი წერტილი — „2"-ს, და ასე შემდეგ ხუთამდე, მაგრამ ექვსი — „6", უკვე წერტილი და ტირეა — „." მათთან „I3" ორი ტირე და ზედ დასმული ერთი წერტილია — „." მათემატიკური სიდიდეების ამისთანა ჩაწერა, ბატონო ნოდარ, სამყაროისეულია — ვითომ პრიმიტიული, მარტივი, მაგრამ სინამდვილეში ლაკონიური და ადვილმისახვედრი ნებისმიერი დონის ცივილიზაციისათვის. ეს იგივე კოსმოსი ანბანია. მსგავსი ბუნება რიცხვების უსასრულობაში რამდენიმეს ახასიათებს, — „7"-ს, „I3"-ს, „9I"-ს (7X13) და აგრეთვე ათიანების კომპოზიტებს ორნიშნა რიცხვებიდან.

აბა, ჩამოვწეროთ:

1. I 19 (10) I.
2. II 28 (10) I.
3. III 37 (10) I.
4. IV 46 (10) I.
5. V 55 (10) I.
6. VI 64 (10) I.
7. VII 73 (10) I.
8. VIII 82 (10) I.
9. X 91 (10) I.

სულ ესაა. ახლა მათი ხასიათის გარკვევასაც თუ შევეცდებით, აღმოჩნდება, რომ „37„ თითოეულისაგან გამორჩეულ საკრალურობას ამჟღავნებს.

19. I : 19 = 0, 0526315789
28. I : 28 = 0, 03571428
37. I : 37 = 0, 027
46. I : 46 = 0, 0217391
55. I : 55 = 0, 18 18 18
64. I : 64 = 0, 015625
73. I : 73 = 0, 136986
82. I : 82 = 0, 0121951
91. I : 91 = 0, 010989

დანარჩენი ციფრების გაყოფისას განსხვავებულია შედეგები, მაგრამ ანბანისათვის, ანუ მეტყველებისათვის საჭირო ოდენობის სიმბოლო-ნიშნებთან, დიახაც, „37"-ია მიახლოებული. ესეც რომ არა, აქ გასაოცარი შინაგნი წესრიგი იკვეთება და ამ საკრალური ბუნების დარღვევა ნებისმიერი მიდგომით, გნებავთ ეს იყოს ბატონ ზურაბ ქაფიანიძის არგუმენტირებული „35", დაუშვებელია.

ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს, როცა დიდი დათვის თანავარსკვლავედის მიხედვით მისაბუთებთ ასომთავრულის „37"-წევრიანობას. აქვე თვალსაჩინოებისთვის მინდა საკუთვრივ „37"-ის ბუნება გამოვსახო გამყოფის პოზიციიდან:

1 : 37 = 0, 027
2 : 37 = 0, 054
3 : 37 = 0, 081
4 : 37 = 0, 108
5 : 37 = 0, 135
6 : 37 = 0, 162
7 : 37 = 0, 189
8 : 37 = 0, 216
9 : 37 = 0, 243
10 : 37 = 0 ,270
11 : 37 = 0, 297
12 : 37 = 0, 324
13 : 37 = 0, 351
14 : 37 = 0, 378
15 : 37 = 0, 432
16 : 37 = 0, 432
17 : 37 = 0, 459
18 : 37 = 0, 487
19 : 37 = 0, 513
20 : 37 = 0, 540
21 : 37 = 0, 567
22 : 37 = 0, 621
23 : 37 = 0, 621
24 : 37 = 0, 648
25 : 37 = 0, 675
26 : 37 = 0, 702
27 : 37 = 0, 729
28 : 37 = 0, 756
29 : 37 = 0, 783
30 : 37 = 0, 810
31 : 37 = 0, 837
32 : 37 = 0, 864
33 : 37 = 0, 891
34 : 37 = 0, 918
35 : 37 = 0, 945
36 : 37 = 0, 972
37 : 37 = 1 .

,,37''-ის საკრალურობას ჩვენი ასომთავრული მართლაც კოსმოსში გახყავს და პრიმიტიული პალეოგრაფიიდან რაღაც გრანდიოზული მისიით ტვირთავს ანუ მიგვახვედრებს, რომ ჩვენს წინაპრებს სმა-ჭამა დიდად შესარგის გარდა კიდევ რაღაც არამიწიერი აზროვნებაც ემარჯვებოდათ, ანუ ნებისმიერ სამყაროისეული განზომილებას გულთმისანი დასტაქარის კვალობაზე უსინჯავდნენ მაჯას.ქართული ასომთავრულის ათვლა გაჩერებულიყო ფინიკიურ 22-ზე,საქმე გვექნებოდა 0, 621-თან, რაც საკრალურობის ფრჩხილია მხოლოდ. შეყოვნებულიყო ბერძნების 24-ზე, მივაჩერდებოდით 0,648, რომელიც ასევე ნაწილია გრანდიოზული მთელისა. იგივე სურათი იხატება ილიას 33-ამდე შეკვეცით ქართული ასომთავრულისა, რადგანაც 0,891 ვერ ასრულებს დაწყებულ მსვლელობას. მსგავსი ცდომილებაა ზურაბ ქაფიანიძესთანაც, რამეთუ 35 ვერ ამოწურავს ქართული პალეოგრაფიის სიღრმეებს, 0, 945 ვერ ასრულებს 37-ის დასახულ მიზანს — გავიდეს მთელამდე, გამრთელიანდეს, გაერთდეს უფლის დარად. 38-თან პროკრუტესეული მეტობაა, ვღებულობთ 1 მთელს და ახალი ციკლის დასაწყისს — 027-ს. ჭარბწევრიანობაა სომხურ ანბანთანაც, რადგანაც 39 ორით მეტია 37-ის წონასწორობაზე, და იგი ვერ აღებს სამყაროს დახშულ კარებს, ფუჭი მცდელობებია, წყლების ნაყვა — რიცხვების სისტემაში 0,054 არაფრისმეტყველია. სამგზის ცდომილებაა მირიან ქართველთან, რამეთუ 40 ერთი ციკლის სასრულია და პლუს სამი ანუ 0, 081. პალეოგრაფიულ სასწაულს აღებს ერთადერთი კლიტე — 37 ანუ სამყაროისეული ეზოტერიკის უფალთან გამწონასწორებული ცოდნა.

ცოლკინი

ცოლკინი რომ ადამიანის ტვინის მატრიცაა ამის ინდუქციურად ხულიო არგუელისი გადაჭრის, უფრო ზუსტად კი იგი ამ მატრიცას ადამიანის გენეტიკას დაუკავშირებს, მაგრამ ეზოტერიკის გენია ამ გეომეტრიულ სხეულში ვერაფრით ამოეკითხავდა კაცობრიობის უმთავრეს საგანძურის — ტვინის აღნაგობას ქართულ სულიერებასთან შეუხებლად.ტვინი ადამიანში ორი ნახევარსფეროთია წარმოდგენილი — დიდი და მცირე. ხოლო ამ სქემის შესტყვისად შესაძლებელია დავასკვნათ: ჰემისფეროს შეესაბამედა რიცხვი „13“, იგივე ხელის მოქმედებასთან დაკავშირებული ორგანოების ერთობლიობა. ხოლო მცირეს ფეხის ორგანოებთან. იგივე „7“. მაგრამ გასაოცარი ის გახლავთ, რომ ამ ორი ციფრის ჰარმონიული თანამშრომლობით ეპიცენტრი მიღებულია სრულიად განსხვავებულ ალაგას 13 და 7-ის საშუალო არითმეტიკულ ადგილას.

ეს კონგენიალური მედიუმი გრაფიკული აღნაგობიდანაც ჩანს.

ჩვენ ცოლკინში არ გაგვძნელებია ტოლგვერდა სამკუთხედების პოვნა და მათი დაკავშირება დავითის ვარსკვლავთან. ამის თაობაზე მოგვიანებით ითქმება მეტის გამოწვლილვით. აქ კი შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ადამიანი თავისი აღნაგობით ტიპიური სამოთხეა — 3-ის და 4-ის ერთობა: 13-ის — დიდი ჰემისფეროს და 7-ის — პატარას ჯამი, რომელთა ჰარმონიული თანამშრომლობა ქმნის გასაოცარ წონასწორობას და სიმეტრიას.

დადგება ჟამი და ჩვენ დაუნჯებულად გავაცნობიერებთ მნათობისგან მომდინარე შუქის ბუნებას, რომელიც ტიპიური ტოლგვერდა სამკუთხედია გრაფიკულად და ცილინდრი რეალურად.

გავაცნობიერებთ იმასაც, რომ ამ სამკუთხედის საწინააღმდეგო მდგომარეობასთან კავშირი ქმნის დავითის ვარსკვლავს ანუ სამყაროისეულ მატრიცას

1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7
2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8
3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9
4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10
5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11
6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12
7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13
8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1
9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2
10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3
11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4
12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5
13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6
1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7
2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8
3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9
4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10
5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11
6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12
7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13

გალაქტიკური ცივილიზაციის უდიდესი ბეჭედი

ქ. ტომსკში 1994 წელს გამომცემლობა ,,ზოდიაქომ'' გამოაქვეყნა წიგნი **„მაიას (** მ — 13, ა — 1, ი — 16, ა — 1 = 13 + 1 +10 + 1 = 25. **გ.ო.) ფაქტორი“**, რომლის ავტორია ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, კოსმოსური ჰარმონიის მცოდნე ხოსე არგუელისი.

წიგნში მოყვანილია და დაწვრილებითაა განხილული მაიას წმინდა კალენდრის არსი, რომელსაც მოკლედ ცოლკინი ეწოდება.

ცოლკინი — ეს მაგიური ნახაზია — მატრიცა, რომელიც შედგება 260 ელემენტისაგან. მსოფლიოს მრავალმა მეცნიერმა და მათ შორის ხოსე არგუელისმა დიდი შრომა გასწიეს ცოლკინის ამოსახსნელად. ამ შრომის ძირითადი დასკვნები მაიას მაგიური მატრიცების შინაარსის გარშემო, რომელიც დაუტოვეს მომავალ თაობას დედამიწაზე, შემდეგში გამოიხატება:

— ცოლკინი — ჰარმონიული გალაქტიკური მოდელია;

— ცოლკინი — გენეტიკური კოდია;

— ცოლკინი — ბიოელექტრომაგნიტური ბატარეაა და ცოცხალი ობიექტების გრძნობიერ ველთა მატრიცა;

— ცოლკინი — ბინარული სამსპექტრული მატრიცაა.

ხოსე არგუელისის დასკვნების მიხედვით, სტრუქტურა, რომელსაც ცოლკინს ანუ გალაქტიკურ მოდულს უწოდებენ, წარმოადგენს გოლოგრამას და სხვადასხვა დონის ინფორმაციის, ცოდნის, შეგნების და ყოფის გადაადგილებათა ტაბულას.

როგორც ცნობილია, დნმ — დიზოქსირნუკლეინმჟავა — გენეტიკური კოდი, სიცოცხლის კოდი, ეუფლება ტალღოვანი ხასიათის ინფრასტრუქტურას.

მეცნიერებას, რომელიც დაფუძნებულია რეზონანსული ჰარმონიის პრინციპებზე (თანამედროვე გოლოგრაფია), შეუძლია გადაიტანოს ამ კოდების მთელრიცხოვანი მათემატიკა სხვადასხვა სიხშირის ტალღოვან სტრუქტურაში და გადასცეს ინფორმაცია, როგორც რეზონანსული გარდაქმნა. ამიტომ მაია ფლობდა რა ამ ცოდნას, შეეძლო გადაეცა საკუთარი თავი ინფორმაციის სახით დნმ კოდზე ერთი ვარსკვლავთა სისტემიდან მეორეზე.

გამომდინარე მაიას ცოდნიდან ცოცხალი არსებანი წარმოადგენენ რეზონანსულ სტრუქტურებს. სწორედ ამ მთავარი ინფორმაციის, სამყაროში სიცოცხლის წარმოშობისა და რეალიზაციის კანონების არსის გადაცემასა და აღბეჭდვას ცდილობდნენ მაიელები მაგიურ ნახაზ ცოლკინში. ამის საპირისპიროდ, ცნობილ თანამედროვე სამეცნიერო, სამუშაო — აღმოჩენებში, რომელიც წარმოდგენილია წინგში ,,სამყაროს ერთიანი გოლოგრაფიული ინფორმაციული თეორია'' (ავტორი გ. დვორინი), მოყვანილია დასკვნები, რომელთაც გააჩნიათ თანამედროვე ბუნებრივმეცნიერული, თეორიული და ექსპერიმენტული დასაბუთებანი. ეს დასაბუთებანი და დასკვნები მიუთითებენ იმას, რომ მატერიალურ ენერგოველურ ინფორმაციულ მატრიცულ საფუძველს წარმოადგენენ ინტერფერენციული, მაკოდირებელი სტრუქტურები — ამ სამყაროს კოდის მატრიცები, რომელიც განსაზღვრავს და რომელზედაც ფორმირდება სამყაროს სიცოცხლის ჩანასახები. მსგავსი მრავალსახოვანი მაკოდირებელი ენერგოველური ინფორმაციული მატრიცების გროვა არსებობს ყოველთვის, ენერგოველური ინფორმაციული სამყაროს სივრცის ნებისმიერ სფეროში.

ამ ინტერფერენციული მატრიცების გროვას აქვს ტალღოვანი ხასიათის მიკროსტრუქტურა, ამავე დროს წარმოადგენს ტალღოვანი ველების რეზონანსულ რეალიზაციის მოდელებს, და ამგვარად, შეუძლიათ განსაზღვრონ სიცოცხლის წარმომქმნი ჩანასახების გენეტიკური კოდი დედამიწასა და მთელს სამყაროში.

გამომდინარე გამოცემული წიგნებიდან (,,მაიას ფაქტორი'' და ,,სამყაროს ერთიანი გოლოგრაფიული ინფორმაციული თეორია'')და მათი პრინციპული მიდგომების შეჯერებიდან მიღებულია ჰიპოთეზები თანამედროვე აღმოჩენებზე მაიას ისტორიამდელი ცოდნითურთ, რითაც აღირიცხება დაახლოებით 8 000 წელი. **(დაიხსომეთ ეს თარიღი ქართული ასომთავრულის მიმართებაში, სადაც ბოლო ჩამკეტი ასონიშანი ქაფიანიძისებურად რიცხვითი მნიშვნელობა 8000-ია, ანუ ჩვენი ცივილიზაციის ხმოვანება, ასაკი, გ.ო.)**

ამდაგვარად, ,,მაიას ფაქტორი'' და მათ მიერ შექმნილი სისტემა წარმოადგენს ,,სამყაროს ერთიანი გოლოგრაფიული ინფორმაციული თეორიის'' თანამედროვე აღწერას, რომელსაც ამჟამად გააჩნია თეორიული და ექსპერიმენტული დასაბუთება.

წიგნში ,,მაიას ფაქტორი'' ნათქვამია იმაზე, რომ კლასიკური პირველი მაია — ეს სამყაროს ნავიგატორებია. მათი მისია გამოიხატებოდა იმაში, რომ განეხორციელებინათ დედამიწისა და ჩვენი მზის სისტემის სინქრონიზაცია დიდ გალაქტიკურ გაერთიანებასთან ერთად. როგორც კი მათ მიაღწიეს მიზანს კლასიკურმა მაიამ დატოვა

დედამიწა. **(არ არის გამორიცხული ისიც, რომ ეს ცოდნა უცხო პლანეტელებს დაეტოვებინათ მათთვის ჩანაწერების სახით, რომელიც ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე ოდესმე გაიშიფრებოდა და ხელს შეუწყობდა შემდგომ აღმავლობას, გ.ო.)**. გასაღები და კოდი, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ გალაქტიკურმა მაიამ, აღწერენ მათ მიზანს და მათ მეცნიერებას. ეს გასაღები და კოდი დაფარულია მაცდუნებელ მარტივ სისტემაში, რომელიც შედგება 13 რიცხვისაგან და 20 სიმბოლოსაგან და რომელსაც უწოდებენ ცოლკინს.

მაიას მეცნიერებას თანამედროვე მეცნიერებისაგან განასხვავებს ის, რომ იგი არის სისტემა, რომელიც მუშაობს გალაქტიკის გადათვლის სისტემაში. სწორედ ეს ანიჭებს სიცოცხლის ისტორიას დედამიწაზე ახალ აზრს და გაქანებას, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი ბედ-იღბლის პირდაპირ კავშირს ვარსკვლავებიან ცასთან.

დედამიწის ცივილიზაციის ისტორიაში არის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ცდები მაიას ცოდნის მკვლევარებისა, გადმოგვცენ მომავალში წმინდა ცოდნა გალაქტიკურ სამყაროთა კანონებზე, რომლის არსს წარმოადგენს ჰარმონიული გალაქტიკური ინფორმაციული კოდი. ამ კოდის რეალიზაცია ხდება ენერგოველების რეზონაციის საფუძველზე, ანუ ინტერფერენციულ-კოდირებული (ჰოლოგრაფიული) სტრუქტურების მატრიცების ფაქტორთა საფუძველზე. საერთო ჯამში ეს ფაქტორი შეიძლება გამოვხატოთ გამომეტყველობითი ფორმით, მაგალითად, მექანიკური რელიეფის სახით, პერიოდულად ერთმანეთს შორის მონაცვლე ფასეულობათა და ამოზნექილობებით, ნათელი და ბნელი ინტერფერენციული სტრუქტურათა ზონების მონაცვლეობის ანალოგიით; აგზნებისა და დამუხრუჭების ზონებით. შესაბამისად ცოცხალ არსებათა თანამედროვე ფიზიოლოგიის მონაცემებთან, აგზნებისა და დამუხრუჭების პრინციპი დევს ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველში რეცეპტორული სისტემისა და ტვინის დონეზე, ბუნების ცოცხალ ობიექტებში.

წმინდა ცოდნის წარსულიდან მომავალში გადმოცემის ცდის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს უძველესი ეგვიპტის ქურუმების მიმართვის წერილი. ამ მიმართვის წერილს ახლანდელ დრომდეც ეძებენ თანამედროვე მეცნიერები (მაგრამ მოცემული მიმართვა არსად გადამალულა, არამედ ყველას თვალთახედვის არეში იმყოფება; ვისაც უნახავს, მაგალითად, ფარაონ ტუტანხამონის გამოსახულება). რომელიც არის მაგიური მატრიცის ცოლკინის სახოვანი ანალოგი და ამავე დროს არის თანამედროვე (პროფილური) მექანიკური ჰოლოგრამის ანალოგი, ცოლკინი ასევე ციფრობრივი გოლოგრამის ანალოგი.

ამგვარად, კლასიკური მაიას მეცნიერული გალაქტიკური ცოდნა და მათ მიერ შექმნილი ასეთი სისტემა, როგორიც არის ერთიანი გალაქტიკური ინფორმაციული კოდი — ცოლკინი, თავისი შინაარსის მიხედვით წარმოადგენს თანამედროვე ,,სამყაროს ერთიანი ჰოლოგრაფიული ინფორმაციული თეორიის'' არსის აღწერილობის სრულ ანალოგს. ამ ცოდნის თანხვედრას, დამთხვევას აქვს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ბევრი გლობალური მიწიერი პრობლემის გადასაწყვეტად, რომლის პასუხებს ეძებს დღეს კაცობრიობა, მათ შორის — კოსმოსშიც.

წიგნში ,,მაიას ფაქტორი'' მოყვანილია ,,გალაქტიკური ფედერაციის დიდი ბეჭდის'' გამოსახულება; ხოლო წიგნში ,,სამყაროს ერთიანი ჰოლოგრაფიული ინფორმაციული თეორია'' წარმოდგენილია თეორიის სიმბოლიკური სურათი. უკანასკნელის სიმბოლიკა აგებულია ძირითადი მეცნიერული დასაბუთების მკაფიო გამოხატვაში; დიდი ბეჭდის გამოსახულება კი აგებულია მაიას მეცნიერული ცოდნისა და ცოლკინის სისტემის გათვალისწინებით. თუ ამ ორ ნახატს შევათავსებთ, მივიღებთ ამ სიმბოლიკის მნიშვნელოვან ფაქტორთა სრულ დამთხვევას, რომლებიც ასრულებენ სამყაროში სიცოცხლის წარმოქმნის და ყველაზე წმინდა ცოდნის გადაცემის ფუნქციას.

გ. დვორინი.
ინფორმატიკის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი,
გაზეთი ,,ანომალია'', №2, 96.
თარგმნა **ნუნუ ბუგაევამ**

* * *

ერთი სიტყვით, აქ კარდინალურად განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ჩუბინიძისაგან (გნებავთ, თვით ჰამლეტ წულაიასგან, გ.ო.) გამორჩევით ხოსე არგუელისი მაიას ფაქტორს, ცოლკინს, კოსმოსში გადასახლებული ზეცივილიზაციის, მაია პირველის დანატოვრად მიიჩნევს, რადგანაც დღევანდელი მაისათვის ეს ცოდნა სრულიად უსარგებლოა, ზედმეტი ბარგი, რომელიც მოითხოვს შენახვას, გადახაზვას და ვინ მოსთვლის, რამდენი სისხლიც დაღვრილა მის სათუთად მოვლაში, როგორც საკრალური რამ ნივთისა?! (მოგვიანებით უფრო დაწვრილებით ვიტყვით იმის თაობაზეც, თუ რატომ შედგება ეს მატრიცა ცამეტი (13) ციფრისაგან და 20 ელემენტისაგან) ერთი რამ ცხადია, ამ ავტორთა ფანტაზიის თუ მათ ხელთ არსებული მასალების ინტერპრეტაციის შედეგად, ერთნი დედამიწას აფარებენ თავს (გამოითქვა მოსაზრება, თითქოს დედამიწა ყოფილიყოს დამნაშავე ხალხის, რომელიღაცა ცივილიზაციისგან გამოძევებული ბოროტმოქმედთა სატუსაღო ადგილი; ასეთი კუნძული ახლაცაა ფინეთის საზღვართან, სულის გადასარჩენი ეკლესიებით მოფენილი და

1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7
2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8
3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9
4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10
5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11
6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12
7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13
8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1
9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2
10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3
11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4
12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5
13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6
1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7
2	9	3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8
3	10	4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9
4	11	5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10
5	12	6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11
6	13	7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12
7	1	8	2	9	3	10	4	11	5	12	6	13

ქურდბაცაცებით სავსე), მეორენი, როგორც კი სრულყოფილებას მიაღწევენ, ანკი, რაღაც კატასტროფის მოლოდინში დედაბუდიანად ტოვებენ პლანეტა გეას და გვრჩება ხელთ ცოტა, ან თითქმის არაფრის მთქმელი — პირამიდები, კოსმოდრომი ანდებში — სტოუნჰაუჯი, ცოლკინი, ნუნისის მთათა კომპლექსი სპირალივით დახვეული კიბეებით, საქართველოს ქვეშ არსებული სიცარიელისაკენ ჩასასვლელი ჭით, რომელიც კოსმიური ნათებით ივსებოდა გონიოს პრინციპის მეშვეობით და ბიბლიასეული ედემის ბაღს შეესაბამება.

მოკლედ, მსოფლიოს საოცრებათა შვიდეული ჩვენის მოჭარბებული წიაღსვლების წყალობით ლამის გამეშვიდხარისხდეს!

საინტერესოა ვერსია იმის თაობაზეც, რომ წარღვნისშემდგომი ცივილიზაციები მთათა მწვერვალებიდან უნდა დაშვებულიყვნენ. ასეთი მთათა სისტემებია: კავკასიონი, ჰიმალაები, ტიბეტი, ტიანშანი, ალტაი, ანდები, პამირი და სხვა, სადაც მოსაძიებელია სწორედ წარღვნის შემდგომი ცივილიზაციის ნამუსრევი. ამგვარი ვერსიები მატერიალისტური პოზიციიდან მისაღებია და სავარაუდოც, მაგრამ ძნელია გამართლება მოუძებნო ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ საქართველო ეს არის თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც მუსრავს ურჩხულს, გველს, იგივე ლუციფერულ ძალას. აღნიშნული თეზა გივი ალაზნისპირელს შემდეგნაირად განუმარტავს, თუმცა უმჯობესია თანამიმდევრულნი ვიყოთ მსჯელობათა რგოლების აკინძვისას, რათა ლოგიკურობა არ მოისაკლისოს ჩვენმა საუბარმა.

მაშ, ასე, თბილისიდან მატარებლით მომავალი მგზავრი სადგურ „მოლითთან“ უნდა ჩამოქვეითდეს, გამოჰყვეს ბაბეთიდან მომავალ გზას, გამოიაროს სოფლები: ზვარე, ჩრდილი, და შემოვიდეს ნუნისში, ხოლო იქიდან ეკლესიამდე არც ისე შორია.

იმ უფლის საბუდარის ეზოში ცაცხვის ხეზე ჰკიდია მომცრო ზარი, რომლითაც სამი წყვეტილი და ერთხელ გაბმულად ჩამორეკვის მერმე ჩამოგაკითხავენ „ბერთაკლდიდან“, იგივე „საქომარის მთიდან“, ლაზარეს სამარხიდან თუ რუსთველის „ქაჯეთის ციხიდან“, იმავე ოქროს საწმისის ნავსაყუდლიდან, ნოეს კიდობნისა და საკურთხევლის საგანძურიდან, სადაც სამყაროს ჩრდილოეთი პოლუსი პროექცირდება (დედამიწის 42 გრადუსიანი პარალელი) ჩამოგეგებებიან იბერიონთა საძმოდან.

წარმოშობით კაპადოკიელი (!) ლაზი გია მაზიაშვილი და მისი თანამზრახველები, წლების მანძილზე კოლოსალურ სამუშაოებს გასწევენ ნუნისის მთათა კომპლექსის შესწავლისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ფაქტორბივად უარაფროები, მოკლებულნი მატერიალურ იალქნებს, ვრცელტანიან წიგნს გამოსცემენ, საყველპურო ინგლისური თარგმანის თანხლებით.

ეცდებიან შეძლებისდაგვარად დაინტერესონ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, მეცენატნი;

შეძლებენ ჩამოიყვანონ ლიტველი სწავლულები, რომლებიც ფრიად ანგარიშგასაწევი წერილით მიმართავენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას;

როგორღაც დაძრავენ ადგილიდან ცნობილ ქართველ პროფესორებს, ქალბატონ მზექალა შანიძე, ბატონ ვაჟა გვახარიას, თბილისის ღვთისმშობლის ტაძრის მედავითნეს — ექვთიმე კოჭლამაზაშვილს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, გამოყენებითი ჰოლოგრაფიის განყოფილების გამგეს — ბატონ თალეს შონიას;

წერილობით გაესაუბრებიან ინგლისელ მისტერ დავიდ ლორიმერს. ეს უკანასკნელი კი — კოსმოლოგიური მეცნიერების, გეომენსიის, ტაძრებისა და დედამიწის ჰარმონიის კონსულტანტ-სპეციალისტს — პიტერ დოუკინსს.

იბერიონთა საძმოს განსაცვიფრებელ, ხშირ შემთხვევაში ზღაპრული ელფერით შეზავებულ მოღვაწეობაში ერთვებიან ჟურნალისტები: გივი ალაზნისპირელი, ბესო ჭინჭარაული, ლაშა ნადარეიშვილი.

შვიდი-რვა წელიწადია გაზეთები გადაჭედილა ინფორმაციებით ნუნისის მთათა კომპლექსზე, კომპეტენტური, ოფიციალური მეცნიერება კი სდუმს, რომელი დუმილიც ყოველთვის ოქრო არ არს რჩეულ. აქ ჩამოთვლილი მეტრების შეხედულებით საქმე გვაქვს წინარე ქრისტიანულ ძეგლთან, რომელიც ბუნების კი არა ადამიანის შემოქმედებაა.

საუბარი ეხება, არა კლდის გამოქვაბვას, არამედ მის აშენებას, ლოდთაწყობას და ასე შემდეგ. ბუნებრივია, დასახელებულ მეცნიერთა შეხედულებანი ფრთხილია და ავტორთა კატეგორიულობას მოკლებული, თუმცა ჩვენთვის ის მოზომილი შტრიხებიც ერთობ მრავლისმეტყველია, კერძოდ: შუმერების დროსაც არსებულა ხომალდები, რომლის მეშვეობით ხდებოდა მიმოსვლები აზიის ქვეყნებთან, ინდოეთთან, ჩინეთთან; რომ ეს ძეგლი ადრე-ქრისტიანული ეპოქისაა; რომ აქ ნაპოვნი სიმბოლოები — იოანესი და თევზის გამოსახულება — სამი ნაწილისაგან შემდგარი, გეხსომებათ, საუბრის თავში თუ რას ვამბობდით კოლხურ სამკუთხა ქვის ფირფიტებზე, რომლებზეც კანონებს წააწერდნენ ხოლმე. ასეთ კანონთა ერთობლიობას კირბისი, ანუ კირიბიში, კრავისა ერქვა. ამასთან კრიპტოგრამა —, შუმერული ლურსმელის საშენი ერთეული, ადვილმოსალოდნელია შეესაბამებოდეს წყლის ფორმულას — H_2O, სადაც ჟანგბადი გამოხა ტულია მოკლე გვერდით.

ბარემ აქვე დავაზუსტებთ ერთ ინფორმაციასაც. იმერეთის (უმჯობესია ვთქვათ კოლხეთის) ჭაში ჩასულ ადამიანს, როგორც ხორციელს, ისე გარდაცვლილს, მისი სულის სახით, დახვდება მარადიული ნათება „რომელსაც არ ესაჭიროება არც მზე, არც მთვარე, რომ ანათებდნენ მასში, რამეთუ ღმერთის დიდებამ გაანათა იგი და მისი ლამპარი კრავია“ გამოცხადება, 21-23). კარგად დავუკვირდეთ, „და მისი ლამპარი კრავია“,

კირბია, კირბიში, ოქროს საწმისი, ბერძნებმა, არგონავტებმა რომ წარგვტაცეს, საკრალურ სვეტიცხოველზე დაყრდნობილი, დრაკონი, ანუ იბერიონელთა თქმით, სპირალური გველებით გარშემორტყმული ცოდნის წიგნი! იგივე ლაზარეს საიდუმლოების მომცველი მატერიალური, ხელშესახები ინფორმაციული წყარო, გნებავთ კლდეში ამოკვეთილი, გნებავთ ცხვრის, კრავის ტყავზე შესრულებული, მაგრამ არსებული რამ, და ამის თაობაზე არსაიდან ფაჩუნობს იმედისმომცემი სიო. ნუ გამოვედევნებით იმის მტკიცებას, თითქოს ნუნისის მთათა კომპლექსის გახსნა და წარღვნის შემდგომი ცივილიზაციის ქურასთან შეხება რაიმე პრივილეგიით შემოსავს ქართველ ერს. მას ისედაც საკმაო პატივი და ღირსება მოუხვეჭავს ამ ცისქვეშეთში, როგორც მითიური კოლხეთის უშუალო მემკვიდრეს, რაც მორჭმულობისათვის სავსებით კმარა!

არც დღევანდელ საქართველოში გაბატონებული გულცივობა შეგვაშინებს ამა თუ იმ ჰიპოთეზის, ვერსიის გადასამოწმებლად, მეცნიერული სამუშაოების გასაშლელად.

და მაინც, ნუნისის მთათა სისტემა რომ მეოცე საუკუნის სწორუპოვარი აღმოჩენაა, ეს აქედანვე, იმ კომპლექსის უნახავადაც ეჭვმიუტანელია ჩემთვის; არა იმისათვის, რომ რაღაც საკრალური და მისტიკური მიტაცებს იავარქმნილი სამშობლოს აღსაზევებლად — ყოველივე აწარსებულის, კოლხეთთან მიმართებაში გასააზრებლად, უბრალო ჭეშმარიტების გათვალისწინებით — ღურუშ წამალი ოლაფარეს ელაჩანდ, ვაუჩქუდეს ვარავა — სიკვდილის წამალი ლაფაროსთან ხარობდა არ იცოდნენ თორემო.

ეგება ამ ჩვენეული სიახლოვით, მიჩქმალულია ისტორიისაგან დავიწყების ფერფლმოყრილი ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ინფორმაცია, თუნდაც ბიბლიურ წარღვნასთან დაკავშირებული?! განა ცოტა პრაქტიკული ფასეულობისაა ყოველივე ქვეყნიერების მომავლისათვის, მისი უსაფრთხოების გასააზრებლად, რომ არაფერი ვთქვათ, ესთეტიკურ, მნიშვნელობებზე? ჰოდა, ვაგრძელებთ მსჯელობას, რომ საქართველო არის ნუნისის მთათა კომპლექსი, იგივე ურჩხულს, გველეშაპს დაძგერებული თეთრი გიორგი.

ჩვენ მოხმობილ საკითხებს, მრავალგზის, მივუბრუნდებით შეპირებულისამებრ, მაგრამ აქვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნუნისთან ნაპოვნი მთათა კომპლექსი, მათი აღმომჩენების რწმუნებით, შეესაბამება ნოეს კიდობანს და საამისოდ უამრავი მტკიცებითი მასალაა მოშველიებული. ოღონდ მთავარია, ჩვენმა ყურებმა ისმინონ, თვალებმა ირწმუნონ, და კიდევ — არ ვიყოთ სკეპტიკოსი, თუ ზედმეტად მოკრძალებულნი ეროვნული ფასეულობების წარმოჩენისას. განა ცივილიზაციის შექმნილი თითოეული ნასკვი თუ ნაპერწკალი საერთო საკუთრება არ არის?! რა მნიშვნელობა აქვს ვისი,რომლის გამოგონილია ბორბალი? ხომ მთელი კაცობრიობა დუხჭირობს ჯერაც მისით! რა მნიშვნელობა აქვს ვინ, რომელმა აღმოუჩინა მსოფლიოს ელექტროენერგია, ედისონმა თუ კიდევ ვიღაც ,,მეორეხარისხოვანი'' ქვეყნის შვილმა? მსოფლიოსთვის, და თავად ჭეშმარიტებისათვის, ერთგვაროვანი არ არის განა წეღანხსენებული ედისონის უბადლო წინამორბედი ამირან-პრომეთე კოლხია თუ ბერძენი?! შეცვლის ვითომ საქმის არსს, რაიმე საყოყლოჩინოს გაუჩენს ამა თუ იმ ერს?! განა ამით შეიძლება თავმომწონეობის სინდრომმა გაიღვიძოს ჩვენში და აწგარდახდილი რასობრივი თუ შოვინისტური სულისკვეთებით განგვაწყოს, თითქოს ელიტარული მხოლოდ ჩვენ ვიყოთ და დანარჩენი — პლებსი?! აბსურდული არ არის განა ასეთი დამოკიდებულება ცხოვრებასთან, სამყაროს კანონებთან?!

მოკლედ, საფუძველს მოკლებულია, რომ ნუნის მთათა კომპლექსის ამოხსნა ქართველობას მართლაც უფლის შვილებად შეგვრაცხს, ვინაიდან ამთავითვე ვაცხადებ: როგორც პირამიდებია მთელი დედამიწის საკუთრება, ასევე ეს კომპლექსიც მთელი პლანეტის, ცივილიზაციის გონიერებისა და შემოქმედების დასტური გახლავთ უცილობლად; და ჩვენც უმჯობესია ჩამოვიშოროთ ღვთით კურთხეული ერის იარლიყი, რაც გაცილებით მომგებიანი იქნება, როგორც საქართველოსათვის, ისე — მთელი ქვეყნიერებისათვის.

ახლა, რაც შეეხება თვით ნოეს კიდობანს: საინტერესო ვერსიაა შემოთავაზებული იბერიონელთა მიერ. ჩვენ ამის თაობაზე ვისაუბრეთ გაკვრით და დავსძენთ კვლავაც, რომ შესაძლოა ნუნისის მთათა კომპლექსის სისტემა, მართლაც შეესაბამებოდეს რაღაც დასაბამისეულ ცენტრს, ქურუმთა, მოგვთა სკოლას, იგივე აკადემიას, სადაც თავს იყრიდა, გუბდებოდა მსოფლიო სიბრძნე. აკი, მოხმობილია კიდეც ალაზნისპირელის წიგნში ლაო ძის განსწავლულობა აღნიშნულ ინსტიტუტში?!

ბიბლია — სიმბოლოებით დანაღმული წიგნი, ეზოთერული ლიტერატურის გვირგვინი რომ არის, ამის თაობაზე თქმულა და გამეორება მოსაწყენია: ღმერთს თუკი ჩვენ გავუტოლებთ სამყაროს შემადგენელი ნაწილების, მისი მოძრაობის კანონზომიერებათა ერთობლიობას, მაშინ პრობლემა საკრალურობის შესახებ უკან დაიხევს და ხელთ შეგვრჩება წარღვნის წინა და შემდგომი დედამიწელების ცხოვრების ამსახველი სიტყვა კაზმული ძეგლი, რომელიც მხოლოდ რჩეულთათვის, ზიარებულთათვის მისაწვდომი ენით, შიფრით იწერებოდა.

გავიხსენოთ ვლ. ჩუბინიძის ,,სასწაული'', რომლის მიხედვით კოლოსალური ცოდნა ენაში ფიქსირდება, კასტურ ხასიათს იძენს, არსებობის იარაღად იქცევა და დროთა ვითარებაში ამ ჩაკეტილობის გამო დავიწყებას მიეცემა. ბიბლიის სიმბოლისტურ-ქარაგმული მეტყველება მოგვიანებით მითოსური შინაარსით დაიტვირთება და დღეს უკვე მთელი კაცობრიობის საკრალურ წიგნად აღიქმება.

არის ბიბლიური სიუჟეტების რეალური გააზრების ცდები ზენონ კოსიდოვსკთან, თუმცა კი მისი კვლევები ნაკლებად შეეხება თვით ეზოთერულ მომენტებს, რომლითაც ყოველი ბგერა, ყოველი სახელი და ტერმინია

დანაღმული ბიბლიაში. წარღვნა, როგორც ჩვენ ამას უფრო ნათლად დავინახავთ ქვემოთ, მომხდარა დასაბამიდან 6153 წლის წინ მე-8 თვის მ-4 დღეს! და არა 5596 წლს, რარიგადაც ამას იბერიონელთა საძმო და კიდევ მრავალი განსხვავებული შეხედულება გვთავაზობს; მომხდარა განუზომელი დიაპაზონის კატასტროფა. ადამიანთა მცირე ჯგუფს თავი შეუფარებია მთათა მწვერვალებისათვის, ხოლო მეტი წილი აყვავებული და სრულყოფილი სოფელ-ქალაქისა ერთიანად გაცამტვერებულა. ზოგი ვერსიის შესატყვისად ცივილიზაციის ნაწილი — მაია-I კოსმოსშიც კია გახიზნული (ხოსე არგუელისი). ათასწლეულები კოსმოსური დროისათვის წამებია მხოლოდ. აკი, იოანე ზოსიმე უმტკივნეულოდ იტყვის: დღე ვითარცა წელი ათასიო.

მაინც რას წარმოადგენს წმინდა გიორგი იბერიონელების ჰიპოთეზით?

მივყვეთ მსჯელობას:

ჰომეროსთანაც, ვერგილიუს მარონთანაც მომავლის მოსახილველად ოდისევსი, თუ ენეასი მიწისქვეშეთში ჩადიან და იქ ეზიარებიან საკუთარი ბედისწერის დასალიერს. ამასვე იმეორებს უამრავი ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედება. ზღაპრის გმირები ჯურღმულში ეშვებიან უკვდავების წყლის მოსაპოვებლად! გივი ალაზნისპირელისათვის კი ამგვარი შესაძლებლობის ნაგებობად მიჩნეულია ნუნისის მთათა კომპლექსი, Ი-მერეთში, იგივე მიღმეთში, სამომავლოში, (Ი- მერეთი მეგრულად შეიძლება გავიგოთ ი-სასწაულად, გაოცებად, გამოქვაბულ -სასწაულად, Ი-ღანიცაა, აქედან — ღმერეთად,) რომლის ჭაში გალაკტიონისებურად თუ ვიტყვით, ბნელხვეულებისაკენ სპირალური კიბეებით ეშვება საქართველოს ტერიტორიაზე დაპროექტირებული კოსმოსური ნათება და ავსებს მიწისქვეშა სიცარიელეს. 43-42 კვადრატში ჩამავალი ენერგია თავიდან იან ხასიათისა იყო, დადებითი ემოციების მომნიჭებელი, უკუღმართი ინ-ისაგან განსხვავებით. და სწორედ ი-მერე-თში, ნუნისში, მიწისქვეშა უსასრულო წიაღში ადამიანები განიწმინდებოდნენ, აღივსებოდნენ სვეტიცხოვლის მადლით; მაგრამ მოგვიანებით დასახელებული სიცარიელე სატანის სამკვიდრობლად გადაიქცევა და ნოეს მისი ლიკვიდაცია ებრძანება.

საამისოდ საჭირო გახდება კოლოსალური მშენებლობის მოწყობა, საჭირო შეიქმნება მიწისქვეშა ვაკუუმის ჯერ „ენგურით" ამოვსება, მერმე ამოგმანვა, დაფარვა იმ ჭისა, დახუფვა — Ი-მერეთის ცხოველმყოფელი ხაროსი. ქვის კიდობანის მისია ერთდროულად ემსახურებოდა ორ საქმეს: ჯერ ერთი, ნუნისის საშოს ამოგლესვას და მეორე — ნოეს ჯალაბის გადარჩენას კატასტროფისაგან, სადაც თვალით უხილავი ველი პროექტირდება. ამ ველის გარემოცვაში გაჩენს უფალი ადამიანს და ხე ცნობადთან — სვეტიცხოველთან — ოქროს საწმისთან შეკონტაქტების გამო გამობუნძურდება კიდეც სამ-ოთხედან: სამგანზომილებიანი მდგომარეობიდან გამოიტყორცნება ოთხგანზომილებიანში, ანუ დაექვემდებარება დროის კანონებს: დაბადებას, განვითარებას და კვდომას: ელასტიკური გამყარდება, უკვდავი გამოკვდავდება.

„სამ-ოთხეს" კაბალისტური ჯამი 7-ია. სხვათა შორის აქვე შეიძლება ითქვას, რომ ღმერთის სიმბოლო ეზოთერულად 8-ა, რომელი სიმბოლოც ჰორიზონტალურ მდგომარეობაში უსასრულობის აღმნიშვნელია.

სამოთხე ებრაულად ბაღს ნიშნავს.

ჩვილის თავის ქალა გარკვეული პერიოდის მანძილზე თოთოა, მას ესათუთებიან, რადგანაც მიაჩნიათ, რომ იგი სასულეა. ყიფლიბანდს ვეძახით იმ ადგილს.

ჩვენ ცოტა რამ ვიცით ადამიანის ანთროპოლოგიის შესახებ. ჯერჯერობით ზერელე აღწერილობებს ვჯერდებით. მაგალითისათვის, არასდროს ჩავკვირვებივართ რისთვის უმყარდება ჩვილს თავისქალის თხემი ძვლოვან სისტემათა შორის ყველაზე გვიან. ან რატომ არ ჩნდება იგი გამაგრებული ყიფლიბანდით. ხომ არ მიგვანიშნებს ეს მომენტი ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ფაზას? ელასტიურს, სამოთხისეულს, თავდაპირველს კოსმოსური ველის გარემოცვაში და გამყარებულს — ქვე-ყანიდან, ედემის წალკოტიდან ამოსვლის მერმინდელს.

სხვათა შ!ბა ერთხელ და სამუდამოდ.

მაგრამ ამჯერად დავუბრუნდეთ წმინდა გიორგის პრობლემას. გიორგი მაზიაშვილი წარმოშობით კაბადოკიელი ლაზია.

კაბადოკიელები არიან წმინდა გიორგიცა და ნინოც, ჩინებული საეკლესიო მოღვაწეები — ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიაზელი და გრიგოლ ნოსელი. თვით კაბადოკია ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი თემია მცირე აზიაში, რომლის მოსახლეობის ნაწილი ქართული წარმოშობისაა და აქედან გამომდინარე სავარაუდებელია, რომ თავად საქართველოს განმანათლებელი ასულიცა და იესო ქრისტეს საქმეთა მადიდებელი გიორგიც, ქართული ჯიშ-ჯილაგისანი გახლდნენ. პირველი იმიტომ, რომ ქრისტეს რჯულს ასე იოლად ვერ იქადაგებდა უცხო ენაზე და ასე იოლად ვერ მოაქცევდა უცხოტომელებს. ხოლო გიორგის სადაურობაზე მისი სახელი მიუთითებს. ესეც რომ არა, უფალი ღმერთი ქართველ კაცში იესო ქრისტეს მეშვეობით კი არა, წმინდა გიორგის ძალისხმევით შემოდის, რაზედაც მეტყველებს მისი სახოტბო ეკლესია-მონასტრების სიმრავლე ჩვენში. შემთხვევითია განა ამ ორ უნიკალურ პიროვნებას საქართველო ღვიძლი შვილებივით რომ ჩაიხუტებს გულში და თვალდახუჭული მიჰყვება მათმიერ ნაქადაგებ უცხო მოძღვრებას?

წმინდა გიორგის სასწაულმოქმედებათა შორის ნიშანდობლივია ურჩხულის მოთვინიერება პირჯვარის გარდასახვით და ხელშუბით განგმირვა მერმე. სხვათა შორის წმინდა გიორგი იმ ბოძალით ზოგან

გვირგვინოსან პიროვნებას განგმირავს და ზოგან კიდევ — ცხენზე ამხედრებულ შარავანდედიანს. ასეა თუ ისე, წმინდა გიორგის რეალურობის საკითხი ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ვინაიდან მისი ცხოვრება და მარტვილობა მისსავე მოწაფეს ბასიქარტოსს აღუწერია. თავად გიორგი კი მოღვაწეობს დეოკლეტიანოს მეფის მძვინვარების ჟამს (284—305). ქრისტეს რჯულის არცერთ მიმდევარს რგებია წილად ესოდენი პატივი და თაყვანისცემა საქართველოში, როგორც წმინდა გიორგის. მის სასწაულმოქმედებაზე იწერება ფსალმუნები, აღავლენენ ჰიმნებს. მისი საგმირო საქმენი აღიწერება პროზითა და ლექსად. გამოიძერწება და გამოიქანდაკება თიხაში, ქვაში, ამეტყველდება ფრესკებსა და ოქროს ხატებზე. წმინდა გიორგი რაღაცნაირად გადაეჭარბებს ქრისტეს და ქართველი ხალხის სულიერ მედროშედ იქცევა. ეს უტყუარი რეალობაა. უცხოტომელს არავინ გაიხდის სულიერ მესიად, ოღონდ ძნელი დასაკავშირებელია ნუნისის მთათა კომპლექსი და თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი, რომელიც გველეშაპს ჯერ მონუსხავს და მერმე შუბსაც განუწონის კაკალ გულში. ასეთი ინტერპრეტაცია გვიანდელი წარმოდგენებისაა უთუოდ, რადგანაც საქართველოს სინონიმად გეორგია გაცილებით ახლო პერიოდისაა.

წარღვნის წინარე და მომდევნო საუკუნეებში დღევანდელ საქართველოს ნუნისის მთათა კომპლექსიანად აია, კოლხეთი ეწოდება. ცნებათა ქრონოლოგიურობა რომ არ დაირღვეს თეთრი გიორგი ზედმიწევნით ქრისტიანული პერსონაჟია და წარმართული ეპოქების მიმართებაში მიზანდასახულ ზედნაშენს წარმოადგენს. აქვე გასარკვევია ნუნისში ჩამავალი სპირალური კიბეების ძალმოსილება — დედამიწის შეჩერება ალაზნისპირელისეული მეთოდით თუკი შესაძლებელია საერთოდ, მაშინ როგორი პარამეტრებისა უნდა ყოფილიყო ნაგებობა იგი, ხომ უნდა შესაბამებოდა ჩვენი პლანეტის დასამუხრუჭებლად საკმარისი ენერგიის გამომცემ მოწყობილობას?! იქნებ ყოველივე მისტიკური სურათია, ან ცოლკინივით მატრიცაა, მაკეტი ამდაგვარი ნაგებობისა მომავალ თაობათათვის?! ასევე დასაზუსტებელია რატომ არის მიჩნეული 43-42 კვადრატი ნულოვან წერტილად, სადაც მოძრაობა ყველაზე ნაკლებია და ჩრდილოეთ გალაქტიკის ციალი პროექცირდება?! (43—42-ის შიდა წევრები 3—4, სამოთხეა, 7-ია, გარეთა კი 4—2, 6-ია. მოდი, დავიმახსოვროთ 76 ციფრი მომავალი საუბრებისთვის. 7 გარემოცულია 6-ით, ეშმაკეულით.). განა დედამიწის ნებისმიერ წერტილს სრული კანონზომიერებით არ დაეშუქება ეს ნათება დროის სხვადასხვა მონაკვეთში პლანეტის კანონიკური მოძრაობის კვალობაზე? აქვე რამდენად დამაჯერებელია მიწის წიაღში ედემის ბაღის არსებობა? თვალით უჩინარი ველი შეიძლებოდა კი ზღაპრული წალკოტის ახასხასებას?

ეს ყველაფერი განსჯისათვის იბერიონთა საძმოს მისამართით, მაგრამ ნუნისის მთათა კომპლექსის მნიშვნელობა ამ ზემისიათა გამოხშირვის მერმეც არაფრით კნინდება, ვინაიდან ადვილმოსალოდნელია ჩვენ მისი სახით საქმე გვქონდეს ეზოთერიის მისტიკურ ცენტრთან, რომელიც ცხოველმყოფელ სულს შთაბერავდა მოუხეშავ ადამიანებს. აკი, იესო ქრისტე ხუთი პურითა და ორი თევზით 5 ათას დამშეულს დაანაყრებს. იქნებ აქ სწორედ ნუნისის მთათა კომპლექსით დაპურებაზეა საუბარი. ეს კომპლექსი, ავტორებს თუ ვერწმუნებით, სწორედ შვიდი მთისაგან შედგება და საკრალურ ხაროში დიახაც ორი თევზი მკვიდრობდა. ვეშაპი თავისი ნატურით ზუსტად შეესაბამება ნუნისის მთათა კომპლექსის გვირგვინს — ,,ნოეს კიდობანს'', რადგანაც ვეშაპის, დელფინისა და ახალშობილის მსგავსად მხოლოდ მას გააჩნია ნაჩვრეტი თავკისრის შეერთების ადგილას. ასეთი ხარო ნუნისის ჭაა, სადაც სპირალური კიბეებით — გველებით ჩააღწევს კოსმიური ნათება. ამგვარი პრინციპი ეგვიპტის პირამიდების მშენებლობისთვისაც გახლდათ ცნობილი, გიგანტური ქვათაწყობის უკუნეთ წიაღში მათ თავისუფლად შემჰყავდათ მანათობელის შუქი.

ცოლკინის — მაიას ფაქტორისა და ტუტანხამონის სახის მოზაიკის შესატყვისობაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ასევე შემთხვევითობას მოკლებულია ბოლოდროინდელი ვარაუდები იმის თაობაზეც, რომ პირამიდები მიწისძვრათა საწინააღმდეგო დანადგარებია — სეისმოლოგიური დანიშნულებისა. მოგვიანებით ჩვენ გავეცნობით ბ-ნ ვაშაკიძის მოსაზრებებსაც, სადაც პირამიდა გაიგივებულია ტორნატის გამომწვევ ნაგებობასთან. მოსაზრებას გამოვთქვამ ნუნისის მთათა კომპლექსზე, რომ იგი ცოლკინის მსგავსად მინიატურული მოდელია რაღაც მასშტაბური ნაგებობისა კოსმოსში გასასვლელად ან პირიქით, — ინფორმაციათა ნაკადის მისაღებად. ყოველივე გაცხადებულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნუნისის მთათა კომპლექსი, მით უფრო იგი ხელოვნური თუა, ადვილმოსალოდნელია მსოფლიო ეზოთერიის ეპიცენტრადაც მოგვევლინოს და ნოეს კიდობნისა თუ საკურთხევლის მიუგნებლობის შემთხვევაშიც, იოტისოდენადაც არ შეილახება იბერიონელთა აღმოჩენის მნიშვნელობა.

ჩვენ ნელ-ნელა სიმპათიით განვეწყობით წარღვნამდელი ცივილიზაციის მიმართ, ქედს ვიხრით ჯერ კიდევ მრავალი ამოუცნობი მოვლენა-ფაქტის წინაშე. ამირან-პრომეთეს მიჯაჭვა კავკასიონის ქედზე ამ საკრალური საიდუმლოს მთავარი გასაღებია უთუოდ. ღმერთთან გატოლების, ღვთიური ცეცხლის — ანუ მსოფლიო ცოდნის სამზეოზე გამოტანის გამო იკორტნება მისი ღვიძლი ზევსის — დიოსის არწივისაგან.

ეს მომენტი ბატონ ზვიად გამსახურდიასაც ჩინებულად შეუნიშნავს. ხე ცნობადის ძირას იშვება ბუდა, იგივე სვეტიცხოვლის ველში ხუთიათასი წლის წინ. ხე ცნობადზე ჰკიდია ოქროს საწმისი — კირბები და ცეცხლისმფრქვეველი დრაკონები იცავენ მავანის ხელყოფისაგან აიეტის ზეობის ჟამს, ჰელიოსის ძის სუფევის პერიოდში სამიათას ექვსასი წლის წინ.

ცაბაოთი, იგივე სრულყოფილი ადამიანი, ექვსიათას წელიწადს ქმნის დედამიწისეულ ცივილიზაციას.

მოკლედ, ყოველი რელიგიის არსი ერთსახოვანია, ხოლო იპოსტასებად დანაწევრებული ქრისტიანობა ეზოთერულად გვიმხელს მის შემადგენელ კომპონენტებს — უფალი იგი სქემატურად ასეთია: აბსოლუტური ცოდნის კოდირება მის მინიატურულ გამოსახულებაში — ადამიანში. მოდელები — პირამიდა-ცოლკინინუნისი ამისი ხელშესახები თვალსაჩინოებაა. ქრისტიანიზმის აბსოლუტურის სამსახოვნება მუჰამედის რევიზიონიზმის საფუძველად გვევლინება. ერთარსია ბუდა, იეჰოვა, მოგვიანებით ალაჰი, და თეოსოფიის ქრისტიანული მოდელი დააბნევს ღვთისმოშიშ ხალხს, რადგანაც მათთვის მიუწვდომელი აღმოჩნდება უფლის ხატის ეზოთერული ფორმულა: მამაღმერთი — ძე ღმერთი — სულიწმინდა, ანუ სრულიად სამყარო მის მოდუს — ადამიანში და პლუს საკაცობრიო ცოდნა საგანთა რიგისა და შეფარდებათა გათვალისწინებით.

ეპისკოპოსი იოანე-იონა ბოლომდე ერთგულია მართლმადიდებლური სულისკვეთებისა, რადგანაც ღმერთის ეზოთერიული მეობა მისთვის გაუცნობიერებლადაც ხელშეუხებელია და ყოველი გადახრა, ცდომილება ამ გზიდან, ღალატის ტოლფასია საღვთო საქმის მიმართ.

გონიერება სულის თვისებაარ, აცხადებს იოანე-იონა. თავისუფლება საკუთარი ნებელობაა, ხოლო ჭეშმარიტ რელიგიას იგი ეშმაკთან საბრძოლველ იარაღს უწოდებს, რომელიც მხეცთან შერკინების ჟამს გამოიცნობა მხოლოდ. თუ ყალბი, უვარგისი საჭურველი აგირჩევია საომრად, განწირული ხარ დასაღუპავად. მაგრამ აქვე შეიძლება დაზუსტდეს ერთი ფაქტიც: ადამიანის პარამეტრები შემთხვევით არ შეესატყვისება ბუნებაში მოქმედ კანონებს, ანუ ჰოსა და არას შორის ყოყმანს, ნათელსა და ბნელს შორის მერყეობას. ეს სიხშირეები, რაც მის ხასიათში მონაცვლეობით ინთება და ქრება, ნიშანდობლივია როგორც მიკრო, ისე —მეზო და მაკრო განზომილებათათვის და შეესაბამება 6-ს, გასაოცარ პერიოდს მათემატიკაში და ღვთიური მუშაკობის მუდმივახანგრძლივობას თეოლოგიაში. და რადგანაც, ადამიანს — მეზოს — წარმოვსახავთ მაცხოვრის ხატად, ყოველივე მის შიგნით და გარემოქმედებაში მოცემული ოდაბადეს გლობალურ პროცესებს აირეკლავს, მცირეში, მინიატურაში, და აქედან გამომდინარე, ადამიანს ემუქრება არა მხეცი და ურჩხული, არამედ — საკუთარი გაორებული ბუნება, რომელთაგან დადებით ემოციებს უფლისეულს ვეძახით, ხოლო უარყოფითს — მაცილისეულს. მოგვიანებით ჩვენ გადავწვდებით შტაინერის კონცეფციასაც, სადაც ადამიანს ლუციფერულ-არიმანისეული ცთომილებებისაგან აწონასწორებს ქრისტე. სინამდვილეში კი მათი მონაცვლეობა აუცილებელი პირობაა სრულფასოვანი არსებობისათვის.

ა. ეფიმოვი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ელიტარული ჯგუფები *

რეკომანდებულია მათთვის, ვინც დაინტერესებულია პერსონალის შერჩევის და ერთმოაზროვნეთა გუნდების შექმნის პრობლემებით. ამ სტატიის მთავარ სიამაყეს წარმოადგენს მისი მიმართულება პრაქტიკულ შედეგზე. მართალია, იგი დაიწერა სსრკ-ს დროს, მაგრამ გვაოცებს მისი გამოყენება დღევანდელი პრობლემების გადასაწყვეტად.

ერთ მათემატიკურ მოდელსა და მის მიერ გამოწვეულ ლიტერატურულ რემინისცენციებზე

თქვენ არ შეცდით – სტატიის სათაური ნამდვილად რაღაცას გვაგონებს». იგი წარმოადგენს ი.ს. შკლოვსკის წიგნის "ვარსკვლავთა ევოლუციის შესახებ" სათაურის პერიფრაზს. ისე როგორც ასტროფიზიკოსის ნამუშევარში, აქაც საუბარია იმ ობიექტებზე, რომელთა ევოლუციას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სცენარი და საბოლოოდ მიგვიყვანოს სრულიად სხვადასხვა ფინალებამდე.

ელიტა, ელიტარული ჯგუფი – სამეცნიერო ტერმინებია, რომლებიც აღნიშნავენ ელემენტების ერთობლიობას და სხვებთან შედარებით სარგებლობენ უპირატესობით. მათი ამ საწყისი მკაცრი მნიშვნელობით (გაგებით) მე დაახლოებით თხუთმეტი წლის წინათ მოვიგონე და კოლეგებთან ერთად გამოვიკვლიე ელიტარული ჯგუფების წარმოშობის და ევოლუციის რიგი მათემატიკური მოდელები. შედეგები იყო გამოქვეყნებული სპეციალურ ჟურნალებში, ასევე იყო გამოყენებული რადიოელექტრონული აპარატურის ცდების დაგეგმის დროს (შერჩეული იყო კვანძები ბევრად უფრო საპასუხიმგებლო დანიშნულებისათვის), შესულია ახალგაზრდა მათემათიკოსის ვ. კუტეევის დისერტაციაში. მართალია, ასეთი გამოკვლევები არც სახსრებით, არც შედეგებით არ გაცდა მათემატიკის სტატისტიკის სფეროს, დასკვნები თავიდან ვერ გვიბიძგებდნენ მათთვის სოციალური ინტერპრეტაციის მიცემისაკენ.

თქვენ განსაჯეთ: მოდელი დემონსტრირებას უკეთებდა ეტალონის მეშვეობით შერჩეულ ელიტას, რომელსაც ბუნებრივი სვლით, იმ წესებზე დაყრდნობით, რომლების მიხედვით იცვლებიან გასული ელემენტები, შეეძლო დარჩენილიყო საუკეთესო ჯგუფად, ან საერთო მასაში შერევით, განეცადა დეგრადირება, ზოგჯერ კი გარდაქმნილიყო "ანტიელიტად" – ელემენტების ერთობლიობად, რომლთა ხარისხი საწყისი ეტალონის საწინააღმდეგოა. როგორ არ გავიხსენოთ აქ, მაგალითად, წმინდა ფრანცისკი ასიზელი, რომელმაც დაარსა ღატაკ მონაზონთა ფრანცისკელების ორდენი. მან აირჩია თავის მსგავსი ასკეტ-მოღვაწეები იმისათვის, რომ მათ ეზრუნათ უღარიბეს მოსახლეობაში რწმენის განმტკიცებაზე. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ორდენმა მიატოვა სიღატაკის იდეა და გადაიქცა კათოლიკური ეკლესიის ბანკირად!

სხვათა შორის, მეცნიერებაში, ასეთი გაფართოებული მსჯელობები, ასეთი პირდაპირი ანალოგიები, რბილად რომ ვთქვათ, არ არის მიღებული? ამიტომ აქ დაჟინებით უარი

* იბეჭდება შემოკლებით. წერილის უკეთ აღსაქმელად ამოღებულია ავტორისეული სქემებიც (რედ.)

ვთქვი მათზე. როდესაც ამას წინად წავიკითხე ა. ბეკას რომანი "ახალი დანიშნულება" და ეკონომიკის მეცნიერების დოქტორის გ. პოპოვის კომენტარები მასზე "ეკონომისტის თვალსაზრისით", ცდუნებას ვერ გაუძელი. ავტორი და მასთან ერთად კომენტატორი იკვლევენ (რა თქმა უნდა, ყოველივე მათგანი, თავის მეთოდით) ოციანი წლების ბოლოს და ოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობის სისტემას, ადმინისტრაციულ სისტემას, რომელშიც, მისთვის დამახასიათებელი კანონების მიხედვით, ყალიბდება ხელმძღვანელთა კორპუსი – ნომენკლატურა. ასეთია მათი შერჩევის წესი, შეცვლის პროცედურა, განვითარების და ფინალური მდგომარეობის ტრაექტორია, რაც გამოვლენილ იქნა ა. ბეკას და გ. პოპოვის მიერ, – ეს ყველაფერი ისე შეესაბამება აღნიშნულ მათემატიკურ მოდელს, რომ შეუძლებელია მასზე არ მოგიყვეთ.

ესე იგი მოდელი.

მოდელი პირველი: პრეზიდენტი – რეკომენდაციის გამცემი

ყველასთვის ნაცნობია სიტუაცია, როდესაც უამრავ ობიექტიდან (სტატისტიკოსები ამბობენ: „გენერალური ერთობლიობიდან") გვიხდება გაუმჯობესებული გარკვეული მნიშვნელობის თვისებების მქონე ჯგუფის გამოყოფა, (იმავე ენაზე, „გაძლიერებული სარგებლიანობით"). როგორ გავაკეთოთ ეს? არსებობს უამრავი ხერხი, ამოვირჩევთ ყველაზე (ცხადს) თვალნათელს: შევადარებთ ალალბედად ამორჩეული ობიექტის "სარგებლიანობის პარამეტრს" (მისი გამძლეობა, მრეწველობა, მწარმოებლობა და ა.შ.) ერთგვარ ზღურბლს და თუ ობიექტის მოცემული თვისება არ აღმოჩნდება ამ ზღურბლზე ნაკლები, მაშინ ეს ობიექტი ელიტარულია და უნდა შევიყვანოთ ელიტარულ ჯგუფში. ამ ზღურბლის გამზომს დავარქვათ ეტალონი. მნიშვნელოვანია ის, რომ ეტალონი – ეს გარე ობიექტია, როგორც საწყისი ერთობლიობის, ასევე ჩამოსაყალიბებელი ჯგუფის მიმართ. ის შემოდის გარედან და საერთოდ შეიძლება დახარისხებულ ობიექტებთან შედარებით განსხვავებული ბუნების (ხასიათის) იყოს, – ასე, ახალწვეულთა სიმაღლის გამზომი ლარტყა, გვიჩვენებს გრენადერის სიმაღლეს, თვითონ კი გრენადერად არ გამოდგება.

ეტალონის გამოყენებით და საწყის ერთობლიობაში ელემენტების საჭირო რიცხვის პოვნით, იმ ელემენტების, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდება ეტალონს, ჩვენ დავამთავრებთ ელიტარული ჯგუფის ჩამოყალიბებას.

ჩამოყალიბების სქემა იდიალიზებულია: იმისათვის, რომ ის უფრო მიწიერი გავხადოთ, დავუშვათ, რომ ეტალონთან შედარებაში დასაშვებია შეცდომა, ამიტომ შედეგად ელიტარულ ჯგუფში შესაძლოა აღმოჩნდეს არაელიტარული ელემენტების მცირე რიცხვი.

ამ წილ "სარეველასთან" ერთად ან მის გარეშე, მაგრამ ელიტარული ჯგუფი უკვე ჩამოყალიბებულია და მას შეუძლია შეუდგეს მუშაობას (ნახ. 1 და 2). მანამდე, სანამ მას გამოვაქვეყნებთ იმედით, რომ ამით მივიღებთ მისგან რაიმე სარგებლობას, შემოვიღებთ კიდევ ერთ პირობას: საჭიროებისთანავე ჯგუფი შევავსოთ იმის გამო, რომ რომელიმე მისი ელემენტი ამოვარდა (რესურსების დახარჯვის, დაღუპვის გამო და ა.შ.), უკვე შეუძლებელია მივმართოთ ეტალონის დახმარებას. (ფრანცისკ ასიზელი, ორდენის დამფუძვნებელი, სიკვდილის შემდეგ აღიარებულია წმინდანად.) ეტალონი იყო დაშვებული მხოლოდ ჯგუფის დაფუძვნების ეტაპზე. რა ვქნათ?

ერთი შეხედვით ამ პრობლემის გადაჭრა არ არის რთული, მთლიანმა ელიტარულმა ჯგუფმა თავის დროზე ხომ გაიარა ეტალონით შემოწმება. დაუშვათ, რომ ეს ასეა. საწყის ერთობლიობიდან ალალბედად შევარჩიოთ ელიტარული ელემენტი, დავარქვათ მას "რეკომენდაციის გამცემი", ასევე საწყის ერთობლიობიდან ალალბედად შევარჩიოთ

ელემენტი "პრეტენდენტი" და შევადაროთ ისინი. თუ პრეტენდენტი არაფრით ჩამოუვარდება რეკომენდაციის გამცემს, მას შეიყვანენ ელიტაში.

ეხლა – ცხოვრებაში! ეტალონის კრიტერიუმი იყო მაღალი, შეცდომა უმცირესია, რეზერვი საწყისი სამრავლის სახით ულევია.

ჩვენო ელიტარულო ნახირო, ჩვენო ხელსაწყო ნაკრებო დეტალების შემადგენლობით, ჩვენო გმირთა მუჭავ – წინ!

მაგრამ, არა, ერთი წუთი. მნიშვნელოვანი რამ დაგვავიწყდა. ჯგუფის ელემენტები ბერდებიან, რაც გარდაუვალია, მათი პარამეტრები შეიცვლება, რამოდენიმე მათგანი ამოვარდება ჯგუფიდან. ამოვარდნის რომელი რეჟიმით გავმართოთ მოდელი? პირველი ვინ მიატოვებს ამ ელიტას? ელიტარული ჯგუფის წევრის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებული მისი სარგებლიანობის პარამეტრებზე?

რა თქმა უნდა დამოკიდებულია. უარესი საუკეთესოთა შორის პირველი დატოვებს ჯგუფს. როგორც კი ნაკრების წევრი შეწყვიტავს ჩასათვლელი შედეგების ჩვენებას მას ასევე ჩამოსწერენ: "მხოლოდ წამი ხარ მწვერვალზე – შემდეგ კი სწრაფად ვარდები ძირს." ძალზედ მარტივია.

არც ისე მარტივია. შეიძლება პირიქით იყოს. მარადონაზე ნადირობა იწყება მსაჯის სასტვენის შემდეგ და მას ფეხს მოსტეხენ უფრო ადრე, ვიდრე მასზე კლასით დაბალ ფეხბურთელს. შეიძლება მოვიფიქროთ ტექნიკური მაგალითიც. წარმოვიდგინოთ, რომ საკისარში ნორმალურ რგოლებს შორის ერთ-ერთი არის დეფექტური – უფრო მცირე დიამეტრით. სხვებთან ერთად ის მოძრაობს, მაგრამ დატვირთული არ არის! უფრო გვიან რომელი დაიშლება? ღატაკ ფრანცისკანელ ძმას აქვს ყველა შანსი უფრო მალე გახდეს მამაო – ეტალონის მიმდევარი უკეთეს სამყაროში, ვიდრე მისი ნაკლებად ასკეტურ და უფრო მაძღარ ამხანაგს.

ნათელია, რომ საჭიროა ორი რეჟიმის გამოკვლევა: როდესაც პირველებად ირჩევენ უფრო ცუდებს და საუკეთესო ელემენტებს.

მათემატიკური მოდელის არსებობა (ცხოვრება) – ეს თანამიმდევრული ნაბიჯებია, ყოველი მათგანი გამოდის ელიტარული ჯგუფიდან და მათ ცვლიან პრეტენდენტი ელემენტები ისეთი პარამეტრებით, რომელთა შეცვლა დაუშვებლია. თუკი საუკეთესო უფრო ხანგრძლივად არსებობს (დადებითი უკუკავშირი) მაშინ პირველ ნაბიჯებზევე "გადაშენდება" "სარეველა" ნაწილი, რომელიც მოხვედრილია ელიტაში ეტალონისაგან თავის არიდებით და იზრდება ელიტარულების წილი. შემდეგი ნაბიჯები კი ჯგუფს უფრო და უფრო ელიტარულს ხდიან.

თუ პირველად ამოვარდებიან საუკეთესოები (უარყოფითი უკუკავშირი), მაშინ უკვე პირველ ნაბიჯს თან მიყვებიან "ზელიტარულები" და შევსების პროცესი მიმდინარეობს მის გარეშე – მათ ვერ შესძლეს ყოფილიყვნენ რეკომენდაციის გამცემლები, ხოლო დანარჩენები, მათ შორის "სარეველები," მამაცობით შეედრნენ პრეტენდენტებს. პირველი შევსების შედეგი გვაძლევს საწინააღმდეგო პროგნოზების საფუძველს, – ერთის მხრივ, ელიტარული ნაწილი, მართალია, მარცხენა დიაპაზონის უარესი მხარე გაიზარდა, მაგრამ, მეორეს მხრივ – რეკომენდაციის გამცემებმა – სარეველებმა მოიყვანეს მათივე მსგავსნი და მათი საერთო რიცხვი საშიშად გაიზარდა. რა იქნება შემდეგ?

შემდეგ – უარესი. როგორც ნახატიდან ჩანს ელიტარული ჯგუფი სწრაფად განიცდის დეგრადაციას. ხოლო ფინალში ყველაფერი უბრუნდება საწყის განაწილებას. წინანდებურად ფუნქციონირების კანონი ყრის ჯგუფიდან ყველაზე ვარგისებს, წინანდებურად პრეტენდენტები ურთიერთმოქმედებენ რეკომენდაციის გამცემლებთან, მაგრამ ამას უკვე აზრი აღარა აქვს. ნაბიჯ-ნაბიჯ ოდესღაც ელიტარული ჯგუფების თვისებები არ იცვლება და თანამედროვეს ძნელად სჯერა ოქროს საუკუნისა და არც დაცემის ეპოქის – ის მომსწრეა ჩაკვდომის ეპოქისა.

აღწერილი მოდელი ადვილად ხორციელდება ნებისმიერი პერსონალური კომპიუტერით, ფლობს დიდ მოქნილობას და შეუძლია ემსახუროს საინტერესო თამაშს. სხვადასხვა

საწყისი განაწილების დასახვით, გასვლის კანონებით, პრედენდენტის და რეკომენდაციის გამცემის ფრიად საინტერესო ურთიერთკავშირით, შეიძლება მივიღოთ ელიტარული ჯგუფების ხშირად პარადოქსული ბედი.

შევადაროთ აღწერილი მოდელი და ადმინისტრაციული სისტემის კადრების კვლვწარმოების მექანიზმი. მხოლოდ დავაზუსტებთ, რომ აქ ლაპარაკია ეგრეთ წოდებული მეურნეთა მმართველი კადრების "რეკონსტრუციის პერიოდზე", რომლის დაწყებაც თარიღდება ოციანი წლების ბოლოთი. ის გამოირჩევა ხელისუფლების მთლიანად სტალინის ხელში გადასვლით და "ნეპ"-ის ეკომომიკის დემონტაჟით. ეს ეკონომიკა ეფექტურად და დინამიურად ვითარდებოდა. მას უკვე ჰყავდა თავისი კადრები, მაგრამ ახალი მიზნები ითხოვდა ახალ ხალხს.

ყოფილი კადრები, რომლებმაც განათლება მიიღეს რევოლუციამდე, ატარებდნენ აბუჩად ამგდებ ზედმეტ სახელს. მათ ეძახოდნენ "სპეცებს." მათი ხვედრი მძიმე იყო. ის, რომ მათი მეშვეობით იკვებებოდნენ იმ დროის მოხუცები, არც ისე შემთხვევითი და უსაფრთხო იყო. შიშველი ინჟინერის ფიგურა, ელოჩკა – ლუდოედკას ქმარი, რომელიც დგას კიბის ბაქანზე, გამოიყურება უფრო სასაცილოდ, ვიდრე წითელგვარდიელი. ხოლო ის იდიოტი, რომელიც იმავე – უკვდავ ნაწარმოებში – ყვირის: "მუსიე, ბატი მზად არის?", არა და ისიც ხომ ინჟინერია...

ახალი კადრები – საბჭოური უმაღლესი სასწავლებლის პირველი გამოშვებაა და მათ გაიარეს "სპეცების" შემოწმების ფილტრები – ითხოვდნენ მკაცრ კონტროლს. აბსოლუტურმა ცენტრალიზაციამ დაამყარა წესრიგი, რომლის დროსაც, როგორც გ. პოპოვი წერს "უმსხვილესი საწარმოს და მშენებლობის ხელმძღვანელებს ნიშნავდა ცკ, პარტია. ამ დროისთვის შესაფერისი ენით რომ ვთქვათ ისინი შედიოდნენ რაღაც განსაკუთრებულ ნომენკლატურაში." ამგვარად, ხელმძღვანელები მკვეთრად გამოყოფილები არიან მუშაკთა სხვა კორპუსებისაგან ჩართვის და მოცილების განსაკუთრებული პროცედურით. პოლიტიკური ხელმძღვანელები მოწოდებული იყვნენ ეშენებინათ ადმინისტრაციული სისტემა: "... ორჯონიკიძეც, ტევოსიანიც და თვით ონისიმოვიც კი არ არიან ამ სისტემის პროდუქტები. ისინი მასში გარედან შემოვიდნენ – იატაკქვეშიდან, სამოქალაქო ომიდან. მათ სისტემაში შემოიტანეს თავიანთი რწმენა პარტიის მიმართ, დისციპლინა და თავდადებითი ერთგულება საქმის მიმართ. და მანმადე, სანამ ეს სისტემა ინარჩუნებდა ამ კადრებს, ის ფუნქციონირებდა."

ხელმძღვანელების ეს ჯგუფი წარმოადგენდა ეტალონს, მათ ჩამოაყალიბეს სამეურნეო ნომენკლატურა. შევნიშნოთ პირველი ანალოგია: სამეურნეო ელიტარული ჯგუფის მოდელში, ეტალონი იყო შემოტანილი გარედან და არსებობდა. მისი მეშვეობით იყო შექმნილი "დირექტორთა ბრწყინვალე თაობა".

თქვენ გახსოვთ, რომ მოდელის თანახმად ეტალონი მხოლოდ აყალიბეს ელიტარულ ჯგუფს. საუბედუროდ ცხოვრებაში მოხდა იგივე: "რეპრესიების ნაჯახმა... 30-იან წლებში გაწმინდა მრეწველობა ასეთი ხელმძღვანელებისაგან..." გარდაიცვალნენ ვ. კუიბიშევი, ს. ორჯონიკიზე, მოკლულია ს. კიროვი. დარჩენილმა ხელმძღვანელობამ ახლა თვითონ უნდა შეავსოს თავისი კადრები. ამის საჭიროება წარმოიქმნა უცბად: უკვე 1938 წელს "ბრწყინვალე თაობის" ნაწილი, როგორც მათ ამჯერად უწოდებენ, გაქრა ბანაკებში. შევნიშნავთ, რომ შემდეგი ბრწყინვალე თაობა წამოსწია ომმა. (ყურადღება მიაქციეთ სიტყვას "წამოსწია", ცოტა მოგვიანებით იქნება ნაჩვენები ამ პროცესის მექანიზმი.) და ისევ უცბად ომის შემდეგ მან დანაკლისი განიცადა. ამჯერად იყო ამორჩეული უფრო მრავალფეროვანი ფორმები – "უბრალო" მოხსნიდან, როგორც მაგალითად ი. ა. ლიხაჩოვი, ციხეებამდე და დახვრეტამდე (ლენინგრადის საქმე).

იმ ომის წინა პერიოდში დაკარგული იყო სამხედრო კადრები. ხუთი მარშალიდან დარჩა ორი. ხუთი პირველი რანგის მეთაურიდან – ორი. ათი მეორე რანგის მეთაურიდან – არცერთი; 57 კომკორიდან (კორპუსის მეთაურისგან) – 7, 186 კომდივისაგან (დივიზიის მეთაურებისაგან) – 32, 16 პირველი და მეორე რანგის არმიის კომისრებისაგან – არცერთი, 28 კორპუსის კომისარისაგან – 3, 64 დივიზიის კომისრისგან – 6, 456 პოლკოვნიკისგან – 54. სამწუხაროდ, დარჩა მესამე ანალოგიის კონსტანტირება: ჩვენი ადმინისტრაციული სისტემის ხელმძღვანელებიდან პირველები საუკეთესონი გავარდნენ. აქედან პროგნოზი: ამ ელიტარულმა ჯგუფმა უნდა განიცადოს დეგრადაცია.

ასეც მოხდა ცხოვრებაში: "... შედეგად ამ სისტემას არ შეუძლია მისთვის საჭირო ხელმძღვანელების კვლავწარმოება. ის განწირულია იმისათვის, რომ ყოველი ახალი დანიშვნა მომდევნოზე ოდნავ მაინც უარესი იყოს, – წერს გ. პოპოვი: – სისტემის ხელმძღვანელთა შემადგენლობა უარესდება, რაც გარდაუვალია."

ანალოგიების განხილვა

მაშასადამე, ადმინისტრაციული სისტემის ფუნქციონირების პრაქტიკა არ ეწინააღმდეგება თეორიის დასკვნას, რომელიც გვაუწყებს, რომ ელიტარული ჯგუფის თვისებები უარყოფით უკუკავშირით (საუკეთესოები არიან პირველები) და შევსების მექანიზმით "პრეტენდენტი – რეკომენდაციის გამცემი" უარესდება, რაც გარდაუვალია, თუ ელიტის საწყის ჩამოყალიბებისას მასში მოხვდა არაელიტარული ("სარეველა") ელემენტების მცირე ნაწილიც კი.

რეალურ ცხოვრებაში პრეტენდენტის და რეკომენდაციის გამცემის ურთიერთმოქმედება გაცილებით რთულია, ვიდრე აღწერილ მოდელში, რომელშიც საკმარისია, რომ შედარების მექანიზმმა დააფიქსიროს პრეტენდენტის "არაუარესობა". ხშირ შემთხვევაში, ცხოვრებაში რეკომენდაციის გამცემი ხელმძღვანელია, რომელიც ხედავს პრეტენდენტში ან თავისსავე შემცვლელს, ან მომავალ თანამშრომელს. აქ, ასეთი ფაქტების გარდა, როგორიცაა: პირადი სიმპათია, თავდადება და ა.შ., მათ მოქმედებას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.

მნიშვნელოვანია წმინდა პროფესიული თვისებების დიაპაზონიც, საიდანაც რეკომენდაციის გამცემი მზად არის ამოირჩიოს პრეტენდენტი. და ხშირად ეს დიაპაზონი შეიძლება განისაზღვროს როგორც "არაუარესი, მაგრამ არც ისე კარგი", და უფრო ზუსტად "დავუშვათ ცოტათი უარესი, მხოლოდ არა ცოტათი უკეთესი". ელიტარულ ჯგუფში ასეთი წესით მიღების მოდელში ჯგუფი შეუწყვეტლივ განიცდის დეგრადაციას. "რაინდად კურთხევის" ასეთი აქტს ჩვენ თვალს ვადევნებდით რიბაკოვის რომანში "არბატის შვილები", როდესაც გამომძიებელი დიაკოვი გამოდის "**НКВД**-ს" ორგანოებში, როგორც იური შარიკოვისთვის რეკომენდაციის გამცემი, ერთერთი არბატის ახალგაზრდა კომპანიიდან, რომელსაც გაცნობიერებულად ეზიზღება საბჭოური ხელისუფლება. მოთხრობის შინაარსიდან გამომდინარე, პრეტენდენტის რეკომენდაციის გამცემთან შედარებას ახორციელებს ძველი ჩეკისტი ბერეზინი, პატიოსანი, მაგრამ უკვე ახალი გარემოებებით ხელ-ფეხ შეკრული. ის უშვებს შეცდომას, ხედავს პრეტენდენტში მისთვის სასურველ თვისებებს და არა რეალურად არსებულს და შეჰმატებს "ორგანოებს" კიდევ ერთ რეკომენდაციის გამცემ-დამნაშავეზე უარესს ელემენტს. საქმე არც თუ ისე უიმედოა: სოციალურ სფეროში არსებობენ ელიტარული ჯგუფები დადებით უკუკავშირით – მოდელის ქცევიდან გამომდინარე, ჩვენ ვიცით, რომ მათი თვისებები უნდა გაუმჯობესდეს. ასეთი მაგალითების პოვნა შეიძლება სპორტში. ნაკრებ გუნდიდან პირველები ყოველთვის გადიან (ვარდებიან) უარესები. სპორტის ფიქსირებული შედეგების მქონე სახეებში, არსებობს ჩათვლითი მაჩვენებელი – ეტალონი; ორთაბრძოლასა და თამაშებში

მაჩვენებელი რანგიანი ბუნების (ხასიათის) მატარებელია. ამასთანავე განთესვა (უფრო ზუსტათ, არგანთესვა) პრაქტიკულად არასდროსაა დაკავშირებული არაძირითად გარემოებებზე – ნათესაობით, მწვრთნელის ან ფედერაციის თავმჯდომარის მიმართ თავდადებულობით: გ. კასპაროვი – ЦК ВЛКСМ-ის წევრია იმიტომ, რომ ის ჩემპიონია, და არა – პირიქით.

მოდელი მეორე: "გამარგვლა"

საკითხის დასმით "რა ვქნათ?", შევხედოთ პრობლემას უფრო ფართო თვალსაზრისით და განვიხილოთ ელიტარული ჯგუფის ჩამოყალიბება, როგორც ორ სამრავლზე მიზანდასახული საქმიანობის ექსპერიმენტატორის შედეგი – გენერალურ ერთობლიობაზე და ელემენტების ჯგუფზე, რომელიც საჭიროებს ელიტის თვისებების მიცემას. ამის მიხედვით, ექსპერიმენტატორ-სელექციონერისთვის, ხელმძღვანელისთვის, მწვრთნელისთვის –შესაძლებელია ამ ობიექტებიდან მისაწვდომი იყოს მხოლოდ ერთი ან ორი. მაგალითად, მოდელში, რომელზეც იყო საუბარი, მისთვის მისაწვდომია ორივე ობიექტი: ერთიდან მას შეეძლო პრეტენდენტების შეძენა (მოპოვება), მეორედან კი – გამცემის რეკომენდაცია. შესაძლებელია თურმე ელიტარული ჯგუფის დაფუძნება და შენარჩუნება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ექსპერიმენტატორს ძალუძს თავისუფლად მართოს მხოლოდ იმ ელემენტების ბედით, რომლებსაც ჯგუფი შეიცავს და იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს მხოლოდ უფლება გადაწყვიტოს, ამ საწყის ერთობლიობიდან თუ რომელი ელემენტი უნდა შევიდეს ამ ჯგუფში. წარმოვიდგინოდ, რომ გვაქვს დასახული რიცხვის ელემენტების მქონე ჯგუფი. ჩვენ გვსურს მივანიჭოთ მას ელიტარული თვისებები. ამასთანავე ჩვენ უფლება გვაქვს მოდელის სიცოცხლის (არსებობის) ყოველ ნაბიჯზე ჯგუფიდან გავრიცხოთ განსაზღვრული ელემენტების რაოდენობა და შევცვალოთ ისინი საწყის ერთობლიობიდან ალალბედად აღებულ იმავე რიცხვით. დავარქვათ ამ ოპერაციას "გამარგვლა." მნიშვნელოვანია ის, რომ გამარგვლის არსებობისათვის არ არის საჭირო ელემენტის სარგებლობის პარამეტრის მნიშვნელობის ცოდნა. საკმარისია შემოვიფარგლოთ მისი რანგით, ე.ი. ადგილით, რომელიც მას დაკავებული აქვს ჯგუფის სარგებლიანობის მიხედვით განლაგებულ სიაში. ამ პრინციპით შენარჩუნდება საფეხბურთო ლიგების შემადგენლობა: ყოველ სეზონზე რამდენიმე გუნდი ტოვებს ლიგას, გადადის მომდევნოში (საუკეთესოში) ან წინა ლიგაში (უარესში), და მათ ცვლიან პრეტენდენტები წინა ლიგიდან. ექსპერიმენტატორის თვალსაზრისით კი სეზონი – ეს მოდელური დროის ნაბიჯია, რომელიც საჭირო ა იმისათვის, რათა მოხდეს ჟგუფების რანგირება თამაშის სიძლიერის მიხედვით.

ინტუიცია გვკარნახობს, რომ თუ "გამარგვლის" პროცესში ყოველ ნაბიჯზე მოვიცილებთ "უარეს" ელემენტებს, მაშინ ჯგუფი აიმაღლებს თავის ჯამურ სარგებლობას, პროგრესირდება და ელიტად გადაიქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯგუფმა უნდა განიცადოს დეგრადაცია და თუნდაც შემდგომში ელიტარულიც გახდეს იგი, დაკარგავს თავის თვისებებს. თეორია გვიდასტურებს ინტუიციურ წინათგრძნობებს, მაგრამ როგორც წესი, იგი უფრო შორს მიდის. აღმოჩნდა, რომ "გამარგვლა" მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო ნაკლები ელემენტი მოსცილდება მას ყოველ ნაბიჯზე და რაც უფრო დაბალია მათი რანგი: ერთერთი უფრო უარესის გაგდება მეტად ხელსაყრელია ვიდრე მასთან ერთად სიის მთელი ქვედა ნაწილის. პირიქით, უფრო დაჩაგრული აღმოჩნდება ჯგუფი, როდესაც მისგან "მოსავალს იღებენ" ერთი საუკეთესოს სახით.

იმეორებთ, აღწერილი მოდელი წმინდა სახით გვხვდება სპორტში, მაგრამ თეორიულად რომ ვიმსჯელოთ ის უნდა იყოს საკადრო პოლიტიკის საფუძველი ნებისმიერ ორგანიზაციასა და მთლიანად ადმინისტრაციულ სისტემაშიც კი. "ცუდად მომუშავის გაგდება" – ხელმძღვანელთათვის უფრო ბუნებრივი ჩანს! ეს ასე მხოლოდ "ჩანს." მემამულე-მებატონეს თავის საკუთარ მეურნეობაში ქიმიურად სუფთა შემთხვევაშიც კი ყოველთვის ეს ასე არ გამოსდიოდა. ტოლსტოიმ "ომი და მშვიდობის" ეპილოგში ნიკოლოზ როსტოვის

იდეალურ მებატონედ წარმოსახვისას გვერდი არ აუარა საკადრო საკითხს: "ის ხელს უმართავდა გლეხთა უამრავ ოჯახს, არ უშვებდა მათ დაშლას. ზარმაცებს, გარყვნილებსა და სუსტებს დევნიდა და ცდილობდა მათ საზოგადოებიდან გაძევებას." ამასთანავე გავიხსენოთ ის, ვინც ხელს უშლიდა მას საკადრო პოლიტიკის განხორციელებაში: "უფრო ნაკლებად შეეძლო მას (გრაფის ასულ მარიას – ა. ე.) იმის გაგება, თუ რატომ სწუხდა იგი, როდესაც მარია გადასცემდა ხოლმე მას გლეხი ქალებისა და კაცების სათხოვარს, რომლებიც მიმართავდნენ ამ ქალბატონს, რათა გაენთავისუფლებინა სამუშაოსგან, რატომ ეუბნებოდა კეთილი Nikolas-ი მარიას დაჟინებით უარს და გაბრაზებული ეხვეწებოდა არ ჩარეულიყო სხვის საქმეებში."

ცხოვრებაში მუშის "სარგებელი პარამეტრი" მოდელისგან განსხვავებით არაა ერთადერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მის ადგილს ჯგუფში. ცუდი მუშის დათხოვნასთან დაკავშირებული სირთულეები ხდება სალაპარაკო თემა. ყველასათვის ცნობილია აგრეთვე უმაღლეს დონეზე აწყობილი დაცვის მექანიზმი, რომელიც ჩაჭრილ ხელმძღვანელს გადასვამს ერთიდან მეორე სავარძელში. ჩვენ თვალს ვადევნებდით იმას, რომ ჯგუფს შეუძლია შეინარჩუნოს ელიტარულობა თუ საუკეთესოების გასვლა კიმპენსირებული იქნება უარესების "გამარგვლით".

უკანასკნელი პირობა აუცილებელია. როდესაც კოლექტივის სათავეში აღმოჩნდება ხელმძღვანელი, რომლის საქმიანი თვისებები, ავტორიტეტი და კავშირები "ზევით" სავსებით საკმარისია საკადრო პოლიტიკის საკითხების თავისუფლებისათვის – ა. ფ. იოფე, ა. ნ. ტუპოლევი, ს. პ. კოროლიოვი და სხვა კლასის ხელმძღვანელები – ჩვენ ვხედავთ ბრწყინვალე კოლექტივების აყვავებას, რომლებიც არიან ქვეყნის ბედთან დაკავშირებული ამოცანების გადამწყვეტები. "გამარგვლისათვის" წინააღმდეგობის გაწევის უნარი შეიძლება გარემოებებითაც შეირყეს. ომის დროს, მართალია, ტრაგიკულ მდგომარეობებში, მაგრამ მაინც ხდებოდა უარესების განთესვის ბუნებრივი პროცესი და უკვე ომის დასასრულისას ქვეყანას ჰყავდა ახალგაზრდა ნიჭიერი მარშალები, მინისტრები, დირექტორები. როგორც კი გარემოებები იცვლება სამშობლოს აღარაფერი ემუქრება, მთავარი "სასარგებლო" პარამეტრი კვლავ ხდება ეროგულება – ელიტა "იმარგვლება საწინააღმდეგოდ."

ამ ორი სხვადასხვა მოდელის ანალიზი დემონსტრირებას ახდენს მთავარი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს ელიტარული ჯგუფების მაღალეფექტურობას, არის მექანიზმის შექმნა, რომელიც წარმატებით განდევნის ჯგუფიდან ცუდ ელემენტებს. რამოდენიმე შესწორებით შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი "იტკეპნება" – მე ვგულისხმობ იმის უფლებას, რომელიც ენიჭებათ ბრიგადებს, ქვედანაყოფებს და ორგანიზაციებს, რომ თვითონ დაარეგულირონ საკუთარი რაოდენობა და შემადგენლობა, უარი თქვან ცუდ და ზედმეტ მუშაკებზე. თუ ამგვარი "გამარგვლა" იწარმოებს სარგებლობის "სწორი" პარამეტრის მიხედვით მაშინ წარმატებაც არ დააყოვნებს.

ცნობისმოყვარეობით შევნიშნავთ, რომ ზოგიერთი სოციალური ორგანიზმი საკუთარი მოქმედების თავისუფლებისათვის აღჭურვილია გამარგვლის საწინააღმდეგო დაცვით, მაგალითად მუდმივი წევრობა, რომელიც უფრო აკადემიებში, ზოგიერთი ქვეყნის სასამართლო ორგანოებსა და საეკლესიო იერარქიაშია გავრცელებული. სხვათა შორის, ამ ორგანოებში გარე ჩარევისგან ასეთი დაცვა მოითხოვდა კიდევ ერთი დაცვის მოწყობას, ახლა უკვე დეგრადირებულ რეკომენდაციის გამცემისაგან: რომის პაპის არჩევისას, მაგალითად 80 წელს ზემოთ კარდინალები კენჭისყრაში არ მონაწილეობენ.

მესამე მოდელი: დელეგირების პროცედურა

"გამარგვლის" მოდელში ჩვენ ვწყვეტდით იმ ელემენტების ბედს, რომლებიც უკვე იყვნენ ჯგუფში: შეგვეძლო განგვედევნა ისინი, რომლებსაც მივიჩნევდით ზედმეტად. იმისათვის რომ მიგვეღწია მიზნისათვის – ჯგუფის სარგებლობის ამაღლებისთვის, განდევნილების მაგივრად შეგვეყვანა ისინი, "ვისაც გამოგვიგზავნიდნენ".

ახლა განვიხილოთ საწინააღმდეგო სიტუაცია: გასადევნი ელემენტები ყოველ ნაბიჯზე ირჩევა ჩვენი ნების წინააღმდეგ, მაგალითად, შემთხვევით, ხოლო ჩვენ შეგვიძლია მართვა საწყის ერთობლიობიდან ჯგუფში შესაყვან კანდიდატების არჩევით.

მივყვეთ კანდიდატების კონკურსით შერჩევის გზას, როგორც ხდება ნაკრების დაკომპლექტების დროს. აქ პროცესი მრავალსაფეხურიანია. ჯერ ირჩევენ რამდენიმე საუკეთესო საკლუბო გუნდებს, შემდეგ კი ამ გუნდებიდან რამდენიმე მოთამაშეს. იქმნება ელიტარული ჯგუფი, რომელიც თავის მოთამაშეებს დელეგატებად გაგზავნის და იგი სხვა დანარჩენ გუნდებზე გაცილებით ძლიერი იქნება.

ეს იდეა – დელეგირება – დაიდება საფუძვლად ელიტარული ჯგუფის მესამე მოდელში. ისევ რამოდენიმე ფორმალობა. დავუშვათ, რომ საჭირო მოცულობის ჯგუფი არსებობს და ამ ჯგუფიდან ყოველ ნაბიჯზე გადიან შემთხვევით აღებული (არჩეული) ელემენტების განსაზღვრული რაოდენობა. შევსების პროცედურა წარმოებს ჯგუფის გარეთ – საწყის ერთობლიობაში. ავიღოთ ხოლმე რამდენიმე ელემენტი, მოვახდინოთ მათი რანგირება და საუკეთესო შევიყვანოთ დელეგატებში – ელიტარულ ჯგუფში. გარკვეული ნაბიჯების შემდეგ ჯგუფი შედგება მხოლოდ "დელეგატებისგან" და როდესაც "დელეგატთა ჯაჭვები" საკმაოდ გრძელია გასვლის ნებისმიერი რეჟიმის დროს, შეინარჩუნებს ელიტარულ თვისებებს.

"დელეგირებისა" და „პრეტენდენტ-რეკომენდაციის გამცემს" შორის პრინციპული განსხვავებაა უარის თქმაში შესასვლელი ელემენტების შედარებისას. თეორია გვიჩვენებს, რომ ეს ხერხი იცავს ელიტას დეგრადაციისგან. ელიტარული ჯგუფის მაქსიმალური სარგებლობა, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს დელეგატების გაგზავნის საშუალებით, ძალზე მაღალია, ვიდრე იმ ჯგუფების, რომლებიც მიღებულია (შექმნილია) "გამარგვლის" გზით.

სოციალური ანალოგიების გათვალისწინებით ვაცნობიერებთ, რომ საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა მათი ლოიალობის გაცნობიერებით (სიმკაცრის გარეშე), შევამჩნევთ, რომ "დელეგირების" მოდელი მიახლოვებულია საპარლამენტო წარმომადგენლობებს, პარლამენტარების აუცილებელი ცვლადობის ჩათვლით, რომელიც ტრადიციულად არსებობს რიგ ქვეყნებში. პრინციპი, რომლის თანახმად ხელისუფლების ფუნქციების მატარებელ ჯგუფში ხვდებიან ის პირები, რომლებიც ამორჩეულნი არიან მათ მიერ, ვინც უნდა მართონ ამ პირებმა და არა თანაგუნდელების მიერ, რაც არა მარტო ეფექტურია, არამედ ამყარებს სოციალურ სამართლიანობას.

მე მიმაჩნია, რომ, მაგალითად, აკადემიებია ის ელიტარული ჯგუფები, რომლებშიც ხდება რიგების შევსების პრინციპის "პრეტენდენტი – რეკომენდაციის გამცემის" "დელეგირების" პრინციპით შეცვლა, რამაც შეიძლება განაპირობოს მათი ეფექტურობის მკვეთრი ზრდა. მათში გაწევრიანება, როგორც ცნობილია, სამუდამოა. რადგან ახალი წევრები მიეღებიან არეოფაგში უკვე შესულ წევრებთან შედარების გზით (კენჭისყრა საერთო კრებაზე), მათ ბევრი არაფერი მოეთხოვებათ. მიღების ასეთი სისტემა უდაოა, როდესაც საზოგადოების მთავარი სამეცნიერო ძალები თავმოყრილია აუცილებლად აკადემიაში და მის ფარგლებ გარეთ, უბრალოდ ვერავის შეეძლო პრეტენდენტის შეფასება. ამრიგად გვაქვს ძირეულად განსხვავებული მდგომარეობა. აკადემიის ფარგლებს გარეთ აქტიურად მოღვაწეობს სხვადასხვა სპეციალობის მქონე უამრავი მეცნიერებათა დოქტორი – მედიკოსი, პედაგოგი, ერქიტექტორი, მხატვარი. კონკურსების (დელეგირებულთა ჯაჭვების) მეშვეობით შესაძლებელია "აკადემიკოსების რიგებში დელეგატების" გამოაშკარავება. შესაძლებელია, რომ ეს სისტემა, სხვათა შორის, თავისი უარყოფითი მხარეების მეშვეობით არ დაუშვებდა საზოგადოებრივ სკანდალს, დაკავშირებულს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში გ. ა. ილიზაროვის არჩევასთან!

ელიტარული ჯგუფი – ხროვაა თუ კოალიცია?

თამაშების მათემატიკურ თეორიაში არსებობს ცნება – "ხროვა". ამ ჯგუფში საერთო ინტერესების მქონე თამაშის მონაწილეთა შორის კავშირი არაა წარმართული. ამით "ხროვა" განსხვავდება "კოალიციისაგან" – ეს გამოაშკარავებული, ფორმალურად განსაზღვრული კავშირების მქონე ჯგუფებია. ანალოგიების მერყევ ნიადაგზე დავერყდნობით, შეიძლება ითქვას, რომ "კოალიცია" – საოჯახო ბრიგადაა, ხოლო "ხროვა" – პირფერობით დაქანცულ უფროსის გარშემო ქლესიათა ჯგუფი. გენერალური ერთობლიობიდან გამოყოფილ ელემენტებთა ჯგუფში ყოველთვის წარმოიშობა დამოკიდებულებები. მათი სიღრმე და ხარისხი ბევრად განისაზღვრება იმით, თუ რომელი პროცედურა აყალიბებს და ხელს უწყობის ელიტას.

ისევ მიუბრუნდეთ ადმინისტრაციული სისტემის ნომენკლატურას თავის მექანიზმთან ერთად – "პრეტენდენტი – რეკომენდაციის გამცემი", მხოლოდ უნდა გავითვალისწინოთ მათი ურთიერთკავშირის კიდევ ერთი ასპექტი – პირადი. ა. ბეკას რომანში ხდება მინისტრის პოსტზე დანიშვნა. ონისიმოვი – რეკომენდაციის გამცემია, რომელსაც აწინაურებენ. "ონოსიმოვმა აირჩია ციხონიუ, იმიტომ რომ იგი ნიჭიერია და არამარტო ნიჭიერი, არამედ იგი ყველაზე დამთმობია, მორჩილი ნიჭიერთა შორის. ამიტომ საკადრო ცვლილებების პირველი ციკლი სისტემაში ითვალისწინებს არამარტო საქმეს, არამედ პირად აღმსრულებლობას, თავდადებას, დათმობას. თუმცა სტალინმა თვითონ ონისიმოვი გადაარჩინა რეპრესიებს და დანიშნა იგი სახალხო კომისრად პირადი თავდადების გათვალისწინებით. პირადი აღმსრულებლობა ადმინისტრაციულ სისტემაში პირად თავდადებასთან უშუალო კავშირშია" (გ. პოპოვი).

როგორც ცნობილია, შემდეგი ნაბიჯი გააუარესებს ჯგუფს და როგორც ჩანს, დააგრძელებს მასში არაფორმალური კავშირაბის ჯაჭვს. ხაზს გავუსმევთ: არაფორმალური. ფორმალური კავშირებით ორგანიზებული სისტემა, როგორც პირამიდა ბატონ-პატრონთან ერთად სათავეში ასე მჭიდროდ და გამჭოლად არის გაკერილი. ამ კავშირების მეშვეობით იერარქიულად მოწყობილი ხელმძღვანელობა უნდა გამოიყურებოდეს როგორც კოალიცია, ხოლო მასში ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობს ორი პროცესი – საქმიანი მახასიათლების დეგრადაცია და პირადი ურთიერთდამოკიდებულების გამყარება, რაც ფორმალური კავშირების წალეკვას იწვევს. **შედეგად, თუ ნომენკლატურა ელიტარული აღარ არის, ის გადაიქცევა ხროვად.**

ჩემ თავს მივცემ უფლებას გამოვთქვა ჰიპოთეზა: დეგრადირებული ელიტარული ჯგუფები გადაიქცევიან საკმაოდ მყარ ხროვად და ასრულებენ ევოლუციას. მდგრადობა, როგორც ცნობილია, საერთოდ ახასიათებს უარყოფით უკუკავშირის მქონე სისტემებს. ეს ჰეპოტეზა სოციოლოგების მიერაა შესამოწმებელი. "ძლიერმა" ხროვამ შეიძლება შეაწუხოს უზენაესი ხელისუფლების მეთაურიც (მატარებელი). ა. რიბაკოვის რომანში ზუსტადაა აღნიშნული ის, რომ ოცდაათიანი წლების რეპრესიების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ხელმძღვანელობის მთავარ (საკვანძო) პირებს (ფიგურებს) შორის კავშირების დანგრევა (გაუქმება, დარღვევა), იმ კავშირების, რომლებიც არასასურველი იყო ნებისმიერ მათ გამომჟღავნებაში – გორკომის (საქალაქო კომიტეტის) თავმჯდომარის ლომინაძის და ორჯონიკიძეს შორის სატელეფონო კავშირიდან დაწყებული და მეგობრული გრძნობებით დამთავრებული, რომლებიც აკავშირებდა კიროვს ორჯონიკიძესთან, "ხრახნია" – სწორედ ის იდეალი, რომელსაც უნდა მიუახლოვდეს (დაემსგავსოს) მუშაკი, და არა, ვთქვათ, "ქსელის მცირე კვანძი". ხრახნი ადვილად შეიძლება მოუშვა და შეცვალო. "შეუცვლელი არავინ რჩება!"

ასე აზროვნებდა სტალინი რომანში "არბატის შვილები" ამ ყველაფერთან დაკავშირებით: "აპარატს გააჩნია უძრაობის თვისება, აპარატს, რომელიც შემჭიდროვებულია ხანგრძლივი მრავალწლიანი კავშირებით, ბერკეტი გადაიქცევა მუხრუჭად, მუმიად", "... ეს ძველი კადრები ერთმენეთთან უფრო შეცემენტებულია, უფრო ურთიერთდაკავშირებულია, ისინი ასე მარტივად არ დატოვებენ თავიანთ სავარძლებს, მოგვიწევს მათი მოცილება... ესე იგი, განადგურება".

ისტორიული პარადოქსი: სტალინმა შექმნა სისტემა როგორც პირადი ძალაუფლების ინსტრუმენტი, შემდეგ კი მთელი ცხოვრება ებრძოდა მას და ეშინოდა მისი. ასე რეპრესიების ნაჯახი იყო მიმართული ხალხის წინააღმდეგ – მათ შორის კავშირების მიმართაც. ხალხი ნადგურდებოდა, რადგან ამავდროულად ქრებოდა კავშირები, რომლებითაც ბატონ-პატრონი იყო შეწუხებული. ომის დროს ეს ხერხი მას არარენტაბელურად მოეჩვენა და რეპრესიები დასუსტდა. ომის დამთავრების შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ ჰიდრას ისევ წამოეზარდა თავები ხელისუფლების სხვადასხვა ეშალონაბში, მათ შორის უზენაესშიც. იყო ნაპოვნი ბრწყინვალე გამოსავალი: მე-XIX სხდომაზე პოლიტბიუროდან დაუშვებლად გაძლიერებული თანამოსაზრეთა გაყვანის მაგივრად... იყო გაუქმებული თვით პოლიტბიურო! ტრაგედიის ფინალი ჩვენ ვერ ვნახეთ, რადგან ბელადი გარდაიცვალა...

ბელადი გარდაიცვალა, მაგრამ მისი დანატოვარი (მემკვიდრეობა) აგრძელებდა ფუნქციონირებას. გ. პოპვი წერს: "...არა მარტო ონისიმოვი, არამედ ხრუშოვიც და ყველა ჩვენგანი ვფიქრობდით, რომ ადმინისტრაციული სისტემის პიროვნების კულტის გაუქმებით გადავწყვეტდით ჩვენი მომავლის ყველა პრობლემას. ისტორიული გამოცდილების პოზიციიდან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ასე არაა... სისტემამ გაუძლო, მან ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია რეფორმებს. უშიშრად უნდა ვაღიაროთ, რომ მან გაიმარჯვა და რაღაცით უფრო გაძლიერდა".

დასკვნა

სოციალური გამოცდილება გვიჩვენებს რამოდენიმე ხერხს, რომელიც ხელს უშლის ხროვის შექმნას. **ეს ძირითადათ არჩეული პირების სათავეში ყოფნის უკიდურესი ვადებია, არჩევითი ორგანოების აუცილებელი განახლებაა და ა.შ.** და რას გვპირდება თეორია? ჯერ ერთი არ იქნებოდა ცუდი კიდევ ერთი ასეთი თეორიის შექმნა სოციოლოგების, ეკონომისტების, იურისტების და მათემატიკოსების ერთობლივი ძალებით. ჯერ-ჯერობით არსებობს მხოლოდ რამდენიმე მარტივი მოდელი. მეორეც, მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრინციპში შესაძლებელია ელიტარული ჯგუფების აგება, რომლებიც არ ექვემდებარებიან დეგრადაციას. ეს კი იმედს გვინერგავს.

შენიშვნა:

1. პირველად სტატია იყო გამოქვეყნებული ჟურნალში "ცოდნა–ძალაა".
14.07.2003 14:54 ა.ნ. ეფიმოვი (a.n. efimov @ mtu-net.ru):

ოქროს
სარწმუნისი

ოქროს საწმისი იგივე ოქროს სარწმუნისია, ცოდნის სათავე, ფილოსოფიური ქვა, კირბები მარტივად, კირიბიში — კრავისა. იგი თავის დროზე ტროას ცხენის ფუნქციასაც კი შეასრულებს პროტოიბერიულ საიდუმ- ლოებათა მოხელეთების გზაზე.

საქართველო დროსა და სივრცეში ლუმერული, იგივე ატლანტიდური ცივილიზაციის ერთ-ერთი მემკვიდრე ქვეყანაა, ქურუმთა და მოგვთა სამკვიდრობელი, მარგალების — თიხის ფირფიტებზე ცოდნის, ასო-ნიშანთა დამრგველი ხალხის საყარო, რომლის სიბრძნეს ვეღარაფრით დაუფლებია შორეული აზიიდან მოსული ინდო-ევროპული რასა.

ამისთვისაც ტყუპისცალი და-ძმა, ფრიქსე და ჰელე გრძნეულ, ოქროს მატყლიან ცხვარზე ამხედრდებიან და კოლხეთისკენ გამოეშურებიან. ჰელე გზაში ჯადოსნური ვერძიდან ჩამოვარდება და ზღვაში დაიხრჩობა. ამიტომაც ეწოდება ჰელესპონტი შავ ზღვას, ხოლო ფრიქსეს დიდის პატი- ვით მიიღებენ კოლხები, როგორც ჯადოსნური ტოტემის პატრონს. გრძნეულ ვერძს ჰ ელიოს-ღმერთს შესწირავენ მსხვერპლად, ხორცს თავად ინებებენ, ოქროცურვილ ტყავს კი საკრალურ მუხაზე ჩამოჰკიდებენ, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ დრაკონი იცავს.

ოქროს ვერძი და ტროას ცხენი ამ შემთხვევაში ეკვივალენტური ცნებებია — მოწინააღმდეგის დამარცხების სახსარ-საშუალება, ვერაგობა.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და ახლა ბერძენთა სხვა ნაკადი მოადგება კოლხეთს, რომლებიც ამას წინათ ნაჩუქარი ოქროს ვერძის დაბრუნებას მოითხოვენ. გასაოცარი ფაქტია, ჯერ ძღვნად მიურთმევიათ იგი და ახლა უკან მიაქვთ თავიანთი არმაღანი. მოტივაცია ბუნდოვანია, მაგრამ აქ ამოსაცნობი არაფერია, ვინაიდან ოქროს ვერძის ტყავი სადამწერლობო მასალაა, რომელზეც კოლხები თავიანთ საკრალურ ცოდნას გადაიტანენ, გრძნეული ვერძის ტყავს ოქროს სარწმუნისად, ეტალონად გადააქცევენ — აქამდე არსებული ყოველი ინფორმაციის ბანკად და ბუნებრივია, ასეთ საგანძურს რომელი ხელისუფალი შეელევა, აიეტ მეფემ რომ დათმოს?!

ბერძნები მედეას მეშვეობით მოახერხებენ კოლხეთიდან ოქროს საწმისის **(სარწმუნისის)** გატაცებას, მაგრამ საიდუმლო წერილს წამკითხავი სჭირდები, ხელდასხმული, განდობილი.. აკი ბერძნულ წყაროებში შავით თეთრზე წერია: **ოქროს საწმისი ეს ის კი არ გახლდათ, როგორც აქამდე გვამცნობდნენ, არამედ იგი იყო წიგნი იმის თაობაზე, თუ როგორ მიეღოთ ოქრო და ვერცხლი ქიმიის მეშვეობითო.**

ცოტა მეზობლობაში ოქროს საწმისის მნიშვნელობა უფრო გამქვირვა ლედაა გადმოცემული — **ძველები,** ე.ი. კოლხები **აღმართავდნენ წერილსვეტებს, რომლებზეც სამკუთხა ქვის დაფებს — კირბებს მიაკრავდნენ. მათზე წარწერილი იყო სამოქალაქო და რელიგიური კანონები და მათ ერთობლიობას კირბისი ერქვათ;**

სხვაგან ოქროს საწმისი, კირბები, იგივე **გზათა და ხმელთა მაჩვენებელი ნიშნებია, კარტოგრაფრიის მნიშვნელობის შემცველი იეროგლიფები.**

ყველაფრის გათვალისწინებით, ოქროს საწმისი დაახლოებით ისეთივე სიძლიერის სტრატეგიული იარაღია იმდროინდელი კოლხეთისათვის, როგორც სადღეისოდ — წყალბადის ატომური ბომბი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და გასაგებია, აიეტ-მეფის თავგამოდება მის გადასარჩენად, თუმცა ოქროს საწმისი მოხელეთებულია უკვე ბერძნების მიერ და მათი სწავლულები ამაოდ უკირკიტებენ ზედ წარწერილი ფორმულების გაშიფრვას.

აი, ამ მომენტიდან იწყება კიდეც ტროას ომი. ილიონი, ვილუშა იმდროინდელი ჟღერადობით, ამ შემთხვევაში პროტოიბერიული სივრცეა, რომელსაც დაახლოებით 13 ათასი მაცხოვრებელი იცავს.შემოეწყობა ამ ქალაქ- სახელმწიფოს ბერძენთა 130 ათასიანი ლაშქარიაგამემნონის მეთაურობით და 10 წლის მანძილზე ვერაფერს დააკლებენ, ვინაიდან კოლხური იარაღი იბრძვის იქ — რკინა, ფოლადი — სპილენძის წინააღმდეგ.

ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან, ხალიბეს მხრიდანო, ვკითხულობთ „ილიადაში“. მეექვსე სიმღერაში კი აგამემნონი ჰოროლით განგმირავს ოტებულ, გაქცეულ, გოლიათი ოდიოსს — იგივე ოდოიას. ოდიოსი და ოდოია

იდენტური ფონემებია. „უდუია“ ხომ ცხვარია შუმერულად?! კოლხეთს გააჩნია იმდროინდელი დანარჩენი მსოფლიოს დამთრგუნავი ფოლადი და ოქრო, იმიტომაცაა სიძულვილი დაბალგანვითარებული ხალხებისათვის.

ჰომეროსის პოემის შესატყვისად ხის ცხენის შეგზავნით გაიხსნება ილიონის კარიბჭე და მიმოლეწავენ ბერძნები ჭროტოქარიულ ქალაქ-სახელმწიფოს, მაგრამ ოქროს საწმისის საიდუმლოს გასაღები მაინც ვერაფრით იპოვნება. არავინ უწყის ამის თაობაზე: არც ჭრიამოს მეფემ, არც — მედეამ, თვით აიეტმაც კი. ამისი ყველა ძაფი და მარჭვალი თავს იყრის უმთავრეს ქურუმ ამირანთან, იგივე ჭრომეთესთან თუ არამხუტუსთან. და აი, ამდენი შემოლვლილი ზიგ-ზაგის შემდეგ, ბერძნები მოულოდნელად მოულმობიერდებიან კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ მისანს, რომელსაც დღემისწრება ზევსის არწივი უკორტნიდა ღვიძლს; რომელსაც, როგორც კი ჯაჭვი შეუთხელდებოდა, საკუთარი მჭედლები ახალს მოარგებდნენ, რამეთუ მათი მესია — ჭრომეთე სრული ინფორმაციული ბანკის ერთადერთი მფლობელია მთელს სამზეოში. იციან ამის თაობაზე ბერძნებმა და ჭერაკლეს მეშვეობით მონობის ჯაჭვისაგან ახსნიან კიდეც ამირანს, რის შემდეგ მითოლოგია შემაძრწუნებლად დუმს. საგარაუდებელია, რომ ჭრომეთე არ გასცემს ატლან- ტიდელების, იგივე ლუმერული ცივილიზაციის საკრალურ სიბრძნეს, ვინაიდან უბირს, დაბალი განვითარების რასას არ უნდა მიეცეს ღვთაებრივი ცოდნა (იარაღი), რათა მისი მოხმარების უცოდი ნარმა არ დააქციოს ქვეყნიერება .მაინც რა საიდუმლოებაზე საუბარი?!

ამისავალი პუნქტი გენიალური ებრაელების დრომაზე გამოსახ- ული დავითის ვასკვლავია — ორი სამკუთხედის შეპირაპირებით მიღებული ექვსქიმიანი გეომეტრიული სხეული, იგივე სრულყოფილი ადამიანის სიმბოლო. ეს იდეალი სკულპტურულად პირამიდაშია არეკლილი; კალენდრულად — მაიას ცივილიზაციის ცოლკინში; პალეოგრაფიულად — ჭროტოიბერიულ კირბისში — ოქროს საწმისსა და ასომთავრულში; კირბი პირამიდის მეოთხედია, 25 ჭროცენტი. მხოლო 4 კირბის ერთობლიობა კრავს პირამიდას, ანუ სრულფასოვან უფალს.

ცოდნა იმის თაობაზე, თუ რატომ შედგება ადამიანის ტვინის ნეირონები წესიერი ექვსკუთხედების — სექსტაგონების ბადისაგან, ან რისთვის ენათესავება ალნაგობით იგი ფუტკრის ფიქას, სამარეში ჩაუტანია ჭრომეთე-ამირან-არამხუტუ-აბრსკილ-ნასრენ ყაჩეს.

ჩვენი ამოცანაა გავაცხოველოთ ცივილური მოსფლიოს ყურადღება და ვიზუალური მასალების შემოშველიებით: ადამიანის ნუშტის ხარის ტყავში გახვევა, ნორჩი ხის მოდრეკა და ზედ ჩამოკიდება — ღვთაება მზისადმი ძეხორციელის მიძღვნის იმიტაცია; ფაზის-ქალაქში ტიმ სევერინის „არგოს“ ზღვაში ჩაშვების კადრები; ეგვიპტის პირამიდები, ტორნადო; სიმღერა „ოდოია“ და მისი სტრუქტურული ანალიზი: გემზე წევს დაჭრილი ოდოია და ამ საგალობლის ფონზე მოჩანს სამჭედლოები, გავარვარებული ორპირა ცულები, მათი შიშინი წყლით სავსე გობებში, მათი ელვარება ხელჩართულ ბრძოლებში. ოროტრიალის კადრებს ნელინელ შრომის ამსახველი სურათები ენაცვლება — იმავე სამჭედლოში სხვა თაობა წალდს, ნაჯახს და თოხს კვერავს; გამარგვლის, მოროდის სცენა. ომის სიმღერა თანდათან შრომის ჰეროიკაში ტრანსფორმირდება; ჩილეს ცოლკინის ფირფიტა, რომელიც დავითის ვარსკვლავის ვიზუალური იერ- სახეა, იგივე გენის სტრუქტურა, 7-ისა და 13-ის ერთობლიობა, 260 ელემენტის კრებითობა.

ფილმი შეეცდება ცოლკინის, დავითის ვარსკვლავის, პირამიდის, ოქროს საწმის-სარწმუნისის — კირბისის ერთობლიობით სულისშემძვრელად აღადგიონოს ლუმერული ცივილიზაციის ფასეულობანი, რომელიც 12 ათასი წლის წინათ ერთ ღამეში დაქვესკნელებულა დედამიწაზე მომხდარი კატასტროფით, როცა ასტეროიდი დაცემია პლანეტას ჩვენსას და მისი ღერძი 38 გრადუსით გადახრილა.

ეს ყველაფერი ასახულია ნოეს კიდობანის პარამეტრებში — 144 X 24 X 14, 4 (სიგრძე — 300 წყრთა, სიგანე — 24, სიმაღლე — 30 წყრთა ტოლია 48 სანტიმეტრის) უდრის 49 766,4 : 13 = **38 28, 18 461538** და მიანიშნებს დედამიწელების გარდახდილი ტრაგედიის ასტრონომიულ სურათს, რომელიც ბიბლიაში წარღვნის სახითაა გაფორმებული.

ქართული ცის ნოსტალგია

ცასთან, ცაბაოთთან, უფალთან მე უფრო ადრე მივალ, ვიდე ტერენტი გრანელს წავიკითხავდე, ან ბატონ ვაჟა თორდიას გავიც ნობდე ზუგდიდ-ქალაქში — დიდედა-პაპა ხალხური პრეზიის გამოუსწორებელი სალარონი მყვანან და იმათგან მოვისმენ პირველად შემდგომ ტოგო გუდავას წიგნებიდან ამოკითხულს:

ბაჟა დიდა რე ჩქიმი,
თუთა — მუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხ ეფი —
და დო ჯიმა ჩქიმი.

ეზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამა ჩემი,
საგსე-საგსე ვარსკვლავები —
და და ძმაა ჩემი —

არა, არანაირად მასვენებს ბატონ ვაჟა თორდიას შემწეობით ქართული სულიერების ამსახველი წიგნის შექმნის იდეა. ვისი მეშვეობით არ დავუტრიალდები ხელმწიფის ტოლ კაცს: ხან ბატონ ოთარ ფაცაციას წავიძღოლიებ პროტექტორად, ხანაც — მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს ვიმეგზურებ ზურგის ქარად, მაგრამ ჩემს მიზანსწრაფულობას ყოველთვის გამოუჩნდება რაღაც გადაულახავი ბარიერი.

ამასობაში მე ქართული ცის ნოსტალგიაზე რომანს გავასრულებ. „სიცოცხლემისჯილების“ პირველ წიგნში მეგრულ ფოლკლორში შემონახულ ფრაზას ავიტაცებ ლოცმანად — **ბუტუტია თიმწკუმა დინუ, მუჟამს ფსუა ქაჩანუ, მარა უფსუალეთ უღურალა მიქ თქუ** — ჭიანჭველა მაშინ იღუპება, როცა ფრთა გამოუვა, მაგრამ უფრთებოდ უკვდავება ვინა თქვა?! — გავასრულებ ტრილოგიის პირველ წიგნს, თუმცა ცასთან შეხების რეალური შანსი კვლავაც იგვიანებს.

მე თანდათან ვუღრმავდები „თბილავიამშენის“ ცხოვრებას, უკვე ჩემთვის ცასავით ნათელია ამ შეუდარებელი კოლექტივის საგინესო მონაცემები — ისინი მართლაცდა დაუჯერებელ ტემპში მოახერხებენ ტრიალ მინდორზე თანამედროვე მოთხოვნილების შესატყვისი ქარხნის აღმოცენებას — 20 დღეში. დამხმარე სამეურნეო ნაგებობას 27 დღე-ღამეში გაართმევენ თავს. აქ დღე-ღამეს შემთხვევით ვახსენებ, ვინაიდან ქართველი ავიამშენებლებისთვის მნიშვნელობა დაეკარგება ნათელი და ბნელის მონაცვლეობის კოსმოსურ გაგებას. აქ ყველაფერს მოახლოებული საფრთხის — გერმანული ფაშიზმის აჩრდილი თანგავს გადარჩენის იმპულსით. და 1941 წლის სასრულს 30 თვიმფრინავი ჩაებმება ხელჩართულ ბრძოლაში. აი, ნამდვილი ფრთოსანი ჭიანჭველები! ავიამშენებლების სიამაყე მაინც **CY**- 25-ია. სწორედ ეს ტექნოლოგიური და კონსტრუქციული სრულყო ფილება გახდება საერთაშორისო სერთიფიკატის — **ENISO**-9001 მინიჭების გარანტი. უფრო ა დრე კი — ზებგერითი ფრთოსანი რაკეტების — **K**-10 სერიული წარმოება ჩააფიქრებს ავიაციურ მსოფლიოს..

ამასობაში ჩემ წინ უამრავზე უამრავი მონაცემი დალაგდება საანალიზოდ — ქართველი ასტროფიზიკოსების თუ ეზოტერიკების მრავლისმეტყველი შემოქმედება.

ჰამლეტ წულაიას წლების მაინძილზე უმუშავია კოსმონავტების ქალაქ ბაიკანურში და მართლაც რომ იშვიათი მუხტის წიგნს გვისახსოვრებს — „სად ვეძებოთ წარღვნით ჩაძირული ნოეს კიდობანი“. აქ განსაკუთრებულია წარღვნის ბიბლიური სურათის მეცნიერული დასაბუთება, თითქოს დედამიწას ასტეროიდი დასცემია რამდენიმე ათასწლეულის წინათ და მისი ღერძი 38 გრადუსით გადახრილა. აქვე გავეცნობით მაიას ტომის კალენდარს — **„ცოლკინს“** მეტეროლოგიური ნიუანსებით. მაგრამ ჩემი მაძიებლური სული არ დასჯერდება მეცნიერულ წიაღსვლებს და ჯიუტად გავაგრძელებ ნოეს კიდობნის პარამეტრებით მისი ყოფნა-არყოფნის დამტკიცებას.

ბიბლიის მიხედვით კიდობანის სიგრძე 300 წყრთაა , სიგანე — 50 და სიმაღლე — 30, რაც საბოლოო ჯამში ამისთანა არითმეტიკულ ნამრავლს გააცხადებს:

144 X 24 X 14,4 = 38 28 1, 8 64 1357

ნამუსიანად გავლილ 70 წელიწადს
ვუდღეგრძელებთ ქართული ავიაციის პატრიარქს,
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს,
სს „თბილავიამშენის“ საერთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარეს, ბატონ ვაჟა თორდიას,
იმ რწმენით, რომ მის საერთოებლო – ლუხუმს –
უეჭველად ელირსება ლაშარის გორზე შადგომა

ანუ უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ეს პარამეტრები დედამიწაზე მომხდარი რაღაც კატასტროფის ჩაწერის ეზოტერიკა უფროა და შესაძლოა ნოეს კიდებანი საერთოდ არც აგებულა. ანუ ასტეროიდის დაცემამ დედწამიწის ღერძი ჯერ 38 გრადუსით გადახარა, დროთა ვითარებაში ეს ტრავმა 28 გრადუსამდე შემცირდება, როგორც ამჯერადაა სინამდვილეში და საბოლოოდ იგი 1,8 პროცენტამდე აღიდგენს თავდაპირველ მდგომარეობას. აი, ამისთანა ჰიპოთეზებს ვეჯაჯგურები და არავინ მყავს ახლომახლო პიროვნება, ვისაც დილეტანტურ დაკვირვებათა ლეგიონებს გულისფანცქალით გავუზიარებდე.

,,თბილავიამშენში'' მეშვიდე, მეცამეტე თუ მეერგასე მისვლა ყოველთვის ტატაიანა ივანოვნას თაფლნარევი ხმით სრულდება :

„უცხოელი სტუმრები ჰყავას, მოგვიანებით გამოიარეთ, გეთაყვა“;

ან

„აშხაბადშია და ორ-სამ დღეში შემოიარეთ, ძვირფასო“;

ან კიდევ

„ბატონი ვაჟა ამერიკაში გახლავთ საშსახურეობრივი საქმეებისათვის, დარეკეთ, მოგვიანებით, საყვარელო“.

ეს რუსული აქცენტები მზესავით მუსრავს მამა დედალოსის მიერ ფაეტონის მხრებზე გამოსხმულ ცვილის ფრთებს, მაგრამ ნათქვამია, თავს ზემოთ ძალა არ არისო და შედარებით საფუძვლიან საუბარს ბატონ ვაჟა თორდიასთან ვერაფრით ვეღირსები. კოსმოლოგიური შინაარსის წიგნზე მსჯელობა ხომ მთლად ფუფუნების თემაა ტატიანა ივანოვნას ყაზარმული წესრიგით გათანგულისათვის.

ჩემი სული კი არაფრით ცხრება ეზოტერიკული სფეროების კვლევის გზაზე. უკვე ცოლკინის ხულიო არგუელის თუ აკადემიკოს დვორინისეული ინტერპრეტაციები სასაცილოდაც არ მყოფნის, ვინაიდან მივხვდები, რომ ამ ტრაგიკული ხალხის შემოქმედებაში კალენდარს მიღმა რაღაც ასტრალური, რაღაც არამიწიერი სიბრძნე, ცოდნა იდუმალებს.

მე იმთავითვე ვიაზრებ, რომ 7-ის და 13-ის საკრალურობით მაიას ტომი ქმნიის რაღაც ზეკოსმოსურ ენერგიას, რომლის სიხშირეები წიბოთი მიწისკენ მიმართულ 2 სამკუთხედს განასახიერებს. საერთოდ სამკუთხედი ცნობლია, როგორც ადამიანის სიმბოლო. მზისგან წამოსული ენერგია დედამიწაზე ფიზიკურად კონუსის ფორმით აღწევს ვიზუალურად, რაც ეზოტერიკულად გეომეტრიული სხეულით — სამკუთხედით გამოიხატება . ეს პირველი ფაზაა ანუ სიცოცხლის ჩასახვ-განვითარების მონაკვეთი. ხოლო, როდესაც **Homo sapiens**-ი მიაღწევს ცნობიერ საფეხურს, იგი ამ ციდან დაშვებულის სამკუთხედის სარკისებური ანარეკლით იწყებს სიცოცხლის მომნიჭებელი ძალისკენ სწრაფვას და ამ პროცესში ორი სამკუთხედის გადაკვეთის შედეგად ვღებულობთ დავითის ვარსკვლავს, დღესდღეობით ისრაელის სახელმწიფო დროშაზე რომაა გამოსახული სრულყოფილი ადამიანის სიმბოლოდ.

დარწმუნებული ვარ ყველა საიდუმლოს ცხრაკლიტული **ცოლკინის** პერიოდებშია მოცემული. აქ მახვილი თვალი ადვილად იპოვის ადამიანის პარამეტრებს. ცენტრალური ხაზი, რომელიც უფლისეული წონასწორობის გზაა, 140 ერთეულს მოითვლის, ხოლო მარცხენა — 139 და მარჯვენა — 141. ერთგან ნაკლებობაა, მეორეგან — მეტობა, ანუ თვალშისაცემი დისჰარმონია. აქ, ამ სურათის მიხედვით, ერთხელ და სამუდამროდ დაფიქსირებულა ადამიანში რეალურად არსებული ასიმეტრიულობა. მეტიც, ცოლკინის საკრალურ სივრცეში ჩაკრისტალებულია ენერგეტიკის ფორმულაც, რომლის გაშიფვრა მომავლი თაობის საქმეა, მაგრამ ჩვენთვის გაცხადებული საკმარისზე მეტიცაა.

ამასობაში სხვა განზომილებასაც მოეფინება ნათელი — ბატონი ვაჟა თორდია თურმე რუსეთის კოსმონავტიკის აკადემიის საპატიო წევრია. **ღურუშ წამალ ოლაფარეს ელაჩანდ ვოუჩქუდეს ვარავა** — უკვდავების წამალი ლაფაროსთან, ყურისძირას ხარობდა, არ იცოდნენ თორემო, თუმცა გოჯისხელასაც ვერ დავაცდენინებ ჩვენი სამომავლო წიგნის სასარგებლოდ. მეტყვის მხოლოდ ორაზროვან ფრაზას — **საწინააღმდეგო არაფერი შაქვს, დავუცადოთ მომავალსო** და რაღას გავაწყობ ჩრდილოეთელი პრიმადონა ტატაიანა ივანოვნას სამდივნოს პატრონი?!

ისევ ჰომეროსის სამყაროს სიღრმეებს მივაჩერდები. ბერძნულ მითებს, ოქროს საწმისის ეზოტერიკას და აქ ერთ შეურყეველ შეხედულებამდე მივალ: **კოლხები მართლაც მზის შვილები ვართ. შეშთხვევით არ დაგვასახელებს ბერძნული მითოლოგია ჰელიოსის შთამომავლებად. კოლხურში კოსმოსური სივრცის მნიშვნელობის ინფორმაციაა შენახული წმინდა წერილებში, რომლებიც დროთა ვითარებაში განადგურდება, დაიწვება, დასახიჩრდება, გაიძარცვება და ოდესღაც უფლის ენაზე მოსაუბრე ჩვენი თვისტომი, სალოცავ გვიმრის ხესავით გიგანტი და ცადატყორცნილი, იქამდე დაჩიავდება, იქამდე დაკნინდება, იქამდე გადაშენდება, რომ სავალალოდ აწ ცელითაც ითიბება.**

არადა, ტროას ცხენს ბერძნები კოლხეთში გაცილებით ადრე შეაგზავნიან, ვიდრე ამას ილიონის კარიბჭეში შესაღწევად მოიაზრებდნენ:

ოქროს ვერძი ბერძნული წარმომავლობისაა. იგი გრძნეულია ამავდროულად და მფრინავიც. შეასხდებიან მის მოსირმულ ზურგს ტყუპისცალი და-ძმა — **ჰელე** და **ფრიქსე** და კოლხეთისაკენ

გამოეშურებიან. ჰელე გზაში ვერძიდან ჩამოვარდება და ზღვაში დაიხრჩობა. ამისთვისაც ეწოდება ამ ზღვას ჰელესპონტი. ფრიქსე კი გამოაღწევს ნაპირზე და გრძნეულ ვერძს აიეტ მეფეს უსახსოვრებს. გაიხარებენ საჩუქრით კოლხები. გრძნეულ ვერძს უმაღლეს ღვთაებას — **ჰელიოსს** შესწირავენ მსხ!ვერპლად. ხორცს შეტრუსავენ და თავად ინებებენ, ხოლო ოქროცურვილ ტყავს სალოცავ მუხაზე ჩამოჰკიდებენ, რომელსაც დრაკონი იცავს ზამთარ- ზაფხულ. ამისთანა საჩუქრით ხელდამშვენებულ ფრიქსეს გულში ჩაიხუტებს აიეტის სამეფო კარი და ასულსაც მიართმევენ საცოლედ. მოკლედ, გაიჩარხება საქმე, თუმცა გაივლის სულ რაღაც ორი ათეული წელიწადი და ბერძენთა ახალი ნაკადი ჩამოლაგდება კოლხეთში იასონის მეთაურობით, ოღონდ განსხვავებულია მისია — ოქროს საწმისის წასაღებად მობრძა- ნებულან. გაოგნებულია აიეტ- მეფე. ან ჩუქება რა იყო, ან წართმევა რა ბედენაა?! მოკლედ, არაფრით ეთმობა ოქროცურვილი ვერძის ტყავი — ოქროს საწმისად რომ მონათლულა აწ, ოქროს სარწმუნისად. თუმცა ჩაწვრილმანებას მოვერიდებით და გავაცხადებთ ვარაუდს, რომლის მიხედვით, გაუგებარია ჩვენთვის აიეტ-მეფის წუწურაქობა. რატომ, რის გამო, რის გულისათვის არ ეთმობა ბერძნების მიერ ნასახსოვრები ნივთი?! ისეთი რა საკრალურობა გააჩნია ოქროს საწმისს, რომ ვერაფრით გაუმეტებია ჰელიოსის შთამომავალს?! დიახაც, საქმე აქ არის, მეგობრებო, ოქროს საწმისი ამ შემთხვევაში პირველი ტროას ცხენია კოლხურ სამყაროში შეგზავნილი ზედ გადატანილი საიდუმლოების მოსა- პოვებლად, ოქროს საწმისი ხომ უკვე ეტალონის მნიშვნელობისაა, სამყაროს ანიაგანის საზომი და ამისთვისაც არ ეთმობა კოლხეთს მამათა და პაპათაგან ნაწერი წმინდა წერილების გახსნა უბირი, დაბალგანვითარებული გრეკისათვის. თუმცა მედეას შემწეობით მოიპარავენ ბერძნები ოქროს საწმისს და მთელი უბედურებებიც მას აქეთ დატრიალდება, რამეთუ წმინდა წერილებს, ქურუმების მიერ შესრულებულთ, წამკითხავი სჭირდება, იგივე ხელდასხმული, რომელიც ბერძნულ სამყაროში არ იძებნება, თუმცა კი მედეაც ახლავთ. და დაიწყება ტროას ათწლიანი ომი ამ ოქროს საწმისის გასაღების საპოვნელად — უშედეგოდ მიმოლეწავენ ილიონის კედლებს გრეკები. ოქროს საწმისის საიდუმლოს გასაღები, შიფრი, არსად იძებნება ტროაში და მხოლოდ ახლა, ამდენი სისხლისღვრისა და ორომტრიალის შემდეგ გაახსენდებათ ბერძნებს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანი, გაახსენდებათ კოლხების უმთავრესი ქურუმი, იაპეტოსის ძე, იგივე ნოეს შვილიშვილი. გაახსენდებათ და ნახევრად კოლხი ჰერაკლე მოკლავს მის ღვიძლს შემოჩვეულ ზევსის არწივს, ახსნის მონობის ჯაჭვისაგან. მაგრამ რატომ? რისთვის? რა დამსახურების გამო ისევ უცნობია. ღმერთებისათვის წართმეული ცეცხლი ხომ კვლავაც ხალხშია ჩამოთესლილი და უკან არ მიუბრუნებიათ ჯერეთ. რა დამსახურების გამო უნდა აიხსნას მონობის ჯაჭვისაგან ჩვენი ამირანი, იგივე არამხუტუ, პრომეთე ზოგადად?! აქ ჰერაკლეს ქმედებას მოტივაცია არ გააჩნია. და პასუხი კვლავაც ცალსახაა — ოქროს საწმისი! დიახ, ოქროს საწმისის საიდუმლო ფაილების ყველა კლიტე ამირანის ხელთაა, მაგრამ როგორც პირუთველი ისტორია გვკარნახობს დაბალგანვითარებული გრეკი ვერ ეღირსება მათ ხელდასხმული ადამიანისაგან. ასეთი და ამგვარია ჩვენეული ინტერპრეტაცია ოქროს აწმისის, იგივე კირბების, საკრალურობის თაობაზე.

ბატონ ვაჟა თორდიასთან მიმოსვლებს კვლავაც ვაგრძელებ ჩვეული გულმოდგინებით, კვლავაც მიხერხდება ეფემერული შეხვედრები ამ მართლაცდა უნიკალური ბიოგრაფიის ადამიანთან, რომელიც ქართული ავიატორული ხელოვნების ნიუანსებს თავისთავში აერთიანებს ზემოთ ხსენებულ ამირანივით, იგივე პრომეთეს მსგავსად, არამხუტუს ტოლფასად კოლხური მითოლოგიიდან. ჩვენ ფრაგმენტულად, ზოგჯერ ხელშესახებადაც ვიმსჯელებთ ბერძნულ-ქართულ მითოლოგიაზე, ქართული ავიაციის პრობლემებზე, მის პერსპექტივებზე, ხვალინდელ დღეზე საიერთოდ, მაგრამ კვლავაც ზერელობაა, კვლავაც ზედმეტი სიფრთხილეა ჩემი პერსონის მისამართით.

გური ოტობაიას დილეტანტური ინფორმაციის ბანკი კი წვეთ-წვეთობით ივსება რაღაც ახლის დასასადგურებლად, რაღაც ახლის გასაცხადებლად. არაფრით ვეხსნები გენეტიკას, ანთროპოლოგიას, ფიზიკისა და ქიმიის ურთულეს შრეებს. აბასთუმნის ობსერვატორიას თავსტრიალებ თავზე. იქ ჩემი თანაოტობაიელი ოთარ კვარაცხელია ცის კარს გამიხსნის ვარსკლავთა ნომლეულის სამწყემსად. უკვე მზი სისტემის შემოგარენს მშობლიურ ეზო-კარივით მოვუშინაურდები. უკვე ცასავით ნათელი შეიქმნება ჩემთვის მზის ენერგიის მიერ დედამიწაზე განხორციელებული სიცოცხლის ავანჩავანი. უფრო მასშტაბურს ვეჭიდები, ვინემ უბრალოდ ავიატორული ნიუანსებია. არ ვჯერდები „ქიმინოსა“ და „შერეკილების“ გაბარიტებს. სხვა სფეროში გადანაცვლება მომგუნებია, რომლის მიხედვით თამამად გადასერავ ატმოსფეროს, იონისფეროს, სტრატოსფეროს, გაიჭრები უჰაერო სივრცეში, რათა გაგარინივით აღტაცებით შესძახო დედამიწის სილამაზით მონუხულმა: ЧУДЕСЕН! ეს ბედისწერაა, ჩემი ნებისყოფის ერთგვარი გამოცდა და აღარც მე ვუძალიანდები მოვლენების განვითარებას.

თანდათან ვუმეგობრდები ბატონ ვაჟა თორდიას ჯალაბს. ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი ხელდას- ხმისათვის გაიშეტებს ჩემს ბორგნეულ თხემს. აქა-იქ შალვას გავესაუბრები ცხოვრებისეულ ნიუან- სებზე ნონა თორდხეს შესაჭეობის ფონზე. გავეთამაშები ოქროსფერ სანდრიკას. ოფიციალურ შეხვედრებზე

გავუცვლი ფრაზას ქართული ავიაციის ქურუმს, ეგ არის და ეგ. მერე საპარლამენტო არჩევნების ბაკქანალია ააბარბანჯებს სრულიად საქართველოს. აქაც კოლხური წონასწორობით გამოჩეულია ჩვენი იუბილარი, არ აჭყვება ახალგაზრდულ გამოწვევებს, ღირსე- ულად დააღწევს თავს სცილას და ქარიბდას. მერე და „ვარდების რევოლუციის“ ცუნამი მირეჯგვ-მორეჯგვავს მეძლექეთს ჩვენსას და ადრე წითელი დირექტორობით დაწუნებულ ავიატორს უხილავი რიფეები დახვდება გაშლილ ზღვაში, თუმცა სანთელ-საკმეველი თავის გზა-სავალს უპრობლემოდ გაიგნებს და ამერიკული „ბოინგებისკენ“ თუ ბეიკერის ფონდისკენ მიმავალ თემშარას წინ ვეღარაფერი აღუდგება.

მე ჩემი ლელო სისხლს ძალუმად გაგმოწოვს აქეთ. როგორღაც ჟურნალ „კირბისის“ პირველ ნომერს გავამზადებ საპუბლიკაციოდ. ამიერიდან ბატონი ვაჟა და მისი „ავიამშენი“ ჩვენი თანამოსაგრეა. ჩვენი მიზნები ნელინელ უახლოვდება ერთმანეთს — რადაც დაგვიჯდეს უკანასკნელი ენერგიის გაღეებით მოვახდინოთ ქართული სულიერების რეალური სივრცეების დაფიქსირება, მოვახდინოთ ქართული ფენომენის მოძიება ამ გადაბურუსებულ ოკეანეში, დავიბრუნოთ ის რეგალიები და სივრცეები, რომელსაც 6000, 4000 წლის წინათ ქართველი, კოლხი ჩინებულად ართმევდა თავს, ვიდრე მზის შვილად იწოდებოდა და მზის კანონებით უხდებოდა ცხოვრება.

ქართული ფენომენის უმთავრესი ზოგადკაცობრიული მონაპოვარი საკუთრივ მისი ანთროპო- ლოგიური მონაცემებია. ჩვენმა ქურუმებმა, დიახაც, აქ, ადამიანის კორპუსში, სხეულში მოახდინეს მთელი საიდუმლოებების კოდირება. ადამიანი, რონორც ასეთი, ასიმეტრიული მოაზროვნე არსებაა, და მის გასაწონასწორებლად უწინარესად შემოშველიებულ იქნა ბგერა, სიმღერა, რომელიც ხორხის ოგების მუსუკულატურით ახერხებდა წინარე ჯირკვლების დარეგულირებას. მეტიც ამ მეთოდით ხერხდებოდა აშლილობებით გაწამებული „ჰომო საპიენსის“ გაწონასწორება. ეს უმთავრესი, მაგრამ ჩვენი ქურუმები სხვა მრავალ ფასეულობას დაანათლიდნენ ჩვენს ეთნოსს და უიწინარესად ეს გახლდათ ქორწინების ინსტიტუტით, ანუ შორი შეჯვარებებით სრულყოფილი გენოტიპის ჩამოყალიბება. ამას ერთიანად ამაგრებდა რაციონის მიღების წესი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბოსტნეულს, ცოცხალ კულინარიას ნახშირწყლებისა და ვიტამინების სიმრავლით. ჩვენ ხომ გეორგი- ანელებად გვცნო მთელმა მსოფლიომ, ანუ ერთ ადგილზე და ერთ ტაფაზე მოსახრაკად გამეტებული სხეულად.

ებრაელი, ყებერი, ოგივე ურია, მარადიულ ხეტიალ შია დღემოსწრება. ეს მოძრაობა, ეს გამუდმებული მიმოსვლები, წესია მისი სულის უკვდავებისა. ამიტომაც არ ეკიდება ხავსი ებრაელს დაგორებული ქვის მსგავსად. ამ ხეტიალებში ებრაელი ფუტკრის თვისებით საუკუთეკსო ნექტარს ამოსწუწნის მინდვრის ყვავილებივით მორთმეულ მსოფლიოს და გაისაკუთრებს ხოლმე. ამიტომაც არის მის გენებში ახლო ქორწინებებით დამაგრებული გენური ნიშან-თვისებათა მთელი სპექტრი. გენეტიკის ავანჩავანი ებრაელს ფრიად მოეკითხება. გავიხსენოთ ეშმაკობით გამორჩეული იაკობი , რომელიც ლია და რახელის მამას ცარიელზე დასტოვებს, ოდეს დოლის პირას მიმდგარ ფარას ჭრელი ჯოხებიანი გობიდან დააშწყურვალებს და თეთრის ნაცვლად სულ დაფორაჯებულ ცხვარს აღმოუცენებს უმადურ სიმამრს.. გენეტიკის ნიუანსები მართლაც ახლობელია ებრაელისათვის, მან ჩინებულად უწყის ახლო ქაორწინებების დეპრესიები, მაგრამ ეს აუცილებლობითაა ნაკარნახევი. მიწაზე მკვიდრი ქართველისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა შორი ქორწინებები, აუტბრინდინგი; ხოლო მოხეტიალე ებრაელისათვის — ინბრინდინგი — ახლო ქორწინებები, რითაც მოსეს ერი მინიატურულ, მიკროსკოპულ მაშულს ქმნის საქართველოს მსგავსად. ამიტომაც ებრაელი და ქართველი ერთმანეთის სარკისებური წაკითხვაა. აქ მნიშვნელობა არა აქვს რომელია დაღმა მსწრაფველი სამკუთხედი და რომელი — აღმა ძლტოლველი, მთავარი ის გახლავთ, რომ ერთიცა და მეორეც შინაგანი ინდივიდუალიზმით ურთიერთ შეპირაპირებულია, ოგივე დავითის ვარსკვლავი — სრულყოფილების სიმბოლო. ცალკე აღებული ებრაელი კოჭლია. ცალკე ა ღებული ქართველი ნაკლულია, ისინი მხოლოდ და მხოლოდ მთლიანობაში ახდენენ სასწაულებს, ანუ შემოსავენ სიმთვრალის ჟამს განშიშვლებულ მამას — ნოეს. ეს მისტიკა თანდათან გვეხმიება ბატონი ვაჟა თორდიას „ავიამშენში“ მიმოსვლისას.

სხვანაირი ახსნა საცოდაობაა კაცის ფენომენისათვის. სხვანაირი საზრისი დამამცირებელია უფლის ხატად და სახედ მიჩნეული ძეხორციელისათვის. მე დღითი დღე მივდივარ გამოცდილებასთან, რომლის მთავარ ორიენტირი საქართველოში ასტრონომიული მუხტის შემცველი სკოლის, აკადემიის ჩამოყალიბაა. სააქმისოდ ყველა მონაცემი დალაგებულა ჩვენს წინარე: ჩვენ ვართ პოლიფონიური საგალობლების შემოქმედნი, ასე რომ, კოსმოსში შემთხვევით არ ხეტიალობს ჩვენი „ჩაკრულო“ სრულყოფილების ნიმუშად და ეტალონად; ფოადს ვადნობდით და ოქროს მოვიპოვებდით ჰომეროსის რწმუნებით; ჩვენ ვუწესებდით იატროგენულ მოვლენებს მედიკამენტებს ჰეკატეს ბაღიდან; ჩვენ მოგვყავდა ზანდური და ვამრავლებდით ალაწოდა რქებიან ხარებს; ჩვენ ვასაიდუმლოებდით თიხის ფირფიტებზე ასომთავრულით ბუნების კანონზომიერებებს პრომეთე- ამირანის სწავლებით; ამიტომაც დარქმევია მეგრელს „მარგალი“, ანუ თიხაზე კოსმოსური სიბრძნის დამრგველი ეთნოსის, მწიგნობარი ხალხის სახელი. ამიტომაც დარქმევია ქართველს „ქართი“, ოგივე

შარავანდედიანი, ციდან ჩამოსული ხელისუფლების მემკვიდრე; არ არის ეს განცხადებანი როყიო, ან ტრაბახით გათანგული კაცის ბოდვა, ყოველივე ჩვენი ბუნება-ხასიათის გულდასმითი კვლევის შედეგია. ჩვენ მყარად გვიხშობდნენ ათწლეულების მანძილზე კოსმანავტების ქალაქის — ბაიკანურის კარიბჭეს. ვინმე ელიავა ყოფილა იქ გაგარინისა და ტიტოვის კოლეგა, მაგრამ ქართულმა წარმომავლობამ ხელი შეუშალა მის შეუფერხებელ გაღწევას კოსმოსურ სივრცეში;

ბატონი ვაჟა თორდია რუსეთის კომონავტიკის აკადემიის საპატიო წევრია, მაგრამ ხელს რა გვიშლის ივივე აკადემიის წევრი გავხდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში?! დაგვიწუნებენ ერთგან?! გზა გაგვეხსნება სხვაგნით! მით უფრო, როცა სააქისოდ ყველა პირობა შემზადებულ-მომწიფებულია: **„...ქარხანაში იქმნება საფრენოსნო ცენტრი, როგორც მოყვარულთათვის, ისე პროფესიონალი მფრინავებისათვის.“** აქ მცირეოდენი კორექტივებია აზროვნების მოდელში შესატანი და ყველა კომპონენტი თავის ადგილას დალაგდება: **იქმნება კოსმონავტიკის ცენტრი-თქო** და მორჩენილია საქმე. კოსმოსის კვლევის წინაპირობაა აბასთუმანის სახელოვანი ობსერვატორია; ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილის კოსმოსური ანტენა; ამისი გარანტიაა ისრაელის საავიაციო ფირმებთან **„ELBIT“** და ,,TLGAD“-თან გალარული გზები; ამისი გარანტიაა საბაზრო ეკონომიკის მიუკერძოებელი ბუნება, რომელიც ეროვნულ პარტიკულარულ ინტერესებს გამორიცხავს არენიდან და ზოგადკაცობრიულ თვისებებს ანიჭებს უპირატესობას; ამისი გარანტიაა ბატონ ვაჟა თორდიას ნამუსიანად გავლილი საბოცდაათი წელიწადი, კვლავაც ვერცხლის- წყლის დაუდგრომლობრით რომ გადასწვდება კონტინენტიდან კონტინენტს; ამისი უტყუარი გარანტიაა პროექტი „გვიმარა“, რომელიც პრომეთე-ამირან-აბრსკილ-არამხუტუს ხელდასხმულობის ერთადერთი მემკვიდრეა ცისქვეშეთში და ადრეულ ასაკში შეუძლია გამოარჩიოს საშუალოსაგან — ნიჭიერი და ნიჭიერისაგან — გენიოსი; ამისი გარანტიაა სწორუპოვარი მონუმენტალისტი მხატვრის, სალვადორ დალის პანო ,,Geopolitikal Child the Birth of New Man“, სადაც ბრმისთვისაც საჩინოდ გაცხადე- ბულა გადაგვარებული მსოფლიოს ერთადერთ გადამრჩენ ენერგიად კავკასია, საქართველო, ქართული ფენომენი, ქართული სულიერება, რომელ ეთნოსსაც დიდი ჰეგელი ინდოევროპული რასის სათავედ ახმოვანებდა.

დიახ, ყველა წინაპირობა, თითოეული ნაწილი და სახსარი, ყველა უმართსამართი „თბილავიამშენის“ ზღურბლთანაა დალაგებული საქართველოს კოსმოსურ სიმაღლეზე ასატყორცნად!

გ ვ ი მ ა რ ა

თქმულების თანახმად ძველთუძველეს საქართველოში, ამირანისა და აიეტის უხსოვრობის დროინდელ კოლხეთში, ცეცხლის მომთვინიერებელთა და ფოლადის მწრთობელ ხალიბების კურთხეულ მიწა-წყალზე, კირბების — ოქროს საწმისის — სარწმუნისის — კირბისის — ანბანის მესაიდუმლე კორიბანტების სამფლობელოში, პოლიფონიური საგალობლებისა და მედეას ცნების — მედიცინის შემომქმედ აია-ქვეყანასა თუ მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილ იბერიაში, თურმე სალოცავი გიგანტური ხე-გვიმრები ხარობდნენ, რომლებიც ჟამთა ტრიალში გადაჯიშდნენ, გაგვიმრუჭდნენ, გადასხვაფერდნენ და აწ ცელითაც ითიბება.

გვიმარა

ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
ვეკანგარა ირიათო
თი თუთა დო თი მარას,
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?!

ჩელაია ნირსი ცაშე მირაყვალუ,
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,
გოლვაფირო, გოლვაფირო, ირო ფალუ,
კუჩხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?!

შხურიშ ტყების გეჭარუდუ სქან ნინაშა
შუჭო ოკო ონდღულესკო ფულანდი,
ითამ კუჩხი გეიდგუმუდკო ტინტილაშა
ეკორჩვილი გილეში დო ქულანდი!
შხურიშ ტყების გეჭარუდუ სქანობურო,
ორქო ქვიშაშ კორობუაშ წესეფი,
გიკურცხინე, გიკურცხინე გოლვაფირო,
სი შუნაფას გიწილოხუნს შესეფი!
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?ბირგულ შუშენ გიდირკუ,
მარგალურიშ მარჩქილეს,
ქარწყექ – ჰავაქ ქიდირქუ,
ფსუა გეკოვარჩხილე!
ქიგიშინი ხიოლი,
რე შუმულიშ ყიონი,
მობაღუნა ქიონი,
უზისხირე, გვიმარა!

ნჭყოლირ გური შუჭო ვეკისქილადე,
ღურა თელათ შუჭო ვეკიზგილატე,
კოლხიდაშე ლანდი ქუდოსქილადე,
უზისხირე, გვიმარა!
ჩელაია ნირსი ცაშე მირაყვალუ,
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,
გოლვაფირო, გოლვაფირო, ირო ფალუ,
კუჩხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ.

ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
გიკურცხინე, გოლუაფირო,
ვარა გიმორჯგინანა!
ქიგიშინი თი მარა,
ქარწყექ, მუსხის გიღვარა,
გეშწოდირთი, გეშწოჟვენგი,
გეშწოსოფი, გვიმარა!

1978

ვით სულს ესატკივარა,
ვით გულს ესაშძიმარა,
სად დაჰკარგე ის სიმაღლე,
სალოცავო, გვიმარა?!
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგაშძინარა,
სად გუგუნებს ის გრიგალი,
საით წაგამდინარა,
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!

შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,
შენ ენგურის კვნესა გულში ჩაგიწნია,
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია,
შენ ხელები მთიებამდე აგიწვდია.
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!

შენს ენაზე ქუხდა ოქროს საწმისი,
თუ რარიგად გამოედნოთ ფოლადი,
მოილიე ჟამი გაუსაძლისი,
როს ურჩხულის მოკარებით თრთოლავდი.
იმ საწმისზე ჩაშანთულა შენებურად,
ოქრო-ქვიშის მოპოვების წესებიც,
გაიღვიძე, ჯერ არ გადაშენებულა
ღრუბლის წვიმად მომწურავი შესეფი,
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!
მუხლი რისთვის გეღუნვის,
კოლხურ ჰანგის გამგონეს?!
შენ, რომელიც გეყუდნის,
იმ ქარებში ჩამკონე!
გაიხსენე ხარება,
დილების გამყარება,
ვიკმარისოთ მთქნარება,
უსულგულო, გვიმარა!

ჭრილობიდან სისხლი მოგდის ტბორებად?
ძველ დიდების ლანდიღა იზმორება?!
კვდომა ისევ ყოფით აიმორება,
უსულგულო, გვიმარა!
შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,
შენ ენგურის კვნესა გულში ჩაგიწნია,
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია,
შენ ხელები მთიებამდე აგიწვდია.

ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგაშძინარა?!
გაიღვიძე, შემოგევლე,
თორემ გამოგვივა რა!
ვით სულს ესატკივარა,
ვით სულს ესაშძიმარა,
წამოდექი, წამოფრინდი,
წამოხეთქე, გვიმარა!

1990



ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

სერტიფიკატი

N 1290

ავტორი:

გულადი ფეტელაია

ნაწარმოები:

"გეიმარა" – სამეცნიერო ნაშრომი

რეგისტრირებულია:

2005 03 25

დავით გაბუნია

გენერალური დირექტორი

თბილისი

1. განაცხადი

პროექტის სახელწოდება:	„ **გვიმარა** („**GVIMARA**“)
განმცხადებლის სტატუსი:	იურიდიული პირი
განმცხადებელი:	„ინდივიდუალური მეწარმე გულადი ფეტელავა – ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა“
მისამართი	თბილისი, კოსტავას 14.
ტელეფონი	893 22 63 08
ფაქსი	
ელ-ფოსტა	
პროექტის ავტორი	**გულადი ფეტელავა**
ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა	893 31 39 33
პროექტის დირექტორი	**ვახტანგ მიშველია**
ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა	**(+ 7 095) 233 48 44**
პროექტის დასაწყისი (რიცხვი, თვე, წელი)	1 სექტემბერი, 2005 წელი
პროექტის დასასრული (რიცხვი, თვე, წელი)	30 ივლისი, 2014 წელი
პროექტის საროთო ღირებულება (აშშ დოლარებში)	5 000 000

გულადი ფეტელავა

პროექტის ავტორი: ----------

ვახტანგ მიშველია

პროექტის დირექტორი ----------

4. პროექტის შესრულება და განრიგი

(თანამოსაგრეთა არასრული მოზაიკა)

მიხეილ სააკაშვილი — საქართველოს პრეზიდენტი;

ილია II — უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი;

ნინო ბურჯანაძე — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;

ზურაბ ნოღაიდელი — საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

გურამ აბსანაძე — საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე, ეროვნული თანხმობის კავშირის თავმჯდომარე, (საერთო ხელმძღვანელი);

რამინ აბლოთია — ი. ვეკუას სახელობის სოხუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი;

გიული ალასანია — პროფესორი, პრეზიდენტი ასოციაციისა „ქართული კულტურა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ";

ირაკლი ალასანია — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

მერაბ არჩვაძე — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო ქართლის მხარეში;

ლეო ბოკერია — აკადემიკოსი (რუსეთი);

გოდერძი ბუკია — საქართველოს პარლამენტის წევრი, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობის" პრეზიდენტი;

სპარტაკ ბუკია — საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;

თამაზ ბუთხუზი — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გიორგი გაბაშვილი — საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი;

გია გეწაძე — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში;

ლაშა გვასალია — მწერალი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინის ტრა ციის ეროვნებათა შორის ურთიერთობისა და სამოქალაქო ინტეგრა ციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გია გვიჩია — ბიზნესმენი, ფირმა „სტეპან რაზინის" პრეზიდენტი, (რუსეთი);

რობერტ გვიჩია — ხობის რაიონი გამგეობის თავმჯდომარე;

ზაზა გოგოზია — საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში;

ლევან ვარშალომიძე — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

ლადო თათარიშვილი — ბიზნესმენი, საქართველო-აშშ-ს ერთობლივი კომრანია „ჯორჯია და ჯორჯიას" დირექტორი;

ფრიდონ თოდუა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

ვაშა თორდია — სახელიწიფო პრემიის ლაურეატი, სს „თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

ზაურ კვიკვინია — ბიზნესმენი (რუსეთი);



პროექტ „გვიმარას“ თანამოსაგრეთა ჯგუფი

ალექსანდრე ლომაია — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

დავით ლორთქიფანიძე — ანთროპოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის დირექტორი;

იოსებ მაზმიაშვილი — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლის მხარეში;

ლევან მებონია — „ენგურჰესის" დირექტორი;

შოთა მიშველია — დიპლომატი (რუსეთი);

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში;

ედვარდ სურმანიძე — პარლამენტარი, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე;

რომან ტიკაძე — თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის კოორდინატორი;

გიორგი ფარულავა — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, თბილისის სპორტის აკადემიის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი;

სლავა ფეტელავა — საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს კონკურენციის დაცვის სამმართველოს უფროსი;

მიხეილ ქარელი — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში;

გიორგი ქობალია — საქართველოს პარლამენტის წევრი;

სერგო წურწუმია — გენერალი;

ჯემალ წურწუმია — ბიზნესმენი;

ჯონი ჭანია — „ენგურჰესის" თაღოვანი კაშხალის დირექტორი;

ლადო ჭიპაშვილი — საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

პეტრე ცისკარიშვილი — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწუნებული კახეთის მხარეში;

გულიკო ხარჩილავა — ბიზნესმენი (რუსეთი);

გიორგი ხაჩიძე — საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-თიანეთის მხარეში*.

7. ფენომენური ნიჭის
მოზარდი თაობის დადგენის მეთოდი

პიროვნება ათწლეულობით წასწევს ხოლმე საზოგადოებას, ხოლო ასეთი პიროვნებების გუნდი, იგივე მატრიცა — საუკუნეებით. ტალახში ჩაფლულ რუსეთს ევროპულ ფასეულობებს აზიარებს პეტრე დიდი. იგივეს მოიმოქმედებს ათა თურქი, მაგრამ ჰომეინი უკან მოაჩოჩიალებს ირანს. ხოლო ჰიტლერი რა სიკეთეს დაათესებს გოეთეს გერმანიას, გამოცდილია 50 მილიონი ზვარაკეულით.

მატრიცის შექმნის თაობაზე ბევრს მსჯელობს ბატონი თამაზ ბუთხუზი წიგნში „გაახელ თვალებს — იქნება გვიან", მაგრამ იქ წამოწეულ პრობლემებთან ჩვენი მიდგომები განსხვავებულია. უკეთ ზრდასრული ადამიანებისგან გამორჩევით ჩვენ მოზარდ თაობაზე ვამახვილებთ ყურადღებას და უხერხულებას სრულებით არა ვგრძნობთ, როცა საჩვენო ტვირთის ახალგაზრდა თაობას გადავულოცავთ. თორემ საკმარისი არ არის ქვეყნის გარდაქმნაზე

*** იბეჭდება შემოკლებით. სრულად იხ. „კირბისი" 1 / 2005; პროექტის განსახორციელებლად წარმოდგენილი საზოგადოება ავტორისეულია. შემადგენლობის საბოლოო დაზუსტების შემდეგ საინიციატივო ჯგუფი დაასახელებს საშეთვალყურეო საბჭოს და პროექტის შემსრულებლებს რეგიონების მიხედვით.**

შიშველი ცოდნის ქონა, არც — ცარიელი ენთუზიაზმი, თუკი იგი რწმენაში არ არის გადაზრდილი. ,ამაშ, ასე, მოზარდი თაობის მოყვანა ქვეყანაში გლობალური რეფორმების ჩასატარებლად, ობიექტური რეალობებითაა ნაკარნახევი და იგი პროექტის საკვანძო კონცეფციას წარმოადგენს.

დიდი აფეთქებიდან მოყოლებული სამყარო 12-13 მილიარდი წლისაა.

ადამიანის არსებობა დროის ამ კოლოსალურ მონაკვეთში დაახლოებით 1-2 მილიონ წელს მოითვლის, ხოლო„ჰომო საპიენსი“— 60-50 ათას წელიწადს.

ჩამოვა ხიდან მაიმუნის ერთ-ერთი შტო, , ვეგეტერიანობას მოიშლის, ხორცის ჭამას მიჰყოფს ხელს და სწრაფადაც დაწინაურდება დროსა და სივრცეშიც

კანიბალიზმს უამრავი პოპულაცია მისდევს: ღორი, ნიანგი და ა.შ., მაგრამ მხოლოდ ადამიანი ეზიარება საკუთარი თავის შეცნობის რეალობას, ვინაიდან ორ ფეხზე მდგომელი არსება გახდება — „ჰომო ერექტუსი“. ეს მომენტი განსაკუთრებულია ამ სახეობისათვის, ფეხზე დგომა უამრავ პოპულაციას ემარჯვება: დათვს, მაიმუნს, კენგურუს და ვინ მოსთვლის, თუმცა ბორბლის შეკვრა არავის ძალუძს.

„ჰომო საპიენსი“ თავის თავს მზის შვილად აცხადებს, სინათლის ნაფოტად (მზე დედაა ჩემი) და ამას ნათლად მეტყველებენ მის მიერ შექმნილი ცივილიზაციების წყება შუმერებში, ეგვიპტეში, მაიაში, კოლხეთში... და წარმოიდგინეთ, ყველაფრის საწყისი ეზოტერიკულად, საკრალურად, ქარაგმულად ჩვენი გაგებით სამკუთხედია: თიხის ფირფიტებში საპწერლობო ერთეული — მარცვალი; პირამიდებში ამ გეომეტრიული სხეულის წიბო; ოქროს საწმისებში — კირბებში — სამკუთხა ქვის ფირფიტები კანონთა სამეტყველოდ.

თავად სამკუთხედი მზის შექის ნაკადის გრაფიკული გამოხატულებაა. 6 ასეთი სამკუთხედის ერთი წერტილში თავმოყრა გვაძლევს სექსტოგრამას — წესიერ ექვსკუთხედს. ხოლო 2 ამნაირი სამკუთხედის შეპირაპირება გვანიჭებს დავითის ვარსკვლავს. ანუ მზის კულტის მიერ შექმნილი ადამიანი, როდესაც მიწიერ კულტურაში გარდასახავს და აირეკლება შემოქმედის მიმართულებით, სავსების ფორმულას მივიღებთ.

აბა, კარგად გავიხსენოთ სახარება, როცა აღმოსავლელ მოგვებს ვარსკვლავი მიუძღვით ჩვილი იესოსკენ. დიახაც, ამ ვარსკვლავის მეშვეობით იპოვიან ისინი ქალწული მარიამის მკერდზე მოჟღერტულე ნორჩ მეუფეს ჩვენსას. მაგრამ საკითხში ჩახედულ ადამიანს ამ ვარსკვლავის გარეშეც ჩინებულად შეუძლია თვალის ერთი შევლებით ამოიცნოს პოტენციურად გენიოსი ათასებიდან, მით უფრო თუკი მადონას მკერდს ფუნჩულაფეხიანი პირიშო მიკვრია. რენესანსის მხატვრები და სკულპტორები დიდ ყურადღებას მიაპყრობენ ადამიანის სხეულის პარამეტრებს, განსაკუთ რებულს და კანონზომიერს. აქ სანიმუშოდ გამოდგება მიქელანჯელოს „მოსე“, „დავითი“; ჯოტოს „იუდას აბბორი“ და სხვ.

ადამიანი, როგორც ასეთი, არა სიმეტრიული ბიოლოგიური არსებაა. მას მარჯვენა კიდური რამდენიმე სანტიმეტრით მეტი აქვს მარცხენასთან შედარებით. ეს ყველაფერი მისი ცხოვრების რიტმის შედეგია, რომ იგი ზედმიწევნით ბუნების პროდუქტია, მზის სისტემის კანონ ზომიერების ანარეკლი, რადგანაც ჩვენს გალაქტიკაში ძირითადად ყველაფერი მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობს.

მაგრამ ადამიანი ასიმეტრიულია შინაგანადაც, რაც განსაკუთრებით მის კიდურებშია აღბეჭდილი. ადამიანის შინაგანი მუხტის ფსიქოლოგიური ცენტრი ზედა კიდურების მიხედვით შუა თითზე გადის, ხოლო ქვედა კიდურების შესაბამისად ცერის მომდევნო თითზე. ანუ მარტივად თუ ვიტყვით ხელის ორგანოებთან შედარებით ფეხის ორგანოები საგრძნობლადაა ჩამორჩენილი სრულყოფის პროცესს და ადამიანი თავისი აღნაგობით ადასტურებს პროპორციას 3 : 4-თან. თუმცა ეს ნაკლული თანაფარდობაც ყველა ინდივიდისთვის როდია ნიშანდობლივი.

ხელის თითის მიხედვით კაცობრიობის 99 პროცენტი მსგავსია, ვინაიდან ხ ელი — როგორც გარეთ გამოსული ტვინი (კანტი) გაცილებით ადრეა ჩართული გაადამიანების პროცესში, ხოლო ფეხი: როგორც საყრდენი ორგანო მოკლებულია ამ ფუფუნებას და რამდენიმე ათასწლეულით იმიჯნება მათი ბუნება. თუმცა ფეხის ტერფის იდეალური აღნაგობა ბერძნულს შეესაბამება, სადაც ცერის მომდევნო თითია დაწინაურებული და ასეთი ტერფი ყოველი 10 ეგზემპლარიდან მხოლოდ ერთს გააჩნია ჩვენეული სტატისტიკით.

ადამიანს, რომელსაც ხელის შუა თითი — მესამე და ფეხის მეოთხე თითი დაწინაურებული გააჩნია, იდეალურია სადღეისო მონაცემებით. ეს პირველი ნიშანი..

ამასთან „ჰომო საპიენსისათვის“ განუზომელი მნიშვნელდობისაა თავის ქალის აგებულება. ანთროპოლოგები განარჩევენ სამი ფორმის თავის ქალას — დოლიქოკეფალიურს (გრძელთავიანი), მეზოკრანიულს (საშუალო) და ბრაქეოკეფალურს (მოკლეთავიანს). თითეული ფორმა ამ აღნაგობათაგან მისაღებია ჩვენეული მიდგომებით, მაგრამ მაინც შუალედურს ვამჯობინებთ, რაც ჩვენს მიერ მოკვლეული ყოველი 100 ტიპიდან 30 მოეპოვება.

შუბლის თაღი რენესანსის მხატვრების მიხედვით (ჯოტო) ქრისტეს აქვს 90 გრადუსი. ამ ციფრს ანთროპოლოგები აზუსტებენ შემდეგნაირად: ადამიანის თავის ქალას აბსტრაქტულად ათავსებენ კოორდინატთა სისტემაში, სადაც ყურის ნახვრეტი იქს-ღერძზეა განთავსებული. ხოლო ივრეკ-ღერძის გადაკვეთა შუბლის უმაღლესი წერტილია. სადღეისო მონაცემებით კაცობრიობის უმეტესი ნაწილისათვის დამახასიათებელია 78-76 გრადუსიანი

პროექტ „გვიმარას“
თანამოსაგრეთა ჯგუფი





შუბლი (კაცი, ქალი). ხოლო 90-გრადუსიანი ინდივიდი ყოველი 1000 ეგზემპლარიდან ერთია. აქისი უმთავრესი მიზეზია ჩვილის გაჩენა, შობა.

შორეულ წარსულში მდედრი ფეხზე რომ წამოიმართება, მას გავა დაუვიწროვდა და ბავშვის გაჩენა პრობლემური შეექმნა. ცხოველთა საყარო ჩვილებს არსებობისათვის სრულიად შემზადებულს აჩენს, როცა ადამიანის ნაშიერი აბსოლუტურად უმწეოა.

ანთროპოლოგები აკვირდებოდნენ შიმპანზისა და ადამიანის პირმშოებს და დაბეჯითებით ადასტურებენ, რომ 2 წლის მაიმუნს შეესაბამება ადამიანის 20 წლის ნაშიერი მორფო-ფიზიოლოგიური ასპექტით. ადამიანის შთამომავალს ამიტომაც ეხურება ყიფლიბანდი გაჩენიდან 1,5 წლის შემდეგ. რაქიტიანებში ეს მაჩვენებელი გათრმაგებულია. მაგრამ ბუნება კომპრომისს უშვებს ფეხზე წამომართული ადამიანის მიმართ და შეაფერხებს მისი ძვლოვანი სისტემის ჩამოყალიბებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე დაიღუპებოდა — დედაც და ნაყოფიც, ვინაიდან მსხვილთავიანი პატარა ვერ გამოეტეოდა დედის დავიწროვებული წიაღიდან. ჰოდა, დაუშვებს ბუნება კომპრომისს ჩვილის მოვლინების გზაზე, თუმცა გნებავთ რაფინირებულ ად მოვლენილ გენოტიპს დეფორმაციები უამრავი ელობება წინ საბოლოო ჩამოყალიბებამდე: კვება, გარემო, საქმიანობა, ოჯახის შექმნა (შეჯვარება წყვილებს შორის ხდება სიყვარულით და კიდევ — მატერიალური ინტერესებით, სადაც აბსოლუტურად იგნორირებულია ინდივიდების ანთროპოლოგიური მონაცემები), ანუ დედამიწის ზურგზე არავინაა იმდენად „დაჩაგრული“, როგორც გენიოსის თვისებების მატარებელი გენოტიპი. ახლა რამდენს არა აქვს გაცნობიერებული თავისი უნარები; რამდენს არ მოაკითხავენ აღმოსავლელი მოგვები; რამდენი ვერ შეისწავლის ჭეშმარიტების ანაბანას და ისინი ფაქტობრივად ეგზემპლარებამდე უნარჩუნდება მსოფლიოს და გამოდის რომ კაცობრიობა როსტოკაკა ფენომენის ძალისხმევით მიიწევს წინ არსებობისათვის ბრძოლის ყინით შეპყრობილ მსოფლიოში. ე.ი, გვყავს გენოტიპი, რომელსაც წინა კიდურების მესამე და ქვედა კიდურების მეოთხე თითები დანარჩენთან შედარებით დაწინაურებული აქვს. ამასთანავე ამ გენოტიპის შუბლის მაჩვენებელი 90 გრადუსს უახლოვდება, მაგრამ ხომ არ ვიცით მისი შინაგანი წყობა? რა მასალაა ჩაღვრილი ამ რაფინირებულ ხორცის ჭურჭელში?! აქ გამოგვადგება კრიმინალისტიკაში ფრიად მიღებული თითის ანაბეჭდის პრაქტიკა, რაც სამი აღნაგობის მოეპოვება „ჰომო საპიენსს“ — „მაგნიტური“, „წრიული“ და „ტალღოვანი.“ ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს „წრიული“. წრედი შეიკრა: ბერძნულ ტერფიან პიროვნებას, რომელსაც შუბლის მაჩვენებელი 90 გრადუსს მიახლოებია და კიდევ — თითის ანაბეჭდები „წრიული“ მოეპოვება, ანთროპოლოგიურად სრულყოფილია ინდივიდია.

ფუტკარი მწერებს შორის კონგენიალურია. სკა თავად ქმნის დედებს, რომლებიც 30 წლის მანძილზე აშარაგებენ ოჯახს ახალ-ახალი თაობით. ფუტკრის უჯრედი რაფინირებული სექსტაგონია, წესიერი ექვსკუთხედი. აღმოჩნდა, რომ ადამიანის ტვინის ნეირონებიც ამისთანა აგებულებისაა. სექსტაგონი წვეროთი ერთ წერტილში თავმოყრილი ექვსი ტოლგვერდა სამკუთხედის ჯამია. სამყაროს 6 დღე-ღამეში (დღეი ვითარცა წელი ათასი) შექმნის ღმერთი; სამყაროში ყველა ფაზა ექვსგანზომილებიანია (პერიოდი ათწილადებში); ადამიანის ტვინის ნეირონების ბადე სექსტაგონთა ერთობლიობაა, მათი მეშვეობით ხორციელდება პიროვნების სინქრონიზაცია და სხეულის ნებისმიერი უჯრედის მომენტალური შეგრძნობა. კაცობრიობის მიზანია სამყაროც ამდაგვარად სინქრონიზებული გახადოს, რათა წამში შეეძლოთ უშორესი გალაქტიკების აღქმა. 6 ტომარაში უდიერად ჩაყრილი ნივთები გენიოსის ხელში ერთშიც ჩინებულად თავსდება, ანუ გენიოსი არის ზედმიწევნით მოწესრიგებული ინდივიდი. და როდესაც 600-700 იშვიათი უნარების ბავშვი გააცნობიერებს მათ წინაშე წამოჭრილ პრობლემებს სამშობლოს სიყვარულისა და კაცობრიული ფასეულობების ურთიერთშესამების აუცილებლობაზე, ანუ გახდება პალადინი — სახელმწიფო ინტერესების დამცველი კაცი, ყველა პრობლემა უმალესად მოგვარდება, არა მხოლოდ საქართველოში. და წინდებული პროექტიც, რაც უფრო ძალე შეიძენს მასშტაბურ ხასიათს, მით უფრო ჩქარა მოვაგვარებთ ურთიერთგამომრიცხავ დაპირისპირებებს ნებისმიერი ასპექტით; მით უფრო მივუახლოვდებით იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველებას: „ყოველი ენა (ტომი) განიკითხოს (გასამართლდეს, ანუ განიწმინდოს, აღსდგეს ფერფლიდან ფენიქსივით) ამითა ენითა“ (ტომით, ეთნოსით, ე.ი. ქართველებით).

პრაგმატული მოსაზრებებით, გნებავთ, ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე, პროექტის 70 პროცენტს გარკვეულ დრომდე საგულდაგულოდ ვასაიდუმლოებთ. ესენია: საყლაპავი მილის, ხორხის პრობლემა; ინიონის, „თურქული კეხის“ როლი ფენომენის მოძიების გზაზე; წინა ჯირკვალთან, პროსტატასთან დაკავშირებული ნიუანსები; სუნთქვის თავისებურებებანი; კვების, ფიზიკური ვარჯიშების თუ სხვა... და კიდევ, ის მეთოდიკა, რომლითაც განგვიზრახავს ფენომენი ხალხის დაკვალიანება.

ფოტოხელოვან ბადრი ვადაჯკორიას პორტრეტი კალმის ერთი მოსმით:

საფიცარი დედ-მამის სამუდამო სასუფეველი ლანჩხუთში. 56 შუბლგაუწყეტელი წელიწადი. 15 ალბომი-კარდიოგრამა საქართველოზე. მიუკერძოებელი სახელმწიფო პრემია (2003) გაუხუნარ პალიტრას. „ოქროს კალამი“(2004) და რამდენიმე საერთაშორისო პრემია. ჯილდოთა ჯილდო — სანდომიანი ქალ-ვაჟი — თანამეცხედრე თამილა ხურციძისაგან. მარადიული ძმა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბატონ ჯორჯ ბუშის ვიზიტი საქართველოში

PROUD
საქართველომ
მსოფლიოს
უჩვენა
თავისუფლებისათვის
ბრძოლის
მაგალითი

ჯვარცმულ კუნძულზე მსოფლიო თავისუფლებისათვის მებრძოლი უკანასკნელი მოჰიკანი ქართველი — პოკრო გახარია

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მისი უწმინდესობა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ტექსელის ზეზეური გმირი პოკრო გახარია და ჩვენი ნიდერლანდელი რძალი სანდრა რულოვსი დედულეთში თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულ ქართველების ძმათა სასაფლაოზე. 2005 წელი.

პოკრო გახარია XIX საუკუნიდან გადმოსული რაინდია, რომელიც ქათქათა ჩოხა-ახალუხით დაიარება ზუგდიდის, თბილისის ქუჩებში და ომახიანად მიუყვება წუთისოფლის ჯანგაუტეხელ აღმართებს

2005 წ. 17-19 ივნისი

ამ მართლაცდა საშვილიშვილო მნიშვნელობის ღონისძიების ინიციატორი გახლავთ ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“, პრეზიდენტი — საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი გოდერძი ბუკია. სპონსორი — კომპანიების ჯგუფი „პროფილი“, (მოსკოვი)

ლირიკული
ინტერმეცო

მკლავჭიდი

სურათზე: სიტყვა „მკლავჭიდის“
შემოქმედი, ბატონი თენგიზ თომაძე

სიტყვის როია

გამოთქმა მწერალ გრიგოლ რობაქიძის კუთვნილებაა — სიტყვის როია — ანუ სიტყვის შემქმედება, სიტყვის ალქიმია. ლიტერატურათმცოდნეობაში ამ პროცესს ნეოლოგიზმსაც ეძახიან, იგივე ახალსიტყვაობას.

გრიგოლ რობაქიძე საკითხის ღრმა ცოდნით განიხილავს სახის, სხეულისა და სახელის ერთმთლიანობას, უცილობლად აქვეა სახლის სემანტიკაც.

სიტყვები იქმნებოდნენ ბუნებასთან, ცხოვრებასთან ჭიდილში, ბერდებოდნენ, ხუნდებოდნენ და კვდებოდნენ კიდეც. ახალ ფონემებს უთმობდნენ ადგილს. შემდგომ მოდიოდა ესა თუ ის სახელმწიფოებრივი ზეგავლენა და კოლხური მაფშალია — მესვია ჩიტის სახელი ჯერ ბერძნულ იადონად მოგვევლინებოდა ყოველდღიურობაში, მერე და მერე — სპარსულ ბულბულად. ეს პროცესი ბუნებრივი და გარდუვალია ნებისმიერი ერის არსებობაში.

გულშიჩამწვდომი სიტყვების შემოქმედი ძირითადად ხალხი იყო ყველგან და ყოველთვის, მაგრამ მის ჩამონაკვთებას მაინც ჯერ ეკლესია და მოგვიანებით სიტყვაკაზმული მწერლობა მეთავეობდა, მწერალი უბრალოდ, პოეტი, მელექსე, მოშაირე რუსთაველისებურად.

გასისხლმდინარდაო, ბრძანებს სიტყვის მესია.

დაცავკალიო, წავეწამეო, ჩამოვაკარაბაკეო და ვინ მოსთვლის. რუსთაველი ხომ მართლაც აწ მარგალიტად წყობილი სიტყვის ოკეანეა, რომლის ფსკერზე უამრავი უბირი დაშლამებულა კომედიანტი რეჟისორების მხარდამხარ.

კონსტანტინე გამსახურდია უმეტესწილად ხალხურ საუნჯეებს მიაყურადებდა, ჩვენს თვითნაბად კილოკავებს. მან შემოიტანა მწერლობაში ძგიდე, სულე, კანტი, თანამეინახე, მაგრამ ქვემეხი უკვე ზედმიწევნით მწერლისეულია: ბუნებრივი მეხი ციდან მოისწრაფის ხმელეთისაკენ, ხოლო ადამიანების შესამუსრავად გამოგონილი, მაღლით უტევს უფლის სასუფეველს.

სიტყვა „მკლავჭიდის“ ავტორი ბატონი თენგიზ თომაძე წიგნის დიდი დასტაქარია, პირწავარდნილი აფთიაქარი, იუვლირი, ოპიზარებს ბადალი ხელოვანი.

სტამბა მისი სტიქიაა. დილიდანვე ფეხზე ტრიალებს. აკინძვა. გილიოტიას ღლაჭუნი. სადგისი. ძაფი. ფორცაზი. მუყაო. წებო... მის მიერ შეკრული წიგნი საუკუნეებს გაუძლებს უცილობლად. განსაკუთრებული ალღოიანობით გამოირჩევა დიზაინის მისამართით. ბეარჯერ შემომაშველა პრაქტიკული რჩევა წიგნის გაფორმების, კომპოზიციის თვალსაწიერით და ყოველთვის — სამარ თლიანად. „სუფევის“ ოთხტომეულსაც მიაპყრო მახვილი მზერა. მრავლად დაშვრა მისი დიზაინერი კოკა ფეტელავა, რომ ბატონ თენგიზის გაბრწყინებული ღიმილი დაემსახურებინა. წმინდა გიორგის ხატის დაზიანება ყდაზე მკრეხელობად ჩამოგვართა მამა-შვილს. მისი შემცირება მოითხოვა, რათა ქრისტეს უწინარესი რაინდის შარავანდედს მისხალიც არ დაკლებოდა. აიღებ ხელში თენგიზ თომაძის შეკრულ წიგნს და გინდა გულში ჩაიხუტო სასოებით, გადაფურ- ცვლის გეშინია, გინდა კოცნა-კოცნით გალიო.

თოფი მეთოფესო, უთქვამთ.

ნეტავ მოესწრება ჩვენი სამშობლო, რომ, დიახაც, თენგიზ თომაძისნაირი პროფესიონალები გვხდებოდნენ ცხოვრების ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში: თომაძისნაირი მწერლები, თომაძისნაირი მუსიკოსები, თომაძისნაირი ექიმები, თომაძისნაირი მეღვინენი, თომაძისნაირი ხარატები და ნალბანდები.

სჯობს ცოტა და კარგიო, გვისწავლია სკოლის მერხი- დანვე, დავამატებდი — ტალანტი აგროვებს ფაქტებს და მოვლენებს, აბურდულად მიაწვდის მათ საზოგადოებას, ხოლო გენიოსი ცხრა ტომარაში ჩაჩურთულ ნივთებს გამორჩეული არქიტექტორული ნიჭიერებით ერთ ხალთაშიც მშვენივრად ათავსებს.

აი, ჩვენი ცხოვრების უმთავრესი ამოცანა! აი, ჩვენი ამოცანის უწინაერსი ცოცხალი მაგალითი — ბატონ თენგიზ თომაძის აუმღვრეველი წუთისოფელი.



მოწმობა

გაზეთ „ლელოს“ სარედაქციო კოლეგია ამით ადასტურებს, რომ 1987 წლის 12 მაისს მოქალაქე თენგიზ თომაძემ წარმოადგინა წინადადება — ტერმინი „მკლავის გადაძალვა“ შეგვეცვალა ტერმინით — „მკლავჭიდი“. წინადადება მოწონებულ იქნა და ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაში, „ლელოს“ მეშვეობით, დამკვიდრდა „მკლავჭიდი“, რომლის ავტორია თენგიზ თომაძე

გაზეთ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი თ. ბაჩიჩილაძე

ქ. თბილისი, 1999 წ.

სალომე რიგვავას ტანოტატანო

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პირველკურსელი სალომე რიგვავა, მართლაც რომ თვითნაბადი ტალანტია. ქართულ კოლორს და ხაზებს ნიჭიერება არასდროს კლებია. მარტო ელენე ახვლედიანის გახსენება რად ღირს! ზოგს უფლის კალთა დაბერტყვია აკვნიდანვე რუსუდან ფეტვიაშვილივით: შემოფრინდება ფარვანასავით თვალსაწიერზე და შემდგომ ნიადაგ ჩვენს სულში ტრიალებს უდასასლულო სიხარულად.

სალომეს გმირების საპოსელი გაპჭვირალეა, ვითარცა ბროლი. იგი არ გაურბის დროის მოთხოვნებს, მაგრამ პორნოგრაფიული ვულგარიზმისთვის კარები მკვიდრადაა დახშული. არანაირი ეროტიზმი, არანაირი ბულვარულობა, ჰაეროვნება და მხოლოდ ჰაეროვნება. ამ გასაოცარი დარაიების შემხედვარეს უნებურად გალაკტიონის ლექსი მახსენდება. ... რა სიჩუმეა. ჰაერი ლურჯი აბრეშუმია. ორქიდეები ეცემა ნილოსს... ანტიკური ხანის სიმაღლეები ვერანაირად გაიმეორა თვით სხივმრავალმა რენესანსმაც კი. ხალვათი

ქიტონი გადანაპირდა სხეულის თოჯინასავით შემფუთავი მარმაშების წყებით. ბაროკომ თუ სხვა სკოლებმა სცადეს ამ არტახებისგან განთავისუფლება, მაგრამ ესთეტიკის დონეზე ვეღარაფრით აღიტყორცნა შემდგომ მითიური ელადის თვალშეუდგამი სულისკვეთება. ეგვიპტური სკულპტურის შინაგანი დრამატიზმი და შებოჭილება საბოლოოდ დაამსხვრიეს თავისუფალი საბერძნეთის მაღალმა იდეალებმა და მას აქეთ ჭირვეული მსოფლიო ვერანაირად ახერხებს სულის და სხეულის გამთიშავი დისჰარმონიისაგან თავდაღწევას.

ნიჭიერებით ხელდასხმული ჩვენი სალომე კი თაშაშია ნებისმიერი პროპორციის დაურვების გზაზე. მას არაფერში ეპიტნავება სხეულის ჭუჭრუტანიდან დანახული მსუნაგი გარდატეხება. აქ ყოველი ნაკვთი კდეშამოსილი ალმურითაა წარმოდგენილი მშვენიერების საზეიმოდ. ავადმყოფური სიგამხდრე... ქვედა კიდურების მაქსიმა... თავბრუდამხვევი წარმატება პრელუდიაა ჩვენი სალომესთვის, გაზაფხული, გარიჟრაჟი. ტანოტატანოს მცხუნვარე ივლისები და თაკარა ავგუსტონი კი თვინიერად გვიმზერს მერმისიდან მაქმანების გასაოცარი შარიშურით.

რეკლამა
TRITUZA
რეკლამა
TRITUZA
რეკლამა
TRITUZA

ბაბუასთან განშორების მსუბუქი ცრემლი

ანუ ჭიჭე კოჩი კვიკვინიას კურცხალი, რომელიც მთელ საქყაროდ იწონის

დოსტოევსკისებურად



საოჯახო განწყობილებანი ბატონ ზაურ კვიკვინიას მოსკოვში გამგზავრების წინ:

პოეტის დასესხებით, ყველას რაიმე აქვს საფიქრალი და მაინც შეუდარებელია მეუღლის ლუსკუმი ხვაშიადი თუ დედის ნისლჩაქდგარი გამოხედვა



სათამაშო კლუბები „სამი ტუზი“
უჩინარი ტროიკებით გადმოევლება
კაგკასიონს და მიმზიდველი პროგრამებით
ისე მოხიბლავს თბილისელებს, რომ უკვე
მათი მისამართების სრულად
გამოცხადებას „კირბისის“ სამი ნომერი
არაფრით ეყოფა და მაინც —
სამი
ტუზი
Playing Clubs
ვასახელებთ მთავარი ოფისის რეკვიზიტებს:
თბილისი, პუშკინის ქუჩა N 5/7.
საკონტაქტო ტელეფონები:
93 18 41; 93 20 36.


24
საათი
საბი
ცუზი
სათამაშო კლუბები
Playing Clubs
24
საათი

სპორტი
ტუზი
კლუბები



ბური ოტობაია

სიცოცხლემისჯილები

რომანი-ტრიადა.

წიგნი I

ფრთოსანი ჭიანჭველა

მოთამაშე

ზომაზე გრძელი, ყვითელ ფრჩხილებიანი თითებით ქვებს გადაადგილებდა ჭიჭე კვეკვე. როცა სე იაქეთი ფანჯის კარს ჩაკეტავდა, ცერს დააბჯენდა ნარდის შუაგულს და სანამ მოწინააღმდეგე კამათელს კარგად არ აურევდა, „თავლაში აბამდა“. ანდა მეტოქეს მარცხენა ფლანგზე ქვა თუ უკენტდებოდა, მიუალერსებდა, მოვარცხნიდა, ახლა სად წამიხვალ, ტუტულიო, ეუბნებოდა. ან კიდევ რაჟამს კენჭი ამგვარადვე უშიშვლდებოდა თავად, ნეკა თითებს გადააჭდობდა, ატოკებდა, მოპაექრეს თარსავდა და მართლაც, წარმოქმნილ ხიფათს ისე ოსტატურად დაუძვრებოდა, რომ აღტაცებას ვეღარ მალავდნენ. სანახაობის კულმინაცია თამაშის დასასრული გახლდათ; როცა ქვების გამოყრაზე მიდგებოდა ჯერი, ოთხ კენჭს წინ წასწევდა, აბა, ჩემო, კამათელო, ახლა უნდა გამათენოო, დაახანგრძლივებდა შელოცვას და საოცრებას საოცრება ემატებოდა.

მოწინააღმდეგენი სიმწრის ოფლში ცურავდნენ, მაგრამ რას გააწყობდნენ, მით უფრო, როცა ბურძგლა, ხეშეში ჭაღარით დაფარულ თავზე იღბლის უჩინარი ხელი ესვენა; როდესაც „ქშშშშშო“ დააყოლებდა და ქვებს თვალის დახამხამებაში გამოყრიდა.

გამარჯვებული ჭიჭე კვეკვე ყასიდად გამოთაყვანებული სახით მიმოიხედავდა, ყოველივეს გვიტის თავმსხვილ ზურაბს დააბრალებდა და ისედაც წამხდარ მოწინააღმდეგეს ფეხქვეშ იატაკს გამოაცლიდა.

ძუბა ჭანიას ელა და მანიკა აქეთ-იქიდან ამოსხდომოდნენ. ხან დისწულს მიაჩერდებოდნენ გაფაციცებით, ხანაც — ავადმყოფს. გაცხარებით უმტკიცებდნენ რაღაცას ერთსაც და მეორესაც. ამასობაში აოხშივარებული ყველიანი კვერები ბარქაშით შემოარბენინა დადუ ქობალიამ. სხვებმა დაჯაჭვული არაყი და თხილი გამოაყოლეს ხელს.

ვის თითქმის მიუღებელი სითამამე, ბონდო ჭალიძონიას გამოკლებით თითოეულ მოპაექრეს აღიზიანებდა, მაგრამ რას ემართლებოდი ქუდბედსა და „იღბლის თაიგულს“?! მაშინაც კი, როცა მოქიშპეებს უმცირესი სჭირდებოდათ, როცა დუ იაქე ან იაგანი შველოდათ, უგორდებოდათ და უგორდებოდათ დუ შაში, დუ ბეში. შემდეგ რაღაცნაირად თავდაჯერებული, რაღაცნაირად გამომწვევი და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გამარჯვების რწმენით გაჟღენთილი, ფრინავდა ქაოსურ ალბათობაში. იყო წამი, როცა თამაში კულმინაციურ წერტილს მიაღწევდა, როდესაც ჭიჭე კვეკვეს ბედი გა-

დაწყვეტილად მიაჩნდათ, მაგრამ მათდა საოცრად, ბანკს გაასამმაგებდა, თან ხშიარ წარბებს შეყრიდა წამოწეული ცხვირის ზევით. იმ ერთადერთ სუსტ წერტილს თვალს გაუშტერებდა, ნუსხავდა და ათასი მეხი, ქარტეხილი და წარღვნა სწორედ რომ იმ მოჯადოებულ ბზარს დაატყდებოდა თავზე.

დანავსული ნოკო ანთარია, ჯურუმია ქობალია, პახვალი ჭანია თუ სხვანი, ხელებს გაასავსავებდნენ, ხვნეშოდნენ და ნუგეშდებოდნენ, როგორც მაყურებლებისაგან, ისე — ჭიჭე კვეკვესგანაც. ნარდზე დაგდებულ ხუთმანეთიანს თუ თუმნიანს ისეთნაირად შეეხებოდა, თითქოს ჩვილის გამონაცვალი ჭინჭი ყოფილიყო. კბილებს გააწკიპინებდა, „გზასაცდენილ ფულს“ ქსუტუნით ადგილს მიუჩენდა ჯიბეში და საწყის მდგომარეობას სწრაფად აღადგენდა.

— ენა რომ არ ხქონდეს, ყვავი წაიღებდა ამ შობელძაღლს! — ჩაილაპარაკა ჭოფია ანთარიამ.

— ენით ზურგს იფხანს! — მიაშველა პახვალა ჭანიამ.

— ისეთი ენა აქვს, ათ წყვილ აზიურს ეყოფა ლანჩად! —ახითხითდა ნოკო ანთარია.

— ჭიჭე კვეკვეს ენა ენგურში რომ ჩააგდო, შავ ზღვამდე თევზის ნასახიც არ დარჩება! — დაიჯღანა ჯურუმია ქობალია, რომელიც მესამე ხელს აგებდა ზედიზედ.

— ცამდე მართლები ხართ, ძვირფასებო! მწარე ენის გამოა რომ მელაქუცებით. სატირლად გაქვთ საქმე თუ საცინლად, სულერთია, მუცელზე გახოხიალებთ უკლებლივ ყველას. ქვეყნიერების ავანჩავანი ზღვისპირეთის მავთულებივით ზუზუნებენ ამ ხაპისმაგვარ თავში! აი, რანაირ ღირსებაზე ვეკითხები შენს წმინდა გიოგის, ძუბა! გადავირევი პირდაპირ! რძალო, რძალო, მთელი დღე წყალში დგომა შემიძლიაო, მიმტკიცებს თქვენს მალულად. მთელი დღე და ღამე ზურაბის კუდზე დავარდნილ კამეჩებსაც მოუწევთ წყალში ნებივრობა, მაგრამ რაში გვარგია, უცებ მაწონი არ მოგვირბენინოს წუწურაქიშვილმა! ისე, კაცმა რომ თქვას, წყალში ყურუყუტიც საჭიროა ხანდახან, განსაკუთრებით, როცა გენიაცეცხლი გიკიდია, მაგრამ ეგ ჩემი ცოდვით სავსე გადმოსახტომ ადგილს რომ მთხოვს, მაცოდნინა, ნეტავი რა განუზრახავს?! არ ჯობია ქერეჭიან ურჩხულს ებრძოლოს?! რომელი ტრამპლინის უსტაბაში მე ვარ, რომ თავის ჩამოსაგდები აივნები გავუჩალიჩო?!

ბონდოს დაბნეულობით ფრთაშესხმული მონარდე შიგადაშიგ მკაცრს ტონს თმობდა, სიცილისაგან ისედაც მისავათებულ, იატაკზე დაყრილ ბავშვებს, ელასა და მინაკას, გასათხოვარ, ცნობისმოყვარე ასულებს თუ მათ ფაშფაშა დედებს, ქუთუთოების გამალებული ხამხამით, წარბების ანაზდეული აზიდვით, შუბლზე თითის მიბჯენითა და თვალების ამაზრზენი გადმოქაჩვით, გულის შემოყრამდე ატკარცალებდა. იცოდა მოლაყბემ, ვარდნის ნებისმიერი მორფოლოგიური ფორმით ხსენება უწინარესად ვისაც შეაწრიალებდა. ძუბა ჭანიასაკენ აღარც იცქირებოდა, მაგრამ ჭოფიას ცოლის ელეთმელეთს აქედანაც მშვენივრად გრძნობდა.



— თუ ისეთი მაგრები ხართ, მოდით აქ შენ და შენი წმინდა გიორგი და ნახეთ, წამში როგორ გაგიხადოთ საქმე! სტეპენტია-პენსია მარას გინმოტენსია!* — უთხრა ჭიჭე კვეკვემ ძუბა ჭანიას, როცა ჯურუმია ქობალიასაც გამოუცარიელა ჯიბე, — ნარდი მინიატურული ომია, ძუბა. დედამიწის ზურგზე რაც კი აზარტული თამაშობანია, სულ მას შემოვლებოდეს. მხოლოდ ნარდი ემორჩილება ინტუს, ინტუიციას. ოინით თუ მოგიგეთ, იცოდეთ, ელას მომირჩენთ; მარსით დაგამარცხებთ და მინაკას დააწყებინებთ ლაპარაკს, მაგრამ კოქსით თუ დაგაფარჩაკეთ, ვასიამოვნოთ რძალს და მილანდარ მუშუქიას მოაშლევინებთ წივილ-კივილს. გამორიცხულია, თუმცა იქნებ მოხდეს სასწაული და დამაფინთიხოთ კიდეც უძლეველი, ამდენი ხალხის წინაშე პატიოსან სიტყვას ვდებ, რომ რაც კი ფავი ყრანტალებს ოდაბადეში, უკლებლივ თეთრად შევლებო. თქვენით განსაჯეთ, სად ყრუ-მუნჯის ენის ამოდგმევინებაა ეს თუ ჭკუიდან გადაცდენილის მოთვინიერება და სად კიდევ ფავების ლეგიონის გადალებვა?!

— ნეტავ თამაში მაინც აცოდინა! საინტერესოა, როდემდე გაუმართლებს?! მიდი, ნანაგე, ნურაფრის გეშინია. თუ გაგიჭირდება, აქედან გიკარნახებ, ოღონდ ჭიქით გააგორებინე, არ ჩაახედო ისე და კიდევ, ჰო, იაქე იცის მაგ კამათელმა, იაქე!

...ბონდოს ორი კენჭი დიდი ხანია ჭიჭე კვევეს ,,თავლაში'' დაემწყდია და ახლა პატრონს თივა-ქერისთვის აგულიანებდა, თან ნიშანდობლივი ცანცარით გამოყრიდა ქვებს.

ყმაწვილი ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, მაგრამ ასეთი წუთი რატომღაც იგვიანებდა. ის კი ქირქილებდა და ქირქილებდა. ფონენდოსკოპის მომარჯვებას ურჩევდა. დეიდების განსაკურნავად ეპატიჟებოდა. აჰა, ბეშ დორთით ორი ქვა გაუშიშვლდა მონარდეს, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდა.

თამაში დაიძაბა. მაყურებლები თითის წვერებზე დგებოდნენ. ძუბაც კი წამოჯდა ლოგინში, თუმცა ბონდოს ისევ იაგანი გაუგორდა და იაქეს კარში გახირულ კენჭებს ადგილიდან ძვრაც ვერ უყო.

— დადუნასთან გაშპით რომელიმე, — ეუბნებოდა ჭიჭე კვეკვე იატაკზე დაყრილ ონავრებს ყასიდად. ხატორა თავებზე მარცხენა ხელისგულს უთათუნებდა, ხოლო მარჯვენათი ოსტატურად აცეკვებდა ჭიქის ფსკერზე კამათლებს, გაგორების შესაფერის დროს დარაჯობდა, — ძუბას და მის წმინდა გიორგის ყელზე რომ არ დაადგეთ ამ წუთას მოსასვლელი დუშაში, რაიმე მისაყოლებელი მოურბეინეთ. — დაიხიხინა და მზაკვრულად ახედა ფაქიზად მოხატულ ჭერს. მერე შაშის, ფანჯისა და დუს კარებზე შერჩენილი ოთხი ქვა ჭიქიანი მუჭის ცერითა და ნეკათითით წინ მისწია. მაჯით მიუალერსა სათითაოდ. მოწინააღმდეგეს ზედ ცხვირთან მიუტანა მორჯულებული კამათლები, გეგონებოდათ, მოსასვლელ დუშაშს აყნოსვინებსო. ბოლოს წამოდგა, ნაბიჯით უკუდგა და ვიღაც უნიჭო მხატვრის შეთითხნილ, ვეფხვისა და მოყმის ორთაბრძოლის გამოსახულებაზე სიკვდილივით შესრიალდა ორი ექვსიანი.



თამაშის თეორია უამრავზე უამრავია. მათ შორის გამოვარჩევდით ბალზაკის ვალენტინს რომანიდან „შაგრენის ტყავი“. გაცილებით ფატალურია პუშკინის „პიკოვაია დამა“ და ასწილ მისტიკური — დოსტოევსკის „მოთამაშე“.

თამაშის თეორია ყველგან და ყოველთვის მოგების ჟინითაა გაჟღენთილი. ეს ადამიანური მოთხოვნილებაა. სამტუზელთა სათამაშო კლუბები კი გამორჩეულია სამორინეების სამკვდრო-სასიცოცხლო უკიდურესობებისაგან.

აქ ადამიანი უწინარესად ერთობა, ისმენს კლასიკურ მუსიკას, მიირთმევს ნაირნაირ მინერალურ წყლებს და წვენებს, ხეტიალობს ოცდამეერთე საუკუნის საოცრება — კომპიუტერის ლაბირინთებში.

ზოგი იღბლიანი ჯეკპოტსაც გამოჰკრავს ხელს. აქა-იქ ხომ მანქანებიც გათამაშდება გაცილებით მუყაითი გულშემატკივრებისათვის.

სამტუზელების უდავო პოპულარობას და წარმატებას სამი რამ ესაფუძვლება:

ჯერ ერთი, ეს ძვირადღირებული აპარატურა მათ მიერაა აწყობილ-დაპროგრამებული.

მერედა მათი ქსელი ფართოა — მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, თბილისი... დაბოლოს, სამტუზელები შორს დგანან სამორინეთა მიზანდასახულობებისგან: აქ არ ირეცხება ფული, აქ ვერ მოიგებ იღბლიანი ფსონით მილიონ დოლარს და უმთავრესი — სამტუზელები იშვიათი ქველმოქმედებით გამოირჩევიან, მრავალ უმწეო ავადმყოფს, ხელმოკლე ადამიანს, პერსპექტიულ ახალგაზრდას, მამულიშვილურ წინადადებას შესხმია ხორცი მათი თაოსნობით.

სასოწარკვეთილი ჭინთვები სამორინეთა სტილია. სათამაშო კლუბები „სამი ტუზი“ შინაგანი წონასწორობისა და განცხრომის იშვიათი შერწყმაა. ჩვენი არ გჯერათ?! მობრძანდით, ბატონებო! ნათქვამია: ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო.

სტუმრად სოფელ ორსანტიის ოტობაიის უბნელ **რემიკო ბესელიასთან.**

ამონარიდი გური ოტობაიას ბელეტრისტული მატიანე „სუფევის“ პირველი წიგნიდან **„შურობშეშ“**

...კვლავ კაპტო ლოგუა იმარჯვებს და ამისთანა ამბავს ამოქექავს მეხსიერების სკივრიდან:

— ბატონებო, ჩვენთან, კუთნხუ ოტობაიაში ცხოვრობდა ერთი სახელგანთქმული მეურნე კაცი, კოწია ბესელია, თქვენებურად კონსტანტინე, რომელსაც ხუთი ვაჟიშვილი და ერთი ასული ყავდა. ყველანი წესიერებით ცხებული, მაგრამ მათ შორის გამორჩეული მაინც იასონი გახლდათ, რომელიც სახმელეთო ჯარებს უფროსობდა სოხუმში. ჩვენი უგზოობის ამბავი მოგეხსენებათ, ბატონებო, ბორნით ტონობით თხილს ვერ გადაიტან ზუგდიდში, თანაც სადადიანოს ბაზარი იმ დროს სოხუმისაზე ნაკლებად ხელსაყრელი გახლდათ, და აი, იქ ჩაღწეული თხუთმეტიოდე ოტობაიელის თხილით კი დატვირთავენ გემს, მაგრამ პატრონები არავის გაახსენდება: მიაყვირებს პარახოდი „ბუმ-ბუმო“ და უტევს გზას ოდესისკენ. დროის წართმევისთვის მომიტევეთ ცოტა, — ჩაურთავს კაპტო ლოგუა, როცა დელეგაციის წევრები მაჯის საათისკენ მერამდენედ გააპარებენ მზერას, — რა ქნან ოტობაიელებმა, ცარიელი ურმებიღა დარჩენიათ, ყელამდე სირცხვილით სავსე, — სტუმრებიცა და მასპინძლებიც აქა-იქ ჩაიცინებენ, განსაკუთრებით, როცა სიტყვას ხელსაც მიაშველებს მოსაუბრე და ამით უფრორე გათამამებული კაპტო ლოგუა ხმას აუწევს უბორნოუხიდო გამეხებული ენგურის მჩქეფარების გადასაფარად, — ნირწამხდარი ოტობაიელები დაადებენ თავს, ბატონებო, ამსუბუქებული ურმებით სახმელეთო ჯარების თანასოფლელი უფროსის, იასონ ბესელიას მიმართულებით და აუწყებენ თავიანთ გასაჭირს დიდის მორიდებით. ხარხარით გულს მოიჯერებს კოწიას მემკვიდრე, თანაც აქა-იქ აქილიკებს თანამოძმეებს:

მოგეკითხეთ ქე მაინც, ოჯახაშენებულებო! მოხუცი დედის ამბავს მეტყოდით, მეც გამახარებდით, არც თქვენ გაწვალდებოდით ამდენს, მაგრამ შინაურ მღვდელს შენდობა როდისმე ჰქონია?! ეძებე ახლა შავი ზღვის შუაგულში ნაცხვაბარა თხილი! იმ ტომრებზე „ოტობაია“ თუ იყო მიწერილიო, აშკარად აბიაბრუებს თანასოფლელებს.

როგორ არაო, პასუხობენ გულუბრყვილოდ.

რომელ ენაზეო, ხითხითებს იასონი.

ქართულადო, სიმწრის ოფლში იწურებიან, ჩვენ-ჩვენ გვარებიანადო.

მაშინ დაღუპულა საქმეო, დაუნდობელია ჩაბჟირებული იასონი. აფხაზურად მაინც მიგეწერათ, ოჯახაშენებულებო, თუ რუსულზე მწყრალად იყავითო. მერე დასერიოზულდება უცებ. დაუძახებს თანაშემწეს თუ ადიუტანტს, მისცემს რადიოგრამას, თან თანასოფლელებს დამაჯერებლად ეუბნება:

წადით პორტში, დაუცადეთ გემის დაბრუნებას, ურმებიანად ნუ აბარგდებით ზედ. მთლად ოდესაში ნუ დარჩებით. ცოტა ფული ოჯახისთვისაც შემოიტოვეთო. ხო, კიდევ, ერთი, ტომრების და რამდენიმე კილოგრამი საჯანჯუხე თხილის წამოღება არ დაგავიწყდეთ ჩემთვის. აქაური კერკეტია, შველიყურა კი, ხომ იცით, თითის მოჭერითაც იმტვრევაო.

მიმოავლებს საცრისხელა თვალებს კაპტო ლოგუა მსმენელებში და როდესაც საერთო გულისყურს ძარღვს დაუჭერს, კვლავ განაგრძნობს ოდნავ ჩახველებით:

— ასეთია ჩვენი ვითარება, ბატონებო. ის გემი მართლაც დაბრუნდება პორტში, მართლაც დაემგზავრება თხუთმეტიოდე ოტობაიელი. თითო-ოროლა ჩაესიძება ადმირალ-კაპიტანს, დანარჩენი მოლაყუნდება ქესეტად, იასონ ბესელია კი კვლავინდებურად არავის გაახსენდება, არც — მოსაკითხი რამდენიმე კილოგრამი თხილი, მაგრამ გემის უკან მობრუნების ამბავი თაობებს საარაკოდ დარჩება. ორ სიტყვასაც დავამატებ და დავასრულებ. აგერ, ჩვენი კარის მეზობელი ვაჟიკო შონია მიდის ურმით თემშარაზე. გზისპირას წაქცეულ მორზე ჩამოსვენებული სერაპიონ უზარაშვილი დაუძახებს თანასოფლელს:

თუ ღმერთი გწამს, ერთი წუთით გააჩერე ურემი, სოფლის ცენტრამდე დამიმგზავრე მუხლწართმეულიო, მაგრამ ვაჟიკოს ხარები სამგლეებია. ამაოა, „ორეხის“ ძახილი. არაფრით ემორჩილებიან მეურმეს. სახრეს ტყლაშუნზე ხომ აეშვებიან მთლად. შეესწრება ამ ამბავს ედი კვარაცხელია და ამგვარად გაამასხარავებს გაწბილებულ მხცოვანს:

სერაპიონ, პატენი, კოწიას ვაჟმა, იასონ ბესელიამ, გაშლილ ზღვაში პარახოდი გააჩერა, უკან დააბურნა და შენ ვაჟიკო შონიას ურემი წამითაც ვერ შეგიყოვნებია, რაღა კაცობა ეგ არისო.

წამოიმართება სერაპიონ უზარაშვილი, მოწკურავს თვალებს ჩვეულებისამებრ, ამოაცოცებს სათმოს, თქვენებურად — ყალიონს, ბატონებო, მესამედ უკიდებს ასანთით ქარიან ამინდში, გააჩაღებს და აი, ასე გაეპასუხება წინ გაჩერებულ თანასოფლელს:

შე, სულელო, იმ გემს კაპიტანი მართავდა, ამ ხარებს კი ზოგიერთივით რქიანიო.

ბატონებო, ვფიქრობ, მისახვედრებლად ვთქვი ყოველივე; რამდენი ძვირფასი დრო წაგართვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მთლად უშედეგოდ — არა, ვინაიდან დაბეჯითებით ვიცი, ისეთი მესვეური გვარგუნა უფალმა, მდინარის მიერ მოტაცებულ ბორანს გარიწკინებული ხიდით დაგვიბრუნებს ხვალ-ზეგ და წიხლსაკრავ ხუხულებს — დვარეცი სკოლითო.

აი, რომელი ბესელიას შთამომავალზე განგვიზრახავს საუბარი „კირბისის“ მომდევნო ნომერში.

ცნობისმოყვარეობის გასაფხიანებლად კი შეგვიძლია მკითხველებს ამთავითვე გავუმხილოთ: დიახაც, რემიკო ბესელიასნაირი ხალხის მხრებზე დგას დღემდე ჭირნახული საშობლო ჩვენი — მარადმხცოვანი და მარადჭაბუკი საქართველო.

თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემია ტრადიციულთან შედარებით ორი კვირის დაგვიანებით და გარდაქმნისეულთან

მეორე ათეული წელიწადია ნიჭიერების პრობლემებს ვუტრიალებ. ბიოლოგია, ანთროპოლოგია, ეზოტერიკული მოძღვრებანი ნელინელ დაწდევებულა და მაინც ცხოვრების რეალობა ჯიქურ მიგვათრევს თავისი ოღროჩოღროებით. ერთ მშვენიერ დღეს მუხიანის დასახლებაში გავისეირნებ და მიყრუებულ ალაგას მწვანეში ჩაფლულ საოცრებას ვიხილავ – თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემის სამსართულიან კომწია შენობას. იაკობ გოგებაშვილის ბარელიეფი უმალ გააცისკროვნებს ჩემში სასწავლებლის სულისკვეთებას. იმ დღიდან მოყოლებული მათი ხშირი სტუმარი ვარ. ჩვენი ჟურნალის პრეზენტაციაზეც მესტუმრებიან ერეკლეს მოედანზე ნიჭიერი მოსწავლეების ჯგუფით.

არსებითი კი სხვა რამ არის: სკოლა-აკადემიის სასწავლო პროგრამა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მხარდამხარ თამამად ნერგავს პრაქტიკისა და თეორიის შერწყმას ყოველდღიურობაში უკეთ დასამკვიდრებლად. და რაც ნიშანდობლივია, მთავარი ყურადღება ექცევა ჭეშმარიტი ცოდნის შეძენას.



ფიზიკური აღზრდა მათი მოღვაწეობის ერთ-ერთი წარმმართველი ღერძია. პროექტის სულისჩამდგმელია ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის კოორდინატორი, ბატონი რომან ტიკაძე. ოჯახის მოსიყვარულე ადამიანს თანაბრად ემარჯვება „ხასანბეგურა“ და სასხლავი. წამით გაჩერებულს ვერ იხილავთ. გამუდმებულ მოძრაობაშია. უზარმაზარი ცხოვრე- ბისეული გამოცდილება შეუძენია. წლობით ყოფილა გერმანიაში, მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში და ქართულ ფასეულობებზე მაღალი ნიშნული აღარსად დაულანდავს. არა, ბატონი რომანი ნაციონალური რეკვიზიტებით თვალდავსებული ურაპატრიოტი სულაც არ გახლავთ, მაგრამ როდესაც აღზრდის პრობლემებზე ჩამოვარდება საუბარი, აქ ყველა ექსპერიმენტს და ჩხირკედელაობას იუველირის გულისყურით მიაჩერდება: იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და იოსებ ჟორდანია დაუსახავს ცხოვრების იდეალად და კიდევ — ძირძველი ქართული ოჯახის ჯანსაღი ტრადიციებისაგან მოუწყვეტელი ყოფიერება ჩვენი. ამ ხალხის წარმატების მთავარ საიდუმლოს იმთავითვე მივაგნებ — ღიმილს, გულწრფელ და უბოროტო ღიმილს; სხვისი წუხილით დასევდიანებას და სხვათა სიხა- რულით აცამზევებას.

უამრავი მეგობარი ჰყავს ბატონ რომან ტიკაძეს. მის აღტაცებას საზღვარი არ ჰ ქონდა, როცა ერთ-ერთი გაუქმებული ბიბლიოთეკის ხუთიათას წიგნს სკოლა-აკადემიაში მოუ- ყარა თავი. სისუფთავისათვის ზრუნავს ნიადაგ. ყველაფერს ასწრებს, შვილიშვილების მოფერებასაც, სპორტული მოედნის მოკოხტავებასაც, გაჯი და ცემენტისაგან ვერ გამოი- ხედა მცხუნვარე ზაფხულის მანძილზე.

— რახან ერთხელ შევეჭიდეთ საქმეს, აქ აწი წაბორძიკება მიუტევებელია, — გამენდო მთელი სერიოზულობით და ამით წერტილი დაესვა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის რეფორმას საქართველოში. აშკარად ეს ძუნწი შტრიხები ვიკმაროთ. ჟურნალის მომდევნო ნომერში კი დაწვრილებით შემოგთავაზებთ მათი აშაღლებული და საშვილიშვილო ცხოვრების ასავალ-დასავალს. დარწმუნებული ვართ, ქართველ მოზარდთა სულიერების გადარჩენის ყველა კლიტე თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიელების ხელთაა.

24

სექტემბერი — „ენგურჰესის“ ახალი სიცოცხლე

„ენგურჰესის“ თაღოვან კაშხალზე სასიხარულო ამბავს დაგვახვედრებენ: მთავრობას, ხელისუფლებას აქაც უზრუნვია — მუშახელის 18 თვის ხელფასის დავალიანების პირწმინდად გასტუმრების კვალდაკვალ გამოუძებნია თანადაფინანსების გზები უცხოური გრანტის ასათვისებლად. ვახტანგ მიშველია ყოფილი ენგურჰესელია.

მას დიდი სევდა შემოაწვება გულზე გზადაგზა მოსმენილ სიდუხჭირეთა გამო, რომელიც რესპუბლიკის ენერგეტიკის მთავარ არტერიას ჩვენივე უსულგულობით დაატყდა თავს. რომ არა ენგურჰესელების მართლაც გმირული შრომითი მაქმაცობა, არავინ უწყის რანაირი მასშტაბის კატასტროფა დატრიალდებოდა დასავლეთ საქართველოში.

ანონსი ANONS ანონსი АНОНС ანონსი АНОНС ანონსი ANONS

არადა, **24 სექტემბერი** დაუვიწყარია ყველა წალენჯიხელისათვის, „ენურჰესის“ გმირული კოლექტივისთვის, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან წვეული სტუმრებისთვის. ბატონები: ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, ქველმოქმედებით გამორჩეული ბიზნესმენი გულიკო სარჩილავა, წალენჯიხის რაიონის გამგებელი ტარიელ ჯანჯღავა, აღფრთოვანებულები უმზერენ მისაყრდნობელი ფარების სარემონტო დანადგარის ჩაშვების სამზადისს. ბლიც-ინტერვიუების ცვენაა

„ენგურჰესის“ სინამდვილეში მომხდარი ფაქტის თაობაზე. უცხოელი თუ ადგილობრივი რესპოდენტები მღელვარებით აკომენტარებენ აურაცხელი ობიექტისვის წინაშე უმაგალითო ფაქტს: მართლაც დაუვიწყარი **დღეა 24 სექტემბერი!** უპრეცენდენტო შემთხვევა ჩაიწერა მსოფლიო ჰესების ისტორიაში — ადგილობრივი კონსტრუქციის უცხოურთან შეჯერებით დამზადდა მისაყრდნობელი ფარების სარემონტო დანადგარი. ხუთი მილიონი ევრო-გრანტით განხორციელდა ეს საშვილიშვილო საქმე.

ANONS AHOHC AHOHC ANONS
ერთგზარად პატივი მიეგო შიშველი
ხელებით სტიქიასთან ჭიდილში დაღუპულ ადამიანებს.
ამიერიდან „ენგურჰესზე“ შესაძლებელი გახდება
ათწლეულებით დაჭანგული და შემართავი ფარების
შეკეთება. ადამიანები უსაფრთხოდ მივლენ მოძველებულ
ტექნიკასთან და ბოლო მოეღება ეოსალოდნელ ავარიებს
თუ წყლის შეიზნოდ დაღვრას. დაიზოგება ჰილიონობით
ლარი ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

ეს დღეები ძირით წალენჯიხელი ბიზნესმენის, ბატონ გულიკო ხარჩილავას სიხარულს საზღვარი არა აქვს: საქართველოს ალმა მატერი „ენგურჰესი“ ხელმეორედ იშვა.

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ალექსანდრე ახვლედიანი, ბანო „ორ ზღვას შუა“-ს შემსრულებელი, მხატვარი მურმან ფიფია და თაღოვანი კაშხალის დირექტორი ჯონი ჭანია ხარაჩოების მოხსნის წინ.

ბატონი ნიკა გილაური ეგზალტირებულია. კორესპონდენტებით გარშემორტყმული კითხვებს ვერ აუდის. „ენგურჰესი“ ხელმეორედ იბადება 24 სექტემბერსო, დაასკვნის ყოველი ბლიც-ინტერვიუს შემდეგ.





სულ მალე „ენგურჰესზე“ მესამე აგრეგატიც ამოქმედდება და მაშინ იგი მიუახლოვდება საპროექტო სიმძლავრეს — 1200 მეგავატს. ენით აღუწერელი სიხარული ამზიანებს ყველას და ყველაფერს. „ენგურჰესის“ კოლექტივის გმირად შერაცხვა პრეზიდენტის კეთილი ნების მოლოდინშია.

თაღოვანი კაშხალის დირექტორი, ბატონი ჯონი ჭანია მთელი ოჯახით აქ არის და მაინც თანამშრომელებს არ სცილდება. სადაცაა კაშხალის ზურგიდან ჩაეშვება ძვირადღირებული დანადგარი და შემდგომ შესაძლებელი გახდება ათწლეულობით ჩაჟანგულ-ჩაოხრებული ფარების რემონტი. ჯონი ფიცხია და სანგვინიკური ტემპერამენტით გამორჩეული. კოლეგებს დაუზარებლად უყვება დანადგარის თითოეული ჭანჭიკის დანიშნულებაზე, თუმცა ეს დეტალები ჯერჯერობით აბსტრაქტულად აღიქმება დამთვალიერებლების მზერაში.

„ენგურჰესის“ დირექტორი, ბატონი ლევან შებონიაც ერთობ აფორიაქებულია: თვეების მანძილზე სადღეღამისო მუხლჩაუხრელი ჯაფის მამითადია. 24 სექტემბერს ქვეყნის პრეზიდენტს ელოდნენ კაშხალზე. ვერ ამოივაკა, მაგრამ არც ხვალ-ზეგ არის გვიან ქმნა მართლისა სიმართლისა, ხმელ ხესაც ნედლად რომ შეიქმს. ბატონი ნიკა გილაურის გამოჩენისთანავე გერმანელი სპეციალისტები დაფაცურდებიან. დამსწრე საზოგადოება უსაფრთხოების მიზნით სამუშაო მოედნიდან გაჰყავთ. უშველებელი ამწე ჰაერში ააცურებს 250 ტონის დანადგარს და კომპიუტერული სიზუსტით ჩაუშვებს დანიშნულების ალაგას. „ენგურჰესი“ ახალ სიცოცხლეს იწყებს 24 სექტემბრიდან, თუმცა ყველაფერზე — რიგისდა მიხედვით ჟურნალის მომდევნო ნომერში.

კირბისი, 2 / 2005

მეორე ჩაშვება. ტირაჟი— 200 ცალი.
ეგზ. ღირებულება—94 ლარი.
დაიბეჭდა ციფრულ სტამბაში „ბენე“, ტელ.: 382523.